დავით გვარიტიშვილი

ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან

(ქართლის სათავადოები)

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი
1 9 5 5

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ქართლის სათავადოების შესწავლა 1939 წლიდან დავიწყე. მონოგრაფიულად დავამუშავე ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო, სამუხრანბატონო, საამილახორო, საციციანო, სომხით-საბარათიანოს სათავადოები. ასეთი მუშაობის შედეგად შეიქმნა წარმოდგენილი მონოგრაფია—„ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“.

სათავადოების მონოგრაფიულად შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი საქმეა. გარდა ზოგადი მოსაზრებებისა, რომლებიც ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის, უკანასკნელ წლებამდე ჩვენ თითქმის არაფერი გვქონდა. ეს მდგომარეობა კი, ბუნებრივია, მთელ რიგ სიძნელეებს ჰქმნიდა.

წარმოებულმა კვლევამ საშუალება მომცა სათავადოს, როგორც ორგანიზაციის, აღნაგობა შემესწავლა, კერძოდ, დამედგინა: ყოველი სათავადოს საზღვრები, ტერიტორია, მოსახლეობა, მეურნეობის სახეები, სათავადოს შინაგანი ორგანიზაცია, სოციალური ურთიერთობა, დამოკიდებულება მეზობლებთან, სათავადოების ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სხვ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სათავადო გვიანფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ უჯრედს წარმოადგენდა, მაშინ გასაგები გახდება, რომ ქვეყნის ისტორიის სრულყოფილად დამუშავება სათავადოების შესწავლის გარეშე შეუძლებელია. ამდენად სათავადოების მონოგრაფიულად შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული ფეოდალური ურთიერთობის კვლევის ისტორია ვახუშტით იწყება.

XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ სოციალური ურთიერთობის საკითხების კვლევა მეორე ხარისხოვან საქმედ მიიჩნია. იგი უმთავრესად გატაცებული იყო საქართველოს პოლიტიკური ისტორიით.

საქართველოს ისტორიის ცალკეული მკვლევარები (პ. იოსელიანი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ნ. ურბნელი, მ. ჯანაშვილი და სხვ.) თავიანთ ნაწერებში ფეოდალური ურთიერთობის საკითხებზე მხოლოდ ძალიან გაკვრით ჩერდებიან და რაიმე ხელშესახებ დებულებებს არ იძლევიან.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის პირველ ოცეულში თ. ჟორდანია, ალ. ხახანაშვილი, ს. ავალიანი ქართული ფეოდალიზმის შესახებ გამოდიან ცალკეული წერილებითა და გამოკვლევებით.

ამავე პერიოდში ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში (ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ალ. წულუკიძე) წამოყენებული იყო მრავალი დებულება, რომელიც დღესაც რჩება სახელმძღვანელოდ საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ახალი პერსპექტივები გადაიშალა. შეიქმნა ქართული უნივერსიტეტი — ქართული კულტურისა და მეცნიერების უდიდესი კერა. ამ კერას, როგორც ცნობილია, სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილი. მალე უნივერსიტეტში წამოიზარდნენ მეცნიერების მრავალი დარგის მუშაკები. საქართველოს ისტორიის კვლევაც ამიერიდან ახალ საფეხურზე ავიდა. გადაუდებელ ამოცანად იქცა საქართველოს ისტორიის სოციალური

ურთიერთობის საკითხების კვლევა. თავისთავად ცხადია, რომ ახლა მუშაობა უნდა წარმართულიყო მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიურ საფუძველზე. მხოლოდ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად მოძღვრებას შეეძლო საქართველოს ისტორიის კვლევის აყვანა მაღალ მეცნიერულ დონეზე.

სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა ახალი გამოკვლევებით ქართული ისტორიოგრაფია. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის ცენტრებად გადაიქცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და ენის კათედრები და ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტი. გაფართოვდა საკვლევო მუშაობის სფეროც.

დღის წესრიგში დაისვა ცალკეული სათავადოების მონოგრაფიულად შესწავლის საკითხი.

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი, გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი ძველი საქართველოს სოციალურ აღნაგობას შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: „ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპთა მღვდელთა პატივნი და რიგნი იყუნენ ცალკერძათ, ვითარცა სულიერთა. ხოლო სოფლიერნი: პირველი ერისთავნი, ბ) მთავარნი, გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი, ვ) მუშაკნი გლეხნი“ [1].

როგორც განსვენებულმა აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ შენიშნა, აქ „ადმინისტრაციული წყობა არეულია სოციალურში“ [2].

როგორც ვხედავთ, ვახუშტის აზრით წინაქრისტიანული ხანის ქართული საზოგადოება დანაწევრებულია. ამასთან ერთად, სოციალური კიბის უდაბლეს საფეხურზეა „მუშაკნი გლეხნი“.

ყურადღებას იპყრობს ვახუშტის დაკვირვება მთავრის ეკონომიურ ნიშნებზე. ვახუშტის აზრით, მთავრისათვის აუცილებელია „გვარი და შთამომავლობა“, მაგრამ ეს არ კმარა, „მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ჯეობანი, და თჳნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად“ [3].

მაშასადამე, მთავრის აუცილებელი ატრიბუტია ერთის მხრივ გვარ-შთამომავლობა, ხოლო მეორეს მხრივ ციხე-ქალაქი, სიმაგრე

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი 1941 წ., გვ. 14.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, ანალები, ტ. I, 1947 წ., გვ. 1.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 14.

და ტერიტორია — ჭეობანი. ვისაც ეს არ ჰქონდა ის არც მთავარი იყო. ეს ნიშნები გამოყოფენ მათ დანარჩენი სოციალური ფენებისაგან და განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ვახუშტის მიერ დასახელებული სხვა სოციალური წრეებიც ატარებენ გარკვეულ განმასხვავებელ ნიშნებს. ვახუშტი წერს: „ხოლო აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძალედვას გამოსლვა მარქაფითა, კარვითა და მათთა გაწყობილებითა, და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად. ხოლო ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვიეთიამე სწორი. და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძვთა, და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მიერ პატივი მსახურთა მათთა, და შემდგომად ამათთა—მუშაკთა გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეიდამ ზეით ერთორად“ [1].

ასეთია ვახუშტისეული სოციალური სქემა და მისი ძირითადი ნიშნები. „თუ ვახუშტის მცდარ ისტორიულ პერსპექტივს არ გავუწევთ ანგარიშს (ვახუშტი მოცემულ სურათს, ჩანს, ერთნაირად აკრცელებს როგორც მირიან მეფის, ისე დავით აღმაშენებლის ხანაზე), უნდა ვთქვათ რომ აქ ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ჯგუფები, ავტორის დროისათვის განსაცვიფრებელი სიღრმით არის აღწერილი. შემჩნეულია წოდებრივი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი — სოციალურ-იურიდიკული მდგომარეობის მემკვიდრეობითი თვისებები — „გვარისა და შთამომავლობის“ აუცილებლობა. შენიშნულია მემკვიდრეობითი უფლებების უკმარობა იმისათვის რომ კაცი ამ საზოგადოებაში „ზეით“ იდგეს, — დახასიათებულია ამ „ზეით დგომის მატერიალური საფუძველი“ [2]. ვახუშტისვე ეკუთვნის ფეოდალური წყობილების მართვისა და შედგენილობის ცალკეული ელემენტის შესახებ არა ერთი საინტერესო მოსაზრება და დაკვირვება (ერისთავის ინსტიტუტი, ლაშქრის შედგენილობა და სხვ.).

საყურადღებოა, რომ ფეოდალური სახელმწიფოს ცალკეული ინსტიტუტები ვახუშტის ზოგჯერ განვითარებაში აქვს აღებული და ამ ინსტიტუტების არსს ახასიათებს იმისდა მიხედვით, თუ ისტო-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 14.
[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, ანალები, ტ. I, გვ. 2.

რიულად როგორ იცვლებოდნენ ისინი. ამავე დროს ვახუშტი ანგარიშს უწევს იმ გარეშე თუ შინაგან ძალებს, რომლებიც გავლენას ახდენენ, როგორც სახელმწიფოს ცალკეულ ინსტიტუტების განვითარებაზე, ისე თვით მოცემული სახელმწიფოებრივი სისტემის განვითარებაზე საერთოდ.

ვახუშტის ყურადღება მიუქცევია, რომ მეფის ხელისუფლების ძლიერების ხანაში „წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა მიმართ და მის მიერ მოურნეობა. სამართალი და ლაშკარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშევე იყუნენ, და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეფოთა“ [1].

მაგრამ ეამთავითარებაში სამეფო ხელისუფლება დასუსტდა და მოვლენები ისე განვითარდა, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია დაიშალა და ცალკეული ქართული ფეოდალური სამეფოები წარმოიქმნა. მოხდა სოციალური ცვლილებებიც. ეს პროცესი ვახუშტის ასე ეხატება: „შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქუნდათ თჳსთჳსად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა. განა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადათ, და არცაღა იყუნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჭეობათაგან იყუნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოკეევ — მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოთ“ [2]. ეს შესანიშნავი დაკვირვება თავისთავად ცხადია და განმარტებას არ საჭიროებს.

მაგრამ ვახუშტის ეს წარმატება გამოიხატა ძირითადად ფეოდალურ საქართველოს სტრუქტურულ-აღნაგობის აღწერაში და იგი ვერ ამაღლდა სოციალური ურთიერთობის ბუნების ახსნამდე.

მიუხედავად ამისა, ვახუშტი პირველი იყო, რომელმაც ფეოდალური ურთიერთობის კვლევას მიჰყო ხელი და მრავალი მოვლენაც სათანადოდ შეაფასა. XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია დიდად ვერ გასცდა ვახუშტის გაგებას, ხოლო ზოგი ისტორიკოსი ვახუშტისეულ გაგებამდეც ვერ ამაღლდა.

ქართული ფეოდალური ურთიერთობის საკითხებს პროფ. ალ. ხახანაშვილმა რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა. ეს გამოკვლევები, რომლებიც ქართულ პერიოდიკაში („ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“) იბეჭდებოდა, ავტორმა ცალკე წიგნად გამოსცა ჯერ

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 14.
[2] იქვე. გვ. 22.

1890 წელს, ხოლო შემდეგ — 1910 წელს, სათაურით — „ბატონ-ყმობა საქართველოში, რუსეთთან შეერთებამდის“.

პროფ. ალ. ხახანაშვილი ევროპისა და რუსეთის ფეოდალურ ურთიერთობისათვის დამახასიათებელ სქემებს სწავლობდა და ქართული სინამდვილისათვის ამ მზამზარეულ სქემებს იყენებდა. ამიტომ, რომ არაფერი ვთქვათ ხახანაშვილის მცდარ მეთოდოლოგიურ მოსაზრებებზე, მის მიერ შესწავლილი მოვლენა დღევანდელ მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს, რადგან ესა თუ ის კონკრეტული საკითხი იმისდა მიხედვით კი არა აქვს შესწავლილი, თუ რას იძლევა ფაქტიური მასალა ამ საკითხზე, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვით ავტორი ამ საკითხის შესახებ. პროფ. ალ. ხახანაშვილს სურს დაამტკიცოს, რომ ქართული ბატონყმობა ჰუმანიურია ევროპულ და რუსულ ბატონყმობასთან შედარებით. რადგან წინასწარ შემუშავებული აქვს მოსაზრება, მკვლევარიც მასალას ამ მოსაზრების მიხედვით ალაგებს. ხოლო ზოგჯერ, როცა ვერ ახერხებს ამა თუ იმ დოკუმენტური მასალის ანალიზს, მაშინ პასუხიც წინასწარვე შემუშავებული აქვს: ეს მოვლენა ქართულ ბატონყმობას შეძენილი აქვს ბერძნულისაგანო. მაგალითისათვის ჩვენ ერთ ამონაწერს მოვიტანთ. პროფ. ალ. ხახანაშვილი წერდა: „თუმცა ვახტანგის ყმას დაეტყო ბერძენთა გავლენა და გავრცელდა საერთოდ ყმაზედ ბერძენთა შეხედულობა, მაინც ჩვენი ყმა დარჩა ბევრად უკეთესს მდგომარეობაში, ვიდრე ბერძენთა „ნასყიდი“ და რუსების ყმა... ბატონს არა ჰქონდა უფლება, წინააღმდეგ რუსთა მებატონეთა, ყმის სისხლის დასჯისა, იგი იყო მხოლოდ „მფარველი და პატრონი“ [1].

მაშ, სანამ საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა ქართველი ბატონი იყო ქართველი გლეხისათვის „მფარველი“ და „პატრონი“, ხოლო „XIX საუკუნის დამდეგს საქართველო შეუერთდა რუსეთს, თავადაზნაურობამ დაჰკარგა სახსარი სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა მიეღო. ფეოდალებს მოაკლდათ ძველი დიდება და ამასთანავე იმატა უსაქმობის გამო განცხრომის მიდრეკილებამ. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ გამოიწვია ყმათა გადასახადის და ბეგარის მომატება“ [2].

როგორც ვხედავთ, ხახანაშვილი ქართველ ინტელიგენტთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელთა აზრით საქართველოში მისი რუსეთთან

---

[1] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ბატონ-ყმობა საქართველოში, რუსეთთან შეერთებამდის, გვ. 124—125.

[2] იქვე, გვ. 126—127.

შეერთებამდე, ყველაფერი „მამაშვილურ დამოკიდებულებაზე“ იყო დამყარებული, არავითარი კლასთა ბრძოლა არ იყო, რომ ყმა მამასავით უვლიდა თავის ბატონს, რომ ყველაფერი შემდეგ „აირია“.

ამავე კრებულში არის მოთავსებული ალ. ხახანაშვილის წერილი — „წოდებათა ისტორია საქართველოში“.

ა. ხახანაშვილის აზრით „პირველი წოდება, პრივილეგიით აღჭურვილი, რომელსაც მიესაკუთრა უფლება უმაღლესი მმართველის, მსაჯულის და წინამძღოლის დანიშვნა, წამოყენებული იყო სავაჭრო და სამხედრო მოთხოვნილების წყალობით. მდიდარი ვაჭარი, გარსშემორტყმული მხედართა რაზმით, პირველად თავის ქონების დასაცველად გახდა წინამძღვრად მტერთა მოსაგერებელ ჯგუფისაც, რომელიც მას მიეკედლა გამაგრებულს ციხეში. მაშასადამე, სავაჭრო გზად მდებარე საქართველომ წამოაყენა ჯერ აღებ-მიცემობის მტვირთველნი, შემდეგ ამ პირთა შორის გამდიდრებულნი და ამასთანავე ქონების და თავისუფლების დასაცავად წამოდგა წინამძღვარი, რომელმაც სავაჭრო მოედანი ციხედ გადააქცია, ძალა მოიკრიფა და უცხო ერისაგან დაიცვა თავიც, ქონებაც და მასთან შეფარებულნი მსოფლიონიც. ესაა ეკონომიური ისტორიის სათავე“ [1].

მთელი ეს მსჯელობა ისე მარტივია, რომ მასზე საგანგებოდ შეჩერება არა ღირს.

პროფ. ალ. ხახანაშვილს ამავე კრებულში მოთავსებული აქვს ნარკვევი — „იმმუნიტეტი საქართველოში“. ამ ნარკვევში ალ. ხახანაშვილი ცდილობს დაამტკიცოს საქართველოში იმუნიტეტის არსებობა, რისთვისაც იმოწმებს რამდენიმე დოკუმენტს უმთავრესად ფეოდალური ხანიდან.

ასეთია პროფ. ალ. ხახანაშვილის შრომების შინაარსი. როგორც ვხედავთ, ალ. ხახანაშვილი მრავალ მცდარ მოსაზრებას ავითარებდა, მაგრამ მის შრომებს, მიუხედავად არსებითი ნაკლისა, თავის დროზე მაინც ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა; თუნდაც იმიტომ, რომ სათანადო მასალას თავს უყრიდა და გარკვეული ფეოდალური ინსტიტუტების კვლევისადმი ინტერესს აღვივებდა.

1910 წელს, „Журнал Министерства юстиции“-ში (№ 4) ს. ავალიანმა გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „Заметки о феодализме в Грузии“.

ავალიანი დაინტერესდა საქართველოში იმუნიტეტის არსებობის საკითხით და დასძინა, რომ ქართული სიგელ-გუჯრები საკმაოდ საინ-

---

[1] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ბატონ-ყმობა საქართველოში, რუსეთთან შეერთებამდის, გვ. 150—151.

ტერესო ცნობებს შეიცავენ ამ საკითხზე. ავალიანი საფუძვლად იღებდა იმუნიტეტის არსის შესახებ ფიუსტელ-დე-კულანჟის მოსაზრებას და ქართულ წყაროებში არსებულ მასალას ამის მიხედვით ალაგებდა.

ავალიანმა საკმაოდ ბევრი ფაქტიური მასალა მოიტანა საქართველოში იმუნიტეტის არსებობის დასამტკიცებლად. ქართული იმუნიტეტი შეადარა ბიზანტიურს, ევროპულს და რუსულს; მათ შორის მსგავსება დაინახა, მაგრამ ეს მსგავსება ურთიერთ სესხებისა და გავლენის გზით კი არ ახსნა, არამედ იმით, რომ ერთნაირი საზოგადოებრივი წყობა სხვადასხვა ქვეყნებში მსგავს ინსტიტუტებს წარმოშობს. დასკვნაში მას ნათქვამი აქვს: „Совпадение основ грузинского иммунитета с таковыми западного, византийского, буквальное тождество тех и других памятников в определении иммунитетных понятий и терминов, а следовательно, и объемов и характера пожалований может вызвать у наблюдателя поверхностного предположения о заимствовании“ [1].

ავალიანის აზრით, დასავლეთისაგან ქართველებს არ შეეძლოთ ესესხათ იმიტომ, რომ იმუნიტეტის წარმოშობის დროს საქართველოს დასავლეთთან კავშირი შეუმჩნეველი იყო. იმუნიტეტი არც ბიზანტიასთან კავშირით აიხსნებაო, რადგან იგი საქართველოსა და ბიზანტიაში ერთსა და იმავე დროს წარმოიშვაო. ავალიანი სწორ დასკვნამდე მივიდა და აღნიშნა, რომ ქართული იმუნიტეტი ქართულს ნიადაგზე აღმოცენდა: „Если для других стран, для самой Византии, Руси, бесспорно самопроизвольное возникновение института, то тоже самое заключение справедливо и для Грузии, т. е. однородные условия общественной и политической жизни привели и Грузию, и Византию, и Запад и Россию к одному и тому же социальному состоянию выраженному иммунитетом“ [2].

რაც უნდა ნაკლული იყოს ს. ავალიანის დასკვნები, იგი იმ დროისათვის მაინც ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

1912 წელს, ს. ავალიანმა გამოაქვეყნა ორტომიანი კაპიტალური მონოგრაფია: „Крестьянский вопрос в Закавказье“.

ამ ნაშრომში, განსაკუთრებით პირველ ტომში, არა ერთი საყურადღებო მოსაზრებაა წამოყენებული. ავალიანი პირველი წიგნის პირველ თავში — „Грузинское крепостное право, его источники и объем по законодательным памятникам и обычному праву“ —

[1] ჟურნალი Министерства юстиции, 1910, № 4, გვ. 113—114.
[2] იქვე, გვ. 114.

გლეხთა უფლებრივ მხარეს იხილავს; არჩევს ბატონისადმი გლეხის დამოკიდებულების იურიდიულ ნორმებს; იყენებს ვახტანგ VI-ის კანონებს; იშველიებს ცალკეულ აქტებსაც და დაასკვნის, რომ ყმა-გლეხი ეკონომიურად და იურიდიულად თითქმის მონას უდრიდა, რადგან თუმცა ზოგჯერ კანონი სცნობდა გლეხის თავისუფლებას, მაგრამ ეს უფრო ფორმალური იყო, ვიდრე ფაქტიური. რომ უფრო ნათელი გახდეს მისი მსჯელობა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

I. „Грузинское право в принципе, при известных условиях, признает личную свободу низших слоев населения, но de-facto это признание есть лишь фикция“ [1].

II. „Помещик полный хозяин над личностью и имуществом крестьянина“ [2].

თავის ნაშრომის მეორე თავში ავალიანი იხილავს „Категории владельцев крестьян“. იგი ჩამოთვლის მქონებელ კლასთა შემადგენელ კატეგორიებს და იძლევა სქემატურ განმარტებას.

მესამე თავში ავტორს მოცემული აქვს „Разряды крестьянского сословия“. მისი აზრით: „Крестьянская масса не представляла по составу своему однородного целого; напротив, она была весьма пестрой, состоящей из отдельных групп, различающихся по своим правам и обязанностям; но эти группы по существу, не представляются строго замкнутыми и всегда возможны и естественны переходы из одних состояний в другие“ [3].

ს. ავალიანს ცალკე თავად აქვს გამოყოფილი საგლეხო გადასახადები და საბუთებში მოხსენებულ გადასახადებს ჩამოთვლის გლეხის კუთვნილების მიხედვით.

საერთოდ, ს. ავალიანის ნაშრომი სერიოზული გამოკვლევაა და ქართული ფეოდალური ურთიერთობის შესწავლის საქმეში იგი, მაშინდელი ქართული ისტორიოგრაფიის დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უეჭველად ნაბიჯი იყო წინ.

1915 წელს გაზ. „ახალ ქართლში“ (№№ 31, 33, 35, 37, 40, 45, 50, 53) თ. ჟორდანიამ მოათავსა რეცენზია ს. ავალიანის ნაშრომზე „Крестьянский вопрос в Закавказье“ სათაურით — „ბატონყმობა საქართველოში (შენიშვნები)“. როგორც ცნობილია, ავალიანმა გლეხთა მდგომარეობა საქართველოში მონობასთან გაათანაბრა და უხვი

---

[1] ს. ავალიანი, Крестьянский вопрос в Закавказье, ტ. I, გვ. 23.
[2] იქვე, გვ. 35.
[3] იქვე, გვ. 60.

ვასალები დაიმოწმა გლეხთა მდგომარეობისა და უუფლებობის შესახებ. თ. ჟორდანიამ ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო ამ წიგნში. იგი წერდა: „წიგნი მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ქართველ მკითხველზე, ზიზღით ათქმევინებს ჩვენს წინაპრებზე: ველურები და კაცუკამიები ყოფილხართ და ფუი თქვენს საფლავებსაო; ნეტავი იმ თქვენგან პირუტყვად გადაქცეულ ქვეყნის მრჩენელ გლეხებს თქვენი თესლი და ხსენებაც დედამიწის ზურგიდან ამოეშალა-ამოეწყვიტაო. მკითხველ ქართველს ღრმად ჩაეთესება გულში წარსულისადმი აღმოუფხვრელი სიძულვილი, ხოლო დამჩაგვრელ წოდებისა და მისის ჩამონათესავისადმი ზიზღი.

სამაგიეროდ, წიგნი მეტად გაახარებს იმ გადაგვარებულ ნაწილს უცხო თესლებისას, რომელიც ჩვენმა მწერლობამ მონათლა პურიშკტიმოშკ-იანცების სახელით. ესენი ხომ სულ იმის ცდაში არიან, რომ ქართველ ეროვნებას ყოველივე ღირსება ჩამოართვან, ეროვნული კულტურაც უარჰყონ, ველურებად აღიარონ და მთელ განათლებულ ქვეყნებში სათრეველად, სასაცილოდ გახადონ, გული მოუკლან. ამ მიზნისათვის ჩვენის ავქსონის წიგნი საუცხოვო იარაღია ჩვენის მოძულეების ხელში... ამიტომ ავტორის თხზულება მე მავნებელად მიმაჩნია ჩვენის ეროვნობის წინსვლისათვის არა იმიტომ, რომ ავქსონმა ვითომ გამოაჩინა ჩვენი უკულტურობა, არამედ სწორედ იმ მიზეზით, რომ ავქსონის ზ ე მ ო მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი თ ა ვ ი დ ა ნ ბ ო ლ ო მ დ ი ს ი მ ა რ თ ლ ი დ ა ნ გ ა დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა, გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ი ს დ ა ზ ე ზ ე ლ ა ო ბ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ა“ [1].

ავალიანის მოსაზრებას თავისი მოსაზრება დაუპირისპირა თ. ჟორდანიამ და აღნიშნა: „რუსულ „კრეპოსტნიკობასა“ და ქართულ ბატონყმობის შუა ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ მათი შედარებაც ძნელია, რადგან იმათ შუა მსგავსებაც კი არ არსებობს“. მისი აზრით „კრეპოსტნიკობა“ ყოველ უფლებისაგან გაშიშვლებაა, გაპირუტყვებაა კაცისა“ [2]. ეს „კრეპოსტნიკობა“ ევროპული მოვლენა იყო და თურმე პეტრე პირველმა შემოიტანა რუსეთში. ხოლო როგორი იყო ქართული ბატონყმობა? საქართველოში „ბატონს და გლეხებ შუა მჭიდრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი მეფობდა“. თავისი შეხედულება ჟორდანიამ კიდევ უფრო დააზუსტა და აღნიშნა: „ქართული ბატონყმობა ანუ დამოკიდებულება გლეხებსა და ბატო-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ბატონყმობა საქართველოში, ახალი ქართლი, 1915 წ., № 31.

[2] იქვე.

ნებს შორის ნებაყოფლობითი იყო, უფრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი ორისავე მხრისთვის სასარგებლო“ [1].

თ. ჟორდანიას აზრით, გლეხი და ყმა ერთი და იგივე არ არის, ყმა ბატონზეა დამოკიდებული, მაშინ, როდესაც გლეხი თავისუფალია.

ამავე დროს, ბატონი გლეხს კი არ ჰყიდის, არამედ იმ მიწას, რომელზედაც ეს გლეხი ზის.

ერთი სიტყვით, თ. ჟორდანიას სურს ქართულ ბატონყმობაში სრული ჰარმონია დაინახოს და კლასთა ბრძოლა მიჩქმალოს.

მისი გამოკვლევა, რომელიც „ახალი ქართლის“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა, დღევანდელი თვალსაზრისით არავითარ მეცნიერულ ღირებულებას არ შეიცავს.

როგორც საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური, ასევე სოციალური ისტორიის კონკრეტული ფაქტების მეცნიერული შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომების გამოქვეყნებით იწყება.

თუმცა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებებიდან ზოგი რამ მოძველდა, დღეს აღარ შეიძლება გაზიარებულ იქნას, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის ცალკეულ ინსტიტუტების წარმოშობისა და მისი ბუნების შესახებ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა.

მაგ. დღეს უკვე გაზიარებული არ არის განსვენებული მეცნიერის შემდეგი დებულება: „საქართველოში I—VII სს-ში მხოლოდ მონობა იყო, პატრონყმობა მაშინ არ არსებობდა. მე-X ს-ის მეორე ნახევრითგან-კი საქართველოში მარტო პატრონყმობა-ღა იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა, უკვე აღარ არსებობდა. ამ მხრივ I—VII სს-ის საქართველოსა და X—XIII სს. საქართველოს სოციალურ წესწყობილებას შორის არსებითი განსხვავებაა,... მე-VII—IX სს-ში მონობის ხსენება ქრება, მაგრამ პატრონყმობა ჯერ არ არის. ამ ხანას გარდამავალი ხანის თვისებები აქვს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი სოციალური დამოკიდებულება სუფევდა მაშინ უფალთა და იმ მსახურთა, ან სახლეულთა შორის, რომელნიც ამ დროს ძეგლებში მოხსენებული არიან“ [2].

---

[1] თ. ჟორდანია, იქვე, 1915 წ., № 33.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, გვ. 198.

როგორც ვხედავთ, განსვენებული მეცნიერი მეათე საუკუნემდე საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობას ვერ ხედავდა; ამას გარდა, მას ფეოდალურ ურთიერთობის ერთადერთ ფორმად პატრონყმობა მიაჩნდა. ასევე არასწორია მისი მსჯელობა VII—IX საუკუნეებში რაღაც „გარდამავალი ხანის" არსებობის შესახებ.

მიუხედავად ნათქვამისა, ქართული პატრონყმობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი პირველი იყო, რომელმაც არა ერთი საინტერესო მოსაზრება წამოაყენა და საამისო მასალაც შეკრიბა და სათანადოდ შეაფასა.

ივ. ჯავახიშვილის დებულება პატრონყმობის ბუნების შესახებ ასეთია: X—XIII სს. საქართველოს „ს ა მ ე ფ ო ს ს ო ც ი ა ლ უ რ ე უ ფ ლ ებ რ ი ვ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ქ ვ ა კ უ თ ხ ე დ ა დ პ ა ტ რ ო ნ ყ მ ობ ა ი ყ ო: ხელმწიფე პატრონი იყო, მისი ქვეშევრდომნი კი ყმები, წოდებათა მიუხედავად, დიდებული აზნაურები იქნებოდნენ ისინი, თუ უბრალო სოფლელი გლეხები. მაგრამ დიდებული მოხელე, რომელიც მეფის ყმა იყო, თავის მხრივ თავისი ხელქვეითებისათვის პატრონად ითვლებოდა; ხოლო ხელქვეითნი მის ყმებად იწოდებოდნენ, რომელნიც შეიძლება პატრონებად ყოფილიყვნენ და ყმები ჰყოლოდათ: აქ, მაშასადამე, ჩვენ თვალწინ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სამართლის მოვლენაა.

მაგრამ პატრონყმობა ამასთანავე სოციალური და კერძოუფლებრივი ცხოვრების მოვლენაც იყო. პატრონი კერძო მესაკუთრესა და მფლობელსაც, მფარველსაც ჰნიშნავდა; ხოლო ყმად იწოდებოდა ისიც, ვინც რომლისამე მებატონის, აზნაურის, თუ სხვა წოდების კაცის მიწაზე იჯდა ან ვითარცა ნასყიდი, უმამულოდ თუ მამულიანად, ან ვითარცა თავის საკუთარის მამულით და ნებაყოფლობით ამა თუ იმ ძლიერი მებატონის მფარველობის ქვეშე მყოფი"[1].

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, X—XIII სს. საქართველოს მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრება პატრონყმობაზე იყო დამყარებული, პატრონყმობა წარმოადგენდა საზოგადოების სახელმწიფოებრივი ცხოვრების დედაბოძს.

ამასთან ერთად, „პატრონყმობა მაშინდელ საქართველოს ცხოვრების როგორც სოციალურს, ისე ეკონომიურს მოვლენას ახასიათებდა და გამომხატველი იყო"[2].

აკად. ივ. ჯავახიშვილი იძლევა პატრონყმობის შინაარსის კონ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948 წ., გვ. 164.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 67.

კრეტულ განმარტებას და ამტკიცებს, რომ მას სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, ანუ სხვადასხვა ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

„პატრონ-ყმური დამოკიდებულება, წერს განსვენებული მეცნიერი, უფლებრივადაც და ქონებრივადაც სხვადასხვანაირი იყო, იმისდა მიხედვით, თუ რა ნიადაგზე იყო დამყარებული იგი. ყმები სახელითაც განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან, მაგ. ზოგი იყო „შეწირული", ზოგი „ნებიერი", ზოგი კიდევ „სიგლოსანი"... იმისდა გვარად, თუ რა საფუძველზე იყო დამყარებული ყმობა, ყმის მდგომარეობაც განსხვავდებოდა ხოლმე" [1].

აკად. ივ. ჯავახიშვილი იძლევა რა პატრონყმობის, როგორც მოვლენის ფორმულას, ანალიზს უკეთებს აუარებელ ფაქტიურ მასალას და ცდილობს ამ მოვლენის წარმოშობის წყარო დაძებნოს. ამ მხრივ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტერმინს „შეწყალება". იგი წერდა: „ქართულ „პატრონყმობის" სრულის ბუნებისა და დამახასიათებელ თვისებათა შეგნებისათვის სწორედ რომ „შეწყალებისა" და „შეწყალებულის" მნიშვნელობის გათვალისწინებაა საჭირო. „შეწყალება" პატრონყმობის აუცილებელი და არსებითი თვისება იყო" [2].

მკვლევარი არც ერთს საბუთს თუ წყაროს, კონკრეტულს თუ ზოგადს, პირდაპირს თუ არაპირდაპირს, არ სტოვებს ყურადღების გარეშე, ადგენს „შეწყალების" ფორმებს და დაასკვნის: „ნაწყალობევ" ქონებისა და ყმის იურიდიული ბუნება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სახელდობრ რა პირობით იყო ხოლმე იმ თავითვე ნაბოძები: „მამულობით" ანუ სამემკვიდრეოდ, თუ მხოლოდ პირადად, ან კიდევ მარტო „სახარჯოდ" [3]. საერთოდ კი „შეწყალებულობის არსებითს და მთავარს თვისებას ის საზოგადო და იმდროისათვის დამახასიათებელი დებულება შეადგენდა, რომ „მსახურებისა ნაცულად" უძრავი ქონების ბოძება იყო წესად მიღებული"[4]. „შეწყალებას" ორმაგი ბუნება გააჩნდა. მეფის ხელში ის იყო უდიდესი საშუალება სიმდიდრით აღზევებულ დიდგვარიანთა წინააღმდეგ. მეფე თავის დომენიდან ერთგული სამსახურისათვის წვრილ აზნაურებს ყმამამულს აძლევდა, ამით ის თავის მოწინააღმდეგე დიდ აზნაურებს უპირისპირებდა წვრილ აზნაურებს, მაგრამ ეს წესი საბოლოო ანგარიშში ისევ მეფის საწინააღმდეგო შედეგს იღებდა, რადგან ახლად აღზევებულნი ძველების მსგავსად მეფის მოწინააღმდეგე დასს ემატებოდნენ.

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 70.
[2] იქვე, გვ. 78.
[3] იქვე, გვ. 85.
[4] იქვე, გვ. 95.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: საქართველოს მეფეთა ხელში „შეწყალების“ წესი დიადი და ძლიერი იარაღი იყო მათ პოლიტიკის განსახორციელებლად. ვინც მათი „ერთგული მსახური“, მათ წადიერებათა და ბრძანებათა „მოსწრაფედ“ აღმასრულებელი გამოდგებოდა, უფრო „შეწყალებულიც“ იქმნებოდა. „შეწყალებით“ მეფე თავის ერთგულთ ზურგს უმაგრებდა, ეკონომიურად აღონიერებდა, „ყმათა“ რიცხვს უმრავლებდა. ამნაირად თანდათან დიდგვარიან მოხელეთა გვერდით მსახურეული „შეწყალებულთა“ ჯგუფი უნდა გაჩენილიყო, რომელიც მარტო დიდგვარიანობას და „მემამულე“ აზნაურობას იყო მოკლებული, მაგრამ რომელთა წევრნი ქონებრივად ძლიერნი იყვნენ და მრავალ ნაწყალობევ ციხე-ქალაქ-სოფლების „პატრონებად“ იყვნენ აღზევებულნი.

„შეწყალების“ წესი ამასთანავე ძირს უთხრიდა თვით იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა ეგოდენი ძალა შეალიეს. „შვწყალება“ მოხელეს, თუნდაც „უგვაროს“ და „უაზნოს“ ისევ თანდათანობით ქონებრივად ძლიერ და მრავალ „ყმათა“ პატრონად ხდიდა. მის ხელში დიდძალი სიმდიდრე გროვდებოდა. ამასთანავე ხელისუფლების წყალობით მას დიდი პოლიტიკური გავლენაც ჰქონდა. მის მემკვიდრეებს თავიანთი „უაზნობა“ ადვილად ავიწყდებოდათ და ისინიც მსხვილ მემამულეებად ხდებოდენ. ასეთ მდგომარეობაში მათაც ქედმაღლობა ბუნებრივად უჩნდებოდათ“ [1].

ქართული პატრონყმობა აკად. ივ. ჯავახიშვილმა დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ურთიერთობას მიამსგავსა. იგი წერდა: „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს წესწყობილებას, ე. წ. ფეოდალიზმს. როგორც საქართველოში პატრონყმობა, ისე დასავლეთს ევროპაშიც ფეოდალური წესწყობილება სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების საზოგადო მოვლენა იყო, საერთო თვისება ჰქონდა“ [2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 93.

[2] იქვე, გვ. 95.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი შეეცადა ეს ზოგადი დებულება კონკრეტული მაგალითებით გაემაგრებინა. მისი აზრით, „დასავლეთ ევროპაშიაც პატრონყმობა წარმოსდგა ორგვარის დამოკიდებულებისაგან, რომელთაგან ერთი პირადი თვისებისა იყო და „ვასალობად“ (Vassalite, die Vassalität) იწოდებოდა, რაც პირად, „ყმობას“ უდრის, მეორე კი ქონებრივ თვისებისა იყო და „ბენეფიციუმი“ (beneficium, le bénéfice, das Benefizialwesen) ერქვა, რაც მნიშვნელობითაცა და არსებითაც ქართულს „შეწყალებას“ უდრის“ [1].

აკად. ივ. ჯავახიშვილმა სხვა მსგავსებაც მონახა დასავლეთის ფეოდალიზმსა და ქართულ პატრონყმობას შორის, მაგრამ განსხვავებაც დაინახა. მისი აზრით, „დასავლეთ ევროპაში ფრანგი და გერმანელი პატრონი „ფეოდალი“, „სენიორი“ თავის საპატრონო ქვეყნის უზენაესი გამგე იყო, მის ხელთ იყო სახელმწიფო სამართლის უძვირფასესი განძი: მართლმსაჯულებისა და გადასახადების აკრეფის უფლება. მის ხელთ იყო როგორც სისხლისა, ისე სამოქალაქო სამართალი და სასამართლო. მისი განაჩენი უზენაესი და უქცეველი იყო... მაშასადამე, დასავლეთ ევროპის სენიორებს და მათ საპატრონოს ე. წ. „იმუნიტეტი“ ჰქონდათ“ [2].

ივ. ჯავახიშვილი არ უარყოფს, რომ საქართველოშიც იყო იმუნიტეტი — „შეუვალობა“, მაგრამ „იგი, — მისი მტკიცებით, — არასდროს სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენად არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა. ამასთანავე იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეხებოდა და სასამართლო შეუვალობა საქართველოში არას დროს არ ყოფილა“ [3].

აკად. ივ. ჯავახიშვილი უკვირდებოდა ტერმინების შინაარსობრივ და ფორმალურ მსგავსებას, მაგ. ქართული „პატრონი“ და რომაელების „patronus“ და სვამდა კითხვას ხომ არ არის ქართული პატრონყმობა რომაულ „პ ა ტ რ ო ც ი ნ ი უ მ ი ს ა გ ა ნ“ წარმოშობილი. და ამ კითხვას თვითონვე უპასუხებდა, რომ ქართული პატრონყმობა შეუძლებელია რომაულ „პ ა ტ რ ო ც ი ნ ი ა ს ა გ ა ნ“ იყოს წარმოშობილიო“ [4]. მას არც ბიზანტიურიდან მომდინარედ მიაჩნდა ეს მოვლენა.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 95.

[2] იქვე, გვ. 99.

[3] იქვე, გვ. 100.

[4] იქვე, გვ. 105.

ასეთია აკად. ივ. ჯავახიშვილის ძირითადი დებულებანი ქართული პატრონყმობის შესახებ. როგორც დავინახეთ, პატრონყმობა, განსვენებული მეცნიერის აზრით, გარკვეული ეპოქის (X — XIII სს.) საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია.

აკად. ს. ჯანაშიამ აკად. ივ. ჯავახიშვილის ამ დებულებაში ერთგვარი კორექტივი შეიტანა. მისი აზრით, „პატრონყმობა არ ჰფარავს მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობას, კერძოდ — ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასების ურთიერთობას, რომელიც დამყარებულია მწარმოებელი კლასის ზედმეტი შრომის მითვისებაზე მემამულეთა მიერ პირველთა საადგილმამულო დამოკიდებულების პირობებში უკანასკნელთაგან. ამ ხასიათის დამოკიდებულება, ე. ი. ფეოდალური ექსპლოატაცია, თვით შეადგენს აუცილებელ საძირკველს განვითარებული პატრონყმური ურთიერთობისათვის“ [1].

აკად. სიმონ ჯანაშია ფიქრობს, რომ „პატრონყმობა არის მემამულეთა შინაგანი ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმა“ [2].

ჩვენის აზრით, სწორია აკად. ს. ჯანაშიას შენიშვნა: მან სწორად განსაზღვრა, რომ ფეოდალური ურთიერთობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე პატრონყმობა, რომ პატრონყმობა მხოლოდ მემამულეთა შინაგანი ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმაა. სიმონ ჯანაშიას აზრით, პატრონყმობა არის ისეთი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე სამხედრო სამსახურის პირობით.

პატრონყმობა, ჩვენის აზრით, თუნდაც იმიტომაც არ ფარავს მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ თავისუფალი პირი ჯერ კიდევ არ გამქრალა, რომ საამისო ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. პატრონყმური წყობილება დამყარებული იყო აზნაურსა და „თავისუფალ ერს“, ე. წ. „წურილ ერს“ შორის არსებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ — უფლებრივ ურთიერთობაზე.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში პატრონყმური პერიოდის ქვეყნის სოციალური აღნაგობაც თავის გამოხატულებას პოულობს.

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, საკ. მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის 1939 წლის სექტემბრის სესიების თეზისები, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 11.

განხილულია აზნაური და ამ სოციალური ფენის წარმოშობისა და განვითარების კონკრეტული გზები; ასევე შესწავლილია საზოგადოება აღებულ პერიოდში და ქვეყნის შინასოციალური ბრძოლის ფორმები და სახეები.

მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, შუშანიკის წამებაში „აზნაური“ არა მარტო თავისუფალის მნიშვნელობით არის ნახმარი, არამედ წოდების აღმნიშვნელადაც [1]. სწავლობს რა აზნაურთა სხვადასხვა კატეგორიებს — „ნათესავით აზნაური“ ანუ „აზნაურნი მეშამულენი“, „აზნაური მოსაკარგავენი“ და სხვა, ივ. ჯავახიშვილი დასკვნის: „აზნაურობა საქართველოს სახელმწიფო წოდებრივი წყობილების საერთო მოვლენა იყო და აზნაურნი საქართველოს ყველა თემსა და კუთხეში იყვნენ“ [2].

რადგან აზნაურობა „წოდებრივი წყობილების საერთო მოვლენა იყო“, ამ წყობაზეც დიდი გავლენა უნდა მოეხდინა. ივ. ჯავახიშვილის აზრით: „უძველეს დროს, განსაკუთრებით მეფობის მოსპობის შემდგომ აზნაურთა წოდებას უდიდესი ძალა ჰქონდა საქართველოში: მაშინ თურმე „ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“... ქვეყნის შინაური საქმეების მართვა-გამგეობა მათ ხელში ყოფილა“ [3].

ამ საინტერესო მოვლენას აკად. ივ. ჯავახიშვილი ისტორიულ ასპექტში იხილავდა და წერდა: „ვინც საქართველოს სოციალურ ისტორიას ჩააკვირდება, ის მაინც ალბათ შეამჩნევს, რომ IX—X სს. და XI—XIII სს. შორის დიდი განსხვავებაა: IX—X ს-ში პოლიტიკურ ცხოვრებასა და ბრძოლაში აზნაურთა წოდების მაღალი წრე თითქმის მთლად იღებს მონაწილეობას, XI—XIII ს-ში — კი უკვე მხოლოდ დიდებულნი და წარჩინებულნი არიან ქვეყნის ბედის გადამწყვეტნი“ [4].

XIII საუკუნეში ეს პროცესი კიდევ უფრო შორს წავიდა. XIII საუკუნეში უკვე „აზნაურთა წოდების წიაღითგან დიდი ხელისუფლებით აღჭურვილი პირები გამოეყვნენ, რომელთა ერთ წრედ. ამ ხანაში **მთავრებად** სახელდებულნი, მსხვილი საქვეყნოდ გამრიგენი იქცნენ. მეორე მხრივ, აზნაურთაგან სხვა დიდი მოხელეობის მჭირავი ოჯახები და საგვარეულოებიც იმდენად აღზევდნენ, რომ მათ, აზ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. I, გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 34.

[3] იქვე, გვ. 34.

[4] იქვე, გვ. 34.

ნაურთაგან განსხვავებულად, წინანდებურად ისევ აზნაურები—კი არ ეწოდებოდათ, არამედ მხოლოდ დიდებულნი“ [1].

ასევე ისტორიულ განვითარებაში აქვს განხილული გლეხთა სხვადასხვა კატეგორიებიც: „ნებიერი“, „ნასყიდი“, „სიგლოსანი“, „ნაწყალობევრი“. განსვენებული მეცნიერი სწავლობდა გლეხთა ამ კატეგორიების წარმოშობის დროს და პირობებს, არკვევდა მათ უფლებებს და ამ საფუძველზე ადგენდა მათ შორის არსებულ განმასხვავებელ ნიშნებს. აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნა ასეთია: „როდესაც მებატონე უმამულო ყმას თავისს საკუთარს მიწას აძლევდა და ზედ დაასახლებდა, ამ შემთხვევაში პირად—პატრონყმობასა და მფარველობას გარდა ეკონომიური დამოკიდებულობაც იყო ხოლმე და ყმა უკვე ქონებრივადაც პატრონისაგან იყო დავალებული. ასეთის ყმის მდგომარეობა უეჭველია უფლებრივადაც უფრო შეზღუდვილი იქმნებოდა, ვიდრე ისეთ ყმებისა, რომელთაც თავიანთი საკუთარი მამული ჰქონდათ“ [2].

ფეოდალური ურთიერთობის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებელი საზოგადოების დაკნინება-დაძაბუნების გზით მიდიოდა და მათი სრული დაყმევებით დამთავრდა. ამ პროცესს განაპირობებდა როგორც ქვეყნის შინაგანი განვითარება, ისე გარეშე პოლიტიკური მოვლენებიც.

ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიაში XIII საუკუნე გარდატეხის საუკუნეა. ამ დროს, ძირითადად, მთავრდება ყმის გლეხად გადაქცევის პროცესი — ყმის მიმაგრება მიწაზე და მიწის მიმაგრება ყმაზე.

ეს არის პატრონყმობის შეცვლა ბატონყმობით, რა თქმა უნდა, ძირითადად.

ამ შინაგან განვითარების მოვლენებს, რა თქმა უნდა, აჩქარებდნენ და თავის მხრივ ხელს უწყობდნენ მონღოლები. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „მონღოლები პირად ყმობასა და სამოხელეო ხელისუფლებაზე დამყარებულ დამოკიდებულებას ყმობისაგან არ არჩევდნენ, ქართული სახელმწიფო სამართალით კი ეს ორი სოციალ-პოლიტიკური მოვლენა ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდებოდა. საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს, ასეთი გაიგივებისადმი

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, წიგნი III, 1941, გვ. 157.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 70.

შისწრაფება ქართველ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებსაც გაუჩნდათ თანდათან და მათაც მოინდომეს მათი ხელქვეშეთი მოსახლეობა თავიანთ ყმებივით ემსახურებინათ და გადასახად-ბეგარით დაეტვირთათ" [1].

ასეთია, ზოგად ხაზებში, აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულება ქართული ფეოდალიზმის შესახებ. როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ და ქართული ფეოდალიზმის კვლევის ისტორიაში კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი სრულიად ახალი, მაღალი საფეხური იყო. მიუხედავად ამისა, სოციალური საკითხების განზოგადოების დროს იგი მაინც ვერ ამაღლდა კვლევის მარქსისტულ მეთოდოლოგიამდე.

ქართული ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისა და განვითარების პრობლემას აკად. ს. ჯანაშიამ რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა.

1937 წელს აკად. ს. ჯანაშიამ გამოაქვეყნა მონოგრაფია „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე"; უფრო ადრე, 1935 წელს — „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში; ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში".

ამავე პრობლემას მიეძღვნა მისი სტატიები: „ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში" (1938 წ.), „ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის" (დაიბეჭდა მხოლოდ თეზისები 1939 წელს), „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ" (1947 წ.) და სხვა. გარდა ამ სპეციალური მონოგრაფიებისა და სტატიებისა, ქართული ფეოდალიზმის რაობის შესახებ განსვენებულმა მეცნიერმა არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებები მოგვცა სხვა ნაშრომებშიც: „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში და სტატიებში: „ეგრისის სამეფოს წარმოშობა" (1936 წ.), „არაბობა საქართველოში" (1936 წ.), „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე" (კონსპექტის პროექტი. 1936 წ.), „შეხედულება ფეოდალურ აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკ. საქართველოში" (1937 წ.), „ბარათაშვილის გენეალოგიისათვის" (1939 წ.), „აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან" (1940 წ.) და სხვ.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1941 წ., გვ. 160.

მდიდარი ისტორიული მასალის გამოყენება, მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, სწორი მეცნიერული ალღო საშუალებას აძლევდა ვანსვენებულ მეცნიერს ქართული ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის შესახებ ახალი სიტყვა ეთქვა.

ნაშრომში „საქართველო ადრინდელ ფეოდალიზაციის გზაზე", ს. ჯანაშიამ არა ერთი საინტერესო მეცნიერული დებულება მოგვცა საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ.

მისი დებულება ასეთია: „სტრაბონისეული „ერი", რომელიც ჯერ კიდევ შეიცავს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, თავის სოციალურ-ეკონომიური შემდგომი დიფერენციაციის გზაზეა შემდგარი. ქართლის ფეოდალიზაციის ხანგრძლივი პროცესი ამ გენეში, „ერში", მიმდინარეობს. „ერს" ეთიშება და ზევით მოიწევს მისი უმცირესობა—„ერისთავები", საერთოდ „თავები" და „თავადები" (ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით), „მთავრები", „წარჩინებულნი" და სხვ., რომელნიც ბოლოს და ბოლოს ერთიანდებიან „აზნაურთა" ახალ წოდებაში. ქვეით მიდის და უფლებებისაგან სულ უფრო და უფრო მეტად იძარცვება „ერის" უმრავლესობა, რომელიც ჰქმნის ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო სოციალურ მასას, წყაროებში „წვრილი ერის" სახელწოდებით აღნიშნულს (ზემოთ დასახელებული ჯგუფი მასთან შეპირისპირებით „მსხვილი ერია"). „წვრილი ერი" დიდხანს იბრძვის თავის ძველი უფლებების დასაცავად (მისი ნაშთები, „ჰეროვანთა", „ერისგანთა" და სხვ. სახელით, ქართ. ფეოდალიზმის კლასიკურ პერიოდშიაც გვხვდება), მაგრამ, საბოლოოდ, მარცხდება და ყალიბდება, როგორც ქართველ „ყმათა" ძირითადი ფეოდალური კლასი" [1].

აკად. ს. ჯანაშიამ, რომელმაც ვრცლად მიმოიხილა სტრაბონის ცნობები იბერიის შესახებ და ამ ცნობების ღრმა მეცნიერული ანალიზი მოგვცა, სამართლიანად დაასკვნა, რომ სტრაბონისდროინდელი იბერიის საზოგადოება, „ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება. აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს. თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუმებისა, რომელნიც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან და რომელთა პოლიტიკურ ბატონობის ფორმაც განსაზღვრული თეოკრატი-

[1] ს. ჯანაშია, შრომები, წიგნი I, გვ. 161.

ისხასიათსატარებს. მაგრამ წარმოების მონათ-
მფლობელურ წესს, რომელიც წარმოადგენდა
ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არ მიუღია,
როგორც ჩანს, საქართველოში ისეთი ფართო ხა-
სიათი, რომ ისმთელისაზოგადოებრივიცხოვრე-
ბის საძირკველი გამხდარიყო, როგორც ეს მოხ-
და, ვთქვათ, რომსა და საბერძნეთში. გვაროვ-
ულ საზოგადოების ერთმა ნაწილმა (მესამე გე-
ნე, „ერი") დიდხანს, ფეოდალური ურთიერთო-
ბის საბოლოო გაბატონებამდე შეინარჩუნა
ერთგვარი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და
ნაწილი თავის ძველ პოლიტიკურ უფლებები-
სა... ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში ისახე-
ბა ფეოდალური წესი წარმოებისა, რომელიც
თანდათან უპირისპირდება მონათმფლობე-
ლურს"[1].

ეს ვრცელი დასკვნითი მსჯელობა აკად. ს. ჯანაშიამ შემდეგ დე-
ბულებად ჩამოაყალიბა:

„ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და
ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირი-
თად ფენაში, სტრაბონის „მესამე გენეში", ქარ-
თულ „ერში". ამ „მესამე გენეს", „ერის", მთელი
შემდეგდროინდელი ისტორია იმაში მდგომა-
რეობს, რომ იგი სულ უფრო და უფრო მკვეთ-
რად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმ-
რავლესობა თანდათან კარგავს თავის ძველს
ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტი-
კურ უფლებებს და „მეოთხე გენეში", „გლეხობა-
ში" გადადის (თავის მდგომარეობის მიხედ-
ვით). უმცირესობა კი ჰქმნის იმ კლასს, რომელ-
საც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით"[2].

ასეთი ვრცელი ამონაწერები ჩვენ ისევ მოვიყვანეთ, რომ უფ-
რო ნათლად წარმოგვეჩინა სიმონ ჯანაშიას კონცეფცია ქართული
ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის შესახებ.

როგორც დავინახეთ, სიმონ ჯანაშია იმ აზრისაა, რომ ფეოდალუ-

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წიგნი I. გვ. 170.
[2] იქვე, გვ. 171.

რი ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება ქვეყნის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის პროდუქტია.

„ყოველგვარ კლასობრივ სტრუქტურას, — წერს სიმონ ჯანაშია, — საფუძვლად შრომის საზოგადოებრივი განაწილება უძევს. ახალ სოციალურ კლასების წარმოშობის ფესვებიც ამ სფეროში უნდა ვეძიოთ... ვითარდება მიწის მოქმედება მემინდვრეობის მიმართულებით. ვრცელდება, ჩანს უფრო ფართოდ, ვიდრე ეს იყო მანამდე, პურეული კულტურები, ზოგიერთ რაიონებისათვის განსაკუთრებულ გავრცელებას პოულობს მესაქონლეობა, სოფლის მეურნეობაში კიდევ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ეთამაშა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას“ [1].

ჯანაშიას აზრით, განვითარებული მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობის განვითარებას. რადგან მონის შრომა საამისოდ აღარ გამოდგებოდა, საჭირო იყო მონის შრომის შეცვლა ყმის შრომით.

ამრიგად, განსვენებულმა აკად. ს. ჯანაშიამ ქართული ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ მოგვცა თავისი შეხედულება და კონკრეტული მაგალითებით აჩვენა თუ რომელ სოციალურ ჯგუფში მიმდინარეობდა ეს პროცესი, ახსნა ამ პროცესის ეკონომიური მიზეზები და ამ პროცესის ჩასახვისა და დამთავრების ქრონოლოგიური ჩარჩოც მოხაზა.

მისი აზრით, I—II საუკუნეებში დაწყებული ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პროცესი IV—V საუკუნეებში ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის.

აკად. ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია ერთ საინტერესო ფაქტს. სახელდობრ, მან აღნიშნა, რომ მონათმფლობელურ ურთიერთობას ფეოდალურმა ურთიერთობამ სარწმუნეობის სფეროში სძლია და დაამარცხა იგი. „ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა, როგორც აზნაურთა რელიგია“ [2]. ახალ, ქრისტიანულ საეკლესიო მიწათმფლობელობას V საუკუნეში უკვე მთლიანად ეჭირა ძველი მიწათმფლობელური სატაძრო მემამულეთა ადგილი. რაც შეეხება საერთო მიწათმფლობელობის სფეროს, აქ ჯერ კიდევ (V ს.) ბრძოლები სწარმოებს.

„სამეურნეო ცხოვრების გართულება, კერძოდ, ისეთი მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარება, როგორიცაა ვენახი, ხეხილი და სხვა, სათანადო საბაზრო ურთიერთობის პირობებში,

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წიგნი I, გვ. 201.
[2] იქვე, გვ. 221.

იწვევს მისწრაფებას, ადრინდელფეოდალურ ძალთა მხრივ, განმტკიცებულ იქნას ფაქტიურად არსებული მიწისმფლობელობა მემკვიდრეობით მყარი მემამულეობის სახით. ამ მისწრაფებას წინ ეღობება სამეფო ხელისუფლება თავისი ნორმებითა და თავისი შეხედულებებით“ [1].

ასეთია ის ძირითადი დებულებები, რომელიც აკად. ს. ჯანაშიამ განავითარა თავის ნაშრომში „საქართველო ადრინდელ ფეოდალიზაციის გზაზე“.

თუ მონოგრაფიაში „საქართველო ადრინდელ ფეოდალიზაციის გზაზე“ ს. ჯანაშიამ საქართველოში ფეოდალიზმის ჩასახვისა და თანდათან განვითარების შესახებ მოგვცა თავისი შეხედულება, ნაშრომში — „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ მან ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვების შესახებ არა ერთი საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა.

ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვების საკითხი ს. ჯანაშიამ ქვეყნის საერთო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისა და მიმოხილვის ფონზე გაარკვია.

სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდა, მისი ინტენსიურობა თავისთავად აფართოებს მიწისადმი ინტერესს, „იწვევს მიწის, ძირითად საწარმოო საშუალების მიმართ ყურადღების კონცენტრაციას. ჩქარდება შესაბამისი პროცესები მიწისმფლობელობის სფეროში. მწვავდებიან სათანადო დამოკიდებულებანი. ხდება საადგილმამულო უფლებების გადაჯგუფება იმ მიმართულებით რომ მიწის ძირითადი ფონდები თავს იყრიან (მიისწრაფიან აქეთკენ) გაბატონებულ უმცირესობის ხელში.

ეს განვითარება მიმდინარეობს როგორც ეკონომიური, ისევე, და შესაძლებელია უფრო მეტადაც, უმეშვეო ძალადობის გამოყენების გზითაც“ [2].

ამ პერიოდში მიწისათვის ბრძოლა სოციალური და ეკონომიური ბრძოლის მთავარ საკითხად ჩანს და საერთო კლასობრივ ბრძოლაში გადადის. სოფლის ძირითადი მოსახლეობა—„წვრილი ერი“ ამ დროს ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის სამამულო უფლებებს თემური მიწათმფლობელობის უფლებით, ნაწილობრივ კერძო საკუთრების სახითაც, მაგრამ, რაც დრო გადის წარჩინებულთა მძლავრობა სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს და გადამწყვეტ ბრძოლაში იმარჯვებს კიდეც. „წვრილი ერი“ მარცხდება.

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წიგნი I, გვ. 288.
[2] იქვე, გვ. 98.

ს. ჯანაშიას აზრით, საადგილმამულო ბრძოლის პირველ ობიექტს ღებულ ხანაში სახნავ-სათესი მიწები შეადგენს [1].

როგორც ვხედავთ, „მესამე გენეს“ შემდგომმა დიფერენციაციამ ეს სოციალური ფენა ორ მოპირდაპირე მტრულ ბანაკად დაჰყო. ამ გენედან წარმოშობილმა უმცირესობამ „წარჩინებულებმა“, დაიმონა მისი განაყოფი უმრავლესობა—„წვრილი ერი“, წაართვა მას ძირითადი საწარმოო საშუალება — მიწა და ხელთ იგდო რა ეკონომიური მბრძანებლობის საშუალებანი, თანდათან დაიმონა ეკონომიურად, პოლიტიკურად, სოციალურად და იგი ყმად გადააქცია.

ეს პროცესი VI საუკუნეში არც დაწყებულა და არც დამთავრებულა, მაგრამ „წვრილი ერი“ ამ ხანისათვის, თუმცა არა მთლიანად, მაგრამ მაინც ბევრ რამეში „წარჩინებულზეა“ დამოკიდებული და მას „ბეგარას“ უხდის. „ბეგარა“,—ამბობს სიმონ ჯანაშია,— „თავისუფლად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, როგორც ერთი საშუალებათაგანი „წვრილი ერის“ ზედმეტი შრომის მითვისებისა ფეოდალების მიერ“ [2].

ბუნებრივია, რომ საკუთარი სამამულო უფლებების დასაცავად „წვრილი ერი“ არაფერს ზოგავს, იცავს მას როგორც შეუძლია და რითაც შეუძლია. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართლში ირანელები არიან გაბატონებულნი. ირანელები უმწეონი არიან ამ ბრძოლაში ფეოდალების მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. ამიტომ „იბადება საჭიროება შექმნილ იქნას ისეთი იძულების საკუთარი აპარატი, რომელიც გაძარცულთა წინააღმდეგობას დასთრგუნავს. ამ ნიადაგზე ყალიბდება სწორედ ქართლის ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია“ [3].

ასეთია ძირითადი დასკვნები, რომელიც მოცემულია სიმონ ჯანაშიას ნაშრომში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“.

1938 წელს ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ (№ 4—5), გამოქვეყნდა აკად. ს. ჯანაშიას საყურადღებო სტატია სათაურით: „ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში“.

ამ სტატიაში ს. ჯანაშია სწავლობს ბასილ ზარზმელის ცნობილ ნაშრომში — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, დაცულ ცნობებს. ძეგლში უაღრესად საინტერესო მასალაა მოცემული მიწაწყლის ფეოდალური მისაკუთრების ისტორიის შესახებ. სათანადო

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წიგნი I, გვ. 102.
[2] იქვე, გვ. 103.
[3] იქვე, გვ. 105.

კონკრეტული ცნობების ინტერპრეტაცია სიმონ ჯანაშიას საშუალებას აძლევდა დაესკვნა: „საზოგადოდ, ყველაზე ადრე კერძო საკუთრების საგნად სამოსახლო და ნაშენები (საბაღ-ბოსტნე) ადგილები იქცევა. შემდეგ ამას, ერთგვარი მოგვიანებით, სახნავ-სათესი მიწები მოსდევს. ბუნებრივია, რომ ფეოდალური საკუთრება თავდაპირველად სწორედ აქ ჩნდება. საძოვრებზე თემი შედარებით ძალიან დიდხანს ინარჩუნებს თავის უფლებებს მთლიანად ან ნაწილობრივ. ყველაზე ბოლოს და ყველაზე გვიან თემს ხელიდან ტყე ეცლება“ [1].

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში აღწერილი ამბების შესახებ ს. ჯანაშიამ დაასკვნა: მონასტრის ასაშენებლად ბერები ტყეს იღებენ ფეოდალ გიორგი ჩორჩანელისაგან. ტყეს ჩორჩანელი თავის „საბრძანებლის“ ნაწილად და თავის საკუთრებად თვლის. „მაგრამ სხვანაირად უყურებს ამ საქმეს ხალხი: აშკარაა, რომ იგი ფეოდალის ამ უფლებებს არ სცნობს, რომ იგი ჯერ კიდევ არ შერიგებია ტყის დაკარგვასაც, მასზე თავის უძველეს თემურ უფლების გაუქმებას... ცხადია, რომ ჩვენს თვალთა წინ ის ხანაა, როდესაც მიწისათვის ბრძოლის უკანასკნელი მოქმედება სრულდება, სათემო ადგილმამულის ფეოდალთა მიერ მიტაცების უკანასკნელი ეტაპი“ [2].

როგორც ვხედავთ, ავტორმა კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე მეტად საყურადღებო დასკვნები მოგვცა მიწის ფეოდალური მითვისების შესახებ საქართველოში.

1939 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესიაზე აკად. ს. ჯანაშია გამოვიდა მოხსენებით „ქართულ პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის“. სამწუხაროდ, ავტორმა ამ ფრიად საყურადღებო მოხსენების გამოქვეყნება ვერ მოასწრო, დაიბეჭდა მხოლოდ თეზისები.

ამ მოხსენებაში ავტორმა შემდეგი ძირითადი დებულება წამოაყენა: ქართული პატრონყმობა ქართული ფეოდალიზმის ერთი ძირითადი მოვლენათაგანი იყო. „პატრონყმობა, განხილული იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია თავის განვითარების კლასიკურ ხანაში (უპირატესად — X—XII სს.), არის (აღწერილობითი თვალსაზრისით) ისეთი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე, სამხედრო სამსახურის პირობით“ [3].

---

[1] ჟურნალი კომუნისტური აღზრდისათვის, 1938 წ., № 4—5, გვ. 32.
[2] იქვე, გვ. 39.
[3] თეზისები, გვ. 11.

ავტორის აზრით, „თავისი საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრისით პატრონყმობა არის მემამულეთა შინაგანი ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმა“ [1].

რადგან პატრონყმობა „მემამულეთა შინაგანი ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმაა“, ამდენად „პატრონყმობა არ ჰფარავს მთელს საზოგადოებრივ ურთიერთობას. კერძოდ, — ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასების ურთიერთობას, რომელიც დამყარებულია მწარმოებელი კლასის ზედმეტი შრომის მითვისებაზე მემამულეთა მიერ პირველთა საადგილმამულო დამოკიდებულების პირობებში უკანასკნელთაგან. ამ ხასიათის დამოკიდებულება, ე. ი. ფეოდალური ექსპლოატაცია, თვით შეადგენს აუცილებელ საძირკველს განვითარებული პატრონყმური ურთიერთობისათვის“ [2].

აკად. ს. ჯანაშიამ თავის სხვა შრომებშიაც არა ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა მოგვცა ქართული ფეოდალიზმის შესახებ, მაგრამ, რადგან სხვა შრომები ძირითადად საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესწავლას ისახავენ მიზნად და ფეოდალური ურთიერთობის საკითხებს მხოლოდ იმდენად ეხებიან, რამდენადაც ავტორს საკვლევი ობიექტის გარკვევისათვის სჭირდება, ამიტომ ჩვენ მათზე აღარ შეჩერდებით.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ბერძენიშვილი უმთავრესად საქართველოს გვიანფეოდალური ხანის სოციალური ურთიერთობის საკითხებზე მუშაობს. ამ პრობლემაზე მას შემდეგი ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული: „დასავლეთ საქართველოს კანონიკური წესწყობილება (აფხაზეთის კათოლიკოზი XIII — XV სს)“, „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით).“ „საქართველოს ისტორია XIII — XIV სს. (კონსპექტი)“, „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკ. საქართველოში“, „XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან,“ „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნის მიჯნაზე“, „მოკიდებულისათვის“, „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.)“ და სხვა.

თუ ს. ჯანაშია საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის სათავეებს სწავლობდა, ნ. ბერძენიშვილი უმთავრესად საქართველოს გვიანფეოდალური ხანის სოციალურ ურთიერთობას სწავლობს, არკვევს ფეოდალური ურთიერთობის ცალკეული ინსტი-

---

[1] თეზისები, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 6.

ტუტების ბუნებას და მთელ რიგ მეცნიერულ დებულებებს ავითარებს.

რადგან XIII—XVI საუკუნეების საქართველოს სოციალური ურთიერთობის საკითხები ნ. ბერძენიშვილს განხილული აქვს ნაშრომში—„Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.)", ამიტომ ჩვენც მისი შრომების მიმოხილვას ამ ნარკვევით დავიწყებთ.

ავტორის აზრით, „К XII веку Грузия достигает высокой ступени феодального развития. К этому времени крепостничество в стране становится господствующей формой социальных отношений"[1].

ეს პროცესი, მკვლევარის აზრით, მიმდინარეობდა „წვრილი ერის" შემდგომი სოციალური დამონების გზით და დამთავრდა XIV საუკუნეში, ფეოდალის მიწაზე მათი მიმაგრებით.

არკვევს რა ფეოდალური ბრძოლების ფორმებსა და ხასიათს, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ფეოდალთა ხანგრძლივი ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იმუნიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის, რომელიც ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა, საბოლოო ანგარიშში, ფეოდალთა გამარჯვებით დამთავრდა. ფეოდალთა ეს გამარჯვება დააჩქარა მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ, რომელმაც ერთის მხრივ ეკონომიურად დააუძლურა ქვეყანა და ამით ხელსაყრელი წინამძღვრები შექმნა ფეოდალურ პარტიკულარიზმისათვის და მეორე მხრივ, წააქეზა და ზურგი გაუმაგრა ფეოდალებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„При монгольском владичестве высшие грузинские феодалы („дидебулы", „мтавары") в борьбе с царской властью за иммунитет имеют еще больший успех. Монгольская власть тут оказалась на стороне феодалов. В целях ослабления сил грузинского царя монголы искусно использовали феодальную систему мтаваров"[2].

ამავე და სხვა ნაშრომებში, ნ. ბერძენიშვილმა არა ერთი საყურადღებო დასკვნა მოგვცა საქართველოს შინაპოლიტიკური და სოციალური მოვლენების, ქვეყნის ეკონომიური დაძაბუნების, ფეოდალური გადასახადებისა და მათი ბუნების, ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შედეგად წარმოშობილ სამეფო-სამთავროებისა და სხვათა შესახებ.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии, გვ. 1.

[2] იქვე, გვ. 11.

მანვე, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, არა ერთი დებულება წამოაყენა სათავადოს შესახებ და დაასაბუთა მისი არსებობა.

1940 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბეში (ტ. 5—6) გამოქვეყნდა ლ. მუსხელიშვილის გამოკვლევა სათაურით „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს.“ ლ. მუსხელიშვილის ნაშრომი სერიოზულ ნარკვევს წარმოადგენს, ფეოდალური ურთიერთობის ზოგი საკითხი მასში სწორად არის გადაწყვეტილი.

ლ. მუსხელიშვილის გამოკვლევა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების, უმთავრესად შემოსავლის დავთრების, ანალიზს ემყარება. საერო გლეხების შესახებ დასავლეთ საქართველოს საბუთები უმნიშვნელო რაოდენობით არის შემონახული. ამიტომ, მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია, რომ საეკლესიო გლეხთა სოციალ-ეკონომიური კატეგორიები საერო გლეხების მიმართაც გამოიყენოს და მათ შორის მსგავსება დაინახოს. იგი წერს: „მე იძულებული ვიყავი მხოლოდ საეკლესიო გლეხების ვითარება განმეხილა. უნდა კი აღინიშნოს, რომ როგორც ლამბერტის მონათხრობი, ისე ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც საეკლესიო საბუთებშია გაბნეული, საფიქრებლად ხდის, რომ საერისკაცო გლეხობა ისეთსავე, ან თითქმის ისეთსავე კატეგორიებად იყო დაყოფილი, როგორც საეკლესიო“ [1].

მუსხელიშვილმა ყურადღება მიაქცია ტერმინ „გლეხს“ და სამართლიანად დაასკვნა, რომ „გლეხი“ საკმაოდ რთულ ცნებას წარმოადგენს“ [2], რომ „გლეხი“ „დასავლეთ საქართველოში, ვიდრე XIX ს-ის შუახანებამდე, არ ნიშნავდა ერთ სოციალურ-ეკონომიური ფენის კაცს, გლეხობა არ წარმოადგენდა ერთ მთლიანს წოდებრივ ფენას. გლეხი რამდენიმე კატეგორიისა იყო და ამ კატეგორიათა შორის დიდი სოციალურ-ეკონომიური სხვაობა არსებობდა“ [3]. სამწუხაროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გლეხის ისტორია ჯერ სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ არის. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ამ საკითხზე მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა. რამდენადაც ვიცით, ნ. ბერძენიშვილს აქვს ამ თემაზე დაწერილი ვრცელი გამოკვლევა. მაგრამ ის ჯერ არ გამოქვეყნებულა; ეს მდგომარეობა ლ. მუსხელიშვილის გამოკვლევას კიდევ უფრო მატებს ფასს.

---

[1] საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 1940 წ., № 5—6, გვ. 268.

[2] იქვე. გვ. 268.

[3] იქვე. გვ. 269.

დასავლეთ საქართველოს საბუთებზე დაკვირვების შედეგად ლ. მუსხელიშვილს ასეთი ზოგადი დასკვნა მიუღია: „ტერმინს „გლეხი“ კიდევ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონია: ფართო მნიშვნელობით ის აღნიშნავს, აზნაურებს გარდა, მთელს მიწათმომქმედს მოსახლეობას, როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენისას, ხოლო უფრო ვიწროდ, ისე, როგორც ის ნახმარია „მცნება სარჯულოში“, ეს ტერმინი აღნიშნავს მხოლოდ დაბალი ფენის მიწის მუშას“ [1].

გლეხის საბატონო ვალდებულებათა მრავალსახეობის საფუძვლიანმა შესწავლამ ლ. მუსხელიშვილს საშუალება მისცა გლეხთა სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები დაედგინა. მისი სქემით XVII საუკუნისათვის დასავლეთ საქართველოში გლეხთა შემდეგი სახის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები არსებობდა:

I. **გ ლ ე ხ ი (მ ო ი ნ ა ლ ე)**: 1. მეტვირთე, 2. მომუშავე, 3. მონადე.

II. **მ ს ა ხ უ რ ი**: ა) **დ ა ბ ე გ რ ი ლ ი**: 1. მეტვირთე, 2. მომუშავე, 3. მონადე, 4. მოსამსახურე, 5. მოლაშქრე.

ბ) **დ ა უ ბ ე გ რ ა ვ ი**: 1. მოსამსახურე, 2. მოლაშქრე [2]

ამრიგად, განსვენებულ მეცნიერს გლეხთა სოციალურ-ეკონომიური კატეგორიების დადგენისათვის მხოლოდ ერთი პრინციპი — გლეხის სამსახურეობრივი საბეგარო პრინციპი აუღია. რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთადერთი პრინციპი გლეხთა კატეგორიების დადგენისათვის. ჩვენ ამაზე საგანგებოდ შევჩერდებით, როცა გლეხთა საკითხს განვიხილავთ.

ქართული ფეოდალიზმის ისტორიის შესწავლის საქმეში ყურადღებას იქცევს პროფ. გ. ნათაძის ნაშრომი — „Крестьяне сахасо“, რომელიც ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მასალებში (1937 წ. ნაკვ. 5) გამოქვეყნდა. მან პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო გლეხები საქართველოში მრავლდებიან. იგი შეეცადა აგრეთვე ეს მოვლენა სათანადოდ შეეფასებინა.

საქართველოს სოციალური ურთიერთობის, ფეოდალური წყობის ისტორიის საკითხებზე არა ერთი ნაშრომი აქვს დაბეჭდილი პროფ. ს. კაკაბაძეს.

ჯერ კიდევ 1912 წელს გამოქვეყნდა კაკაბაძის წერილი „Черты

---

[1] საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 1941 წ. № 5—6, გვ. 271.

[2] იქვე, გვ. 312.

феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков".

ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ს. კაკაბაძეს სწორად არ ესმის ისტორიის შინაგანი განვითარების პროცესები, რომ მისთვის საქართველოს ისტორია მხოლოდ „დამპყრობელთა" და „დამმორჩილებელთა" ისტორიაა.

ს. კაკაბაძე წერს: „нашествия Тамерлана можно разсматривать как грань, разделяющую конец средневековья грузинской истории на две резко очерченныя части—период полного расцвета культурных сил—XIV стол.—и эпоху постепенного разложения, все усиливающегося декаданса—XV столетие".

ამ წერილში ს. კაკაბაძეს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია მოცემული აქვს არა საწარმოო ძალების განვითარების ნიადაგზე, არამედ დამპყრობთა შემოსევების მიხედვით.

ამა თუ იმ მოვლენის მიზეზს კაკაბაძე ეძებს არა ცხოვრების მატერიალურ პირობებში, არა წარმოების წესში, არა წარმოების განვითარებაში, არა კლასთა ბრძოლაში, არამედ კულტურის ისტორიაში.

იხილავს რა საქართველოს დაშლას სამეფოებად, კაკაბაძე წერს: „... пока кипела культурная жизнь грузинского народа, пока над сознанием народным витал гений величайших представителей мысли и пера, т. е. в золотую эпоху грузинской литературы и духовно-культурной жизни, государственный центр был еще силен" [2].

აი დაიწყო თემურლენგის შემოსევები და ყველაფერი ყირამალა ღადგა.

1924 წელს საისტორიო მოამბის პირველ წიგნში ს. კაკაბაძემ დაბეჭდა გამოკვლევა — „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები". ამ წერილში ყველაფერი მცდარია: მეთოდი, ამოსავალი ვითარება, ფაქტიური მასალის დალაგება-განხილვა, დასკვნები. მისი ავტორი იმდენად უძლურია სოციალური საკითხების კვლევაში, რომ შესაძლებლად მიიჩნევს ესა თუ ის ფორმაცია ერთმა ხალხმა შეიძლება მეორე ხალხისაგან ისესხოს და ამიტომ დასაშვებად თვლის დაასკვნას, ქართველებმა გვაროვნული წყობილება და მონათმფლობელობა სპარსელებისაგან გადმოიღესო.

---

[1] С. Какабадзе, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средных веков, стр. 7.

[2] იქვე, გვ. 10.

დასკვნით ნაწილში კაკაბაძე წერს: „ამგვარად სახელმწიფოებრივი წყობილების ცალკე ფაქტებშიდაც, ისე როგორც საგარო ცხოვრების საერთო მომართვასა და სარწმუნოებრივ ცხოვრებაში (ცეცხლთაყვანისმცემლობა), ძველი ქართლი თავისი განვითარების მთავარი ხაზებით დამოკიდებული იყო სპარსეთისაგან“ (გვ. 114).

სხვა ადგილას კაკაბაძე კიდევ იმეორებს ამ ანტიმეცნიერულ აზრს და წერს: „სპარსული გავლენა ამგვარად ქართულ სახელმწიფოებრივობის და საზოგადოებრივ ცხოვრების ჩამოყალიბებაში მართლაც თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო“ (გვ. 118).

1941 წელს სარგის კაკაბაძემ გამოაქვეყნა „Краткий обзор истории Грузии“, ამ ნაშრომში აქვს მოცემული თავისი უკანასკნელი შეხედულებანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე. აქ აღვნიშნავთ მის მხოლოდ უხეშ შეცდომებს.

ეხება რა დავით აღმაშენებლის რეფორმებს, კაკაბაძე აღნიშნავს, რომ დავითმა მთელი ეს რეფორმები ჩაატარა თურქ-სელჩუკების სახელმწიფოში არსებული წესების მიხედვით.

მას ნათქვამი აქვს: „Широкое внедрение в первые же годы правления Давида военной системы в виде бенефициев (по грузински „сакаргави“) по образцу тюрко-сельджукского государства, где поборником и проводником ее был знаменитый визирь Низамуль-Мульк, содействовало реорганизации пошатнувшегося сельского хозяйства на базе феодального права владетелей и военных пленников („мосакаргаве“) и вместе с тем содействовало созданию квалифицированного феодального войска“. (стр. 23).

როგორც ცნობილია, კ. მარქსის დახასიათებით, მონღოლთა ბატონობა „не только давило, оно оскорбляло и иссушало самую душу народа ставшего его жертвой“.

ს. კაკაბაძე კი ამ დებულების წინააღმდეგ წერს: „—Эпоха монгольского владычества... не только для Грузии, но и для большинства стран Передней Азии знаменует «новую стадию в их экономическом и социальном развитии. Это есть продолжение того же расцвета феодального строя, но уже с некоторой депрессией и с новой перегруппировкой основных факторов народно-хозяйственной жизни. Эту эпоху характеризует, при преобладающем положении земледелия, некоторое усиление удельного веса скотоводческих районов, дальнейшее развитие общественного разделения труда, сосредоточение ремесел в горо-

дах,—вообще усиление значения городов, международного товарооборота и роли международного торгового капитала" (стр. 30).

კაკაბაძე ამ ნაშრომში კიდევ უფრო შორს წავიდა, იგი აცხადებს: „Господствовавшая в Грузии феодальная система, начиная с 15—16 века, в значительной мере приспособлялась к тем нормам, которые характеризовали феодальный строй в странах с иранской культурой. Феодальные владения двоякого рода в Персии—тиул, т. е. наследственный военный лен, требовавший, впрочем, при каждой перемене владельца нового подтверждения своих прав со стороны сюзерена, местного ли в лице хана или центрального в лице шаха,—и мюлькадарство, т. е. наследственное право участия в даходах (обычно в количестве 1/10-ой доли) по управленческим в деревнях и районах функциям наблюдаются и в Грузии в виде „самамуло" (фамильнородовых, т. е. передаваемых по назначению от царя в одном и том же роде, но не всегда после смерти отца его сыну) и „сахело" или „самоуравo" (должностных, но наследственных держаний, передававшихся от отца к сыну" (стр. 40—41).

ამრიგად, ს. კაკაბაძის მიხედვით, ქართველ ხალხს არ ჰქონია თავის შინაგან განვითარებაზე აღმოცენებული სოციალური წყობა, რომ აქ ყველაფერი ირანულ-სპარსული ყოფილა.

ასეთივე აზრი აქვს გატარებული კაკაბაძეს თავის სხვა შრომებშიც, რომელზედაც ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ. შევჩერდებით მხოლოდ მის ერთ ახალ „თეორიაზე", რომელიც მან 1953 წლის 13 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე განავითარა. თავის სიტყვაში, პროფ. ს. კაკაბაძემ უარყო რა მოსაზრება სათავადოების სისტემის არსებობის შესახებ XV—XVIII სს. საქართველოში, განაკითარა „თეორია" XVIII ს. ქართლ-კახეთში „აბსოლუტური მონარქიის" არსებობის შესახებ, რომელიც სავსებით შეუთავსებელია სათავადოების სისტემასთან. რამდენადაც ეს საკითხი უშუალოდ ეხება ჩვენი კვლევის საგანს, იძულებული ვართ ვრცლად შევჩერდეთ მასზე. იგი აღნიშნავდა: „თუ ჩვენ მსოფლიოს ისტორიის ფაქტებს გავუწევთ ანგარიშს და მოვიშველიებთ თანამედროვე მეთოდოლოგიას, მაშინ მივიღებთ შემდეგ სქემას: ღაახლოებით მე-14 და ზოგან მე-16 საუკუნიდან იწყება უკანასკნელი სტადია ფეოდალური ფორმაციებისა, ეს არის აბსოლუტური ფეოდალური მონარქიის სტადია.

ასე იყო დასავლეთ ევროპაში, ასე იყო რუსეთშიც; ხოლო დავაა იმის შესახებ, რომ ივანე მესამიდან დაიწყო ეს, თუ ივანე მეოთხიდან.

უნდა ითქვას, რომ ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ამ ქვეყნებშიც, როგორც საქართველოში, ცდილობდნენ თავის სუვერენიტეტის გამეფებას (კაკაბაძის სტილი დაცულია, დ. გ.). ცნობილია ფაქტი, რომ სპარსეთში იწყება აბსოლუტური მონარქიის სერიოზული ცდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო ოსმალეთშიც. ნუ თუ შესაძლებელია, რომ საქართველო ყოფილიყო გამონაკლისი და მხოლოდ საქართველოში ყოფილიყო სენიორიები". კაკაბაძე კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „საქართველოში აბსოლუტური მონარქია დამყარდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, შეიქმნა თვითმპყრობელური მმართველობა—ქართლ-კახეთში მეფეს ჰქონდა შეუზღუდველი უფლებები" [1]. ყოველივე ამას კაკაბაძე „თანამედროვე მეთოდოლოგიის" მომარჯვების შედეგად მიღებულ დასკვნებს უწოდებს. ჩანს, იგი კარგად ვერ ერკვევა თვით აბსოლუტიზმის ბუნებაში. ამით აიხსნება რომ იგი რუსეთში აბსოლუტიზმის არსებობას XIV საუკუნეში ხედავს, და, რაც უფრო უცნაურია, თურქეთსა და სპარსეთშიც მისი აზრით აბსოლუტიზმი ყოფილა. აბსოლუტიზმის კლასიკური განსაზღვრა მოგვცა ლენინმა. „თვითმპყრობელობა (აბსოლუტიზმი, შეუზღუდავი მონარქია) არის მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როცა უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად და განუყოფლად (შეუზღუდავად) ეკუთვნის მეფეს. მეფე სცემს კანონებს, ნიშნავს მოხელეებს, ჰკრეფს და ხარჯავს ხალხის ფულებს ისე, რომ ხალხი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობის კონტროლში. ამიტომ თვითმპყრობელობა არის მოხელეთა და პოლიციის თვითხელმწიფება და ხალხის უუფლებობა. ამ უუფლებობით იტანჯება მთელი ხალხი, მაგრამ შეძლებული კლასები (განსაკუთრებით მდიდარი მემამულეები და კაპიტალისტები) ძლიერ გავლენას ახდენენ მოხელეებზე" [2].

აბსოლუტიზმი გარკვეულ პერიოდში წარმოიშვა, იგი საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პროდუქტია.

„Современная историография доказала, что абсолютная монархия возникает в переходные эпохи, когда старые феодальные сословия разлагаются, а средневековое сословие горожан

---

[1] იხ. სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერები.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 318—319.

складывается в современный класс буржуазии, и ни одна из спорящих сторон не взяла еще перевеса над другой"[1].

მაშასადამე, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში აბსოლუტიზმის წარმოშობას ვიხილავთ უნდა ამოვდიოდეთ მარქსიზმის კლასიკოსების ზემომოყვანილ დებულებებიდან.

ამ თვალსაზრისით რომ განვიხილოთ თუნდაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო, დავინახავთ თუ არა იქ აბსოლუტიზმის რაიმე ნიშანს? რა თქმა უნდა, არა.

რომელ ბურჟუაზიაზე შეგვიძლია ჩვენ ამ დროს ვისაუბროთ? ცხადია არავითარი ბურჟუაზია, რომელსაც შეეძლო ტონი მიეცა პოლიტიკური ცხოვრებისათვის, იმ დროის საქართველოში არ იყო. როგორც ამბ. სტალინი გვასწავლის იმდროინდელი საქართველო ეკონომიურად უაღრესად დაქუცმაცებული იყო. დაქუცმაცებულ ქვეყანაში კი არავითარი აბსოლუტიზმი არ არის. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, განა XVIII საუკ. ქართველი მეფეები შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობენ, რომლებიც კანონებს იღებენ ვისიმე შეუკითხავად? ამ მხრივ ორ მაგალითს დავასახელებ. ვახტანგ VI (XVIII საუკ. პირველი ათეული) კანონთა კრებულში ნათქვამია: „აწ ვიწყოთ განაჩენისა ამის ჩვენ მიერ აღწერილისათჳს, რომელნი იხილავთ და ისმენთ ნურავინ ჰგონებთ, რამეთუ თჳთ თავით თჳსით რასამე ვჰყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმებითა მღუდელთ მთავრისა და დიდისა დედაქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა ღუთის აღმართებულისა... ძმისა ჩვენისა... კათალიკოზის დომმენტისითა, ეგრეთვე თანამდგომითა არაგვის ერისთვის შვილის, მთავარეპისკოპოსის გრიგოლისა და სხვათა მიტროპოლიტ-ეფისკოპოს-წინამძღუართ და საღთოთაგანთათა დამოწმებითა და თანაზრახვითა მუხრანის ბატონის ერეკლეთი და სახლისა ჩვენისა ხუცისა პაპუათი, არაგვის ერისთავის გიორგითა, ქსნის ერისთავის დავითისითა, ორბელისძის სარდლის ლუარსაბითა, ამირახორის ავთანდილით, მდივანბეგის ერასტითა, სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა და კითხვითა ჭკუათა-მყოფელთა განვაჩინეთო"[2].

ერეკლე მეფის მიერ 1774 წელს მორიგე ჯარის შესახებ გამოცემულ განჩინებაში ვკითხულობთ: „... ეს მორიგეობის ლაშქრობის განაჩენი დაიწერა ჩვენ მეორე ერეკლე მეფისაგან, თანადასწრებითა

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, сочинения, Том V, стр. 212.

[2] ჩუბინიშვილი, ქრესტომათია. ნაწ. I, გვ. 395.

ქისა ჩვენისა უფლისწულის გიორგისათა და ყოვლად სამღვდელოთა საქართველოთა ეპისკოპოსთა და ბრწყინვალეთა თავადთა და ეგრეთვე ყოველთა კარისა ჩვენისა მოკელთაგან და შემდგომთა დარბაზის ერთა და ყოელთა სამღუდელოთა დასთაგან და ეგრეთვე ყოველთა ჩინებულთაგან" [1]. როგორც ვხედავთ, ვახტანგ VI, ასევე ერეკლე II-ც იძულებულნი იყვნენ ესა თუ ის კანონი ან განჩინება დიდგვარიანთა თანხმობით, მათი „თანადგომითა და მოწმობით" შეექმნათ. ცხადია, ასეთ მეფეებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ აბსოლუტური ხელისუფლება. რაც შეეხება სპარსეთისა და ოსმალეთის ნახევრად ველურ ფეოდალურ სახელმწიფოებს, მათი აბსოლუტურ მონარქიად მიჩნევა, ცხადია, საეჭვოთ გაუმართლებელია. ყოველივე ეს ს. კაკაბაძის შემთხვევითი შეცდომა კი არ არის, არამედ მისი შეხედულებათა მუდმივი თანამგზავრი და დამახასიათებელი თვისებაა.

აბსოლუტური მონარქიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სახელმწიფოს უაღრესად ცენტრალიზირება ბიუროკრატიული აპარატით. ერეკლეს მეფობის უკანასკნელ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფო, პირიქით, დეცენტრალიზებული გახდა. XVIII საუკუნის 90-იან წლებში მთელი სამეფოს სახასო მამული ერეკლემ თავის შვილებს დაურიგა საუფლისწულოებად. ეს საუფლისწულოები სათავადოებად იქცა. როცა 1795 წელს აღამაჰმადხანი საქართველოს შემოესია, ქართლ-კახეთის სამეფო აპარატი ისე მოშლილი იყო, რომ 40.000 კაცის ნაცვლად ერეკლემ ოთხი ათასი კაცი ძლივს შეკრიბა. უფლისწულები თავიანთ საუფლისწულოებში ისხდნენ და მეფის დაძახილზე არ მოვიდნენ. ასევე იქცეოდნენ ცალკეული თავადებიც. ასე მაგ., ანდრონიკაშვილმა 200 კაცი (თავის ყმები) ღამით ბრძოლის ველიდან გააპარა. ასეთია ის ფაქტები, რომლებიც ს. კაკაბაძის საეჭვოთ დაუსაბუთებელ მოსაზრებათა წინააღმდეგ ლაპარაკობენ.

როგორც ვხედავთ, ს. კაკაბაძე არა მარტო შორს არის მარქსიზმიდან, არამედ იგი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიამდეც კი ვერ ამაღლდა. მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარების ინტერესები მოითხოვდა ე. წ. პოკროვსკის ანტიმეცნიერული „სკოლის" განადგურებას. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ საბჭოთა ისტორიკოსი აქტიურად ჩაებმებოდა პოკროვსკის შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ს. კაკაბაძე პირიქით, დღესაც თავის თავს პოკროვსკის მოწაფედ თვლის და მას მარქსისტად აცხადებს. კაკაბაძის უკანასკნელი ნაშრომების სოციოლოგიური საფუძველი სხვა არაფერია თუ არა პოკროვსკის შეხედულებათა გადმონერგვა. ამი-

---

[1] მუზეუმის მოამბე, ტ. 14, 1947 წ., გვ. 281.

ტომ ისტორიულ მეცნიერებათა ინტერესები მოითხოვს კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ კაკაბაძის მთელი მეცნიერული მემკვიდრეობა.

1950 წელს პროფ. შ. ჩხეტიამ გამოსცა დოკუმენტების კრებული — „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში". ამ კრებულს დაურთო გამოკვლევა. როგორც თვით ავტორი წერს, „გამოკვლევაში განხილულია სამი მთავარი საკითხი: 1) ბატონყმური ურთიერთობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე, 2) ბატონყმური ურთიერთობა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ საგლეხო რეფორმამდე და 3) საგლეხო რეფორმა და ბრძოლა მის გარშემო საქართველოში" [1].

ავტორის განცხადებით, „პირველი საკითხი გაშუქებულია ვახტანგის სამართლისა და „ჰსჯულთა" კრებულის მიხედვით და ამის საფუძველზე მოცემულია ზოგადი სურათი იმ მდგომარეობისა, რომელიც არსებობდა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის დარგში XIX საუკუნის დასაწყისისათვის" [2].

თუმცა ვახტანგის სამართალსა და „ჰსჯულთა" კრებულს ქართული სოციალური ურთიერთობის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მარტო ვახტანგის კანონთა კრებულის საფუძველზე საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ზოგადი სურათი დავადგინოთ, ეს მდგომარეობა, ჩანს, მკვლევარსაც უგრძვნია და საამისო განცხადებაც გაუკეთებია: „ამ საკითხების (ბატონყმური ურთიერთობის, დ. გ.) ვრცლად განხილვა განსაკუთრებულ კვლევა-ძიებას მოითხოვს და სპეციალურ მიზნის დასახვას (სახელდობრ, ბატონყმობის, როგორც ასეთის, მთლიანად შესწავლას) გულისხმობს. ჩვენ კი ამჟამად ასეთი მიზანი დასახული არა გვაქვს: ეს საკითხები ჩვენ გვაინტერესებს ამჟამად მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი გაშუქება გაადვილებს საგლეხო რეფორმის გაგებას" [3].

მართლაც, ავტორი თითქმის არაფერს ახალს არ იძლევა მისთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობის დროს. იგი კმაყოფილდება ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებათა ზოგადი მიმოხილვით; იგი მხოლოდ ამ მოსაზრებებს, განსაკუთრებით გლეხთა სოციალური კატეგორიების შესახებ, ალაგებს ისე, როგორც მას სჭირდება და უთითებს კიდევაც სათანადო წყაროს, რომლიდანაც მან ისარგებლა.

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, დასახ. შრომა, გვ. 08—09.

[2] იქვე, გვ. 09.

[3] იქვე გვ. VII.

როცა გამონაკლისს უშვებს და სურს თავისი მოსაზრება წარმოგვიდგინოს, ერთგვარ გაუფრთხილებლობას იჩენს, და ზოგჯერ შეცდომასაც უშვებს. მაგ. პროფ. შალვა ჩხეტია წერს: „ბატონყმური დამოკიდებულება საქართველოში დამყარებული იყო უმთავრესად ადათსა და ჩვეულებებზე. საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული და განმტკიცებული ადათ-ჩვეულებები განსაზღვრავდნენ ჩვენში ბატონყმურ ურთიერთობის ნორმებს, ისევე, როგორც სხვა სამოქალაქო ურთიერთობის ნორმებსაც, და ეს ნორმები სავალდებულოდ ითვლებოდა მებატონისა და ყმისათვისაც“[1].

ბატონყმობა ადათ-ჩვევებზე კი არ იყო დამყარებული, არამედ ცხოვრების იმ მატერიალურ პირობებზე, საწარმოო ძალებსა და წარმოებითი ურთიერთობაზე, რომლის განვითარების განსაზღვრული საფეხურის პროდუქტი თვით ეს ბატონყმობა იყო. როგორც მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან: „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ“[2].

აქედან ის გამომდინარეობს, რომ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული და განმტკიცებული „ადათ-ჩვეულებები“ კი არ განსაზღვრავდნენ ჩვენში „ბატონყმურ ურთიერთობის ნორმებს“, არამედ. პირიქით, თვით ეს ადათ-ჩვევები და მისი ნორმები არის ბატონყმური ურთიერთობის პროდუქტი. ყმისა და ბატონის ურთიერთობის საფუძველი იყო არა ადათ-ჩვევები, არამედ მატერიალური მხარე — მიწა. რა თქმა უნდა, ადათ-ჩვევები ერთგვარ როლს თამაშობდნენ ყმისა და ბატონის ურთიერთობაში, მაგრამ ისინი არ განსაზღვრავდნენ მათი ურთიერთობის საფუძველს.

როგორც აღნიშნული იყო, პროფ. შალვა ჩხეტიას ეს ნარკვევი (მისი პირველი ნაწილი) უფრო მიმოხილვითი ხასიათისაა და ძირითადში არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერული კვლევითი მუშაობის ნაყოფს, რაც შეეხება მეორე და მესამე საკითხს, ის ჩვენი მიზნის ფარგლებს გარეთ დგას და ამიტომ მათ შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ქართული ფეოდალური ურთიერთობის ცალკეულ საკითხებზე მუშაობენ და სერიოზული გამოკვლევებიც აქვთ: ვ. დონდუას, ა. კიკვიძეს, კ. გრიგოლიას, ვ. გაბაშვილს, შ. მესხიას, მ. დუმბაძეს, ზ. ანჩაბაძეს, ბ. ლომინაძეს, ო. სოსელიას, გ. ჯამბურიას, გ. ქიქოძეს და სხვ.

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, დასახ. შრომა, გვ. XI—XII.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. 1. 1935 წ., გვ. 317.

როგორც ლიტერატურის მიმოხილვიდან დავინახეთ, ფეოდალიზმის ისტორიის მრავალი პრობლემა მკვლევართა ყურადღების ცენტრში ყოფილა და ზოგი მათგანი სათანადოდაც დაუმუშავებიათ. ჩემს მიერ შესწავლილი იქნა ქსნისა და არაგვის საერისთავოები, საამილახორო, სამუხრანბატონო, საციციანო და სხვ., გ. ჯამბურიამ მონოგრაფიულად შეისწავლა სომხით-საბარათიანოს სათავადოები, ხოლო გ. ქიქოძემ საამილახორო.

როგორც ვხედავთ განხილული ლიტერატურა გარდა ნ. ბერძენიშვილის შრომებისა, უშუალო კავშირში არ არის ჩვენი კვლევის საგანთან. საამისო ლიტერატურა მხოლოდ ახლა იქმნება. სათავადოების შესწავლა ახალი საფეხურია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სათავადოების მონოგრაფიული შესწავლის ძირითად წყაროდ აღებული მაქვს თავადთა საგვარეულო საბუთები. ამ საბუთების უდიდესი უმრავლესობა გამოუქვეყნებელია და ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქ. ცენტრ. არქივში, ხოლო ნაწილი საბუთებისა გამოქვეყნებული აქვთ დ. ფურცელაძეს, ი. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, ს. კაკაბაძეს, შ. მესხიას და სხვ.

საბუთებს გარდა, სათავადოების შესახებ უხვ მასალებს შეიცავენ ნარატიული წყაროები.

სათავადოებზე მომუშავე სპეციალისტი უხვ მასალებს აგროვებს ადგილზე მოგზაურობის დროს.

ასეთი მუშაობის შედეგს წარმოადგენს წინამდებარე მონოგრაფია.

თავი პირველი

ქართლის სათავადოების წარმოქმნის საკითხისათვის

I. ამოსავალი ვითარება

სანამ უშუალოდ სათავადოების წარმოქმნის საკითხს შეეხებოდეთ, მანამ საჭიროა ზოგადად მიმოვიხილოთ ქ ა რ თ უ ლ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა. ეს აუცილებელია, რადგან თვით ჩვენთვის საინტერესო საკითხი — სათავადოების წარმოქმნა—საბოლოო ანგარიშში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგია.

წარმოების ფეოდალურმა წესმა ბრძოლის მკაცრი და ხანგრძლივი გზა განვლო სანამ ის საბოლოოდ გაიმარჯვებდა.

„წვრილი ერის“ წიაღში მომხდარმა რღვევამ ეს სოციალური ფენა სულ უფრო და უფრო გათიშა ორ ურთიერთ მოწინააღმდეგე მტრულ ბანაკად. ამ „ერიდან“ გამოყოფილმა უმცირესობამ თანდათან გაძარცვა უმრავლესობა. პირდაპირ თუ არა პირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, ხელიდან გამოსტაცა მას ძირითადი საწარმოო საშუალება—მიწა. ხოლო მას შემდეგ, რაც ამ „წვრილ ერს“ უკვე სხვა აღარაფერი გააჩნდა, გარდა საკუთარი თავისა, მისმა „განაყოფმა“ მას საკუთარი თავიც წაართვა. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა.

ქართული ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების პროცესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, II—VI საუკუნეებიდან იწყება. ფეოდალიზმმა, ისე, როგორც საერთოდ, ჩვენშიაც ჯერ ეკონომიურად გაიმარჯვა, ხოლო შემდეგ იგი იდეოლოგიურად და პოლიტიკურადაც გაბატონდა.

ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვება. რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მან ყველაფერი გააკეთა, რომ მან უკვე თავის განვითარების ზენიტს მიაღწია. საბოლოო გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ის ძალები, რომლებიც მას

შემდგომი გზის გაკაფვაში წინ ელობებოდნენ საბოლოოდ დაძლეული.

„წვრილი ერის" შემდგომი დამონება, კერძო თუ სათემო მიწების მითვისება-მიმძლავრების პროცესი შეადგენდა ქვეყნის შინასოციალური ურთიერთობის ისტორიის მთავარ შინაარსს მომდევნო საუკუნეებში.

აზნაურებმა, მას შემდეგ, რაც სახნავ-სათესი მიწებისათვის ბრძოლაში გაიმარჯვეს, ახალი ლაშქრობა წამოიწყეს სათემო ტყისა და საძოვრების ხელთგდებისათვის. „წვრილი ერი" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა თავის ამ უკანასკნელ ეკონომიურ საყრდენის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლის ანარეკლი შემოუნახავს ბასილ ზარზმელის თხზულებას „ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ სერაპიონ ზარზველისაჲ". ამ თხზულებაში მოთხრობილია ზარზმის მონასტრის აშენების ისტორია. აქა-იქ ეს თხზულება საყურადღებო ცნობებს შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

სერაპიონი და მისი მომხრენი გადასწყვეტენ მონასტერი ააშენონ, საამისოდ სათანადო ადგილსაც შეარჩევენ. ეს ადგილი არის ძ ი ნ ძ ე. აქ მათ მშენებლობაც კი წამოიწყეს, მაგრამ ამ მხარის მცხოვრებთა წინააღმდეგობას წააწყდნენ და იძულებულნი გახდნენ მიეტოვებიათ ეს ადგილი. შემდეგ მიდიან .გიორგი ჩორჩანელის კუთვნილ სანახებში და ღებულობენ მონასტრის აშენების ნებართვას. მართალია, ჩორჩანელმა ბერებს უფლება მისცა დილიდან საღამომდე, რომელ ადგილსაც შემოივლიდნენ მიესაკუთრებინათ და მონასტერი აეშენებიათ, მაგრამ მონასტრის აშენებაში ადგილობრივი მცხოვრებნი ახალ მოძალადეს ხედავდნენ და წინაღუდგნენ ბერებს. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავდა: „ჩუენ გუენება... გარეშეწერით შემოვვლოთ სიმგრგულე, მათ ადგილთაჲ... გუხილნეს რა კაცთა მის დაბა—წისქვლისათა იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინარბიოდეს" [1]. რომ „წვრილი ერი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში მართლაც საკუთარი მიწა-წყლის დაკარგვას ჰხედავდა, კარგად ჩანს გიორგი მერჩულის თხზულებიდან — „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაი". მონასტრის დასაქცევად ანჩელები თავს დაესხნენ ხანძთას [2].

აკად. ივ. ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად ფიქრობდა, რომ ეს „მტრობა აგრარულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებუ-

---

[1] ბ. ზ ა რ ზ მ ე ლ ი, დასახ. შრომა, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 159.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, გვ. 146.

ლიო“ [1]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ VI—VII საუკუნეებში ქართლი უკვე ჩამოყალიბებულ საფეოდალოების — „სააზნაუროების“ [2] თავისებურ კრებულს წარმოადგენდა. გიორგი ჩორჩანელები საკმაოდ ბევრნი იყვნენ ქართლში. ამ „სააზნაუროების“ შექმნა შედეგი იყო ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისა, ამდენად ეს პროცესი, ჩვენი აზრით, ნაბიჯი იყო წინ. „სააზნაუროები“ შემდეგ ჰქმნიან თავისებურ პოლიტიკურ გაერთიანებებს — სამთავროებს.

VIII საუკუნის დამლევისათვის საქართველოს მიწა-წყალზე, როგორც ცნობილია, ხუთი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ VII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყანა არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა, და მძიმე გადასახადებით დაიხარკა, მაინც რაც დრო გადიოდა არაბთა გავლენა იმ შინაგანი განვითარების წყალობით (ფეოდალიზაციის პროცესი), რომელსაც ხალიფატში ადგილი ჰქონდა, საქართველოსათვის სულ უფრო და უფრო ადვილი ასატანი ხდებოდა. IX საუკუნიდან მოყოლებული ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ-ეკონომიური წინსვლა შესამჩნევი ხდება. მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა სწრაფი ტემპით ვითარდება; ვაჭრობა-ხელოსნობა ფართოვდება. ამ საერთო აღმავლობის ფონზე საქალაქო ცხოვრება იზრდება. ყოველივე ეს ქმნის წინამძღვრებს ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად ხან კახეთი გამოდის, ხან აფხაზეთი, ხან ტაო-კლარჯეთი. საბოლოოდ გაერთიანებული საქართველოს მესვეურები ხდებიან ტაო-კლარჯეთის მფლობელი ბაგრატიონები. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე იყო ბაგრატ III (975—1014).

საქართველოს გაერთიანების პროცესი, რა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა.

ადგილზე მჯდომი „ხელმწიფენი“ არაფერს ზოგავდნენ იმისათვის, რომ ძველი დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ; მათთვის ქვეყნის ცენტრალიზაცია სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი.

ბაგრატ III არა ერთი ბრძოლა ჩ ა ა ტ ა რ ა ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგ. მან არა ერთი მოკვეთილი თავი გააგორა მიწაზე. მიზნის მისაღწევად ბაგრატმა არც თავისი ნათესავები დაინდო. სუმბატ

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში XI—XIII საუკუნეებში, გვ. 5.

[2] „სააზნაურო“ უაღრესად პირობითი და ტექნიკური ტერმინია, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ უკეთესი ვერ გამოვნახეთ.

დავითისძე. ბაგრატიონთა საგვარეულოს მემატიანე, წერს: „ბაგრატ კელატპალატმან მოიყუანა კლარჯნი ჭელმწიფენი სუმბატ და გურგენ. ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწულისანი დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა და მუნ შინა შეიპყრნა ივანი და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი“ [1].

ამ ბრძოლაში ყოველთვის ცენტრი როდი იმარჯვებდა. არა ერთი დამარცხება უგემია თვით ბაგრატ მესამეს. იოანე მარუშისძის დახმარებით დავით კუროპალატმა უფლისციხეში ბაგრატ III მეფედ დასვა და ქართლის აზნაურებს უბრძანა ბაგრატის თანადგომა. ბაგრამ ქართელი აზნაურები დროს შოულობდნენ და ბაგრატს შედგარ ბრძოლას ემართავდნენ.

„მატიანე ქართლისაჲ“-ში ნათქვამია: აზნაურებმა „მოიყუანნეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს უფლისციხე და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ. დედოფალი გურანდუხტ წარიყუანეს კახეთად“ [2].

საჭირო გახდა დავით კუროპალატის შეიარაღებული ჩარევა, რომ ტყვეები უვნებლად დაებრუნებინა:

საქართველოში შინა ფეოდალური ბრძოლები განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ბაგრატ IV დროს (1027—1072).

ასეთ ბრძოლების დროს მტრულად განწყობილი მეზობელი საჭელმწიფოები ჩვეულებრივ ფეოდალების მხარეზე გამოდიოდნენ. ბაგრატის წინააღმდეგ მებრძოლ კლდეკარის ერისთავს ლიპარიტს ბიზანტია ეჭვრდა მხარს. ამიტომ იყო, რომ წლების განმავლობაში ლიპარიტი იყო ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონი.

ბაგრამ ფეოდალური ურთიერთობის შინაგანი აღნაგობა ისეთია, რომ ერთი ფეოდალის გაძლიერება მეორე ფეოდალში შურსა და მტრობას იწვევს.

ლიპარიტის გამარჯვებას მეზობელმა ფეოდალებმა მტრული თვალით შეხედეს. „მ ც ი რ ე დ ი ს ა ჟამისა შემდგომად,—ნათქვამია „მატიანე ქართლისაჲ“-ში,—ამის სამეფოსა დიდებულთა მოიწყინა პატრონობა ლიპარიტისი: სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს და შეიპყრეს ძლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე, ხოლო ნიანია გარდაეხუეწა“ [3].

ლიპარიტის დამარცხება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა ფეოდალური ომების დამთავრებას. ბაგრატ მეოთხეს ნაკლებ წინააღმდეგობას რიდი უწევდნენ აბაზასძენი, „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი,

---

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 353.
[2] იქვე, გვ. 238.
[3] იქვე, გვ. 266.

სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისაჲ მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზვავებულნი“ [1]. რომელთაც თურმე „შეპყრობაჲ მეფისა ეგულებოდა“ [2].

ასევე ძლიერია ფეოდალური წინააღმდეგობა გიორგი მეორის დროსაც (1072—1089). ნიანია ქუაბულიძე, ივანე ლიპარიტისძე და ვარდან სვანთა ერისთავი მეფეს მოსვენებას არ აძლევდნენ. მათ გიორგის „აშალეს ქუეყანა: ივანე მოირთნა კახნი, დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წაუღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათის შინა; და ვარდან გაადგინნა სუანნი ავის მოხარულნი, დაარბიეს და აშოსწყუიდეს საეგრო“. ნათქვამია „მატიანე ქართლისაჲში“ [3].

გიორგიმ ეს „ფეოდალური ამბოხება“ იმით „ჩააქრო“, რომ „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თუისი“ [4].

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ „კუალად გადგა ივანე ლიპარიტისძე“ [5]. ივანეს თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ მან „გამოსტყუა გაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა, და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონს“ [6].

დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125) საქართველო უძლიერეს ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიად გადაიქცა.

დიდგვარიან ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითმა სხვა გზა აირჩია. იგი ურჩ აზნაურებს ჯილდოს გაცემით კი არ ირიგებდა, როგორც მისი მამა-პაპანი, არამედ ქონების ჩამორთმევითა და დათრგუნვით.

დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს ერთი საინტერესო დეტალი აქვს დაცული.

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თუისთა უფალთა: რამეთუ, რა ჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოვონ და განსუენება, იწყონ განზრახვა ბოროტისა, ვითარცა მოგუითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ [7].

ნიჰიერ ისტორიკოსს მშვენივრად გაუგია დიდგვარიან ქართველ აზნაურთა ბუნება. აქ ნახმარი სიტყვა „ნათესავი ქართველთა“, რა

---

[1] გიორგი ხუცეს მონაზონი. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ათონის ივერიის მონასტრის აღაპები, 1901 წ., გვ. 319.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, ანასეული ვარიანტი, 1942 წლის გამოცემა, გვ. 198.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 232.

ოქმა უნდა, გაბატონებულ კლასს — ფეოდალთა კლასს გულისხმობს მხოლოდ.

დავით აღმაშენებელი პირველი იყო, რომელმაც რადიკალური ღონისძიებანი გაატარა დიდგვარიან აზნაურთა წინააღმდეგ. რუისურბნისის საეკლესიო კრება, მწიგნობართუხუცესისა და ჰყონდიდლის ხელის შეერთება, ყივჩაყებისაგან მუდმივი ლაშქრის შედგენა და სხვა მრავალი ღონისძიება ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას უწყობდა ხელს და ძირძველი ფეოდალების თავაშვებულებას აკცირებდა. მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში დავით აღმაშენებელი ეყრდნობოდა წვრილ და საშუალო აზნაურებს, საქალაქო-სავაჭრო წრეებს, „წვრილ ერს" — თავისუფალ გლეხობას, მოხერხებულად იყენებდა თვით მსხვილ ფეოდალთა შორის არსებულ ერთიერთ მტრობა-ქიშპობასაც. ამ საშინაო სიმტკიცესთან ერთად გაუჭობესდა საგარეო მდგომარეობაც, თურქი სელჩუკები განდევნილი იქნენ, საგარეო შემოსევები შეწყდა. დავითმა გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება არ იყო საბოლოო, რადგან თვით სისტემა, რომელიც ასვთ ბრძოლა-ქიშპობას ასაზრდოებს უცვლელი რჩებოდა. დავითი რომელიმე ლიპარიტს ამარცხებდა, ქონებას ართმევდა, თანამდებობიდან გადააყენებდა, მაგრამ მის ადგილზე დასვამდა სხვას, „უგკაროს". ახლად დასმულ მოხელეს ყმა-მამულს უწყალობებდა და ეს „უგკარო" „ერთგული" ხვალ „გვარიან" „ორგულად" გადაიქცეოდა.

ასე რომ, ფეოდალური საქართველოს გაერთიანება ისეთ სისტემაზე იყო აღმოცენებული, რომელიც თავისთავის საწინააღმდეგო ძალად მალე გადაიქცეოდა და გაერთიანებული სახელმწიფო კვლავ დაიშლებოდა, რადგან ამ გაერთიანებას მყარი ეკონომიური საფუძველი არ ჰქონდა.

ეს იყო „ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება", რომელიც „უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების პირობებში" [1].

როგორი იყო გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა? ამ საკითხს თავის დროზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია განსვენებულმა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 318.

„მეთორმეტე საუკუნის უმაღლესმა სახელმწიფო ძლიერებამა და პოლიტიკურმა ხანგრძლივმა ერთობამაც კი,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,—მაინც მთლად ვერ გააქარწყლა სათემო განცალკევებისადმი მიდრეკილება: დრო გამოშვებით ამგვარი განკერძოების გრძნობა და პროვინციული განცალკევების წადილი თავს იჩენდა და თავის გესლიან ნაყოფს გამოიტანდა ხოლმე“ [1]. ყოველივე ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ქვეყნის გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულ ადმინისტრაციული იყო და მმართველობის სისტემაც კი მხოლოდ ფორმალურად იცვლებოდა.

ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მკვლევარი აკად. ივ. ჯავახიშვილი მართალი იყო როდესაც დაასკვნიდა: „საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში ცალკე სამეფოები თითქოს კვალინდებურად ცოცხლობდენ. ეს რომ ცხოვრების ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენდა და გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფო წყობილება ადგილობრივი და სათემო თავისებურების დაცვის პრინციპზე იყო დამყარებული, რომ ისტორიკოსების მიერ ნახმარი „სამეფონი“ მაშინდელი ცხოვრების ვითარების ნაწილობრივ მაინც ჭეშმარიტი გამომხატველია, ადვილად დავრწმუნდებით მაშინვე, როცა იმ დროის სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესრიგს გავითვალისწინებთ. დავით აღმაშენებლის დროიდგან მოყოლებული თამარის სიკვდილამდე, ე. ი. ჩვენი სამშობლოს ერთობისა და ძლიერების უმწვერვალეს ხანაში, საქართველოს თვითეული „სამეფოში“ ცალ-ცალკეც განაგებდენ ხოლმე საქმეებს. ე. ი. მართვა-გამგეობა მ ა რ ტ ო ს ა უ წ ყ ე ბ ო პ რ ი ნ ც ი პ ზ ე კ ი ა რ ი ყ ო დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი, ა რ ა მ ე დ ს ა თ ე მ ო პ რ ი ნ ც ი პ ზ ე ც“ [2].

მართლაც, ამ მხრივ მრავალი საყურადღებო ცნობა შემოუნახავთ მაშინდელ დამკვირვებლებს. ბაგრატ მესამე,—ნათქვამია „მატიანე ქართლისაჲში“,—„იყო მას ჟამსა დლივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა, რომელ მაშინ თჳთვე ეპყრა“ [3].

დავით აღმაშენებელზე მისი ისტორიკოსი წერს, რომ დავითი „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭუინტამდე და გააგნა საქმენი მანდაურნი:

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, გვ. 112—113.

[2] იქვე, გვ. 115.

[3] მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 242.

ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წყუარ-თნა“ [1].

ასევე მოგვითხრობს ეს ისტორიკოსი საქართველოს სხვა კუთხეების მმართვის შესახებაც. მაგ., ანისის აღების შემდეგ დავითი „წარმოვიდა ქართლად და მცირეთა დღეთა მოუსუენა სპათა თჳსთა და მერმე წარემართა შარავანს... გააგო მაშინ ყოველი საქმე შარავანისა... მოვლო ქართლი და... განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა“ [2].

როგორც ვხედავთ, ცენტრმა ვერ შესძლო პერიფერიის წინააღმდეგობის საბოლოო დაძლევა. მან მხოლოდ დროებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოათვინიერა, ან დათრგუნა დეცენტრალიზაციის ტენდენცია. მაგრამ ეს მხოლოდ ხელსაყრელი დროისა და პირობების შედეგი იყო და როცა დრო და პირობები ცენტრის საწინააღმდეგოდ შეიცვლებოდა ხოლმე, საქანელაც პერიფერიისაკენ გადასძლევდა.

დავით აღმაშენებელის სიკვდილი, უეჭველია დიდგვარიან აზნაურთა ზეიმი იყო. მტკიცე ნებისყოფის მონარქი, როგორც წესი, ფეოდალს არ უყვარს. ბუნებრივია, რომ ფეოდალები დავითის მემკვიდრეებს შეუტევდნენ და მართლაც ფაქტები მოწმობენ, რომ დემეტრე I (1125—1156), გიორგი III (1156—1184) და თამარის (1184—1212) წინააღმდეგ არა ერთი, აშკარა თუ ფარული აჯანყება-შეთქმულებები ხდებოდა: დავით ბატონიშვილის შეთქმულება დემეტრეს წინააღმდეგ, დემნა უფლისწულის აჯანყება გიორგი III წინააღმდეგ, ეკლესიის მსახურთა მოთხოვნილებანი გიორგი III, ფეოდალთა გამოსვლები თამარის დროს და სხვ.. ეს ბრძოლები ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ფეოდალებს დარჩათ. მართალია, დემნა უფლისწულის 1177 წლის აჯანყება დაამარცხა გიორგი III, მაგრამ ერთი წლის შემდეგ იგი იძულებული გახდა საეკლესიო ფეოდალების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა.

დიდგვარიან აზნაურთა ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ თამარის დროს ახალ ფაზაში შევიდა. ფეოდალები შეეცადნენ ქალის გამეფებით ესარგებლათ და ძველი დიდება დაებრუნებინათ. თამარს განუცხადეს: „აღარ ვეგებით ძუელთა ჴელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი ვინაჲთ-

---

[1] მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 304.

[2] იქვე გვ. 311—312.

გან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსაკელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უკმართაგანო“ [1].

ეს იყო ნამდვილი პოლიტიკური გაფიცვა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. აქ თხოვნა შეცვლილია მოთხოვნით. თამარ მეფეც იძულებული გახდა დიდგვარიანთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა: გადააყენა თავისი ერთგული მოხელეები — აფრიდონი და ყუბასარი.

ცენტრალური ხელისუფლების ამ მარცხს უნდა მოჰყოლოდა უფრო სერიოზული მარცხი და მართლაც ასეც მოხდა. მეფის ხელისუფლება შეიზღუდა. დიდგვარიანმა აზნაურებმა მიიღეს „ერთნებობისა“ და „თანადგომის“ უფლება. ეს იყო „მთავრების ჟინიანობის“ ბრწყინვალე გამარჯვება. ფეოდალური რეაქციისათვის შემდეგში კიდევ უფრო ხელსაყრელი ამინდი დადგა.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, რომ ქვეყნის ეკონომიური დაქუცმაცება, მთავრების ჟინიანობა და გლეხების გულგრილობა ქვეყნის დაშლის მთავარ წინამძღვრებს ჰქმნიდა. მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ ქვეყნის ფეოდალური დაშლის პროცესს ხელს უწყობდა და აჩქარებდა სხვა ფაქტორებიც. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორთაგანს, საქართველოს სინამდვილეში, წარმოადგენდა უცხო ძალის ზემოქმედება.

XIII საუკუნის 20-იან წლებიდან საქართველო რთულ საგარეო პირობებში მოექცა. ჯერ ხვარაზმელთა (1225—1231), ხოლო შემდეგ მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად დააქვეითა და პოლიტიკურად დააუძლურა. ქვეყნის შიგნით ორი ძალის ჭიდილის დროს დამპყრობელი ყოველთვის იმ ძალას ემხრობა, რომელიც მისი დაპყრობითი მიზანსწრაფვისათვისაა ხელსაყრელი. საერთოდ, მონღოლთა გაბატონებით ყველაზე უფრო მწარმოებელი საზოგადოება—„წურილი ერი“ დაზარალდა. ამ საზოგადოებას ახალი ექსპლოატატორი გაუჩნდა. მონღოლები ახალ-ახალ გადასახადებს აწესებდნენ, ხოლო ძველს, ადგილობრივ ფეოდალურ გადასახადებს, უცვლელად ტოვებდნენ.

შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად გლეხი სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა, მისთვის მეურნეობის წარმოებას აზრი არა ჰქონდა და ისიც ადვილად სთმობდა თავის ნაჭირნახულ-ნაამა-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 76.

გარს და გარბოდა, ბოგანობა-ხიზანობას იწყებდა. ეს მოვლენა მონღოლთა 100 წლიან ბატონობის მთელს სიგრძეზე შეიმჩნევა.

აბუ-საიდ ბაჰადურის იერლაყში ნათქვამია, რომ „... ქალაქს ანისში და საქართველოს სხვა ვილაიატებში ყალანს, ნემარსა და უკანონო გამოსაღებლებსა და ტარხს ძალით ჰკრებდნენ და ავიწროებდნენ (მოსახლეობას და ამის გამო ქვეყანა) გაოხრდა, მდაბიო ხალხი გაიფანტა (და გაიქცა)“ [1].

ხვარაზმელებისა და მონღოლთა ბატონობის შედეგად მოსახლეობა კატასტროფულად მცირდებოდა. ყამთააღმწერელი არა ერთხელ შენიშნავს, რომ „სავსე იყუნეს მოკლულთა მიერ ქალაქნი და სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ჯევნი“ [2].

ყამთააღმწერელის გადმოცემით, როდესაც მონღოლებმა საქართველო მეორედ „აღთვალეს“ (XIII საუკუნის 80-იან წლებში), გამოირკვა, რომ „უმრავლესნი მოოჯრებული იყო“ [3].

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ საქართველოს სამეურნეო განვითარება, რაც დავით აღმაშენებლის დროიდან დაიწყო, წყდება. დაეცა სოფლის მეურნეობა, დაქვეითდა ან ჩაკვდა ისედაც სუსტად განვითარებული აღებ-მიცემობა, მცირდება ქალაქები—მრავალი ქალაქი ან მთლად ამოვარდა, ან დაბად გადაიქცა, დაიცალა გზისპირა დასახლებული ადგილები. მონღოლთა ბატონობის მთელი უბედურების შესახებ მარქსი აღნიშნავდა, რომ ის „не только давило, оно оскорбляло и иссушало самую душу народа ставшего его жертвой“ [4].

ქვეყნის ამ საერთო ეკონომიურ დაძაბუნების პირობებში ცენტრალური ხელისუფლების გავლენა თუ ძალა შემცირდა. საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი — ერისთავები, ერისთავთ-ერისთავები და სხვანი—სულ უფრო და უფრო ნაკლებგამგონი ხდებიან. ხშირი იყო შემთხვევა, რომ მეფეს სურდა მათი დასჯა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან ერისთავებს ზურგს უმაგრებდა. მონღოლთა ყაენი. ყამთააღმწერელის თქმით მეფემ „მთავარნი და ერისთავნი ვერ ჰსცვალნის შიშისათჳს ყაინისა“ [5].

ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, რომ ერისთავები მძლავრობდნენ, თავნებობდნენ, საეკლესიო ყმა-მამულს იტაცებდნენ, „მთა-

---

[1] ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის შრომიდან, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1941 წ., გვ. 155—156.

[2] მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 595.

[3] იქვე, გვ. 719.

[4] К. Маркс, Секретная дипломатия XVIII века.

[5] მარიამ დედოფლისეული ქ. ც., გვ. 696.

ვართა... იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკებთა“ [1]. საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებმა მოხერხებულად გამოიყენეს მონღოლთა წეს-ჩვეულების ერთი დეტალი. საქმე იმაშია, რომ მონღოლები ვერ არჩევდნენ კერძოყმობასა და სამოხელეო ხელისუფლებაზე დამყარებულ დამოკიდებულებას. ერისთავს, როგორც ფეოდალს საკუთარი ყმები ჰყავდა, მაგრამ, მას როგორც მეფის მოხელეს, ხელი მიუწვდებოდა სახასო მოსახლეობაზე. ახლა კი მონღოლთა დახმარებით ერისთავები ცდილობდნენ (განსაკუთრებით მთის) თავისუფალი მოსახლეობა ძალით ეყმოთ. ეს იწვევდა მწვავე სოციალურ ბრძოლებს, რომლის შესახებ საინტერესო მასალები შემოუნახავს „ძეგლის დებას“.

XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დამდეგს მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა. დავით დემეტრეს ძე მონღოლებს აუჯანყდა, მთიულეთში შეიხიზნა და ჟინვანში სიბა შეკრა. ამ აჯანყების ჩასაქრობად მონღოლეთიდან დამსჯელი ექსპედიციები მოდიოდნენ. განსაკუთრებით დაზარალდა შიდა-ქართლი. მოვლენები ისე განვითარდნენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ერთდროულად სამი მეფე იჯდა. ამის მიხედვით გაიყო საქართველოს ფეოდალური ძალებიც. ეს იყო ქვეყნის ფეოდალური აშლილობის ზენიტი. მტრის მუდმივ შემოსევებს ზედ ერთოდა ადგილობრივი ფეოდალური ომები; „ამათ შფოთთა“ გამო „რა იყო ქვეყანა ქართლისა, არა იყო... თესვა და არცა შენება ყოვლად“ [2].

ყოველივე ამის შედეგად „იქმნა პურისა მოკლება. ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა დიდითა ფასითა. ესოდენ განძვირდა შიმშილი, მძორსა არა წმიდასა ურიდად ჭამდეს. საცხე იყუნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი და მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა“ [3].

ჟამთააღმწერელის გადმოცემით, ქართლი დაიცალა მოსახლეობისაგან. შიდაქართლიდან მოსახლეობა მასობრივად გადადიოდა სამცხეს—ჯაყელთა სამფლობელოში. „უმრავლესნი ერი ქართლისა წავიდა სამცხეს, ქვეყნად ბექასა, სადა იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“ [4].

ჯერ კიდევ ადრე, XIII საუკუნის 40-იან წლებში, საქართველომ რამოდენიმე ყმადნაფიცი ქვეყანა დაჰკარგა, ახლა, XIII საუკუნის 90-იან წლებში კი ეს ქვეყნები მტრად გადაიქცნენ.

---

[1] მარიამ დედოფლისეული ქ. ც., გვ. 722—723.
[2] იქვე, გვ. 765.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 766.

XIV საუკუნის 20-იან წლებიდან საქართველოს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. მონღოლთა ბატონობას ბოლო მოეღო. „დაშლილი“ ქვეყანა კვლავ „გამრთელდა“, ერთიან სამეფოდ გაერთიანდა. მოთარეშე უცხო ძალა განდევნილ იქნა. გიორგი ბრწყინვალემ მრავალი საქვეყნო საქმე გააკეთა, სცადა სოციალური ურთიერთობის მოწესრიგებაც, საამისოდ კანონთა კრებული შეადგინა. მან უერადღება მიაქცია საქვეყნოდ გამრიგე მოხელე-ერისთავთა თავაშვებულობის ალაგმვას. გიორგი დარწმუნდა, რომ ქვეყნის დაკნინება-დაძაბუნების მიზეზი მარტო გარეშე ძალის თარეში როდია, რომ არა ნაკლებ დამღუპველია ფეოდალთა თარეში; ამიტომ კახეთში, ციკის მთაზე შეკრიბა ჰერეთ-კახეთის ერისთავები, მათ შორის უჩჩები ამოქლიტა და მათ ადგილზე თავისი ერთგული მოხელენი დანიშნა.

ასეთმა ღონისძიებებმა ქვეყნის საერთო მდგომარეობის გამოსწორებას ერთგვარად ხელი შეუწყო. საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე შერყეული მდგომარეობა გამოასწორა. სამწუხაროდ, ცხოვრების მშვიდობიანი პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდა. XIV საუკუნის 80-იან წლებიდან მდგომარეობა შეიცვალა. ხალხებს მოევლინა აზიელი ტირანი — თემურლენგი, რომლის ურდოებმა არა ერთი ქვეყანა საბოლოოდ მოსპეს. თემურლენგის შემოსევას ვერც საქართველო გადაურჩა. 1386—1404 წლების განმავლობაში თემურლენგი რვაჯერ შემოესია ჩვენს ქვეყანას. თავისი შედეგებით თემურლენგის შემოსევები ყველა იმ შემოსევებზე უმძიმესი იყო, რომელსაც მანამდე იცნობდა საქართველო.

თემური პირველი იყო, რომელმაც ასე მასიურად იწყო არა მარტო მოსახლეობის გაჟლეტა, არამედ ბალ-ვენახების გაკაფვაც. მან გამოიყენა ეკონომიური ომის მეთოდი. საკმარისია ითქვას, რომ თემურის შემოსევათა შედეგად ქართულ სიტყვათა ლექსიკონში ჩნდება ახალი სიტყვები: „ნაფუძარი“, „ნასოფლარი“, „პარტახტი“ და სხვა.

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორი გადმოგვცემს, რომ თემურლენგმა „შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ჭევნი, და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანაჲ და მიეწია ლაშქარი მათი ქუთათისს, ლეკეთს და დარიალსა და მოწუეს და მოაოჯრეს ყოველი

საქართველოდ დაყარეს მძორი მკუდრისაد ვითარცა მჭელი თივისა"[1].

„ქართლის ცხოვრების" მეორე გაგრძელებაშიც ნათქვამია, რომ თემურელებმა „მოიცვეს სრულიად შიდა ქართლი, დაწვეს და აღოჟრეს, და მოვლნეს ყოველნი არენი და სანახებნი შიდა ქართლისანი, და აღიღეს ციხენი, გოდოლნი და სიმაგრენი ყოველნიენ ეკნიერ მთისა კავკასიისა:... არსადა დაშთა დაბანი, და შენობანი მათ მიერ წარუტყვენველად" [2].

მართალია, თემურის სიკვდილის შემდეგ მის მიერ შეკოწიწებული უზარმაზარი იმპერია დაინგრა და საქართველოც განთავისუფლდა, მაგრამ ვერავითარმა ღონისძიებამ ვეღარ შესძლო იმ ჭრილობების საბოლოო გამომრთელება ფეოდალურ ხანაში, რომელიც თემურმა მიაყენა ჩვენს ქვეყანას.

ასე, რომ თემურლენგის შემოსევებმა დააჩქარა ქვეყნის შინაფეოდალური ძალების განშტოების პროცესი და, როცა საბოლოოდ გაქრნენ ის ძალები (ვაჭარ-ხელოსნები უმთავრესად), რომლებსაც გაერთიანებული ქვეყანა სჭირდებოდათ, როცა იშრიტებოდა დანაგროვი და ახალი კი აღარ ჩანდა, აი ამ პირობებში ფეოდალური განკერძოება კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება.

მართალია ალექსანდრე პირველმა (1412—1442) სცადა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ეპოვა, მან არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაც გაატარა, მაგრამ ყოველივე ეს საქმეს ვერ შველოდა, რადგან თვით ფ ე ო დ ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ს ა ძ ი რ ქ ვ ე ლ ი ი ყ ო დ ა ა ვ ა დ ე ბ უ ლ ი.

საქმე იმაშია, რომ ამ დროისათვის „ერთობ შეცვლილია ძველთან შედარებით გლეხთა საბეგარო დამოკიდებულება. უ ზ ო მ ო დ ა ა გ ა ზ რ დ ი ლ ი ბ ე გ ა რ ა და ფეოდალებს ბეგრის შემსუბუქება, რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოსდით. პირიქით, საზოგადოების რიცხვმრავალი ფეოდალური ნაწილი მთელის სიმძიმით აწვება შემცირებულ ყმათა რიცხვს და, ბუნებრივია, ცდილობს საგადასახადო ვალდებულებათა კიდევ უფრო დამძიმებას" [3].

ამრიგად, ქვეყნის შინაგანი განვითარება ისე წარიმართა, რომ ფეოდალური საწარმოო ძალები აღარ ვითარდება და ახალიც აღარ იქმნება, ხდება არსებულის დეგრადაცია. სწორედ ამ საწარმოო ძა-

---

[1] შ. მ ა ყ ხ ი ა, ძეგლი ერისთავთა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1954 წ., ნაკვეთი 30, გვ. 359.

[2] მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 863.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, XIII—XIV სს. (კონსპექტი), იხ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI,1937 წ., გვ. 300.

ლების დეგრადაციის საფუძველზე ჩამოყალიბდება სათავადო. ასევ, რომ სათავადო ქვეყნის საწარმოო ძალების დეგრადაციის პირმშოა და შემდეგში ეს სათავადო სწორედ ამ ჩამორჩენილობას კვებავს.

თუ ჩვენ ამ ვრცელს მსჯელობას შევაჯამებთ, ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ, შემდეგ ძირითად დასკვნებამდე მივალთ:

ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში თანდათან ვითარდებოდა და მან VI საუკუნეში პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია.

XI საუკუნის დამდეგს ცალკეული ფეოდალური სამთავროები, ძირითადად, ერთ ფეოდალურ სამეფოში ერთიანდებიან, თუმცა საბოლოო გაერთიანება 1122 წელს მთავრდება.

გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის სოციალური საფუძველი არის პატრონყმობა, თუმცა ეს პატრონყმობა მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ფარავს.

სამეფო ხელისუფლებისა და აზნაურთა ურთიერთობის ძირითადი საფუძველი არის მიწა. აზნაური, მეფისაგან ღებულობს მიწას, და ამიტომ იგი ვალდებულია ერთგულად ემსახუროს მეფეს. ფეოდალი ცდილობს მეფისაგან მიღებული მიწა სამემკვიდრეოდ, სამამულოდ გადააქციოს, მეფე კი, პირიქით. ეს იწვევს მეფე-აზნაურთა შორის ბრძოლას. ბრძოლა ხანგრძლივ ხასიათს ღებულობს და საბოლოოდ ფეოდალთა გამარჯვებით მთავრდება.

იმუნიტეტისათვის ბრძოლა, როგორც განმსაზღვრელი ბრძოლა, ხანგრძლივი პერიოდით იფარგლება. ამ ბრძოლას არა ერთი თაობა შეუწირავს. აზნაურებმა მცირე მსხვერპლი როდი გაიღეს. იმისათვის, რომ საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინათ.

დიდგვარიან აზნაურთა ბრძოლის ერთი პერიოდი დამთავრდა თამარის დროს, როცა მათ მოიპოვეს „ერთნებობისა" და „თანადგომის" უფლება.

საერთოდ, მონღოლთა ბატონობამ ცენტრი დაასუსტა და ამით ხელი გაუხსნა ფეოდალურ პარტიკულარიზმს, მაგრამ მრავალ კერძო შემთხვევაში მონღოლებმა არა ერთი ცნობილი ქართველი ფეოდალური გვარი მოსპეს, ან ჩამოამცრეს და პოლიტიკური ცხოვრების სცენიდან ჩამოიყვანეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მონღოლთა მფლობელობის ფორმები სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვა შედეგისა აღმოჩნდა. მაგ., სომხური ფეოდალური არისტოკრატია ამოწყდა, ქართული ფეოდალური საზოგადოება დიდად დასუსტებული გამოვიდა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლიდან, ხოლო რუსეთმა არა მარტო გაუძლო მონ-

ღოლთა შემოტევას, არამედ გამარჯვებულიც დარჩა, თუმცა მანაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო.

სათავადოების წარმოქმნა ფეოდალური საწარმოო ძალების შემდგომი დ ე გ რ ა დ ა ც ი ი ს შედეგი იყო. ქართლის სათავადოების ჩამოყალიბება ძირითადად იწყება XIV საუკუნეში და მთავრდება XVI საუკუნეში. ქართლის სათავადოების ნაწილი ოდესღაც ცალკეულ საერისთავოებს წარმოადგენდა და ქართლის საერისთავოში შედიოდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქართლის საერისთავო XIV საუკუნის მეორე ნახევარში გაქრა. ასე, რომ ქართლის საერისთავოს გაქრობა ამავე დროს იყო ქართლში სათავადოების ჩამოყალიბება-გაფორმების პროცესიც.

საკითხის უფრო ნათელსაყოფად საჭიროა თითოეული სათავადოს წარმოქმნა-ჩამოყალიბების საკითხი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

II. ქსნის საერისთავო

ქსნის საერისთავოს წარმოშობის შესახებ ჩვენ პირდაპირი მითითება არა გვაქვს წყაროებში. ამ საკითხით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესდნენ. ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს აკადემიკოსმა მარი ბროსემ მატერიალური კულტურის ძეგლების წარწერები გადმოიწერა და მრავალი ზეპირგადმოცემები შეკრიბა ერისთავების შესახებ.

მკვლევარები ყურადღებას აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ ძველ ისტორიულ ძეგლებში ქსნის ერისთავები XVII საუკუნის დამდეგამდე თავიანთ თავს ქსნის ერისთავებს არ უწოდებდნენ. მკვლევარები ამ ფაქტს აღნიშნავდნენ მხოლოდ და ამის მიზეზს არ ეძებდნენ. მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „Странно, что ни один эристав ксанский не указан в истории до Насе в начале XVII в"[1].

ამასვე წერს პლატონ იოსელიანიც: „Имя Эристава Ксанского является в актах только в начале XVII века"[2].

ექვთიმე თაყაიშვილიცა და პლატონ იოსელიანიც ფიქრობდნენ, რომ „ძეგლი ერისთავთაში" სხვადასხვა სახელით მოხსენებული ერისთავები: ვირშელი, ლარგველი, ქვენიფნეველი ერისთავთა სხვადასხვა შტოს წარმოადგენენ". „Тут (ლაპარაკია ლარგვისზე, დ. გ.) сохранились остатки замка одной более известной и сильной

---

[1] Д. Б а к р а д з е, Кавказ, древн. памят. христ., стр. 73.

[2] П. И о с е л и а н и, Икортский монастырь, стр. 69.

ветви ксанских эриставов, носивших от местности название Ларгвелей. Другая ветвь носила название квенипшавели от местностей Квемо-Ипшеви, что ниже Ларгвиси, на правом берегу Ксани,... третья ветвь называлась вершели. Судя по записям и актам, Вирша была крепость с монастырем, но местоположение ее до сих пор не выяснено"[1]. 1951 წელს ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა და იგივე მოსაზრება გაიმეორა[2].

პლატონ იოსელიანი კიდევ უფრო შორს წავიდა და შემდეგ დასკვნას იძლეოდა: „...что касается до ксанских эриставов, то род их являющиеся в связи с Виршийским (ვირშელი) Бурсийским (ბურსელი по актам), Квенипловельским и Бибилурским (ბიბილური) требует разбора и определения по актам, тем более, что имя Эриставa Ксанского, является в актах, только в начале XVII века"[3].

არც თაყაიშვილი და არც იოსელიანი მართალი არ არიან.

არც „ძეგლი ერისთავთა" და არც სხვა საბუთები ამგვარი დასკვნის უფლებას არ იძლევიან. „ძეგლი ერისთავთაში" პირდაპირ არის ნათქვამი, რომ როსტომსა და მის ძმებს „უწოდნეს ქუენიფნეველნი, რამეთუ სხვად სახელი არა ინებეს"[4]. ანდა: „მოკვდა როსტომ. დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგუელი[5]. „... და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი, და გარდაიცვალნეს მეფენი: კვ-ნი და ვერისთავნი კდ-ნი და წელიწადნი არა მცირენი"[6]. აქ თითქოს ყველაფერი ნათელია. რატომ ეგონა ექვთიმე თაყაიშვილს ლარგველი და ქვენიფნეველი სხვადასხვა შტოს წარმომადგენელი, საკვირველია, რადგან „ძეგლი ერისთავთაში" ლარგველი და ქვენიფნეველი ერთი და იგივე პირია. „შემდგომად ისტკნიანესსა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატონიანი. ამან ფრიად განადიდა ქუენიფნეველი ლარგუელი და სახელ სდვა ერისთავთ-ერისთავად"[7].

ქსნის საერისთაოს წარმოქმნის საკითხს „ძეგლი ერისთავთას" გამომცემელი თედო ჟორდანიაც შეეხო და აღნიშნა: „ქსნის ერის-

---

[1] Э. Такайшвили, Арх. Экскурсии, вып. V, стр. 77—80.
[2] უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, გვ. 4.
[3] პ. იოსელიანი, დასახ. შრომა, გვ. 69.
[4] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.
[5] იქვე, გვ. 346.
[6] იქვე, გვ. 347.
[7] იქვე, გვ. 346.

თაობა უნდა დაწესებულ იყოს იმ დროს, როდესაც სამეფო გაუქმდა და ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“ [1].

ქსნის საერისთავოს ისტორიისათვის ძირითად წყაროდ ჯერჯერობით მაინც „ძეგლი ერისთავთა“ უნდა ჩაითვალოს. ეს ისტორიული საგვარეულო მატიანე მრავალმხრივაა საინტერესო. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სამართლიანი შეფასებით იგი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლია „რომლის, როგორც სოციალურ ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს“ [2].

„ძეგლი ერისთავთა“ საერისთავოს XIII—XIV საუკუნეების ისტორიისათვის მართლაც ფასდაუდებელი ისტორიული წყაროა, მაგრამ წინა ხანისათვის ძეგლის ცნობები საეჭვოა და ნაკლებ სანდო. ამიტომ ქსნის საერისთავოს წარმოქმნის საკითხის გარკვევისათვის ძეგლი მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოდგება.

„ძეგლი ერისთავთას“ თხრობა ქსნის ერისთავების ისტორიის შესახებ ასეთია: ოსთა სამეფოში შინა ბრძოლები იყო. ოსთა სამეფო საგვარეულოს უფროსი შტო ამარცხებს უმცროს შტოს და გამოდევნის ოსთა სამეფოდან. უმცროსი შტოს წარმომადგენელნი: „როსტომ, ბიბილა წითლოსანი და ძენი მათნი სამეოცდაათითა მონითა“ მოვიდნენ დვალთა ქვეყანაში. დვალებმა ისინი მეფეებად არ სცნეს, ოღონდ თავშესაფარი მისცეს. მოსულებმა ფიცი დასდეს, რომ ისინი მეფობას არ ინდომებენ და დასჯერდებიან იმ სახელს, რომელსაც მათ დვალნი მისცემენ. დვალნი ამ პირობაზე დაეთანხმნენ და „მისცეს ქუეყანა ბობალეთაჲ და უწოდნეს ბიბილურნი“. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ როსტომმა მეფობა მოინდომა. „მაშინ გულის-ჯმა ყვეს დვალთა, შეკრბეს და თქუეს: „ვხედავთ, ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოვსთა ამათ მეფეთა, დაღა თუ სახელ ვზდევით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაჰფარავს გუარნათესაობასა მათსა, და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა“. ამიტომ დვალებმა ბევრი აღარ დააყოვნეს და გამოაძევეს „როსტომ და ყოველნი ძმანი და მონანი მისნი“.

დვალეთიდან როსტომი ცხრაძმის ხეობაში ჩამოდის და ცხრაძმის ხეველებს სამხედრო დახმარებას უწევს გრუელების წინააღმდეგ. როსტომის დახმარებით ცხრაძმის ხეველები ამარცხებენ გრუელებს. ცხრაძმის ხეველები დაუმადლებენ როსტომს შველას და

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 4.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელ ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 30.

მიიღებენ გადაწყვეტილებას: „არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რაჲცა უნდეს მას“. ლარგვისის მამასახლისი გუგაკ ხუციანდაბისძე როსტომს ეუბნება: „უკეთუ გნებავს მკჳდრყოფაჲ ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღვთივ გჳრგჳნოსანისა იუსტჳნიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღუარ მათდა“.

როსტომმა მიიღო გუგაკ ხუციანდაბისაძის წინადადება და „მან შოითხოვა საფლავი ლარგჳს და საჯდომად სახლი შუა-საყდრის შვილთა, და ცხრაზმას ციხის თავისა ნაქონები მამული“. როსტომს შეუსრულეს ეს სურვილი და მისცეს „შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი, საფლავი ლარგჳსსა და საჯდომი ქუენიფნევს და უწოდეს ქუენიფნეველნი, რამეთუ სხუა სახელი არა ინებეს“. ამიერიდან „უკუეთუ სადა იყვის ლაშკრობა, იგი, იყჳნიან წინამძღვარ ბრძოლათა... შეიყუარნა ყოველმან ერმან ცხრაზმის ხევისამან. და შემდგომად მცირედისა ჟამისა იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთაობისა ბირებისა ერისაჲთა, რამეთუ იტყოდეს: „ვისიცა იყოს საფლავი მას შეჰგავს ეკლესიაჲ და ყოველი მიმდგომი მისი“. იუსტინიანემ შეასრულა ცხრაძმის ხეველების სურვილი, როსტომს მიუბოძა ცხრაძმის ერისთაობა და საერისთავო ნიშნები გადასცა. როსტომის შემდეგ, იმავე ძეგლის ცნობით, ლარგველი ერისთაობს, ხოლო ლარგველის შემდეგ—დიმიტრი. დიმიტრის შემდეგ კი თურმე „გარდაიცვალნეს მეფენი; კვ-ნი და ერისთავნი კდ-ნი და წელიწადნი არა მცირენი“ [1].

ასეთია „ძეგლი ერისთავთას“ ცნობები ქსნის ერისთავების პირველდელი ისტორიის შესახებ; ამ თხრობის შემდეგ ძეგლის ავტორი XIII—XIV საუკუნეების ამბებს მოგვითხრობს.

სანამ აქ მოტანილი ცნობების გარჩევას შევუდგებოდეთ, მანამ საჭიროდ მიმაჩნია მუზეუმში დაცული ერთი ცნობა მთლიანად მოვიტანო. ეს ცნობა ქსნის ერისთავების ისტორიას შეიცავს და არსებითად განსხვავდება „ძეგლი ერისთავთას“ ცნობებისაგან. ამ ცნობის აქ მთლიანად მოტანა მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც ჩანს, ყოფილა ერისთავების ისტორიის შესახებ სხვა ვარიანტიც. ძეგლი XVIII საუკუნეშია შედგენილი, მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი რაღაც ზეპირ თუ წერილობითს საბუთებს ემყარებოდა. ეს ცნობა, როგორც

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, ძეგლი ერისთავთა, გვ. 344—347.

ახლა ირკვევა, იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის და შეუდგენია 1799 წელს. მას ქართველ თავადაზნაურთა გვარეულობის საერთო ისტორია დაუწერია და აქ ქსნის ერისთავების შესახებ ცალკე თავი აქვს გამოყოფილი:

„თავადი ქსნის ერისთავი. ძველთა დროთანი არვინღა არიან, რომელნიც მოსრულნი იყვნენ თურქისტანის მხრიდგან ავარიელნი ხალხნი, რომელთაცა დაიპყრეს კასპიის ზღვიდგან ვიდრე შავზღვამდის და დაეშენენ მუნ დროსა საქართველოს მეფისა გვუარამ ბაგრატიონისასა. მეფე ესე მარადის ბრძოდა და ავნებდა მათ, რათა დაეტევებინა ადგილი იგი; და მაშინ მივიდნენ ბეგნი ამათნი წინაშე კეისრისა იუსტინიანესა და სთხოვეს შუამდგომლობა მეფისა თანა საქართველოს და აღუთქვეს მსახურება ვა ქვეშევრდომთა და მაშინ სთხოეა მეფესა საქართველოსასა კეისარმან ზავყოფა მათთანა და ამანაც ინება და რომელნიმე დაასახლა მთასა შინა კავკასიისათა — ცარიელთა ადგილთა და ხუნძახსა შინაცა, რომელ აწ იწოდებიან ავარიელებად. უჩინებულესი მათგანი მოიყვანნა და დაასახლა ქართლსა შინა და იყვნენ თავადობისა ხარისხითა. ამათ შთამომავლობათაგან დაიდგინა მთავრად შიდა ქართლისა კონსტანტინე და რომელიც ეწამა სპარსთაგან ქრისტესათვის და მერმე ამისა შთამომავლობათაგან თორნიკე დაიდგინა ერისთავად ქსნისა, რომელმანცა დროსა რომანოზ კეისრისასა ბრძო წინააღმდეგთა მისთა და ძლევა შეიმოსა მტერთა ზედა მისთა, დროსა ბაგრატისასა მეფისასა და ამან თორნიკ ერისთავმან დაუტევა სოფელი და მიიღო მონაზონება და წარვიდა ათონის მთასა შინა. შემდგომად ამისა იყუნენ მონათესავენიცა მათნი ერისთავად, გარნა ასწყდენ იგინიცა. მაშინ მართვიდნენ ქსანსა სხუადასხუა მოხელენი მთისანი და სხუანნი თავადნი სხვათა და სხვათა დროთა შინა. უკანასკნელ დროსა მეფისა რუსუდანისასა იქმნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და ბრძოლაჲ ნოინთაგან, მაშინ მოვიდნენ ეს აწ წოდებულნი ერისთავთა წინაპარნი სამეფოსა ოსეთის ხეობითგან, რომელიც არის ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჭიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარსა შინა გუარნი მათნი. ამათნი უკუჰ მოვიდნენ ორნი მამანნი: პირველს ეწოდა ბიბილა, მეორესა რატი, რომელნიცა დაეშენნენ ქსნის ხეობასა შინა, წელსა ქეს აქეთ 1235. ბიბილა უკჰ დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენაფნვეს, რომელი აწ იწოდების იფნევად. რატი დაესახლა ყამურის ხეობასა შინა და უკა-

ნასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412-სა შინა და იწოდენ ბიბილურები ქვენაფნოვლებად გუარითა და იყვნენ ნაიბად ერისთავთა და მართვიდენ ადგილთა მათ. შემდგომად რა მიიღო მეფობა სვიმონ მეფისა ბაბაქან დაეთხანად წოდებულმან, ამან იმოყვრა ელიზბარ ქვენაფნოველი და დაუმტკიცა ერისთობა გასამტკიცებლად თავისა თვისისა, წელსა ქეს აქეთ 1569 და მუნითგან იწოდებან გვარნი ამათნი ერისთავად, რომელიცა ამათ შთამომავლობათა შინა იქმნებოდა პირველი, იგი მიიღებდა მხოლოდ ერისთობასა" [1]. არსებობს დავით ციციშვილის „შემოკლებითი მოთხრობა" საქართველოს თავად-აზნაურთა გვარ-შთამომავლობის შესახებ, მაგრამ ის იმდენად უვარგისია, რომ ჩვენ მას ანგარიშს არ ვუწევთ (ეს დოკუმენტი ინახება ისტორიის ინსტიტუტში).

როგორც ვხედავთ, ამ წყაროს ცნობები საგრძნობლად განსხვავდება „ძეგლი ერისთავთას" ცნობებისაგან. რა საბუთებით სარგებლობდა ამ წყაროს ავტორი, როცა ასეთ ისტორიას წერდა, ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლიან. რა თქმა უნდა, ისე როგორც „ძეგლი ერისთავთა" ეს წყაროც, ვიტყოდი, კიდევ უფრო მეტს გაუგებრობებსა და საეჭვო ადგილებს შეიცავს. თუნდაც ის ფაქტი, რომ თორნიკე ერისთავი ქსნის ერისთვიანთ წარმომადგენელი გონია ავტორს, საეჭვოდ ხდის მის ცნობებს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ამ წყაროს ცნობები ხელაღებით უარვყოთ.

ამ ორი წყაროს ცნობები ქსნის ერისთავთა გვარეულობის შესახებ საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც დავინახეთ, „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით პირველი ერისთავი როსტომია, რომელმაც ერისთავობა მიიღო იუსტინიანეს დროს. როსტომის შემდეგ ერისთავობს ლარგველი, შემდეგ დიმიტრი, ხოლო დიმიტრის შემდეგ 24 ერისთავი იყო, რომელთა შესახებ ძეგლის ავტორმა არაფერი იცის. იოანე ბატონიშვილი როსტომს არ ასახელებს, მას პირველ ერისთავად მიაჩნდა კონსტანტინე, რომელიც სპარსებთან ბრძოლაში დაიღუპა. კონსტანტინეს შემდეგ თორნიკე ერისთავობს, ხოლო „შემდგომად ამისა იყვნენ მონათესავენიცა მათნი ერისთავად, გარნა ასწყდენ იგინიცა. მაშინ მართვიდნენ ქსანსა სხუადასხუა მოხელენი მთისანი და სხუანნი თავადნი სხვათა და სხვათა დროთა შინა".

---

[1] საქ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილების ფონდი S, საბ. 550.

ორივე ავტორი აქ ერთნაირ მდგომარეობაში ვარდება, მათ ცნობები არ ყოფნით და საკითხს მარტივად წყვეტენ: ერთის მიხედვით გარდაიცვალა 24 ერისთავი და შემდეგ XIII საუკუნის ამბებით იწყებს თხრობას, მეორეს მიხედვით კი თორნიკეს სიკვდილის შემდეგ საერისთავო თუმცა არ მოიშალა, მაგრამ მას „მართვიდნენ“ „სხუადასხუა მოხელენი“. ხოლო „უკანასკნელ დროსა მეფისა რუსუდანისასა იქმნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და ბრძოლაჲ ნოინთაგან, მაშინ ჰოვიდნენ ეს აწ წოდებულნი ერისთავთა წინაპარნი სამეფოსა ოსეთის ხეობითგან, რომელიც არის ნარად წოდებული ადგილი, რომელნიცა იყვნენ გვარით გორჭიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარსა შინა გუარნი მათნი. ამათნი უკჳ მოვიდნენ ორნი მამანნი; პირველს ეწოდა ბიბილა, მეორეს რატი, რომელნიცა დაეშენნენ ქსნის ხეობასა შინა, წელსა ქეს აქეთ 1235. ბიბილა უკუჳ დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენაფნვენს, რომელი აწ იწოდების იფნევად, რატი დაესახლა ჟამურის ხეობასა შინა“.

ამრიგად, იოანე ბატონიშვილი ქსნის საერისთავოს წარმოქმნას ადრინდელად მიიჩნევს, ხოლო ქსნის ერისთავების გენეალოგიას XIII საუკუნიდან იწყებს. ერთი შეხედვით, მართლაც, თითქოს ეს უფრო სწორი და მისაღები უნდა იყოს, რადგან XIII საუკუნეში შინაპოლიტიკური არეულობისა და გარეშე ძალის (ამ შემთხვევაში მონღოლების) გავლენით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში დიდი ცვლილებები მოხდა და სხვა ამბებთან ერთად ბევრი, მანამდის ცნობილი ფეოდალური გვარი ჩამოვიდა პოლიტიკური ცხოვრების სცენიდან. მათ მაგიერ სხვები აღზევდნენ.

ქსნის ერისთავების ოსთაგან წარმომავლობა არ უნდა იყოს არაჩვეულებრივი რამ, მითუმეტეს, რომ ამ ხანებში საქართველოსა და ოსეთის სამეფო კარს შორის ჯერ კიდევ პატრონყმური ურთიერთობა იყო და შეიძლებოდა საქართველოს მეფეს, რომელიმე, თუნდაც წარმოშობით ოსი, მითუმეტეს, რომ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა ეროვნულ განსხვავების ნიშნებს არ აქცევდა ყურადღებას, საქვეყნოდ გამრიგედ—ერისთავად დაესვა. თითქოს მოტანილი წყაროს ცნობის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ის გარემოებაც, რომ ჟამურში დღესაც არიან გოჭაევები და არსებობს სოფელიც—გოჭაანი და საშუალო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი დიდი „ციხე-ქალაქი“ ბერ-ციხედ სახელდებული. აღსანიშნავია ქსნის ერისთვიანთ გვარში დარჩენილი ზეპირგადმო-

ცემა მათი ოსთაგან შთამომავლობის შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია.

ახლა გასარკვევი რჩება, მაინც როდის უნდა წარმოშობილიყო ქსნის ხეობაში საერისთავო?

სამწუხაროდ, ერისთავთა ინსტიტუტის წარმოშობისა და ამ საინტერესო თანამდებობის განვითარების შესახებ რაიმე მონოგრაფიული გამოკვლევა არ არსებობს.

საერთოდ მიუთითებენ, რომ ერისთავობა ძველთაძველი ინსტიტუტია საქართველოში. უკანასკნელი არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებმაც საქართველოში პიტიახშების არსებობა დაადასტურეს, გვაფიქრებინებს, რომ ერისთავის ინსტიტუტი წინაქრისტიანული ხანისა უნდა იყოს, რადგან პიტიახში ერისთავის შესატყვისი ცნების გამომხატველია. საერთოდ, არ არის გამორიცხული, რომ ერისთავის ინსტიტუტი საქართველოში სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად გაჩენილიყო.

თუ ამ მოსაზრებიდან გამოვალთ, მაშინ ქსნის საერისთავოს წარმოშობის საკითხსაც ცოტა სხვანაირად უნდა შევხედოთ, და იმ ტრადიციულ გადმოცემაში, რომლის მიხედვით ქსნის საერისთავო VI საუკუნეში წარმოიშვა, ერთგვარი კორექტივი უნდა შევიტანოთ.

პროფ. ირიდიონ სურგულაძემ თავის გამოკვლევაში — „ძეგლი ერისთავთა და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის", ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ საგულისხმო დაკვირვება მოგვცა. მისი აზრით „ძეგლის მიხედვით ერისთავობის წარმოშობა და როსტომის გაერისთავება ერთი მთლიანი მოვლენის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ სავსებით თვალსაჩინოა, რომ ეს ორი მოვლენა, იმ შინაარსით, რომელსაც ისინი ძეგლში ატარებენ, ქრონოლოგიურად ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაემთხვევიან" [1].

ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერისთავობის დაწესებას ფარნაოზს მიაწერენ. ლეონტი მროველი წერდა: ფარნავაზმა „განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი" [2].

ლეონტი მროველს მოცემული აქვს მთელი სია იმ ერისთავებისა, რომლებიც ფარნავაზმა „განაწესა".

ძველი ქართული საისტორიო წყაროების ცნობებზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ არსებობდა გარკვეული შეხედულება საერისთავო-

---

[1] ენიმკის მოამბე, ტ. XIII, გვ. 221.

[2] მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 20.

ების დაარსებისა თუ მოწყობის შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა ვახუშტის ერთი ცნობა; ხუნანის შესახებ ვახუშტი ამბობს: „მეფემან ფარნაოზ ყო საერისთოდ, ვინათგან იყო ქალაქი და ნაპირის ადგილი“ [1].

იმავე ხუნანის შესახებ ვახუშტი წერს: „გარნა არს ძველად საერისთო ხუნანისა. შემდგომად აქუნდა თჳსი ერისთავი (რომელსა იტყვიან აწინდელსა ხანსა, რამეთუ ოდეს მიიღო შაბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ: გექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა)“.

მაშასადამე, საერისთავოს დაარსების ერთ-ერთი პირობა ის ყოფილა, რომ ის უნდა წარმოადგენდეს „ნაპირის ალაგს“, საიდანაც იწყება „შესავალ-გამოსავალი“, რა თქმა უნდა, „მონაპირეობა“ ერთ-ერთი პირობა იყო და არა ერთადერთი.

თუ ჩვენ „ნაპირის ალაგის“ პრინციპს დავუდებთ საფუძვლად ქსნის საერისთავოს წარმოშობის საკითხს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ქსნის საერისთავო იმაზე უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე მის შესახებ ჩვენ სანდო და უტყუარი ცნობები გაგვაჩნია.

რას წარმოადგენს გეოგრაფიულად ის ტერიტორია, რომელზედაც საერისთავო აღმოცენდა? „ძეგლი ერისთავთა“—ეს უძველესი ქრონიკა, სადაც ქსნის ხეობაში საერისთავოს წარმოშობის შესახებაა ლაპარაკი გვარწმუნებს, რომ საერისთავო ცხრაძმის ხეობაში გაჩნდა. ახლად წარმოშობილ საერისთავოს რეზიდენცია ქვენიფნევში მდებარეობდა. საერისთავოს საზღვრები ცხრაძმის ხეობას სცილდებოდა. საერისთავოში ცხრაძმის ხეობის გარდა შედიოდა: ჭურთის, ქარჩოხის, ჟამურის, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის, და პატარა ლიახვის ხეობები. ე. ი. ქართლის თითქმის მთელი მთიანეთი ერისთავების ხელში იყო. ამ ტერიტორიაზე გამოვლით იმიერკავკასიიდან მოიმართებიან გზა-ბილიკები ქართლისაკენ.

აღვნიშნოთ მთავარი გზა-ბილიკები.

სბის გადმოსავალიდან ერთი გზა ჩაფარუხზე გავლით პატარა ლიახვით ქართლში ჩამოდიოდა. ამავე გადმოსავალიდან გზის მეორე განშტოება სოფელ ედისზე გავლით ერმანდონის ხეობას ჰკვეთდა და ყელის ტბით ჟამურისა და ქსნის ხეობაში გადმოდიოდა. ზემო-ერმანიდან ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზა თრუსოს ხეობაში გადადიოდა. ეს გზა თრუსოს ხეობას მაღრან-დვალეთთან აკავშირებდა. ზემო-ერმანიდანვე მეორე გზა-ბილიკი ერხოტის მთებით

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 45.

არაგვის ხეობაში გადადიოდა და მლეთასთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდებოდა.

ლომის-ოხირის გადმოსასვლელით არაგვის ხეობიდან გადმოდიოდა გზა-ბილიკი და ქარჩოხის ხეობაში რამდენიმე განშტოებად იყოფოდა. ერთი განშტოება მდინარე ქსანს მოჰყვებოდა სამხრეთით და ახალგორში „საქალაქო გზას“ უერთდებოდა. მეორე განშტოება ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა და ჟამურზე გავლით დვალეთში გადადიოდა. ხოლო მესამე განშტოება დასავლეთით მიდიოდა და ძაბუეთ-ხოზუეთზე გავლით ჭურთის, რეხულრის, ისროლის ხევს ჰკვეთდა და მეჯვრისხევში ჩადიოდა. იყო სხვა გადმოსავალი და გზა-ბილიკებიც. კერძოდ, ცხრაძმის ე. წ. უკანაუბნის, დადიანეთის, ცხავატის, საფერშეთის, ალევის და სხვა, რომლებიც არაგვის ხეობასა და ქსნის ხეობას აკავშირებდა. გადმოსასვლელები და გზა-ბილიკები ჩვენ დაწერილებით განხილული გვაქვს სხვა ნაშრომებში და აქ აღარ შევჩერდებით.

მტერი ამ გზა-ბილიკებით სარგებლობდა, როცა იგი ჩრდილოეთიდან შემოესეოდა, ანდა, როცა არაგვის ხეობას დაიძალებდა იქიდან, ამ გზა-ბილიკებით ქსნის ხეობაში გადმოდიოდა, ქსნის ხეობიდან კი—ქართლის შიდა ველებში. საამისო ცნობები ძველ ქართულ ნატიანებში საკმაოდ ბევრია და ყველას დამოწმება არ არის საჭირო, მაგალითისათვის მხოლოდ შემდეგს დავასახელებთ.

ჟამთააღმწერელის ცნობით, დავით მეფის წინააღმდეგ, როცა ის მთაში იყო გამაგრებული, ხუტლუშამან „... აიყარა ღამით გზასა ლომისის თავისასა, დაესხა ქართლს, დაღა თუ ვინმე დარჩომილ იყო, მოსრა და ტყვე ჰყო, და მოაოკრეს ქართლი, და წარვიდა ყაინს ყაზანს წინაშე“ [1]. თითქმის ყველა ეს გადმოსასვლელი ჩაკეტილია ციხე-სიმაგრეებით, გზა-ბილიკებზე უხვადაა საყარაულო-სათვალთვალო კოშკები. ჩვენ გვგონია, რომ ისეთ ციხე-სიმაგრეებს, როგორიცაა: წირქვალის, ხადის, უკანუბნის, ქარჩოხისა და ბერციხის (ჟამურშია უკანასკნელი), საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ქსნის ხეობის ჩარჩოებს სცილდებოდა. ეს ციხეები თავისი სიდიდით ამ ხეობაში არსებულ სხვა ციხე-სიმაგრეზე დიდებია, და უფრო ადრინდელიც. ბერ-ციხე თავისებურ ციხე-ქალაქს მოგვაგონებს.

ბერ-ციხე სოფელ ხეთაანთსა და თოგოიანის შორის, ორხევს შუა, სოფ. ქვემო ბაგინის ძირში მდებარეობს. ბერ-ციხე, როგორც 1945 წლის სექტემბერში ადგილზე შესწავლით გამოვარკვიე, წარმოად-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ტომი I, ს. ჯიჯინაძის გამოცემა, გვ. 634.

გენდა თავისებურ „ციხე-ქალაქს“. იგი მაღალ კლდეზე მდებარეობს. კლდეს დასავლეთის მხრივ 100 მეტრამდე სიმაღლე აქვს; სამხრეთის მხრივ—100 მეტრზე მეტი, ხოლო ჩრდილოეთიდან—25 მეტრი. კლდის თავზე ერთგვარი დავაკება ყოფილა, რომლის ფართობიც 250 მეტრს აღემატება. მას ერთადერთი მისასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონდა, რომელიც ბუნებრივი მონაცემებით საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული. ამ ბუნებრივი სიმაგრისათვის ხელოვნური კლდე-გვირაბიც დაუმატებიათ და ციხე-ქალაქი კიდევ უფრო მიუვალი გაუხდიათ.

კლდის თავზე ციხე-კოშკები, საცხოვრებელი დარბაზები, სამლოცველო-ეკლესიები და საწყობ-მარნები აუშენებიათ. ციხის განლაგება ასეთია: ჩრდილოეთის მხარეს მოთავსებულია მაღალი ციხე-კოშკი. ამ კოშკიდან მოჩანს ციხეზე მისასვლელი ყველა გზა, ამიტომ იგი სათვალთვალო კოშკი უნდა ყოფილიყო. ამ კოშკის სამხრეთით საცხოვრებელი ბინები ყოფილა, მისი სამხრეთით სამრეკლო მდებარეობს, უფრო სამხრეთით—ეკლესია, ხოლო ეკლესიის სამხრეთით კვლავ საცხოვრებლები ყოფილა. ეკლესიის ძირა სართული წარმოადგენს მარანს, საწყობს, საკუჭნაოს; აქ დღემდე შემონახულია ქვევრები.

განსაკუთრებით საყურადღებოა უკანუბნის ციხე. იგი ცხრაძმის ხეობის დასასრულს მდებარეობს, სწორედ იმ ხეობაში, სადაც გადმოცემით, პირველად საერისთვო წარმოიშვა. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი სწორკუთხედია, ხოლო დანარჩენი კედლები კონუსის ფორმისაა. ციხეს არტყია უზარმაზარი ლოდებისაგან გაკეთებული გალავანი. ის ფაქტი, რომ ციხეს „სათოფურები“ არა აქვს უთუოდ მის სიძველეზე მიგვითითებს. გადმოცემით, როცა როსტომი გაერისთავდა მათ „იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა“.

როგორც ვხედავთ, ქსნის ხეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. იგი ერთის მხრივ, იმიერკავკასიიდან მომავალ გზებს უყრიდა თავს, ხოლო მეორეს მხრივ, ძნელბედობის ჟამს ბარად დამარცხებულ ქართელთა თავშესაფარს წარმოადგენდა. ყველა ამის გამო საქართველოს სამეფო კარს არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაეტოვებინა ეს ხეობა; მას აქ უნდა ჰყოლოდა ხელისუფალი, რომელიც გადმოსასვლელ გზა-ბილიკებს დაიცავდა და წესრიგში მოიყვანდა თავშესაფრებს. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ქსნის საერისთავო, როგორც მმართველობის გარკვეული ინსტიტუტი ადრე უნდა გაჩენილიყო, ე. ი. იმაზე უფრო ადრე, ვინემ მის შე-

სახებ ცნობები გაგვაჩნია. ერისთავიანთ ქრონიკის—„ძეგლი ერისთავთას“ ცნობა, იუსტინიანეს დროს ბიბილურების გაერისთავების შესახებ, არ სწყვეტს საერისთავოს წარმოშობის საკითხს. შეუძლებელია ხალხმა, რომელმაც როსტომ ბიბილური ერისთავად დანიშნა, ერისთავობის შესახებ არაფერი იცოდა. „ძეგლი ერისთავთა“, ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული, თუ რა საკითხს ეხებოდა ძეგლის დაკარგული ნაწილი, ეს ჩვენ არ ვიცით; ჩვენამდის მოღწეული ტექსტი კი ასე იწყება: „დასაფლავებისათჳს საფლავი მისცეს ხოლო ერისთობაჲ არავისი ინებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევითარსა, რომელმანმცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით და იგიმცა დაამკჳდრეს შუა ქუეყანასა მათსა“ [1]. ვინ არის ეს „იგიმცა“? რა ეწოდებოდა ამ ხელისუფალს, რომელმაც ეს თანამდებობა პატივით მიიღო და არა მძლავრობით? „მამასახლისი“? არ ვიცით. რომ აქ რაღაც ხელისუფალზეა ლაპარაკი, ცხადია. მოტანილ ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ერისთავის ხელისუფლება ნაცნობია ამ ხალხისათვის, მაგრამ ერისთავობა, მათი გაგებით, უნდა „პატივით“ მიიღო და არა მძლავრობით. როცა როსტომმა ხალხში დაიმსახურა, „შემდგომად მცირედისა ჟამისა იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან ახოვად ერისთაობისა ბირებითა ერისაჲთა, რამეთუ იტყოდეს: ვისიცა იყოს საფლავი მას შეაგავს ეკლესიაჲ და ყოველი მიმდგომი მისი“ [2].

„ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა შ ი“ მოცემული კოლექტივი ერისთავის გარდა სხვა მოხელეებსაც იცნობს, კერძოდ, მამასახლისს და ციხისთავს.

როგორც აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ შენიშნა, „ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა ს“ მამასახლისი „უკვე გვაროვნულ საზოგადოების წარმომადგენელი კი არ არის, იგი მეფის მოხელეა, მისი „პატივი და ჭელი (თანამდებობა) მეფეთაგან არის მოცემული“ [3].

დანამდვილებით არ ვიცით ვისია ის ნივთები, რომელიც ქსნის ხეობაშია ნაპოვნი და „ახალგორის განძის“ სახელდებით არის ცნობილი. ის სოფელი (საძეგური), სადაც ნივთები აღმოჩნდა, ქვენიფნევიდან (ერისთავების პირვანდელი რეზიდენცია) ორი კილომეტრითაა დაშორებული. 1945 წლის სექტემბერში არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის მიერ აქ წარმოებულმა სადაზვერვო გათხრებმა დაადას-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, ძეგლი ერისთავთა, გვ. 344.

[2] იქვე, გვ. 346.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელ ფეოდალურ გზაზე, გვ. 31.

ტერეს, რომ ხსენებული ნივთები განძს კი არ წარმოადგენს, არამედ სამარხის ნივთებია, რაც უსათუოდ იმას მოწმობს, რომ იმ ხანად (VI—V სს.) ამ ხეობაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ასეთ ფუფუნების საგნებს ხმარობდნენ, რაც, თუმცა არა პირდაპირ, იმაზე მიუთითებს, რომ ქსნის ხეობაში მაღალი წოდებისა და თანამდებობის პირნი ყოფილან.

იბადება კითხვა, თუ ქსნის ხეობას მართლაც ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ჩვენ ის წარმოვიდგინეთ, ხოლო ქსნის ხეობაში ერისთავობა ადრევე არსებობდა, მაშ რითი უნდა ავხსნათ, რომ ქართულ მატიანეებში ქსნის ერისთავებზე არაფერია ნათქვამი ჟამთააღმწერელამდის? მართლაც, თამარის ისტორიკოსი შემდეგ ერისთავებს ასახელებს: „ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ლიხთ-იმერით: ბარამ ვარდანისძე—სვანთა ერისთავად, კახაბერი—რაჭისა და თაკუერის ერისთავად, დოთაღოდ შარვაშისძე—ცხუმის ერისთავად, ამანელისძე არგუეთის ერისთავად, და ოდიშის ერისთავად ბედიანი. ლიხთ-ამერით: ქართლის ერისთავად—რატი სურამელი, და კახეთის ერისთავად—ბაკურ ყრმა, ძაგანისძე, და ჰერეთის ერისთავად—გრიგოლისძე ასათ... და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი“ [1].

თუმცა მატიანეები ხშირად ერთმანეთში ურევენ ერისთავებსა და ერისთავთ-ერისთავებს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მოტანილი ციტატის ერისთავნი ნამდვილად ერისთავთ-ერისთავნი არიან, და ამიტომ ქსნის ერისთავთა აქ არ მოხსენება სრულიადაც არ ნიშნავს ჩვენი დებულების საწინააღმდეგო მტკიცებას.

შინაარსობრივად, ერისთავთ-ერისთავი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მისი ქვეშეთი მოხელენი ერისთავნიც არიან. ერისთავთ-ერისთავების ტერიტორია უფრო დიდი სამხედრო ადმინისტრაციული ერთეულია, საერისთავო ერისთავთ-ერისთავების ტერიტორიის ნაწილია. თუ ასეთ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ გასაგები გახდება: თუ რატომ არ იყო ნახსენები ქსნის საერისთავო. ქსნის საერისთავო ტერიტორიულად ქართლის საერისთავოში შედიოდა, ამის შესახებ ჩვენ უტყუარი საბუთებიც გაგვაჩნია. აბულასანი იყო ქართლის ერისთავთ-ერისთავი და ამირათამირა, რომელიც ამავე დროს იყო

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 79, კეკელიძის გამოცემა.

„შ ე ნ ნ ა მ ი ე ულ ე თ ა პ ა ტ რ ო ნ ი“. თუ მსჯელობა სწორია, ეპიკვნაც თითქოს შესაფერისი უნდა იყოს.

ჩვენს მიერ განვითარებული მსჯელობიდან შემდეგი ძირითადი ეპიკვნები გამომდინარეობს.

ქსნის საერისთავო უნდა წარმოშობილიყო მაშინ, როდესაც საერთოდ საერისთავოები წარმოიქმნენ საქართველოში.

ქსნის საერისთავო საშუალო საუკუნეებში ქართლის საერისთავოში შედიოდა.

მას შემდეგ, რაც გარკვეული შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარების ცვლილებების შედეგად ქართლის საერისთავო მოიშალა, ქსნის საერისთავო ქართლის საერისთავოს გამოეყო და დამოუკიდებლობას მიაღწია.

ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების შედეგად საქვეყნოდ გამრიგე მოხელე ერისთავები სამოხელეო სარგოს, რომელიც მათ ოდესღაც მეფისაგან მიიღეს, თანდათან სამემკვიდრეოდ გადააქცევენ. ეს პროცესი არის ერისთავთა საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობიდან მათი დამოუკიდებელ ფეოდალებად გადაქცევის პროცესი. ამ ფონზე ქსნის საერისთავოც თანდათან ჩამოყალიბდა „დამოუკიდებელ“ სათავადოდ.

გვიანფეოდალური ქსნის საერისთავო ტიპიური სათავადოა, რომელიც შეიცავს სათავადოსათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ატრიბუტს.

ქსნის საერისთავოს სათავადოდ გადაქცევის პროცესი XV საუკუნისათვის ძირითადად დამთავრდა. ერისთავებს ამ ხანისათვის გააჩნიათ საგვარეულო საძვლე, ციხე-დარბაზები, ერთიანი ტერიტორია შესაფერი ყმა-მამულით, ახლა უკვე მათ უჩნდებათ სურვილი მოპოვებული გამარჯვება ისტორიული დამსახურებით ახსნან და წერილობით გააფორმონ, საკუთარი ისტორია დაწერონ. ამ მოთხოვნილებით არის გამოწვეული „ძეგლი ერისთავთას“ შექმნა.

ქსნის ერისთავები თავიანთ ყმა-მამულს საუკუნეების განმავლობაში ზრდიდნენ და ტერიტორიასაც აფართოებდნენ.

გადმოცემით, საერისთავო პირველად შვიდი ხეობისაგან შედგებოდა და ატარებდა ცხრაძმის საერისთავოს სახელს, ხოლო ერისთაველებს ცხრაძმის ხევის ერისთავები ეწოდებოდათ[1].

---

[1] ე. თ ა კ ა ი შ ვ ი ლ ი Арх. экск. IV, стр. 149—150.

შემდეგში საერისთავოს საზღვრები საგრძნობლად გაფართოვებულა. ასე, რომ XIV საუკუნის დამდეგისათვის, დავით დემეტრეს ძის მეფობის დროს, შალვა ქვენიფნეველის სამფლობელოში შედის „ყოველი ცხრაზმის კევის“ გარდა ქარჩოხი, ქოლოთი, ისროლი [1]. ხოლო დავითის ძმამ, ვახტანგ მესამემ შალვა ქვენიფნეველს უბოძა: თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მლეთე, არაკვეთი, ჯანდო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორანი, დიღუამი, გავაზი, აწერის, ჭევი, ბეკუშე [2].

აქ მოხსენებულ აბაზასძეთა მამულის მდებარეობის გამორკვევა ხერხდება თვით „ძეგლში“ დაცული ცნობების მიხედვით. ვახტანგის შემდეგ გიორგი რომ გამეფდა, „აბაზასძე ნავროზ წარვიდა სპარსეთად. მაშინ მეფემან უბრძანა შალვას მოდგომად ციხესა ლოწობნისასა. მაშინ შალვა მოადგა ლოწობანს და ჰბრძოდა სასტიკად ოთხ დღე და მეხუთესა დღესა აიღო იგი“ [3].

ლოწობანის ციხე, ანუ როგორც დღეს უწოდებენ ლ ო რ წ ო მ ნ ი ხ კლდე, მართლაც არის ქსნის ხეობაში. ამ ცნობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან ჩანს, რომ ამ დროისათვის ქსნის ერისთავების სამხრეთის საზღვარი ქსნის ხეობის ბარის ზოლში ჯერ კიდევ არ ჩამოდიოდა და აქაური სანახები აბაზასძეებს ეკუთვნოდათ.

XIV საუკუნეში ქსნის ხეობაში შედიოდა აგრეთვე ეამურის ხეობა, ქნოლო და მაღრანდვალეთი.

ქსნის საერისთავოს საზღვრების დადგენისათვის საინტერესო ცნობებს შეიცავს შალვა ქვენიფნეველის 1470 წლის გუჯარი. ამ გუჯარში დასახელებულია ის სოფლები, რომელიც შალვას შეუწირავს ლარგვისის მონასტრისათვის: ახალუბანი (მეჯუდის ხეობაში), ივრეთი, ქურთა და სოფელი ჰერედან (ქსანზე) [4]. ჩანს, ქსნის ერისთავებს თავიანთი საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით საგრძნობლად გაუფართოვებიათ და ქართლის ველებზე ფეხი მოუდგამთ.

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა. ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

[2] აქ მოტანილი სია სრული არ არის, რადგან ძეგლის გადამწერს შენიშნული აქვს: ამაში ამოფუზეკილია „ყარგა ალაგი“, შ. მესხია, იქვე, გვ. 348, შენ. 33.

[3] შ. მ ე ს ხ ი ა, იქვე, გვ. 348.

[4] ტექსტში ნათქვამია: „აღვაშენენ სოფელნი: მეჯუდისკევს სოფელი ახალუბანი ასეთსა ადგილსა, რომე ადამისითგან იქი კაცი არ სახლებულ-იყო, შემოუკრიბენ მამულნი და უჩინე მზღვარი ყოვლისა კაკისაგან უსარჩელი... სოფელი ივრეთი, რომელ (რ ლ) მურვანის ეამსა უკანით კაცი არ სახლებულ იყო. აგრეეე ქსანზედა სოფელი...“ (იხ. საქ. სიძველენი, III, გვ. 558).

ყმა-მამულის გაზრდა-გაფართოვება ფეოდალის მთავარი საზრუნავი იყო; ამ თვალთახედვით უყურებს იგი ცენტრალურ ხელისუფლებას და მეზობელ ფეოდალებს.

ცალკეული სათავადოების მონოგრაფიული შესწავლა ნათელყოფს, რომ თავადები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დეცენტრალიზაციას მოითხოვდნენ, ხოლო თავიანთ სათავადოში ცენტრალიზაციას იცავდნენ.

გვიანფეოდალურ საქართველოში თავისუფალი ყმა-მამული აღარ არსებობდა; ქვეყანა დაყოფილი იყო ცალკეულ სამთავრო-სათავადოებად. ქართული სამეფო ამ სათავადოთა კრებულია. ყველა მთავარს თუ თავადს სურდა თავისი სამფლობელო გაეფართოვებინა და რადგან თავისუფალი, გასაყოფი ქვეყანა აღარ არსებობდა, ამიტომაც თავადი მეზობლისაკენ იყურებოდა, ეძებდა მოხერხებულ შემთხვევას, რათა რაიმე წაეგლიჯა მისთვის.

რა თქმა უნდა, ამ მხრივ ქსნის ერისთავებიც არ წარმოადგენდნენ გამონაკლისს. როგორც დავინახეთ, მათ არაგვის ერისთავებსა და აბაზასძეებს წაართვეს პროვინციები და თავის სამფლობელოს მიუმატეს. XVII საუკუნეში იასე ქსნის ერისთავმა, ანდუყაფარ ამილახორთან ერთად, ღაზნელთა გვარი ამოსწყვიტა და თავის სამფლობელოს მიუმატა საღაზნელოს დიდი ნაწილი, დანარჩენი თავის თანამონაწილე ამილახორს დაუთმო.

ქსნის ერისთავები დროთა განმავლობაში აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოს და დავით ერისთავის დროს (1753—1774) ქსნის ერისთავების სამფლობელოში შედიოდა: ქსნის, ალევის, საფერშეთის, ჭურთის, ცხრაძმის,[1] ქარჩოხის, ჟამურის ხეობები, მაღრან-დვალეთის სანახები, ლეხურის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, წრომის, პატარა ლიახვის ხეობები და გვერდის ძირი.

სასაზღვრო ხაზი დაახლოებით ასეთია:

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ ქსნის საერისთავოს ესაზღვრებოდა არაგვის საერისთავო. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა ლომისის მთიდან და მიემართებოდა სამხრეთისაკენ: ქარჩოხის მთები, ცხრაძმადადიანეთის მთები, ცხავატის სანახები, საფერშეთის სანახები, ალევის მთები,

---

[1] ცხრაძმის ხეობის ნამდვილი სახელი ისტორიული წყაროების მიხედვით (ვახუშტი—აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ჟურულების სისხლის სიგელი, საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთარი 23, საბ. 145 და სხვ.) არის ცხრაზმის ხეობა, ჩვენ დღეს გავრცელებულს სახელს ვხმარობთ.

სამებისა და ლორწომნის მთები, ჯვარისუბნისა და დელკან-ჭორჭოხის სანახები, სოფელი სარბიელი, სოფ. ნაგომევი, მჭადიჯვრის სანახები (ეს უკანასკნელი ქსნის ერისთავებს არ ეკუთვნოდათ), ილიტოზა, ოძისი.

სამხრეთით ქსნის საერისთავო სამუხრანბატონოს ესაზღვრებოდა. როგორც ვახუშტი ამბობს „ოძისამდე არს მუხრანისა, ოძის ჩდილოთ კერძი ქსნის ჟევისა“ [1].

სამხრეთ დასავლეთით ქსნის საერისთავო საამილახოროს ესაზღვრებოდა. ქსნის საერისთავოსა და საამილახოროს საზღვრად ვახუშტი ცხვილოსის მთას ასახელებს: „ამ მთის მიყოლვით, (ლაპარაკია ცხვილოსის მთაზე დ. გ.) დასავლეთისაკენ მეჯვდამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე... აწ უწოდებენ სამილახოროსა“ [2].

რიგი სოფლებისა ურთიერთ სამფლობელოში იყო შეჭრილი. ასე მაგ., სოფელი თეზი და ლამისყანა (ამილახორების სამფლობელოშია შეჭრილი) ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ, ხოლო ახმაჯი და ბოლი (ერისთავების სამფლობელოშია შეჭრილი) ამილახორებისა იყო. ასევე იყო მეჯუდის, პატარა ლიახვის, ლეხურისა და.სხვ. ხეობებიც. იყო ისეთი სოფლებიც, რომლის მცხოვრებთა ნაწილი ერისთავებს ეკუთვნოდათ, ნაწილი კი—ამილახორებს (მეჯვრისხევი, ცხვილონი, ზახორი და სხვ.).

საერისთავოს სამხრეთ-დასავლეთის სასაზღვრო ხაზი, დაახლოებით, ასეთია: თეზიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ლამისყანა, ახმაჯი, ბოლი (ორი უკანასკნელი ამილახორებს ეკუთვნოდათ), ერედა, ყანჩავეთი, ზახორი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, ფლავისმანი, კარალეთი, ტყვიავი.

ქსნის საერისთავოს დასავლეთის საზღვარი მიემართებოდა ტყვიავიდან პატარა ლიახვისაკენ და ფავლენიშვილების სამფლობელოსა და ე. წ. სავახტანგომდე აღწევდა.

ქსნის საერისთავო ჩრდილოეთით დვალეთს ემეზობლებოდა და მაღრან-დვალეთისა და ჟამურის სანახები საერისთავოში შედიოდა.

როგორც დავინახეთ, ქსნის საერისთავო საკმაოდ დიდ ტერიტორიას შეიცავდა, დიდ ტერიტორიასთან ერთად, ცხადია, მოსახლეობის დიდ რიცხვსაც ფლობდნენ. ქსნის ერისთავების საბუთებში არაერთგან მოიხსენებიან როგორც „ერმრავლიანი“, „ყმაალმატებული“ თავადები.

---

[1] ვახუშტი, აღწერა, გვ. 63.
[2] იქვე, გვ. 73.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში საერისთავოს მცხოვრებთა რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა, სამწუხაროდ, არ ხერხდება სათანადო საბუთების უქონლობის გამო. ჩვენამდის აღარ მოაღწია, უფრო სწორად, ჯერ არ აღმოჩენილა არც საერისთავოს შემოსავლის დავთრები. სადაც საერისთავოს კომლთა რაოდენობა ყოფილიყო მოცემული, და არც სხვა მსგავსი აღწერილობა. ვიცით კი, რომ ასეთები მართლაც იყო. როცა დავით ერისთავი და გიორგი ყულარაღასი იყრებოდნენ (1768 წელი), ქონების განაწილების საჭიროებამ ყმათა აღწერა გამოიწვია. შედგენილ იქნა აღწერის დავთრები, რომლებიც ერეკლეს მდივნებს გადაეცა. „მე და ჩემი სახლის კაცი რომ ვიყრებოდით,—სწერდა 1771 წელს დავით ერისთავი ერეკლე მეორეს,— ჩვენი კაცი ხომ სულ აიწერა და დავთრები თქვენს მდივნებსა აქუსთ“ [1].

საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში Hd 5750 ნომრით შენახულ საბუთშიც მოიხსენიება საერისთავოს ყმათა სია, მაგრამ არც ამ სიამ მოაღწია ჩვენამდის.

ქსნის ხეობის აღწერა ერეკლე მეორის ბრძანებითაც მომხდარა ორჯერ, „... გვებძანეს ჩვენ მათ მიერ, მონათა მათთა გარსევანის შვილს მგალობელს დიმიტრის და თუმანიშვილს ლაშქარნივისს მანუჩარს აღწერად ქსნისა, რომელთაცა აღვსწერეთ ბრძანებისაებრ მათის უმაღლესობისა. აღიწერა ენკენისთვის ე, ქორონიკონს უჟთ“ [2].

„... გვებძანეს ჩვენ მათ მიერ, მონათა მათთა თუმანიშვილს მდივნის გორჯასპის შვილს, მდივან ლაშქარნივის მანუჩარს და გარსევანაშვილს მგალობელს, ტეტიას აღწერად ქსნისა. აღვსწერეთ ბრძანებისაებრ მათის უმაღლესობისა. აღწერა თვესა ენკენისთვის ე, წელსა „უჟთ“ [3].

თითქოს ორივე ეს აღწერა ერთსა და იმავე დროსაა მომხდარი, მაგრამ, როგორც განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობდა, ტეტია გარსევანიშვილის „დავთრის დასაწყისი კეფი, რომელზედაც ეს შესავალი სწერია, მთელი დავთრის ტექსტისაგან განსხვავებული ხელითა და მელნით არის დაწერილი“ [4]. და გარდა ამისა, „დავთრის ტექსტიც ერთიმეორისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება შინაარსის დალაგებითაც, თვით აღწერილობის წესითაც და, რაც ყველაზე უფ-

---

[1] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთ. 36, საბ. 202.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკ. ისტორია, წ. I, გვ. 24, 1930 წ.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 24.

რო მნიშვნელოვანია, ცნობებითაც“ [1]. ამის გამო ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ტეტია გარსევანიშვილის დავთარი უფრო ადრინდელია,—„ან 1774 წლისა, ან ეგების უფრო ადრინდელიც იყოს“ [2]. დიმიტრი გარსევანიშვილის დავთარი კი ნამდვილად 1781 წელს არის შედგენილიო. რომ მართლაცდა ტეტია გარსევანიშვილის დავთარი 1774 წელს შეიძლება იყოს შედგენილი, ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ დავით ერისთავის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ყულარაღასი და დავით ერისთავის შვილები (დავით ერისთავი და გიორგი ყულარაღასი 1768 წელს რომ გაიყარნენ, 1771 წელს კვლავ შერიგდნენ) 1774 წელს გაიყარნენ, გაყრილობის გამო კი დავთრები, როგორც წესი, უნდა შედგენილიყო, რადგან დ. ერისთავის შვილები „წვრილები დარჩნენ“, ერეკლე მფარველობდა. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერეკლემ დაავალა გარსევანიშვილს, გიორგი ყულარაღასის მხრივ ბოროტების ჩადენის თავიდან ასაცილებლად, აეწერა საერისთავოს ყმათა რაოდენობა „—ჩვენი ბძანება არის ვინცა ვინ როსტომ ერისთვიშვილის წილი აზნაურშვილნი, მოხელენი, ქართველნი, თუ ოსნი ხართ ქსანზე, გვერდისძირზე, თუ ლიახვზე, მერე როსტომ, მისი ძმები და ბიძაშვილები რადგან წვრილები და ობლები არიან, ამათ ღთის გარდა სხვა მომლელი არა ვინა ჰყავთ. ამათ ჩვენ უნდა მოუაროთ და უპატრონოთ. თქვენ გიორგი ერისთავზე და იმის წილს ყმაზე ნურას დააშავებთ, და თუ ვინ იცის დააშავეთ რამე, ისინი ჩვენს სამართალში უნდა მოვიდნენ და სამართალი ჩვენგან გაიტანონ. თავისთავათ ისინი ნურას გარდაგახდევინებენ და თუ თავისთავათ გარდაგახდევინონ რამე, თქვენც მაგიერი უყავით და ჩვენც ერთი სამათ და ერთი ოთხათ გარდავახდევინებთ... “ [3].

მიუხედავად იმისა, რომ ორივე აღნიშნულ აღწერილობას ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს აღწერილობები მაინც არა სრულია. ისინი მხოლოდ ქსნის ხეობის შესახებ შეიცავენ ცნობებს.

საერისთავოში შემავალი სოფლების უფრო სრული აღწერილობა დაცულია იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილ სტატისტიკაში [4]. სამწუხაროდ, ამ აღწერილობაში მხოლოდ საერისთავოში შემავალი სოფლების სახელებია ჩამოთვლილი (თუმცა არა სრული) და მცხოვრებთა რაოდენობაზე არაფერია ნათქვამი.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქ. ეკ. ისტორია, წ. I, გვ. 25. 1930 წ.

[2] იქვე, გვ. 29.

[3] საქ. მუზეუმი ხელთნაწერთა განყ. ფ. Hd. 5341.

[4] საქ. მუზეუმი, ხელნაწ. განყ. ფ. S, 3729.

ზემოჩამოთვლილი წყაროების ცნობებს ავსებს ვახუშტის ცნობილ შრომაში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ დაცული ცნობები და 1803 წლის ბატონიშვილების ყოფილი ქონების უწყისები. არ შეიძლება ყურადღების გარეშე იქნას დატოვებული ის ცნობებიც, რომელსაც ერისთავის შვილებს შორის გაყრილობის, სხვადასხვა დროს შედგენილი, წიგნები შეიცავს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული წყაროები ერთსა და იმავე საკითხზე ერთმანეთს ხშირად არ ეთანხმებიან. ასე, მაგალითად, ცხრაძმის ხეობაზე ვახუშტი შვიდს სოფელს ითვლის „ცხრა ზმაზე სოფელი 7“ [1]. 1781 წლის აღწერით ცხრაძმის ხეობაში 13 სოფელია [2]. იოანე ბატონიშვილიც ცხრაძმაზე, ვახუშტის მსგავსად, შვიდ სოფელს ასახელებს, მაგრამ იქვე ამბობს „ამასვე მიეწერება მუჯუხი ოსები მოსახლენი“. 1803 წ. აღწერით [3] კი ამავე ხეობაზე 18 სოფელია [4]. ასევე განსხვავებულ ცნობებს შეიცავენ წყაროები: ყამურის, ქარჩოხისა და სხვ. ხეობების შესახებ.

წყაროებში ისეთი სოფლებიც მოიხსენიება, რომელთა ხსენება ქსნის ხეობაში დღეს აღარ არის: სიკდა, წინ (шин), ქოსიანი(косиани), ჯავთკარი, კუდი-კიმო (ყამურის ხეობაში), შატაგო-კარი, კვერიეთი, ქოვკეთი(ковкети)და სხვ. (ქარჩოხის ხეობაში). რიგი სოფლები კი, რომლებიც დღეს ქსნის ხეობაში არსებობს, წყაროებში არ ჩანს. მაგ., ჩიგოიანი, კორა (ყამურში), ძაბოეთი, წიპტაურები, დოჩიანი (ქარჩოხის ხეობაში) და სხვ.

ჩვენის აზრით, ასეთი სხვაობა შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით: რიგ სოფლებს, სადაც მცხოვრები უბნებად არიან დასახლებული, ვახუშტი და იოანე ერთ სოფლად სთვლიან, ხოლო 1803 წლის აღწერით ცალკე სოფლებად მოიხსენიება. ცხრაძმის ხეობაში არსებული სოფელი მუჯუხი 1803 წლის აღწერაში ოთხ სოფლად იხსენიება: მუჯუხი, წინსოფელი, ჩიჩიანთი და ლორი; მაშინ, როდესაც იოანე ბატონიშვილი პირდაპირ ამბობს „ამასვე მიეწერება მუჯუხი ოსები მოსახლენიო“.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 200.

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, გვ. 26; ე. თაყაიშვილი, თ. ს. უ. შრომები, 1951 წ., ტ. 45, გვ. 66.

[3] ბატონიშვილების ქონების უწყისში, რომელიც შედგენილია 1803 წელს, მოხსენებულ ქსნის ერისთავების სამფლობელოში შემავალ სოფლების აღწერას, პირობით, 1803 წლის აღწერას ვუწოდებთ.

[4] Акты, т. II გვ. 83.

საყურადღებოა, რომ დღესაც ქსნის ხეობაში ადგილობრივი მოსახლენი უბნებს ცალკე სოფლებად თვლიან, თუმცა წერილობით საბუთებში (რაიონის აღრიცხვის განყოფილება, სოფლის საბჭოს ალმასკომები და სხვ.) რეგისტრირებულია ერთ სოფლად. მაგალითად, სოფელი იკოთი შეიცავს ხუთ უბანს, ამიტომ იკოთელები ამ უბნებს თავთავის სახელს უწოდებენ: ზემო იკოთი, ქვემო იკოთი, ზანგურაანი, ნიაურები, გიგარაანი; სოფელ ცხავატს: გოგიაანი, ჟივთკარი, სუხაანი, გოგიჩაანი, ღაროეთი, ჩუმაანი, წინუბანი და სხვ. [1].

ის ფაქტი, რომ დასახელებულ წყაროებში მოხსენებული სოფლები ამჟამად არ არსებობენ, აიხსნება, ერთის მხრივ, უბნების ერთ-სოფლად მიჩნევისა და, მეორეს მხრივ, სოფლის „ამოვარდნით". ხშირად მთელი სოფელიც კი ნებსით თუ უნებლიედ აიყრებოდა თავის საცხოვრებელ ადგილიდან და ბედის საძიებლად მიდიოდა სხვაგან. შეიძლებოდა სოფელი თვით ერისთავს აეყარა და სხვაგან დაესახლებია. ამ საფუძველზე კი სოფელი, რომელიც გუშინ ამა თუ იმ სახელით იყო ცნობილი, ისპობოდა [2]. სოფლების „ამოვარდნა" თუ „მოსპობა" ქსნის საერისთავოში მით უფრო არ არის საეჭვო რომ აქ, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, სადაც მხოლოდ ორი კომლი სახლობს, იმასაც სოფელს ეძახიან. ასეთი სოფლები კი არც თუ ისე ცოტა იყო. მაგალითად, ბალხანთკარი 3 კომლისაგან შედგებოდა, შატაგოკარი—2 კომლისაგან, კუდიკომი—3, ლორო—2, ჩიჩიანთი — 3, თურქისტანი—3 და სხვა.

დავით ერისთავის ერთ-ერთ სიგელში ვკითხულობთ: „წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ... თქვენ, ჩვენს ერთგულსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურს აზნაურს, აზნაურის შვილს ავთანდილს და ძმასა შენსა ნაზარს იოსებს, შვილთა შენსა გიორგისა და ტარიელს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე, რომე ოქვენის სამკვიდროს გლეხის კაცის ჭანიძის მამული, ტბა, ტყე და სათიბი შანშე ერისთავს ნათხოვრად გამოერთმევინა, ტყე იყო, სამტრო და სალეკო ალაგი და იმაში კაცი რომ არ დაესახელებია, ქვეყანასაც ბევრს ავნებდა და იმისის მიზეზით ჩვენი სახასო კაცი დაეყენებია" [3].

---

[1] იხ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, ექსპედიცია ქსნის ხეობაში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, გვ. 283

[2] ქსნის ხეობაში მთიდან ბარისაკენ მოსახლეობის მოძრაობის შესახებ, იხ. აგრ. გ. ჩიტაია, ექსპედიცია ქსნის ხეობაში, ენიმკის მოამბე ტ. IV, გვ. 284, 1939 წ.

[3] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთარი 30, საბ. 222.

ამ საბუთებიდან კარგად ჩანს ერთი სოფლიდან სხვაგან წასვლის თუ სოფლის ამოვარდნის მაგალითები.

„... ამ ოსებმა ასე თქვეს: ჩვენ ქსნიდამ ავიყარენით, მოვვდით და ერტულაში დავდეგითო“ [1].

თუ სამი აღწერილობის ცნობებს ერთმანეთთან შევადარებთ, ქსნის საერისთავოს მოსახლეობის დინამიკის შემდეგ სურათს მივიღებთ:

№№ რიგ.	სოფლების დასახელება	1774 წ. ტეტია გარსევანიშვილის აღწერით	1781 წლის დიმიტრი გარსევანიშვილის აღწერით	1803 წ. აღწერით
1	ილურთკარი	14 კომლი	16 კომლი	7 კომლი
2	შველიეთი	11 „	11 „	9 „
3	საკორეთი	9 „	9 „	5 „
4	ხოხოეთი	5 „	7 „	8 „
5	ქენქათკარი	16 „	6 „	8 „
6	მიდელაანთკარი	11 „	9 „	არ მოიხსენიება.
7	ვაკე	9 „	5 „	არ მოიხსენიება.
8	დადიანეთი	11 „	17 „	31 კომლი

ადგილზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ რიგი გვარებისა, რომლებიც ახლა ბარის სოფლებში ცხოვრობენ, ოდესღაც მთის სოფლებიდან არიან ჩამოსულნი.

აი რამდენიმე მაგალითი: სოფელ თეზში მცხოვრები ბუნტურები მოსულნი არიან ცხავატიდან, ხრიკულები—ქურთიდან, ყველაშვილები—ყველიდაბიდან. სოფელ ლამისყანაში მცხოვრები ქენქაძეები—ხარბლიდან და ქენქათიდან, კობაურები—საძეგურიდან, ზარიძეები—მონასტრიდან, სოფელ ოძისში მცხოვრები ღუნაშვილები — ქვემო ალევიდან, ყოჩიშვილები—ყოჩიაანთიდან, ჩიტიშვილები—ჩიტიაანთიდან, ხუციშვილები—თოხთიდან, შარმადინები — გავაზიდან და სხვ.

ზემომოყვანილი წყაროების შესწავლისა და ადგილზე შემოწმების შედეგად შეიძლება ქსნის საერისთავოში შემავალი სოფლების შედარებით სრული სიის შედგენა.

---

[1] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთარი. 35, საბ. 162.

ქსნის საერისთავოში შემავალი სოფლების სია ცალკეული ხეობების მიხედვით

№№ რიგ.	სოფლების დასახელება	კომლთა რაოდენობა	მამრობითი სქესი	დედრობითი სქესი
1	2	3	4	5
	ქსნის ხეობა			
1	თეზი	32	19	66
2	ლამისყანა			
3	ოძისი	21	64	68
4	ილიტოზა			
5	ხოფა			
6	ნაგომევი			
7	ლომისხევი			
8	სარბიელი			
9	ძეგლევი			
10	დელკანი			
11	ქორეოხი			
12	ჯვარისუბანი			
13	ახალგორი	77	243	176
14	ზემო იკოთი	33	121	120
15	ქვემო იკოთი			
16	ყანჩავეთი			
17	წირქოლი	31	124	76
18	ბაზუანი			
19	ერედა			
20	ქურთა			
21	კორინთა	6	17	10
22	მეტეხი			
23	ნახიდი			
24	ციხია			
25	გეზევრეთი			
26	პირველი საძეგური	41	168	116
27	მეორე საძეგური			
28	ახშადი			
29	კაიშაურები			
30	ქვენიფნევი			
31	ხრომის წყარო (ანუ ზენიფნევი)			
32	მონასტერი (ლარგვისი)			
33	ხარბალი		138	116
34	ცხავატი[1]	36		

[1] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი იოანე სამ სოფელს ითვლის ცხავატში.

1	2	3	4	5
35	ღაროეთი			
36	ჟივთკარ-გოგიანი			
	II. ცხრაძმის ხეობა			
37	მუჯუხი	6	61	40
38	წინსოფელი	5	13	12
39	ჩიჩიაანი	3	6	6
40	ლორო	2	6	6
41	უკანა უბანი	10	45	22
42	კანათხარი	7	48	16
43	ზოდეხი			
44	შიუკანთკარი	5	28	18
45	ზენენაანკარი	4	18	9
46	ახლოურთკარი	3	19	10
47	ყველიდაბა	10	30	30
48	ჩიტიანთკარი	4	14	19
49	წინუბანი	7	33	20
50	დადიანეთი	31	280	128
51	თურქისტანი	3	22	18
52	აბუთკარი	7	34	21
53	მახიარეთი	15	66	47
54	დაბაკნეთი	10	45	27
55	თოხთა	10	41	37
	III. ქარჩოხის ხეობა			
56	ლომისი	5	14	7
57	ოხირი	9	22	14
58	ქარჩოხი	6	1	12
59	ქენქათკარი	8	34	19
60	ხოზოეთი	8	29	16
61	კარჭელთკარი	10	29	19
62	მიდელათკარი			
63	ახალდაბა			
64	ვაკე			
65	გოლგოლეთი			
66	თინიკაანთკარი	9	26	12
67	ლოთიანთკარი	7	24	21
68	პავლეთკარი	7	24	21
69	ბალხანთკარი	3	9	8
70	ჭორჭოხი	7	40	29
71	შათაგოკარი	2	8	6

1	2	3	4	5
72	კვერიეთი	28	63	50
73	ძაბოეთი	11	73	32
	IV. ᲫᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲒᲐ			
74	სიქდა	10	31	12
75	წინ	40	50	35
76	ქოსიანი (ქოსოიანი?)	6	23	14
77	ჯავათკარი	5	14	13
78	ვაკე	15	80	41
79	ციხილები	9	41	27
80	კუდიკიმო	3	10	12
81	კიბიხონი	9	35	25
82	თოგოიანი	7	22	14
83	გორგა	7	20	12
84	ბაგინი	9	45	37
85	შუა ბაგინი	14	47	43
86	ჩერქაზანი	4	22	15
87	კორა			
	V. ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲮᲔᲝᲒᲐ			
88	საბარკლეთი	18	72	65
89	კარა	9	44	32
90	კუცხოეთი[1]	14	62	47
91	ველისი	4	32	23
92	ქალაქა	8	42	23
93	ციხია	5	17	9
94	ჯორთისი	11	51	36
95	ჯანკათკარი	5	38	24
96	ილურთკარი	7	20	17
97	მეწყერი	7	34	27
98	ჭურთა	8	25	21
99	დორეულთკარი	7	34	27
100	გავაზი	9	34	23
101	მოჭალიეთი[2]	5	23	16
102	შველიეთი	9	37	27
103	ლორო	11	48	32
104	ცხრა-წყარო	12	36	38

[1] ტექსტში შეცდომით Цицхоети სწერია.
[2] ტექსტში შეცდომით Мочити სწერია.

1	2	3	4	5
105	კესელთა	6	27	14
106	საქორეთი	5	14	10
	VI. ალევის ხეობა			
107	ქვემო ალევი			
108	შუა ალევი			
109	ყოჩიაანი			
110	გუდა წვერი			
	VII. საფერშეთის ხეობა[1]			
111	გრუ			
112	გდუ			
113	ბოსელთა			
	VIII. ძოლოთ-ქვიტკირის ხეობა			
114	ქოლოთი	15	63	52
115	ქვითკირი			
116	მეორე ქოლოთი			
117	ოსის სოფელი			
118	ვანი			
	IX. ლეხურის ისროლის და[2] მეჯუდის ხეობა			
119	ბიყარი			
120	გერე			
121	ავანათური			
122	ასატური	15	74	59
123	ბენდერი			
124	ზემო ისროლის ხევი			
125	ქვემო ისროლის ხევი			
126	I. ოსის სოფელი			
127	II. ოსის სოფელი			
128	ორდისი	7	25	28
129	ახალისი	18	48	38
130	არკანი	4	14	11
131	ვილდა	8	25	22

[1] საფერშეთის ხეობის სოფლები, აქ ჩამოთვლილ სოფლებს გარდა, არაგვის საერისთაოში შედიოდა.

[2] ცალკეული ხეობის მიხედვით სოფლების დალაგება აქ ვერ მოხერხდა, ლეხურის ხეობაზე მხოლოდ 2 სოფელია, დანარჩენი კი უმთავრესად ისროლის ხეობაზე მდებარეობენ.

1	2	3	4	5
132	სხლები	9	30	36
133	წოლდევი	9	34	29
134	ატენი	19	75	54
135	ჯავახთა			
136	ქარდისი			
137	ქ. აშატური			
138	წყლები			
139	ქელიფორომ დგასის სოფელი			
140	ვალიშვილები			
141	ტბა			
142	ბერიანები			
143	ბერიანები			
144	ბერიანები			
145	ნაქალაქევი			
146	მეორე ვილდა			
147	რკინარეთი			
148	მეჯვრისხევი	37	82	59
149	ზემო მეჯვრისხევი	19	42	54
150	ივრეთი			
151	უსანეთი			
152	აკანათური			
153	ახალუბანი			
154	ბიეთი			
155	დმენისი			
156	კორკულა			
157	დიცი			
158	ბოლოზი			
159	საკორინთლო	34	100	87
160	ქსუისი			
161	კულბითი			
162	სათივარი			
163	ნანიაური			
164	სათემო	8	38	41
165	ვაკე			
166	ჭარები			
167	დისევი			
168	ლეკოანი			
169	ღრომი			
170	გნასური			
171	ხვითი			

1	2	3	4	5
172	არდისი			
173	დვანი			
174	კარაბი			
175	დასადური			
176	თაყა			
177	რეხა			
	X. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ			
178	აძვი			
179	ქვეში			
180	დუდეთი			
181	ქიწნისი	23	100	63
182	ᲫᲐᲠᲐᲜᲐ			
183	ფლავი	14	53	45
184	ფლავისმანი			
185	არცევი	9	21	20
186	შატათ გორი			
187	იკორთა			
188	ორტევი			
189	მერე			
190	ლაფაჩი			
191	სნეკვი			
192	კეხვი	10	43	38
	XI. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲘᲐᲮᲕᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ			
193	საცხენისი			
194	ედემ ქალაქი			
195	ბელოთი	27	83	78
196	აწერის ხევი	14	73	56
197	ზონკარი			
198	ზემო შუაცხვარი			
199	ქვემო შუაცხვარი			
200	სიათა			
201	ზემო ჩაფარუხი			
202	ქვემო ჩაფარუხი			
203	შუა ჩაფარუხი			
204	წიფორი			
205	ზემო შანბიანი			
206	ქვემო შანბიანი			
207	აძვი			
208	თიღვა			

1	2	3	4	5
209	თლია			
210	აბახი			
211	თერგვისი			
212	ხოშური			
213	ალბირი			
214	ელტურა			
215	ინაური			
216	გვილისი			
217	ჩარდახი			
218	ავნევი			
219	ედიშერი			
220	ფლოტრისი			
221	დვალურა			
222	ლაკაური			
223	ჯარიანი			
224	მშხლები			
225	XII. ქნოლოს ხეობა—5 სოფელი			
226	XIII. მაღრან მდვალეთის ხეობა—9 სოფელი			
227	ტყვიავი			
228	კარალეთი			

ერისთავებს ეკუთვნოდათ რამდენიმე კომლი ქართლის სხვადასხვა სოფლებში:

პარიანში	2	კომლი
ხვითში	2	„
თერგემში	1	„
დვანში	1	„
ცხინვალში	20	კომლი[1]
ძარში	2	„

ამრიგად, არა სრული ცნობების მიუხედავად, ჩანს რომ ერისთავები 240 სოფელს ფლობდნენ.

240 სოფლიდან წყაროებით შესაძლებელია მხოლოდ 92 სოფლის მოსახლეობის რაოდენობა დავადგინოთ. 92 სოფელში 1118 კომლი

[1] საბუთში 200 კომლი წერია.

ცხოვრობდა 7.606 სულით (აქედან 4.356 სული მამრობითი სქესისა, ხოლო 3.250 მდედრობითი სქესის). ამას უნდა დაემატოს 29 კომლი სხვადასხვა სოფლებში რომ ეკუთვნოდათ ერისთავებს. 149 სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა ჩვენ არ ვიცით. თუ ჩვენ ავიღებთ სავარაუდოდ, რომ 149 სოფელში ცხოვრობდა 1.500 კომლი, მაშინ მივიღებთ ქსნის საერისთავოში მცხოვრებთა დაახლოებით რიცხვს: 1.500×5= 7.500+7.606=15.106 სულს ორივე სქესის მოსახლეობას. ეს რიცხვი მიახლოებითია.

III. არაგვის საერისთავო

პირველი ცნობა არაგვის ერისთავების შესახებ 1398 წლის მცხეთის გუჯარში გვხვდება. ამირთ-ამირამ სუნღულისძემ ლომმა და მისმა ძმისწულმა ლაჩინამ მცხეთას შესწირეს გორს აქუბაშვილისაგან ნასყიდი ზვარი. ამავე დროს ხსენებულმა პირებმა საყდარს შემოავლეს სპონდიო. ყოველივე ეს წერილობით გააფორმეს, სიგელი დასწერეს და მოწმეები დაისწრეს. მოწმეებს შორის ჩანს ერისთავი შაბურიძე მიქაი: „მე ერისთავი შაბურისძე მიქაი მოწამე ვარ“ [1].

ამ ცნობასთან დაკავშირებით, ჟორდანია შენიშნავს: „ჩვენმა ისტორიამ არ იცის, ვინ არის მიქაი შაბურიძე ერისთავი, მაგრამ ჩვენგან პოვნილს ტყავზე 1439 წელს დაწერილს გერგეტის სამების „სულთა მატიანეში“ მოხსენებულნი არიან შაბურიძე ერისთავები, რომელნიც ყოფილან არაგვის საერისთოს გამგენი. ამ მატიანეში სხვათა შორის წერია:

1) „სული შანშესი და ძმისა მათისა ვახტანგისი კურთხეულ იყავნ უკუნისადმე.

2) „სული ყოველთა ერისთავთა შაბურისძეთა კ᾽ლ იყავ უკ᾽ე“.

3) „სული ერისთავთ-ერისთავისა ჭუჭაჲსა კ᾽ხლ იყავნ უკ᾽ე“.

4) „სული ერისთავთ-ერისთავისა ვარამისი კ᾽ხლ იყავნ უკ᾽ე— სული მათისა მეუღლისა დაბდაჲსა კ᾽ხლ იყავნ უკ᾽ე“.

5) „სული ერისთავთ-ერისთავისა ვახტანგისი კ᾽ხლ იყავნ უკ᾽ე“.

6) „სული ერისთავთ-ერისთავისა მიქაისი კ᾽ლ იყანვ უკ᾽ე.—სული დისა მათისა ელენესი კ᾽ხლ იყავნ უ᾽კე“.[2]

მასზევე ყოფილა ხუცურად მინაწერი, ჟორდანიას თქმით, შედარებით უფრო ადრინდელი, სადაც ნათქვამია: „სული ერისთავთ-

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, გვ. 203.

[2] იქვე, II, გვ. 203.

ერისთავისა ნუგზარისიკ˘ხლი იყავნ უ˘კე. —სული მათისა მეუღლისა დედის იმედისი კ˘ლ იყავნ უკე".—სული ძეთა მათთა ლომისი და შაბურისი კ˘ლ იყავნ უკე" [1].

ქორდანიას მიაჩნია, რომ აქ მოხსენებული შაბურიდან უნდა მომდინარეობდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ერისთავების შაბურისძეობა,

XV საუკუნეში შაბურისძეების ორი საბუთი გაგვაჩნია. ერთი 1465 წლის 23 აპრილით თარიღდება. ამ სიგელით ვამიყ შაბურისძე „საკანონოდ" მცხეთას მამულებს სწირავს:

„ჩუენ შაბურისძეთა ერისთავმან ვამიყ და სარო და ძეთა ჩუენთა გ˘გი. ომარ, მიქამან, ვარამ და ნუგზარ ძმათა, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩუენისათა ყოველთავე მის ჟამისა შედეგად, ოდეს ჩუენად ეღირსად დიდად და საპატიოდ შეგეიწყალეს თატრონმან მეფეთა მეფემან გ˘გი და მათი ასული ჩუენისა შვილისათვის გუიბოძეს და მოგუცეს" [2]. ეს საქმე ერისთავებისათვის თურმე „დიდი გამოსანახავი სასჯულო და საკანონო საქმე იყო". მეორე საბუთი 1474 წლის 24 ივნისით თარიღდება; იგი ბოდორნის მონასტრის გუჯარია. ბოდორნის მონასტერს ერისთავთ-ერისთავმა ვამიყ შაბურისძემ გუჯარით სოფელი ხანდაკი მისცა, ამავე საბუთიდან ჩანს, რომ შაბურისძეების საგვარეულო საძვლე ყოფილა ბოდორნა [3].

მოტანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ XII—XV საუკუნეში არაგვის ერისთავებად შაბურისძეები არიან. როდის გახდნენ შაბურისძეები არაგვის ერისთავებად, ან როდის წარმოიქმნა არაგვის საერისთო, პირდაპირი მითითება ჩვენ არ გაგვაჩნია. როგორც ჩანს, ეს საკითხი ჯერ კიდევ XVIII საუკუნემდე აინტერესებდათ. წილკნელის სარგოს-წიგნში ნათქვამია: „ქ. ანანურს ზევითი ხევს გარდა ისეე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის. რანან წმინდის ემბაზის შვილნი შექნილიყვნენ, იმათი ეფისკოპოზი ვინც ვინ წილკნელი ყოფილან, იმათ სამწყსო ყოფილა. მცირედ მცირედ ქრისტიანობა შამოუგდიათ, ხუცესი და დიაკონი დაუდგინებიათ, წმინდის ნათლისღების შვილობა გამრავლებულა. არაგვის ერისთავი არვინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავათ თვინიერ შაბურიშვილის მეტი. იმას ჭერია დაბალი საერისთო" [4].

---

[1] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, გვ. 203.

[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, წიგნი მეორე, გვ. 17.

[3] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, გვ. 291.

[4] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი, საისტორიო მოამბე II, 1925 წ., გვ. 23.

აქ ორი დეტალი იპყრობს ჩვენს ყურადღებას; როგორც ცნობილია, წილკნელის სარგოს წიგნი განახლებულია 1669 წელს, ამ დროს. არაგვის ერისთავებად სხვედან სხვა გვარის წარმომადგენლები, მაგრამ რაღაცა გზით, ეგების ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი საბუთებით, წილკნელის წიგნის შემდგენელმა იცის, რომ პირველად არაგვის ერისთავები იყვნენ არა მის დროს მსხდომთა გვარისანი, არამედ შაბურიშვილები. ამავე დროს სარგოს წიგნის აზრით არაგვის საერისთო მთელს არაგვის ხეობას კი არ მოიცავდა, არამედ მხოლოდ მის ერთ ნაწილს—ბარის ზოლს.

გარდა შაბურისძეების უშუალო საბუთებისა, წილკნელის სარგოს წიგნი პირველია, რომელიც შაბურისძეებს არაგვის ერისთავებად სთვლის.

არსებობს საბუთი, რომელიც შაბურისძეებს სულ არ იცნობს და არაგვის ერისთავებად სულ სხვა გვარს, სხვა საბუთებით სრულიად უცნობს, ასახელებს. ეს საბუთი საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება (*S* ფონდი, საბუთი 550) და შეიცავს ქართველ თავადთა გვარ-შთამომავლობით ისტორიას. ეს საბუთი, როგორც შედარებიდან გამოირკვა, ივანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს დაწერილი ნარკვევის ასლია.

არაგვის ერისთავების შესახებ თხრობა ცალკე თავად არის გამოყოფილი და აღნიშნულია: „ესე არაგვის ერისთავნი არიან კავკასიის მთით მოსრულნი ოსნი კარგის გვარისანი, სიდამონისძენი. ამათნი წინაპარნი მოსახლეობდენ ვანათსა ადგილსა შინა. ამათ პირველათ მიუბოძა მეფემან კონსტანტინემ გიორგისძემან აზნაურობაჲ და განაწესნა მოხელედ სიდამონ წოდებული არაგვისა ზედა. ოდეს მოვიდა მუსა თურქი საქართველოსა ზედა დიდისა მხედრობითა, მაშინ ბრძო მეფემან კონსტანტინემ თურქთა მათ და ბრძოლასა ამას შინა მოიკლა მეფე თურქთაგან და იძლივნენ ქართველნი და იქმნა აღრეულობა ურთიერთისა შორის ქართველთაგან წელსა ქრისტეს აქეთ 1407. ამ მიზეზითა სიდამონმან შემოიყარნა მხედრობანი ოსთანი და სახლის კაცნი თვისნი და მოსწყვიტნა ბაზალიძენი თავადნი, მოსახლენი ვაკესა შინა არაგვისასა რომლის გამო დღესაც ეწოდების მუნ ტბასა ბაზალეთისა ტბაჲ, სახელისა გამო მათისა“... შემდეგ მოთხრობილია სხვა ამბები და აღნიშნულია, რომ სიდამონის შთამომავალმა ნუგზარ ერისთავმა, „დანაშთენი მუნ ბაზლისძენი ასწყვიტნა, მდაბალნი ბაზლისძენი რომელნიმე განილტენენ ქართლსა და რომელნიმე კახეთსა და შეიქმნენ დამდაბლებულნი“.

როგორც დავინახეთ, მოტანილი ცნობა სრულიად სხვა თხრობას იძლევა და არც ერთ სხვა წყაროში, არაგვის საერისთოსთან დაკავშირებით ბაზლისძენი არ იხსენებიან. ჩვენ არ ვიცით მოტანილი წყაროს ავტორი რა ცნობებს ეყრდნობოდა, როდესაც აღნიშნულ დებულებას ავითარებდა, მოსალოდნელია, რომ იგი რომელიმე ზეპირ გადმოცემას ემყარებოდა. საერთოდ, ეს წყარო ბევრ შეცდომებს შეიცავს,—მათ შორის ფაქტიურ-ქრონოლოგიურსაც და ამიტომ ბაზლისძეების აღიარება არაგვის ერისთავებად საფუძველს მოკლებულია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, სანამ უფრო ხელშესახები ცნობები მოგვეპოვება.

ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრების არაგვის ხეობაში გაბატონებამდე რომ არაგვზე სხვა ერისთავები ისხდნენ ვახუშტიმაც იცის, მაგრამ ვახუშტი შაბურისძეებს კი არ ასახელებს, არამედ თექთურმანისძესა და ჭარმეულს: „ხოლო ესე ნუგზარ,—ამბობს ვახუშტი,—იყო ერისთავი არაგვისა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სვიმონისასა უკუდგა ვანათის ციხისმპყრობელი და მან ბრძანებითა მეფისათა და შეტყუებითა აღიღო ციხე იგი, და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სვიმონ, ამანვე მოიმწო ქსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყვიტა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრო ბაზალეთი, მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრნა ძმანი თვისნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა; შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ ,აცნი და მოჰკლეს იგი და დაიპყრნა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი, ხოლო მოვიდა რა სვიმონ მისცა პაპასავე ნუგზარისასა სამსახურებისათვის მისისა და იყუნენ ამ ჟამამდე ერისთავად“ [1].

თექთურმანისძე ეგნატაშვილ ბერისათვისაც ცნობილია, მაგრამ არა როგორც არაგვის გამგებელი, არამედ ხევისა: „ხოლო ესე ნუგზარ არაგუს ერისთუს მამა-პაპათა ამოსწყუიტეს პატრონი ჭევისა თექთურმანისძე და დაიჭირეს ჭევი და მიერითგან მისცა მეფემან რომელთამე ,ადა, რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური და იქმნეს ჭევისა მის ერისთავად“ [2].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 37.

[2] ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ჯავახიშვილის რედ., გვ. 125.

ჩვენს მიერ განხილულ წყაროებს კიდევ ერთი ცნობა უნდა დაემატოს, ეს არის ჟამთააღმწერელის ცნობა. მართალია, ჟამთააღმწერელი არ მიუთითებს, რომ აქ შაბურისძე ერისთავია, მაგრამ ექვი არ არის, რომ ის შაბურისძე არაგვის ერისთავი უნდა იყოს. საქმის ვითარება ასეთია: დავით დემეტრესძე აჯანყდა და ყაზანყაენს გაეცალა, მთაში შეიხიზნა, მას თან ახლდა ძმა ვახტანგი; დავითი ვახტანგზე ეჭვობდა და შეიპყრო „დაპატიმრული ციხესა ჟინვანისასა ჰყვანდა". ვახტანგი ციხიდან გაიპარა და იოანე ბურსელისას იმყოფებოდა. იოანემ შეარიგა ძმები. მცირე ხანს კვლავ ეჭვი ჩამოვარდა. დაკითი ვახტანგისაგან „ჰგონებდა განდგომასა, ამის ძალით რამეთუ შაბურის ძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად" [1].

როგორც ჩანს, შაბურისძე დავითთან კარგ განწყობილებაში არ არის, ეგების იმ მიზეზით, რომ დავითი აჯანყებულია და არაგვის ხეობაშია შეხიზნული; ყაზან-ყაენის დამსჯელი ექსპედიციები ამის გამო არაგვის ხეობაში შედიან და არბევენ. ყველაფერი ეს კი შაბურისძის თვალში დავითის დანაშაულია. ამ ხანისათვის დავითს მართლაც განუდგნენ ქართველი წარჩინებულები, მოვიგონოთ თუნდაც შალვა ქვენიფნეველი.

თუ ჟამთააღმწერელის შაბურისძე ნამდვილად არაგვის ერისთავია, მაშინ აშკარა ხდება, რომ მეცამეტე საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დამდეგს არაგვის ერისთავებად შაბურისძეები ყოფილან.

როდის გახდნენ ისინი არაგვის ერისთავებად, ან როდის წარმოიქმნა არაგვის საერისთო, როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირი მითითება არა გვაქვს. პლატონ იოსელიანმა თავის შრომაში: „Описание города Душета" შაბურისძეების გენეალოგია სასანიდების დინასტიის წარმომადგენელს საპორს (Сапор)—შაფუროვს (Шафуров)—შაბუროვს დაუკავშირა და დაასკვნა „И так, появление в арагвской области правительственного рода Шабура должно полагать легенду 241 и 420 годами"[2].

როგორც ეს პროფ. ე. თაყაიშვილმაც შენიშნა, იოსელიანის ასეთი დასკვნა მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას და გარდა სახელის უბრალო დამთხვევისა შაბურისძეებს არაფერი არ უნდა ჰქონოდეთ საერთო სასანიდების შაბურებთან.

---

[1] ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, მ. ბროსეს გამოც., გვ. 435.

[2] პ. იოსელიანი, დასახელებული შრომა, გვ. 35.

ვახუშტის აქვს ერთი საინტერესო დაკვირვება: „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა“ [1].

თუ ვახუშტის დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ ქსნის საერისთო XIII საუკუნემდე ქართლის საერისთავოს ნაწილი იყო და მხოლოდ მეცამეტე საუკუნიდან გამოეყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლის საერისთავოში შედიოდა არაგვის ხეობაც, თითქოს პირდაპირი მითითებაც გვაქვს ამის შესახებ:

აბულასანი იყო ქართლის ერისთავთ-ერისთავი და ამირათ-ამირა, რომელიც ამავე დროს იყო „მკდთა მთეულეთთა პატრონი“ [2].

ასეა თუ ისე, შაბურისძეებამდე ჩვენ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია და საერისთავოს ისტორიას ჩვენ XIII საუკუნის დამლევიდან, ან XIV საუკუნის დასაწყისიდან ვიწყებთ. „ძეგლის დებიდან“ ირკვევა, რომ არაგვის ხეობაში თითქოს რამდენიმე საერისთავო უნდა ყოფილიყო. შემდეგში ამ საერისთავოების გაერთიანება ხდება, ხოლო ქართლის საერისთავო უქმდება და არაგვის საერისთავოც, ქსნის საერისთავოს მსგავსად, სამოხელეოდან — სათავადოდ იქცევა.

როგორც აღვნიშნეთ, არაგვის ხეობაშიც შედარებით იმაზე უფრო ადრე უნდა წარმოშობილიყო საერისთავო, ვინემ მის შესახებ ჩვენ წერილობითი ცნობები გაგვაჩნია.

მეტიც, წილკნელის სარგოში ნახმარი გამოთქმა „დაბალი საერისთავო“ იმას ნიშნავს, რომ უნდა ყოფილიყო „მთის ერისთავიც“, წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ დასჭირდებოდა საბუთის დამდებს გამოთქმა „ბ ა რ ი ს ერისთავი?“. ამას ამტკიცებს „ძეგლის დების“ ერთი დეტალიც. გიორგი ბრწყინვალე წერს: „დარეალით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარ მოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის კევი და მივიკლევით მუნებური საქმე, მოვედით მუხრანს საზამთროსა ჩუენსა და დავდეგით და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და კევის თავნი და კევის ბერნი და ჰეროვანნი“ [3].

თუ სჯულმდებელი აქ არაგვსა და ქსანს არ გულისხმობს „თემისა და თემის“ ქვეშ, მაშინ გამოდის, რომ არაგვის ხეობაში რამდენიმე საერისთავო ყოფილა.

ჩვენ აქ მაინც უფრო სხვა რამე გვაინტერესებს. კერძოდ, როდის უნდა გადაქცეულიყო არაგვის საერისთავო სათავადოდ? ამ საკითხზე

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 84.

[2] ე. T а к а н ш в и л и, Арх. экск. IV, 149—150.

[3] ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913 წ., გვ. 4.

პასუხის გასაცემად ძვირფას მასალას იძლევა 1474 წლის 24 ივნისის ბოდორნის მონასტრის გუჯარი, რომელიც თედო ჟორდანიას აქვს გამოცემული. გამომცემელი შენიშნავს: „გუჯრის თავს ხელოვნურად დახატულია მაცხოვარი მაკურთხეველი და იქით-აქით ორი ანგელოზი. ქვემო ამათსა მარჯვნით დახატულია მდიდრულად შემოსილი კაცი ასომთავრული წარწერით: „ე: (რისთავი) ვამიყ“ და მარცხნით ქალი წარწერით: „პატრონი დულარდუხტ“—ორნივე დაჩოქილნი“ [1].

გავიხსენოთ „ძეგლი ერისთავთა“. ისიც ხომ ერისთავის სურათის შემცველია. მაშ ამ პერიოდში ასეთი რამ ჩვეულებრივ ამბად ქცეულა. რა პირობებშია მოსალოდნელი ყოველივე ეს? ეს მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საქვეყნოდ გამრიგე მოხელე თავის ძალას გრძნობს, როცა ის ქვეყანაში ცნობილი ხდება საკუთარი ყმამამულით უფრო, ვიდრე თავის სამოხელეო სარგოთი. რა თქმა უნდა, ეს ნიშანი ერთადერთი არ არის, ასეთი ნიშნები ადრეც ჰქონდათ საქვეყნოთ გამრიგე მოხელეებს.

გუჯარში ნათქვამია: „...ძუმლად ჩუმნთა პაპათაგან აღშენებული მცირე აკლდამაჲ ჩუმნ ახლადვე განვაახლეთ და აღვაშენეთ აწ ჩუმნისა სულისა საკსრად გკადრეთ და მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ჩმნი მკვდრი მამული, სოფელი ხანდაკი“... [2] აქვე ჩამოთვლილია სამსახურის ის სახეები, რომელიც ხანდაკელებმა უნდა შეასრულონ ეკლესიას. როგორც ვხედავთ საგვარეულო სასაფლაო გააჩნიათ შაბურისძეებს. ეს კი სათავადოს ერთი ატრიბუტთაგანია. ეს სასაფლაო მათ გაუჩენიათ ვამეყის პაპის დროს.

როდის დაკარგეს შაბურისძეებმა ერისთავობა არ ჩანს. პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრება, რომ თითქოს, შაბურისძეებმა ერისთავობა დაკარგეს ალექსანდრე პირველის დროს, მცდარია. პლატონ იოსელიანი წერს: „Звание эристова, потерянное в этом древнем правительствовавшем роде при царе Александре I (1415—1443), перешло, с правом наследственного управления, к двум родам именитым: Гурманидзе и Чармеули (თურმანიძე და ჭარმეული), устроивавшим дела горной Грузии после плачевных лет нашествия на нее Тимура“ [3].

---

[1] ქ-ბი, II, გვ. 291.

[2] იქვე, გვ. 291.

[3] პ. იოსელიანი, დასახ. შრომა, გვ. 36, დ. ბაქრაძე, Кавказ в древностях, Акты, V, стр. 997.

იოსელიანი და ბაქრაძე, როგორც ჩანს ემყარებიან ვახუშტის ცნობას იმის შესახებ, რომ ვანათელმა აზნაურებმა ამოსწყვიტეს არაგვის მფლობელები: ჭარმეული და თექთურმანიძე. იოსელიანმა თექთურმანიძე თურმანიძეთ გამოაცხადა და არაგვის ერისთავად დასვა, ხოლო ბაქრაძემ იოსელიანის მცდარი მოსაზრება უკრიტიკოდ მიიღო.

იოსელიანისა და ბაქრაძის მტკიცება, რომ ალექსანდრე პირველმა შაბურისძეების მაგიერ არაგვის ერისთავად თექთურმანისძე და ჭარმეული დასვა, ცხადია მცდარია. 1465 წლისა და 1474. წლის საბუთებში შაბურისძეები არაგვის ერისთავებად ჩანან და ამ მკვლევარებმა ეს საბუთები, როგორც მათი შრომებიდან ჩანს, იციან და ამდენად მით უფრო საკვირველი ჩანს ზემომოტანილი მტკიცებაც.

ბუნებრივად იბადება კითხვა, მაინც ვინ უნდა იყვნენ ვახუშტის თექთურმანიძე და ჭარმეული და ეგნატაშვილი ბერის თექთურმანიძე? ამასთან დაკავშირებით, ვინ არიან და რა პირობებში გახდნენ ვანათელი აზნაურები არაგვის ერისთავებად?

რათა მსჯელობა უფრო დასაბუთებული იყოს, ერთხელ კიდევ მოვიტანთ ისტორიკოსების ცნობებს. ვ ა ხ უ შ ტ ი წერს: „... ესე ნუგზარ იყო ერისთავი არაგვისა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სვიმონისასა უკუ დგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბრძანებითა მეფისათა და შეტყუვებითა აღიღო ციხე იგი, და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სვიმონ, ამანვე მოიმწო ქსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყვიტა თექთურმანისძე და ჭარმეული და დაიპყრო ბაზალეთი, მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრნა ძმანი თვისნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა: შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მოჰკლეს იგი და დაიპყრნა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი. ხოლო მოვიდა რა სვიმონ მისცა პაპასავე ნუგზარისასა მსახურებისათვის მისისა და იყავნენ ამ ჟამამდე ერისთავად“ [1].

ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი თ: „ხოლო ესე ნუგზარ არაგჳს ერისთჳს მამაპაპათა ა მ ო ს წ ყ უ ი ტ ე ს პატრონი ჭევისა თექთურმანისძე და დ ა ი ჭ ი რ ე ს ჭ ე ვ ი და მიერითგან მისცა მეფემან რომელთამე ჭადა ,რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური და ი ქ მ ნ ე ს ხ ე ვ ი ს ა :მის ერისთავად“ [2].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 37.

[2] დასახ. შრომა, გვ. 125.

1301 წელს ბეჟან ერისთავმა სცადა ერეკლეს მიერ 1743 წელს გაუქმებული არაგვის საერისთო რუსების შემწეობით აღედგინა. აჰასთან დაკავშირებით ვახტანგ ბატონიშვილმა განმარტება წარუდგინა კნორინგს: „ეს ხსენებული არაგვი ყოფილ არს ნიადაგ ბაგრატოვანთა მეფეთა სახლისა, და გუარი ხსენებულისა ამის ბეჟანისა გამოსულ არს რომლისაჰე ოსეთიდამა, დღესაც არიან ამისნი გვარნი ოსნი სიდამონნი და მიუღუს მას პატივი კეთილშობილებისა, ესე იგი აზნაურობისა და თუ ვისგან და ვითარ—არა ვუწყი, და ესახლნენ ესენი ქართლს, სოფელსა შინა ვანათსა, ანუ მახლობელ მისსა და შემდგომად განყოფისა სამეფოთასა უბედურობითა საქართველოჲსათა დროსა სპარსეთის განძლიერებისასა, და ფრიად დაჩაგრულებასა ქართლისა და კახეთისა მეფეთასა, ჰპოვა ამათგანმანცა ვინმე მზგავსად სხუათა ვიეთთამე კეთილშობილთა, ავაზაკებრი ძალი და მოქმედება და დაიპყრა ხსენებული სოფელი ვანათი და გარეშნი მისნი და შემდგომად მისსა ჰპოვა მრავალნი სხვანიცა თანასმანი თვისისა ავაზაკებისანი და ეკირთებოდა და ბრძოდა ქუჩყანასა ამას არაგვსა და დაიპყრა ამით, გარნა არა სრულიად; და შემდგომად რაოდენთამე ხანთა მზგავსად ზემოხსენებულითა მოქმედებითა დაიპყრო სრულიად“ [1].

ზემომოტანილი საბუთიც, ქართველ თავადთა გენეალოგიურ ისტორიას რომ შეიცავს, აღიარებს, რომ „ესე არაგვის ერისთავნი არიან კავკასიის მთით მოსრულნი ოსნი კარგის გვარისანი, სიდამონისძენი, ამათნი წინაპარნი მოსახლეობდნენ ვანათსა ადგილსა შინა“ [2].

ჩვენ მოვიტანეთ ოთხი სხვადასხვა ცნობა, ოთხიდან სამი (ვახუშტი, ვახტანგ ბატონიშვილი, ივანე ბატონიშვილი) გვარწმუნებს, რომ ნუგზარის წინაპრები ვანათელი აზნაურები არიან. ვახტანგ ბატონიშვილისა და ივანე ბატონიშვილის აზრით ისინი შთამომავლობით ოსები არიან. არც ვახტანგ ბატონიშვილი და არც იოანე ბატონიშვილი თექთურმანისძესა და ჭარმეულს არ იცნობენ. ეგნატაშვილი ბერისათვის კი თექთურმანის ძე არის „პატრონი ხევისა“.

ეგნატაშვილის ეს ცნობა ბუნებრივად ბადებს საკითხს—ხომ არ არსებობდა ხევის საერისთო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული? აქ ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას: ჯერ ერთი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდების“ 43-მე მუხლში ნათქვამია:

---

[1] Акты, 1, გვ. 265—266.

[2] საქ. მუზეუმი ხელნაწერთა განყოფილება, ფ. S საბ. 550.

„ამიერნი ჯევისბერნი და ჰეროვანნი იმიერთ ნუ ოდეს ნუ მიუდგებიან ნურცა სალაშქროდ, ნურცა სასაურვოდ ისაქმებენ ერთმანერთთანა თავის თავისასა საერისთოსაგან კიდე და რომელიც მიუდგეს, რომელიც თუ უნდა იმიერი ამიერსა, და ანუ ამიერი იმიერსა, დარბაზით მამული წაეღოსთ და ციხე დაექციოს“ [1].

სჯულმდებელის ეს ცნობა თითქოს ეჭვმიუტანლად იმას ამტკიცებს, რომ ხევში ერთი საერისთავოა, ხოლო არაგვის ხეობაში მეორე. და მეორეც, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, რუს მოგზაურთა ცნობებს. მე-17 საუკუნის რუსი მოგზაურები არაგვის ერისთავებს, როგორც ცნობილია, „სონთა ერისთავებს“ უწოდებენ. როდესაც თედორე ივანეს ძეს ელჩებმა ჩერქეზ ბატონს ალკასს სთხოვეს, რომ საქართველოს საზღვრამდე მიგვაცილეო, მან უპასუხა: „...пошлю дей вас проводити до Сонские земли; а дале Сонские земли мне вас проводити нелзя, потому что ныне Иристов князь Сонской со мною не в миру“[2]. 1604—1605 წლებში მიხეილ ტატიშჩევისა და ანდრია ივანოვის ელჩობის დროს, ელჩებმა იცოდნენ, რომ „из давных лет Сонская земля подо властью Иверских царей одна земля и люди были одной веры християнские; а не в давном времени ты Аристов князь, от Александра царя хотел отстат“[3].

ამ დროს, რა თქმა უნდა, „სონთა ერისთავები“ არაგვის ერისთავები არიან [4], მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რატომ უწოდებენ რუსები, „სონთა ერისთავებს“ და არა „არაგვის ერისთავებს“?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინი დაკავშირებული უნდა იყოს „სიონთან“. „სონთა ერისთავი“ სხვა არაფერია თუ არა „სიონის ერისთავი“. უნდა ვიფიქროთ, რომ ხევის საერისთავოს რეზიდენცია, ვიდრე ხევის საერისთავო დამოუკიდებლად არსებობდა, იყო სოფელ სიონში და ამიტომ ხევის საერისთავოსაც სიონის საერისთავო ეწოდებოდა, ხოლო ერისთავებს — სიონის ერისთავები. შემდეგში ამ ცნებამ შინაარსი დაკარგა, მაგრამ სახელი, უნდა ვიფიქროთ, კიდევ დიდხანს შერჩა. ასეთი მოსაზრება თავის სადოქტორო დისერტაციაში გამოთქვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, თუმცა ერთგვარი ეჭვებით.

---

[1] ძეგლის დება, კაკაბაძის გამოცემა, გვ. 15.

[2] Белокуров, Сношения России с Кавказом. გვ. 34.

[3] იქვე, გვ. 425.

[4] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, მასალები, 1944 წ., ნაკვ. I, გვ. 21.

სიონი ადებარეობს ხევის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე ყაზბეგის რაიონში, ქაბარჯინის მთის ძირში. ამ სოფელში მრავლად შემონახულა ისტორიულ ნაგებობათა გარდმონაშთები. ეს სოფელი დღეს შედგება ოთხი უბნისაგან: 1. სიონის ქედი, 2. კვირეს ქედი, 3. კალოვანი და 4. გარბანი. სიონის ქედი ბუნებრივად ამაღლებული ადგილია. აქ დღემდის კარგად არის დაცული სამსართულიანი კოშკი, რომლის სიმაღლე 18—20 მეტრს აღწევს. აქვე არის სიონის მონასტერი და საერო შენობათა ნაშთები. ამ ბუნებრივ ამაღლებულ ადგილს, რომელზედაც ჩვენის აზრით, ერისთავების ციხე-დარბაზი უნდა ყოფილიყო, შემოვლებული ჰქონია ქვიტკირის სქელი გალავანი; გალავნის ნაშთები, აქა-იქ, დღემდის არის შემონახული. სიონის ერთ უბანს, როგორც აღვნიშნეთ, გარბანი ეწოდება. აქ ყოფილა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. დღეს მხოლოდ კედლებიღა არსებობს, აქა-იქ წარწერებიცაა (ნუსხურითა და ასომთავრული). გარბანი ჩვენ გვგონია, რომ იგივე გარეუბანი უნდა ყოფილიყო.

ამ სოფლის ადგილმდებარეობამ და ირგვლივ მატერიალური კულტურის ძეგლთა თავისებურმა განლაგებამ, ადგილზე ნახვის დროს დამარწმუნა, რომ აქ უნდა ყოფილიყო ხევის მმართველობის ცენტრი, რადგან ეს სოფელი წარმოადგენდა თრუსოს, დარიალისა და სნოს ხეობათა შესაკრებ პუნქტს. ასე რომ, დარიალიდან, სნო-ბურსაჭირის ხეობიდან და თრუსოს ხეობიდან შემოსული მგზავრი სიონს ვერ ასცდებოდა. აქვე, ახლოს იყო არშას დიდი ციხე-სიმაგრე, რომელიც დიდ თავსაფარს წარმოადგენდა გაჭირვების ჟამს.

დავუბრუნდეთ საკითხს. თუ ისტორიკოსები მართალნი არიან, რომ ვანათელმა აზნაურმა შესძლო სხვათა მოშველიებით არაგვის ერისთავების დამარცხება, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ხევი ამ ამბისაგან გამოირიცხება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა მარტო არ გამოირიცხება.. არამედ, პირიქით, ვანათელებს არაგვის დამორჩილება მხოლოდ ხევის დამორჩილების შემდეგ შეეძლოთ.

ვანათი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, პატარა ლიახვიდან თრუსოს გზით ხევში შეიძლება გადასვლა.

ხევში გაბატონების შემთხვევაში კი არაგვის ხეობის მთიანი ზოლის ხელთგდება ადვილია, მით უმეტეს, რომ, მთიელთა გადაბირება ფეოდალების წინააღმდეგ არც ისე ძნელი იყო. ასე რომ, ახლად მოვლენილი არაგვის ერისთავების მოქიშპე ადვილად შესძლებდა მთიელთა მიმხრობას, რაც შეეხება ცნობას იმის შესახებ, რომ ვანათელმა ქსნის ერისთავები მოიშველია, შესაძლებელია საფუძველს მოკლებული არ იყოს. ფეოდალთა შეთანხმებები მეზობლის წინააღ-

მდეგ გვიანფეოდალურ საქართველოში არ იყო იშვიათი შემთხვევა გავიხსენოთ, თუნდაც, ანდუყაფარ ამილახორისა და იასე ქსნის ერისთავის შეთანხმება ღაზნელების წინააღმდეგ. შესაძლებელია მართალი იყოს აგრეთვე ცნობა, რომ არაგვის ერისთავები XVI საუკუნიდან რომ ჩანან წარმოშობით ოსები იყვნენ — სიდამონისძეთა საგვარეულოდან.

ამრიგად, მოტანილი მასალის შესწავლის საფუძველზე ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია შემდეგი:

არაგვის საერისთავო, როგორც დამოუკიდებელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, ადრე არსებობდა და ქართლის საერისთავოში შედიოდა (აქ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ: ჩვენი მსჯელობა მხოლოდ მაშინ იქნება მართალი თუკი არაგვი და ქსანი ქართლში იგულისხმებოდა; ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს).

არაგვის საერისთავოს პირველი ერისთავები იყვნენ შაბურისძეები.

XVI საუკუნიდან, სარგებლობენ რა საგარეო და საშინაო პირობების გართულებით, პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აზნაურები, შესაძლებელია სიდამონისძენი, მოიშველიებენ ოსებს და ქსნის ერისთავებს, იმორჩილებენ ხევის ერისთავებს—თექთურმანისძეებს, აქ ისინი „გაერისთავდებიან", ხოლო ამის შემდეგ, თანდათან, არაგვის საერისთავოსაც შეიერთებენ და ამიერიდან ორი საერისთავო ერთ საერისთავოდ—არაგვის საერისთავოდ ხდება.

არაგვის საერისთავოს საზღვრები ხშირად იცვლებოდა. ერისთავების ნიადაგ-ბრძოლა ყმა-მამულისათვის ზოგჯერ მათი გამარჯვებით მთავრდებოდა და ხშირად არაგვის ერისთავები (ზურაბი, ზაალი და სხვ.) კახეთის გარკვეულ ნაწილს—ერწოთიანეთსა და სამუხრანოს აღმოსავლეთის ნაწილს შეიერთებდნენ ხოლმე.

არა იშვიათი იყო ისეთი შემთხვევებიც. როცა არაგვის ერისთავები თავიანთ „მამულიდანაც" კარგავდნენ ადგილ-სოფლებს და ყმა-მამული უმცირდებოდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხთა აღწერის არც ერთ დავთარს 1743 წლამდე ე. ი. არაგვის საერისთავოს გაუქმებამდე შედგენილს, სადაც ნაჩვენები იქნებოდა არაგვის საერისთავოში შემავალი სოფლები და მოსახლეობის რაოდენობა, ჩვენამდე არ მოუღწევია. ამის გამო ჩვენ იძულებული ვხდებით არაგვის საერისთავოს საზღვრების, ტერიტორიის, საერისთავოში შემავალ სოფლებისა და მოსახლეობის რაოდენობის დადგენისათვის შედარებით მოგვიანო, სახელდობრ, მეთვრამეტე საუკუნის ცნობები გამოვიყენოთ.

ჩვენამდის მოაღწია 1774 წლის არაგვის საერისთავოს მთის ზოლის სოფლების შედარებით სრული აღწერის სიებმა და 1781 წლის არაგვის საერისთავოს ბარის ზოლის აღწერის ნაწყვეტმა. მართალია, დასახელებული აღწერილობები არაგვის საერისთავოს მოსახლეობის სრულ სურათს არ გვიხატავენ, მაგრამ დაახლოებითი წარმოდგენისათვის მაინც იძლევიან მასალებს.

1774 წლის აღწერით არაგვის საერისთავოში შემდეგი ხეობები ყოფილა:

1. ხევი, ხადა, გარეშემო, მრევლი, ცხოტი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი [1].

დასახელებულ აღწერაში, ჯერ ჩამოთვლილი ხეობებია ნაჩვენები, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია ხეობათა მიხედვით, ცალ-ცალკე სოფლები, მცხოვრებთა გვარების, კუთვნილებისა და სოციალური მდგომარეობის ჩვენებით.

1781 წლის აღწერაში კი მხოლოდ ბარის სოფლებია დასახელებული და არც მოსახლეობის რაოდენობა და არც სხვა რაიმე მითითება აქ არ არის. ეს სოფლებია: პავლეური, ციხისძირი, ავენისი, ანანური, ჟინვანი, ქაისხევი, არანისი, ეთვალისი, უნდილაანთკარი, არაგვისპირი, იორი, ყვავილი, აში, აფხავი, იწრისი, ბოდორნა, საშაბურო, ბაზალი, ტონჩა, გრემისხევი, მთიულთკარი, არღუნი, ზენდუშეთი, ჩილურტი, დუშეთი, სასახლის დუშეთი და წინ დუშეთი [2].

რადგან ჩამოთვლილი სოფლები, თითქმის ყველა, დღესაც არსებობენ, ჩვენ საშუალება გვაქვს არაგვის საერისთავოს საზღვრები ზოგადად მოვხაზოთ.

არაგვის საერისთავოს საზღვრები და ტერიტორია 1827 წელს ჭილაშვილს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: „В древния времена Грузия разделялась на разныя эриставства или округи. По сему разделению Дариал принадлежал к Арагвскому эриставству, которое, простираясь от сего места вверх по Тереку до последняго Трусовского сел. Сивераута и по течению Арагвы до р. Нареквави, на коей учрежден Гартискарский пост, заключает в себе: Хеви, Трусовское ущелье, Закку, Мтиулети, Гудамакари, Хандо, Чартали и весь Душетский уезд, исключая Ксанского ущелья и владений князей Мухранских, и граничит

---

[1] ე. თაყაიშვილი, მასალანი საქ. სტატისტიკურის აღწერილობისა მეთერამეტე საუკუნეში, 1907 წ., გვ. 407—486.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტორია, წიგნი I, 1930 წ., გვ. 30.

с одной стороны Тагаурами и Джерахами, с другой Кистами, Хевсурами, Пшавами и Телавским уездом, с третьей Иронистаном или Осетиею и Ксанским ущельем, а с четвертой владением князей Мухранских и Тифлисским уездом“ [1].

ჭილაშვილის მიერ საერისთავოს საზღვრებისა და საერისთავოში შემავალი ხეობების შესახებ მოცემული ცნობები ძირითადად სწორია, თუმცა სხვა წყაროებიდან არ ვიცით თრუსო და ზაკკა არაგვის ერისთავებს ეკუთვნოდათ თუ არა.

არაგვის საერისთავოს სასაზღვრო ხაზი დაახლოებით ასეთია: დ ა ს ა ვ ლ ე თ ი თ არაგვის საერისთავო ქსნის საერისთავოს ემეზობლებოდა. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა შელეს მთიდან და სამხრეთის მიმართულებით გაივლიდა ლეკანაურის, ჩარეხის, ახალმთების, ლომისის მთების, ღოსთავის, საწვიმარანის, საკნების, კურკუტოს, ნაღორევის, ნადიბანის, ხარხეთის, ჩოხელმთის, ჩოხამირათმთის, ნაბაკარის, ფასანაურის მთების, ჭართლხანდოს მთების, ჭართლის მთების წვერებზე მიემართებოდა ნარეკვავის ხეობით სამუხრანომდე.

დასახელებული მთების დასავლეთის კალთები ეკუთვნოდათ ქსნის ერისთავებს, ხოლო აღმოსავლეთის კალთები არაგვის ერისთავებს.

ს ა მ ხ რ ე თ ი თ არაგვის ერისთავები მუხრანბატონებს ემეზობლებოდნენ. სასაზღვრო ხაზი გრემისხევთან იწყებოდა და ნარეკვავის ხეობის მიყოლებით სოფელ მისაქციელთან თავდებოდა. მისაქციელი მუხრანბატონებს ეკუთვნოდათ. როდესაც გიორგი საკაძეს ფეოდალები სდევნიდნენ, იგი ნუგზარ ერისთავს შეეფარა: „რა სცნა ნუგზარ საქმე მოურავისა და მისვლა მისი სახლად მისა, მიეგება წინა მისაქციელსა, სოფელსა მუხრანისასა, და წარუძღვნა წინა და წარიყვანა სახლსა თვსსა დუშეთს“ [2].

განსაკუთრებით ჭირს აღმოსავლეთ საზღვრების დადგენა. 1781 წლის აღწერაში მოხსენებული სოფლები მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდნენ, მაგრამ ძნელი დასადგენია, ჰქონდათ თუ არა არაგვის ერისთავებს უკანასკნელ ხანებში მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე სამფლობელო. როგორც აღნიშნული იყო ერწო-თიანეთი ხშირად ეკუთვნოდა არაგვის ერისთავებს. ცნობილია, რომ ერისთავებმა არა ერთხელ სცადეს ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებაც, მაგრამ ეს მხარეები საბოლოოდ მათ ვერ შეინარჩუნეს, ამიტომ ჩვენ

---

[1] Акты, VII, стр. 347—348.

[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 125

პარეებულად მიგვაჩნია ჭილაშვილის მიერ დადგენილი საზღვარი აღმოსავლეთით (ფშავ-ხევსურეთი და თელავის მაზრა).

ჩრდილოეთით საერისთავოს საზღვარი თავდებოდა დარიალის კართან, სადაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი იყო.

არაგვის საერისთავოში შემავალი სოფლების სია

№ № რიგ.	სოფლის დასახელება	კომლთა რიცხვი	სულთა რიცხვი. მამრობითი სქ. ბეგარა ვალდებული	ბოგანი	ობოლი	ხიზანი
1	2	3	4	5	6	7
I	ხევის სოფლები					
1	ედო	2	3	—	—	—
2	გერგეტა	25	55	—	3	—
3	სტეფანწმინდა	46	100	5 კომლი 8 თავი	—	—
4	თარგმანი	5	11	—	—	—
5	სნო	36	78	3 კომლი 4 თავი	1	—
6	კარკუჩა	6	14	—	—	—
7	ახალციხე	10	20	—	—	—
8	ფანშეთი	6	15	—	—	—
9	არშისციხე	4	12	—		
10	გორისციხე	14	29	1 კომლი 2 თავი	1	—
11	თხელშა	13	18	1 კ. 2 თ.	—	—
12	ქუთა	11	27	—	2	—
13	ყანობი	17	32	—	3	—
14	გაიბოტენი	7	18	—	—	—
15	გარბანი	10	21	—	2	—
16	სიონი	21	46	2—3	—	—
17	ტყარშეთი	7	22	—	—	—
18	მნა	23	45	—	1	—
	ს უ ლ	266	566	12—18	13	
II	ხადას ხეობის სოფლები					
1	ზემო მლეთე	20	50	—	6	1 თავი 1 სული
2	ქვემომლეთე	11	21	—	—	—
3	სეთურთკარი	14	23	—	1	—

1	2	3	4	5	6	7
4	ჯაღუმანთკარი	5	13	—	—	—
5	კაიშაურთკარი	7	13	—	—	—
6	წკერე	8	21	—	1	—
7	მიღურე	6	18	—	—	—
8	ბენიანთკარი	6	12	—	—	—
9	ბეგოთკარი	8	17	1 კ. 1 თ.	3	—
10	იუხო	11	24	3 „ 3 „	—	—
11	როსტიანთკარი	2	5	—	—	—
12	ქოროლო	5	11			
13	მიდელაურთკარი	7	13			
14	სვიანანთკარი	4	9			
15	ციხიანთკარი	4	7			
16	შარუმანთკარი	5	11		1	
17	ზაკათკარი	11	20		4	
	სულ	134	288	4—4	6	1—1
III	გარეშემოს სოფლები					
1	არახვეთი	14	29	—	—	—
2	რორო	10	18	—	—	—
3	დათვიანთკარი	11	19	—	1	—
4	გვიდაქე	10	25	—	—	—
5	სეფე	20	33	1—1	2	—
6	ჟოჟონი	11	17		1	
7	ჩონჩო	20	38			
8	ლაკათხევი	14	29		2	
	სულ	110	208	1—1	6	
IV	მრევლის სოფლები					
1	ბექიანთკარი	9	21			
2	ყველანთკარი	5	12		2	
3	ნადიბაიძიანთკარი	7	20			
4	გოგნაური	18	47			
5	საღაჯურო	6	15			
6	ჩოქურო	6	13			
7	მანასეული	9	22		3	
8	ხარხეთი	9	22			
	სულ	69	172	—	5	

1	2	3	4	5	6	7
V	ცხაოტის სოფლები					
1	ჩირიკი	16	36	—	1	
2	კობიანთკარი	8	20	—	—	1—1
3	ძმიანთკარი	3	12	—	—	—
4	ბატატიანთკარი	3	7			
5	ჭიკანთკარი	14	29	1—1	—	—
6	ხევშა	21	52	—	1	—
7	წიფორი	6	16	—	—	
8	ამირთკარი	16	30	—	—	
9	ჩადისციხე	4	10	—	—	
10	ქავთურთკარი	15	36	1—1	2	
	ს უ ლ	106	248	2—2	4	1—1
VI	გუდამაყრის სოფლები					
1	დუმაცხო	14	37	—	2	
2	ათნოხი	16	27	1—1	2	
3	ჩოხი	8	14			
4	ჩობაური	9	17		1	
5	ლიდა	3	8			
6	ხოზა	4	12			
7	საუხი	2	2			
8	ჭალისოფელი	6	8			
9	გამხი	7	13			1—1
10	გოგანაურთსოფელი	9	21			
11	კიტოხი	6	11			
12	მაქართა	16	29		3	
13	წინამხარი	3	6		1	
14	ფხაეთი	9	32		1	
15	ჭოჭოხი	3	4		2	
16	ლუთხუმი	13	25	—	1	
	ს უ ლ	128	266	1—1	13	1—1
VII	ხანდოს ხეობის სოფლები					
1	უკანამხარე	18	51		7	
2	ჯუხარანთკარი	7	14			
3	ვეშაგურთკარი	7	20		3	

1	2	3	4	5	6	7
4	წინციხე	8	20	1—1	2	
5	სოდავე	14	27		2	
6	ჯირაურთკარი	12	24			
	სულ	66	156	1—1	14	
VIII	ჭართლის სოფლები					
1	სარეკთუბანი	7	14	2—3	2	1—1
2	ზენუბანი	8	12	1—2	1	1—1
3	კოლოტა	8	13	6—10	1	—
4	მუგუდა	10	17	—	7	
5	პავლეთკარი	12	25	1—1	2	5—5[1]
6	ციხისძირი	12	19	2—2	1	1—1
	სულ	57	100	12—17	14	8—8

არაგვის საერისთავოს ბარის ნაწილში 1781 წლის აღწერით შემდეგი სოფლები შედიოდა:

ავენისი, ანანური, ჟინვანი, ქაისხევი, არანასი, ეთვალისი, უნდილაანთკარი, არაგვისპირი, იორი, ყვავილი, აში, აფხავი, იწრისი, ბოდრნა, საშაბური, ბაზალი, ტონჩა, გრემისხევი, მთიულთკარი, არდუნი, ზედდუშეთი, ჩილურტი, დუშეთი, სახლის დუშეთი, წინდუშეთი[2].

1774 და 1781 წლების არა სრული აღწერით ირკვევა, რომ არაგვის საერისთავოში 114 სოფელი შედიოდა. კიდევ უფრო არასრულია მოსახლეობისა და კომლთა რიცხვი. 1774 წლის აღწერით 89 სოფელში ითვლებოდა 936 კომლი 2.004 შრომისუნარიანი მამაკაცით, 33 ბოგანოთა კომლი 44 მოსახლით, 77—ობოლი და 11—ხიზანი.

ასე, რომ აქ მოტანილი ცნობები არ იძლევა სრულ სურათს მოსახლეობის რაოდენობის დადგენისათვის.

მართალია, შედარებით უფრო სრული აღწერა მოგვეპოვება ყოფილ არაგვის საერისთავოში შემავალი სოფლებისა და მოსახლეობისა, მაგრამ ეს გვიანდელია (1803 წლის). განსხვავება 1803 წლის აღწერისა 1774 წლის აღწერასთან იმდენად დიდია, რომ მისი

---

[1] პავლეთკარი და ციხისძირი 1781 წლის აღწერით ბარის ხოლშია მოქცეული, იხ. ჯავახიშვილის საქ. ეკ. ისტორია, I, გვ. 30.

[2] პავლეთკარი და ციხისძირი, რადგან 1774 წლის აღწერაშიაც იყო, აქ აღარ შევიტანეთ.

გამოყენება ჩვენ მიზანშეწონილად ვერ ვცანით. მაგალითად, 1774 წელს სოფ. სტეფანწმინდას კომლთა რიცხვი 46 იყო, 1803 წელს კი— 55; გერგეტაში 1774 წელს იყო 28, 1803 წ. — 99 კომლი და ასე შემდეგ [1].

ყურადღებას იპყრობს 1770 წლის აღწერა. ეს აღწერა თავისებურ სტატისტიკურ ამონაკრებს წარმოადგენს, სადაც ხეობათა მიხედვით მოსახლეობის საერთო მონაცემებია აღრიცხული. არაგვის საერისთავოს შესახებ აქ ნათქვამია: „არაგვზე არს მცირე ქალაქი ანანური და მასა შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი 100 კომლი“ [2].

იმავე აღწერით „არაგვის ოსი ზახას, თრუსოს, ჭვრივს, ხადას და ლუდეს 1.200 კომლი იყო“ [3].

ხოლო „არაგვის ქრისტიანენი მართლმადიდებელნი მთასა და ბარს კომლი 2.000-იაო“ [4].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მოტანილი ცნობები არაგვის საერისთავოს კომლთა საერთო რიცხვის დასადგენად გამოდგება. მართალია, არაგვის საერისთავო 1743 წელს გაუქმდა, მაგრამ 1770 წლისათვის დიდი ცვლილებები არ უნდა მომხდარიყო მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ასე რომ, არაგვის საერისთავოში მცხოვრებთა რიცხვი 3.300 კომლს აღწევდა. თუ თითოეულ კომლში საშუალოდ 5 სულს ვიგულებთ, საერისთავოს მოსახლეობის საერთო რიცხვი იქნება 16.500 სული.

IV. სამუხრანბატონო

ყოველი სათავადო გარკვეულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში წარმოიქმნება; ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც სამუხრანბატონო წარმოადგენს გამონაკლისს. განსხვავება აქ ისაა, რომ სამუხრანბატონო უშუალოდ სამეფო მამულის — სახასო ქონების გამონაყოფს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ესა თუ ის საამილახორო თუ საერისთავო თავის დროზე საქვეყნოდგამრიგე მოხელის სამოხელეო სარგო იყო და შემდეგში, თანდათან, გადაიქცა ამ მოხელის სამკვიდრო მამულად.

სამუხრანბატონო XVI საუკუნის პირველ ოცეულში ჩამოყალიბდა. ეს იყო ცენტრალური ხელისუფლების კიდევ ერთი მარცხი.

---

[1] Акты II, გვ. 81.
[2] „კვალი“, 1898 წ., № 2, გვ. 194.
[3] იქვე.
[4] იქვე.

როგორც აღნიშნული გვქონდა, XV საუკუნეში საქართველო საფეოდ-სამთავროებად დაიშალა. ერთხანს ცენტრმა სცადა ამ პროცესისათვის ხელი შეეშალა და მთლიანობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ამ საქმეში ცენტრალური ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა და ბოლოს იძულებული გახდა მომხდარი მოვლენა ეცნო, კახეთი გიორგის „მიანებეს“, ხოლო იმერეთი — ალექსანდრეს.

პრინციპში ასეთივე მიზეზებით აიხსნება სამუხრანბატონოს წარმოშობა, ცენტრის დასუსტება, მეფისადმი მისი ძმების ოპოზიცია, ამ ოპოზიციის გამარჯვება. სანამ მომხდარი ფაქტის ანალიზს გავაკეთებდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის ირგვლივ არსებული მასალათა შეჯერება მოვახდინოთ.

1490 წლის დარბაზის შემდეგ საქართველოს სამეფოებს შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდა. კონსტანტინე ქართლის მეფე (1478 — 1505) ალექსანდრე კახბატონს (1476 — 1511) დაეზავა და საზღვრებზეც მოურიგდა. მშვიდობა ჩამოვარდა ათაბაგთან და ალექსანდრე იმერეთის მეფესთანაც. მაგრამ ეს მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კონსტანტინეს ჰყავდა 7 ვაჟი — დავითი, გიორგი, ბაგრატი, დიმიტრი, ვახტანგი, ალექსანდრე და მელქიზედეკი.

კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა კონსტანტინეს უფროსი ვაჟი დავითი (1505 — 1525). იგი, ვახუშტის დახასიათებით, „იყო ლმობიერი, ბრძოლაშლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა“ [1]. მიუხედავად ამისა, დავითის დროს, საქართველოს რამოდენიმე შემოსევა განუცდია. იმერეთის მეფე ალექსანდრე, დიდი ლაშქრით ქართლში გადმოსულა და „ქრონიკონსა რჟვ (1508 წ.) აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა“ [2].

„ქკს: რჟზ: ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისამან, აღიღო გორი“ [3]. ამ კვინკლოსური ცნობების გარდა მოგვეპოვება ამ ამბის შემცველი უფრო სრული ცნობაც. ეს ცნობა ვახუშტის ეკუთვნის, იგი წერს: „... წელსა ქს ჩფთ, ქრ რჟზ, გარდმოვიდა სპითა ალექსანდრე მეფე იმერთა, მოადგა გორს. შეუძლდათ ესე ყოველთა და ეტყოდენ მეფესა დავითს ბრძოლასა მისსა, არამედ დავით მეფემან არა ინება, მეტ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 16.
[2] იკორთის ქამგულანი, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 5.
[3] ქ-ბი II, გვ. 326.

ყველმან მათმან „რამეთუ მიეგების მეშფოთეთა შფოთით“: ხოლო ალექსანდრემ აღიღო გორი და დაიპყრა თვით“ [1].

თუმცა დავითმა კვლავ მალე დაიბრუნა გორი, მაგრამ ახლა ქართლის წინააღმდეგ კახეთი ამოძრავდა.

კახეთის მეფე ალექსანდრეს ორი ვაჟი ჰყავდა — გიორგი და დიმიტრი. ალექსანდრე მშვიდობიან ურთიერთობაში იყო ქართლის მეფე დავითთან. ასეთი პოლიტიკა ჩანს გიორგის არ მოსწონდა და მამას დაჟინებით ურჩევდა ქართლზე ვილაშქროთო. როცა გიორგიმ დაინახა, რომ მამა ქართლზე ლაშქრობის წინააღმდეგი იყო, მან თვითონ შეჰყარა ჯარი და „დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა“ [2].

ალექსანდრე განუმარტავდა თავის ურჩ შვილს, რომ ქართლელნიც „ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენთვის კახეთიცაო“ [3].

გიორგიმ დაინახა, რომ მისი გეგმების განხორციელებაში მამა და ძმა ხელისშემშლელნი არიან და გადასწყვიტა მათი თავიდან მოშორება, საამისოდ დრო იხელთა და 1511 წელს მამას სიცოცხლე მოუსპო, ხოლო ძმას თვალები დასთხარა. ამის შემდეგ მას სამოქმედოდ გზა გახსნილი ჰქონდა. თავისი თავი „ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა და სამეფოს“ გამაერთიანებლად და მპყრობელად და „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“ მეფეთა-მეფედ გამოაცხადა“ [4]. გიორგი ქართლის წინააღმდეგ წამოვიდა. ვახუშტის ეს ამბავი ასე აქვს გადმოცემული: „ამ ჟამს იდგა დავით მეფე ატენს ტაძრეულითა და მცველითა თვისით, მოუხდა ავ-გიორგი ატენს მეფესა დავითს, ხოლო დავით უსპობით ვერღარა მბრძოლი წევიდა ციხესა შინა ატენისასა, და მოადგა ავ-გიორგი გარს, არამედ იხილა გიორგიმ ვერ შემუსრვა ციხისა და სპანიცა შემოკრბებოდიან შემწედ მეფისა დავითისა, უკან იქცა ავ-გიორგი და წარვიდა კახეთს. გარნა არა იკმია სიბოროტე და კვალად იწყო კირთება, რბევა და ოხრება ქართლისა, რამეთუ ჟამითი-ჟამად მოვიდის და აოხრებდის“ [5].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხ-ბა, გვ. 16—17.
[2] მარიამ დედოფლისეული ქ. ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 906.
[3] იქვე, გვ. 906.
[4] ისტორიული საბუთები III, გვ. 44—45.
[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 17.

როცა იმერეთის მეფე ალექსანდრე ქართლზე ლაშქრობდა, რა თქმა უნდა, სრულიადაც იმას არ ფიქრობდა, რომ იგი სხვა ქვეყანას იპყრობდა. მისი გაგებით ქართლიც მისი იყო და ამდენად იგი სრულიად საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერ პრეტენდენტად გამოდიოდა. ამასვე ფიქრობდა კახეთის მეფეც. სწორედ ამით აიხსნება იმ სამეფო ტიტულატურის მოხსენიება საბუთებში, რომელსაც ქართლისა, კახეთისა თუ იმერეთის მეფეები ატარებდნენ ამ დროს.

თითოეული სამეფოს წარმომადგენელისათვის მეორე სამეფოს მფლობელი უკანონო იყო და ამდენად მისი მოქმედება მეორის მიმართ გამართლებულად უნდა ჩათვლილიყო. როცა ავ-გიორგიმ ქართლში ლაშქრობა გაახშირა „ეტყოდენ ძმანი მეფესა დავითს წინააღდგომობასა გიორგისასა ხოლო იგი მიუგებდა: „სიბოროტისა თვისისა ნაცვალი მიეგების, რად ვყოთ ჩვენ შფოთი“: არამედ ბაგრატ ძმა დავით მეფისა მიუგებდა: „მიგვიხვნა კახეთი და აწ ნებავს ქართლისაცა“ [1].

როგორც ვხედავთ, ქართლის სამეფო კარზე ესმოდათ, რომ კახეთი მათი საკუთრება იყო და რომ კახთა ბატონებს ძალით, უკანონოდ. აქვთ მიმძლავრებული. როცა ქართლის მეფეებს საამისო საშუალება ექნებოდათ ისინიც ისევე შეეცდებოდნენ ლიხთ იმერეთისა თუ კახეთის ხელყოფას, როგორც ეს უკანასკნელნი ხელჰყოფდნენ ხოლმე ქართლს. საამისო მაგალითებად გამოდგებოდა: დავითის ცდები ლევანის ხელთგდებისათვის, ლუარსაბის ლაშქრობები მესხეთ-ჯავახეთში, სიმონ პირველის ომები დასავლეთ საქართველოში და სხვა.

მაგრამ მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა და საქართველოს გაერთიანების იდეაც თანდათან სუსტდებოდა. სამთავრო-სათავადოების წარმოშობა, რაც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დაძაბუნების შედეგი იყო, საბოლოოდ აქარწყლებდა ქვეყნის გაერთიანების შესაძლებლობას. ამას თან ერთოდა საგარეო პირობების მკვეთრი გაუარესება. როგორც ცნობილია, 1555 წელს ერანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდვა. ამ ზავით საქართველო ორად იქნა გაგლეჯილი. ამიერიდან ეს ორი მტაცებელი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ქვეყნის გაერთიანებისათვის.

ასე რომ, ქვეყნის გაერთიანების ყოველგვარი ცდა წინასწარვე განწირული ჩანდა.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 17.

ბაგრატ ბატონიშვილი თავის ძმას, ქართლის მეფე დავითს ესაჯედურებოდა, რომ კახეთის მეფემ „მიგვიხცნა კახეთი და აწ ნებავს ქართლისაცა“ და, შენ ზომებს არ იღებო. თანადგომობისა და შველისათვის მოითხოვდა მისთვის გამოეყოთ სამუხრანო. ვახუშტის ცნებით ბაგრატმა დავითს „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის-ჯვნი მთიულ-მოხევითურთ თვსსა მორჩილებისა ქვეშე (რომელი არს მიერითგან ერთ სასპასპეტოდ ანუ სადროშოდ...) ... „და მე აღუდგები მტრად ავ-გიორგის“. მაშინ აიძულებულმან მეფემან ნება სცა ბაგრატს, წარმოვიდა ბაგრატ, აღაშენა მუხრანს ციხე მტკვრისა“ [1].

ეგნატაშვილ ბერსაც თითქმის ასეთივე ცნობები მოეპოვება. იგი წერს: „აღდგა ავ-გიორგი დავითზედა და ვეღარა აღუდგა დავით: სამძღვრამდის იმერეთისამდე მოარბეუდის ქართლსა მრავალგზის. და თუით მეფე დავით შეამწყვდია ციხესა ატენისასა, მრავალდღე ბრძოდა, და ვერ წაუღო ციხე და მიიქცა თუისადვე ადგილსა. მაშინ რქუეს ძმათა დავით მეფესა ესრეთ, ვითარმედ „მამათა ჩვენთა კახეთი მიუღეს და აწ ქართლისაცა ჰნებავს მიღება, აწ ჩვენცა აღვდგეთ მისზედა და ვბრძოდეთ მათ“. ხოლო მეფემან დავით არა ინება. მაშინ თქუა ძმამან მისმან უმრწემესმან ბაგრატ: „მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა და დროშა, დარაჯად ჩემდა იყოს ერისთავი ქსნისა და ჯეობა არაგვისა და შეუწიო ძალი ქრისტესი და თემიცა მისი იავარ ვყო“. უსმინა ძმამან მისმან დავით მეფემან და მისცა ყოველი თხოვილი მისი. მოვიდა ბაგრატ და აღაშენა ციხე მტვერისა, რომელ არს ციხის ძირის თავსა, და დადგა მუნ“ [2].

ასეთივე ცნობები შემოუნახავს ამ საკითხის შესახებ ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელებას.

თუმცა მოტანილი ცნობები დეტალებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ძირითადში ეს ცნობები ეთანხმებიან ერთმანეთს, სამუხრანბატონოს წარმოქმნის ამბავს ავ-გიორგის ლაშქრობებს უკავშირებენ. ავ-გიორგის ლაშქრობებმა, ჩვენის აზრით, მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი. მისი გამოყოფის ნამდვილი მიზეზი იმ საერთო მოვლენებში უნდა ვეძიოთ, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. სამუხრანბატონო 1512 წელს წარმოიქმნა. ზოგი ცნობით ბაგრატი მეფედაც იწოდებოდა, მაგრამ ბაგრატიონთა ამ შტოს საბო-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 17.

[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 50—51.

ლოოდ არ შერჩათ მეფეების სახელი, თუმცა მათ სხვა თავადთან განსხვავებით მუხრანბატონობა შეინარჩუნეს.

ყოველ სათავადოს, როგორც ეს დადგენილი არის, თავისი დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია; ერთი ამ ნიშანთაგანია ციხე-დარბაზი და სამუხრანბატონოსაც, როცა იგი დამოუკიდებელ ერთეულად იქცა, საამისო ნიშნებიც გაუჩნდა; აკი პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ბაგრატმა ციხე ააშენაო.

სამუხრანბატონოს საზღვრებისა და ტერიტორიის შესახებ ძვირფასს ცნობას გვაძლევს ლუარსაბ პირველის განჩინება, რომელიც ჭილკნელისა და მუხრანბატონის სადაო სოფლების შესახებ არის გაცემული [1].

ეს საბუთი ზედმიწევნით ადგენს სამუხრანბატონოს საზღვრებს, თუმცა არა სრულს, მაგრამ მაინც საკმაოდ უხვ ცნობებს გვაწვდის იმ სოფლების შესახებაც, რომლებიც სამუხრანბატონოში შედიოდნენ. თუ ჩვენ ვახუშტისაც გავითვალისწინებთ და სხვა საარქივო საბუთებსაც მოვიშველიებთ, მაშინ შესაძლებელი გახდება შედარებით ზუსტად განვსაზღვროთ სამუხრანბატონოს ტერიტორიაცა და მასში შემავალი სოფლების სია დავადგინოთ.

ვახუშტი თავის ცნობილ შრომაში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ყოველ ცალკე მხარის აღწერის დროს იქ შემავალ სათავადოს გეოგრაფიულ მდებარეობასაც იძლევა. ამ თვალსაზრისით მას არც სამუხრანბატონო გამორჩენია. იგი წერს: „საზღვარი მუხრანისა არს ძეგვისწყლიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვი, სამკრით მტკვარი, ჩდილოთ ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამკრითკენ გარდაკრილი ზაზი შავტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე" [2].

უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის ხელთ ჰქონდა ან ჩვენი საბუთი, ან მსგავსი სხვა საბუთები, ამდენად მისი ცნობები მთლიანად ემთხვევა მეთექვსმეტე საუკუნის საბუთებს. ადგილზე დათვალიერებამ დამარწმუნა, რომ ვახუშტი ძირითადად სწორია, მაგრამ ამა თუ იმ დეტალში მაინც საჭიროებს დაზუსტებას.

მისი აღწერით სამუხრანბატონოში შემდეგი სოფლები შედიოდა: „ახალციხე, ქინძარა, საფურცლე, საგუდე, გოროვანი, კიჯინიანი, წეროვანი, სხალტბა, ქანდა, ციხისძირი, ნასპარსევი, ნასტაკისი, ალაიანი, ქადაგიანი, ბეგთათავი, ჩანგილარი, ვარდისუბანი, შიოსუბანი,

---

[1] სეჭ. ცენტრ. არქივი, ფონდი 227, საბ. 1591.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 60.

ოკამი, თეზი, ლამისყანა, ახალდაბა, ირტო, ნოტრევი, ჭაშა, ხვითი, ქსოროვი, დამბალეთი, ჯიგრაშენი, სუმბიანი, კოდისწყარო, მჭადისჯვარი, გენეფერი, ჯვარმაგარი, გენესმანი, გრემისხევი, ტონჩა, უჟანო, ებნისი, ჭილუტი, საბურდიანო, ტყვილიანი, ყურისუბანი, გოგილური, ძალისი, წილკანი, ჭაპური, ახალუბანი, მისაქციელი, ხირი, ოფერხიდა, ფრეზეთი, ახალციხე, ციხებოდავი" [1].

ვახუშტის მიერ სოფლების ასეთი დალაგება ემყარება მის მიერ სამუხრანბატონოს საზღვრების დადგენის პრინციპს. სამუხრანბატონოში შემავალი სოფლების ჩამოთვლას სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრიდან იწყებს და მიჰყვება სამხრეთ-დასავლეთით, შემდეგ ჩამოთვლის დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთის სოფლებს და ასე შემდეგ. ახლა თუ ვახუშტის ამ ცნობას შევადარებთ სხვა წყაროებს, მივიღებთ შემდეგს:

მუხრანბატონები თავიანთ სამფლობელოს, ისე როგორც ყველა დანარჩენი თავადი, თუ კი დროს იხელთებდნენ, ზრდიდნენ. ეს ტენდენცია სამუხრანბატონოს მისი წარმოქმნის დღიდანვე ემჩნევოდა.

XVI საუკუნის 30-იან წლებში დაწერილ მცხეთის ერთ სიგელში ვკითხულობთ: „... ბატონს ბაგრატს (მუხრანბატონს)... მისაქციელი, აღაიანი, სრულიად ჭდობილთა დადვა და აგარულს სამზღუარსა წამოგუწჭიდა და დაიჭირა; გარდმოუგდო ქსანი და რაც ქსანს გალმი ჭალა და მამული დარჩა, დაიჭირა და აქუს... კიდე კუნელთ სამზღუარშიგა ბატონმა ბაგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქვა" [2].

რომ მუხრანბატონებისაგან საკათალიკოსო ყმათა მიტაცებას ადგილი ჰქონდა, ჩანს სხვა საბუთებიდანაც. ზურაბ ერისთავმა 1628 წელს კათალიკოსს სიგელი მისცა: „საფურცლე ძუელთაგანვე თქვენი ყოფილა და მუხრანის ბატონს თეიმურაზს და ქაიხოსროს წაერთმეკინათ და ჩუენ-ჯრმლით ვიშოეთ და ისრევე თქუენ შემოგწირეთ" [3].

ხშირად თვით კათალიკოსებისაგან ახერხებდნენ ყმა-მამულის მიღებას: „ქ. ქათალიკოზმა პატრონმა ბასილი ძმისწულთათჳს დაიჭირა კუნენელთა სამი კუამლი კაცი და სხუა სრულად პატრონს ბაგრატს (ე. ი. მუხრანბატონს) მისცა და მისაქციელი, თეკენა და წეროვნის ნახევარი" [4].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 199.
[2] ქ-ბი II, გვ. 373.
[3] იქვე, გვ. 447.
[4] იქვე, გვ. 373—374.

მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები, როცა მუხრანბატონები თავიანთ ყმა-მამულს ჰკარგავდნენ. თუ ვახუშტის ცნობით ლამისყანა და თეზი მუხრანბატონებს ეკუთვნოდათ, სხვა ცნობებით ვიცით, რომ ეს სოფლები შემდეგ ქსნის ერისთავებს აქვთ, ხოლო გრემისხევი—არაგვის ერისთავებს. ასე რომ, მუხრანბატონების საზღვრები ცვალებადი იყო, მაგრამ ე. წ. „მუხრანის ველი“ მაინც მათი ძირითადი სამეკვიდრო მამული იყო. აქვე ჰქონდათ სოფლები.

სამწუხაროდ, სამუხრანბატონოს ყმათა რაოდენობის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, როგორც დავინახეთ სამუხრანბატონოში 56 სოფელი ითვლებოდა. ეს სოფლები ბარის სოფლებია. ბარის სოფლები კი მცხოვრებთა რაოდენობით დიდად განსხვავდებოდა მთის სოფლებისაგან. თუ დავუშვებთ, რომ თითოეულ სოფელში სულ ცოტა 30 კომლი ცხოვრობდა, მაშინ შეიძლებოდა სამუხრანბატონოს მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოვებით მაინც წარმოგვედგინა. 56×30=1.680 კომლს; 1.680×5=8.400 სულს, რაც მათთვის გადაჭარბებული არ უნდა იყოს. საერთოდ კი, მუხრანბატონები მაინცდამაინც ყმაალმატებულები არ ჩანან. ისინი ქსნის ერისთავებს ამ მხრივ ვერ გაუტოლდებოდნენ. ჩვენ არა ერთი ცნობა გაგვაჩნია, რომ ლეკიანობისა თუ თურქთა და ყიზილბაშთა თარეშ-შემოსევების შედეგად სამუხრანო დაცლილა, გავერანებულა. მუხრანბატონები ცდილობდნენ ხელოვნურად შეევსოთ ეს დანაკლისი, იფარებდნენ ხიზნებს, ყიდულობდნენ ყმებს, ახლათ მოსულებს მიწის მოზრდილ ნაკვეთებს აძლევდნენ.

V. საამილახოროს

საამილახოროს წარმოშობის საკითხზე ქართულს ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

არსებობს ტრადიციული შეხედულება, თითქოს იოთამ ზევდგინის ძემ გიორგი ალექსანდრეს ძე 1465 წელს გადაარჩინა სიკვდილს და ამიერიდან გიორგიმ ამილახორად გახადა ზევდგინისძენი და სამოხელეო სარგოდ მისცა მამული ქართლში.

ეს ტრადიციული შეხედულება ვახუშტიდან მოდის და შემდეგ სხვებიც ჩვეულებრივ იმეორებდნენ, ვინც კი ამ საკითხს შეეხებოდა ხოლმე. ვახუშტი ამბობს: „მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბოძა მას ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურობა გორისა და სასაფლაოდ სამთავისი და კარისა თვისისა ამილახვრობა მსახურებისათვის მამისა მისისა, ვითარცა აჩენენ გუჯარნი მათნი“ [1].

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, გვ. 307.

გამორკვეულია, რომ ვახუშტის ხელთ არ უნდა ჰქონოდა ე. წ. „ზევდგინისძის საჩიერის წიგნი“ [1].

თუ, რომელ გუჯრებზე არის აქ საუბარი, ვახუშტის ამ პირდაპირი წყაროს მიგნება, სამწუხაროდ, ვერ შევძელით.

რომ მართლაც XVIII საუკუნეში იოთამისა თუ იორამის გმირობის ამბავი გავრცელებული ყოფილა, ჩვენ საამისო მასალები გაგვაჩნია. ზევდგენიძეთა ისტორიასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ხოლო ოომელთამე ამათ გვართა წარჩინებულებისა გამო მიიღეს თავადობა დროსა გიორგი მეფობისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1150 წელს [2] და იწოდებოდნენ ზედგინიძეთ და შემდგომად ოდეს იორამ ზედგინიძეს განარინა მეფის ალექსანდრეს ძე გიორგი მეფე ბაგრატოანი ორგულთა კაცთა ჭელთა სიკვდილისაგან და თვით ზედგენიძე იორამ მოკლულ იქმნა ნაცვლად მეფისა, ამისა ჯილდოდ უბოძა შვილთა მისთა გუარად ამილახორობაჲ და უფროსსა ძესა მისსა მისცა სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და ციხე გორისჯუარი და სხუანი ადგილნი, რომელნიც იწოდებიან აწ საამილახვარო ადგილებად. ხოლო სასაფლაოდ უბოძა სამთავის ეკკლესიისა შინა ადგილი წელსა ქრისტეს აქეთ 1465-სა და მუნიდგან იწოდებიან თავად ამილახვარად შთამამავალობანი მათნი, რომელნიცა განიყოფებიან სხუა და სხუა სახლად: 1) რევაზისშვილებად, 2) ქაიხოსროსშვილებად, 3) ბეჟანისშვილებად, 4) ერასტისშვილებად და იმის ძმისწულებად, 5) გივისშვილებად, ხ/ოლო/ პირველი თავადობისა ადგილი და ამილახორობა სპასპეტობა იყო რევაზისშვილთა, რომელნიც უფროსნი იქმნებოდნენ სახლში. ხ/ოლო/ სხვათა აქუნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი, ხოლო სხვანი რომელნიც იყვნენ გვარნი ამათ ზედგინისძენი, რომელნიმე დაშთნენ აზნაურად ზედგინიძეებად და რომელნიც დაშთენ მესხეთს, იგინი თუმცა ამილახვარად არ იხსენიებიან გუარით, გარნა არიან თავადნი, იმერეთს მესხებად წოდებულნი და აზნაურებად. ეს სახედვე ახალციხესა შინა არიან ამილახვრის გვარისანი და ხიდირბეგისა შვილებნიცა“ [3].

ამ დოკუმენტის პირველი ნაწილი ჩვეულებრივ ლეგენდას წარმოადგენს, აღნიშნულია თითქოს ამილახორთა წინაპრები პომპეუსის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, გვ. 89, გამოც. II, ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, ენიმკის მასალები, 1937 წ., ნაკვ. I.

[2] ტექსტში წერებულა 1465 წ. წაშლილია და დაწერილია 1150 წ.

[3] საქ. სახ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, ფ. S, საქმე 550.

დროს მოსულან იტალიიდან საქართველოში, ხოლო გვიანფეოდალური ხანის ამილახორების შესახებ კი ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს. ის ნაწილი, რომელიც ზევდგინიძეთა გაამილახორობას ეხება შინაარსობრივად ემთხვევა ვახუშტის ჩვენ მიერ ზემომოტანილ ცნობას.

შედარებიდან თითქოს ნათელი ხდება, რომ ორივეს — ვახუშტისა და ჩვენი დოკუმენტის შემდგენელს — ერთი და იგივე წყარო ჰქონიათ.

იოთამ ზევდგინიძის გმირობაზე საუბარი აქვს აგრეთვე იოანე ბატონიშვილს თავის კალმასობაში. გიორგი ამილახვრისშვილის კითხვაზე თუ „ვითარ არის ჩვენი ეკლესია (ლაპარაკია სამთავისის ეკლესიაზე, დ. გ.), იოანე ხელაშვილი უპასუხებს: „ოდეს იორამ ზედგინიძემ, თქვენმან დიდმან პაპამან, განარინა მოღალატეთაგან მეფე გიორგი, ძე ალექსანდრე მეფისა, სიკვდილისაგან, და მან დასდო სული თვისი მეფისათვის, მაშინ მეფემან მიუბოძა მათს შვილებს ამილახვრობა, ქართლის სპასპეტობა, გორის მოურავობა, გორიჯვარი, ციხე, და სამთავისის ეკკლესია სასაფლაოდ, ქრისტეს აქეთ 1465, და მუნიდგან თქვენნი შთამომავლობანი მუნ ესაფლავებიან“ [1].

იოთამის მიერ გიორგის გადარჩენის ამბავი მოთხრობილი აქვს ვახტანგ ერეკლესძესაც. „საქმე ესე ეს გზის და უმეტეს იქმნების წერილ, ეგოდენ ძვირფას არს ესე და ამისთვს შემდგომთაგანცა მეფეთა ადიდნეს დიდად შვილისშვილნიცა მისნი ვიდრე დღეინდელამდე“ [2].

ამრიგად, წყაროთა ერთი ჯგუფი ზევდგინიძეთა გაამილახორების თარიღად 1465 წელს სდებს და ამ თარიღიდან იწყებს საამილახოროს დაარსების ისტორიასაც.

წყაროთა ასეთ გაგებას მკვლევართა ერთი ჯგუფიც მიემხრო. 1891 წელს პ. კარბელაშვილმა, ცხვილოელის ფსევდონიმით, ივერიაში (№№ 237, 238) გამოაქვეყნა წერილები სათაურით: „მასალად ამილახორთა ისტორიისა“. ამ წერილში კარბელაშვილმა რიგი საყურადღებო მასალები გამოაქვეყნა, რაც თავისთავად ძვირფასი შენაძენია, რადგან ბევრს ამ წარწერასა თუ წერილებს მხოლოდ მისი წყალობით ვიცნობთ, ვინაიდან ზოგი კედლის წარწერა ჩამოინგრა და გაფუჭდა, ხოლო ბევრი საბუთი საერთოდ აღარ ჩანს.

---

[1] ივ. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, გვ. 49.

[2] ქრონიკები II, გვ. 285.

თვით კარბელაშვილის მოსაზრებანი ამ წარწერებზე მეტად გულუბრყვილოა. მისი აზრით, 1465 წელს მოხდა შეთქმულება გიორგი მეფის წინააღმდეგ. შეთქმულება გასცა გიორგი ზევდგინიძემ (სად ამოიკითხა მან ეს სახელი, არ მიუთითებს). გიორგი ასო ასო აჩეხეს და „ასეთის თავ-დადებით გულ-მოლბობილმა მეფემ თავში შემოიკრა თურმე და დაიძახა: „ჩემი ერთგული ყმა აკი ამილახვრესო". ზევდგინიძის გიორგის ორს შვილს (ვგონებ იოთამსა და იოანეს) მეფემ უწყალობა რეხის ხეობა, ქსნისა და მეჯუდის მდინარეებს შუა ქოლოთ-ქვითკირიდან მტკვრის პირამდე და ქსნის ჩასართავიდან ლიახვის ჩასართავამდე. აქედან იწვება სასიქადულო შთამომავლობა აწინდელ ამილახვართა" [1].

როგორც დავინახეთ, კარბელაშვილის ასეთ მოსაზრებას ფაქტები და მასალები ეწინააღმდეგება, არც საზღვრები აქვს მას სწორად მოცემული. თუმცა, მან 1893 წელს გამოქვეყნებულ წერილში (ივერია, 1893 წ. № 77) ეს შეხედულება რამდენადმე შეასწორა, აღიარა, რომ ზევდგინიძეები ძველადაც ყოფილან მოურავად გორისა, მაგრამ ამ ამბის (ე. ი. 1465 წ. ამბის) აღსანიშნავად არის ეს დაწესებულიო.

1898 წ. სოფელ ქვემო-ჭალის სასწავლებლის გამგემ ალ. მიქელაძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „Сел. Квемо-Чала, Горийского уезда, Тифлисской губернии"[2] მიქელაძეც იოთამ ზევდგინიძიდან იწყებს ამილახორების ისტორიას. „В первый раз селение это (ლაპარაკობს ქვემო ჭალაზე, დ. გ.) становится более или менее известным, судя по данным из грузинской истории, со второй половины XV-го века, когда оно было пожаловано дворянину Иотаму Зедгинидзе, родоначальнику князей Амилахвари"[3]. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს იოთამის გმირობის ამბავს და აღნიშნავს, რომ გიორგის, რომელიც დაშლილი საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა, ზევდგინიძე გვერდში ამოუდგა და მოღალატეთა მსხვერპლი გახდაო. ამ შემთხვევაში იგი უკრიტიკოდ იმეორებს ვახუშტის ცნობას.

თითქმის ასეთივე მოსაზრებები გამოთქვეს ივ. ამილახორმა[4], მოსე ჯანაშვილმა[5], თედო ჟორდანიამ[6] და სხვ.

---

[1] ივერია, 1891 წ., № 237.

[2] Ал. Микеладзе, Сел. Квемочал. СМОМКИ вып. 29.

[3] დასახ. კრებული, გვ. 25.

[4] იხ. Записки кн. И. Г. Амилахвари.

[5] იხ. მოსე ჯანაშვილი, ისტორია.

[6] თ. ჟორდანია, ქრონიკები II .

ამ შეხედულებებზე აქ აღარ შევჩერდებით. ივ ჯავახიშვილმაც არსებითად გაიზიარა ტრადიციული შეხედულება იოთამ ამილახვარის გმირობის შესახებ და მომხდარი ფაქტი გიორგი ალექსანდრესძის დროისად მიიჩნია. მან ანგარიში გაუწია აგრეთვე „ამილახვარების საჩივრის წიგნსაც“ და აღიარა, რომ ვახუშტის ხელთ არ ჰქონია ეს საჩივრის წიგნი და ვახუშტის ცნობები შეავსო რა „ამილახვრების საჩივრის წიგნის ცნობებით“, აღნიშნა: საჩივრის წიგნში თათართა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დაცული ცნობა შესაძლებელია „გიორგი მეფის უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ გალაშქრების დროს მომხდარი ბრძოლის ერთ-ერთს საფეხურს ეხებოდეს“ [1].

როგორც ვხედავთ, ამ შეხედულებათა ავტორებს გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება XV საუკუნის 60-იან წლებისად მიაჩნიათ და ამილახორების ისტორიასაც ამ ხანიდან იწყებენ. ამასთან ერთად შეთქმულთა გამცემად ზოგს იოთამი მიაჩნია, ზოგს გიორგი, ზოგს იორამი, ხოლო ნ. ბერძენიშვილი თაყას მიიჩნევს.

ამილახორებისა და საამილახოროს შესახებ ქართულს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული ტრადიცია საფუძვლიანად უარჰყო ნ. ბერძენიშვილმა თავის გამოკვლევაში — „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით)“ [2].

როგორც ცნობილია, XV საუკუნის 80-იან წლებში ამილახორების სახლში სამამულო დავა ჩამოვარდა.

სახლისშვილებმა ავთანდილმა (თუ გურამმა) და ზაალმა დარბაზში სათანადო საბუთები წარადგინეს ურთიერთ სადაო მამულზე. ჩვენამდის შემონახულია მხოლოდ ავთანდილის მოხსენება. „მოხსენების ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით ასწერს, თუ რომელი ქონება, — როდის, ვისგან და როგორის წესით რომელმა ზევდგინიძის გვარის შვილმა შესძინა ზევდგინიძის სახლს, ე. ი. როგორ შეიქმნა ის საგვარეულო „მამული“, რომლის გარშემო ჭახლა სახლისკაცთ შორის უთანხმოებაა ჩამოვარდნილი“ [3].

საბუთიდან ჩანს, რომ ზევდგინიძეთა გვარის მამული სხვილოსის მიღებით იწყება და თანდათან ფართოვდება. „(ბატონო დარბაისერნო) გაიგონეთ ჩუენი საქ(მე): (ოდეს გიორგი მეფე) ოესეთით მოვიდა სხ(უილოსი ამო) წყუედილნი დახუდეს ორნი ქა(ლნი დახუ)დეს

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, II გამოც., გვ. 89.

[2] იხ. მასალები საქართველოსა და კავკასი ის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1937 წ.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 3.

სხუილოსელთა, ერთი კოკლი... (გიორგი მეფე) მან ასრე უბრ(ძანა): (კოკლსა ქალსა ვინ/ც შეირთავთ, ამა სხუილოსუ/რსა მამულსა ბო/გცემ". ის კოკლი შეირთო (ზევდგინიძემან) და უბოძა სხუილოსური მამული. (გამოკდა დიდ/ი ხანი და გაილაშქრა გიორგი მე/ფემან თათარ/თა. აქ ჩემი გუარის კაცი ოცდა ცხრა/ნი დაკოცნეს) და ერთი ჯელთა დაირჩუნეს. დ/ა ათაბაგსა ა/ღბუღას თათარნი მოუკდეს. ერ-ლი... თავადი თათარი დარჩა ჯელთა და ის (ჩემი გუარის) კაცი იმითა დაიხსნა დიდმა აღბ/უღა. გაუშ/უა და იმავე მკუიდრსა მამულზედა (მოვიდა. და ქართ/ველნი ერთობ დაღონებულნი (იყუნეს. წავიდა გიორგი) მეფე და აღბუღას შეეხუეწა... გამოარჩივეს ერთი უშვილო-კა/ცი. უთხრეს: „მე/ფე ჯელთა შევიპყრათ და ქართლი (ჩუენ და-გურ/ჩებისო". ჭუკას გუარის კაცმან ჩემსა (გუარის კაცსა გა/ანდო. ინან მეფესა არ დაუმალა. (უთხრა მეფეს/ა: დასტურად გუიღალატე-ბენო. (ღამეს, რ/ომელსა უღალატებდეს, მეფის საგებ/ელში ის ჩუე/ნი გუარის კაცი დაწვა და მეფე წ/ავიდა. მივიდეს და ჩემი გუ/არის კაცი დაირჩუნეს და მწოვედ დაკო/დეს და სიკუდილ/სა ულამოდეს და როგორაც ეს (იცნეს, რომეზ/ევდგინიძე არისო, აღარ მოკლეს... მოვიდა ამავე ჩუენსა დიდსა მამ/ულზედა და უბოძა) მე-ფემა ნასისხლად მღუიმე მი/სითა შესავლი/თა სასაფლაოდ. ახალციხე, სამოცი კ/უამლი კაცი) ესახლა. და ხუთი დახატული ჩარდა/ხი)... ი მოწყობილი უბოძა სისხლად... ნის მამისა და თაყა მამისასშვილი, თაყას შვილნი ავთანდილ და ჯანიბეგ" [1].

ამ საბუთის რამდენიმე დეტალი იპყრობს მკვლევართა ყურადღებას: 1. ზევდგინიძეთა გვარი ქართლში მკვიდრდება სხვილოს მიღებით. სხვილო, ანუ ცხვილო, როგორც მას დღეს უწოდებენ, აწინდელი კასპის რაიონში მდებარეობს მდ. რეხურის აღმოსავლეთით ე. წ. ჭინჭარაფერდობზე. სხვილოს ციხე ერთი ყველაზე უფრო რთული კომპლექსისაა ქართლში. როდის აშენდა ეს ციხე, ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები, მაგრამ რომ XIV საუკუნეში აქ მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო, ამას თითქოს რამდენიმე გარემოება გვიჩვენებს: 1. როგორც აქ მოტანილი საბუთიდან ჩანს, ამილახორებმა ქართლში ფეხი მოიკიდეს სხვილოს მიღებით, ამავე დროს სხვილოს შანამდე სხვა პატრონი ჰყავდა, რომლის ადგილსამყოფელი სხვილოში იყო.

---

[1] ტექსტი აღდგენილი და გამოცემულია აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ. იხ. დასახ. მასალები, გვ. 39—40.

2. სხვილოს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; იგი რეხურის ხეობას, ტირიფონის ველსა და შვინდავაკის დაბლობს იცავს; ამიტომ არ შეიძლებოდა ამ ადგილს თავის დროზე ყურადღება არ მიექცია.

3. აქ არსებული ნასოფლარი, ეკლესიის ნანგრევები და გალავნის ნაშთები იმის მომასწავებელია, რომ ეს ადგილი თავის დროზე, მნიშვნელოვანი პუნქტი იყო.

4. ყურადღებას იქცევს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სხვილოს გალავანში საზოგადო შენობები იყო, სადაც სახალხო საქმეები წყდებოდა.

მეორე საკითხი, რომელიც მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს, ეს თარიღის საკითხია. ე. ი. დასადგენია: როდის მიიღეს ამილახორებმა სხვილო, ახალციხე და შიომღვიმე. ამ საკითხის დადგენა, თავისთავად სწყვეტს საამილახოროს წარმოშობის თარიღის დადგენის საკითხსაც.

საბუთი, როგორც გამორკვეული აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს, შედგენილია კონსტანტინე მეფის (1478—1504) დროს. საბუთში მოხსენებული ფაქტები კი წინა პერიოდს ეხება. დათარიღებისათვის გამოსაკალი ჩანს გიორგი მეფის სახელში. საბუთში გიორგი სამჯერ მოიხსენება. ერთი გიორგი „ოვსეთით მოვიდა“ და სხვილო ამოწყვეტილი დახვდა, მისი ბრძანებით ზევდგინიძემ იქორწინა სხვილოს მფლობელ კოჭლ ქალზე. მეორედ გიორგი მოიხსენება თათრებთან ბრძოლისას [1]. ამავე დროს საბუთის შემდგენელი საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ სხვილოს სამამულოდ მიღების შემდეგ „/გამოჴდა დიდ/ი ხ..ნი გაილაშქრა გიორგი მე/ფემან თათარ/თა“.

აქვე მოხსენებულია ათაბაგი დიდი აღბუღა.

ერთი და იგივე გიორგია აქ ორჯერ მოხსენებული თუ სხვადასხვა? თუ ერთი და იგივეა, სახელდობრ რომელი? ან თუ სხვადასხვანი არიან, სახელდობრ ვინ არიან?

კიდევ ერთი საკითხი: გიორგი, ზევდგინიძის მიერაა გადარჩენილი. მართალია, საბუთში არ ჩანს, რომ გადამრჩენ ზევდგინიძეს ოთამი, თაყა თუ ოორამი ჰქვიან, მაგრამ ის კი ჩანს, რომ ნამდვილად შეთქმულება იყო და, რომ ეს შეთქმულება ზევდგინიძემ გასცა.

ამ საკითხზე ქართულს ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ აქ მოხსენებული გიორგი არის გიორგი ალექსანდრეს ძე, რომელიც 1446—1476 წლებში მეფობდა. შეთქმულებაც ამ გიორგის წინააღმდეგ მოწყობილად მიიჩ-

---

[1] მესამე გიორგი ეჰვს არ იწვევს, იგი გიორგი მეცხრეა.

ნია. „მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა მეფე გიორგის ბოსაკლავად მოწყობილი შეთქმულების შესახებ, მართალი ყოფილა“ [1], მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ზევდგინიძე—კი არ მოუკლავთ, არამედ მძიმედ დაუჭრიათ“ [2].

ნ. ბერძენიშვილმა საწინააღმდეგო დებულება წამოაყენა. მისი აზრით: ავთანდილ ზევდგინიძე ზევდგინიძის გმირობის ამბავს მეთოთხმეტე საუკუნეში ჰგულისხმობს, „ჩვენ საბუთი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მის ცნობაში. მისი მოხსენების მიზანი და ამ მოხსენების წარდგენის ადგილი და დრო ასეთი ეჭვის უფლებას არ გვაძლევს“ [3].

„XV საუკუნის ოთხმოციან წლების დარბაისელთ, რომელთაც ავთანდილის მოხსენება უნდა განეხილათ, კარგად ახსოვდათ აღნიშნულ საუკუნის მეორე ნახევრის ამბები (ვინმე ზაქარია მისი პირველი ნახევრის ამბების ე. ი. ალექსანდრე მეფის ხანის მომსწრე და ბახსოვარი იყო), რომ მომხსენებელს შესძლებოდა ამ დროს მომხდარი ამბავი განზრახ მთელი საუკუნით დაეძველებინა“ [4].

ავთანდილს თავისი მოხსენება ზევდგინიძიანთ სახლის რაღაც წერილობით წყაროზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული.

ნ. ბერძენიშვილის დასაბუთება ეჭვს არ იწვევს, მის მოსაზრებას მხარს უჭერს სხვა მრავალი საბუთებიც. მაგრამ ვინ არის ჩვენს დოკუმენტში მოხსენებული გიორგი?

ამ საკითხზეც ნ. ბერძენიშვილმა თავისი მოსაზრება წამოაყენა. მან დასაშვებად მიიჩნია, რომ მეფის „ოვსეთით“ მოსვლა „შეგვეძლო XIV საუკუნის პირველ მეოთხედში გვეგულისხმა, როცა ოსთა ქართლში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ოს-ქართველთა შორის ხანგრძლივი ბრძოლა იყო გამართული. სხვილოსის ამოწყვეტისა და ოსეთში ლაშქრობის ერთად ნაგულისხმეობა ოსთა წინააღმდეგ ქართლში ბრძოლის დამთავრებას და თვით ოსეთში შეტევას გვიჩვენებს. ეს კი უდგება გიორგი V დროს (1314—1346, დ. გ.), როცა ამ უკანასკნელმა ოსნი „განასხნა და აღფხურნა“ (ქცა 1,227)“.

ჩვენი საბუთის მეორე გიორგი მეფე, თათრებზედ, რომ ლაშქრობს, როგორც მოხსენებიდან ჩანს, „დიდი აღბულას“ თანამედროვეა.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1948 წ., გვ. 89
[2] იქვე, გვ. 89.
[3] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 6.
[4] იქვე, გვ. 6.

გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს დიდი აღბუღა არის სჯულმდებელი ათაბაგი აღბუღა, XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე[1].

ეს გიორგი, როგორც ცნობილია 1393—1407 წლებში მეფობდა.

5. ბერძენიშვილის მოსაზრებას მხარს უჭერს, სხვა მრავალი ისტორიული ცნობებიც. გიორგი ბრწყინვალის მეფობის წინა ხანებში, როგორც ცნობილია, საქართველო გარეშე ძალის სათარეშო ასპარეზად გადაიქცა; ყაზან-ყაენის ექსპედიციებს ზედ დაერთო ოსთა თარეში. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ არაერთი ციხე-ქალაქი თუ დაბა-სოფელი მოითხარა. მოვიგონოთ თუნდაც გორის დაწვის ფაქტი ოსების მიერ. სხვილო ქართლის მთიანეთის ძირში მდებარეობს. ბუნებრივია, რომ იგი მოძალადეებთან ბრძოლის ობიექტი იქნებოდა. ასეთ პირობებში კი ამ სოფლის ამოწყვეტა დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული. სხვილოსის მახლობლად არის სოფელი კოდისწყარო. 1433 წ. თაყა ზევდგინიძემ ეს სოფელი შიომღვიმს შესწირა. ეს სოფელიც ჩანს ამოწყვეტილი ყოფილა და თაყას გაუშენებია. „ორასსა წელიწადსა კაცი არ სახლებულიყო და... ჩუენითა საფასითა ავაშენეთ“[2].

რაც შეეხება გიორგი მეფეს 1393—1407 წლებში რომ მეფობდა, იგი ხომ ნიადაგ ბრძოლაში იყო თემურლენგთან და მისი გადაშენების შემდეგაც თურქმან ტომებთან ბრძოლამ იმსხვერპლა 1407 წელს. ასე რომ, შესაძლებელია დოკუმენტში საუბარი იყოს ქართლაც ამ გიორგიზე, თათრებთან შებრძოლებაც გიორგის ამ ერთ-ერთ ბრძოლას გულისხმობდეს.

თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ გვიანფეოდალური ხანის ქართლის ერთ-ერთი მსხვილი სათავადოს—საამილახოროს შექმნა დაიწყო XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან. საერთოდ, ქართლის სათავადოების გამოყოფის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართლის საერისთავოს მოშლის საკითხთან. მისი მოშლა კი საბოლოო ანგარიშით ფეოდალური პარტიკულარიზმის საერთო შედეგი იყო.

როგორც აღნიშნული იყო, ზევდგინიძეებმა პირველად სხვილო, უფრო სწორად, სხვილოური მამულები მიიღეს. ეს მიწა-წყალი იყო მათი მთავარი, „მკუიდრი მამული“; დოკუმენტის ენით რომ ვთქვათ, „დიდი მამული“. შემდეგში ზევდგინიძეები ცდილობენ თავიანთი სამფლობელოების გაფართოებას. მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს მათ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 5.

[2] ყორდანია, შიომღვიმის მონასტრის საბუთები, გვ. 72.

ეძლევათ ახალციხე (არაგვის ხეობაში) და მღვიმე საგვარეულო საძ-ველად [1].

1429 წელს ზევდგინიძეების ხელში გადადის კასპი, იგოეთი, ნა-დარბაზევი და გომი [2].

1477 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ზევდგინიძეებს ყმა-მამულები აქვთ: მცხეთას, კარსანს, ჯვარს, ძაგნაკორნას, ახატანს, ხა-ტისწობენს [3].

ქამთა მსვლელობაში ზევდგინიძენი აფართოებენ თავიანთ სამ-ფლობელოებს, თუმცა მათთვის პოლიტიკური უამინდობისას ხან ჰკარგავენ კიდეც მიწა-წყალს. მათ დაუკარგავთ მამულები ვახტანგ IV-ის (1442—1446), გიორგი IX (1446—1476), სიმონ პირველის (1558—1601 წ.) მეფობის დროს და სხვ., მაგრამ ამილახორები ახერ-ხებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას და იბრუნებდნენ დაკარგულ მიწა-წყალს.

ყმა-მამულის ზრდა-გაფართოებისათვის თავადურ საქართველო-ში თავადს სხვადასხვა საშუალება ქონდა:

1. იგი მეფის მოხელე იყო და „ერთგულებასა ზედა“ დგომისა და სამსახურისათვის წყალობას იღებდა მეფეთაგან.

2. თავადი ყიდვა-გაყიდვის გზით აფართოებდა თავის სამფლო-ბელოს, ზრდიდა ყმათა რიცხვს.

3. ესა თუ ის თავადი სარგებლობდა საგარეო და საშინაო მდგო-მარეობით და სხვის ხარჯზე იფართოებდა თავის მიწა-წყალს.

ამ ნიადაგზე თავადთა შორის მტრობა-ქიშპობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ერთნი აღზევდებიან, მეორენი მცირდებიან.

ამა თუ იმ სათავადოს წარმოშობის თარიღის დასადგენად საჭი-როა ვიცოდეთ სათავადოს ნიშნები.

სათავადოს ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი არის ტერიტორიის ერთობა. სხვა ნიშანთა შორის სათავადოს უეჭველად უნდა ჰქონო-და ციხე-სიმაგრე, მონასტერი, სასაფლაო და სხვ. ეს ძირითადი ნიშნები ზევდგინიძეებს XV საუკუნისათვის უკვე ჰქონდათ, მათ ცი-ხეები ჰქონდათ და ავთანდილ ზევდგინიძე ჩივის კიდეც „ციხე და-მიქცევესო“ [4]. გააჩნდათ საგვარეულო სასაფლაოც, ერთიანი მამუ-

---

[1] მასალები, 1937 წ., ნაკვ. I, გვ. 40.
[2] საქ. სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 9—10.
[3] იქვე, გვ. 17.
[4] მასალები, გვ. 42.

ლიც — „სხვილოური მამულები“, თუმცა ამ დიდი მამულების გარეთ მათ არა ერთი დაბა-სოფელი ეკუთვნოდათ.

ამ თვალსაზრისით შეიძლება დავუშვათ, რომ XV საუკუნეში საამილახორო ძირითადად ჩამოყალიბებულია. რა თქმა უნდა, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ამის შემდეგ საამილახორო არ იზრდებოდა, ან არ მცირდებოდა. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

საამილახოროს საზღვრებზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ვახუშტი. იგი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ცალკე თავს უძღვნის ამ საკითხს და ასე ასათაურებს: „აღწერა მეორე სასპასპეტოსი და საამილახვაროსი“.

„ვიწყებთ მ ე ო რ ე ს ს ა ს პ ა ს პ ე ტ ო ს, მემარჯვნეს, შიდა-ქართლის ნაკუთსა, რომელი არს აწის ზემო-ქართლი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული ქსნის კიდემდე ბოლამდე; სამჭრით მდინარე მტკვარი; ჩდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქსნის მამულის საზღვარი“ [1].

საამილახოროს დასავლეთ საზღვარს ვახუშტი არ იძლევა. იგი სადროშოს საზღვარზე ლაპარაკობს.

ასე, რომ საამილახოროს სამხრეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის საზღვარი ასე თუ ისე, თუმცა ზოგადად, მოცემული აქვს ვახუშტის, დასავლეთის საზღვარზე კი მას სიტყვაც არ დაუძრავს.

ადგილზე მოგზაურობის დროს საშუალება მქონდა ერთის მხრივ ვახუშტის ცნობების შემოწმება-დაზუსტება მეწარმოებინა, ხოლო მეორეს მხრივ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, საამილახოროს საზღვრები დამედგინა.

ვახუშტის ცნობას საამილახოროს აღმოსავლეთ საზღვარზე („ხაზი კასპიდამ წარსული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე“) შემდეგნაირი დაზუსტება ესაჭიროება: თუ კასპიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით წლევ-შავტყით ქსნამდე მივალთ, მაშინ ოკამი, ლამისყანა და თეზი საამილახოროში იქნება საგულებელი, რაც არ არის სწორი. ჩვენ სხვა საბუთებით ვიცით, რომ თვით ვახუშტისავე დროს თეზი და ლამისყანა ერისთავებს ეკუთვნოდათ, ხოლო ოკამი—მუხრანბატონებს, რადგან აღმოსავლეთ საზღვრის უკიდურეს ჩრდილო ხაზად აღებული აქვს სოფელი ბოლი, მაშინ საამილახოროს აღმოსავლეთი საზღვარი შეიძლება

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 71—72.

შემდეგნაირად დავაზუსტოთ: სოფელ კასპიდან აღმოსავლეთის საზღვარი მიიმართებოდა ჩრდილოეთით, გადაჰკვეთდა იგოეთისა და ოკამის სანახებს, წლევის ტყით სოფელ ოკამის დასავლეთით შვინდა ვაკეს გასჭრიდა და ლამისყანისა და ხვითს შუა გავლით სოფელ ბოლამდე გრძელდებოდა.

საამილახოროს ჩრდილოეთის საზღვრად ვახუშტი ქსნის საერისთავოს ასახელებს. რადგან ქსნის საერისთავოს საზღვრები დადგენილი გვაქვს, საამილახოროს ჩრდილოეთის საზღვარი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ქვემობილიდან მიიმართება ხაზი ჩრდილო-დასავლეთით, გაივლის ზემობოლ-გეხავს, ჩადის ზემოზახორში, გასჭრის ველურის მთებს და წინაგარ-ბერშოეთით მეჯვრისხევამდე აღწევს. აქედან ერთგვარი ზიგზაგებით ძევერასთან დასავლეთის საზღვარს უერთდებოდა. დასავლეთის საზღვარი იწყებოდა ტინისხიდთან, მიიმართებოდა ოთარშენ-ახალდაბისკენ, გადასჭრიდა მდ. დიდ ლიახვს და ძევერასთან უერთდებოდა აღმოსავლეთის საზღვარს.

საამილახოროს სამხრეთის საზღვარი სოფელ კასპიდან მიჰყვებოდა დასავლეთით მდ. მტკვარს და გორ-ტინისხიდამდე აღწევდა. დასახელებულ საზღვრებში იყო ნარევი სოფლებიც, სადაც სხვადასხვა თავადთა ყმები ცხოვრობდნენ. მაგ., ხელთუბანი, კარალეთი, მეჯვრისხევი, ტყვიავი და სხვ.

სხვადასხვა საბუთებისა და საამილახოროს XVII საუკუნის დავთრიდან ჩანს, რომ ამილახორებს ჰყავდათ ყმები შემდეგ სოფლებში: მოხისში, მეჯვრისხევში, ბერშოეთში, რეხას, ნაწრეტს, ასს, ბოლს, ახალდაბას, ახმაჯს, ვერითას, ჯოხის, ვანათს, ტინისხიდს, სობისს, ორპოსანს, საშვებს, ავზანს, ცხვილოსს, ძოვრეთს, ჭალას, გორს, ქალაქს, ყურს, კასპს,[1] კახას, გერითებს, ფხვენის, კარბს, ძევერას, თამარაშენს, წორბისს.

მარტო XVII საუკუნის საამილახოროს დავთრიდან ჩანს, რომ საამილახოროში ამილახორებისა და მათი აზნაურების ყმათა კომლობრივი რიცხვი 901 უდრიდა[2].

აქაც იგივე ითქმის, რაც სამუხრანბატონოზე; ცნობები არა გვაქვს, რომ მათი ყმათა რაოდენობა განვსაზღვროთ. ეს კი მთავარია მათი საერთო მდგომარეობის შესწავლისათვის.

---

[1] აქ ჩამოთვლილი სოფლები (1—12) საამილახოროს დავთარში იხსენიება.

[2] გამოანგარიშება ამ ძეგლის გამომცემელს—სარგის კაკაბაძეს ეკუთვნის» გვ. 5.

VI. საციციანოს

საციციანოს წარმოქმნის შესახებ ჩვენ ორი საბუთი გაგვაჩნია.

ერთი საბუთი კონსტანტინეს მიერ არის გაცემული 1467 წელს, ხოლო მეორე—ივანე ბატონიშვილის მიერ 1799 წ. საბუთი ქართველ თავადაზნაურთა ჩამომავლობის ისტორიას ეხება და ციციშვილებზეც არის საუბარი.

რადგან ჩვენთვის ორივე საბუთს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მოვიტანთ უცვლელად:

„ჩუენ ღთისაგან შეწყალებულმან და პატივცემულმან იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონიანმან პატრონმან კონსტანტინე ესე სიმტკიცე და სიგელი დაგიწერეთ, მოგეცით და მოგაკსენეთ თქვენ ჩუენისა ამაოდ ყოფისა მეცადე-მომჭირნესა და სახლის ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბს და ზაქარიას, მას ჟამსა ოდეს ჩუენის სიყვარულისთუის შავშეთს თქვენი მკვიდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით და ჩუენ მოგაკსენეთ კვედურეთს ორბოძლელისეული მამული, რომელი ხოსაშვილსა ბაღათარას ქონდა სასახლე, ჭურ-მარანი და ზუარი მეზურითა, გლეხნი ბარამაშვილი, ჯაბიაშვილი, მუღლასძე, შოტრასძე ესტატა, კოხარტული ვათაზური, ჭილა ახუსებასძე, ლაფაური, მამული ვირშელაური, მახარაული, და ტეტაური, ბოგანო ხაბელაშვილი და აგბოკლანაშვილი. კეხისჯუარს მეთევზიშვილი, მათეშვილი ბოლიკა, სარგისაშვილი და ხაბიაშვილი მათითა მამულითა და გამოსავლითა. ორბოძელისეული მამული მაშინაც თქვენ გმართებდა, ამად რომე ორბოძელსა პაპისა თქუენისათუის ეღალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღამცა თქვენ გქონდა სამკვიდროდ, ამას გარეთ მოგაკსენეთ და დაგიმტკიცეთ სრუ... მამული ქვაკვრელი, უფლისციხე და კარალეთი მისითა ეკლესიითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, გლეხებითა, კელითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბარითა, შესავალ-გამოსავლითა და მისითა მიმდგომითა და სამართლიანითა საძებრითა და უძებრითა ყველათა მკვიდრად სამამულოდ საბოლოოდ და უცილობელ უსარჩლელად ყოვლის ადამის ნათესავთაგან ვითა თქვენისა მკვიდრისა მამულისა სანაცულოსა და ჩუენგან თქვენთვის სამკვიდროდ ბოძებულსა მამულსა ძირთებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს და თუ ვინ დაგეცილოს მისი

პირი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ და გქონდეს თქვენ ჩუენსა ერთგულსა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბს და ზაქარიას, შვილისშვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთა ქვედურეთს ორბოძ-ელისეული თქვენი ნასისხლი მამული რაცა ხოსაშვილსა ბაღათარს, ანუ ქვედურეთს ქონდარა და ანუ კეხისჯუარს და ამა სიგელშიგა გი-წერია, სრულად და უკლებად. ამის გარეთ[1] მამული ქვაკვრელი, უფლისციხე და კარალეთი სრულად და უკლებად, როგორაც თქვენსა მკვიდრსა მამულს მართებს, აგრე ჰელგეწიფების გასყიდად, გაზითვებად, შეწირვად, თანაშეტანად და რაცა ფერად გინდა, არა-ვინ გვიბრძანებია ამისი მცილე და მოსარჩლე არცა მეუნებელ მავ-ნებელ და დამკლებელი. კიდეცა გვითარხნებია ყოვლისა სათხოვარი-სა და გამოსაღებისაგან. ასრე, რომე საჩუენო სათხოვარისა და გამო-საღები არა ეთხოებოდეს არა დიდი, არა ცოტა და ჩუენი მოასილი ამა თქვენთა მამულთა შიგა ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიგდოს. ეს ყოველივე ჩუენგან ასრე გაგითავდეს და არას ჟამისა გამოცულილობისათვის არ მოგეშალოს. გქონდეს და გიბედნიეროს ღთმნ. დაიწერა მტკიცე ნიშანი ესე ჩუენი ქკს რ ნ ე, ჰელითა და ბდივან-ბწიგნობრისა თუმანისშვილისა ულირსისა საბრალოს ზაქა-რიასითა... დიდი ულუფა სრულად და საბოლოოდ ამოგვიკვეთია, ასრე რომე არაოდის და არას ჟამშიგა დიდი ულუფა არ გეთხოვოს"[2]. ასეთია ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტი; იოანე ბაგრატიონი კი ციციშვილების შესახებ წერდა:

„თ ა ვ ა დ ი ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. ამათნი წინაპარნი არიან ურიასტანი-დგან მოსრულნი. ძველადვე მდიდარნი კაცნი და ესენი მოვიდნენ და დაეშენენ ახალციხის ნაწილსა ადგილსა შინა, ფანასკერტად წოდე-ბულსა. ამათთა შთამამავლობათა უკუმ მსახურეს მეფესა თამარს და იყვნენ მეგობარცა სპასპეტის მჯარგრძელის ზაქარიასი და ამის შუამ-დგომლობითა უბოძა მეფემან თამარ თავადობაჲ და ადგილისა მის ფანასკეტისა ზედა მხედველობაჲ და მამულნი მუნ. ხ უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა იყო წარჩინებული მხედართა წინამძღო-ბი ზაქარია ფანასკენტელი, რომელსა უწოდნენ ზაზად და ამან უკუ ღიდად მსახურა დროსა მოსვლისა ლანგ თემურისასა, რომელიცა ბრძოდა მეფესა და ვინაიდგან წარჩინებულ იქმნა ზაზა ფანასკენტე-

[1] წაშლილია ერთი სიტყვის ადგილი.
[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 226, საბუთი 64.

ღი აიძულა მეფემან და გარდმოასახლა საქართველოსა შინა და მიუბოძა მძოვრეთისა ხეობასა შინა სოფლები და განაყოფდა ამათთა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი და დაასახლნა მუნ. ხ შემდგომად ამისა მოკუდა რა ზაზა დაშთა ძე ციცით წოდებული, რომელმანცა მეფესა კონსტანტინეს ამანცა ფრიად მსახურა სხუათა და სხუათა ბრძოლათა შინა, და ჯილდოდ ამისა მეფემან უბოძა შვილთა ამისთა და თვით მას გუარად ციციშვილობა და აგრეთვე სახლისკაცთა და განაყოფთა ამათთა და მუნითგან იწოდებიან ციციშვილებად. ესრეთ ზემო ციციანთ და ქვემო ციციანად. ზემო ციციანნი არიან, რომელნიც მძოვრეთის ხეობას მცხოვრები არიან. ხოლო ქვემო ციციანნი ნიჩბისის ხეობაში სახლობენ და ზემო ციციანნი არიან აწ მოხელედ: 1) მოურავისშვილები, მეორე ნიკოლოზისა, 3) ამილღაბარისშვილებად, 4) გლახასშვილებად, 5) პაატასშვილებად, 6) გიორგისშვილებად, 7) ზაქარიასშვილებად და სხვანი. ხოლო ქვემო ციციანნი 1) დიმიტრისშვილებად და აწ ცხოვრობენ ესენი მოსკოვს, 2) მდივანბეგისშვილებად, 3) ზაზასშვილებად და 4) კიდე ზაზასშვილებად. ხოლო ამათში პირველის ოჯახისშვილი იყო პირველ ხარისხის თავადად, ხოლო სხუანი მეორედ და მესამე თავადის ხარისხისა" [1].

რა დეტალები დგინდება ამ საბუთებიდან?

სანამ მოტანილ საბუთებში დადგენილ ცნობების ავკარგიანობაზე შევჩერდებოდე, საჭიროა რამდენიმე დეტალის დადგენა: ვინ არის საბუთის მიმცემი კონსტანტინე?

მივაქციოთ ყურადღება, რომ საბუთი 1467 წლით თარიღდება, იგი დედანია.

როგორც ცნობილია, 1465—1466 წელს გიორგი მეფე ჯერ ბაგრატთან, ხოლო შემდეგ ყუარყუარესთან დამარცხდა. ამის გამო მან ქართლ-იმერეთი დაკარგა, კახეთში გადავიდა და თავი ჰერეთ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ქართლში 1466—1478 წლებში ბაგრატი მეფობდა, მასვე ეკუთვნოდა იმერეთიც.

კონსტანტინე გიორგის ბიძას უწოდებს, იგი ამ პოლიტიკური ჭიდილის აქტიური მონაწილე ჩანს. თუმცა თავის თავს მეფეს არ უწოდებს. კონსტანტინეს პირველად 1466 წლის საბუთში ვხვდებით. ჯავახიშვილებს: ზაქარიას, კახას, ზაზას და მათ შვილებს კონსტანტინე ეუბნებოდა: „მას ჟამს ოდის ღთისა გარეგანმან ყუარყუარე პატ-

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. S საბ. 550, ეს საბუთი, რომელიც ჩვენ უცნობი ავტორისა გვეგონა და სხვა სათავადოების კვლევისას უცნობ ავტორს ვუწოდებდით ახლა მივაგენით, რომ შედგენილია ივანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს და ინახება მუზეუმში S, 3729 ნომრით.

რონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა გიორგის უღალატა და ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა, ღმერთმან მოგუარჩინა, წარმოუველთ და ეჰქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუიდევით: გორის ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხვს შეგუიდეგით და იქიცა დიდი გუმსახურეთ“ [1].

როგორც ვხედავთ, გიორგისთან ერთად იბრძოდა კონსტანტინეც ყუარყუარე ათაბაგის წინააღმდეგ და როდესაც ყუარყუარემ გაიმარჯვა და გიორგი ხელთ იგდო, ჩანს იგი კონსტანტინეს ხელთგდებასაც შეეცადა.

1466 წელს ქართლში ბაგრატი დამკვიდრდა. ჩანს კონსტანტინე შეურიგდა ბაგრატს; ასევე მოიქცა დავით ბატონიშვილიც [2]. 1466 წელს ბაგრატი კონსტანტინეს ძმასაც კი უწოდებს [3].

როგორც ცნობილია, კონსტანტინე მეფედ დაჯდა 1478 წელს, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, არც ჩვენს საბუთში იხსენება მეფედ, კონსტანტინე. როგორც ჩვენი საბუთი, ისე 1477 წლის ქვათახევის მონასტრის საბუთი, გვაფიქრებინებს, რომ კონსტანტინეს გაღმა მხარე (მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირი) ბაგრატისაგან საუფლისწულოდ მიუღია. ეს გაღმა მხარე ვახტანგმა, ჯერ კიდევ ადრე, კონსტანტინეს მამას დიმიტრის მიანება [4]. ვიყიდე მამული, ნათქვამია ქვათახევის მონასტრის საბუთში, „კითხვითა და ბრძანებითა დიმიტრისძისა მეფისა კონსტანტინესითა“ [5].

დავუბრუნდეთ საკითხს: გვეხმარება თუ არა პირველი საბუთის საციციანოს წარმოქმნის დასადგენად? ვფიქრობთ, რომ გვეხმარება: 1) ზაზა ფანასკერტელი და მისი შვილები კონსტანტინეს სახლის თავადები არიან, მაშასადამე, უკვე „გაღმა მხარში“ არიან, 2) ისინი ტაოდან მოვიდნენ. საბუთიდან თითქოს ისე გამოდის, რომ კონსტანტინეს დროს ციციშვილების მოსვლა ახსოვდათ. მივაქციოთ ყურადღება გამოთქმას: „მას ჟამსა ოდეს ჩუენის სიყუარულისთუის შეგშეთს თქვენი მკვიდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით“.

---

[1] საქ. სიძველენი, ტ. II, გვ. 20.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში ბასალები, 1937 წ., ნაკვ. I, გვ. 15, 43.

[3] საქ. სიძველენი, II, გვ. 40.

[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 30.

[5] ისტორიული საბუთები, III, გვ. 21.

[6] პირველ საბუთს, პირობით ვუწოდებთ კონსტანტინეს მიერ მიცემულ სიგელს.

ყოველ შემთხვევაში, ზაზას პაპა რომ გაღმა მხარეში ზის, ეს კარგად ჩანს ამავე საბუთიდან. ციციშვილებმა ორბოძლელისეული მამული ნასისხლად მიიღეს.

„ორბოძლელსა, — ეუბნება კონსტანტინე ზაზას, — პაპისა თქუენისა თუის ეღალატა და მისი მამული ნასისხლად მიეცა და განაღამცა თქვენ გქონდა სამკვიდროდ“. მაშასადამე, ორბოძლელისეული მამული იყო პირველი მამული, რომელიც ციციშვილებმა მიიღეს. რომელია ეს ორბოძლელისეული მამული? ორბოძლელისეული მამული არის ხვედურეთი, კახის ჯვარი და სხვა.

ახლა დაახლოებით შეიძლება ციციშვილების მოსვლაც დავთარიღოთ.

ჩვენ სხვა საბუთებიდან ვიცით, რომ ზაზას მამა თაყა ალექსანდრე პირველის (1412—1442) თანამედროვე იყო [1].

თაყა 1415—1419 წლებით დათარიღებულ საბუთში გვხვდება. მას ატენზე ხელი მიუწვდება. ნ. ბერძენიშვილის აზრით, თაყა ატენის მოურავი უნდა იყოს [2].

თაყას და სათიხათუნი ვახტანგ მეფის თანამეცხედრეა. ჟორდანიას აზრით, ვახტანგს ის ცოლად უნდა შეერთო 1442 წელს [3], მაშასადამე, ამ დროს ციციშვილები ერთ-ერთ დაწინაურებულ თავადებად უნდა ყოფილიყვნენ. თაყას მამის (ზაზას პაპის) სახელი ჩვენს საბუთს მოხსენებული არა აქვს, ის XIV საუკუნის 60-ანი წლების მომღევნო ხანის მცხოვრებად უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, შეიძლება ღაეუშვათ, რომ სწორედ ის იყო პირველი ციციშვილი, რომელიც ტაოდან—ფანასკერტიდან მოვიდა. იოანე ბატონიშვილი პირველ ციციშვილს ბაგრატ მეფის (1360—1393) დროს მოსულად ასახელებს და ზაქარიას, ანუ ზაზას უწოდებს. თითქოს იოანე ბატონიშვილი მართალი უნდა იყოს, რადგან ჩვენი საბუთის ცნობებიც ასეთ მოსაზრებას არ გამორიცხავს და თუ ვაღიარებთ, რომ მამა თავის შვილს მამის სახელს არქმევდა, მაშინ თაყა თავის შვილს თავის მამის სახელს—ზაზას დაარქმევდა.

ციციშვილების მოსვლა ზემო ქართლის თავადების შევიწროების ხარჯზე ხდება და ამიტომ მოსულსა და დამხდურს შორის მტრობა-ქიშპობა სუფევდა.

---

[1] ქ-ბი II, გვ. 223.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები 1937 წ., ნაკვეთი I, გვ. 67.

[3] ქ-ბი II, გვ. 222.

ვინ არიან ორბოძლელები? სხვა საბუთებით ვიცით, რომ ორბოძ-ლელი მართლაც ჰფლობდა გაღმა მხარის მიწა-წყალს.

დავით ულუს ორბოძლელისათვის მიუცია სვეტისცხოვლის მა-ნულები; მათ რიცხვში ხვედურეთიც. დავით VII ხსენებული მამუ-ლები 1355 წელს ორბოძლელისათვის გამოურთმევია და კვლავ მცხე-თისათვის დაუბრუნებია [1]. 1392 წელს ხვედურეთი კვლავ მცხეთას ეჭირავს, მასვე აქვს სამწევროსიც [2].

1407 წელს ხვედურეთი ჩიჯავაძეებს უჭირავთ. მეფის და ულუმ-ბია და მისი შვილი საზუერელი მოიხსენებიან აქ [3], ხოლო სანებელი და ლუთეთი 1413 წელს ჯერ კიდევ ციციშვილებს არ ეკუთვნით. ეს სოფლები მცხეთის კუთვნილებაა [4]. მოტანილი ამონაწერებით თით-ქოს ცხადი ხდება, რომ გაღმა მხარის მფლობელები არიან მცხეთის ეკლესია: ორბოძლელი, კვლავ მცხეთა, ჩიჯავაძე—საზუერელი, ჯავა-ხიშვილი, ციციშვილი.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით საინტერესო ხდება რა საერთო აქვთ ორბოძლელ—საზუერელ—ჩიჯავაძეებს? ხომ არ არიან ისინი ერთი სახლის შვილები?

ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა საზუერელი გეოგრაფიულ სა-ხელიდან ნაწარმოებად მიიჩნიეს [5].

ნ. ბერძენიშვილი ამასთან დაკავშირებით წერდა: „საინტერესოა ჩიჯავასძეთა გვარში სახელი ს ა ზ უ ე რ ე ლ. თითქოს ეს სახელიც იქით მიუთითებს, რომ ჩიჯავასძეთა გვარი დიდხანს „საზუერესთან“ იყო დაკავშირებული. სად იყო გეოგრაფიული ადგილი ასეთი სახე-ლით ჩვენ არ ვიცით (საზოგადოდ კი საზუერე იყო იქ, სადაც ზუერს ეღებდნენ). მაგრამ საზუეერის ღვთის მშობელი ჩვენ საციციანოში გვგონია“ [6].

ჩვენი საბუთებიდან ჩანს, რომ საზუერის ღვთის მშობელი, ყო-ველგვარ ეჭვს გარეშე მართლაც საციციანოში იყო, კერძოდ ძამის ხეობაში. კეხიჯვრის სამხრეთით, და ორბოძლის მთის ჩრდილო-დასავლეთით.

---

[1] ქ-ბი, II, გვ. 184—185.

[2] იქვე, გვ. 196.

[3] იქვე, გვ. 213.

[4] იქვე, გვ. 220.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში მასალები, 1937 წ., ნაკვეთი I, გვ. 67.

[6] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 66.

XVII საუკუნის ბოლოს ციციშვილები ედიშერ და პაპუნა გაიყარნენ. გაყრის წიგნში ვკითხულობთ:

„კეხიჯვარზედ შეცილდენ ედიშერ და პაპუნა. ედიშერ ასე უპასუხა: რა ბიძაჩემი და ნოდარისშვილი გაიყარნენო კეხის ჯვარი ამოაღისშვილს საუფროსოში გამოჰყვაო მაშინვე ბიძაჩემა ციცომ წაართვაო და სახასოთ დაზდვაო. ბატონმა ამაზედაც ფიცი დაადვა ედიშერს. ჩვენ ასე უთხარით ედიშერს, უფიცრათ შუა გაუყოფთ კეხისჯვარსაო და საზვერლისა მღვთის მშობელი თავისი შეწირულობით უწილოთ პაპუნას დაანებეო და ედიშერა არ შესჯერდა“ [1].

თუ საზუერელი გეოგრაფიული სახელიდან ნაწარმოები სახელია, ბუნებრივია, ასეთსავე მივიჩნიოთ ორბოძლელიც. ორბოძალიც გეოგრაფიული სახელია და იმავე საზუერელის სანახებში მდებარეობს.

ახლა კითხვა ისმის, ხომ არ მომდინარეობენ საზუერელ-ჩიჯავასძენი ორბოძლელის სახლიდან? გამორიცხული არ არის რადგან: 1. XIV საუკუნეში ორბოძლელებს ეჭირათ ის მიწა-წყალი, რომელიც XIV საუკუნის დამლევსა და XV საუკუნის დასაწყისში საზუერელ-ჩიჯავასძეებს აქვთ და მაშინაც კი, როდესაც ისინი „გალმა მხარში“ აღარ არიან და აქ ციციშვილები სხედან, პრეტენზიას აცხადებენ ხვედურეთსა და თუ სხვა სოფლებზე.

ამრიგად, ციციშვილები XIV საუკუნის მეორე ნახევარში ტაოდან მოდიან ქართლში და მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელ ხაშურისა და ქარელის რაიონებში, კერძოდ ძამის ხეობაში, ამ ხეობის სათავეში მკვიდრდებიან.

შესაძლებელია მათი გადმოსვლა დაკავშირებული იყოს საქართველოს სამეფო კარისა და ათაბაგების ურთიერთობის გაუარესებასთან. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ათაბაგები მეფის მომხრე ფეოდალებს აძევებდნენ ხოლმე და მათ მიწა-წყალს იკავებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ციციშვილებსაც ასეთივე ბედი ეწიათ.

ციციშვილების გადმოსვლამ გამოიწვია ორბოძლელ—საზუერელ-ჩიჯავასძეთა და ჯავახიშვილების ჯერ შევიწროება, ხოლო შემდეგ მათი გამოდევნა ამ მხრიდან. მაგ., ჩვენ ვიცით, რომ ძამის ციხე XIV საუკუნის დასაწყისში ჯავახიშვილებს ეკუთვნოდათ, შემდეგში კი ეს ციხე ციციშვილებმა დაიჭირეს.

ციციშვილების „გალმამხარში“ ციხის გაჩენით იწყება საციციანოს, როგორც სათავადოს ისტორია.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საპ. 5010. ა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ციხე-სიმაგრე, მონასტერი, საგვარეულო საძვლე და ყმა-მამულის ატრიბუტები იყო, რომლის გარეშე სათავადოც, როგორც უჯრედი, არ შეიქმნებოდა.

ამიტომ იყო, რომ თუ რომელიმე მეფე სათავადოს გაუქმებას შეეცდებოდა, უპირველეს ყოვლისა ამ ნიშნებს წაართმევდა.

ვახტანგ მეფე (1442—1446) ჩიჯავაძეებს დაჰპირდა თაყა ფანასკერტელის ქონებას მოგცემო. თურმე მას ფანასკერტელის „მამული და ციხე ჩიჯავაძისათვის უნდოდა [1].

საციციანოს საზღვრები თანდათან გაიზარდა და XVIII საუკუნისათვის მასში 70-დე სოფელი შედიოდა. მათ შორის: წყნეთი, ნიჩბისი, დოესი, ავკეთი, ვერე, იისციხე, ბარამეთი, ხვედურეთი, ღუისხევი, თრეღვი, სამწევრისი, სანებლი, კარობანი, მძოვრეთი, გვეძინეთი, ბოსლეთი, ყელეთი, ცუქითი, მიწობი, თაგოეთი, ქვენაფლიზი, ყინცვისი, არადეთი, ბრბონა, თვალთუბანი, კოდმანი, ახალსოფელი, ავნისი, [2] გუერდისძირი, გორგა, ბაგნეთი, კუჭათუბანი, გომარეთი, დამღაწაური, სამწყერაძო, ბისი, თხილნარა, იფნევი, [3] კლდე, გარდატენი, ატენი, რუისი, აფნისი, ქარელი, ლეთეთი, კეხიჯვარი, ქორაზანი, იმერხევი, ძამის მონასტერი, ოსთუბანი, ძამა, ტამიკაური, ყელეთი, წრომი, მიაწეთი, ჭალისუბანი, აგარა, თვალთუბანი, რეხა, საპონაური დაღალული, საქათმე, წუნეთი, დაღეთი, წინწყარო.

საბუთებში მოგვეპოვება ცნობა ზოგიერთი სოფლების კომლობრივი შემადგენლობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით მიწობის 8 კომლი ყოფილა, ყელეთს —3, მაწლეთს—18, წრომს—6, დაღალულს—3, გვეძინეთს—22, მძოვრეთს—94, იმერხევს—14, სამწევრისს—5, კეხვიჯვარს—8, ქარელს—4, ლეთეთში—10, არადეთს—4, რუისს—5, აფნის—5, ხვედურეთს—34, ზენაფლაზს—2, ღვივისხევს—13, თხილნარს—1, ატენს—4, გარდატენს—4, ვერეს—8, ავკეთს—3, იისციხეს—4, დრეს—13, ნიჩბის—7, წუნეთს—11, რეხს—15. საპონაურში—8, საქათმეს—3, ქვენაფლას—6, თვალთუბანს—11, ძამის მონასტერს—5, ყინცვის მონასტერს—9, კრობანს—1, აგარას—9, ქრზნს—2, ბოგანოებს—18; სულ 406 კომლი [4].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. მასალები, 1937 წ., ნაკვეთი I, გვ. 50.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 226, საბ. 5042.

[3] „ღუის ჯევი, ბისი, თხილნარა, იფნევი, ყველა ერთია, მაგრამ უბანსა და უბანსა ჰქვიან".

[4] ეს რიცხვი შეიძლებოდა რომელიმე ციციშვილის განაყოფისა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუჯერებელია, რომ ქარელში მხოლოდ 4 კომლი ყოფილიყო.

ამავე დავთარში ცალკე არის გამოყოფილი აზნაურების ყმები— 252 კომლი, სულ—658 კომლი.

როგორც ვიცით, ციციშვილები სარდლებიც იყვნენ. მათი სასარ-დლო კარსანიდან ტაშისკარამდე გრძელდებოდა (მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს). ერთ ნუსხაში, რომელიც უთარიღოა და შაჰნავა-ზი აწერს ხელს, ჩამოთვლილია ის სოფლები, რომლებიც ამ სასარ-დლოში შედიოდნენ და მოლაშქრენი, კოდისპური და საური უნდა გამოეღოთ. ასეთ კომლთა რიცხვი 1034 უდრის [1].

ვფიქრობ არც ეს ცნობა იძლევა ამ მხარის სრულ სურათს.

ვახუშტი ბაგრატიონი საციციანოში შემდეგ სოფლებს ჩამოთ-ვლის: ხ ვ ე დ ურ ე თ ი ს ხ ე ო ბ ა შ ი — ღვლევი, დრისი, აფნისი, ლეთეთი, ხვედურეთი, თრეხვი; ძ ა მ ი ს ხ ე ვ შ ი—ქარელი, კლდუ, ჯომი, სამწევრისი, აგარა, ყინცვისი, ციხია, ქორაზანი, სანებელი, წივ-წივა, იმერხევი, ძამის მონასტერი, მძორეთი, გვეძინეთი, ქვათეთრისი, სხლები, მუხალეთი, ოსი [2], კრკონი [3]; გ ვ ე რ დ ი ს ძ ი რ შ ი — ყელე-თი, სოინარი, ცუქეთი, ბოსლები [4], წრომი, მიწობი, წვიშეთი, კრისის ხევი, ხალები, ქცისი, თხილოვნა, მშვლის-ყური, თაგოეთი, ბრბო-ნა, ღართა, დამჩხერლო, გ უ ჯ ა რ ე თ ი ს ხ ე ო ბ ა შ ი — ბაგინეთი, ჯულსუნდა, გუჯარეთი, ედოთი, კუწათუბანი, ჩდილისუბანი, სხალ-ნარი, მომწვარა, სარბიელა, გომარეთი, წყაროსუბანი, მიტარბი, მეკოჟური, რუისი, ლელისუბანი, ღინტური.

სხვადასხვა საბუთებიდან ამოკრებილ ცნობებიდან ჩვენ დავად-გინეთ, რომ საციციანოში 64 სოფელი შედიოდა, ვახუშტის ნომენ-კლატურითაც 64 სოფელია. ამ ორ ცნობათა შორის შინაარსობრი-ვად კი დიდი განსხვავებაა. ვახუშტი ციციშვილების კუთვნილ მხო-ლოდ იმ სოფლებს ჩამოთვლის, რომლებიც ხვედურეთის ხეობასა და ამ ხეობის დასავლეთით, ე. ი. ზემოციციშვილების სამფლობელოში მდებარეობენ; მაშინ, როდესაც სხვა ხეობებშიც ციციშვილებს საკ-მაოდ ბევრი სოფლები ჰქონდათ (იხილეთ ზემოთ). სად უნდა ვეძიოთ ამ სხვაობათა მიზეზი? ჩვენის აზრით ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას:

1. ვახუშტის საციციანო, როგორც სათავადო, მხოლოდ ხვედუ-რეთის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი მიაჩნდა და ამის გამო

---

[1] Hd, 14. 534.

[2] სხვა საბუთებში ოსთუბანია.

[3] სხვა საბუთებში და დღესაც კრობანია.

[4] სხვა საბუთებში ბოსლევია.

იყო, რომ საგანგებოდ აღნიშნავდა: „ხვედურეთის-ხევი, საციციანო“ [1].

დანარჩენი სოფლები კი, რომლებიც ამ საციციანოს გარეთ მდებარეობდნენ, ვახუშტის სათანადო ხეობებში აქვს დასახელებული. მაგ., ის ციხე, აბანო — ხოვლის-ხევში, ქვახვრელი, ბნავისი და სხვ. ტანის ხეობაში აქვს დასახელებული, სასირეთი—თეძმის ხეობაში და ასე შემდეგ.

2. მაგრამ, ის როგორღა ავხსნათ, რომ ვახუშტის მიერ საციციანოდ წოდებულ ტერიტორიაზე არსებულ სოფლების შესახებაც, მის და სხვა ცნობებს შორის განსხვავებაა? ესეც ორი გარემოებით აიხსნება: ვახუშტი საციციანოში შემავალ იმ სოფლებს ასახელებს, რომლებიც XVIII საუკუნის 20-იან წლებში არსებობდნენ, სხვა ცნობები კი (გაყრის წიგნები) XVIII საუკუნის 80—90-იან წლებით თარიღდება. ამ განსხვავებულ პერიოდში საციციანო თითქმის მოიშალა, ბევრი სოფელი ამოვარდა და ნასოფლარად გადაიქცა, ასეთი ნასოფლარები კი, ბუნებრივია, გაყრილობის წიგნებში არ იქნებოდნენ შეტანილი.

კიდევ ერთი გარემოება არის აღსანიშნავი; საქმე იმაშია, რომ ხშირად ერთი სოფელი, რომელიც სხვადასხვა უბნებისაგან შედგება, სხვადასხვა აღმწერის მიერ სხვადასხვანაირად არის ხოლმე დასახელებული. ერთნი მხოლოდ სოფლის საერთო სახელს მოიხსენიებენ, მეორენი ამ უბნების სახელებს ცალკე სოფლებად ასახელებენ.

მაგ., ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ღუის ჯევი, ბისი, თხილნარა, იფნევი, ესეები ერთია, მაგრამ უბანსა და უბანსა ჰქვიან“[2].

მსგავსი მაგალითები შეიძლება მოტანილ იქნას ქსნის ხეობიდან, არაგვის ხეობიდან და სხვ.

ამგვარად, ჩვენ დაახლოებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ციციშვილები 70-დე სოფელს ფლობდნენ. თუ თითოეულ სოფელში, მშვიდობიან პირობებში, საშუალოდ 20 კომლს ვივარაუდებთ, მივიღებთ, რომ 1.400-დე კომლი ყმა გააჩნდათ ციციშვილებს.

ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ ისინი ყმა-აღმატებულ თავადებად ითვლებოდნენ და წარჩინებულ თავადთა რიცხვში მოიხსენებოდნენ. მაგრამ შემდეგში პირობები შეიცვალა, ეს ოჯახი დაიშალა, ყმა-მამული შემცირდა და მათმა „სისხლმაც იკლო“.

---

[1] ვახუშტი, აღწერა, გვ. 198
[2] Hd, 804.

მტრის მუდმივი თარეში, ციციშვილებს შორის ძმათა სისხლისღვრა, ურთიერთ ყმების რბევა-აწიოკება მოსახლეობას კატასტროფულად ამცირებდა.

საბუთებიდან ვიცით, რომ საციციანოში ოთხი წლის განმავლობაში „არც ხ/ვ/ნა იყო, არც თესვა, არცა ცეცხლი ანთებულა, არც ალო გალეწილა და არც მამალს უყივლია“ [1].

ჯერ კიდევ თეიმურაზ მეორემ დაავალა მ ე რ ა ლ ი ბ ე გ ციციშვილს „წადი თქვენს ქვეყანაში შენობა ჩამოაგდეო, მეც წყალობას გიზამო“ [2].

შემდეგშიც ქართლის სამეფო კარი ცდილობდა დაცლილი სოფლები და მხარეები ხელოვნურად მოეშენებინა. ამ მიზნით ერეკლე მეორე თავადთა ერთგვარ წაქეზებასაც მიმართავდა ხოლმე. 1769 წელს გოგია და ნიკოლოზ ციციშვილებს ერეკლე წერდა: „... ჯავახეთიდამ რასაც კაცს გარდმოიყვანთ, ვისიც ყმა უნდა იყოს, თქვენი იქნება, საქმე არავის ექნება, მაგრამ, — აფრთხილებდა ერეკლე, — იქიდამ /ა/ყალმაყალით გარდმოყვანა კი არ იქნება, ფარულათ ეცადენით“ [3]. ჯავახეთში გახიზნულ გლეხებს, თვით ციციშვილებიც ერთგვარ შეღავათს აძლევდნენ. ურთიერთ შეთანხმების წიგნში ციციშვილებს პირდაპირ აქვთ ნათქვამი, რომ „რაც აყრილი კაცი ჯავახეთს არის, ის ვისაც მამულში ჩამოვიდეს, ერთმანერთთან საქმე არა გვაქვსრა. სადაც გლეხს უნდოდეს იქ დასახლდეს“ [4].

საციციანო, ჩანს ძირითადად მაინც ოსური მოსახლეობის ხარჯზე შევსებულა ჟამითი ჟამად და ეს პროცესი XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. ფაწის ხეობა, მაღრან-დვალეთი, როკა, ოლია, ჟამური — აი ის პროვინციები, საიდანაც ოსები მიდიოდნენ საციციანოში საცხოვრებლად. ასე, რომ ქართულ ნასოფლარ-ნასახლარებში ოსური ახალშენები წარმოიქმნა. ახლად მოსულმა მოსახლეობამ ზოგ სოფელს ძველი, ქართული სახელი შეუნარჩუნა, ზოგ სოფელს თავისი სოფლის სახელი შეარქვა, ხოლო ზოგი სოფლის სახელი, რომელიც ამ ხელოვნური შევსების შემდეგაც უკაცრიელი დარჩა, საბოლოოდ ამოვარდა.

---

[1] 226, 5048 ბ.
[2] იქვე.
[3] Sd, 408.
[4] Hd, 806.

VII. ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲝᲔᲑᲘ

(ᲡᲐᲑᲐᲠᲐᲗᲘᲐᲜᲝ)

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ საბარათიანო, როგორც სათავადო საბოლოოდ XV საუკუნეში გაფორმდა, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე [1].

ბარათაშვილების წინაპრები ქაჩიბაძეები იყვნენ და ქართლში აღმოსავლეთიდან მოსულან X—XIII საუკუნეებში. ისინი „ბაღვაშ-ორბელთა ნაოხარზე ნელ-ნელა აშენებენ თავიანთ ძლიერებას, ორბეთსაციშვილოს მებატონენი ხდებიან და „საორბელოსაც“ „საბარათიანოდ“ აქცევენ“ [2].

საბარათიანოს, როგორც სათავადოს, ფუძემდებლად მიჩნეულია ბარათა ქაჩიბაძე, რომელიც XV საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და ალექსანდრე პირველის (1412—1442) მოლარედ მუშაობდა. ბარათა ქაჩიბაძის შესახებ განსვენებული აკად. ს. ჯანაშია წერდა: „საგულისხმოა რომ გერმანოზ ბარათაშვილი (ცხოვრობდა XVI საუკუნეში, დ. გ.), მას „დიდ ბარათას“ ეძახის. ეს „სიდიდე“, თვით საგვარეულოს წევრთა შეგნებაში, საფიქრებელია, დაკავშირებული ყოფილიყო იმ განსაკუთრებულ დამსახურებასთან, რომელიც ბარათას მიუძღოდა საბარათიანო სენიორიის შექმნის საქმეში. რომ ეს სენიორია არსებითად სწორედ XV საუკუნეში ყალიბდება, მას საუკეთესოდ მოწმობს თვით ფაქტი ახალი საგვარეულო სახლის ჩამოყალიბებისა“ [3].

საბარათიანოს საზღვრების დაზუსტება არ ხერხდება. მხოლოდ დაახლოებით შეიძლება იმ ტერიტორიის მოხაზვა, რომელზედაც საბარათიანო წარმოიქმნა. ბარათაშვილებს, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი,—„უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანის საერისთონი ტფილისის სამკრით ვიდრე ლორე-ფანავრამდე, თუნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა“ [4].

მაშასადამე ვახუშტის აზრით, ბარათაშვილებს ვეებერთელა ტერიტორია უკავიათ, „ტფილისის სამკრით ვიდრე ლორე-ფანავრამ-

---

[1] აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1939 წ., გვ. 131—140; გ. ᲯᲘᲐᲛᲑᲣᲠᲘᲐ, სომხით-საბარათიანოს სათავადოების ისტორიისათვის (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი).

[2] იქვე, გვ. 144.

[3] ს. ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ, იქვე, გვ. 135.

[4] ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ, აღწერა, გვ. 24.

დე". ბარათალია ამ მხარეში სამეფო-სახასო ქონებაც არის, და საეკლესიო ყმა-მამულიც, მაგრამ ეს ქვეყანა ძირითადად მაინც ბარათაშვილებს ეკუთვნით და ამიტომაა, რომ ამ მხარეს საბარათიანო ეწოდება.

ძირითადად მაინც, როგორც ეს გივი ჯამბურიამ დაადგინა, საბარათიანო XVI საუკუნის დასაწყისისათვის შეიცავდა მაშავერის, ჭციისა და ალგეთის აუზებს [1].

ბარათაშვილების სახლი ძლიერი და რიცხვმრავალი იყო. თუ საბარათიანოს რეზიდენციას სამშვილდე წარმოადგენდა და აქ ამ საბარათიანოს უფროსი იჯდა, საბარათიანოს სახლის შვილები საბარათიანოს სხვადასხვა კუთხეში ისხდნენ და თავიანთი საუფლისწულოები ჰქონდათ. დროთა განმავლობაში ეს საუფლისწულოები ბარათიანთ სახლის გაყრის ნიადაგზე დამოუკიდებელ სათავადოებად იქცნენ. ამ ნიადაგზე საბარათიანოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შემდეგი სათავადოები: საგოსტაშაბიშვილო, საგერმანოზიშვილო, საზურაბიშვილო, აბაშიშვილების სამფლობელო, ფალავანხოსროშვილები, ქავთარიშვილები, იარალიშვილები, იოთამიშვილები, საბარათაშვილო, საყაფლანიშვილო. საბარათიანო, როგორც დამოკიდებული სათავადო თანდათან დაკნინდა, და XVIII საუკუნეში მთლიანად მოიშალა. იგივე დაემართა საციციანოსაც.

საბარათიანოს ნანგრევებზე წარმოშობილ სათავადოებს შორის გაიშალა პირველობისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდნენ ყაფლანიშვილები. ასე, რომ XVIII საუკუნისათვის სომხით-საბარათიანოში წამყვანი მდგომარეობა ყაფლანიშვილებს ეკუთვნით. დანარჩენი სათავადოები უფრო ფეოდალურ „სახლებს" წარმოადგენენ, ვიდრე სათავადოებს. აქ ჩამოთვლილ სათავადოთა ქონებრივი მდგომარეობა, XVIII საუკუნისათვის, შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. ს ა გ ო ს ტ ა შ ა ბ ი შ ვ ი ლ ო. გოსტაშაბიშვილები სათავეს იღებენ გოსტაშაბ ბარათაშვილიდან (მოიხსენება 1523 წლის გაყრილობის წიგნში).

საგოსტაშაბიშვილო ალგეთის ხეობაში წარმოიქმნა, მათ ეკუთვნოდათ: ა ლ გ ე თ შ ი—აგვდარეთი—11 კომლით, აზიკვი—8, ამლიევი—16, ახალშენი—3, ბირთვისი (სასახლე), გუნანეთი (კომლთა რიცხვი არ არის ნაჩვენები), დვალთა—3, დიდება—1, ელფია—8, ენაგეთი—4, ერდონი (კომლების რიცხვი არ არის ნაჩვენები), ერტისი—3 კომლით, ერწო—8, ვაკე—9, თაკვი—1, მოლავი—2, ტბისი—10, ფორ-

---

[1] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 18.

ქალისი (ხოდაბუნი), ფუტრევი—3, ქოთოში—5, ღოლოვნა—27, ჭანდარი—1, ხორბუკი—2; ქ ც ი ა შ ი: ანდრია—12 კომლით, ვარხუნა—2, თაფანი—1, თხვინთბა (კომლების რიცხვი არ არის ნაჩვენები), მძოვრეთი—1, ცხნარი—2, წინანაური (კომლების რიცხვი არ არის ნაჩვენები); ს ო მ ხ ი თ შ ი: ვანქი—4 კომლით, წერაქვი—47 კომლით; თ რ ი ა ლ ე თ შ ი: მარიამნი (კომლთა რიცხვი არ არის ნაჩვენები); ს კ ვ ი რ ე თ შ ი—აკურისი—7 კომლით, ბეთენია—3 კომლით, კვესეთი—1 კომლით [1].

II. ს ა გ ე რ მ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ო. საგერმანოზიშვილო სათავეს გერმანოზ ქავთარის ძე ბარათაშვილიდან იღებს (იგი 1523 წლის გაყრის წიგნში მოიხსენება) [2].

ეს სათავადოც ალგეთის ხეობაში ჩამოყალიბდა.

1721 წლის აღწერით გერმანოზიშვილებს ეკუთვნოდათ: ა ლ გ ე თ შ ი—ენაგეთი—8 კომლით, ტბისი—4, აბელია—5, გუდარეხი—6, ცოვრეთი—16, ცხვრისი—3, ზა—11, კოხტა—3, კოია—2, ბაბია—4, ახვრისი—4, ვერხვნალა—7, მარაბდა—13, საბუზარი—2 კომლით; ქ ც ი ა შ ი—მძოვრეთი—1 კომლით, თაფანი—1, ანდრია—4; ს კ ვ ი რ ე თ შ ი—კვესეთი—3 კომლით, აკურისი—2 კომლით; დ მ ა ნ ი ს ი ს ხ ე ო ბ ა შ ი—დმანისის ცარიელი ადგილი, ერგენთალა—3 კომლით, დმანისი-ჯვარა—1 კომლით; ყ ა რ ა ბ უ ლ ა ღ შ ი—სხალნარი—6 კომლით, რევაშენი—3 კომლით [3].

III. ს ა ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ო. საზურაბიშვილო ჩამოყალიბდა დმანისის ხეობაში XVII საუკუნეში. ამ სათავადოს ფუძემდებელია საბარათიანოს სარდალი ზურაბ ბარათაშვილი.

1721 წლის აღწერით ზურაბიშვილებს ეკუთვნოდათ: დ მ ა ნ ი ს ი ს ხ ე ო ბ ა შ ი—ბალაჯი—23 კომლით, კაზრეთი—10, მონასტერი (კომლთა რიცხვი არ არის ნაჩვენები), ბაბილაშენი—3 კომლით, კვირაცხოველი—3, ქაგარიანი—4 (აზნაური), კიანეთი—6 (მათ შორის ერთი აზნაური), წობა—1, ბერთაქარი—1 (აზნაური), ქვეში—15, ნაქალაქევი—2, თოფრაყალა—9, ისპიანი, შამიანი, თავდიდიანი; ქ ც ი ი ს ხ ე-

---

[1] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. III—IV, 1938 წ., გვ. 423—425, საქ. სიძვ. 1, გვ. 354. გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 84—86.

[2] იქვე.

[3] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, წიგნი I-II, გვ. 128—129. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 95—96.

ობაში—ირაგა—2 (აზნაური), კამარეთი—9, ლიყურეთი—13, რაფაქეთი—3, ვანეთი, გვიანა; ბერდუჯში—ახპატი, ვარტაპეტის სოფელი, ბერდიკი; სხვადასხვა ადგილებში—ვარდის წყარო, აჯირი, კახმახუთი, ნილოცა, ნობისი, კარაპეტისხევი[1].

IV. აბაშიშვილები. აბაშიშვილების შესახებ პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა წამოაყენა მოსაზრება. მისი აზრით, ალექსანდრე პირველმა „გაჰყარნა სამნი ძმანი აბაში, გუგუნა და დავით, აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან“ [2].

თედო ჟორდანიამ აბაშიშვილების გენეალოგია XIV საუკუნიდან მომდინარედ მიიჩნია [3].

გ. ჩიტაიამ ვახუშტის დაუჭირა მხარი და დასძინა: „როგორც ვიცით, ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში ბარათაშვილების გვარეულობა სამ შტოდ გაიყო: ბარათაშვილებად, აბაშიშვილებად და ორბელიანებად“ [4].

ეს მოსაზრებები საფუძვლიანად დაარღვია გ. ჯამბურიამ. მან სამართლიანად მიუთითა, რომ ყაფლანიშვილები და ორბელიშვილები ბარათაშვილებს გამოეყვნენ XVI საუკუნეში [5]. რაც შეეხება აბაშიშვილებს, მათ შესახებ საბუთები მხოლოდ XVIII საუკუნისაა. არც დოკუმენტები და არც ნარატიული წყაროები XVI—XVII საუკუნეებში აბაშიშვილების მოღვაწეობის შესახებ არაფერს ამბობენ. XVIII საუკუნის დასაწყისში სააბაშიშვილო უკვე არსებობს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სათავადო XVIII საუკუნეზე ადრე წარმოიქმნა. გ. ჯამბურია, რატომღაც სააბაშიშვილოს XVII საუკუნის მეორე ნახევარში უკვე არსებულად მიიჩნევს [6].

აბაშიშვილებს ეკავათ: ქციის ხეობაში—ძველი აბანო—2 კომლით, უკანა დაღეთი—3, ანდრია—2, დია—9, გარისი—6, ეცო—2 კომლით; ალგეთში— ენაგეთი (ცარიელი ადგილი), საღირაშენი—15 კომლით, ოშეთი—5, ელფია—1, მჟავისი—4, ფარცხისი—7,

---

[1] გ. ჯამბურია, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 103—104.

[2] ვახუშტი, აღწერა, გვ. 24.

[3] თ. ჟორდანია, ქ-ბი II, გვ. 353.

[4] გ. ჩიტაია, პიტარეთის და გუდარეხის საფლავის ქვები, საქ. მუზეუმის მოამბე III, 1927 წ., გვ. 124.

[5] გ. ჯამბურია. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 110.

[6] იქვე, გვ. 111.

კიკეთი — 10, გოლთეთი — 9; ყარაბულახში — ეგრისი — 3 კომლით, ფიწუთი—3, იფნარი—5, ზეულისტანი—10 კომლით, დმანისის ხეობაში—თოფრაყალა—1 კომლით, ბეთენია—3 კომლით (სკვირეთის ხეობაში) [1].

V. ფალავანხოსროსშვილები. ფალავანხოსროსშვილები ოფიციალურ საბუთებში იხსენიება უკვე XVII საუკუნეში.

1721 წლის აღწერის მიხედვით მათ ეკუთვნით: ალგეთის ხეობაში—დიდება—2 კომლით, უნაგეთი—1, ეშვის წყარო—4, ვაკე—3, თაკვი—2, კველთა—3, ოძისი (ზემო)—4, ელფია—1, პატივანი—2, ფუტრევი—1, წინვენახი—1, ხორბუკი—2, დვალთა—3, ერწო—2, კობალა—1 კომლით; სკვირეთში — ბეთენია—2 კომლით; ქციაში—ანდრია—2 კომლით, საკეცე—2, ცხნარი—7 კომლით; ყარაბულაღში—ნიაწარი—5 კომლით, ქვეთეთრისი—1, ცხვრისი—4, ახალშენი—4 კომლით (დმანისის ხეობა) [2].

VI. საქავთარიშვილო. ეს სათავადოც საბარათიანოს ტერიტორიაზე აღმოცენდა. იგი XVII საუკუნის საბუთებში უკვე ჩანს.

1721 წლის აღწერით ქავთარიშვილებს ჰყავთ ყმები შემდეგ სოფლებში: ალგეთის ხეობაში—ფუტრევს—1 კომლი, ჩხიკვთას—1, საბუზარს—2, ზას—8, ტფილისს—3, დვალთას—3, ერტისს—1, ახალშენს—5 კომლი; ქციის ხეობაში—ქციას—17 კომლი, სამღერეთ-ახალშენს—3, სამღერეთს—2, კარასს—4, ანდრიას—5; დმანისის ხეობაში—რატევანს—13 კომლი, კვესეთს—7; სხვადასხვა ადგილებში—ძველ აბანოს—1 კომლი, ცხვრისის—1 კომლი [3].

VII. საიარალიშვილო. იარალიშვილებს 1721 წლის აღწერით ყმები ჰყავთ: ქციის ხეობაში—ლიყურეთს—6 კომლი, მთაწმინდას—3, სენებს—2, ირაგას, წობას—3, ჯაბარ-ყალას—2, ლიპისს—5; დმანისის ხეობაში—სავანეთს—14 კომლი, დამღალეს—3, ჭრეში—6, დარბაზისს—19, ძველი ქვეშს—7; სომხითში—შორისს—5, კომპანეთს—2; ყარაბულაღში—ორომაშენსს—10, ხახალჯვარიშს—4, ბახჩალარიშს—5, წარბას უბანს—2, ალგეთში—სამაჩვეთისს—29 კომლით [4].

---

[1] ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი I—II, გვ. 121—123 გ. ჯამბურია, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 112—113.

[2] ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწილი I—II, გვ. 126—127. გ. ჯამბურია, იქვე, გვ. 116—117.

[3] ჯამბურია, იქვე, გვ. 119.

[4] გ. ჯამბურია, იქვე, გვ. 121—122.

VIII. საიოთამიშვილო. იოთამიშვილები თავიანთ გვარის სათავეს იღებენ იოთამ ბარათაშვილიდან. იოთამი 1536 წელს გაეყარა თავის სახლისკაცს—ორბელს და ამ ნიადაგზე შეიქმნა საიოთამიშვილო. მაშინ საიოთამოს ტერიტორიაზე 80-დე სოფელი მდებარეობდა 663 კომლი ყმით [1]. დროთა ვითარებაში ეს გვარი დაკნინებულა და 1721 წლის აღწერით 18 სოფელში მხოლოდ 90 კომლი ყმა-ღა ჰყავდათ. მათ ეკუთვნოდათ: დმანისის ხეობაში—აკაურთა—11 კომლით, რატევანი—12, გულაური—4 კომლით და 5 უყმო აზნაურით, შავგომი—4 კომლით, ანგრევანი—2, თაგუთი — 5, წითელიეკლესია—7, ძველი ტანძია—3, სამაგარა—8; ქციაში—კრეფა—11 კომლით, ლიპის (ავაზანი)—3, ლიპარიტის უბანი—1, წრაურთი—5, თაფანი—1; მირტაშენი—5; ტაშირში—აკრავაშენი—5; ალგეთში—ელფია—2 კომლით, სომხითში—ბოვაძორი—3 უყმო აზნაური და ერთი მემამულე აზნაური [2].

IX. საბარათიშვილო. თვით ბარათაშვილებს 1721 წლის აღწერით 23 სოფელში ჰყავთ 100 კომლი ყმა. მათ ეკუთვნოდათ: ალგეთის ხეობაში—ენაგეთი—8 კომლით, ტბისი—8, წინვენახი (ცარიელი ადგილი, თაკვი—2, დვალთა—1, ზემო ოძისი—2. ხოზეთი—6, საბუზარი—1, ჩხეკვი—6, საღირაშენი—10, ელფია—3, ზა—3, ჭანდარი—1, ბორცვისჯვარი—3; ქციის ხეობაში—მძოვრეთი—2 კომლით და 1 უყმო აზნაურით, ახალშენი—3 კომლით, გარისი—6, თაფანი—3, ორთაშუა—3 კომლით და 1 უყმო აზნაურით, ანდრია—3; სკვირეთში—ბეთენია—11 კომლით, წვერი—12. ორი ნახშირის გორა—7 კომლით [3].

X. საყაფლანიშვილო. თუ ქვემო ქართლში XV—XVI საუკუნეში საბარათიანო ყველაზე მსხვილი პოლიტიკური ერთეული იყო და ქვეყნის სხვადასხვა საქმეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. XVII—XVIII საუკუნეებში საყაფლანიშვილოს რჩება უპირატესობა. ამიტომ, სანამ ზემოთ განხილულ სათავადოების შესახებ მსჯელობას შევაჯამებდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია საყაფლანიშვილოც იმავე თვალთახედვით განვიხილოთ, როგორც სხვა სათავადოები.

საყაფლანიშვილო თავის არსებობას იწყებს 1536 წლიდან. ამ წელს იოთამ ბარათაშვილი და ორბელ ბარათაშვილი გაიყარნენ და

---

[1] ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწილი III—IV, გვ. 418.

[2] ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წ. I—II, გვ. 129—130. გ. ჯამბურია, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 124—125.

[3] გ. ჯამბურია, იქვე, გვ. 127—128.

შეიქმნა ორი სათავადო—იოთამიშვილებისა და ორბელიშვილ-ყაფლანიშვილებისა [1].

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, რომ იოთამ ბარათაშვილს 663 კომლი ყმა ჰყავდა, გ. ჯამბურია ფიქრობს, რომ, როცა ორბელი და იოთამი გაიყვნენ, მათ სოფლები ისე გაინაწილეს, რომ ყოველი სოფლის ნახევარი ერთს შეხვდა, ხოლო ნახევარი—მეორეს. ორბელის წილხდომილი ყმა-მამული გაყრის წიგნში აღრიცხული არ ჩანს, იოთამისა კი ცნობილია, ამიტომ, როცა საიოთამოს იხილავდა სოფლები ჩამოთვალა [2], ხოლო საყაფლანიშვილოს განხილვის დროს ამ სოფლების სია სიტყვა-სიტყვით გაიმეორა [3]. კერძოდ, მას ნათქვამი აქვს: „...თუ ვინსჯელებთ იმისდა მიხედვით, რომ იმ სოფლების მეორე ნახევარი, რომელთა ნახევრები ჩამოთვლილია აქ იოთამის წილში, მიღო ორბელმა, მაშინ დაახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორბელის წილის სოფლების სიაც“ [4].

გ. ჯამბურია აქ, ჩვენი აზრით, შეცდომას უშვებს: რომ მართლაც ყოველი სოფელი შუა გაეყოთ მაშინ არც საყაფლანიშვილო, როგორც სათავადო, წარმოიშვებოდა და არც საიოთამიშვილო. სათავადო ხომ უპირველეს ყოვლისა ტერიტორიული ერთეულია. გაყრის დროს პირველ რიგში მიღებული იყო ხოლმე მხედველობაში საუფლისწულოები. ვის რომელი სოფელი ეჭირა საუფლისწულოდ, მას რჩებოდა საბოლოოდ, მხოლოდ სახასო სოფელი შეიძლებოდა გაყოფილიყო. ასე იყო სხვაგან, ასე იქნებოდა აქაც. ასე, რომ იოთამ ბარათაშვილის სოფლები ორბელ ბარათაშვილის სოფლებად, ძირითადად, რა თქმა უნდა, არ გამოგვადგება.

საყაფლანიშვილოს სოფლების შედარებით სრული სია დაცულია 1721 წლის აღწერაში.

თუ კაცი დაუკვირდება 1721 წლის აღწერაში დაცულ ცნობებს, შეამჩნევს, რომ 1536 წელს იოთამ ბარათაშვილის წილხდომილ სოფლებისაგან 1721 წლის საყაფლანოს სოფლების სახელები დიდად განსხვავდება. ეს განსხვავება, ჩვენის აზრით, მარტო ხანდაზმულობით არ აიხსნება.

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ბარათიანთ გაყრის წიგნი 1536 წლისა, საისტორიო მოამბე, წ. I. 1924 წ., გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 132.

[2] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, იქვე, გვ. 29—33.

[3] იქვე, გვ. 133—135.

[4] იქვე, გვ. 133.

№№ რიგ.	სოფლების სია	ყმები კომლობით				
		გამომ-ღები	ბოგა-ნო	აყრი-ლი	სულ	ამოწყვეტილ-ამოვარდნილი
1	2	3	4	5	6	7
	ალგეთში:					
1	მარაბდა	1	1	1	3	
	დმანისის ხეობაში:					
2	ავანჯუკი	1	1	—	2	
3	ალუმბრუ	6	4	10	20	
4	აცუტი	3	4	4	11	
5	ბოლოკვანტი	5	2	4	11	
6	ბოსლები	15	3	—	18	
7	ბოშის სოფელი	ო ხ ე რ ი				
8	გელდიგილანი	3	—	1	4	
9	გოგორჩლუ	12	3	6	21	
10	გუგუთი	5	1	3	9	
11	გულბაბა	2	—	4	6	
12	დამბლუტი	9	2	8	19	
13	დმანისი ძველი	5	1	3	9	
14	დმანისის ციხე	1	—	—	1	
15	დარბაზი	1	—	—	1	
16	დილამაშენი	7	1	—	8	
17	ელიას სოფელი	11	2	5	18	
18	ერგენთალა	5	1	4	10	
19	ეანი	6	4	—	10	3
20	ვარდისუბანი	8	10	—	18	
21	ვარდისუბანი მეორე	8	1	4	13	
22	ვარძაგარა	25	3	6	34	
23	თაგუთი	12	10	6	28	
24	თეკენამი	1	—	8	9	
25	თოფრაყალა	2	2	—	4	
26	იალღუზი	8	—	3	11	
27	კიპრუქი	5	—	5	10	
28	ლაკლაკაშენი	8	1	4	13	
29	ლორაშენი	3	—	2	5	
30	მაკვა	1	1	—	2	
31	მანაკერტი	12	5	2	19	
32	მიჯა	5	1	—	6	1

1	2	3	4	5	6	7
						1
33	მიჯა ყაითმაზიანთ	5	3	5	13	
34	მოლამასხუდლუ	5	2	12	19	
35	მურუტი	5	—	5	10	
36	მუსეფრიანი	26	5	—	31	
37	მუტავისი	6	—	3	9	
38	მუხრანა	2	—	8	10	
39	მწყნეთი	აყრილი		11	11	
40	ოროზმანი	12	9	1	22	
41	პაატას სოფელი	—	1	—	1	
42	საკარისები	14	—	5	19	
43	სარუჩამას სოფელი	ო ხ ე რ ი				
44	სუგეჩანი	3	2	6	11	
45	ტამალია	13	3	—	16	
46	ტანძია	39	—	—	39	
47	ტნუსი	6	2	3	11	1
48	უნდუში			11	11	
49	ფარანჯუკი	5	3	2	10	1
50	ქართაკი	3	—	1	4	
51	ქედის ეკლესია	8	1	4	13	
52	ქერემდარა	4	—	5	9	
53	ქვაბევანი	8	—	2	10	
54	ყადრიყული	3	3	—	6	1
55	ყალამშიანი	6	1	4	11	2
56	ყაჯილუხი ზემო	6	—	6	12	
57	ყაჯილუხი მეორე	5	—	2	7	
58	ყაჯილუხი ქვემო	5	—	5	10	
59	შავი საყდარი	ო ხ ე რ ი				
60	შავი საყდარი	7	6	2	15	
61	შინდლარი ორი	23	—	10	33	
62	შმბუნი	2	2	1	5	
63	ჩარგამაშენი ზემო	—	—	7	7	
64	ჩარგამაშენი ქვემო	3	1	—	4	
65	ჩინჩხური	5	4	—	9	
66	წაკეგელცი	5	1	7	13	
67	წიფორი	8	4	—	12	
68	წნორი	5	—	—	5	
69	ჭანდარაკი	ნ ა ო ხ ა რ ი				
70	ჭრეში	12	19	—	31	
71	ხული	4	2	4	10	
72	ჯანაზიანი	9	3	2	14	
	სომხითში:					
73	დამბლუტი	3	1	6	10	

1	2	3	4	5	6	7
74	დარბაზთალა	4	1	15	20	
75	წყლამი	5	2	3	10	
76	ჯურეკორი			4	4	
	ტაშირში:					
77	აზათ ქალაქი	5	—	7	12	
78	აზბულახი	4	1	3	8	
79	აკოფას სოფელი	13	—	14	27	
80	აღზიბეუქი	6	—	8	14	
81	გატეხილი საყდარი	2	2	3	7	
82	დელიყულიჯანი ზემო	3	2	9	14	
83	დელიყულიჯანი ქვემო	13	5	10	28	
84	ვაღავერი	3	—	9	12	
85	თახილბითმაზი		ო ხ ე რ ი			
86	იენგიჩახი	6	—	—	6	
87	მდივანბეგის სოფელი	9	—	5	14	
88	მიჩნაქარი	3	2	4	9	
89	მოლაყასუმი	6	—	8	14	
90	მწყნეთი	3	2	6	11	
91	სულეიმანის სოფელი	4	2	6	12	
92	ფარაჩუხლუ			14	14	
93	სირჩაპატი	4	3	6	13	
94	ქეთილაშენი	4	—	3	7	
95	ყამიში	7	—	7	14	
96	ყამიში მეორე	7	—	6	13	
97	ყარაქილისა	10	6	6	22	
98	ყარაქილისა პატარა	5	—	10	15	
99	ყოშაქილისა	9	3	16	28	
100	შავი საყდარი	5	—	12	17	
101	ჩარდახლუ	11	6	14	31	
102	შიშტეფა	9	—	7	16	
103	ჩახმახლუ			14	14	
104	წითელი ეკლესია	1	—	—	1	
105	წითელი ეკლესია	6	—	5	11	
106	ჭალას სოფელი	8	—	16	24	
107	ჭალას სოფელი მეორე	3	1	7	11	
108	ჭუკა	5	—	10	15	
109	ხანდამას სოფელი		ო ხ ე რ ი			
110	ხანძორის სოფელი	9	3	1	13	
111	ხუცის სოფელი	4	—	7	11	
112	ჯანბალჩა, ზემო	8	—	8	16	

1	2	3	4	5	6	7
113	ჯანბაღჩა პატარა	3	—	4	7	
	ქციის ხეობაში:					
114	აბანო	2	3	—	5	
115	ავაზანი	7	—	—	7	
116	აღბაბლუ	21	—	1	22	
117	ბალახური	3	—	—	3	
118	ბურვილი	10	—	—	10	
119	ბოცოეთი	6	—	—	6	
120	დრიანეთი	7	5	3	15	
121	თაფანი	2	—	—	2	
122	იფნობი	17	3	—	20	
123	კატნარი	1	3	—	4	
124	კიპრუჭი	6	1	1	8	
125	მირტაშენი	13	6	5	24	
126	მუგუთი	23	7	—	30	2
127	ფიტარეთი	16	3	—	19	
128	ფოცხვერიანი ზემო	7	3	1	11	
129	ფიცხვერიანი ქვემო	10	3	2	15	2
130	ქცილა			11	11	
131	წობა	2	1	—	3	
132	წრაურთა	11	1	5	17	
133	ჯვარა დმანისი	8	—	—	8	
	ყარაბულაღში					
	(ჭურტაკეტის ხეობა):					
134	გვარჯილა	3	—	1	4	
135	ვარდისუბანი	11	—	1	12	
136	ვარდისუბანი პატარა	2	—	—	2	
137	ვართევანას სოფელი	3	—	2	5	
138	კატავეთი	3	—	—	3	
139	კურწიკამი	7	1	3	11	
140	მუსიყალა	8	—	4	12	
141	მუსიყალა პატარა	4	—	2	6	
142	მუხათი შამბიანისა	9	—	9	18	
143	ორთაშუა	2	—	5	7	
144	სარახველა	4	6	—	10	
145	სარკინეთი	7	1	4	12	
146	საფიქალე	6	—	8	14	
147	უსეინას სოფელი	5	—	—	5	
148	ყარაბულაღი ზემო	3	—	8	11	
149	ყარაბულაღი სასახლის	2	—	6	8	
150	ყარაბულაღი ქვემო	7	—	7	14	

1	2	3	4	5	6	7
151	შესაყარი	8	1	1	10	
152	შესაყარი პატარა	2	—	—	2	
153	შულავერი	3	1	6	10	
154	ხიზუას სოფელი	ნ ა ო ხ ა რ ი				
155	ბაზითალა	აყრილი		12	12	
156	ბახჩალარი	3	2	4	9	
157	სალამალექი	აყრილი		12	12	
158	ტაღდანი	7	2	2	11	
159	შმბუნი	4	1	7	12	
160	წნელა ქარი	2	1	5	8	
161	თალა ქვემო	1	—	—	1	
162	საჯნიანო	ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი				
163	ხიდიყური	9	—	11	20	
164	ხინძორთალა	4	3	—	7	
		979	241	679	1899[1]	

საბარათიანოს ძლიერი საფეოდალო 10 ნაწილად დაიშალა. XVIII საუკუნისათვის ეს ნაწილები შემდეგი სახით წარმოგვიდგებიან:

1.	გოსტაშაბიშვილები	1713	წელს	ფლობენ	231	კომლს	34 სოფელში
2.	გერმანოზიშვილები	1721	„	„	121	„	24 „
3.	ზურაბიშვილები	„	„	„	100	„	30 „
4.	აბაშიშვილები	„	„	„	110	„	20 „
5.	ფალავანხოსროს-შვილები	„	„	„	59	„	23 „
6.	ქავთარიშვილები	„	„	„	78	„	17 „
7.	იარალიშვილები	„	„	„	139	„	19 „
8.	იოთამიშვილები	„	„	„	90	„	18 „
9.	ბარათაშვილები	„	„	„	105	„	23 „
10.	ყაფლანიშვილები	„	„	„	1899	„	164 „
	სულ				2932	„	393 „

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 159—224; იხ. ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. I—II, 1935 წ., გვ. 138—152; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 148—155.

ეს სოფლები, ოდესღაც ერთიანი საბარათიანოს სოფლები იყვნენ და XVIII საუკუნეში მათი ჯამი 393 შეადგენდა. ნაწილი სოფლებისა განმეორებულია. თუ ასეთ განმეორებულ სოფლების ჯამად დაახლოებით 93-ს ჩავთვლით, მივიღებთ, რომ საბარათიანო 300-დე სოფელს ითვლიდა.

როგორც ციფრობრივი მასალებიდან დავინახეთ, საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული ბრძოლა ყაფლანიშვილების გამარჯვებით დამთავრებულა. ამ მოვლენის ანალიზი მოცემული იქნება სპეციალურ თავში, კერძოდ, მაშინ, როცა საუბარი გვექნება სათავადოების ადგილის შესახებ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენ განვიხილეთ ცალკეული სათავადოების წარმოშობისა და განვითარების ისტორია, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ახლა უკვე გასაგებია, რომ გვიანფეოდალური საქართველო მართლაც ასეთი სათავადოების თავისებური ჯამი იყო.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

სათავადოების მეურნეობა

სათავადო სამეურნეო ერთეულიც იყო. ყოველი სათავადო ძირითადად თვითონ იკმაყოფილებდა თავის თავს. ამიტომ სათავადოების სამეურნეო საქმიანობის განხილვა საჭიროდ მიმაჩნია. მაგრამ ასეთი საკითხების კვლევის დროს ყოველთვის როდი გაგვაჩნია სათანადო საბუთები. ხშირად სათავადოს კუთვნილ საბუთებში მხოლოდ უბრალო დასახელება არის ხოლმე მოცემული: „ზვარი", „ხოდაბუნი" და სხვ. როგორია ეს „ზვარი" თუ „ხოდაბუნი", რა მოცულობისაა იგი, როგორია ის ტექნიკა, რომლითაც ამ ზვარ-ხოდაბუნებს ამუშავებენ. ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი საბუთებში. ასე რომ, მკვლევარი იძულებული ხდება დაეყრდნოს ერთის მხრივ ვახუშტის ცნობილ ნაშრომს—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და მეორეს მხრივ ადგილზე მოგზაურობის დროს შეკრებილ ზეპირგადმოცემებსა და პირად დაკვირვებებს. ეს გარემოება კი, რა თქმა უნდა, დიდად აძნელებს საკითხის სრულყოფილად შესწავლას.

სათავადოს მეურნეობის შესწავლა გულისხმობს გარკვეულ იქნას: 1. სათავადოს ტერიტორიის ბუნებრივ-ეკონომიური პირობები, 2. მეურნეობის დარგები (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა), 3. სოფლის მეურნეობის სახეები (მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა). ამასთან ყველა აქ ჩამოთვლილი დარგები შესწავლილ უნდა იქნას იმგვარად, რომ ერთის მხრივ დაცული იქნას ისტორიული ასპექტი და მეორეს მხრივ, ჩანდეს ამავე ასპექტში ამ დარგების განვითარების ტექნიკური ბაზა.

მას შემდეგ, როცა გამორკვეული იქნება ყოველივე ეს, მაშინ გაადვილდება ბატონყმური მეურნეობის ეკონომიური არსის გაგება და

სათანადოდ გამოჩნდება მწარმოებელი საზოგადოების — გლეხობის როლი და მდგომარეობა ამ წარმოებაში. ჩვენ მეთოდოლოგიურად უფრო სწორად მიგვაჩნია ჯერ თითოეული სათავადოს სამეურნეო დარგები ცალ-ცალკე შევისწავლოთ და შემდეგ მოვახდინოთ მათი განზოგადოება.

საკვლევი სათავადოების შესწავლისას შემდეგ თანმიმდევრობას დავიცავთ: ჯერ ქსნის საერისთავოს მეურნეობას ვიკვლევთ, შემდეგ არაგვის საერისთავოს, სამუხრანბატონოს, საამილახოროს, საციციანოს და ბოლოს სომხით-საბარათიანოს სათავადოებს. ამ თანმიმდევრობით ვალაგებთ საერთოდ ყველა საკითხებს.

I. ქსნის საერისთავო

1. სოფლის მეურნეობა

მეურნეობის პირობების მიხედვით ქსნის ერისთავების სამფლობელო შეიძლება ორად გავყოთ: მთად და ბარად. მეურნეობის ხასიათი მთასა და ბარში ერთნაირი არ იყო.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რომელი ხეობები ეკუთვნოდათ ქსნის ერისთავებს, ახლა შევეცდებით, რამდენადაც წყაროები ამის საშუალებას მოგვცემს, ისიც დავადგინოთ, თუ რომელ ხეობაში მეურნეობის რომელი დარგი იყო წამყვანი, რათა ამ საფუძველზე ქსნის საერისთავოს მეურნეობის ზოგადი სურათი წარმოვიდგინოთ.

ამ საკითხებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის დიდი ქართველი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი. ვახუშტის ცნობები მით უფრო საინტერესოა, რომ ის, გარკვეულ პერიოდში, ქსნის საერისთავოში საკონფლიქტო საკითხების მოწესრიგებას ხელმძღვანელობდა [1], რის გამო იძულებული იყო არა ერთხელ მისულიყო ადგილზე; ე. ი. ქსნის ერისთავების სამფლობელოს ვახუშტი ძალიან კარგად იცნობდა.

თავის ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ვახუშტი ქსნის საერისთავოს აღწერას, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო,

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები 1, გვ. 177.

ქსნის ხეობის აღწერით იწყებს; შემდეგ კი თანმიმდევრულად სხვა ხეობებსაც ახასიათებს.

ქ ს ნ ი ს ხ ე ო ბ ა. მდინარე ქსანი „ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით, დის და გამოსდის ქნოღოს ჟამურის საშუალს კავკასს. ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქვევით სამკრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკვარს...“[1]. ზებეყურის მთა „... ჩამოადგების ცხვირად ქსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს ქსანსა კლდითა. ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა“[2].

ვახუშტი, ჩანს, ალევის მთის ცხვირს[3] ზევით ქსნის ხეობას განასხვავებს ამ ხეობის ქვედა ნაწილისაგან. განსხვავება მეურნეობის თვალსაზრისით მართლაც დიდია. ამ ხეობის ქვედა ნაწილი დოვლათიანია, ზედა ნაწილი კი არის „იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი“. ეს ადგილები „მოსავლითა ტყიანკლდიანობითა“ ისეთივეა, როგორც „სხვანი მთის ალაგნი“; მთის ალაგნი კი „არს უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი“[4].

ქოლოთ-ქვითკირის, ცხრაძმის, ქარჩოხის და ჟამურის ხეობები ვახუშტის თქმით, არის „ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი“[5]. ისროლის ხევიც ხასიათდება, როგორც „... სხვანი ამ მკრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი“[6].

ასევეა პატარა ლიახვის. ქნოღოს და მაღრან-დვალეთის ხეობებიც „სივიწროვით ესე უფროს მწირი“[7].

გ ვ ე რ დ ი ს ძ ი რ ი. „ჯარიაშენიდამ ვანათამდენ უწოდებენ გ ვ ე რ დ ი ს ძ ი რ ს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი; ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერეთ ქართლისასა, არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო, გარნა საამო სასმელად“[8].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 68.

[2] იქვე.

[3] ამ ადგილს დღეს კორინთის კლდეს უწოდებენ, ქვემოთ დღევანდელ საზელს ვიხმართ.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 66

[5] იქვე, გვ. 69.

[6] იქვე, გვ. 70.

[7] იქვე, გვ. 71.

[8] იქვე, გვ. 70.

ამრიგად, ქსნის (კორინთის კლდის ზევით), ცხრაძძის, ჭურთის, ეამურის, ქოლოთ ქვიტკირის, ისროლის, საფერშეთის, პატარა ლიახვის, ღრომის ხეობები და მაღრან-დვალეთი ხასიათდება, როგორც ვიწრო, ტყიან-კლდიანი, მწირი და მცირე მოსავლიანი. ეს ხეობები კი საერისთავოს ტერიტორიის, თუ მეტს არა, 5/6 მაინც შეადგენდა. მხოლოდ კორინთის კლდის ქვედა ნაწილი და გვერდის ძირი იყო ის ადგილები, სადაც მარცვლეული კულტურების გარდა მევენახეობა და მებაღეობაც იყო განვითარებული. თუ ქსნის საერისთავოში შემავალ რამდენიმე სოფელს ავიღებთ და მათ მიწებს მოსავლისათვის ვარგისიანობის თვალსაზრისით განვიხილავთ, მივიღებთ შემდეგ ხურათს:

№№ რიგ.	სოფლების დასახელება	მიწების რაოდენობა		
		სახნავად გამოსადეგი დღიურებში	სახნავად გამოუსადეგი (დღიურებში)	სათიბი
1	2	3	4	5
1	ლომისი	26	40	230 ბულული
2	ოხირი	23	45	310 „
3	ქარჩოხი	136	188	255 „
4	ქენქათკარი[1]	32	41	15 „
5	ხოზოეთი	47	26	80 „
6	კარელთკარი	20	41	52 „
7	თინიკანთკარი[2]	29	56	99 „
8	ჰავლეთკარი	20	78	260 „
9	შატაგოკარი	33	88	87 „
10	კვერიეთი[3]	19	32	54 „
11	თეზი	43	—	—
12	ოძისი	170	—	—
13	იკოთი	173	—	—
14	ახალგორი	24	—	—
15	წირქოლი	201	9	50 ბულული
16	კორინთა	24	14	11 „
17	გავაზი	30	66	13 „
18	მოპალიეთი	14	67	16 „
19	შველიეთი	51	72	35 „
20	ლორო	10	14	—

[1] ამონაბეჭდში შეცდომით სწერია—Танкатхар
[2] „ „ „ —Тиш-кантхар
[3] „ „ „ —Перпат

1	2	3	4	5
21	ხრომისწყარო	26	40	94 ბულულა
22	ცხავატი	77	226	249 „
23	ნახიდი	52	87	192 „
24	მეტეხი	27	16	24 „
25	ქურთა	92	71	46 „
26	შუჯუხი	69	31	440 „
27	ჩიტიანი	24	126	107 „
28	უკანუბანი	10	121	420 „
29	უკანამხარე	20	90	170 „
30	ყველიდაბა	41	79	70 „
31	წინუბანი	33	68	57 „
32	დადიანეთი	94	328	383 „
33	ბაზუანთკარი	45	—	—
34	წიკლოერი (?)	49	220	229 ბულულა
35	თოხთა	36	180	292 „
36	დაბაკნეთი	35	162	580 „
37	გორგა	16	11	430 „
38	ქვემო ბაგინი	24	23	700 „
39	შუა ბაგინი	37	27	424 „
40	ჩერკეზანი	18	18	248 „
41	საფერშეთი	109	179	900 „
42	საძეგური	122	246	106 „
43	ახალდაბა	41	42	130 „
44	მიდელათკარი	30	52	24 „
45	გოლგოლეთი	32	55	41 „
46	ძაბუეთი	67	44	204 „
47	საბარკლეთი	111	53	341 „
48	კარა	49	26	207 „
49	კუცხოეთი	101	51	193 „
50	ველისი	28	16	62 „
51	ჩარაანი (ქალაქა)	33	23	149 „
52	ციხია	33	16	175 „
53	ჯორთისი	28	23	115 „
54	ილურთ კარი	73	84	237 „
55	მეწყერი	23	38	10 „
56	ჰურთა	29	71	70 „
57	დორეთკარი	30	103	73 „
58	ასატური	50	—	—
59	ქოლოთი	120	—	—
60	საკორინთლო	120	—	—
61	არცევი	160	—	—

1	2	3	4	5
62	სათემო	500	—	—
63	ფლავი	347	სააზნაურო	
64	ფლავისმანი	175		
65	ზონკარი	32		
66	მეჯვრისხევი	210		
	ს უ ლ	4607	3922	9751[1]

თუ ჩვენს მიერ აქ მოტანილ 66 სოფლის მიწების ვარგისიანობის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, საერთო ჯამში ვარგისი მეტია, მაგრამ საერისთავოს მთიან ზოლის სოფლებს თუ ცალკე გამოვყოფთ, დავინახავთ, რომ 50 სოფელში ვარგისი მიწა 2258 დღიურია, უვარგისი კი 3900 დღიური.

ა. მ ე ნ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ა. როგორც დავინახეთ, ქსნის საერისთავოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთიანი, მწირი და ტყიან-კლდიანი იყო, რის გამოც მემინდვრეობის განვითარება არ შეიძლებოდა. ყველა ამის გამო კი, ბუნებრივია, მთის მოსახლეობას მოსავალი საკმაო არ უნდა ჰქონოდა. „... ჩემი მოხსენება ეს არის,—წერდა 1771 წელს დავით ერისთავი ერეკლე II,—რომ მე რაც მეჯვრისხევს ზეით კაცი მისახლობს, ვერასთვის მეზობელს ვერც მამულით სჯობიან და ვერც სარჩოთი... მე სხვას თავადებთან არ უნდა გამომართვათ, ამისთვის, რომ მე და ჩემს ბიძაშვილს დღეში შვიდი კოდი პური გვინდება, ყოველ წლივ პურს ვყიდულობთ... მე სხვა სამსახური უფრო შებიძლიან პურისა და ღვინის მირთმევისაგან“ [2].

თუმცა, დავით ერისთავის მტკიცება გადამეტებულია და ფეოდალის მიერ სამეფო სამსახურისაგან თავის არიდების ჩვეულებრივ ცდას წარმოადგენს, მაგრამ, ვფიქრობთ, ბევრ რამეში სწორია. საყურადღებოა, რომ ერეკლე II დავით ერისთავის წერილისათვის ყურადღება მიუქცევია და შემდეგი ბრძანება გაუცია: „ბატონო სახლთუხუცესო დავით და მდივანბეგო, მერე ქსნის ერისთავის მთის კაცსთ, რომელთაც კოდის პური წინაპართ ჩვენს პაპების დროს არ ზდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენ ვითხოვთ და, რომელთაც კაცს კოდისპური სდებიათ, იმათ უნდა მოგვცენ, მთის კაცს გარდა“ [3]. ესეც რომ არ

[1] საქ. მეცნ. აკად. ისტ. ინსტ. ისტ. განყ. ფონდი, საქ. 104 (ბატონიშვილების ქონების 1816 წ. აღწერის მასალები).

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 36, საბ. 202.

[3] იქვე.

ეყოს, ისედაც ცნობილია, რომ მთის მცხოვრებნი ბარით იკვებებოდნენ, რადგან მიწის მოსავალი საკმარისი არ იყო.

სოფელ არდისში „Крестьяне бедные, занимаются мало хлебопашеством, сеют пшеницу, дику, ячмень и овес, но к пропитанию их весьма мало, достают еще из Карталинии, замен на скотину"[1].

ყველა აქ მოყვანილი საბუთები მოწმობენ, რომ ქსნის საერისთავოს მთიან ზოლში მემინდვრეობა ნაკლებად იყო განვითარებული, აქ ის მხოლოდ დამხმარე ხასიათს ატარებდა, ხოლო მეურნეობის ძირითად დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა.

მემინდვრეობა შედარებით განვითარებული იყო საერისთავოს ბარის ზოლის შემდეგ სოფლებში: ქსნის ხეობაში (ქურთა, კორინთა, ქვემო ალევი, შუა ალევი, ყოჩიანი გუდაწყვერი, წინაქოლი, ყანჩავეთი, ერედა, ბაზოანი, იკოთი, ახშადი, ახალგორი, ძეგლევი, სარბიელი, ლომისხევი, ოძისი, ილიტოზა, ლამისყანა, თეზი), გვერდის ძირში (აძვი, ქვეში, დუდეთი, ქიწნისი, ბარანა, ფლავი, ფლავისძანი, არცევი, შაკათკარი, იკორთა, ორთევი, მერე, ლაფაჩი, სნეკვი, კეხვი).

მემინდვრეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო აგრეთვე: საკორინთლოში, მეჯვრისხევში, სათემოში, ახალუბანში, ტყვიავსა და კარალეთში. მეჯვრისხევში არა მარტო საკმაო პურის მოყვანა შეიძლებოდა, არამედ ზედმეტიც. „...сеют пшеницу, ячмень, просо, кукурузу и излишек продают в Тифлисе"[2], ნათქვამია მეჯვრისხევის შესახებ. ქსნის ერისთავებს აქ ჩამოთვლილ სოფლებში დიდი ხოდაბუნები ჰქონდათ და მიმართავდნენ ყოველგვარ საშუალებებს, რათა ეს ხოდაბუნები უფრო გაეფართოებინათ: ყიდულობდნენ მიწებს, აკეთებდნენ ახოებს და სხვ.

მარცვლეულ-კულტურებიდან ყველაზე მეტად იყო გავრცელებული — დოლის პური, დიკა, ჭვავი, ფეტვი, სიმინდი და შვრია. ამ კულტურების გავრცელების არე ერთნაირი არ იყო. დოლის პური უმთავრესად ბარის ზოლში იყო გავრცელებული.

შედარებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო ქერის ხვედრითი წონა, ქერს თესავდნენ, როგორც მთაში, ისე ბარშიც.

---

[1] მეცნ. აკად. ისტ. ინსტიტუტი ისტ. ვანუოფილების ფონდი, საქმე 423.
[2] იქვე.

გავრცელების მხრივ, ქერის შემდეგ, დიკას პირველი ადგილი უჭირავ. დიკა, როგორც ცნობილია, კარგად ეგუება მთის ჰავას.

იყო თუ არა გავრცელებული ქსნის ხეობაში შვრია, საბუთებიდან არ ჩანს. ვახუშტის ცნობებზე დაყრდნობით შვრიის გავრცელების შესახებ, განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „თუ ადამიანი ვ ა ხ უ შ ტ ი ს გეოგრაფიას ყურადღებით გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ შვრიის მოყვანას საქართველოში თითქმის განსაკუთრებით მთა-ადგილებში მისდევდენ იქ, სადაც ბუნების სიმწირე სხვა კულტურას ასპარეზს ან სრულებით უსპობდა, ან შეტისმეტად უმცირებდა“ [1].

ქსნის საერისთავოში გავრცელებული უნდა ყოფილიყო, აგრეთვე ჭვავიც. ჭვავი გავრცელებული იყო როგორც დოლის პურთან ერთად, ისე ცალკეც. ამავე დროს, ჭვავის გავრცელების არე უფრო ვრცელი იყო, რადგან ჭვავს სთესდნენ, როგორც ბარში, ისე მთაშიც. ჩვენს მიერ ზემომოყვანილ ცნობებში სხვა კულტურებთან ერთად ფეტვიც მოიხსენიება. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ფეტვი ძველი კულტურაა ქართველთა ტომებში. იმის შესახებ რომ ფეტვის თესვა ქსნის საერისთავოში საკმაოდ ყოფილა გავრცელებული, გარდა წერილობითი ცნობისა, ძვირფას მასალას იძლევა ადგილზე ფეტვის თესვის წესზე დაკვირვება: ფეტვს თესენ მაშინ, როცა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მოთავებული აქვთ. ფეტვისათვის ჩვეულებრივ, იყენებენ ნოყიერ (ნაკელით გაპატივებულ) მიწებს და ახლად გატეხილ ახოებს. ამავე დროს, ფეტვისათვის მიწის ღრმად მოხვნა არ არის საჭირო, რის გამო ის გლეხიც კი, რომელსაც მუშა-საქონელი არ ყავდა ფეტვის დათესისათვის განკუთვნილ მიწას ქორჩითაც დაქორჩიდა. საყურადღებოა, რომ „ნაფეტვარი“ ქსნის ხეობაში გეოგრაფიულ სახელადაც კი არის გადაქცეული.

ჩვენი აზრით, ცალკე საფეოდალოს რაობის დადგენისათვის მიწის დამუშავების წესისა და წარმოების საშუალებების შესწავლა აუცილებელია, რადგან „წარმოების როგორი წესიცა აქვს საზოგადოებას, — ისეთივეა, ძირითადად, თვით საზოგადოებაც“ [2].

საერისთავოში მწარმოებელი კლასის (გლეხობის) საკითხს ჩვენ ცალკე განვიხილავთ, აქ კი კონკრეტულ მასალების საფუძველზე შევეცდებით მიწის დამუშავების წესის, სამუშაო იარაღისა და გამწევი ძალის საკითხების განხილვას.

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკ. ისტორია, ნაწ. I, გვ. 361—362.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 149, 1949 წ.

საერისთავოში მიწის დამუშავების წესები, მთასა და ბარში, ერთნაირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან დასამუშავებელი მიწა ერთნაირი არ იყო.

გიორგი ჩიტაიას აზრით „ქსნის ხეობაში მოცემულ იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე), მთის ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე —предгорие, Vorberge) და მთის ზოლისა (ლარგვისსზევით)“ [1]. ამასთან „ქსნის ხეობის მთის ზოლში ტიპიური ალპიური ლანდშაფტის მეურნეობა იყო. მთის ზოლის პირობებში სახნავი მიწის მეტისმეტად სიმცირის გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუწი: მას წინასწარ უნდა აეკრიფა ქვები, მოეზიდა მიწა, პატივი და შემოეყორა. ასეთ პირობებში მიწის ღრმად მოხვნას შეეძლო გამოეწვია ნიადაგის ჩამოწოლა და „დედამიწის“ (ამ შემთხვევაში კლდის) გაშიშვლება. როგორც ირკვევა ძველი ნაშთების მიხედვით, ნიადაგის ჩამოწოლის წინააღმდეგ აქ ზომები ჰქონიათ მიღებული“ [2].

გ. ჩიტაიას ეს დაკვირვება სავსებით სწორია. მეურნეს მართლაც უნდა გაეთვალისწინებია მიწის ფართობი, მისი მოსავლიანობა, ბუნებრივი პირობები და მეურნეობის ისეთი დარგისათვის მოეკიდა ხელი, რომელიც ყველაზე შემოსავლიანი იქნებოდა.

მიწის დამუშავებაც ამ წესს ემორჩილებოდა. გ. ჩიტაიას სოფელ დადიანეთში (ქსნის ხეობა) დამოწმებული აქვს მიწის დამუშავების სხვადასხვა სახეები. „აქ იციან „ანეული“ (ზაფხულში — ივლისი, აგვისტო). ანეულად ხნავენ მეტ წილად „ზვარეში“... იციან აგრეთვე „ნაოში“ (სექტემბერში; ნაოშსაც მეტ წილად ზვარეში ხნავენ) და „ახალ თესლი“ (გაზაფხულზე) იხვნება მეტ წილად „ჩრდილებში“ (ჩრდილოეთის მხარე)“[3].

გ. ჩიტაია ძირითადად სწორია, მაგრამ ზოგი რამ არ უნდა იყოს ზუსტი; მაგალითად, „ანეული“ მართლაც იციან „ზვარეში“, მაგრამ არა მთელ „ზვარეში“, არამედ „ზვარის“ იმ ადგილში, სადაც ვაკეა. საქმე იმაშია, რომ „ანეული“ ივლის-აგვისტოში იხვნება, უნდა დათესონ კი ოქტომბერ-ნოემბერში. ამის გამო, თუ ფერდობი მოხნეს, მოსალოდნელია დიდი ნიაღვრების დროს ხნული ისე გააფუჭოს წყალმა, რომ არა მარტო საყანედ, არამედ მიწადაც აღარ გამოდგეს.

---

[1] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940 წ., გვ. 486.

[2] იქვე, გვ. 484—5.

[3] იქვე, გვ. 484.

მიწის „ანეულად“ ხვნის წესს, სოფელ დადიანეთში მონათხრობზე დაყრდნობით, აპტივცემული მკვლევარი მთელ მთიან ზოლში ავრცელებს. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს არ უნდა იყოს სწორი შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, მთიან ზოლში მიწების რაოდენობა მცირეა; ამის გამო საანეულოდ მოსახნავს არ დატოვებენ. მეორე, „ანეულად ხვნა“ გულისხმობს მიწის დამუშავების ყველა სხვა წესზე (ნაოში, მძრალად ხვნა, ახალ თესლი) უფრო ღრმად მოხვნას, საამისოდ კი აჩაჩა გუთანი, რომელიც, თვით გიორგი ჩიტაიას თქმით, მთიან ზოლში სახნავ იარაღის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, არ გამოდგებოდა. ესეც რომ არ იყოს, აკი გ. ჩიტაია თვითონ ამტკიცებს, რომ „...მიწის ღრმად მოხვნას შეეძლო გამოეწვია ნიადაგის ჩამოწოლა და „დედამიწის“ (ამ შემთხვევაში კლდის) გაშიშვლება“. ყველა ამის გამო, მიწის დამუშავების წესის გაბატონებულ ფორმად ქსნის საერისთავოს მთიან ზოლში„ ნაოში“ და „ახალთესლი“ უნდა მივიჩნიოთ.

მიწის დამუშავების უფრო რთული წესი იყო საერისთავოს ბარის ზოლში. აქ იცოდნენ ანეული და ნაოში — შემოდგომის ნათესებისათვის (დოლის პური, ჰვავი, ძველთესლი ქერი), მძრალად ხვნა და ახალ თესლი, — გაზაფხულის ნათესებისათვის (ქერი, დიკა, შვრია, ფეტვი, სიმინდი).

სამეურნეო სამუშაოთა განსხვავებულობას სამეურნეო იარაღებიც სხვადასხვა შეუქმნია. თვით სახნავი იარაღებიც ერთიმეორისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. მთის ზოლში სახნავი იარაღის ძირითადი სახეა „მთის გუთანი“, მთის ძირში, ქსნური მთის გუთნის ქვესახე, „ორხელა გუთანი“, და ბარის ზოლში — „ბარული გუთანი“[1]. მიწათმოქმედებაში გამწევ ძალად უმთავრესად გამოყენებული იყო ხარი და კამეჩი. სამწუხაროდ, წყაროების მიხედვით არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, თუ გუთნის მოძრაობაში მოსაყვანად რამდენი უღელი ხარი იყო საჭირო. ნამდვილი სურათის ნაწილობრივი აღდგენისათვის, ჩვენ დღეს გავრცელებულ წესს ვიყენებთ. „მთის გუთანში“ აბამენ ერთიდან სამ უღლამდის, იმისდა მიხედვით, თუ მიწა დასამუშავებლად როგორია, „ორხელა გუთანში“ — 4—6 უღლამდის, „დიდ გუთანში“ (იგივე ბარის გუთანი)—6—8 უღლამდის. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ მსგავს მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი ჩვენთვის საინტერესო ეპოქაშიც.

---

[1] სახნავი გუთნების ასეთი დაყოფა გიორგი ჩიტაიას ეკუთვნის, იხ. იქვე, გვ. 456.

გუთანში შებმულ ხარებს ახლა გუთნეულს უწოდებენ, ვინც გუთანს მართავს — გუთნის დედას, ხარებს ვინც ერეკება — მეხრეს. როგორც დავით ქსნის ერისთავის ასულ ელენეს 1713 წლის ბზითვის წიგნიდან ჩანს, XVIII საუკუნეში „გუთნეულის“ გვერდით, ამავე ცნების გამოსახატავად „სამეხრეოც“ იხმარებოდა. „სამეხრეო გამართულის მისის გუთნის დედით“ [1].

ქსნის საერისთავოში ხარი არა მარტო მიწის დასამუშავებელ იარაღების მოძრაობაში მომყვან საშუალებად ითვლებოდა, არამედ სატრანსპორტო საშუალებადაც. „... ჩვენ გვენება, რომე ჩვენი შვილი ან გიორგი, ან ლევან რამდენისამე კაცით /გა/მოგვეგზავნა ღრაფის ამოსაგებებლად, მაგრამ ქვეყანას ხარჯი მოეცემოდათ... თქვენ და ამილახორს მოგანდევით ეს საქმე და ამ საქმეზე გამოვგზავნეთ იოანე აბაშიძე. თქვენ უნდა როგორც გორს ჯარი შეგვიწერია, ის ჯარი გამოიყვანოთ და ხარი თუ შეგიწერიან, იმ შეწერილს დააჯერეთ. გამოიყვანეთ და წაბძანდით. და თუ ხარები ჯერ არ შეგეწეროს, დავთარი გამოგვიგზავნია, ამ დავთრით ხარები გამოართვით და ასე წაიყვანეთ. ხარი, რომ იქ არ დაგაკლდესთ, მეტი იყოს ისი სჯობს. თავად ორანი ულელი, თორემ ეს საბოლო რომ არ იყოს, არ იქნება... ესეთი საქმეც დიდად გაჭირებულია: ხარისა, ურმისა, კაცისა, სურსა[illegible] და ლონ ინებოს კარგად გავარიგოთ. აგრეე თქვენ ეცადენით... ორმოცი ულელი ხარი თქვენს მამულს შეხვდა, რომელიც ვაკესა და გვერდის ძირს გისახლობსთ და ქსნიდამ კიდევ უნდა გასარჯო ხარი. ამათი ბარგი და საზიდარი წამოიღოთ“ [2].

ამრიგად, ქსნის საერისთავოში მიწის დამუშავების მთავარ იარაღად გამოყენებულ იყო გუთანი („მთის გუთანი“, „ორხელა გუთანი“, „დიდი გუთანი“), ხოლო გამწევ ძალად — ხარი. დიდი ადგილი ეჭირა ხელით მუშაობასაც (ქოხჩი). ახლად გატეხილ ახოების დამუშავება უმთავრესად ხელით ხდებოდა.

ბ. მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა. ქსნის საერისთავოში მევენახეობა უმთავრესად გავრცელებული იყო კორინთის კლდის ქვემო ნაწილში. „ამ კლდეს ქვევით — ლაპარაკია კორინთის კლდეზე — მტკვრამდე ქსანი არს ვენახოვანი“ [3], ასევეა მეჯვრისხევსა, ტყვიავსა, კარალეთსა და გვერდის ძირის სოფლებშიც.

როგორც ერისთავისშვილების 1818 წლის გაყრილობის წიგნებიდან ჩანს [4], ქსნის ხეობაში ვენახი ჰქონდა 138 ოჯახს, მეჯვრისხევში

---

[1] საქ. სიძ. III, გვ. 501.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დაეთარი 23, საბ. 140.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 70.

[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 36, საბუთი 101.

28 ოჯახს, გვერდის ძირზე რამდენი ოჯახი იყო ვენახიანი საბუთებიდან არ ჩანს.

მართალია, საერისთავოში მევენახეობა მეურნეობის წამყვან დარგს არ წარმოადგენდა, მაგრამ რიგ სოფლებში მევენახეობა საკმაოდ განვითარებული ჩანს. ასეთ სოფლების რიცხვს ეკუთვნის: იკოთი, ახალგორი, ოძისი, ლამისყანა, თეზი, ატენი, მერე, ტყვიავი, კარალეთი, ფლავი, ფლავისმანი, მეჯვრისხევი, ახალუბანი და სხვ.

1816 წელს შედგენილ ბატონიშვილების ყოფილი ქონების აღწერაში ნაჩვენებია იკოთის, ახალგორის, ოძისსა და წირქოლში ღვინის მოსავლიანობა. ამ ცნობის თანახმად: სოფელ იკოთში „садов виноградных 30, приносящие в год вина до 5000 тунг"; ახალგორში „садов 73, приносящие в год вина до 9000 тунг"; ოძისში „садов виноградных 20, приносящие в год вина до 2800 тунг"; წირქოლში „садов 34, приносящие в год вина до 4500 тунг"[1].

თორნიკე ერისთავის 1822 წლის 2 იანვრით დათარიღებულ შემოსავლის დავთრიდან ჩანს, რომ სოფ. მარანას მოსახლეობას „კარგის მოსავლის დროს შესწერდება ორმოცი კოკა კულუხი"[2], ხოლო „ატენელებს, როდესაც კარგი მოსავალი იქმნება, შესწერდებათ ასი კოკა კულუხი"[3]. ღვინის გადასახადის ასეთი სიდიდე თავისთავად ბეტყველებს ვენახების დიდი რაოდენობის შესახებ[4].

საბუთების მიუხედავად, საერისთავოში ღვინის მოსავალი ადგილობრივი მოხმარებისა იყო და საერისთავოს ფარგლებს გარეთ გასასყიდად არ გაიტანებოდა. აკი თვით დავით ერისთავიც ამბობს, რომ „მე სხვა სამსახური უფრო შემიძლიან, პურისა და ღვინის მირთმეცისაგან".

ამრიგად, საერისთავოს ბარის ზოლში, მემინდვრეობის გვერდით, მევენახეობაც იყო განვითარებული და სოფლის მეურნეობაში, თუ წამყვანს არა, ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავებდა. ის ფაქტი, რომ ვენახის მქონებელი გლეხი ცალკე იყო აღრიცხული საერისთავოს შემოსავლის დავთრებში, მოწმობს, რომ მევენახეობისადმი განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული.

---

[1] მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყ-ბის ფონდი, საქმე 104.

[2] საქ. მუზ. ხელნაწერის განყოფილება ფ. A, საბ. 1134.

[3] იქვე.

[4] სოფ. იკოთში მევენახეობა იმდენად განვითარებული ყოფილა, რომ იკოთელებისა გადმოცემით, ეს სოფელი ღვინის დიდი მოსავლის გამო პატარა კახეთად იწოდებოდა.

გ. მ ე ბ ა ღ ე ო ბ ა. ვახუშტის ცნობების გარდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „აქტებში“ დაცულ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვან ცნობას, ჩვენ არავითარი წერილობითი მასალა არა გვაქვს ქსნის საერისთავოს მეხილეობის შესახებ. ვახუშტიც, სადაც მევენახეობას ეხება, იქვე იხსენიებს მეხილეობასაც. ხილიანი ბაღები იმ სოფლებში უნდა ვიგულისხმოთ, სადაც ვენახებიც იყო, ე. ი. იკოთში, ახალგორში, ოძისში, ლამისყანაში, ტყვიავში, მეჯვრისხევში, გვერდის ძირის სოფლებში და სხვ.

დ. მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა. ქსნის საერისთავოს გეოგრაფიულ-თავისებურებათა გამო მესაქონლეობას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საერისთავოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მართალია მემინდვრეობისათვის ხელსაყრელი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ, საქონლის საძოვრებისათვის გამოდგებოდა. ცხვრის საზაფხულო იალაღებისათვის საუკეთესო ადგილები იყო ქარჩოხის, ჭურთის, ჟამურისა და მაღრან-დვალეთის სანახები. ზამთარში კი საერისთავოს ბარის ზოლში (იკოთი, ოძისი, ლამისყანა, თეზი, მეჯვრისხევი) უხვად იყო საზამთრო საძოვრები.

საერისთავოს მთელი რიგი სოფლები ასეა დახასიათებული: „Скотоводство посредственное и для прокормления посылают в Карталинию“ [1].

„ამ მთათა სამჯრით (ლაპარაკია თხოთის და წლევის მთაზე, დ. გ.), არს მტკვრამდე და კასპამდე ქსნიდამ, მინდორი აღაიანისა, უწყლო, უნაყოფო, გარნა ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა“ [2].

თუ მემინდვრეობა (მთიან ზოლში) არა რენტაბელური იყო, თუ მთას პურით ბარი ჰკვებავდა, სამაგიეროდ, თავის მხრივ, მთა ბარს აწვდიდა რძის პროდუქტებს, მატყლს, ტყავს და სახორცე საქონელს. არდისელები, რადგან საკუთარი მინდვრის მოსავალი არ ჰყოფნით. „достают еще из Карталинии, взамен на скотину“[3]... „сих вышеписанных деревень (ჩამოთვლილია აწერის ხევი, ბელოთი, ქიწნისი და სხვ.) крестьяне очень бедные, хотя и сеют пшеницу, дику, ячмень и овес, но едва становится на полгода, а на остальную половину выменивают в Карталинии на шерсть и скотину“[4].

---

[1] საქ. მეცნ. აკად. ისტ. ინსტიტუტის ისტორიის ჯანყოფილების ფონდი, საქმე 423.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 63.

[3] საქ. მეც. აკად. ისტ. ინსტიტუტის ისტ. ჯანყ-ბის ფონდი, საქმე 423.

[4] იქვე.

რომ თვით ერისთავების სახლს საკმაოდ დიდი რაოდენობის საქონელი უნდა ჰყოლოდა, ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ერისთავები საქონელს უხვად გასცემდნენ ხოლმე ნათესავებზე. როგორც ცნობილია, ანასტასია დავით ერისთავის ასული 1713 წელს ცოლად ეჰყვა ქაიხოსრო ავალიშვილს. მას, გარდა სხვა მრავალი ძვირფასი ნივთებისა, მზითვად გაატანეს: „ცხენის ჯოგი ცხრა მისის მეჯოგით, საბერეო გამართულის მისის გუთნის დედით, სადიასახლისო ფური ცხრა მის დიასახლისით. ცხვარი ასი მისის მეცხვარითა, ღორი ოცდა ათი მისის მეღორითა" [1]. 1785 წელს შედგენილ ბეჟან ამილახორის დანახარჯში ვკითხულობთ: „... წამოსვლის დროს ერისთავმა მაჩუქა ერთი ცხენი, სამი უღელი ხარი, ცხრა ძროხა, ოცდაათი ცხვარი, ათი თხა" [2].

როგორც აქ მოყვანილ საბუთებიდან ჩანს, ქსნის საერისთავოში ბლომად ყოფილა, როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასევე ცხვარი, თხა, ღორი და ცხენი.

2. ვაჭრობა-ხელოსნობა

ა. ვ ა ჭ რ ო ბ ა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის არა მარტო ვაჭრობა-ხელოსნობა, არამედ საერთოდ ეკონომიური ისტორიაც ჩვენთვის საინტერესო ეპოქისა, ჯერჯერობით შეუსწავლელია, ხოლო, რაც შეეხება ამ მიმართულებით ცალკეულ საფეოდალოების ეკონომიკის შესწავლას, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იგი მხოლოდ ეკანასკნელ ხანებში დაიწყო.

ვაჭრობა-ხელოსნობის საკითხის შესწავლის დროს ჩვენ განსაზღვრულ მონაცემებში ვთავსდებით, ე. ი. რამდენადაც კონკრეტული მასალები ამის საშუალებას მოგვცემს შევეცდებით ქსნის საერისთავოში ვაჭრობა-ხელოსნობის ზოგადი სურათი დავადგინოთ.

ქსნის საერისთავოში ორი საავაჭრო-საბაზრო ცენტრი იყო — ახალგორი და მეჯვრისხევი. ამ ცენტრებში ხდებოდა ადგილობრივი და შემოტანილი საქონლით ვაჭრობა. გარდა ფართო მოხმარების საგნებისა, აქ შემოჰქონდათ ფუფუნების საგნები, ხოლო გაქონდათ, ძირითადად, რძის ნაწარმი, მატყლი, შალი, ტყავი და საკლავი საქონელი.

ორივე ზემოდასახელებული სოფლები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ცენტრებს. ეს ცენტრები მთასა და ბარს შორის მიმოსვლის რამდენიმე გზას უყრიდნენ თავს.

---

[1] საქ. სიძ. III, გვ. 501.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ეკონომიურ ისტორიისათვის 1, გვ. 80.

საერისთავოში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გზებს წარმოადგენდა:

I. ახალგორი — ოძისი — ქსოვრისი — დამპალა—წილკანი — ნატახტარი — საქართველოს სამხედრო გზით — თბილისი. ამ გზას „საქალაქო გზა“ ეწოდებოდა.

II. ახალგორი—იკოთი—კორინთა—საძეგური—მონასტერი (ლარგვისი)—ქარჩოხი—ეამეური. ეს გზა წარმოადგენდა „საქალაქო გზის“ ჩრდილოეთის გაგრძელებას. ამ გზას ქარჩოხის ციხესთან უერთდებოდა ლომისის მთის გადასასვლელი. ამ გადასასვლელით შეიძლებოდა მისვლა არაგვის ხეობაში — სოფ. მლეთთან და იქიდან დარიალის ხეობით — ჩრდილოეთ კავკასიაში.

როგორც ვახუშტი ამბობს: „აღვალს აქედამ (ქარჩოხის ციხიდან, დ. გ.) გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს“ [1].

III. ახალგორი — იკოთი — ყანჩავეთი—ქოლოთ-ქვიტკირის ხეობა—ისროლის ხეობა—მეჯვრისხევი.

IV. ახალგორი — ძეგლევი — გრემისხევი — ტონჩა — არღუნი—ქეისხევი—ანანური [2].

V. ახალგორი — ოძისი — ლამისყანა — საამილახორო.

VI. ახალგორი—იკოთი—კორინთა—ალევის ხეობა — საფერშეთის ხეობა—ფასანაური.

VII. ახალგორი—ოძისი-მჭადიჯვრისა და ილიტოზის სანახები — არაგვის საერისთავო. Güldenstädt-ი ამ გზის შესახებ, შემდეგ ცნობას გვაწვდის: „Bei Iritossa geht zwischen dem khssani und Narekwawi der gewöhnliche weg. jeder Lesginer, wenn sie von Aragwi über Mschadis—dschuari, nach Lamiss - chana und bis Krzchinwali auf der Höche herumziehn“ [3].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 69.

[2] Güldenstädt-ი ამ გზით გადავიდა ანანურიდან ახალგორში 1772 წელს, მის ჩანაწერებში ეკითხულობთ: „Den 10 April ritt ich von Ananuri eine Stunde in S. W. und W. S. W. am Bache Arkala, dann am Wedsath-chewi, und hatte die Dörfer Kassis-chewi und dann Uarguni, nachher Itzria und Alaewiss-Artebatzminda.—Bis zum Bache Narekwawi waren von Uarguni in dieser Richtung anderthalb Stunden. Letzterer Ort Steht am Fusse eines Berges. Von hier in W. S. W. hatte ich, nach anderthalb Stunden, den Bach Seglewis-chewi und an dem selben das Dorf Seglewi, von da bis zum Khssani ist nur eine Viertelstunde. Ich folgte nun dem Flusse Khssani in N. hinauf nach Achalgori.“ იხ. Güldenstädt, R e i s e n, გვ. 105 კლაპროტის გამოცემა).

[3] იქვე, გვ. 107. 108, გულდენშტეტს გეოგრაფიული სახელები არა სწორად აქვს ჩაწერილი მაგ.: Kassis-chewi უნდა იყოს ქეისხევი Alaewiss Artebatzminda უნდა იყოს ალევის სამება წმინდა და სხვ.

VIII. მეჯვრისხევი — საამილახორო — ოკამი — თეზი — აღაიანი — მუხრანი წერევნის სანახები — ნატახტარი — საქართველოს სამხედრო გზით თბილისი.

IX. მეჯვრისხევი—გორი.

X. მეჯვრისხევი — გვერდის ძირი—ფავლენიშვილების სამფლობელო—ცხინვალი.

XI. მეჯვრისხევი—ისროლის ხეობა—ჭურთის ხეობა—ქარჩოხის ხეობა—ლომისის გადასავალი—არაგვის ხეობა—დარიალის ხეობა—ჩრდილო კავკასია.

აქ ჩამოთვლილი გზებიდან, რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იყო ახალგორი—თბილისი, ახალგორი—ანანური, ახალგორი—დარიალის ხეობა, მეჯვრისხევი—დარიალის ხეობა, მეჯვრისხევი—თბილისი, მეჯვრისხევი—გორი და მეჯვრისხევი—ცხინვალის გზები. დანარჩენი გზები უმთავრესად სასოფელთა შორისო იყო.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნეში გაფართოვდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან, ამიტომ ახლა უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა ჩრდილოეთის გზებს.

დარიალის კარით საქართველოში შემოსულნი, არა მარტო არაგვის ხეობით, არამედ ქსნის ხეობითაც მგზავრობდნენ.

„ქ. რუსეთიდამ მოველ. იქიდამ მოვიტანე ორას სამოცი თუმანი თეთრი და/ა/ვეჯი... პირველად ახალგორს ჩამოვიარე, დავით ერისთავი ვნახე“ [1] — წერს ბეჟან ამილახვარი 1785 წ.

ლომის-ოხირის გადმოსასვლელები საკმაოდ ამოკლებდა გზებს საქართველოს სავაჭრო ცენტრებთან (ახალგორი, მეჯვრისხევი, გორი, ცხინვალი, სურამი და სხვ.).

მართალია, ვაჭრები ბატონყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ ერისთავებთან, რის გამო „ბატონყმური რიგით“ გათვალისწინებული ყველა სახის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, მაგრამ არა ერთი თხოვნის შემდეგ ერისთავებს ვაჭრები შრომითი ბეგარისაგან გაუთავისუფლებიათ და მხოლოდ ვაჭრობით შემოსავლის — მახტის გადახდა დაუვალებიათ. „ქ. ესე სითარხნის წერილი მოგეცით მე, ქსნის ერისთავმან შალვამ, თქვენ ჩვენს სამკვიდრობო ყმათ ახალგორში, ასე რომ თქვენ მამაპაპათ დებულებით, გქონიათ ოძისს ჩვენის

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, წ. I, გვ. 79—80.

ზვრის მუშაობა ყოველის გვარისა, და რადგანაც თქუენ აღებ-მიცემობის ვაჭარნი კაცნი იყავით და თქვენთვის დამძიმებულ იყო ეს გვარი მუშაობა და დიდათ იხვეწებოდით და მრავალჯერ მაწუხებ-დით, მეც ამის გამო იძულებულქმნილმან მოვხედე თქვენს ურიცხვს თხოვნას და შეგიბრალეთ და აღმოგიხოცეთ საუკუნოდ, საშვილის-შვილოდ, ესე სეთკობა (sic). ვითარცა ზოგიერთთა სახლის კაცთა ჩემთა თავადთა ერისთავთა წამოუკვეთეს თვისთა ყმათა, მეზობელ-თა თქვენთა, ეგრეთ მსგავსადვე თქვენცა განგათავისუფლეთ და მო-გიკვეთეთ ესე დებულება“ [1].

სხვა საბუთებიდანაც ჩანს, რომ საერისთავოში არა მარტო სა-ქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც შემოჰქონდათ საქონელი.

„...ქსნის ერისთავის ყმას და სარგო კაცს ბაჟი არ გამოგვრთმე-ვია დღემდის არც საზღვარს გარედამ შემოტანილისა და არც სა-ზღვარს შიგნითის ჩვენგან მოტანილის ნივთისა“[2], აცხადებდნენ ახალ-გორელი ვაჭრები ერმოლოვის სახელზე 1817 წ. 23 თებერვალს გაგ-ზავნილ წერილში.

სავაჭრო საქმიანობას უმთავრესად ახალგორელი და მეჯვრისხე-ველი სომხები აწარმოებდნენ: „армяне (ლაპარაკია მეჯვრისხეველ სომხებზე, დ. გ.) купечествуют в Тифлисе[3];“ ამავე დროს იგივე სომხები „торгуют на месте чихирем, солью и сыром, делают сита и продают по деревням“[4].

ერისთავებს ვაჭრები ჰყავდათ აგრეთვე თბილისსა და გორში. ერისთავების თბილისში მყოფ ვაჭრების შესახებ როსტომ მეფის მიერ ერისთავების სახელზე 1637 წ. მიცემულ ერთ-ერთ სიგელში ვკითხულობთ: „მას... ყამსა, ოდეს მოგვადეგით კარსა და ქალაქს თქვენს ვაჭრებს გვიაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხული ვქენით და ძუელთაგან თქუენი სამკუდრო ყო-ფილიყო, აწე შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქალაქს თქვენი ვაჭარი დან-

---

[1] საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. Hd, საბ. 9400. ეს საბუთი მგ-19 ს. პირველ ათეულში უნდა იყოს დაწერილი.

[2] საქ. მუზ. ხელ. განყ. Hd, საბ. 10832.

[3] საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების ფონ-დი, საქ. 423.

[4] იქვე.

დუაშვილი პაპინა, ჩიგინა, ზურაბა და მურადა“ [1], ხოლო გორის ვაჭრების შესახებ გიორგი მეფე დავით ერისთავს 1683 წელს აძლევს სიგელს: „... შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი მამაპაპათ სამკვიდრო ნაჭონი გორს ვაჭრები როსტომაშვილები, ალიხანაშვილები და გოგინასშვილები, შიხინასშვილი, გივინასშვილები, ზირაქაშვილები, ჭურეკაშვილები“ [2].

ბ. ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა. ხელოსნობის დარგებიდან ქსნის საერისთავოში აღსანიშნავია: სამჭედლო საქმე, საფეიქრო, წარმოება, მეჭურჭლეობა, სამღებროები.

ქსნის საერისთავოში ბატონიშვილების ყოფილი ქონების 1803 წლის შედგენილ უწყისში სოფ. არდისის შესახებ ნათქვამია: „есть кузнецы, которые для них делают разные вещи, железо покупают в Карталинии, делают обручи и кадушки собственно для себя“ [3].

ქსნის ყოფილ საერისთავოს სამჭედლოების შესწავლიდან ირკვევა, რომ სამჭედლოები არა მარტო ყველა სოფელში, არამედ, სასოფელთაშორისო ცენტრებშიც („გზაჯვარედინებზე“) არსებობდა, რაც იმას მოწმობს, რომ მჭედლები მარტო „თავისთვის“ არ მუშაობდნენ.

მაგ., სოფ. იკოთის სამჭედლო მომსახურებას უწევდა იკოთს, წიჩქოლს, ყანჩავეთს და სხვ. ქვემო ალევის—ალევის ხეობას; სოფ. ყოიჯვარის—საფერშეთის ხეობას; მონასტრისა—ცხრაძმის ხეობას, ჭურთის ხეობას, ხარბალს და ცხავატის ხეობას; ბალაანთის—ქარჩუხის ხეობას და სხვ.

ყველა ამ დაკვირვებიდან გამომდინარე შესაძლებლად მიმაჩნია დავსძინო, რომ სამჭედლო საქმე ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობისა იყო, და საკმაოდ განვითარებულიც XVIII საუკუნეში.

ისე როგორც ვაჭრები, ხელოსნებიც ბატონყმურ ურთიერთობაში იყვნენ ერისთავებთან. არ ჩანს, მჭედლები სხვა სამუშაო ბეგარასაც ეწეოდნენ, თუ მარტო სამჭედლო საქმით უნაზღაურებდნენ საერისთავო გადასახადებს. მჭედელი, სამჭედლო საქმესთან ერთად, სოფლის მეურნეობასაც მისდევდა და სამჭედლო საქმეს ან სეზონურად აწარმოებდა, ანდა მჭედლის ოჯახის ერთი წევრი (თვით მჭედელი) მჭედლობდა, სხვანი სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ.

---

[1] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთარი 24, საბ. 155.
[2] იქვე, დავთარი 28, საბ. 35.
[3] საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის ფონდი, საქ. 423.

ხელოსნობის სხვა დარგებიდან, რომელიც ქსნის საერისთავოში იყო. ყველაზე უფრო დიდი ადგილი მეჭურჭლეობას ეკავა. მეჭურჭლეობის ცენტრს სოფელი ცხავატი წარმოადგენდა. ამ სოფელში თითქმის ყველა ოჯახი ახლაც აკეთებს ჭურჭელს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დამზადებულ კერამიკულ ჭურჭელს ცხავატის ჭურჭელი არა თუ ჩამორჩება, არამედ ბევრს რამეში სჯობია კიდეც (გამძლეობა და სხვ.). ამ სოფელში დამზადებული ჭურჭელი ქსნის ხეობის ფარგლებსაც სცილდებოდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხემდე აღწევდა [1].

ბატონიშვილების ქონების უწყისი საფეიქრო წარმოების საკითხის გარკვევისათვისაც არის საინტერესო. სოფელ მეჯვრისხევში, ამ აღწერის მიხედვით „армяне купечествуют в Тифлисе, выработанные холсты, отвозят и променивают на бумагу, а грузины занимаются тканием полотен, прядением ниток и красильнями". არდისელები „продают в Карталинию масло, сыр, овечьи кожи, сукна черны, чекмани, шитые" [2].

ამავე საბუთის ცნობით, ქოლოთელები „продают шубы, сукна".

როგორი იყო საფეიქროები, რომელშიც შალი იქსოვებოდა, ჩვენ არ ვიცით. შალის საქსოვი ხელსაწყო, რომელიც მთებში დღემდე შემორჩენილია, ძველად არსებული ხელსაწყოს ნაირსახეობა უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი სახე XVIII საუკუნეში არსებული საფეიქრო წარმოებისა. შალის ქსოვა ქალის საქმედ ითვლებოდა.

XVIII საუკუნეში, საქართველოში სამღებროთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ამ პერიოდში „მრავალი სამღებრო სადედოფლოდან საფეიქალო (საუფლისწულო, სათავადო, საეკლესიო) ხდება" [3].

ქსნის საერისთავოში ორი სამღებრო იყო. ერთი მათგანი ახალგორში არსებობდა, ხოლო მეორე—მეჯვრისხევში. თუმცა იჯარის თვალსაზრისით „ერისთავიანთ სამღებრო ორი ან ორთუმან ნახევარი ღირდა" (ნ. ბერძენიშვილი), ერისთავები მაინც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ სამღებროებს. გაყრილობის წიგნებში

---

[1] ცხავატის ჭურჭლის შესახებ იხ. აგრეთვე ვ. ჩიტაია და ლ. ბოჭორიშვილი—ანგარიშები ექსპ. ქსნის ხეობაში ენიჯის ნოამბე IV, 1939 წ.

[2] საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყ-ბის ფონდი, საქმე 423.

[3] ნ. ბერძენიშვილი, სამღებროები XVIII ს-ში, მასალები VI, გვ. 444.

არა ერთგან აოის აღნიშნული, რომ სამღებრო (მეჯვრისხევსა და ახალგორში) ძმათაშორის საზიაროდ დარჩესო.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქსნის ხეობაში საფეიქრო წარმოებას (შალების ქსოვა) საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონდა. აქ მცხოვრებნი არა მარტო საოჯახო მოთხოვნილებისათვის, არამედ ბაზარზე გასატანადაც კი ამზადებდნენ შალებს. შალებს გარდა ცალკეული გლეხები ფარდაგებსაც ქსოვდნენ. საშალე თუ საფარდაგე ძაფი უნდა შეეღებათ სამღებროში. ხშირად თვით მოქსოვილი შალიც მიჰქონდათ შესაღებად. ყველა ამის გამო სამღებროებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა.

გამორიცხული არ არის ვიფიქროთ, რომ საღებავებს ნაწილობრივ ადგილზე ამზადებდნენ თრიმლის ფოთლის, კოწახურის ქერქისა და კაკლის წენგოსაგან.

II. არაგვის საერისთავო

1. სოფლის მეურნეობა

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არაგვის საერისთავოც ორ მთავარ ზოლად — მთად და ბარად იყოფოდა. ამისდა მიხედვით მთის მეურნეობაც განსხვავდებოდა ბარის მეურნეობისაგან.

ერისთავთა კუთვნილ საბუთებში ერისთავების მეურნეობის შესახებ ძალიან მცირე ცნობებია შემონახული და ისიც არა პირდაპირი მნიშვნელობისა. ასე რომ, ამ მხარის სამეურნეო აღწერისათვის ძირითად წყაროებად უნდა მივიჩნიოთ ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და ჭილაშვილის „ზაპისკა“.

ვახუშტი შემდეგნაირად ახასიათებს არაგვის საერისთავოს ხეობებს: არაგვის ხეობა „მისაქციელიდამ და ოხერ-ხიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი“ [1]. ნარეკვავის ხეობას „ბენის-ჭილუტამდე ეწოდების გრემის-ჯევი. არა არს გრემის-ჯევს ვენახნი და ხილნი, სხვითა ყოვლითა მოსავლიანი“ [2]. ბაზალეთის ველზე არიან „დაბნები ვენახოვანნი, ხილიანი, მოსავლიანი და უწყლოობით არა მრავალნაყოფიერნი“. [3] გუდამაყარიც მოსავლით თუმცა იყო „ვითარცა სხვა მთის ალაგნი“, მაგრამ მაინც გუდამაყარი ყოფილა „უფროს მწირი“ [4].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 64.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 65.
[4] იქვე.

მთიულეთი „არს უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი... არა არს აქა აქლემი, კანბეჩი და ვირი; არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი. ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივიწროვის გამო“ [1].

„ხოლო ჭეობა ჭევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრივისა შთასავლით გველეთამდე. არა არს აქა ხილნი, თუნიერ მთის ხილთა; ... პირუტყვნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალნი. ცხვარი უდუმო“ [2].

ვახუშტის ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ არაგვის საერისთავოს ბარის ზოლში — მისაქციელიდან ანანურამდე, ბაზალეთის ველსა და გრემისხევში — მემინდვრეობასა და მებაღეობა-მევენახეობას მისდევდნენ. ასე რომ, ერისთავებს აქ უნდა ჰქონოდათ სახნავი მიწების ხოდაბუნები. მთის ზოლში მცხოვრებნი კი, როგორც დავინახეთ, მესაქონლეობას მისდევდნენ.

მთა ბარზე იყო დამოკიდებული. ისედაც მცირე სახნავ მიწებს მთიელები არ ასვენებდნენ, ყოველწლიურად ხნავდნენ, ამის გამო ნიადაგი იფიტებოდა და ხშირად შრომასაც არ ანაზღაურებდა. მთიელები, როგორც ჭილაშვილი შენიშნავს, პურის საშოვნელად მიდიან ვლადიკავკაზის მხარესა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში [3]. სამაგიეროდ აქ საზაფხულო იალაღები და სათიბები საკმაოდ ბევრია.

მთის მცხოვრებნი, ამბობს ჭილაშვილი, „занимаются овцеводством; из молока делают сыр, из шерсти горское сукно и войлоки“... [4]

მთის ზოლში მიწის დასამუშავებელ იარაღს „აჩეჩა“ გუთანი წარმოადგენდა, სადაც ერთ უღელს ან ყევარ ხარს აბამდნენ [5]. ბარად კი გამოყენებული უნდა ყოფილიყო „დიდი გუთანი“ და გამწევი ძალაც ხუთ—ან ექვს უღელს შეადგენდა. იმის გამო, რომ მთაში ნიადაგი მცირე და მწირი იყო მოსახლეობა მუდმივ გაჭირვებას განიცდიდა „Нищета,—წერს ჭილაშვილი,— является самым разительным образом. Единственный источник пропитания жителей к государственного с них дохода состоит в перевозке через горы, по Военно-Грузинской дороге, аммуниции и купеческих транспортов“ [6].

---

[1] ვახუშტი, აღწერა, გვ. 66.
[2] იქვე გვ. 68.
[3] Акты, VII გვ. 349.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.

თრესოს ხეობაში, იმავე ჭილაშვილის მოწმობით, სახნავი მიწები თითქმის არ არის. აქა-იქ საქერედ თუ მოქორჩნიან. სამაგიეროდ აქაც საუკეთესო სათიბები აქვთ და ზამთარ-ზაფხულ საქონელი შინ ჰყავთ.

რაც შეეხება მთიულეთს, ჭართალს, ხანდოსა და გუდამაყარს „Здесь родятся пшеница, ячмень и просо". მოსავლიანობა აქაც მცირეა, ცხვარი ზაფხულობით მთებში ჰყავთ, ხოლო ზამთრობით ბარად — ქართლის ველებზე ჩამოყავთ[1].

2. ვაჭრობა-ხელოსნობა

ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ, თითქმის არაფერი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება, გარდა ერთი არაპირდაპირი საბუთისა, რომელიც 1782 წელს ვახტანგ ბატონიშვილს მიუცია ბაბანა ჭილაშვილისათვის, საიდანაც ჩანს, რომ ჭილაშვილების გვარი ძველთაგანვე მილახორებად ყოფილან დუშეთში. საბუთში აღნიშნულია: — „რუსეთიდამ მომავლის ვაჭრისა და თუ აქედამ წამსვლელის ვაჭრისა. და აგრეთვე ჩერქეზიდამ მოსულის ცხენების ბაქის აღება ყოველთვის შენის ოჯახის სახელოდ ყოფილიყო"[2].

თუ გავითვალისწინებთ ამ ცნობას, თითქოს სავარაუდოა, რომ მართლაც არაგვის საერისთავოში დუშეთი, ჟინვანი და ანანური უნდა ყოფილიყვნენ სავაჭრო-სახელოსნო და საბაჟო ცენტრები.

დასახელებული ქალაქები წარმოადგენდნენ ძირითად სავაჭრო პუნქტებს, სადაც მთიულებს შეეძლოთ ჭარბი, უმთავრესად რძის პროდუქტები და პირუტყვი, გაეყიდათ დაესაჭირო საქონელი ეყიდათ.

XIX საუკუნის დამდეგს დუშეთსა და ანანურში რომ სავაჭრო-სახელოსნო დუქნები არსებობდა, საამისო ცნობები ჩვენ მოგვეპოვება. 1802 წელს ქალაქ დუშეთში 1324 სულ მცხოვრებიდან სხვადასხვა ხელობას მისდევდა 518 სული. აქ არსებობდა სახელოსნოები მკერავთა, ხარაზთა, მჭედლების, დურგლების და სხვათა[3].

---

[1] იქვე, გვ. 350.
[2] საჯ. ცენტრ. არქივი, ფონდი 16, საქმე 51, ფურცელი 7.
[3] იქვე.

ანანურის მაზრაში სხვადასხვა სახის სახელოსნოები 47 აღემატებოდა[1].

ძირითადად, მაინც მთის მცხოვრებნი კარჩაკეტილ მეურნეობას ეწეოდნენ და სახლში დამზადებულ ქსოვილებით იკმაყოფილებდნენ თავს.

ასე, რომ ხელოსნობა საშინაო მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და განსაკუთრებით მთა, სუსტად იყო ბაზართან დაკავშირებული.

ჭილაშვილი ამტკიცებს, რომ მოხევეები „из молока делают сыр, из шерсти горское сукно и войлоки, впрочем, самые грубые, а из шкур простые тулупы“ [2].

თრუსოელები „из шерсти делают довольно хорошие войлоки, башлыки, бурки и горское сукно; из молока сыр, а из шкур—шубы; выделывают кожи, ремни и проч и продают оные по Военно-Грузинской дороге, в Душете и в Тифлисе“ [3].

მთიულთა დახასიათებისას იგივე წყაროა მიუთითებს, რომ ისინიც თუმცა უხეშს, მაგრამ მაინც აკეთებენო შალებს [4].

მართალია წყაროებში სათანადო ცნობები არა გვაქვს დაცული სამჭედლო და სადურგლო ხელოსნობის შესახებ, მაგრამ უეჭველია ეს ხელობაც უნდა ყოფილიყო განვითარებული არაგვის საერისთავოში.

III. სამუხრანბატონო

სამუხრანოს მეურნეობის ეკონომიური დახასიათება პირველად ვახუშტიმ მოგვცა. იგი ამ მხარეს ზედმიწევნით იცნობდა და ამიტომ მის მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვახუშტი წერს: „ნარეკვავის შესართავის დასავლით, სარკინეთის მთის ჩდილოს გვერდი, ვიდრე ქ ა ნ დ ა ც ი ხ ი ს ძირამდე, არს ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი“ [5].

მდინარე ქსნის შესართავთან მდებარე სანახები, თუმცა „არს უწყლობით უნაყოფო“, მაგრამ იგიც არს „ზამთარ ბალახიანი, და იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე“ [6].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 16, საქმე 2420, ფურც. 40.
[2] Акты VII, გვ. 349.
[3] იქვე გვ. 349.
[4] იქვე, გვ. 350.
[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 63.
[6] იქვე.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ მუხრანის ველი დასერილია სარწყავი არხებით, რომლებიც მდ. ნარეკვავისა და ქსნიდან იღებენ სათავეებს. მდინარე ქსანზე ქსოვრისთან „არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა, სარკინეთისა და ციხე ბოდავის მთათა შორისსა, და ნაყოფიერებს მით ფრიად". მდინარე ქსნის დასავლეთით მდებარეობდა „ირტო-თეზ-ოკმის მინდორი და ჩანგილარ ბეგთათავისა", რომელიც მუხრანბატონებს ეკუთვნოდათ. ეს მინდორიც „ირწყვის ქსნის რუთივე და ნაყოფიერებს" [1].

მუხრანბატონებისა იყო აგრეთვე „მინდორი აღაიანისა, უწყლო, უნაყოფო, გარნა ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა"[2]. ასე რომ, მუხრანბატონების სამფლობელოს დიდი ნაწილი სახნავ-სათესად ვარგოდა, ინტენსიური მეურნეობისათვის აქ ყველა პირობა იყო და ის ნაწილი კი, რომელიც სახნავად არ გამოდგებოდა გამოყენებული იყო საზამთრო საძოვრებისათვის. ამ საძოვრებით სარგებლობდნენ ქსნისა და არაგვის საერისთავოს მცხოვრებნი, რისთვისაც მუხრანბატონს საბალახეს უხდიდნენ.

მუხრანის ვახუშტისეული ზოგადი დახასიათება ასეთია: „ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშვენი, კეთილ-აგარაკოვანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშვენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალნი, სანადირონი მოუკლებელნი" [3].

მხარის ასეთი პირობები საშუალებას აძლევდა მუხრანბატონებს სახნავთა დიდი მასივები გამოეყოთ ხოდაბუნებად, ზვრები გაეშენებინათ, ბაღები ჰქონოდათ.

მუხრანბატონების მეურნეობა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი ნაწილი — ეს გლეხური მეურნეობა იყო, ე. ი. მიწა გლეხებზე იყო მიმაგრებული და მუხრანბატონს, როგორც მფლობელს ღალას უხდიდა. ასეთ მიწაზე გლეხი სხვადასხვა სახის მეურნეობას აწყობდა: ნაწილზე ვენახს აშენებდა, ნაწილზე — ბაღ-ბოსტანს, ხოლო ნაწილი სახნავ-სათესად ჰქონდა გამოყენებული. ამისდა მიხედვით უხდიდა იგი თავის ბატონს გადასახადს ნატურით.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 63.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 63—64.

მუხრანბატონის მეურნეობის მეორე ნაწილს შეადგენდა პირადად თავის განკარგულებაში მყოფი დიდი ზვრები, ფართე ბაღები, გრძელი ხოდაბუნები.

ამ მოსაზრებათა დასამტკიცებლად ჩვენ არა ერთი უტყუარი საბუთი გაგვაჩნია. რომ ყმა-გლეხებს სახნავ-სათესი მიწები და ვენახები ჰქონდათ, ეს კარგად ჩანს გაყრილობის წიგნებში დაცულ ცნობებიდან. აქ ჩვეულებრივად იხმარება გამოთქმა: კომლი „ოცის დღის მიწით და თითოს ვენახით“ [1].

ასევე კარგად ჩანს საბუთებიდან, რომ მუხრანბატონებს ბაღ-ვენახები აქვთ, ვაზებს ყრიან, ახალ ვენახებს აშენებენ. აი რამდენიმე მაგალითი.

„მუხრანის ბატონი სვიმონ მუხრანის ბატონს კოსტანტინეს ცოლს ბარბარეს და იმის შვილს ივანეს ნასყიდს მიწაზე—ვაჟიაურზე ელაპარაკებოდა... მუხრანის ბატონს კონსტანტინეს იმ ვაჟიაურის მიწაში ვაზი ჩაეყარა და ის ვენახი ველარ მოვშალეთ“ [2].

თეიმურაზ მუხრანბატონს დამპალას ბაგა აეშენებინა და ბაქარი ეუბნებოდა კონსტანტინეს 1717 წელს, „იმისთანას ალაგას თქვენმა სახლისკაცებმაც აშენონ“ ნუ დაუშლითო [3].

1620 წელს მუხრანის ზვრიდან 310 საპალნე ღვინო მოსულიყო [4].

სამუხრანბატონოს გეოგრაფიული პირობები, როგორც დავინახეთ, ხელსაყრელი იყო ინტენსიური მეურნეობისათვის. ჩვენ არც ერთი სათავადოს საბუთებში არ შეგვხვედრია, რომ გლეხს ორმოცი დღის მიწა სჭეროდეს. აქ კი ეს, მეთვრამეტე საუკუნისათვის, ჩვეულებრივი ამბავია. სამუხრანბატონოს ტერიტორიის 2/3 სახნავ-სათესად და ბაღ-ვენახების გასაშენებლად ვარგოდა.

ამიტომ იყო, რომ მუხრანბატონები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ სხვადასხვა კუთხიდან მოსულ გლეხებისათვის თავშესაფარი მიეცათ, ამ გზით მიწები აეთვისებინათ და სარგებლობა ენახათ. სახნავ-სათესი მიწების სიუხვე თავისებურად ხელს უწყობდა სახნავი იარაღების გაუმჯობესებას, ხოლო ამ გაუმჯობესებულ იარაღით მოსავლიანობის ზრდა ხერხდებოდა. თუმცა, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ ეს გაუმჯობესებანი მხოლოდ პირობითი იყო და მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ბატონყმურ

---

[1] Q.d, 1626

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226. საბ. 1125.

[3] იქვე, ფ. 229 დავთ. 3, საბ. 96.

[4] ქ-ბი II, გვ. 443.

სამეურნეო სისტემაში ტექნიკის რადიკალურ გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

IV. საამილახოროს

სამწუხაროდ, გარდა ზოგადი გამოთქმებისა — „ხოდაბუნი", „ზვარი" და სხვა, საამილახოროს მეურნეობის შესახებ წერილობითი საბუთები არ შემონახულა. საამილახოროს მეურნეობაზე ერთგვარი წარმოდგენა მაინც შეიძლება ვიქონიოთ ამ მცირე საბუთებითაც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ბეჟან ამილახვრიშვილის დანახარჯის წიგნი „... ჭალას ბალი გავაკეთე, ასი კოკა რომ გამოვიდა" [1]. ბეჟანი თავის ძმას ედავება სხვადასხვა საკითხებში და აღრიცხავს სად რა დაუხარჯავს: „ორას ორმოცდაათი კოდი პური დავახვედრე, ზოგი ქორწილზე დახარჯა, ზოგიც თავის ხიზანს მოახმარა. ეს ჩემი სათავნო არის... ასოცი კოდი ქერი დავახვედრე. ოცდაათი კოდი ქერ-ჭრელი [2].

„სობის დავაგდე შვიდი უღელი ხარი და კამბეჩი ჩემი სათავნო თავისი სახნის საკვეთითა და ღვედითა" [3].

„ნათესი დავაგდე ყანა თვრამეტის დღისა და შვიდის დღის ქერი" [4].

„ჩემი სათავნო პური და ქერი დავაგდე კოდი სამასი" [5].

ბეჟან ამილახვრისშვილი მოტანილ საბუთში მხოლოდ თავის სათავნოზე ლაპარაკობს; ასეთი სათავნოები კი ამილახვრიანთ სახლში ათეულობით იყო.

საამილახორო, უმთავრესად, თანამედროვე კასპისა და გორის რაიონებში მდებარეობდა. ძირითადი გამოსადეგი მიწები ამილახორებს ჰქონდათ ტირიფონის ველზე. აქ მათ დიდი სახნავი ხოდაბუნები და ზვარ-ვენახები გააჩნდათ.

ამილახვრიანთ მიწები ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: სახასო მამულები. სახასო მამული თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფოდა. ნაწილი ამ სახასო მიწებისა თვით ამილახორებს ეჭირათ, ხოლო ნაწილზე ამილახვრიანთ ყმები ისხდნენ და ღალა-ბეგარას აძლევდნენ თავიანთ ბატონს.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, გვ. 78.

[2] იქვე, გვ. 79.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

საამილახოროს მამულის მეორე ჯგუფს საუფლისწულოდ გამოყოფილი მიწები შეადგენდა. ეს უკანასკნელიც ორად იყოფოდა. ერთი ნაწილი ამილახვრისშვილებს ეპირათ, ხოლო მეორეზე—მათი გლეხები ისხდნენ.

ამილახვრიანთ სახლის ერთ-ერთი ძირითადი შემოსავალი იყო გორის მოურავისა და ზემოქართლის სადროშოს სარდლის სახელოდან შემოსული გადასახადები.

ამილახორებს საქონლის ჯოგიც ჰყავდათ. მათი მიწა-წყალი საზამთრო საძოვრებისათვის გამოსადეგი იყო. ლეხურის ხეობა ვახუშტის თქმით არის „ხილიან-ვენახიანი და ნაყოფიერი“ [1].

ლეხურის ხეობიდან (სოფ. ჭალიდან) დასავლეთით მეჯუდამდე ერთიანი დავაკებაა, რომელსაც ტირიფონის ველი ეწოდება. ამ დავაკებას ჩრდილოეთიდან მთები მისდევს, ხოლო მთის ძირზე სოფლებია განლაგებული. ეს მთები (წოლდის, მხურვალეთის, წინაგარის, ბერმოეთის, მეჯვრისხევის, გვერდისძირას) თავისებურ საზღვრებს ქმნიდნენ ქსნის საერისთავოსა და საამილახოროს შორის. მთის ძირის სოფლების ნაწილი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ, ხოლო ნაწილი ამილახორებს.

სამეურნეო თვალსაზრისით ვახუშტი შემდეგნაირად ახასიათებს ამ მხარეს.

„ამ მთის მიყოლვით (ლაპარაკია მხურვალეთის მთაზე, დ. გ.), დასავლეთისაკენ მეჯვდამდე და ვიდრე დიდ-ლიახვამდე, და კვერნაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო, გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზნარნი და ვენახნი მრავალნი; და ირწყვის მინდორი ესე მეჯვდის აღმოსავლეთისა მეჯვდის რუთი. მოვალს ყოველნი მარცვალნი, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა. მთის ძირის დაბნებნი ეგრეთვე ვენახოვანნი და ხილიანნი, პირუტყვთა სიმრავლე: თჳნიერ აქლემის, არს ყოვლისავე. ამ ადგილს აწ უწოდებენ ს ა მ ი ლ ა ხ ო რ ო ს ა. კვალად კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს ა შ ურ ი ა ნ ი, უწყლობით უნაყოფო, უფლის ციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი, და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწლეთა სიმრავლე, და თბილი ზამთარ“[2].

როგორც ვხედავთ, ვახუშტის საამილახოროს ტერიტორია ვარგისიანობის თვალსაზრისით გაყოფილი აქვს ორად. საამილახოროს უდიდესი ნაწილი, რომელიც მოთავსებულია კვერნაქის მთასა და

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 72.
[2] იქვე, გვ. 73.

წოლდა-მეჯუდის მთებს შორის სავსეა სოფლებით. აქ უხვად არის ვენახები და კაკლის ხეები, ხარობს ყოველგვარი მოსავალი გარდა ბრინჯისა და ბამბისა, განვითარებულია აგრეთვე მესაქონლეობაც. ხოლო საამილახოროს მეორე ნაწილი — კვერნაქის მთის სამხრეთის კალთები და მდინარე მტკვრის მარცხენა მხარე გორიდან კასპამდე მოსავლისათვის ნაკლებ გამოსადეგია, მაგრამ იგი საუკეთესოა საზამთრო საძოვრებისათვის. სამეურნეო ტექნიკის განვითარების დონე და სასოფლო-სამეურნეო იარაღთა სახეობანი აქაც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც სამუხრანოში.

სამწუხაროდ, არავითარი ცნობები არა გვაქვს ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ საამილახოროს მცხოვრებნი ძირითადად დაკავშირებული იყვნენ გორთან, მეჯვრისხევთან და ქვემოჭალასთან, აქ იძენდნენ საჭირო საქონელს, აქ ყიდდნენ საკუთარი პროდუქტების ნამატს.

V. მეურნეობის ხასიათი საციციანოში

თუ სამუხრანბატონოსა და საამილახოროს მეურნეობის შესახებ ცნობების ნაკლებობა გვაქვს, საციციანოზე კიდევ უფრო მეტი გვეთქმის ამ მხრივ. საციციანოს მეურნეობაზე თითქმის არაფერი გაგვაჩნია გარდა ვახუშტის ცნობებისა.

ციციანთ გაყრის წიგნებში, სადაც ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო სათანადო ცნობები, მხოლოდ უბრალოდ არის დასახელებული ზვარ-ვენახები, ხოდაბუნები და არ არის ნაჩვენები რა მოცულობისაა ეს ზვარ-ვენახები და ხოდაბუნები, რას თესდნენ ხოდაბუნებში, როგორი იყო სამუშაო იარაღები და სხვ.

აქაც ისევ ვახუშტის უნდა მივმართოთ. იგი წერს: „არს ნაყოფიერი, ბრინჯ-ბამბის გარდა ყოველნი-მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი; ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა; პირუტყვთა სიმრავლე ყოველთავე, თვნიერ აქლემისა“ [1].

ციციშვილებს დიდი ხოდაბუნები ჰქონდათ და ბაღ-ვენახები გაეჩნდათ ძამას ხეობის ბარის ზოლში, ხვედურეთის ხეობაში, გვერდისძირში და სხვადასხვა ბარის სოფლებში.

საციციანოს დიდი ნაწილი თრიალეთის მთის ჩრდილოეთ კალთებზე იყო გადაშიმული. ეს სანახები საუკეთესო ადგილს წარმოად-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 59.

გენდა საზაფხულო იალაღებისათვის. აკი ვახუშტიც ამბობს, რომ იქ არის „პირუტყვთა სიმრავლე ყოველთავე, თვნიერ აქლემისა“.

სამწუხაროდ ჩვენ თითქმის არაფერი არ ვიცით, თუ როგორი იყო ხელოსნობის განვითარების დონე საციციანოში. გვაქვს ცნობები, რომ მძოვრეთში და ქარელში ციციშვილებს სამღებროები ჰქონიათ [1].

იქ, სადაც სამღებრო არსებობდა, ბუნებრივია უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სამღებროს საჭიროებაც იქნებოდა, ე. ი. შინამრეწველობა იყო.

ასევე ითქმის ვაჭრობაზეც.

საციციანოში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა მძოვრეთი. აქ უმთავრესად სომხები და ებრაელები სახლობდნენ.

თუმცა ვახუშტი არაფერს ამბობს, მძოვრეთის ვაჭრობის შესახებ, მაგრამ, რადგან მძოვრეთს ის „მცირე ქალაქს“ უწოდებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მართლაც აქ სავაჭრო ცენტრი იყო. ამ „მცირე ქალაქს“ მდებარეობაც მოხერხებული ჰქონდა. აქეთ მოემართებოდნენ გზები გუჯარეთიდან, ბორჯომიდან, თრიალეთიდან, ტანას ხეობიდან, ქართლის ველებიდან.

ასეთსავე პუნქტებად ჩანან სამწევრისი და ქარელი.

VI. საყაფლანიშვილო

სომხით-საბარათიანოს სათავადოების ბედი ისე წავიდა, რომ XVIII საუკუნისათვის აქ მხოლოდ საყაფლანიშვილოლა წარმოადგენდა გარკვეული პოლიტიკური წონის მქონე სათავადოს. ამიტომ ამ მხარის მეურნეობის შესახებ მხოლოდ საყაფლანიშვილოს მიხედვით შეიძლება მსჯელობა.

ყაფლანიშვილების მამულები ქციისა და მაშავერის ხეობებში და ტაშირის ზეგანზე მდებარეობდა [2].

გაბატონებული მდგომარეობა აქაც. სოფლის მეურნეობას ეჭირა. სოფლის მეურნეობის მთავარ დარგებს მემინდვრეობა, მევენახეობა და მესაქონლეობა წარმოადგენდა.

ამ ხეობების მეურნეობის ვახუშტისეული დახასიათება ასეთია: ტაშირი „არს ნაყოფიერი ჯორბლით, ქრთილით, სელით, შვრივით, პირუტყვის სიმრავლით; ... ხილნი და მტილ-წალკოტოვანნი არარაი იპო-

---

[1] Hd, 8090, 13660.

[2] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 169.

ებ-ს, თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოკლი, და უწყინარი. სელ-საგან ხდიან ზეთსა მრავალსა, იხმევენ, სწვენ და ჰყიდიან“ [1].

ხოლო დმანისის სანახები იყო „ფრიად ნაყოფიერი ყოველთავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვალთათა“ [2].

მსგავს ცნობებს გვაწვდის ვახუშტი საყაფლანიშვილოს სხვა ტერიტორიის შესახებაც.

როგორც ვხედავთ, საყაფლანიშვილოს ტერიტორია, განსაკუთრებით დმანისის ხეობა, ინტენსიური მეურნეობისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო. აქ მოჰყავდათ როგორც მარცვლეული კულტურები, ისე ტექნიკური კულტურებიც. თუ რა მოცულობისა უნდა ყოფილიყო მათი მეურნეობა, ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საყაფლანიშვილოს გამოსაღების დავთარი. ამ დავთრით ირკვევა, რომ 56 სოფლის ღალა შეადგენდა:

1. პური — 1853 კოდს
2. ქერი და ასლი — 2627 კოდს
3. ფეტვი — 50 კოდს

სულ 4530 კოდს [3].

როგორც გ. ჯამბურია შენიშნავს „მევენახეობა საყაფლანიშვილოს სოფლის მეურნეობაში შედარებით მეორეხარისხოვან დარგს წარმოადგენდა, მაგრამ მას აქ მაინც გარკვეული ადგილი ეპირა“ [4].

დმანისის რაიონი, ქციის ხეობის გარკვეული ნაწილი, სომხითის მხარე და სხვ. ვენახებით იყო მოფენილი.

საერთოდ სათავადოს მთელი მეურნეობა, გლეხური პარცელიისა და თავადის ხოდაბუნ-ზვარ ვენახებისაგან შედგებოდა. აქაც, საყაფლანიშვილოში ყაფლანიშვილებს ჰქონდათ დიდი სახნავ-სათესი მიწები — ხოდაბუნ-სამეხრეოები [5] და ზვრები. საყაფლანიშვილო ზვრებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ჩანს: ბალახაურის, შუა

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 37—38.

[2] იქვე, გვ. 40.

[3] უფრო დაწვრილებით იხ. გ. ჯამბურიას საკანდიდატო დისერტაცია.

[4] იქვე, გვ. 174.

[5] „სამეხრეო“, ქართლის სხვა სათავადოების საბუთებშიც გვხვდება. საყაფლანიშვილოს მიხედვით ამბ. გ. ჯამბურია ფიქრობს, რომ სამეხრეო საუფლისწულოში შემავალი მიწის ნაკვეთია, ხოლო ხოდაბუნი სახასო ქონება. სხვა სათავადოების საბუთები ამბ. გ. ჯამბურიას ასეთ მოსაზრებას არ უპერენ მხარს. 1713 წელს დაეით ქსნის ერისთავმა თავისი ასული ქაიხოსრო ავალიშვილს მისცა ცოლად. სხვა ამბებთან ერთად მზითვად გაატანა „სამეხრეო გამართულის მისის გუთნის დედით“ (საქ. სიძ. III, გვ. 501). აქედან ჩანს, რომ „სამეხრეო“ სხვა არაფერია, თუ არა იგივე „გუთნეული“.

ბოლნისის, წუღრაშენის, ქვემო ბოლნისის, ტანძიის, ტალახის, მუსეფრიანის, ვარდისუბნის, მუხრანასი, ჯანაზიანის და ნახიდურის [1].

1690 წელს ჩამოთვლილი ზვრების შემოსავალი იყო 616 საპალნე ტკბილი, ხოლო 1691 წელს — 648 საპალნე. საგლეხო ვენახებიდან შემოსული კულუხი უდრიდა 118 საპალნეს (1690 წლ.) და 110 საპალნეს (1691 წ.) [2].

საყაფლანიშვილოს მეურნეობაში გარკვეული ადგილი ეჭირა ტექნიკურ კულტურებს—სელს, ბამბას, ბრინჯს, მეაბრეშუმეობას [3].

როგორც ცნობილია, ეს მხარე სარწყავი რუებით იყო დაფარული, რაც რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა მეურნეობის ინტენსიობას.

საყაფლანიშვილოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას. ყაფლანიშვილებს საქონლის დიდი ჯოგი და ცხვრის ფარები უნდა ჰყოლოდათ. საამისო ცნობაც არსებობს. იოანე სარდალი თავრიზიდან (სადაც იგი ტყვედ იმყოფებოდა), წერდა თავის მეუღლეს ანასტასია ჩოლაყაშვილს: „ჩვენის ჯოგისას რატომ არას მწერ, ვეჭობ აღარა იყოსრა დარჩომილი. აქეთ არა წამოსულარა, სულ მანდ ყაზახში და ელებში არის დაფანტული“ [4].

მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს საყაფლანიშვილოს გამოსავლის ერთი XVIII საუკუნის ნუსხა, საიდანაც ჩანს, რომ ყაფლანიშვილებს თავიანთ გლეხებზე გაუწერიათ: „ძროხა სამოცდა ცხრა, ცხვარი და ბატკანი ექვსას თერთმეტი, სახიზე თხა ას ოთხი“ [5].

თვით საყაფლანიშვილოს სათავადოს გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა მესაქონლეობის განვითარებისათვის.

მცირე ცნობები არის შემონახული ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ. მაგრამ საბაჟოების არსებობა, გადასახადების მრავალსახეობა, მეურნეობის განვითარების დონე, 1721 წლის აღწერის დავთრებში მოხსენებული ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „დურგალი ზურაბა“, „მჭედელი მირიჯანა“, „ელიაშვილი ხაბაზი“, „მჭედელი მარტიროზა“, „მჭედელი მუსტაფა“, „ბოგანო მღებარი“, „ბოგანო ფეიქრი“ და სხვ. გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ ვაჭრობა-ხელოსნობა აქ საკმაოდ განვითარებული იყო.

---

[1] თ. ყორდანია, ქ-ბი II. გვ. 443, გ. ჯამბურია. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 177.

[2] იქვე.

[3] გ. ჯამბურია, იქვე. გვ. 177—178.

[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 6299.

[5] საქ. მუზეუმი, ხელნაწერების განყოფილება, ფ. Hd. საბ. 1365. ეს საბუთები გამოაქვეყნა და სათანადოდ შეაფასა გ. ჯამბურიამ.

VII. სათავადოების მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ჩვენ შევისწავლეთ ექვსი სათავადოს მეურნეობის ხასიათი.

როგორც დავინახეთ, ყველა სათავადოში წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა. ამავე დროს ეს მეურნეობა მრავალფეროვანია: მეურნეობის ცალკეული დარგები განვითარებული იყო იმისდა მიხედვით, თუ რა კონკრეტული ბუნებრივი პირობები არსებობდა ამა თუ იმ სათავადოში ამ დარგის განვითარებისათვის.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად წერდა, რომ „საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო. ნოტიოობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო, ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგისა და ჰაერის შედარებითი სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული“ [1].

მარცვლეული კულტურის მრავალსახეობის არსებობა იმის მაუწყებელია, რომ ქართველი ხალხი ხანგრძლივ მუშაობას ეწეოდა ამ დარგში. დადგენილია, რომ „ზანდურის“, „დიკას“, „იფქლის“, „დოლისპურის“, „ასლის“, „მახას“ და სხვ. სამშობლო საქართველოა.

ბარისა და მთის ეკონომიური ურთიერთობა, ბოტანიკური დარაიონება და ამ საფუძველზე კულტურული მეურნეობის მოწყობა სათანადო სამეურნეო იარაღების შერჩევით, ქართველი ხალხის მაღალი კულტურის საერთო მაჩვენებელია.

1948 წელს მოწყობილმა ქართლის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ჩიტაია) უაღრესად საყურადღებო მასალები შეკრიბა ბარის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი კულტურის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ.

ეს მაჩვენებლებია: სარწყავი არხი, დიდი გუთანი, კევრი, თორნე, კამეჩი, ურემი, ბეღელი, კირი, მოდგამი, „ტყის“ ცხვარი, შინაური ცხვარი, მწყონი, დოლის პური, დოლაბი-წისქვილი, სახლის თავისებური კომპლექსი, დასახლების დიდი ერთეული, ვაზი, მცენარის ზეთი, თავეულები და ზედაშეები.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონომიური ისტორია, წიგნი I, 1930 წ., გვ. 148.

ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ქვეყნის პოლიტიკური ვითარება, ვინაიდან პოლიტიკური ვითარება თავის ზეგავლენას ახდენდა ეკონომიურ მდგომარეობაზე, აჩქარებდა ან ანელებდა ეკონომიურ პროგრესს. უცხოელ დამპყრობთა ხშირი თარეში და ქართველთა გამუდმებული თავდაცვითი ბრძოლები, რა თქმა უნდა, გამანადგურებელ გავლენას ახდენდა ქვეყანაზე.

საქართველოს ისტორიამ არა ერთი შემთხვევა იცის, როცა ესა თუ ის დამპყრობელი (თემურლენგი, შაჰ-აბაზი და სხვ.) ეკონომიურ ომს მიმართავდნენ ხოლმე ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ბაღ-ვენახებს ერთიანად ჰკაფავდნენ. ყოველივე ამას კი მეურნეობის დაცემა მოსდევდა, რის საერთო თანამგზავრიც საყოველთაო შიმშილობა იყო.

ასევე ითქმის ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ სათანადო წყაროებში ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ ძალიან მცირე ცნობები გვაქვს შემონახული. თავისთავად ეს საგულისხმო მოვლენაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვაჭრობა-ხელოსნობას სოფლის მეურნეობასთან შედარებით მცირე ხვედრითი წონა ჰქონდა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იგი ჩვენში სრულიად არ იყო. თუ ჩვენ მეურნეობის ამ დარგსაც ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იყო პერიოდი (საგარეო და საშინაო ვითარების გამო) როცა ვაჭრობა კვდებოდა, ან ძალიან სუსტდებოდა (XV—XVI სს.); იყო ისეთი პერიოდებიც, როცა ვაჭრობა-ხელოსნობა შესამჩნევ ადგილს იჭერდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში (XVII საუკუნის 30-ანი წლები, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი); მეტიც, ცალკეული ფეოდალური სახლები აღებ-მიცემობაში ებმებიან და გარკვეულ ადგილს იჭერენ. ამ მხრივ თუმანიანთ სახლია საყურადღებო.

სათავადოების სამეურნეო დახასიათების დროს მეთოდოლოგიურ საფუძვლად მარქსიზმის კლასიკოსებს ვიყენებთ და ფაქტიურ მასალებს ამ საფუძველზე ვსწავლობთ.

„ბატონყმური მეურნეობის სისტემა,—ამბობს ვ. ი. ლენინი,—კაპიტალისტურისაგან განირჩევა შემდეგი სამი მხრით. ჯერ-ერთი, ბატონყმური მეურნეობა არის ნატურალური მეურნეობა, კაპიტალისტური მეურნეობა კი ფულადი მეურნეობაა. მეორე, ბატონყმურ მეურნეობაში ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს მომუშავის მ ი მ ა გ რ ე ბ ა მიწაზე, მისთვის მიწის მიცემა, კაპიტალისტურ მეურნეობაში კი—მომუშავის განთავისუფლება მიწისაგან. შემოსავლის (ე. ი.

ნამეტი პროდუქტის) მისაღებად მებატონე-მემამულეს თავის მიწაზე უნდა ჰყავდეს გლეხი, რომელსაც მოეპოვება ნადელი, ინვენტარი, პირუტყვი. უმიწაწყლო, უცხენო, უმეურნეობო გლეხი უვარგისი ობიექტია ბატონყმური ექსპლოატაციისათვის. შემოსავლის (მოგების) მისაღებად კაპიტალისტს თვალწინ უნდა ჰყავდეს სწორედ უმიწაწყლო, უმეურნეობო მომუშავე, რომელიც იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა შრომის თავისუფალ ბაზარზე. მესამე, გლეხი, რომელსაც მიწა აქვს მიღებული, პირადად დამოკიდებული უნდა იყოს მემამულისაგან, ვინაიდან მიწის მქონე გლეხი არ წავა საბატონო სამუშაოზე ისე, თუ იგი იძულებული არ არის. მეურნეობის სისტემა აქ წარმოშობს „გარეეკონომიურ იძულებას", ბატონყმობას, იერარქიულ დამოკიდებულებას, არასრულუფლებიანობას და ა. შ. პირიქით, „იდეალური" კაპიტალიზმი არის სრული თავისუფლება ხელშეკრულებისა თავისუფალ ბაზარზე — მესაკუთრესა და პროლეტარს შორის" [1].

და შემდეგ, ბატონყმობის გაბატონებული მდგომარეობა გულისხმობდა შემდეგ აუცილებელ პირობას: „ჯერ-ერთი, ნატურალური მეურნეობის ბატონობას. ბატონყმური მამული უნდა ყოფილიყო თვითკმარი, კარჩაკეტილი მთელი, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან" [2]. მეორე, „ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ; ესეც ცოტაა—საჭიროა, რომ ის მიმაგრებული იყოს მიწაზე, რადგან სხვანაირად მემამულე მუშახელით არ იქნება უზრუნველყოფილი" [3]. მესამე, „მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან" [4]. მეოთხე, „ასაწერი სამეურნეო სისტემის პირობა და შედეგი იყო ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის გაძღოლა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ" [5].

ბატონყმური მეურნეობის ლენინის ეს დახასიათება მთლიანად და სავსებით გამოიყენება ქართული ბატონყმობის სამეურნეო სისტე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 86.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 207.
[3] იქვე, გვ. 208.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 209.

ძის დასახასიათებლად. მაშასადამე, როდესაც თავადურ მეურნეობას ვსწავლობთ, იქიდან უნდა გამოვდიოდეთ, რომ: I. თავადური მეურნეობა არის ნატურალური მეურნეობა. II. მეურნეობის მწარმოებელი—ყმა გლეხი მიმაგრებულია მიწაზე. ამ გლეხს გააჩნია ნადელი „ფუძის" ანუ „საკომლეს" სახით. მას აქვს სმენაო იარაღი. ჰყავს პირუტყვი, უამისოდ თავადისათვის გლეხი გამოუსადეგარი იქნებოდა. III. ყმა გლეხს მიწა (ნადელი, ფუძე, საკომლე) მიღებული აქვს თავადისაგან; ეს ქმნის მათ ეკონომიურ ურთიერთობის საფუძველს, და ამავე დროს სწორედ ეს მეურნეობის სისტემა აქ წარმოშობს „გარეეკონომიურ იძულებას", ბატონყმობას.

ბატონყმური მეურნეობის ამ სისტემას თავისი ფორმა გააჩნდა.

„ნატურალური მეურნეობის დროს საზოგადოება შესდგებოდა ერავალი ერთგვაროვანი სამეურნეო ერთეულისაგან (პატრიარქალური გლეხური ოჯახებისაგან, პრიმიტიული სოფლური თემებისაგან, ფეოდალური მამულებისაგან), და ყოველი ასეთი ერთეული ასრულებდა ყველა სახის სამეურნეო სამუშაოს, დაწყებული სხვადასხვა სახის ნედლეულის მოპოვებით და გათავებული მოსახმარებლად მისი საბოლოო გამზადებით" [1].

იმისათვის, რომ ეს საკითხი გასაგები იყოს, საჭიროდ მიგვაჩნია ვ. ი. ლენინის დასახელებული შრომიდან კვლავ რამდენიმე ციტატა ამონაწერები მოვიტანოთ.

ვ. ი. ლენინი დასახელებული შრომის მესამე თავში სპეციალურად იხილავს საკითხს „მიწათმფლობელთა გადასვლა საბატონო მეურნეობიდან კაპიტალისტურ მეურნეობაზე". აქ ცალკეა გამოყოფილი საკითხი—„საბატონო მეურნეობის ძირითადი ნიშნები".

მემამულური მეურნეობის თანამედროვე სისტემის განხილვის დროს ლენინი ამოსავალ წერტილად იღებს მეურნეობის იმ სისტემას, რომელიც გამეფებული იყო ბატონყმობის ეპოქაში.

„მაშინდელი სამეურნეო სისტემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მიწის მეურნეობის მოცემული ერთეულის, ე. ი. მოცემული მამულის მთელი მიწა იყოფოდა საბატონო და საგლეხო მიწად; უკანასკნელი ნადელად ეძლეოდათ გლეხებს, რომლებიც (გარდა ამისა, იღებდნენ წარმოების სხვა საშუალებებსაც—მაგალითად, ხე-ტყეს, ზოგჯერ პირუტყვს და სხვ.) თავისი შრომით და ინვენტარით ამუშავებდნენ მას და იღებდნენ მისგან სარჩოს. გლეხთა ამ შრომის პროდუქტი წარმოადგენდა აუცილებელ პროდუქტს, თეორიული პოლი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3. გვ. 22.

ტიკური ეკონომიის ტერმინოლოგიით; აუცილებელს — გლეხებისათვის, რადგან ის აძლევდა მათ საარსებო საშუალებებს; აუცილებელს—მემამულისათვის, რადგან ის აძლევდა მას მუშახელს"[1]. ლენინი განაგრძობს: „გლეხების ზედმეტი შრომა კი მდგომარეობდა მათ მიერ ი მ ა ვ ე ინვენტარით მემამულის მიწის დამუშავებაში; ამ შრომის პროდუქტი მემამულის სასარგებლოდ მიდიოდა. მაშასადამე, ზედმეტი შრომა აქ სივრცობრივად გამოეყოფოდა აუცილებელ შრომას: მემამულისათვის ამუშავებდნენ საბატონო მიწას, თავისთვის—თავის ნადელებს; მემამულისათვის მუშაობას ანდომებდნენ კვირის განმავლობაში განსაზღვრულ დღეებს, თავისთვის—დანარჩენ დღეებს. ამნაირად, გლეხის „ნადელი" ამ მეურნეობაში თითქოს იყო ნატურალური ქირა (თანამედროვე ცნებებთან შეფარდებით რომ ვთქვათ), ანდა მუშახელით მემამულის უზრუნველყოფის საშუალება. გლეხთა „საკუთარი" მეურნეობა თავიანთ ნადელზე მემამულური მეურნეობის პირობა იყო, მას მიზნად ჰქონდა არა გლეხის „უზრუნველყოფა" საარსებო საშუალებებით, არამედ მემამულისა—მუშახელით"[2].

სათავადოების მონოგრაფიული შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზემოგანხილულ სათავადოებში მეურნეობის სისტემა მთლიანად და სავსებით ისეთივე იყო, როგორსაც ვ. ი. ლენინი აღწერს. დასახელებული თითოეული სათავადო წარმოადგენდა თავისებურ სამეურნეო ერთეულს. თითოეული თავადის მამული ძირითადად ორად იყოფოდა. ერთი წილი გლეხებზე იყო განაწილებული, ხოლო მეორე ნაწილი თვით თავადის სახლს ეჭირა. თავადის სახლის განკარგულებაში მყოფი მამული დიდი ხოდაბუნების (სახნავ-სათესი მიწების) და ზვრებისაგან შედგებოდა. ამ ხოდაბუნების თუ ზვრების უდიდესი ნაწილი საბეგარო შრომით მუშავდებოდა, ხოლო ნაწილი ისევ გლეხებს ეძლეოდათ საიჯაროდ, სანახევროდ.

ავიღოთ თუნდაც ქსნის საერისთავო. რას წარმოადგენდა იგი ამ მხრივ? იგი იყო ქსნის ერისთვიანთ ყმა-კომლთა ჯამი. ხოდაბუნებს, ზვრებსა და საუფლისწულო „მამულებს" გარეთ დანარჩენი მიწები ყმებზე იყო განაწილებული. ყმების ოდენობა განსაზღვრავდა ერისთავის სიმდიდრეს. თორნიკე ერისთავის 1822 წლის შემოსავლის დავთარი ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის უაღრესად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 204—207.

[2] იქვე, გვ. 207.

აქ ნახავთ ასეთ სათაურს: „სოფელს აშატურს ვის რა მამული უჭირავს“. ამის ქვეშ ჩვენ ვკითხულობთ: „ჯახო ხუბულურს უჭირავს მამის მამულისა ოთხაბაზუზალთუნისა და ერთი შაურისა“ (95 კაპ.) სოფელ ნაქალაქევში: „ქეჩო ჩანდიშვილს უჭირავს ექვსი შაურის მამული“ ხოლო „ომანა ბესთავაშვილს უჭირავს ცხვარნახევრის მამული, ამასვე უჭირავს ჭინჭარაში ერთი აბაზის, ამასვე უჭირავს კოკოს ახოდან ოთხი აბაზის მამული“.

აქ შეხვდებით ასეთ მაგალითსაც:

„გარჩი ჯუკოშვილს უჭირავს საკომლოს მეოთხედი“ (75 კაპ.) [1].

აი ასეთი გარჩი ჯუკოშვილებისაგან შედგებოდა საერისთავო. ასეთივე იყო სხვა სათავადოებიც. საფრანგეთის გლეხობის შესახებ თავის ცნობილ ნაშრომში,—„თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, მარქსი წერდა: „თვითეული ცალკე გლეხის ოჯახი თავის თავს თვითვე იკმაყოფილებს, ის თვითვე აწარმოებს თავისი მოხმარების საგანთა უდიდეს ნაწილს და, ამრიგად, თავის საარსებო საშუალებებს უფრო ბუნებასთან გაცვლით მოიპოვებს, ვიდრე საზოგადოებასთან აღებმიცემობით. მიწის პატარა ნაკვეთი, გლეხი და მისი ოჯახი; იქვე გვერდით მეორე მიწის პატარა ნაკვეთი, მეორე გლეხი და მეორე ოჯახი. ექვსიოდე ათეული ასეთი ოჯახი სოფელს შეადგენს, ექვსიოდე ათეული ასეთი სოფელი დეპარტამენტს შეადგენს“ [2].

ეს დახასიათება სავსებით უდგება ფეოდალურ საქართველოს გლეხობასაც.

ჩვენ დავინახეთ, რომ ქართულ თავადურ მეურნეობაში წამყვანი და გაბატონებული მდგომარეობა სოფლის მეურნეობას უჭირავს, ხოლო ხელოსნობას დამხმარე ხასიათი აქვს. ამ ხანის ხელოსნობა, ლენინის თქმით, „ხასიათდება ისეთივე რუტინით, დაქუცმაცებულობითა და შეზღუდულობით, როგორც წვრილი პატრიარქალური მიწათმოქმედება“ [3].

საერისთავო სოფლების სახელოსნოებიც, ძირითადად წარმოადგენდნენ შინამრეწველობის თავისებურ სახეობას. „შინამრეწველობას, — წერს ლენინი, — ჩვენ ვუწოდებთ ნედლი მასალის გადამუშავებას იმავე მეურნეობაში (გლეხის ოჯახში), სადაც ეს მასალა

---

[1] საკ. მუხეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი A, საბ. 1134.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1950 წ., გვ. 372.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 385.

მოპოვებულია. შინასარეწები შეადგენენ ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას"[1]. „სარეწი აქ განუყოფელად დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან ერთ მთელში"[2].

ზოგ სათავადოში, განსაკუთრებით ბარის ზოლში (სამუხრანბატონო, საამილახორო, საციციანო, საყაფლანიშვილო) შეიმჩნევა ხელოსნობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან; ჩანს, ნიშნები, რომ ნაწარმი ეზადდება დაკვეთით (მაგ., მჭედლობა, სამღებროები, ზეთსაჭდელები და სხვ.). მაგრამ „მრეწველობის ამ ფორმაში (ე. ი. ხელოსნობაში, დ. გ.) ჯერ კიდევ არ არის სასაქონლო წარმოება; აქ ჩნდება მხოლოდ საქონლის მიმოქცევა იმ შემთხვევაში, როცა ხელოსანი გასამრჯელოს ფულად იღებს, ანდა ყიდის მუშაობით მიღებულს პროდუქტის ნაწილს და ყიდულობს თავისთვის ნედლ მასალას და წარმოების იარაღებს"[3].

საერთოდ, ფეოდალური სოფლის კლასიკური დახასიათება მოგვცა ლენინმა. იგი წერს: „წინაკაპიტალისტური სოფელი წარმოადგენდა (ეკონომიურად) წვრილ ადგილობრივ ბაზრების ქსელს, რომლებიც ერთიმეორეს უკავშირებდნენ წვრილ მწარმოებელთა პაწაწა ჯგუფებს, დაქსაქსულთ როგორც თავისი განკერძოებული მეურნეობით, ისე მრავალი შუასაუკუნეობრივი ზღუდით და შუასაუკუნეობრივი დამოკიდებულების ნაშთებით"[4].

ჩვენს მიერ შესწავლილ სათავადოების შიგნით არსებული საბაზრო ქსელი სწორედ რომ ამ ფორმისა იყო და ამავე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

ასეთია მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულება ბატონყმური მეურნეობის სისტემის შესახებ.

როგორც ვხედავთ, მიწის ფეოდალური საკუთრება, მეურნეობის ნატურალური ხასიათი, ტექნიკის დაბალი დონე, გლეხის პარცელა, გლეხის მიმაგრება მიწაზე, გარეეკონომიური იძულება, გლეხის პირადი დამოკიდებულება თავის ბატონთან და სხვ. წარმოადგენდნენ ის ნიშნებს, რომლებიც მეტნაკლებად საერთო იყო ფეოდალური პერიოდის ყველა ქვეყნისათვის; მათ შორის საქართველოც გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 382.
[2] იქვე, გვ. 383.
[3] იქვე, გვ. 385.
[4] იქვე, გვ. 446.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

სოციალური ურთიერთობა და კლასთა ბრძოლის ფორმები სამთავადოებში

I. თავადებისა და გლეხების ურთიერთობის ფორმები

სამწუხაროდ, ქართულს ისტორიოგრაფიაში გლეხის ისტორია შეუსწავლელია. რაიმე მონოგრაფიული ნარკვევი, რომელიც სრულიად საქართველოს გლეხთა ისტორიის შემცველი იქნებოდეს, არ არსებობს. ცალკეული მკვლევარები გლეხთა საკითხს იხილავენ ამა თუ იმ კუთხის საბუთების მიხედვით. მაგ., მკვლევართა ერთი ნაწილი (ბოროზდინი, კაკაბაძე, მუსხელიშვილი) დასავლეთ საქართველოს გლეხების სოციალური კატეგორიების შესწავლას შეუდგა. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი ს აზრით სამეგრელოს თავადთა ქვეშევრდომები ორად იყოფიან: აზატებად და მებეგრეებად, ხოლო მებეგრეები თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად: გლეხებად და მსახურებად [1].

გლეხების ასეთი დაყოფა XIX ს. პირველ ნახევარს ეხება და წინასაუკუნეებისათვის არ გამოდგება.

ს. კაკაბაძემ ბოროზდინისეული დაყოფა წინასაუკუნეებისათვისაც (XVI—XVIII სს.) დამახასიათებლად მიიჩნია და თავის მხრივ ისიც გლეხთა ოთხ კატეგორიას ადგენს: აზატები, მსახურები, გლეხები, მოჯალაბეები.

ლ. მუსხელიშვილმა ვრცელი გამოკვლევა გამოაქვეყნა სათაურით: „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური

[1] ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 45.

კატეგორიები XVI—XVII სს"[1]. კონკრეტულ მასალების ანალიზის საფუძველზე მუსხელიშვილმა უარყო დასავლეთ საქართველოს გლეხთა კატეგორიების კაკაბაძისეული დაყოფა და შემდეგი სქემა წარმოგვიდგინა:

I. გლეხი — 1. მეტვირთვე
2. მომუშავე
II. მსახური ა) დაბეგრილი 1. მოსამსახურე
2. მოლაშქრე
ბ) დაუბეგრავი 1. მოსამსახურე
2. მოლაშქრე.

აქ მოტანილი სქემები, განურჩევლად იმისა, თუ რომელი მათგანია სწორი, დასავლეთ საქართველოს გლეხებს ეხება და აღმოსავლეთ საქართველოსათვის ნაკლებ გამოდგება.

გლეხთა კატეგორიების შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს პროფ. ალ. ხახანაშვილმა და ს. ავალიანმა. მართალია, მათი მოსაზრებათა უმრავლესობა მოძველდა, მაგრამ ნაშრომებში ბევრი ფაქტიური მასალაა თავმოყრილი, რომლის გამოყენებაც შეიძლება.

ქართული სამართლის ისტორიის მეორე წიგნის პირველ ნაკვეთში, იქ, სადაც პატრონყმობაზეა ლაპარაკი, აკად. ივ. ჯავახიშვილმა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიების შესახებ მრავალი საყურადღებო დებულება წამოაყენა.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, რომ „Социально „глехи" не однородный слой. „Наскиди" (купленный), „шецирули" (пожертвованный), „нацкалобеви" (пожалованный), „небиери" (добровольный), „гарет-мосули" (извне пришедший),—эти и подобные им названия указывают на различные социальные категории в широком слое „глехи"[2].

თავის საკანდიდატო დისერტაციაში „სომხით—საბარათიანოს სათავადოების ისტორიისათვის (XV—XVIII სს.)", გ. ჯამბურიამ თავი მოუყარა ყველა იმ საბუთებს, რომლებიც გლეხთა ამა თუ იმ კატეგორიის შესახებ არსებობს და სცადა ამ საბუთების გააზრება.

---

[1] ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. V—VI, 1940 წ.

[2] Н. Бердзенишвили, Очерки, стр. 3.

როგორც ვხედავთ, გლეხთა საკითხის შესწავლა მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეიძლება მივიჩნიოთ დამაკმაყოფილებლად. საკითხის სრულყოფილად შესწავლის პრეტენზია არც ჩვენს ნაშრომს აქვს. გლეხთა საკითხის შესწავლა დამოუკიდებელ კვლევის საგნად უნდა იქცეს. ამჯერად კი ჩვენ მხოლოდ გლეხთა საკითხიდან ერთი ნაწილი—საბატონო გლეხთა მდგომარეობის შესწავლა განვიზრახეთ.

მაგრამ სანამ უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანზე გადავიდოდეთ, მანამ საჭიროა რამდენიმე ზოგად საკითხს ვუპასუხოთ:

ვინ არის გლეხი, როგორც ასეთი? როგორია მისი ისტორიული ბედი?

ამ საკითხებთან დაკავშირებით ბუნებრივად დაებადება ადამიანს კითხვა, რა დროიდან გვაქვს ჩვენ ცნობები გლეხების შესახებ? ან როდის გვხვდება ქართულ მწერლობაში პირველად სიტყვა „გლეხი"?

სიტყვა „გლეხი" პირველად გვხვდება 1020 წელს მელქისედეკ კათოლიკოსის სიგელში (ამ სიგელს ზოგი მკვლევარი 1040 წლითაც ათარიღებს). იქ ნათქვამია: „... ჟამის მწირველსა მივსცენ თეძს გლეხნი სამნი ფოძითა სრულითა და ვენახია, მიწა ა, წისქვილნი ა, და ჭალა და ოტათლოანს გლეხი ა, ციხე-დიდს—გლეხია, ორნივე ფოძითა სრულითა" [1]. გლეხი მოიხსენება აგრეთვე ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში „... მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთჳს გამიცემია ეკლესიისაგან განძად და პირუტყუად" [2].

ამის შემდეგ სიტყვა „გლეხი"-ს ხმარება ქართულ საისტორიო მწერლობაში თანდათან ხშირდება. მაგ., დავით აღმაშენებელის ისტორიკოსთან, ჟამთა აღმწერელთან და სხვ.

უფრო ადრე, მაგალითად, გიორგი მერჩულს გლეხის შესატყვის ტერმინად ნახმარი აქვს „მსოფლიონი ერის კაცნი" და „მდაბიო" [3]. „მატიანე ქართლისაის" გლეხობის აღსანიშნავად ნახმარი აქვს „წურილი ერი" და ასე შემდეგ.

ისტორიულად, გლეხი სოციალური ურთიერთობის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. რაც უფრო ღრმავდებოდა ეს სოციალური დიფერენციაცია, მით უფრო ფართოვდებოდა „გლეხის" შინაარსი და ამ ფონზე ფეოდალურ საქართველოში გლეხი ყმის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იქცა. ყმა გლეხის მდგომარეობამდე დავიდა.

---

[1] ქ-ბი II, გვ. 34.
[2] იქვე, გვ. 45.
[3] ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია I, გვ. 136.

ყმის გლეხად გადაქცევის პროცესი ხანგრძლივი ისტორიული პროცესი იყო. მე-15 საუკუნეში ეს პროცესი ძირითადად დამთავრებული ჩანს, ყოველ შემთხვევაში ბარის ზოლში.

გვიანფეოდალურ ხანაში გლეხი, როგორც ასეთი, ზოგადი ცნებაა და შეიცავს თავის თავში ყმის სხვადასხვა კატეგორიას: „მსახურს", „ნაწყალობევს", „ნებიერს", „ნასყიდს", „თარხანს", „ბოგანოს", „ხიზანს", „მკვიდრს" და სხვ.

აქ ჩამოთვლილ გლეხთა კატეგორიებს მეტნაკლებად ყველა სათავადოებში ვხვდებით. ისინი სხვადასხვა წარმოშობისანი არიან და ამიტომ ბატონყმურ ურთიერთობაშიც განსხვავებულ ადგილს იკავებენ.

სათავადოების მასალები გლეხთა ამ კატეგორიების შესახებ შემდეგ ცნობებს იძლევა:

1. მ ს ა ხ უ რ ი. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ყველა საფეხურზე ჩანს მსახურთა ინსტიტუტი. იგი ამ მოვლენის პირმშოა და მისი თანამგზავრიც, დროისა და პირობების მიხედვით რა თქმა უნდა ცვლილებებს განიცდის. მსახური ჰყავს მეფეს, ეკლესიას, ფეოდალს. იგი, უეჭველია, გლეხთა კატეგორიაში თავსდება, მაგრამ მისი მოვალეობა შედარებით საპატიოა და ამიტომ გლეხთა სხვა კატეგორიებისაგან მდგომარეობით საგრძნობლად განსხვავდება. ეს განსხვავება ოფიციალურ საკანონმდებლო ძეგლებშიც არის ასახული. ბექას სამართალში მსახურის სისხლი 1.000 თეთრად არის შეფასებული, ხოლო თუ იგი პატრონის კარზე აზნაურის მოვალეობას ასრულებდა, მაშინ მისი სისხლიც დიდდებოდა და 12.000 თეთრი ღირდა [1]. ხოლო ამავე კანონების მეთერთმეტე მუხლით გლეხის სისხლი შეფასებული იყო 400 თეთრად. ამავე მუხლში ერთი საინტერესო დეტალია დაცული: „თუ კაცმან კაცის ყმა მოკლას, ასეთი რომე პატრონი იცნობდეს სიკეთესა ზედა, მისი სისხლი ათასი თეთრია" [2].

აქედან კარგად ჩანს, რომ კანონმდებლისათვის მსახური შეძლებული გლეხის ტოლია, ან პირიქით, შეძლებული გლეხი მსახურს უტოლდება.

ვახტანგის სამართალიც ასხვავებს მსახურს გლეხისაგან. ვახტანგის სამართლით მსახურის სისხლი შეფასებული იყო 24 თუმნად, ხოლო გლეხის სისხლი 12 თუმანი ღირდა.

---

[1] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ქრესტომათია, წიგნი I, გვ. 210.
[2] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 290.

მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ მსახური ეკონომიურადაც უფრო მაღლა დგას, მისი მოვალეობა ბატონის წინაშე უფრო საპატიოა, იგი „ბეგარას“ „მსახურობით“ უხდის თავის პატრონს და ამით განსხვავდება „მებეგრე გლეხებისაგან“.

მსახურთა კატეგორია შევსებას ღებულობდა თარხან გლეხებისაგან. მსახური ბატონის კარზე სამსახურში მყოფი აღზევებული გლეხი იყო. „ქ. ერისთავისძე მიხეილ ქიწნისის სოფელში დგას და იმ სოფლის კაცს ის იმსახურებს. აზნაურის შვილნი და მსახურნიცა ახლავან გლეხებიდამ..

ქ. ერისთავის ძე რევაზ ტყვიავის სოფელში დგას და იმ სოფლის კაცს ის იმსახურებს, აზნაურის შვილნი და მსახურნიცა ახლავან გლეხებიდამ“ [1].

აქ ორი დეტალი იპყრობს ყურადღებას: 1. „იმ სოფლის კაცს ის იმსახურებს“ იმას ნიშნავს, რომ ამ სოფლის საბატონო გამოსაღებს ხარჯავს ეს ერისთავიშვილი და 2. რომ მსახური გლეხებიდან ჰყავს ერისთავიშვილს, მაგრამ ეს „გლეხები“ განსხვავდებიან იმ სოფლის კაცებისაგან“, მათ სხვანაირი სამსახური მართებთ.

საყურადღებოა, რომ აღწერის დავთრებში ხშირად მსახური ცალკე იყო ხოლმე ნაჩვენები. მაგ., 1774 წელს ქსნის ხეობის აღწერის დავთრებში ვკითხულობთ:

„იკოთს ქსნის ერისთვის ყმა:

ქ. ბაშარული კიკოს შვილი კომლი ა თავი ვ მამეკა ზურია გიორგი მახარებელი დენეტრე და ნინია მსახური“.

„აქავ გვრიტიანთ გიორგისშვილი კომლია თავი გ ზურაბა მგელია და ბერი მსახური“ [2].

მსახურის მოვალეობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს რევაზ ერისთავის მიერ 1626—1650 წლ. თამაზა ბუჩაშვილისადმი მიცემული სითარხნის წიგნი: „...გაგათარხნეთ და წყალობა გიყავით: არა ჩვენი, არა სახელმწიფო სათხოვარი, არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხა... არაფერი ღუთის განაჩენი ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი“ [3].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი. ფ. 226, საბ. 4071.

[2] ვ. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951 წ., გვ. 52.

[3] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები, გვ. 20.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, „მსახური“ განთავისუფლებულია „დაბალი სამსახურისაგან“, მას მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა და კარზე სამსახური მართებს.

როგორც ირკვევა, მსახურს თავის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის ეძლეოდა მიწა, მაგრამ ეს მიწა არ გადადიოდა ძის მემკვიდრეობით უფლებაში. ამ მხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ვახტანგ ბატონიშვილის განჩინება. იქ ნათქვამია: „მსახური თავისს მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ რომ ის მამული, ჩვენი მსახური ვინც იქნება, იმას უნდა ჰქონდეს, და თუ ან გაჰყიდის და ან იყიდის ვინმე, გამსყიდველსაც და მყიდველსაც დიდად ავად მოვეპყრობით: იმ მამულსაც წავართმევთ და თავისს სამკვიდროს მამულზედ ჯელს ავაღებინებთ, რადგან მსახურთ მამული, ვინც ჩვენი მსახურნი იქნებიან, იმათთვის არის განწესებული, სხვათ არ მიეცემა“ [1].

არ არის გამორიცხული ვიფიქროთ, რომ მსახურთა სახით თავადებს ჰყავდათ შეიარაღებული ამალა, რომელსაც იყენებდნენ როგორც ურჩი ყმების დასასჯელად, ისე მეზობელ ფეოდალებიდან საკონფლიქტო საკითხების ძალით გადაჭრისათვის.

ელიზბარ თაქთაქიშვილი 1763 წ. წერდა ერეკლე მეორეს: „ერთი ქსნის ერისთვის ყმა ბასილიძე-ბერი და გიორგი, გადმოვიდნენ ერთხელა, მომიხდნენ ერისთავის ჯარით, ჩემს შვილს თოფი დააცდინეს და ჩემს საქონლით და სოფლის საქონლით სულ ამიკლო; მეორეთ მომიხდა, ბაღი ამიკაფა, ას სამოცი ხე მომიჭრა. ამას გარდა მამულები მაქვს წართმეული“[2]. ელიზბარ თაქთაქიშვილს რომ თავს დაესხნენ „ერისთავის ჯარში“ მსახურები იყვნენ უთუოდ.

„ნ ა წ ყ ა ლ ო ბ ე ვ ი“. გლეხთა ცალკე კატეგორიას შეადგენდა აგრეთვე „ნაწყალობევი“. „ნაწყალობევ“ ყმათა რაოდენობა ფეოდალის საერთო ყმათა შორის უეჭველად ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებდა. ფეოდალის „შეწყალება“ ხშირად ხდება მისი „ერთგული სამსახურის“ შედეგად, მეფის—სიუზერენის მიერ.

1747 წლის 26 ოქტომბერს, ერეკლე II ქსნის ხეველების სახელზე გამოცემულ სიგელში წერდა:

„... ერთობით ქსნის საერისთავოს აზნაურიშვილნო და გლეხნო, ოსო და ქართველნო, მთისა და ბარის კაცნო, თქვენ ისევ ბატონის შა/ნ/შე/ /ე/რისთავისათვის წყალობა გვიქმნიხართ და გვიბო-

---

[1] საქ. სიძველენი, წიგნი I, გვ. 195.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 24, საბ. 155.

ძებიხართ. ყველანი ამას მიუდექით, რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე ემსახურეთ“ [1].

„ნაწყალობევი“ ყმა სათანადო „წყალობის წიგნით“ ფორმდებოდა ხოლმე და აქვე იყო აღნიშნული ამ შეწყალობებულის იურიდიული მხარე. ე. ი. იქ ჩამოთვლილი იყო. თუ რა პირობებში ეძლეოდა მწყალობელის მიერ შეწყალებულს ნაწყალობევი. რუსტომ მეფის მიერ. იესე ქსნის ერისთავისათვის მიცემულ სიგელში ნათქვამია: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქალაქს თქვენი ვაჭარი დანდუაშვილი პაპია, ჩიგინა, ზურაბა და მურადა, სამართლიანის საქმითა/და/სამძღვრითა, თქუენთუი/ს/ და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია მკუდრად და საბოლოოდ“ [2].

მეფისაგან დამტკიცებული სიგელი ძალაში რჩებოდა მხოლოდ ამ მეფის მეფობის პერიოდში.

მეფის შეცვლისთანავე სიგელიც უნდა განახლებულიყო.

შეწყალების სიმტკიცე დამოკიდებული იყო შემწყალებლისა და შეწყალობებულის ურთიერთობის სიმტკიცეზე. საამისო სიგელებში საგანგებოდ იყო აღნიშნული: ჩვენგან წყალობა არ მოგეშლებათ, თუ ჩვენს „ერთგულებასა ზედა“ იქნებითო.

შეწყალობებული გლეხი ახალი ბატონის განკარგულებაში გადადიოდა და ვალდებული იყო „ბატონყმობის რიგი“ დაეცვა იმ სახით, რომელიც წყალობის სიგელში იქნებოდა აღნიშნული.

„ნ ე ბ ი ე რ ი“. „ნებიერი“ ანუ „ნებით მისულიც“ ყმათა გარკვეულ კატეგორიას ქმნიდა. ეს ინსტიტუტიც ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე ჩანს. იგი არც გვიანფეოდალური ეპოქისათვის არის უცხო. ფორმალურად ისე ჩანდა, თითქოს ყმა ნებით მიდიოდა და ბატონი კი აქ მხოლოდ მფარველი და მწყალობელი იყო, ფაქტიურად კი პირიქით ხდებოდა. ბატონი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ იაფი სამუშაო ძალა ეშოვა და მას დაპატრონებოდა.

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალურ საქართველოში აღარ არსებობდა ბატონყმური უღლის გარეშე დარჩენილი გლეხები. მაშ საიდან ჩნდებოდნენ ისინი?

გლეხი ძველი ბატონისაგან თავს დაიხსნიდა და თავისუფლებას მოიპოვებდა. მაგრამ ეკონომიური თუ გარეეკონომიური პირობები აიძულებდა მათ რომელიმე ბატონისათვის შეეფარებინა

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 3. საბ. 138.

[2] იქვე, დავთარი 24, საბუთი 155.

თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ან თათრის მსხვერპლი გახდებოდა, ან ლეკისა, ან კიდევ ვინ იცის რისა.

ბატონიშვილ ბელქოს საქეთაშვილს 1736 წელს ელიზბარ სოლაღაშვილმა თავდახსნილობის წიგნი მისცა: „..თავის დახსნას შემოგვეხვეწე და შენის მამულისაგან ქელი აიღე. რადგან შენ შენის ნასყიდისა და უსყიდის მამულისაგან ქელი აიღე და ჩვენი გული შეიჯერე, ჩვენც შენგან ქელი ავიღეთ და თავი დაგახსნეთ... ღმერთმან გიშველოს, ვისთანაც გინდოდეს, მიდი და ეყმევ. არავინ იყოს შენი მოდავე და მომდევარი თვინიერ ღთუის მეტი"[1].

ამ კატეგორიის ყმათა მეორე წყარო იყო უცხოელ დამპყრობთა ხშირი შემოსევები. ამ ძნელბედობით ჟამს, გლეხობა გარბოდა სხვა მხარეში და ადგილობრივ ბატონს აფარებდა თავს.

თუ გაქცევიდან ოცდაათი წლის განმავლობაში ძველი ბატონი ვერ მიაგნებდა თავის გლეხს, მაშინ, ერეკლეს განკარგულებით, გლეხი ძველი ბატონისაგან თავისუფალი იყო, მას შეეძლო სხვას ჰყმობოდა.

ბატონი გლეხს იმდენ გადასახადებს აწერდა, რომ ყოველივე ეს გლეხის ფაქტიურ შესაძლებლობას აღემატებოდა. ასეთ პირობებში გლეხს სხვა გზა არ ქონდა, თუ არა გაქცევა, ბატონის გამოცვლა, თუკი იგი ამას მოახერხებდა.

უცხო ქვეყნიდან მოსული უცხო კაცი ეყმობოდა იმას ვისაც მოისურვებდა.

ასეთია ამ წყაროთა არა სრული სია, რომელიც „ნებით მისულ", ან „ნებიერ" ყმათა კატეგორიას ჰკვებავდა.

„ნებიერი" ყმები მეტნაკლებად ყველა სათავადოში იყვნენ.

უმეტეს შემთხვევაში ახალ ბატონთან მისული გლეხი ყმობას წერილობით აფორმებდა, სადაც ჩამოყალიბებული იყო ორივე მხარის ვალდებულებანი.

„ქ. თქვენ, ბატონს — ქსნის ერისთავს გიორგის ესე პირობის წიგნი მოგართვი მე, ჯეჯიმალაშვილმა გურგენამა და ძმამან ჩემან ზურაბამ ასე, რომ პირველადაც ახალგორს თქვენს მამულში გახლდი და რადგანაც ის მამული ისევ თქვენვე დაგრჩათ და მე იმ მამულზე ჭირნახული მქონდა, მე ჩემის ნებით და ვედრებით მოველ და ისევ იმ მამულზე დგომა გთხოვე და ეს პირობა მოგართვი, რომ სანამდინ ბატონმა ჩემა არ მამიკითხოს და იმ მამულიდამ არ

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, ტ. 253.

გამომიყვანოს, მანამდინ მე თქვენ, როგორც მართებული არის, ისე გამსახურებ და თქვენს მეტი ბატონი და პატრონი არავინ ვიცოდე“ [1].

ეს საბუთი 1773 წლის 5 სექტემბრით თარიღდება.

„ნებით მისულ“ გლეხს ახალი ბატონი სიამოვნებით იფარებდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამ „ნებით მისულთა“ რიცხვი გაემრავლებინა. ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ბატონის ძალა ყმათა სიმრავლეზე იყო დამოკიდებული და ყმის სიმრავლისათვის ბრძოლა მისი ზრუნვის მთავარი საგანი იყო; მით ემეტეს, რომ ხშირად უცხო ძალის თარეშის წყალობით ესა თუ ის საბატონო მთლიანად ამოსწყდებოდა ხოლმე.

ჩვენი მსჯელობის საილუსტრაციოდ სამუხრანბატონო გამოგვადგება.

სამუხრანბატონო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მთის ძირს წარმოადგენდა, როცა უცხო მოძალადე შემოესევოდა ხოლმე ჩვენს ქვეყანას, მაშინ მოსახლეობა მთაში იხიზნებოდა. მტერი სწორეთ ამ მთისძირში ბანაკდებოდა და აქ ახდენდა თავის ძალების დაჯგუფებას მთაში სალაშქროდ. ეს მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენდა მეურნეობაზე, მოსახლეობაზე და საერთოდ ყველაფერზე.

ასე იყო მონღოლთა შემოსევებისას, თემურლენგის ლაშქრობისას, შაჰ-აბაზის დროს და სხვა. როდესაც ლეკთა თარეში ყოველდღიურ მოვლენად იქცა სამუხრანბატონო კიდევ უფრო უნდა გავერანებულიყო. აღმოსავლეთიდან მოსული ლეკთა ბრბო შიდა და ზემო-ქართლში სალაშქროდ რომ მიდიოდა, სამუხრანბატონოს ვერ ასცდებოდა, ამიტომ ეს მხარე სხვა მხარეებთან შედარებით უფრო მეტად ზარალდებოდა და ირბევოდა.

თუ როგორ გაუკაცრიელებულა სამუხრანბატონოს ზოგიერთი სოფელი, წარმოდგენას გვაძლევს კონსტანტინე მუხრანბატონის წარწერები მუხრანისა და მჭადისჯვრის ციხეებზე რომ არიან ამოჭრილი. მჭადისჯვრის ციხის წარწერაში აღნიშნულია: „ოდეს ჟამთა ქცეულებისაგან და ცოდვათა ჩუენთა მიერ მო/ო/ხრებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან, რომელ არიან კავკ/ა/ს/ს/ა შინა და თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არცა თუ ერთსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერჭმნილ იყო, რომელ არარასა ცნობილ იყო თუცალა სოფელსა ამას პირველ შენობა ყოფილიყო,

---

[1] საქ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, Hd, საბ. 2915.

თვინიერ ეკლესი/ა/სა ამის რომელი აღეშენა ბატონიშვილსა კათალიკოზს დომენტის. აწ ჩვენ მუხრანის ბატონმა კონსტანტინე ჭელვყავ აღშენებად ციხისა ამის სამკვიდროსა ჩემსა, რათა კაცრიელ იქნას და დაეშენონ კაცთა და მტერთა და მარბიელთაგან უვნებლად დაწთენ" [1].

შიოს უბნის ციხის წარწერაშიც ნათქვამია, რომ „ჟამსა ამასა ოდესაცა მტერნი უსჯულონი მძლავრებდენ ქვეყანასა ქართლისასა, ადგილითი ადგილად მოოკრებულ იყო სოფელნი და დაბანი და ესეცა შიოს უბანი მკვიდრთაგან თვისითა.ცარიელ იყო და მიმოდაბნეულ იყვნენ მოსახლენი ამისი" [2].

იყო ხოლმე შემთხვევა, როცა ერთი ფეოდალის მდგომარეობის გართულებით მეზობელი ფეოდალი ‘არგებლობდა და მის ყმა-მამულის ხელს ჰყოფდა.

ასეთი შემთხვევა იყო სამუხრანბატონოშიც. სეფი ხანის 1737 წლის ბრძანებაში ნათქვამია: „...ჩვენი ბრძანება არის, რაც მუხრანის ბატონისა, ან აზნაური, ან გლეხი კაცი და ციხეებია მთასა თუ ბარს, შანშეს ძალით ეპირა ოსები, ისევ სულ მუხრანბატონის ლევანისათჳს წყალობა გვიქნია" [3].

სამაგიეროდ, როცა მუხრანბატონები დროს იშოვნიდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ თავიანთ ყმათა რიცხვი ხელოვნურად გაეზარდათ. ‘აამისოდ ციხეებს აგებდნენ, რომ საჭირო შემთხვევაში თავიანთი ყმები თავშესაფარით უზრუნველეყოთ. შიოს უბნის ციხის წარწერაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მიმოდაბნეული" ყმები კვლავ შემოვკრიბეთო. პაპუნა ორბელიანს დაცული აქვს ერთი საინტერესო ცნობა. აბდულა ბეგის ბრძოლების დროს (1747—48) სომხით-საბარათიანო დაიცალა. ისინი „წავიდნენ ერთპირ მუხრანში, მისცა ალაგი მუხრანის ბატონმა კოსტანტინემ და დააყენა ქვეყანასა თვისსა" [4].

მუხრანბატონებს საშუალება ჰქონდათ თავიანთ მამულში ეხვეთ მიეღოთ სხვაგნიდან მოსული გლეხები. მათ ვარგისი მიწები ბევრი ჰქონდათ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის სათავადოებს შორის არც ერთი თავადის გლეხს იმდენი საბატონო მიწა არ ეპირა, რამდენიც მუხრანბატონის ყმას.

---

[1] პ. ხ ა ქ ა რ ა ი ა, ქსნის, ზეადიწყვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ბ, 1954, გვ. 160.

[2] იქვე. გვ. 162.

[3] საქ. სიძველეები. III, გვ. 445.

[4] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართ. ცხოვრება II. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს რედ. გვ. 407.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა მუხრანბატონიშვილების 1806 წლის გაყრილობის წიგნი. მუხრანბატონიშვილები სამ კომლად გაიყვნენ და ყმებიც სათანადოდ შეაფარდეს. ყველა ყმაზე აღნიშნულია: „თავის ვენახით და ოცის დღის მიწით". იყვნენ ისეთი ყმებიც, რომლებსაც ორმოცი დღის მიწა ეჭირათ. მაგ., კონსტანტინე მუხრანბატონს ერგო ერთ ფარდად ხუთი კომლი გლეხი „თითოს ვენახითა და ორმოც-ორმოცი დღის მიწით" [1].

მუზეუმში დაცულია ერთი ორენოვანი საბუთი, რომელიც 1799 წლით თარიღდება. იქ ნათქვამია: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ბატონო, მერეთ ჩვენს საბრძანებელს გარდა ან ახალციხიდამ და ან ყარსიდამ რაც თაფრიყა ხათრიჯამი გახადო და მოაყვანინო არას კაცისაგან მაგ შენი მოყვანილ კაცებთან საქმე არ უნდა ქონდეს ვინც რომ იყოს ხათრიჯამი გახადე და მოაყვანინე" [2].

არც ერთ სათავადოში იმდენი გარედან მოსული ყმა არ იყო, რამდენიც სამუხრანბატონოში. ეს „გარედან მოსვლა" საბუთების მიხედვით შემდეგი ხასიათისა ჩანს:

1. 1782 წელს იოანე მუხრანბატონს ავეტისაშვილმა ოპანეზამ წიგნი მისცა: „დედამამით დავობლდი და დავრჩი შეწუხებული. ჩემის ქვეყნიდამ გადმოვარდი და ერევანს უსარიშტოდ ვიარებოდი. ამ ხანად თქვენ იქ მობრძანდით და მნახეთ შეწუხებასა შინა. ხელი აღმიპყარით და მიპატრონეთ... მეც ჩემის ნებით და ჩემის წადილით ჩემი თავი შვილისშვილადამდე ყმათ და მსახურათ მოგართვით ასე და ამ პირობით, რაც სამსახურზედაც რომ მიბრძანებდე, როგორც ბატონყმობის რიგი არის ერთგულათ თქვენს სამსახურზე დავდგე და გემსახურო" [3].

2. 1793 წელს იოანე მუხრანბატონს ისპაშვილმა თამაზამ წიგნი მისცა: „ჩვენ ჩვენის უწინდელის ბატონისაგან თავდასხნილნი ვიყავით, ჩვენის თავის დახსნილობის წიგნიც თქვენ მოგართვით, ჩემა ძმამ ოსეფამაც თქვენ მოგყიდათ თავისი თავი, შვილნი და მომავალნი სახლისა თვისისანი, მე ვალი დამედვა, სხვა ილაჯი რომ აღარა მქონდა, მოველ ჩემის ნებითა და თავი მოგყიდე, თეთრი გამოგართვი და ვალი გადავიხადე" [4].

3. 1782 წ. ტამალელმა ჯავახმ წიგნი მისცა იოანე მუხრანბატონს: „... მე და მამა ჩემი გარდმოვცვივდით ჯავახეთიდამ

---

[1] Qd, 1633.

[2] Qd, 1642.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 229, დავთარი 5, საბ. 82.

[4] იქვე, საბ. 105.

ოათრობის მიზეზითა და აქ დავინათლენით, ქართლშიდ ბევრი ადგილი გამოვიცვალეთ და სხვასთან ეულათ დგომამ დიდად შეგვაწუხა და ჩვენის ნება-წადილით თქვენს ყმათ მოგვიყვედით არას კაცს ჩვენთან ხელი არა აქვს საქართველოში შენს მეტსა“ [1].

4. შამირანაშვილმა ამირამ 1794 წელს იოანე მუხრანბატონს წიგნი მისცა: „თულაშვილი ბერის ყმა ვიყავ მკუიდრი, მოვიდა და თავს მახსნევინებდა. მე თეთრი არა მქონდა, მოველ ჩემის ნებაყოფლობითა, თქვენ ათი თუმანი გამოგართვი, მივე ჩემს ბატონს, თულაშვილს ბერს, დავიხსენ თქვენის თეთრით თავი და გამოვართვი თავდახსნილობის წიგნი, ის წიგნიც თქვენ მოგართვი და ეს წიგნიც დაგიწერე, მე და ჩემი შვილები და სახლისა ჩემისა მამავალი ღმერთმან თქვენ და თქვენს შვილებს და სახლისა თქვენისა მომავალს ნიახმაროს“ [2].

ამილახვრიშვილს ბარძიმს გიორგი შაველაშვილმა ყმობის წიგნი მისცა: „... რამდენიმე ხანი დაკარგული გახლდი, მოველ და არც არავის საქმე ქონდა ჩემთან საბატონყმოთ, გამოგიცხადე ჩემი თავის ამბავი და მეგზავ თქვენგან ჩემის ძმის მამული, ჩემი ძმაც ჩემთან უნდა იყოს და თუმცა ვალი აქვს რამე, ისიც მე უნდა გადავწყვიტო და როგორც სხვათ ძმათ ულცხოვრიათ მამულზე, ისე ვიცხოვროთ და როგორც ბატონყმობის სამსახური არის ისე გამსახუროთ“ [3].

ბერი გივიშვილი გივი ამილახორს 1735 წელს წიგნს აძლევს: „... ლეკებისაგან დავტყვევდი, წამიყვანეს, გაღმა მკარში ტყვეთ ვიყავ და თქვენ ჩემში კუპრაშვილს დავითს ხუთი თუმანი თეთრი მიეცით და იმისგან დამიხსენით. თქვენს მეტს კაცს, არც მამას, არც ბიძას ჩემში არა გაუღიარა, მარტო თქვენ მიყიდეთ და მომიყვანეთ... თქვენს მეტს ჩემთან არას კაცს ჭელი არა აქვს, ორჯელ თქვენგან ნასყიდი და დახსნილი ვარ. ჩემში გასაყიდათ, გასაზითვათ, ყოვლად ჭელი გეწიფოსთ“ [4].

ამილახორები ზემოქართლის სადროშოს სარდლები იყვნენ. ეს სადროშო იმერეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს ესაზღვრებოდა. დასახელებულ ქვეყნებიდან ხშირად მოდიოდნენ გლეხები საამილახოროში; მოსულნი გარკვეულ პირობებით ეყმობოდ-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 229, დავთარი 5, ტსაბ. 105.
[2] იქვე, საბ. 71.
[3] საქ. მუზეუმი, Hd, 9462.
[4] საქ. მუზეუმი, Hd, 2135.

ნენ ხოლმე ამილახორებს: ახალციხიდან ჩამოსული ავეტიქა და მისი ძმა გალუსტა რევაზ ამილახორთან მივიდნენ: რევაზმა წიგნი მისცა: „... მე მომიხვედით, მანამ ქართლში იყვნეთ და გერჩომინებოდესთ, ჩემს მეტს ვერავის მიუხვიდეთ და თუ ისევ ახალციხეს წასვლა მოინდომო/თ/ ან თქვენ და ან თქვენმა შვილებმა, ვერ დაგიშალოთ ვერც მე და ჩემა შვილებმა, ძალით ყმათ ვერ დაგიჭიროთ და ხეობამდინაც ჩემის ხარით და ურმით მიგიყვანო“ [1].

არა იშვიათი იყო მსგავსი შემთხვევები იმერეთიდანაც.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ბეჟან ამილახვრიშვილის ერთი ჩანაწერი, რომელიც საქართველოს მუზეუმში ინახება „ა. ქ. კაპანაძე დათუა, რომ მამივიდა თექვსმეტი წელიწადია, იმერეთიდამ.

ა. ქ. მამუკელა, რომ მამივიდა ამაშუკელის ყმა არის, ჩვიდმეტი წელიწადია, ცარიელი ბიჭი იყო, ცოლი შევრთე, დავასახლე.

ა. ქ. ბერიკელა, იმერეთს გახლდი, იქ მამივიდა...

ქ. ეს სამი კომლი, მერე ცოლები შევრთე, საქონელი მიმიცია, ახლა გამართული გლეხი კაცნი გახლიან.

საქართველოს განწესება ასე არის, თუ თავის ქვეყანას არ წავიდნენ, სხვასთან ვერავისთან მივლენ, მოსული კაცის საქმე ასე არის.

ქ. ამას გარდა სანატრელის პაპის თქვენის დროს /ადრესატი არ ჩანს საბუთში, დ. გ./ რომ ჯერ არ წასულიყო, მაშინ პურძვირობაა, ერთი დედაკაცი მამივიდა, ერთი პატარა ყმარწვილი ძუძუთი ჰყვანდა, ის გავზარდე. დღეს ოთხი შვილი ჰყავს“ [2].

მსგავსი საბუთები, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი, საკმაოდ ბევრია. მოტანილი საბუთები, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ჩვენს მიერ ზემოგამოთქმულ მოსაზრებათა სიწორეში.

კანონით, თუ „ნებიერი“ თავის ახალ ბატონს მიატოვებს და ძველს ბატონთან წავა, რაც ახალს ბატონთან მოუპოვებია, ნახევარი ამ ახალ ბატონს უნდა დაუტოვოს. ახლად მოსული გლეხი „თუ თავის ნებით სამკვიდროზედ წავა,—ნათქვამია ვახტანგის კანონებში,—ეს ვერას შეუა; მაგრამე რაც ამის ყმობაში მოუგია, ნახევარი საქონელი უნდა მოსცეს“ [3]. უკანონოთ კი ბატონს შეუძლიან ახლად მისულ ყმას, თუ ეს ყმა წასვლას დაუპირებს, მთელს

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 37, საბ. 1.

[2] საქ. მუზეუმი, Ad, 1119.

[3] ვახტანგის კანონები, მუხ. 199, ქრესტომათია I, გვ. 435.

მონაგებზე უარი უთხრას, ან მთელი მონაგებით გაისტუმროს. ეს კარგად ჩანს დავით ერისთავის მიერ პაატა ესიტაშვილისათვის მიცემულ სიგელში დაცული ცნობიდან: „... კარალელი ჩვენი ყმა შავშიშვილი მამადყული ხანის დროს ცარიელი კაცი ყმად მოგსლოდა. მერე ისევ თავის მამულზე წამოსვლა მოინდომეს. რაც შენს მამულში მოექონებინათ უნდა გაბოგერთო, მაგრამ არა გამოგერთმევინარა და არც წამოსვლა დაგეშალა და ეს ჩვენი კაცი კაის სარჩოთი მოგვართვი“ [1]. იგივე ჩანდა ამილახვრიანთ საბუთებიდანაც.

როგორც ვხედავთ, „ნებიერი“ განსხვავებული უფლებით სარგებლობდა. მას უფლება ჰქონდა ახალი ბატონისაგან კვლავ ძველთან, ან რომელიმე სხვა ბატონთან წასულიყო.

„თ ა რ ხ ა ნ ი“. „თარხანი“ ანუ „აზატი“ საბატონო გამოსაღებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებული გლეხია. ვახტანგის სამართალში ვკითხულობთ: „კარგად მყოფმან ანუ ავად მყოფმან ვინც ინებოს განთავისუფლება თავის ყმისა და აზატი უყოს, იმისი ასრე იქნას: უნდა დაუწეროს წიგნი რითაც მამულით, რითაც საქონლით გააზატა თავისი ყმა, ან ალაპი დაადვა, ან სხვა თავისს სულის სამსახური და მაშინ შეიქნება წიგნითა და მოწმებითა ის კაცი აზატი: თუ არ იყოს სათავისთაო, ან თავისის ცოლის ზითვით ნასყიდი და საძმო და სასახლო იყოს, მარტო თვითონ არ შეუძლია აზატი ჰყოს ის კაცი, ყველას შოსამსახურე იქნება, არა მარტო იმისი. იმან რომ კიდეც მისცეს აზატი, თუ სხვა ძმები არ დაუმტკიცებენ, ამისთანა აზატი და სადაო ანდერძი დაუმტკიცებელი შეიქმნება და არც გაუთავდება“ [2].

კანონმდებელი მეფე, როგორც ვხედავთ, აზატად გლეხს მაშინ თვლის, როცა მას საამისო წერილობითი საბუთი აქვს, სადაც დაწვრილებით იქნება მოთხრობილი თუ რისაგან ათავისუფლებს გლეხს პატრონი. ამავე დროს აქ მეორე მხარეც იჩენს თავს: გასააზატებელი გლეხი ვისი საკუთრებაა. თუ იგი საერთო საძმო, ე. ი. სახასო გლეხია, მაშინ მის გასააზატებლად ძმათა ერთნებობაა საჭირო, ხოლო თუ იგი სათავისთავოა, მაშინ ძმებს არაეკითხებათრა, გააზატებს ის, ვისიც ყმა არის. ამ პირობის გარეშე გლეხს აზატობა არ გაუთავდება.

ჩანს გლეხის გათარხნებისა თუ გააზატების დროს მხედველობაში იყო ხოლმე მიღებული ერთი გარემოება: ბატონი გაათავის-

---

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 13814.
[2] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია I, გვ. 444.

უფლებდა გლეხს მხოლოდ საბატონო გამოსაღებისაგან, ხოლო მეფე კი — სამეფო გამოსაღებისაგან.

ყველა სათავადოში ჩანან აზატი ანუ თარხანი გლეხები. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ.

„... ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ბატონმან ქსნის ერისთა/ვ/მა შანშემან შენ ჩვენს ერთგულსა და ნამსახურს ყმას ინაურს ფაციასა, ძმასა შენსა თამაზასა, ლაზარესა, შვილთა და მომავალთა სახლიკა თქვენისათა, ასე, რომე მოხველ და შემოგვეხვეწე და სითალხნეს დაგვეაჯენით; ვისმინეთ მოხსენება თქვენი და წინუბანს მეოთხედი მამული გქონდა და იმისი სითალხნე (sic) გიბოძეთ. ასე გაგათალხნეთ (sic), რომ ჩვენი არა ბეგარა, არა სხვა რამ სათხოვარი შენ არ გეთხოვებოდესრა“ [1].

„თარხან“ გლეხთა შესახებ საინტერესო ცნობები შემოუნახავთ ყაფლანიანთ საბუთებს. ყაფლანიანთ საბუთებიდან ირკვევა, რომ „თარხანთა“ ორი ჯგუფი ყოფილა: „თარხანი“, რომელსაც მთელი საკომლო უჭირავს, და „თარხანი“, რომელსაც ნახევარი საკომლო, ან უფრო „ამისაგან დაბალი“ უჭირავს[2]. ორივე ეს ჯგუფი ყაფლანიშვილებს „სამასპინძლოს“ უხდიდნენ. ეს სამასპინძლო არც ისე ცოტა იყო. XVIII საუკუნის დასაწყისის საყაფლანიშვილოს დავთარში ნათქვამია:

„თარხანს კაის კვამლზე სამასპინძლო — ცხვარი ორი, პური კოდი სამი, ქერი კოდი სამი, ქათამი ორი, ერბო სტილი ათი, მარილი ლიტრა ერთი“ [3].

მეორე ჯგუფის თარხანს უნდა გადაეხადა: „ცხვარი ერთი, პური კოდი ერთნახევარი, ქერი კოდი ერთნახევარი, ქათამი ერთი, ერბო სტილი ხუთი, მარილი სტილი ათი“ [4].

იყო შემთხვევა, როცა თარხანს კვლავ დაბეგრავდნენ და, თარხნობას მოუშლიდნენ ხოლმე. მაგ., ყაფლანიშვილებსა მეხრეები თარხანნი იყვნენ, მაგრამ შემდეგ ისევ დაბეგრეს. 1744 წელს თეიმურაზ მეორე ყაფლანიანთ „სახლის რიგის“ წიგნში წერდა: საყაფლანიშვილოს მეხრენი ადრე თარხანი ყოფილან, მაგრამ „ახლა რადგან ავი დრო არის და ქვეყანას სახელმწიფო ხარჯი აძეს, მეხრებმაც თავთავის შეძლებით ხარჯი მისცენო“ [5].

---

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 14002.
[2] გ. ჯ ა მ ბ ურ ი ა, სომხით-საბარათიანოს ისტორიისათვის, გვ. 214.
[3] საქ. მუზეუმი, Hd, 1365.
[4] იქვე.
[5] საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925 წ., გვ. 257, გ. ჯამბურია. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 215.

ჩანს, გლეხის გათარხნების ერთ-ერთი მოტივი თვით გლეხის პირადი დამსახურება უნდა ყოფილიყო თავის ბატონის წინაშე.

ბ ო გ ა ნ ო. ვახტანგ VI განმარტებით „ბოგანო ამას ჰქვიან, რომე ვენახი არა ქონდეს, თითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების ან არა“ [1].

საბა ამბობს: „ბოგანო უაგარაკო გლეხია“.

ის გარემოება, რომ სტატისტიკურ მასალებში ბოგანო ყოველთვის სხვა გლეხებისაგან განცალკევებულად აიწერებოდა [2] იმის მაუწყებელია, რომ ბოგანო მართლაც მკვეთრად განსხვავდებოდა გლეხთა სხვა სოციალური ფენებისაგან.

იგი ჯერველეს ყოვლისა იმით განსხვავდებოდა დანარჩენისაგან, რომ მას ინტენსიური მეურნეობის წარმოება არ შეეძლო, ან ამის საშუალება არ ჰქონდა.

ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ბოგანო თავდაპირველად იმ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც ახლად იყო მოსული და ღარიბობაში იმყოფებოდა. ამ გაგებით ბოგანოსა და ხიზნის წარმოშობის გზა ერთნაირია. მაგრამ შემდეგში, როგორც ეს გივი ჯამბურიამაც შენიშნა, მკვიდრ ყმათა გაღარიბების შედეგად ბოგანოთა კატეგორია უნდა გაზრდილიყო. თითქოს ამას მოწმობს ბოგანოთა მაღალი პროცენტული შეფარდება და აღწერილობის დავთრებში ხიზნისა და ბოგანოს ცალ-ცალკე მოხსენიება.

მაგალითად, 1774 წლის აღწერილობით ქსნის საერისთავოს 52 სოფლის 591 კომლიდან, 46 კომლი ბოგანო ყოფილა [3]. თუ რაიმე გაუგებრობა არ არის, შვიდი წლის შემდეგ, 1781 წლის აღწერით, იმავე სოფლებში 634 კომლია, ხოლო ბოგანოთა რაოდენობა 14 კომლამდე დასულა [4].

შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ ერისთავებმა ბოგანო კომლები დაახლეს ამოვარდნილ მემკვიდრეთა მიწაზე და ამ გზით ისინი ბოგანოთა კატეგორიიდან ამოვარდნენ.

---

[1] ვახტანგის სამართალი, მუხლი 100, ქრესტომათია I, გვ. 417.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალანი, მისივე, ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობანი დ. ს. ხ.

[3] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობანი. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, გვ. 64.

[4] იქვე.

ბოგანოები სამეფო გადასახადებიდან, განსაკუთრებით კი ლაშქარ-ნადირობიდან, არ თავისუფლდებოდნენ.

„ნ ა ს ყ ი დ ი“. ამ კატეგორიის გლეხების შესახებ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა:

„ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა და „ნასყიდი ყმა“ პატრონის კერძო მეურნეობისა და გამჭრიახობის ნაყოფი იყო. ამგვარი ყმის შეძენა პატრონის ქონებრივ ძალასა და ხერხიანობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც არის, რომ ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა უფრო კერძოუფლებრივისა და კერძო მეურნეობითი ხასიათის მოვლენად გვეჩვენება“ [1].

ფეოდალური ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე ჩანს „ნასყიდ ყმათა“ არსებობა მეტნაკლები რაოდენობით. „ნასყიდობა“ იმდენად მტკიცეა, რომ მისი მოშლა მეფის გარდა არავის არ შეეძლო. „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას მამული, ხოფელი, საქონელი, თუ პირუტყვი, დიაღ ალალი და შესარჩენი საქმე არის“ [2].

კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს გლეხის გაყიდვასაც, ოღონდ მსყიდველმა სახელმწიფო გამოსაღები არ უნდა დააკლოს სამეფო შემოსავალს.

ნასყიდობის უფლების შესახებ საინტერესო ცნობებია 1704 წლის ერთ სიგელში. გიორგი მეფემ სულხან ორბელიანს წიგნი მისცა: „ჩვენის ერთგულობისათვინ და ნამსახურობისათვინ ერეკლე მეფეს დაუნაშავებლად ასრე წაეხდინე, არც ამ ქვეყანას დაეყენებინე და ნასყიდიც წაერთმია. თავად დაუნაშავებლად წართმა და მერმე ნასყიდისა არა ოდეს ყოფილიყო“ [3]. ე. ი. გიორგის აზრით ერეკლემ ორგვარი დანაშაული ჩაიდინა: უდანაშაულოს „წართმა“ უყო და ნასყიდს ხელი ახლო.

ამავე საბუთში კიდევ ერთი დეტალია საინტერესო: „... ჯალდამი და ღორისთავი... დედის თქვენის ნასყიდია და არას კაცს ჭელი არა აქვს“.

1697 წელს — „მირიმანიძეთა სომხეთის მელიქის ქამარბეგისშვილმან მელიქმან, ბატონმან ავთანდილ და მისმა ბიძაშვილებმა“ გივი თუმანიშვილს შამირზას ნასოფლარი მიყიდეს: „... რარიგადაც სხვათ ალალს მონასყიდეს მართებს, ეგრეთ შენ გეჭელყოდეს გასყიდვად-გაზითვათ, გასაცემლად, რასაც ფერად საკმრისად ჭელგეწიფოდეს, არავინ იყოს მცილე და მოდავე ამისი“ [4].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. I, გვ. 90.
[2] ვახტანგის სამართალი, მუხ. 160, ქრესტომათია I, გვ. 428.
[3] საკ. სიძველენი II, გვ. 202.
[4] იქვე, გვ. 117.

ნასყიდი მსყიდველის სრული საკუთრება იყო და მას ხელს ვერავინ ახლებდა. ხოვლელმა ბიჭიკაშვილებმა მამულები იყიდეს. ისინი ჯავახიშვილის ყმები იყვნენ. ჯავახიშვილმა სცადა საბატონო ბეგარა ამ ნასყიდ მამულზეც გაევრცელებინა, მაგრამ ბიჭიკაშვილებმა უარი განაცხადეს. ჯავახიშვილის მუქარაზე ბიჭიკაშვილებმა ერეკლეს მიმართეს და განუცხადეს: „...ოთხი ძმანი აქ გახლავართ, თუ ერთი გზა არ მოგვეცა, ჩვენ იქ მისვლა არ შეგვიძლიან, ასე რიგად ატეხილა, რომ ერთს ღვთისა და თქვენს საწყენა განსაცდელს მოგვიყენებს ჩვენ რომ აყრა გვაკეთებინოს... სისხლი დაგვიღვრია, შიგ დავხოცილვართ, რა შაწუხებით თითო ოროლა შაური ჩვენის ცხოვრებისათვის მოგვიკლია და მამული გვიყიდნია, იმასაც გვაკეთებინებს, რომ ნასყიდიც მე დამიგდეთო; ეს არავის დამართებია. ... თუ არა, ჩვენი თავი აღარ უნდა, მამულის ყმა გახლავართ, იმან თავისი სამკვიდრო მამულზედ ხელი აღვაგებინოს და ჩვენ ნასყიდ მამულზედ გახლდებით, ქვეყანასა და თქვენ სიმაღლეს ვემსახურებით“ [1].

საკუთრების ეს ფორმა კანონით იყო დაცული. ყიდვა-გაყიდვის ობიექტი იყო ყმა გლეხიც. ყმებს ყიდდნენ, როგორც მამულით, ისე უმამულოდ. საამისო მაგალითები ჩვენ ბევრი გვაქვს.

ზაალ ჯავახიშვილის მიერ შანშე ერისთავისათვის 1751 წელს მიცემულ ნასყიდობის საბუთში ვკითხულობთ: „მოველ და შემოგეხვეწე და ჩვენისავ ნებითა მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი და ბარათში გამოყოლილი საყვარელი კედელაძე ბერუკა და იმისი ბიძაშვილი იასე თავის ცოლითა და შვილითა. უმამულოდ მოგვიყიდია“ [2].

ნასყიდი გლეხი, განსაკუთრებით მაშინ თუ ის უმამულოდ იყო გაყიდული, შეეძლო მყიდველს აეყარა და თავის სამფლობელოში წაეყვანა; არც ის იყო გამორიცხული, რომ თავის ძველ ადგილზევე დაეტოვებინა, განსაკუთრებით მაშინ თუ გლეხი ნაყიდი იყო მამულით.

უმამულოდ გლეხის გაყიდვა, ან გლეხის ოჯახის დაშლა და ცალ-ცალკე გაყიდვა, თავადური ჩამორჩენილობის ყველაზე უფრო მახინჯი ფორმა იყო. ცნობილია, რომ ერეკლემ სასტიკად აკრძალა გლეხის ოჯახის დაშლა და უმამულოდ მათი გაყიდვა.

გლეხის უმამულოდ გაყიდვა ჰკლავდა ინტენსიური მეურნეობის წარმოების ინტერესს, აგრეთვე ოჯახის გამრავლების ინტერესს.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 227, საბ. 665.

[2] საქ. მუზეუმი, ხელნაწ. განყ. Hd, 2804.

ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, საერთო საქვეყნო საქმისათვის უაღრესად უარყოფითი შედეგისა იყო.

„ხ ი ზ ა ნ ი“. მე-19 საუკუნის 60—70-ანი წლებიდან გლეხთა ეს სოციალური კატეგორია, მწერალ-ისტორიკოსებისა, თუ ჩინოვნიკ-მოხელეთა ყურადღებისა და ფართო მსჯელობის ობიექტად ხდება. შეიძლება ითქვას, რომ გლეხთა არცერთ კატეგორიაზე იმდენი არ დაწერილა, რამდენიც ხიზანზე. მაგრამ ხიზანთა ინსტიტუტი დღემდე შესწავლილი მაინც არ არის. მკვლევარები საკითხს ზერელედ იხილავდნენ და ხიზანისა და ხიზნობის წარმოშობის ნამდვილი მიზეზი გაუგებარი რჩებოდა.

1913 წელს თბილისში დაიბეჭდა ე. გ. ვეიდენბაუმის გამოკვლევა „Хизаны в Грузии“. ავტორი მოკლე მიმოხილვას უკეთებს საქართველოს მე17—18 საუკუნის ისტორიას და ცდილობს ხიზანთა ინსტიტუტის წარმოშობა ქვეყნის საგარეო და საშინაო მოვლენების გადაჯაჭვიდან გამოიყვანოს [1].

ვეიდენბაუმი „ხიზანისა“ და „ნებით მისულ“ გლეხთა წარმოშობის საფუძვლად ერთსა და იმავე მიზეზს მიიჩნევს. განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ნებით მისული სამუდამოდ ეყმობოდაო ახალ ბატონს, ხიზანი კი წასვლის უფლებას იტოვებდაო. ვეიდენბაუმმა ქართული არ იცოდა და შეზღუდული იყო მასალებით; ამიტომ შეცდომას უშვებს. „ნებითმისული“ ყოველთვის როდი მიდიოდა ახალ ბატონის სამუდამო ყმობაში.

ხიზანთა რიცხვი, განაგრძობს ავტორი, მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, უფრო გამრავლდა, რადგან ქართველ თავადებს საშუალება მიეცა უცხოეთში გახიზნული გლეხები დაებრუნებინათო.

1913 წელსავე თბილისში გამოქვეყნდა ან-პარის ნაშრომი: „Грузинские хизаны и идеологи хизанства“. ეს ნაშრომი დამოუკიდებელ ნარკვევს არ წარმოადგენს. იგი სხვადასხვა შრომების თავისებური კომპილაციაა.

ან-პარის აზრით „Хизанския отношения представляют собою договорное соглашение аренды или найма земли. Отношения эти зародились в Грузии еще за долго до водворения в ней русского владычества“ [2].

---

[1] ვეიდენბაუმი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

[2] ან-პარი, დასახ. შრომა, გვ. 23—24.

ბასული საუკუნის 80-ან წლებში ხიზანთა შესახებ საქართველოს სხვადასხვა მაზრებში შეკრებილი ცნობები დაამუშავა და კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილს წარუდგინა მოხსენება მ. კუჩაევმა. მისი მოხსენება საინტერესო ცნობებს შეიცავს ხიზანთა უფლებრივ და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

1884 წელს გამოქვეყნდა ხ. ა. ვერმიშევის ნაშრომი „Хизаны и хизанство". ეს ნაშრომი დამყარებულია ი. ვ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში მყოფ ხიზანთა ყოფა-ცხოვრების შესწავლაზე. მან ქართული ხიზნები შეადარა დასავლეთ ევროპის მოიჯარადრეებს. მიუხედავად არა ერთი მცდარი შეხედულებისა, ვერმიშევის გამოკვლევა სერიოზულ ნაშრომს წარმოადგენს ხიზნების უფლება-მოვალეობების შესახებ.

საფუძვლიან მეცნიერულ ნაშრომს წარმოადგენს პროფ. ს. ავალიანის მონოგრაფია ხიზნების შესახებ. თავის ფუნდამენტალური ნაშრომის —„Крестьянский вопрос в Закавказье" მეოთხე ტომში განიხილავს ხიზანთა წარმოშობის ისტორიას და ხიზანთა უფლებრივ მდგომარეობას.

იგი სამართლიანად ფიქრობს, რომ „экономические и политические причины, по преимуществу первые, вынуждали крепостных переходить от одних помещиков к другим, в хозяйственном отношении более могущественным" [1].

ს. ავალიანი ფიქრობდა, რომ ხიზანი, რომელიც 30 წლის განმავლობაში ბატონის მიწიდან არ წავიდოდა, კარგავდა წასვლის უფლებას და ყმად გადაიქცეოდა[2].

როგორც აღნიშნული იყო, ხიზანთა საკითხი ფართო განხილვის საგნად იქცა და საკმაოდ ბევრი დაიწერა ამ საკითხზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას ვერ გამოვუდგებით, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში მხოლოდ მთავარ ნაშრომებზე შევჩერდით. დავუმატებთ კიდევ ერთს.

1933 წელს სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბეში (Известия Юго-Осетинского научно-исслед. Института Краеведения вып. I)[3]. დაიბეჭდა ვარვარა ჩერედნიჩენკოს სტატია „К истории Осетин-Хизан (по документам Центрального Архива Грузии).

---

[1] Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, стр. 142.

[2] იქვე, გვ. 163—164.

ავტორის აზრით „Образовалось это понятие (ე. ი. ხიზანი, დ. გ.) как политико-экономическое явление, в XVI и XVII столетии, во времена войн Грузии с соседними государствами и междоусобных грабежей грузинских царей и аристократов". ავტორი არ ასახელებს წყაროს რომელზე დაყრდნობითაც აკეთებს ასეთ დასკვნას. საერთოდ ეს ნაშრომი თავისებურ შეკვრას წარმოადგენს სხვადასხვა ნაშრომში დაცულ ცნობებისას და უფრო პოპულარულ ნარკვევის ხასიათს ატარებს, ვიდრე სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევისას. თუმცა ავტორი დასაწყისშივე გვამცნობს, რომ მან თავისი ნაშრომი საქართველოს ცენტრარქივში დაცულ საარქივო მასალებზე ააგო, მაგრამ იგი არც ერთ დოკუმენტს არ ასახელებს, არც სათანადო ფონდებზე მიუთითებს და ამდენად მის ასეთ განცხადებას ყოველგვარი ფასი ეკარგება.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვიდან ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ, ყველა მკვლევარმა, რომელიც კი ხიზანთა საკითხს ასე თუ ისე შეეხო, ხიზანთა ინსტიტუტის წარმოშობაზეც გამოსთქვა თავისი აზრი. ვეიდენბაუმის აზრით ხიზანთა ინსტიტუტი XVIII საუკუნის პროდუქტია „в 18 столетии в Грузии образовался класс свободных от крепостной зависимости крестьян-земледельцев. Это были люди, выкупившиеся или бежавшие из неволи" [1]. ვეიდენბაუმი ფიქრობდა, რომ პირადად თავისუფალი გლეხი ყოფ მთავარი წყარო ხიზანთა კატეგორიის გლეხების წარმოშობისათვის: „Из таких лично свободных людей, водворявшихся на чужих землях, образовался тот разряд крестьян-земледельцев, который ныне известен под названием хизан" [2].

ავალიანის აზრითაც ხიზანთა ინსტიტუტი, ყველა თავისი ნიშნებით, ჩამოყალიბდა ცარიზმის დამკვიდრებამდე საქართველოში [3].

თუ ვეიდენბაუმი პირდაპირ ამბობს, რომ ხიზანთა კატეგორია ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეშიო, დანარჩენი მკვლევარები მხოლოდ ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ ეს ინსტიტუტი საქართველოში რუსული მმართველობის სისტემის დამკვიდრებამდე გაჩნდა, კონკრეტულად კი არ მიუთითებენ როდის და რა პირობებში.

---

[1] ვეიდენბაუმი, „Хизаны", გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 22.

[3] ავალიანი, „Крестьянский вопрос, т. IV, გვ. 141.

ჩვენის აზრით, ვეიდენბაუმი ცდება. ხიზნობა საქართველოში უფრო ძველი ფორმაა და საქართველო მას XVIII საუკუნემდე იცნობდა. ხიზანთა წარმოშობის საკითხის გაარკვევად გამოგვადგება თვით ხიზანთა სოციალური ბუნებისა და, საერთოდ, ხიზნობის ფორმების დადგენა.

ივანე ანდრონიკაშვილი წერდა: „ხიზანი შევიწროებული ცოლ-შვილიანი კაცია. მტრობიანობის დროს მთაში მაგარ ადგილას დაჰ-ხიზვნიდნენ თავის ცოლ-შვილს და თვით მტრის საომრად გამოვიდოდნენ. ამისათვის ძველადგანვე დარჩენილა, რომ გლეხნი თავის ჯალაბობას ანუ ცოლშვილს ეხლაც უწოდებენ ხიზანს და იმ ადგილს ანუ სიმაგრეს, სადაც იხიზნებოდნენ — სახიზარს. გლეხნი ამბობენ ამა და ამ ხიზნობის დროს დავბადებულვართო.

გაჭირვებული გლეხი მაძიებელი მფარველობისა, როდესაც შემწეობას მოითხოვს გეტყვის თქვენ შემოგხიზნივარო, დიდი შესაყარის ჭირის გარიდებას უწოდებდნენ გახიზვნას, უმამულო გლეხი შეეხიზნება მემამულეს“ [1].

მართლაც ეამთასიაევ და ძნელბედობა, რაც საგარეო შემოსევებსა თუ შინა გაჭირვების უშუალო თანამგზავრი იყო, გლეხის პირვანდელი საცხოვრებლიდან აყრისა და ახალ ადგილზე დასახლების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

თუ ასეთი გაგებიდან გამოვალთ, მაშინ გასაგები გახდება, რომ გლეხის ხიზნობა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა, XIII საუკუნიდან უნდა დამკვიდრებულიყო; რა თქმა უნდა, XIII საუკუნემდეც იყო გლეხთა და არა მარტო გლეხთა გადასახლებანი ერთი ადგილიდან მეორეში, ყოველ დიდ ისტორიულ ქარტეხილების დროს, მაგრამ XIII საუკუნიდან მოყოლებული, ე. ი. მონღოლთა ბატონობის დროიდან, ეს პროცესი შედარებით უწყვეტელი ხდება. მართალია, ამიერიდან ოფიციალური კანონმდებლობა ბატონის სასარგებლოდ აკანონებს გაქცეულ გლეხზე 30 წლიან ხანდაზმულობის უფლებას, მაგრამ რადგან ის სოციალ-ეკონომიური მიზეზები, რომელნიც ხიზნობას წარმოშობენ კი არ სუსტდება, არამედ პირიქით, საბოლოო ანგარიშში დიდდება, ხიზნობაც ამ მიზეზების პროპორციულად და მასთან ერთად ფართოვდება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის სამეფოს მეთაური ერეკლე მეორე გამოსცემს

[1] ბ. გუგუშვილი, ჟურნალისტიკა. გვ. 444.

რიგ საგლეხო კანონებს, რომელთა საფუძველზე შეიქმნა უბატონო გლეხთა რეზერვი; ეს რეზერვი, არა მარტო უბატონოა, არამედ უმიწოც, და იგი ხდება ერთ-ერთ წყაროდ ხიზანთა ინსტიტუტს რომ ასაზრდოებს.

„ხიზანი", გლეხთა ისეთი კატეგორიაა, რომელიც პირად თავისუფლებას ჰფლობს, მაგრამ საწარმოო საშუალებათა მთავარ ელემენტს — მიწას მოკლებულია. ამდენად მებატონესა და ხიზანის ურთიერთობის მთავარი საფუძველი უპირველეს ყოვლისა არის მიწა.

თავად ჯაფარიძის აზრით ხიზნები სამ ჯგუფად იყოფა:

1) გლეხები, რომლებიც მებატონეს დროებით შეაფარებენ თავს და ეამთასიავის გადასვლის შემდეგ ბრუნდებიან ძველ საცხოვრებელზე.

2) გლეხები, რომლებიც მებატონის მიწაზე უვადოდ დასახლდნენ, მაგრამ შეინარჩუნეს წასვლის უფლება.

3) გლეხები, რომლებიც ერთი მებატონის მიწაზე სახლობენ, მაგრამ სხვა მებატონისაგან ვადით იღებენ მიწას დასამუშავებლად — საღალოდ.

თავადმა ჯაფარიძემ ხიზანთა ტიპიურ ფორმად მეორე ჯგუფი აღიარა [1].

ხიზანთა ინსტიტუტის წარმოშობის მთავარ წყაროდ აზნაურმა კვალიაშვილმა შემდეგი მიზეზები დაასახელა:

მემკვიდრეობის გაყოფისას, ხშირად მიწა ერგებოდა ერთ ძმას, ხოლო ყმები — მეორე ძმას; ამ შემთხვევაში პირველის ყმები მეორისადმი ხიზნებად რჩებოდნენ.

თუ მებატონე ვალს აიღებდა და დათქმულ დროზე ვერ გადაიხდიდა, მაშინ მოვალე მევალეს ყმებს დაუგირავებდა, დაგირავებული ყმები მებატონის მიწაზე რჩებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევის გამო ეს ყმები გუშინდელ ბატონისადმი დღეს ხიზნების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

კვალიაშვილი ხიზანთა კატეგორიაში აქცევს მთიელებსაც, რომელნიც უმიწობის გამო ბარში იღებენ სახნავ მიწებს. ასევე, იმერლებს, რომელნიც უმიწობის გამო ნიადაგ მოილტვიან ქართლ-კახეთისაკენ [2].

---

[1] Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, 1885 г., том I, стр. 402.

[2] იქვე, გვ. 403.

ილია ჭავჭავაძის აზრით ხიზნობა არის განსაკუთრებული სახე თავისუფალი მიწის მხვნელის მიერ სხვისი მიწის სარგებლობისა, რომელიც დაფუძნებულია ადათ-ჩვეულებათა უფლებაზე, მიწის სარგებლობიდან გამომდინარე რენტის მუდმივ განსაზღვრულობაზე და სხვა[1].

ჩვენ გვგონია, რომ აქ მოტანილი მოსაზრებები საფუძველს მოკლებული არ არიან და მართლაც ხიზანთა წარმოშობის სათავეები სწორედ დასახელებულ მოვლენებში უნდა ვეძიოთ ძირითადად, რა თქმა უნდა, ამით მე სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს სხვა მიზეზები არ არსებობდა, პირიქით, ე. წ. ნებითმისეული, რომელიც ასე გავრცელებულია გვიანფეოდალურ ხანაში, ხიზანთა კატეგორიას ძალიან უახლოვდება. ამის გარდა, მე-19 საუკუნის დასაწყისში უცხოეთში გადახვეწილ ქართველ გლეხთა გადმოსახლება საქართველოში, რაც ხშირად ამა თუ იმ კერძო პირის ინიციატივით ხდებოდა, ხიზანობის ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

მე-18 საუკუნეში ხიზანთა რაოდენობა საკმაოდ ბევრი უნდა ყოფილიყო, რადგან 1781 წ. სტატისტიკური აღწერილობით ქსნის ხეობაში 694 კომლიდან 31 კომლი ხიზანი ყოფილა[2].

ხიზანთა რიცხვი, მე-19 საუკუნის მთელ სიგრძეზე თანდათან გაიზარდა.

ხიზანის ბუნების გასარკვევად აუცილებელია ხიზანის ვალდებულება-გადასახადების შესწავლა. ხიზანის მიერ დაკავებული მიწა იყო მთავარი საფუძველი ხიზანისა და მეპატრონის ურთიერთობისა. ხიზანის მიერ დაკავებული მიწის სიდიდე განსაზღვრავდა მის საგადასახადო ნორმებს მეპატრონისადმი, მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მიწის მდებარეობას, ვარგისიანობას და სხვ.

ვერმიშევი ხიზნებს, მათ მიერ დაკავებული მიწის სიდიდის მიხედვით, ოთხ კატეგორიად ჰყოფს.

პროფესორმა ავალიანმა, არსებულ სტატისტიკურ მასალათა საფუძველზე დაასკვნა, რომ საშუალოდ ხიზანს ეჭირა 4,5 — 5,0 დესეტინამდე თბილისის გუბერნიაში და 2,5 დესეტინამდე — ქუთაისის გუბერნიაში[3].

ხიზნის მიერ დაკავებული მიწა, ხიზნის სამუდამო მფლობელობაში არ გადადიოდა, ხიზანს ბატონი ადვილად მოიშორებდა

---

[1] Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, 1885 г., том I, стр. 412.

[2] ე. თაყაიშვილი, ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა, გვ. 64.

[3] ავალიანი, Крестьянский вопрос, IV, გვ. 152.

თუ კი ამას საჭიროდ ჩათვლიდა, ამავე დროს ხიზანსაც უფლება ჰქონდა მიეტოვებინა მეპატრონე და ახალ ადგილზე ეძებნა თავშესაფარი.

ამდენად ხიზანი, არ იყო თავისი „პატრონის“ ყმა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. როგორც ცნობილია, ბატონყმური ურთიერთობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ არა მარტო ყმა არის მიჯაჭვული ბატონის მიწაზე, არამედ მიწაც — ყმაზე. ხიზანს ეს ნიშანი არასოდეს ჰქონია.

კუჩაევი, რომელმაც 1882—84 წლებში ხიზნების შესახებ შეკრებილი მასალები დაამუშავა, შენიშნავს: ხიზანზე მისაცემი მიწის ნორმა არ არსებობს „оно определяется по взаимному уговору и зависит от средств помещика и от большей или меньшей нужды крестьянина“ [1].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სახიზნო ვალდებულებანი მათ მიერ დაკავებული მიწის სიდიდით განისაზღვრებოდა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ ადათ-ჩვეულებებს ხიზნების უფლება-მოვალეობის შესახებ. ეს კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი იყო.

როგორც ცნობილია, 1861 წლის საგლეხო რეფორმის ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს თავადაზნაურებს დაეგზავნათ კითხვარები, რომელთა პასუხების საფუძველზე შედგა დოკუმენტი „შეკრება ოცდაერთისა ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“ [2].

აღნიშნულ კითხვარებზე თავადაზნაურთა პასუხებში ხიზანთა ვალდებულება-უფლებების შესახებ შემდეგი ცნობები იქცევს ყურადღებას:

დავით ციციშვილის აზრით „ხიზანი განსხვავდება ჩვენთა ყმათაგან მხოლოდ ამით: ვერ გამოვართმევთ ღალას გარდა პურის, ვერ შევაწერთ ფულს, ვერ გამოვართმევთ საჩექმეს, საქვრიოს და ვერც გასამყრელოს; გარდა ამისა ყოველსავე სამსახურს აღასრულებენ თანასწორ ყმათა ჩვენთა“ [3].

სულხან ბეგთაბეგოვის აზრით, ხიზანი მიწას იღებს ვადით, ან უვადოთ, მორიგების მიხედვით; აღებულ მიწაზე ხიზნები იხდიან:

„ღღიურზედ 2 კოდი პური ანუ ღალა მეექვსედი მოსავლისა;

---

[1] Материалы, გვ 384.

[2] ვ. გუგუშვილი, ჟურნალისტიკა, გვ. 391.

[3] იქვე, გვ. 423.

ვენახიდან მეექვსედივე კულუხი მოსავლისა; აგრეთვე ხეხილიდანაც; კომლზედ 40 მუშა წელიწადში და 3 ძღვენი"[1].

ხიზნის ვალდებულებაში ელიზბარ თულაშვილი სხვაობას ხედავს მთიელსა და ბარელს შორის: „მთის კაცი ისე ემსახურება. როგორც მემკვიდრე მამულისდაგვარად რამდენი უჭირავს და სამსახურიც გადაწყვეტილი აქვთ, ყოველიფერი საჭუქარი, ბეგარა, მუშა, ქერი, ძღვენი, ხის იჯარა, კალოგვა, ჯარში გაყოლა, ბეგარის ცხენი, საქორწილო, სააღაპო შეძლებისამებრ. ერთის სიტყვით, ყოველს ბატონყმურს სამსახურს ასრულებს,... ბარის კაცი ხიზანი უმკის, უბარავს, ძნას მოუტანს, გაულეწს, ძღვენს მიართმევს, ღალას აძლევს ზოგან 1/3-ს, ზოგან 1/4-ს და მინდვრის მიწაზედ საზოგადოდ გარდაწყვეტილია 1/6-დი; თუ ვენახს მზას მივცემ ხიზანს, მაშინ ნახევარი ჩემია გამოსავალი და ერთი ნახევარი იმისი"[2].

ხიზნური შრომა მებატონესათვის ხელსაყრელი იყო, ამიტომაა, რომ საგლეხო რეფორმის დროს ქართველი თავადაზნაურები იბრძოდნენ, რომ ყმები ხიზნურ მდგომარეობაში დაეტოვებინათ.

74 თავადი და აზნაური გორის მაზრიდან მოითხოვდნენ: „ჩვენს განსათავისუფლებელს გლეხებს იმ უფლებაზედ დავაყენებთ, რაც ხიზანს ეკუთვნის და ერთმანეთში მოვრიგდებით"[3].

ხიზანი თავის ვალდებულებებით მაინც განსხვავდებოდა ყმისაგან, ხიზანი არ იყო ყმა თავის „მეპატრონისა", იგი შეხიზნული იყო და შენარჩუნებული ჰქონდა პირადი თავისუფლება. ამდენად, ხიზანი არ იხდიდა არცერთ იმ გადასახადს, რომლებიც მიწის ჭერასთან არ იყო დაკავშირებული.

„მკვიდრი" ფეოდალის ყმათა საერთო რაოდენობის ძირითად ფონდს ჰქმნიდა. რაც უფრო მეტი ჰყავს თავადს მკვიდრ ყმათა რაოდენობა, მით უფრო მტკიცეა მისი ეკონომიური საფუძველი. სათავადოში მკვიდრი ყმა არის ინტენსიური მეურნეობის შემომქმედი. მკვიდრი ყმა თაობიდან თაობამდე ბატონის მიწაზეა. ამ მკვიდრზე გადადის არსებითად ბატონყმური ურთიერთობის მთელი სიმძიმე. საერთოდ მკვიდრი ყმისა და ფეოდალის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში წესრიგდებოდა ე. წ. „ბატონყმური რიგით". ბატონყმური რიგის დაცვა იყო ამ საზოგადოების არსებობის იურიდიული პირობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც წარმოიქმნა სა-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ჟურნალისტიკა, გვ. 425—426.
[2] იქვე, გვ. 434.
[3] იქვე, გვ. 404.

თავადები, როცა ქვეყანა ჩიხში მოემწყვდა და გამოსავალი აღარ ჩანდა მკვიდრი ყმაც ვერ ასცდა ქვეყნის საერთო ბედის ტრიალს. იმ დღიდან, რა დღიდანაც ფეოდალმა გლეხს წაართვა მიწაზე მკვიდრად ჯდომის უფლება, დაიწყო მისი გაყიდვა მიწით თუ უმიწოთ, ამ დღიდან იწყება ინტენსიური მეურნეობის თანდათანი დაცემის პროცესიც.

მიუხედავად იმისა, რომ „მკვიდრი" გლეხი მამაპაპიდან იმ მიწაზე იჯდა, რომელზეც მას საკუთარი მეურნეობა გააჩნდა, იგი მაინც არ იყო ამ მიწის მესაკუთრე. იგი ამ მიწის მხოლოდ მემკვიდრეობითი და საზოგადოდ ტრადიციული მფლობელია, რომელმაც მემამულეს, როგორც მისი წარმოების ყველაზე არსებითი პირობის მესაკუთრეს, უნდა გადაუხადოს გარდამეტი იძულებითი შრომა.

„ფეოდალური წყობილების დროს,—ამბობდა ი. ბ. სტალინი,—წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე, — ყმაზე, რომლის მოკვლა ფეოდალს უკვე არ შეუძლია, მაგრამ რომლის გაყიდვა და ყიდვა მას შეუძლია. ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს პირად შრომაზე დამყარებული გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებზე და თავის კერძო მეურნეობაზე" [1].

მებატონის მიწის გადაცემა გლეხის „მემკვიდრეობით მფლობელობაში", გლეხისა და ფეოდალის წარმოებითი ურთიერთობის ძირითადი პირობა იყო. ეს ურთიერთობანი „იმაში მდგომარეობდა, რომ მიწა გაყოფილი იყო მსხვილ მიწათმფლობელებს, მემამულეებს შორის, რომ მემამულეები გლეხებს ამ მიწას აძლევდნენ მათი ექსპლოატაციისათვის, ასე, რომ მიწა თითქოს ნატურალური ხელფასი იყო: იგი გლეხს აძლევდა აუცილებელ პროდუქტებს, რათა მას შესძლებოდა ზედმეტი პროდუქტის შექმნა მემამულისათვის; იგი წარმოადგენდა ფონდს, რათა გლეხებს ბეგარა ეკისრნათ მემამულის სასარგებლოდ" [2].

რადგან „მკვიდრი" გლეხი ჩვენ ფეოდალის. ყმათა რაოდენობის უდიდეს უმრავლესობად მივიჩნიეთ, (ქსნის ერისთავების 52 სოფელში, 1781 წლის აღწერით, ცხოვრობს 694 კომლი. აქედან: მემკვიდრე გლეხია 634 კომლი, ბოგანო — 14, ხიზანი — 31.

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ., გვ. 696.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 214.

აზნაური — 15 კმლი. მსგავსი მაგალითები სხვაცაა, ამიტომ საკვიროდ ვთვლი მიჩვენებრივი მდგომარეობის შესახებ რამდენიმე ცნობა დავიმოწმო. აქვე უნდა შევნიშნო, რომ დოკუმენტებში საამისო ცნობები მემკვიდრეზე კი არ არის საგანგებოდ გამოყოფილი, არამედ იქ საერთოდ გლეხზეა ლაპარაკი, მაგრამ არც ერთ გლეხთა კატეგორიას ეს ცნობები ისე არ მიუდგება, როგორც „მკვიდრს“ და ამიტომ ჩვენც ამ ცნობებს „მკვიდრზე“ უფრო ვავრცელებთ.

იმ მიწას, რომელზეც გლეხი სახლობდა და ამუშავებდა „საგლეხო მამული“ ეწოდებოდა. 1726 წლის ერთ საბუთში ოტია ხააკაძე ბახუტა ხააკაძეს წიგნს აძლევს „... მოგყიდეთ ბობნავს ჩვენი საგლეხო მამული სომგულური ვენაკს გარდა, რისაც მქონებელი იყო, თავის მთითა, ბარითა, მიწითა, ჭალითა, სათიბითა, სახლკარითა, ნაფუძრებითა, ჭურითა, ჭურ-მარნითა, შესავლითა, გასავლითა,...“ [2].

„საგლეხო მამულის“ მნიშვნელობით „საკომლოც“ იხმარებოდა. 1708 წელს ქაიხოსრო ბარათაშვილმა ციონის ეკლესიას წიგნი დაუწერა: „... მოგყიდეთ ჩვენის განაყოფისაგან ბარათით გამოტანილი მკვიდრი მამული ერტისს საკომლო მთელი ერთი და ზედ მსახლობელი გლეხი ჯოეს-შვილი სამებისა და ძმა მისი ბერუა მათის ცოლითა და შვილითა და მომავლითა, ვენახითა, ბახნავითა და უჭნავითა, სათიბითა, მთითა და ველითა, საძებრითა და ღძებრითა, წყლითა და სასარითა, სახლითა, მარნითა და კალოთი და საბძლითა და ყოვლის მართებულის სამძღვრითა“ [3].

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა 1728 წელს დემეტრე ბარათაშვილის მიერ დემეტრე ყაფლანიშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნი. „... მოგყიდე მე თაყასშვილმა დემეტრემ ჩემი სამკვიდრო გლეხი ანდრიას ქიტესასშვილი, ამისი ბიძაშვილი აბრამა თავისის მამულით, შესავლით, გასავლით, მთით, ბარით, სახნავით, უხნავით, წყლისპირი, სამოცის დღის მიწით, ვენახით, ბალით, ერთი მთელი საკომლო მოგყიდე ყოვლის უმიზეზოს... საქმით“ [4].

---

[1] ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, გვ. 64.

[2] საქ. სიძვ. II, გვ. 337—338.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 135.

[4] იქვე, გვ. 224.

ეს ცნობა უაღრესად საყურადღებოა: 1. გაყიდვის ობიექტი „სამკვიდრო გლეხია“, 2. ამ გლეხს სრული საკომლო უჭირავს, 3. სრული საკომლე შეიცავს 60 დღის სახნავ მიწას. 4. ამ მკვიდრ გლეხს აქვს ვენახი, ბაღი და სხვ.

„საკომლო“ ან „საგლეხო მამული“ ძველ „ფუძეს“ უდრიდა. ბექას კანონების 56 მუხლი მას „საგლეხო ფუძეს“ უწოდებს. იგი გულისხმობდა მიწის განსაზღვრულ რაოდენობას. როგორც ზემოთ მოტანილი საბუთით დავინახეთ, საკომლო 60 დღის მიწას შეიცავდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება იმას არ ნიშნავდეს, რომ ყველა კუთხეში საკომლო 60 დღის მიწას უდრიდა. საკომლო მიწის სიდიდე, ჩვენი აზრით, დამოკიდებული იყო იმაზე თუ ამ მხარეში მიწის რა ფართობი იყო. საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ ყველა მკვიდრ გლეხს „სრული საკომლო“ არ ჰქონდა. ზოგი ერთმეოთხედ საკომლოზეც კი იჯდა. მაგრამ რომ საკომლოს ქვეშ მიწის და ისიც „მოშენებული მიწის“ განსაზღვრული სიდიდე იგულისხმებოდა ეს კარგად ჩანს საბუთებიდან.

1702 წ. ვარაზ გერმანოზიშვილი ვახტანგ ორბელიშვილს ნასყიდობის წიგნს აძლევს: „მოგყიდეთ ჩვენი ალალი სამკვიდრო მამული რევაშენს ყაზანაშვილის საკომლო, რომელიც ერთს მთელს საკომლოს მართებს იმდენის მამულითა და თუ მთელს საკომლოზედ დააკლდეს, სხვაგნიდამ შეგითაო ეს საკომლო მისის მთითა, ბარითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, საბოსტნითა, ნიგვზნარითა, საწყლისპიროთა, ჭალითა, სათიბითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლითურთ უკლებლად მოგყიდეთ... თუ რამე მთელს საკომლოს აკლდეს და სხვაგნიდამ არ შეგითაო, ქართველი ბატონის მესისხლე და შემცოდე ვიყო“ [1].

როგორც ვხედავთ, მემკვიდრე გლეხს „სამემკვიდრეოდ“ უჭირავს მიწა. ამ მიწაზე აქვს პირად შრომაზე დამყარებული მეურნეობა. ნაწილობრივ მაინც ხერხდება გლეხის მოძრავ ქონებრივ ავლადიდებაზე ვილაპარაკოთ. ამ მხრივ ძალიან საინტერესო ცნობას შეიცავს 1678 წლის ესტატე ხოსიტაშვილის მიერ ზურაბ და სხვ. ჯიმშიტაშვილებისადმი მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნი: „დაგვეჭირა და ჩვენი მკვიდრ პაპათაგან ნასყიდი ალალი ყმა ელიზბარაშვილი ზურაბა, ასლამაზა, მერაბა და პაპუა მათის ცოლშვილით, მათის სამართლიანის მამულით... სტეფანას ნაქონის სახლ-კარითა, კალო-საბძლითა და დღეს რისაც მქონებელი არის მისის

[1] საქ. სიძველენი II, გვ. 188—189.

ბამეულის მიწითა, წყლითა... სამძღურითა, მისის ყოვლის ფერის უნაკლულოს ქონებითა, ქვევრითა, ჭარითა, კამეჩითა, ცხენითა, ცხურითა, ღალითა, კოდისპურითა, საურითა და ყოვლის მისის გამოსაღებითა მოგყიდეთ“ [1].

ეს ცნობა საყურადღებოა ჯერ ერთი იმით, რომ პაპისაგან ნაყიდი გლეხი შვილიშვილისათვის „მემკვიდრედ“ გადაქცეულა, და მეორე მხრივ ამ ცნობიდან ვიგებთ, რომ ამ ელიზბარაშვილს საკუთარი მოძრავი ქონება გააჩნია, რაც მთავარია, მას ჰყავს ხარი, კამეჩი, ცხენი, ცხვარი, ე. ი. მეურნეობის წარმოებისათვის აუცილებელი პირობა გააჩნია.

ვახტანგის სამართლის 204-ე მუხლიდან ვიცით, რომ გლეხის ავლადიდებას შეადგენდა მრავალი სამეურნეო იარაღი და სხვა საოჯახო ნივთები. „გლეხის გაყრა ასრე არის: დარბაზი დერეფნით უფროსისა არის, კალო, საბძელი უმცროსისა, ღვედი, სახნისსაკვეთი, გუთნის იარაღი გუთნის დედისაა, ცხვრის ქვაბი, ერკემელი რაც არის მეცხვარისა არის. ხმალი, თოფი, ცხენი, იარაღი მსახურისა არის. სხვა მამული ძმაზედ გაიყონ და რჩომა მწყემსზედ“ [2].

როგორც ვხედავთ, გამართული გლეხის ოჯახი იმას ნიშნავდა, რომ გლეხს ჰქონოდა: დარბაზი დერეფნით, კალო-საბძელი, გუთნის იარაღი, ცხვრის ქვაბები, საომარი იარაღი, საერთო, საძმო მამული.

გლეხის ქონების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე აღწერის დავთრები. 1725 — 1740 წწ. აღწერის ნუსხებში ვკითხულობთ: „ბერძენაულს გლეხი ვარაყიშვილი კომლი ერთი, თავი ოთხი, ფურკამეჩი ზაქიანი ორი. შეტეხს გლეხი გეჯაძე კომლი ერთი, ფური ორი, ღორი ხუთი“[3].

თუ გლეხი თავის საბატონოს გარეთ მოიგებდა რასმე, მებატონეს უფლება არ ჰქონდა ხელი ეხლო, ხოლო თუ მის ბატონის მამულში მოიგებდა, მაშინ ნახევარი ბატონისა იყო. ბერი კახიშვილი ნიკოლოზ ფიცხელაურის ყმა იყო, ძეგლევში ცხოვრობდა, ფიცხელაურის ყმობა აღარ ინდომა, გიორგი ბატონიშვილმა 1796 წელს თავის შვილს იოანეს უბრძანა სამართალი გაერჩია და ინსტრუქცია მისცა: „... მაგ კახიშვილს ბერს ამათს მამულს ძეგლევში მოუ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 57.

[2] ქრესტომათია, I, გვ. 436.

[3] ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, წიგნი 4, გვ. 26—28.

ზია რამე, ის სრულებით შუაზედ უნდა გაუყოთ და ამ ნიკოლოზს მოსცეთ; და რაც სხვაგან მოუგია, იმას კი ვერ გაუყოფთ“ [1].

როგორც წესი, მიწა მემამულის საკუთრებაა, მაგრამ XVIII საუკუნეში საკმაოდ ხშირი შემთხვევები გვაქვს, როცა გლეხი ყიდულობს მიწას და რაც უფრო საგულისხმოა, მას შემდეგ რაც მან მიწა შეიძინა ცდილობს ბატონყმობიდან თავი დააღწიოს.

ზაალ ჯავახიშვილმა 1781 წელს თავის ყმებს ხოვლეში მცხოვრებ ბიჭიკაშვილებს წიგნი მისცა: „... ცოტა გულნაკრულათ ვიყავ თქვენზედა, მოვედით ჩვენის სარდლისშვილის ქალაქის მოურავის დავითთან; იმისის ბრძანებით და სიტყვით ასე გავრიგდით, შენის ნასყიდის მიწიდამ და უსყიდიდამ ღალა უნდა მომცე. ნასყიდის მიწას ღალა არა ედვა, მაგრამ რადგან ჭელმოკლეთ ვიყავ მეც გთხოვე და შენც მამეც და ცოტა გულნაკლულათაც ვიყავ თქვენზედა, შენს ნასყიდს ვენახს ორი კოკა კულუხი ედვა, ის უნდა მაძლიო მუდამ და რაც ნასყიდი მამული გაქუს ან ჩემგნით და ან სხვისგან მე სადაო და სალაპარაკო არა მქონდესრა შენთანა“[2].

აქ ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ ბიჭიკაშვილებს ნასყიდი და უსყიდი მიწები აქვთ. ასეთი გლეხები შეძლებულ გლეხებად ითვლებოდნენ და, როგორც თვით ბიჭიკაშვილები 1782 წელს ერეკლეს წერდნენ, „შეძლებული გლეხი ქართლს და კახეთში ბევრია“ [3].

ასეთი შეძლებული გლეხები ცდილობდნენ თავი დაეხსნათ. მათ საამისო ეკონომიური საშუალება ჰქონდათ: უკვე საკუთარი მიწა შეიძინეს, და მეურნეობას ეწევიან. 1712 წელს პაპუა თურქისტანიშვილმა იასე ადუასშვილს წიგნი მისცა: „... თავი დაიხსენ, ავიღევით ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა. დღეს და დღეის იქით შენთან ხელი არავის ქონდეს“[4].

1737 წელს ექვთიმე ტფილელს პაპა პაპუნასშვილმა წიგნი მისცა: „თვალ მმცისშვილის ყმა ვიყავ. ჩვენ ბატონყმობა აღარ მოგვიჯდა, ავდეგ და თავი დავიხსენ, რითაც გული შეეიჯერიე უკლებრივ მივეც“ [5]. მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრია.

ამრიგად, მკვიდრ გლეხს საკუთარი მეურნეობა გააჩნია, აქვს

---

[1] საქ. სიძველენი II, გვ. 464.
[2] იქვე, ფ. 226, საბ. 5050.
[3] იქვე, ფ. 226, საბ. 665.
[4] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 149.
[5] ს. კაკაბაძე, ისტორიული ნაბეჭდები V, გვ. 51.

მოძრავი ქონება, იჩენს ტენდენციას უძრავი ქონებაც გაიჩინოს, ზოგი აბერხებს კიდეც ამას.

ამ კატეგორიის გლეხის ერთ-ერთი მთავარი უფლება იყო მიწაზე მკვიდრად ჯდომა. ამ უფლებას, როგორც აღვნიშნეთ, ტრადიცია, — „ბატონყმური რიგი“ — იცავდა.

უაღრესად საინტერესო ცნობა გვაქვს ამის შესახებ ბექას სამართლის 56-ე მუხლში. იქ ნათქვამია: „თუ კაცმან კაცს საგლეხო ფუძე მიჰყიდოს, — გინა კაცრიელი, გინა უკაცური, — რაცა მას დღეს მიმსყიდველსა ყელთა არა აქვს, მის მეტს მსყიდველი მიდევნას არას ემართლების.

და თუ მის ფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მივა თვისთა გულითა, -როგორცა ზემოთ სწერია, რაგინდა ხანი დაეყოს, იგი არას ემართლება მის წესისა გაჩენილისა მეტსა“ [1].

აქედან ჩანს, რომ გლეხი თავის სამკვიდრო მამულის იურიდიული მფლობელია, მას გადაცემული აქვს მიწა მუდმივ სარგებლობაში, თუ კი იგი კვლავ დაბრუნდება თავის სამკვიდრებელზე, მას თავის ნაქონ საგლეხო ფუძეს ვერ დაუჭერენ.

აღბუღას კანონების 77-ე მუხლი აწესებდა, რომ მკვიდრი თუ სხვა ბატონთან წავიდა და შემდეგ კვლავ მოინდომა უკან დაბრუნება, ახალი ბატონი ვერ დაუშლის და რითაც მოსული იყო, ე. ი. რაც მასთან ჰქონდა ყველაფერი უკან უნდა წაიღოს. ცოლშვილიც თან წაიყვანოს „დაჭირვას არავინ ემართლების“ [2].

მოტანილი ცნობებით აშკარა ხდება, რომ მიწა გლეხზე არის მიმაგრებული. მაგრამ ამავე კანონებით (მუხ. 77) კარგად ჩანს, რომ ბატონსაც უფლება აქვს თავისი ყმა მოძებნოს და 30 წლის ხანდაზმულობის განმავლობაში უკან დააბრუნოს. მაგრამ ის ფაქტი, რომ კანონმდებელი იძულებული გამხდარა ამ მოვლენაზე საგანგებოდ შეჩერებულიყო, იმის მაუწყებელია, რომ გლეხის გაქცევისა თუ აყრის ფაქტები საკმაოდ ხშირი უნდა ყოფილიყო.

მთელი შემდგომი სოციალური განვითარების პროცესი ისე წარიმართა, რომ ფეოდალებმა მიიმძლავრეს, მიიტაცეს გლეხის ეს უფლება. მაშინ, როდესაც თავიანთი უფლება კიდევ უფრო განამტკიცეს. ე. ი. ფეოდალებმა იწყეს გლეხის სამემკვიდრო მამულის გაყიდვა, გლეხის ოჯახის დაშლა და ოჯახის წევრების ცალ-ცალკე

---

[1] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 313.

[2] იქვე, გვ. 311.

გაყიდვა, შეინარჩუნეს გლეხზე ე. წ. 30 წლიანი ძებნის უფლება.

მკვიდრი გლეხი ვერ ტოვებდა ბატონს. ბატონის უფლებას საბელმწიფო იცავდა. 1655 წელს ბალიაშვილებმა სოლოლაშვილს წიგნი მისცეს: „... ცოტაოდენი რამ დავაშავეთ თქუენზედ და თქუენი უკუდგომა მოვინდომეთ და ჩუენი თავი ხატისათვის გულინდოდა შეგვეწირა, ბატონმა და ჯარმა არ გუიყო და ჩუენი თავი ისრევე თქუენ შემოგარიგა, ამისათვინ რომე ქელმწიფემ მოკითხული ქნა და თქუენი მემკუიდრე ვიყავით და მემკუიდრეობის გულისათვინ ველარსად წაგივედით, რადგან თავობით თქუენი მემკუიდრე ვყოფილვიყავით“ [1]. ამრიგად, გლეხის მკვიდრად ჯდომის უფლება შელახული იყო. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გლეხი გულხელდაკრეფილი უცქეროდა ამ ამბავს და ურიგდებოდა ყველაფერს. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ გლეხი თავის უფლებებისათვის ბრძოლას აწარმოებდა და ხშირად არც უშედეგოდ.

გლეხს თავისი სამკვიდროს გაყიდვაც შეუძლია.

1732 წელს ტბელმა გლეხმა გიორგი იაგულაშვილმა ტბელსავე გლეხს გიორგი ქელავეკას ნასყიდობის წიგნი მისცა: „დამეჭირა და მოგადექ კარს და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული,... ქვეყანა ურუმთ ეჭირა და არც ნასყიდს, არც უსყიდს არ იკითხვენ, კულუხზედა აიღებენ, თვარემა, ვინ იცის, ეგება მათს ბძანებითა ქართველობა იქნას, არც კულუხი გეთხოებოდეს... ჩემიც ნასყიდი იყო ის ვენაჯი... ბატონს ქელი არა ქონდა, არც აქვს“ [2].

ნასყიდ მიწაზე, კანონით, ბატონს ხელი არა ჰქონდა, მაგრამ ფეოდალი აქაც უზურპატორის როლში გამოდიოდა და ცდილობდა გლეხისათვის ეს უფლებაც წაერთვა. არა ერთი შემთხვევა ვიცით, როცა ბატონმა გლეხის მიერ ნაყიდი მიწა თვითონ დაიკავა, გაასხვისა ან ბეგარა დაადო. მაგ., 1766 წელს დავით ქსნის ერისთავი სვეტიცხოველს წიგნს აძლევს: „... შემოგწირეთ თქვენს სოფელს ქორდს ჩვენისავ კაცის ჩიფჩაურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები“ [3].

ზაალ ჯავახიშვილმა კი ბიჭიკაშვილების ნასყიდ მიწას ღალა შეაწერა. თუმცა „ანუგეშა“ „ნასყიდ მიწას ღალა არა ედვა, მაგრამ რადგან ქელმოკლეთ ვიყავ მეცა გთხოვე და შენც მომეცო“ [4].

ჩვენ შევისწავლეთ გლეხთა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები, დავადგინეთ, რამდენადაც საკითხის კვლევის

---

[1] საქ. სიძველენი, ტ. II, გვ. 418.
[2] იქვე. ტ. I, გვ. 135—136.
[3] საქ. სიძველენი, წიგნი I, გვ. 272, გაზეთ. I.
[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 5050.

დღევანდელი დონე და არსებული ფაქტიური მასალები ამის საშუალებას გვაძლევდა, ამ კატეგორიების ურთიერთგანსხვავება.

აღნიშნული იყო, რომ ამ კატეგორიათა შორის არ არსებობდა რაღაც გარდაუვალი ზღვარი, რომ გუშინდელი „ნასყიდი", გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლებოდა „მკვიდრად" გადაქცეულიყო, და პირიქით, „მკვიდრი" — „ნასყიდად". ასე რომ, გლეხთა ასეთი დაყოფა უფრო უფლებრივ-იურიდიულ ნიშნებით არის პირობადებული.

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, გლეხების სხვა ნიშნების მიხედვითაც, ვთქვათ ეკონომიური ნიშნით დაყოფაც. შემთხვევითი არ არის, რომ საბუთებში გვხვდება გლეხების გარჩევა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. მაგ., „შეძლებული გლეხი", „საუკეთესო გლეხი", „საშუალო გლეხი" და სხვ. მართლაც, არ შეიძლება ვთქვათ „ნაწყალობევი" ან „ნებიერი", თუნდაც „მკვიდრი" ერთნაირი ქონების პატრონი ყოფილიყო. ზემომოტანილი საბუთებიდანაც ჩანდა, რომ ზოგს სრული საკომლო ჰქონდა, ზოგს ნახევარი, ზოგს უფრო მცირე. იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომელთაც საკომლოზე მეტი ჰქონდათ, მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდება ამ ნიშნის მიხედვით გლეხთა დიფერენციაცია, ამიტომ ჩვენ ისევ უფლებრივ-იურიდიული ნიშანი ავიღეთ საფუძვლად.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ რაც დრო გადიოდა ამ კატეგორიების განსხვავება სულ უფრო და უფრო მცირდებოდა და თავადები ადვილად თელავდნენ გლეხის ტრადიციულ-უფლებრივ მხარეს. სხვადასხვა კატეგორიის გლეხებს საბოლოო ანგარიშში აერთიანებდა საბატონო სამსახური, ბეგარა-გადასახადები.

გადასახადები

კუთვნილების მიხედვით საგლეხო გადასახადები შემდეგ ჯგუფებად იყოფოდა: საბატონო, სახელმწიფო, საეკლესიო, სამოხელეო და უცხოელ დამპყრობთათვის განკუთვნილი გადასახადები.

1. საბატონო გადასახადები

გლეხის საბატონო მოვალეობას ზოგადად „გლეხის სამსახური", „ყმობის რიგზე სამსახური", „ბატონყმური სამსახური" ეწოდებოდა.

ეს „სამსახური" გულისხმობდა ერთის მხრივ საბატონო გადასახადს ნატურით თუ ფულით და, მეორეს მხრივ, შრომითი

რენტას; ყველა ამათ აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად საბუთებში „ბეგარაც“ გვხვდება.

მარქსი საბატონო შრომის შესახებ ამბობდა:

„საბატონო შრომა დუნაის სამთავროებში დაკავშირებული იყო სხვადასხვა ნატურალურ რენტასთან და ბატონყმობის სხვა ატრიბუტებთან, მაგრამ იგი შეადგენდა უმთავრეს ხარკს გაბატონებული კლასის სასარგებლოდ. იქ, სადაც საბატონო შრომა არსებობდა, იგი იშვიათად წარმოიშვებოდა ბატონყმობიდან, პირიქით, ბატონყმობა უმეტესწილად უფრო საბატონო შრომიდან წარმოიშვებოდა“ [1].

გლეხის საბატონო სამსახურს განსაზღვრავდა ბატონთან მისი დამოკიდებულების შინაარსი, კერძოდ: მიწა ბატონისა იყო და გლეხი პირად დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ბატონთან. „მემამულეს, — წერდა ლენინი, — რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა“ [2]. ამ საფუძველზე აღმოცენებული გლეხის ვალდებულება მრავალგვარი იყო. გლეხი ვალდებული იყო ბატონის მიწა დაემუშავებინა საკუთარი გამწევი ძალითა და იარაღით, თავისი შემოსავლის გარკვეული ნაწილი მიეცა მისთვის, ეძლია ძღვენ-საჩუქრები და სხვ.

გლეხის სამუშაო დრო ორად იყოფოდა — აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ. აუცილებელ სამუშაო დროდ ის დრო იწოდებოდა, რომლის დახარჯვითაც გლეხს თავისი და თავის ოჯახის საარსებო საშუალებათა მოპოვება შეეძლო. ზედმეტ დროს ის ფეოდალის სასარგებლოდ ხარჯავდა. შრომითი რენტის დროს გლეხი თავის მეურნეობაში მუშაობდა კვირის განსაზღვრულ დღეებში, ხოლო დანარჩენ დღეებში — ბატონის ხოდაბუნ-ზვრებში.

ამ შემთხვევაში სამუშაო დროს ორივე ნაწილი — აუცილებელი და ზედმეტი სამუშაო დრო ერთიმეორის გვერდით არსებობენ. ზედმეტი შრომა ზუსტად არის გამოყოფილი აუცილებელი შრომისაგან. მაგრამ ხშირად ხდება, რომ ფეოდალი არ ჯერდება ამ „დაკანონებულ“ ნორმას და ითვისებს აუცილებელი შრომის ნაწილსაც. ახდენს ე. წ. „უდების დადებას“. ქართულ სიტყვათა ლექსიკონს ამ მხრივ საინტერესო მასალები შემოუნახავს. ჩვენ გვაქვს

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, II ქართ. გამოც., გვ. 300.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3. გვ. 298.

„თავი ბეგარაᲐ“, როგორც განზოგადოებული სახე ზედმეტი შრომისა. მაგრამ ამ „თავი ბეგარის“ გვერდით ეამთამსვლელობის დროს გაჩენილა „სხვაᲐ ბეგარა“ და „ნიადაგ მუშაობა“. ეს ამბავი იმაზე მიგვითითებს, რომ გლეხის ექსპლოატაციის ნორმა გაზრდილა.

თუ ფეოდალური ექსპლოატაციის პირველსაფეხურზე აუცილებელი სამუშაო დრო ზუსტად არის გამოყოფილი ზედმეტი სამუშაო დროისაგან, ასე როდი ითქმის მისი განვითარების მეორე და მესამე საფეხურზე. ამ პერიოდში აუცილებელი და ზედმეტი სამუშაო დრო შერწყმულია ერთმანეთში. გლეხი მეურნეობას მართავს თავის შეხედულებათა მიხედვით. გლეხი აქ „დამოუკიდებლად“ გვევლინება. ეს მდგომარეობა რა თქმა უნდა, გლეხს ერთგვარ სტიმულს აძლევდა შრომის პროდუქტის ზრდის საქმეში.

თუმცა ხშირად ვერ ხერხდება საბატონო ბეგარის რაოდენობის განსაზღვრა, მაგრამ კარგად ჩანს საგლეხო გადასახადების ხასიათი.

1474 წლის არაგვის ერისთავის ვამიყ შაბურისძის მიერ ბოდორნის მონასტრისადმი მიცემულ სიგელში ჩამოთვლილია ის გადასახადები, რომელსაც მაშინ გლეხი იხდიდა: 1. ყალანი, 2. რიგის პური. ეს ყალანი და რიგის პური უდრიდა ერთ კაბიწ პურს, ერთ საკლავს და ერთ კოკა ღვინოს „კომლსა ზედა“. ამავე დროს გლეხს მონასტრისათვის უნდა მიეტანა (ლაპარაკია ხანდაკელ გლეხებზე) „კომლსა ზედა თვთო ჩარექი ცვლი“. ამის გარდა იმავე გლეხებს ვენახიდან მესამედი ტკბილი, „მას გარეთ თვთოსა ალოვნობასა ოთხ-ოთხი დღე ჭნვაᲐ და მისი მომუშავებაᲐ, ... ამას გარეთ ზურისა მუშაობაᲐ და საყდრისა, რაცა მისა საყდრისა მისᲐხდომი პური და ღვნო იყოს, იგი საყდარსა შიგა მათგან მიიღებოდეს“ [1].

ხვნის ალოობა წელიწადში ოთხჯერ ᲐყO: გაზაფხულზე (მარტი, აპრილი, მაისი) ე. წ. საგაზაფხულო პურეულის თესვის დროს; ივნის-ივლისში — ანეულის ხვნის პერიოდი; აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში — ნაოში; ნოემბერში — მძრალად ხვნა. ასე რომ, თუ ხანდაკელები ყოველ ალოზე 4 დღეს მუშაობდნენ, მაშინ მარტო ხვნაზე 16 დღე უმუშავნიათ წელიწადში მებატონის სასარგებლოდ და ისიც მხოლოდ ალოობაზე.

[1] ქ-ბი II. გვ. 292.

როგორც ცნობილია, როცა ფეოდალი შესწირავდა ხოლმე გლეხს მონასტერს, ერთგვარ შეღავათიან ვალდებულებას აკისრებდა ამ გლეხს, რომ მას შემწირველის სულისათვის ელოცა. მართლაც იქ ნათქვამია, რომ არა გეთხოვებოდეთრაო: „არა ლაშქრობაი, არა მალი, ულუფაი, არა მუდამი მუშაობა, არა საჯინიბო, არა საბაზიერო, არა საწელიწდისთაო, არა სააღებოი, არა საყველიერო, არცა გორისა და არცა ქალაქისა და ჟინვანისა მუშაობა"[1].

1630 წელს იესე ბარათაშვილის მიერ გუდარეხის მონასტრისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში ნათქვამია:

„რაცა ესე ჩუენგან შემოწირული მამული და გამოსაღებისაგან, მუშაობისაგან გვითარხნებია და განგვითავისუფლებია, რომე ჩუენგან არა ეთხოვებოდესრა, და რაც რამე სამსახური, ანუ მუშაობა, ანუ სათხოვანი იყოს, ანუ ღალა, ანუ კულუხი, ანუ ჭვნა, ანუ ზურის მუშაობა და ანუ რაც რამე გამოსაღები იყოს"[2].

თუნდაც მარტო ამ ორი საბუთის მიხედვით დგინდება, რომ ბატონისადმი გლეხის სამსახურში შედიოდა:

1. ყალანი
2. რიგის პური — ღალა
3. კულუხი
4. ალოზე მუშაობა
5. ზვარში მუშაობა
6. ლაშქრობა
7. მალი (მალი სახელმწიფო გამოსაღები იყო უმთავრესად).
8. ულუფა
9. მუდმივი მუშაობა
10. საჯინიბო
11. საბაზიერო
12. საწელიწდისთავო
13. სააღებო
14. საყველიერო
15. გარე მუშაობა (გორი, ქალაქი, ჟინვანი).
16. ღალა

სხვა საბუთებში, გარდა აღნიშნულისა, საბატონო გამოსაღებთა შორის გვხვდება სამასპინძლო, ძღვენი, შესაწევარი, მახტა, ტიკი და ტომარა, ულაყი, საქვრივო, საჩექმო, შესამყრელო, გასამყრელო, თავის გასამტეხლო და სხვა მრავალი.

---

[1] ქ-ბი II, გვ. 293.

[2] საქ. სიძველენი 1, გვ. 379.

აქ ჩამოთვლილი გადასახადები სახეობათა მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: შრომითი რენტა, ნატურალური რენტა და ფულადი რენტა.

აღებული პერიოდისათვის ძირითადი არის ნატურალური რენტა. თუმცა შრომითი რენტაც საკმაოდ ძლიერი ჩანს. რაც შეეხება ფულად რენტას ეს უფრო შესამჩნევი ხდება მეთვრამეტე საუკუნიდან.

გლეხთა გადასახადების შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავენ XIX საუკუნის რუს მოხელეთა ჩანაწერები და განსაკუთრებით XIX საუკუნის 60-ან წლებში საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით შეკრებილი მასალები.

1823 წელს თბილისის, სიღნაღის, გორის და დუშეთის მაზრებიდან შეკრიბეს ცნობები იმის შესახებ თუ რას უხდიდნენ გლეხები თავიანთ ბატონებს. აღინიშნა, რომ „Повинностей крестьян, принадлежащих грузинским помещикам, нельзя исчислить ибо во всех нужных случаях помещики употребляют их по своей воле, а что можно придумать обыкновенных повинностях, то они суть следующие:"[1]. აქ ჩამოთვლილია 38 მუხლად ყველა ის საგადასახადო ვალდებულებანი, რომელსაც გლეხი უხდიდა ბატონს, ჩამოთვლილ გადასახადთაგან ზოგიერთის რაოდენობის შესახებ წყაროებში შემონახულა ცნობები, მაგ. „სამასპინძლოს" რაოდენობაზე 1710 წლის დიასამიძეების მიერ დაუშვილებისადმი მიცემულ სიგელში სწერია: „არაფერი სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა, სამასპინძლოს მეტი: ოთხი კოკა ღვინო, ერთის წლის ძროხა, ორი კოდი პური, ორი ქათამი და ერთი დღე ქვნა, ერთი დღე მკა, ერთი დღე ბარვა" [2].

XVIII საუკუნის დასაწყისის საყაფლანიშვილოს დავთარში ნათქვამია: „თარხანს კაის კვამლზე სამასპინძლო ცხვარი ორი, პური კოდი სამი, ქერი კოდი სამი, ქათამი ორი, ერბო სტილი ათი, მარილი ლიტრა ერთი"[3].

მეორე თარხანს ან ამაზე უფრო დაბალს: „ცხვარი ერთი, პური კოდი ერთნახევარი, ქერი კოდი ერთნახევარი, ქათამი ერთი, ერბო სტილი ხუთი, მარილი სტილი ათი" [4].

---

[1] შ. ჩხეტია, დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა, საისტორიო ძიებანი, 1950 წ., გვ. 340.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 143.

[3] ხაქ. მეხეფეი, Hd, 1365.

[4] იქვე.

ამ საბუთიდან თითქოს ნათელი ხდება, რომ „სამასპინძლო“ წლიური გადასახადი იყო და ამ გადასახადის რაოდენობა გლეხის ეკონომიურ შეძლებაზე იყო დამოკიდებული.

„ძ ღ ვ ე ნ ი“. ძღვენის შესახებ იმავე ყაფლანიშვილების დავთრებში შემდეგი საყურადღებო ცნობებია დაცული: ს. დარბაზში საკომლოს ედვა: „სააღდგომო ძღვენი: ცხვარი ერთი, ბატკანი ერთი, კვერცხი ოცი.

საშობო ძღვენი: ცხვარი ერთი, თოხლი ერთი, ქათამი სამი.

საყველიაროთ: ერბო ლიტრა ერთი, ყველი ლიტრა ერთი, კვერცხი ოცი.

სამარხო: ცერცვი ლიტრა ორი, ოსპი ლიტრა ორი, ნიუკა გალა ორმოცი“ [1].

სხვა საბუთებში გვხვდება აგრეთვე „საახალწლო“, „ნათლისღების ძღვენი“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, „ძღვენი“ ეს იყო „ბედნიერ დღეებში“ „ბატონის მოსაკითხი“, რომელიც ოდესღაც მხოლოდ პატივისცემად ითვლებოდა და შემდეგ კი სავალდებულო ხარკად იქცა.

დიმიტრი ყიფიანის აზრით გლეხს „ბატონისაგან მოეთხოვება ყოველივე შეძლებისდაგვარად, ... ჯამი თვითოს გლეხის წლიერის გარდასახადისა ეგოდენვე განსხვავდება ერთი მეორისაგან, რაოდენ განსხვავებულია ერთიერთმანეთისაგან შეძლება და მდგომარეობა გლეხისა“ [2].

რომ დიმიტრი ყიფიანი მართალი იყო და გადასახადების დროს გათვალისწინებული იყო ხოლმე გლეხის ქონებრივი მდგომარეობა, კარგად ჩანს თორნიკე ერისთავის 1822 წლის შემოსავლის დავთრიდან:

„ჯახო ხუბულურს, ამისი შვილი გაბო, უჭირავს მამის მამულისა ოთხ აბაზ უზალთუნისა და ერთი შაურისა (—95 კაპ.).

ბარჯინაშვილს ქოქო უჭირავს თერთმეტი შაურის მამული; ამასვე უჭირავს ქიტესას მამულისა, ოთხი აბაზისა და ერთი შაურისა; ამასვე უჭირავს შიოს მამულისა, სამ აბაზ უზალთუნისა; ამასვე უჭირავს თავის საბლის კაცების მამულისა სამ აბაზ უზალთუნისა და ერთი შაურისა (2 მან. 95 კაპ.).

---

[1] იქვე, უფრო დაწვრილებით იხ. გ. ჯ ა ბ უ რ ი ა ს. საკანდიდატო დისერტაცია. გვ. 218—220.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა. დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი და საგლეხო რეფორმა, საისტორიო მოამბე, 1950 წ., გვ. 210—211.

ანდრიე ბესთაშვილს უჭირავს ცხვარ ნახევრის მამული; ამასვე უჭირავს ლოლიანთ მამულისა ცხვარ ნახევარის; ამასვე უჭირავს ბაზიანთ სოფელში ცხვარ ნახევრის მამული; ამასვე უჭირავს კოკორას ახოსდან ექუსი შაურისა; ამასვე უჭირავს ჭინჭარას მამულისა ერთი აბაზის . (სულ, დ. გ). . . 5 მან.

ელიზბარ ნაროზაშვილზედ ორი კოდი პური და ქერი . . ორი მანეთი ფული . . . 2 მან.

სოსო რამინაშვილზედ ერთი კოდი პური და ქერი ორი მანეთი ფული . . . . 2 მან.

ბესარიონ ბიძიონაშვილზედ, ექუსი კოდი პური და ქერი 6. ორი მანეთი ფული . . . . . 2 მან.

არუთინა სირუნაშვილზედ მახტა ტიკისა, კომის ფული და ტომრისა . . . . . 16—50 კაპ.

აღა დურგლიშვილზედ ტიკისა კომის ფული და ტომრისა . . 16 მან.[1].

თუ აქ გადასახადი თითოეულ გლეხზეა შეწერილი, რიგ სოფლებზე სასოფლო დებულება იყო და, როგორ ნაწილდება ეს ერთიანი დებულება ცალკეულ მცხოვრებლებზე სამწუხაროდ არ ვიცით. ასე მაგალითად, „მარანას დებულებით“ კარგი მოსავლის დროს შეაწერდნენ ორმოც კოკა კულუხს, ღალას—ორმოც კოკ. პურს და ქერს, ბეგარაზე გამოსვლას ხარით, კომლზე ქათამს, ხვნაზე გამოსვლას სოფელში რამდენი გუთანიც იყო, ამასთანავე მკ: და ლეწვა. „ატენელებს, როცა კარგი მოსავალი ექმნება/თ/, შესწერდებათ ასი კოკა კულუხი; შესწერდებათ სურსათი სამოცდაორი კოდი, ორი წილი პური და ერთი წილი ქერი. ამათვე სძევს ყოველი ბეგარა (ხარით, თუ კაცით)“ [2].

აქ მოტანილი ცნობა საერისთავოს სხვადასხვა სოფლებს ეხება. აშკარად ჩანს გადასახადების მრავალსახეობა. ამასთანავე ირკვევა. რომ „უკეთესნი“ მეტს იხდიან, „უარესნი“ ცოტას. გადასახადების სიდიდეს შათზე მიცემული მამულის სიდიდე განსაზღვრავდა. „ბარჯინაშვილს ქოქოს უჭირავს ორი მანეთისა და ოთხ აბაზუზალთუნის ნამული“. „ყაზი ჩანდიშვილს ექუსი შაურის“. სოფელ ნაქალაქევში მცხოვრებნი გადასახადს იხდიან როგორც ფულით, ისე პირუტყვითაც, ხოლო ლამისყანაში, ოძისში ძეგლევში, ჟურთაში, მარანში, იკორთაში და სხვ. —პურით და ფულით. რიგ

[1] საქ. მუზეუმი, ხელთნაწერების განყოფილება, ფ. A, საბუთი 1134.

[2] იქვე.

სოფლებში კი „სძევს საკომლოზედ ნახევარი ჩარექი ერბო, კომლზედ ერთი დედალი და ხუთი კვერცხი“.

ზემომოტანილი ცნობები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქსნის საერისთავოში მცხოვრები გლეხები ერისთავის სახლს უხდიდნენ.

ნატურით: პურს, ქერს, ღვინოს (კულუხი), საკლავს, ერბოს, ქათამს, ვარიას, კვერცხს, სანთელს, თაფლს, მატყლს, ყველს და სხვ.

ფულადი გადასახადით: საკომლეს, მახტას, ყალანს, ძროხისას, ტომრისას, ტიკისას და სხვ.

შრომითი: „ყოველ საქმეში ბეგარაზედ გამოსლვა: ხარითა და კაცითა. ხენა სოფელში რამთენიც გუთანი შეებმის, ამასთანავე მკა და ლეწვა“ [1]. ზვარში ბარვა, სარის მოჭრა, შეშის ზიდვა; რიგ სოფლებს ქვევრების რეცხვაც ევალებოდა. ერთი სიტყვით, „რაზედაც დაუძახონ უნდა წავიდნენ, უარს ვერ იტყვის“. საბეგარო შრომა სეზონური იყო.

2. სახელმწიფო გადასახადები

გლეხი სახელმწიფოს წინაშე ვალდებული იყო ემსახურა „სიკვდილითა, სისხლის დათხევითა და კიდევ სხვა რიგის სამსახურითა“[2].

1660 წლის შაჰნავაზის მიერ კათალიკოზ დომენტისადმი მიცემულ სოფლის სითარხნის წიგნში ნათქვამია: „...არაფრის თანა საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები და არც სათათრო არა ეთზოებოდესრა, არა კოდის პური, და საბალახე, არა ნახირისთავი, არა პირისთავი, არა საბაზიერო, არა საჯინიბო, არა საური და არა სეფობა“ [3]. სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ სამეფო გადასახადებში შედიოდა აგრეთვე „საკომლო ბზე და ქათამი, ლაშქარ-ნადირობა, ქეშიკი, სამეჯინიბო“.

ასე რომ, გლეხის სახელმწიფო გადასახადი იყო:

კოდის პური, საბალახე, ნახირისთავი, პირის თავი, საბაზიერო, სეფობა, ლაშქარ ნადირობა, ქეშიკი, საჯინიბო და სხვ.

ჩამოთვლილი გადასახადების სიდიდის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს „დასტურლამალი“.

---

[1] საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ. ფ. A, საბ. 1134.
[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 36, საბ. 202.
[3] საქ. სიძველენი I, გვ. 255.

1. „ კ ო დ ი ს პ ე რ ი“. ეს გადასახადი ითვალისწინებდა თითო კომლზე 4 კოდ[1] პერს და ქერს[2]. ერეკლეს დროს ეს ნორმა შემცირებულა ქართლისათვის. ქართლი უხდიდა სამკოდ პერსა და ქერს. იქნებ დასტურლამალით დადგენილი ნორმა მხოლოდ სამეფო ანუ სახასო გლეხებს ეხებოდა. ეგების სათავადოს გლეხი ერთი კოდით ნაკლებს იხდიდა, რა კი მას საბატონო ვალდებულებანიც ჰქონდა[3].

2. „ ს ა ბ ა ლ ა ხ ე“ იყო გადასახადი წვრილფეხა საქონელზე სახელმწიფო საძოვრებით სარგებლობისათვის. ამის ნორმა ასეთი იყო: „ასზედ ბატკნიანი ცხუარი სამი; მშრალი ცხუარი ორი; მობალახეს შიშლიგი“...[4].

3. „ ნ ა ხ ი რ ი ს თ ა ვ ი“. ნახირის თავი, როგორც ამ სიტყვიდანაც ჩანს აიღებოდა მსხვილფეხა რქოსან საქონელზე. „ნახირის თავი სცეს დიდ სოფელს ჭარი; შუათანას—ზროხა; პატარას გამოზამთრებული; იმის დაბალს ცხუარი; თუ ერთი კომლია ორი შაური. ერთი წელიწადი უნდა შუაზედ გამოვიდეს, და მესამეს წელიწადზე აიღონ“[5].

4. „ პ ი რ ი ს თ ა ვ ი“. ეს გადასახადი ცხვრის ფარაზე ირიცხებოდა და „ასზედ ერთი საბატონოდ აიღება“[6].

5. „ ს ა ბ ა ზ ი ე რ ო“ . ეს იყო გადასახადი ქათმით მეფის ბაზიერთათვის[7].

6. „ ს ა ჯ ი ნ ი ბ ო“ გადასახადი შედგებოდა „სამეჯინიბო ბატკნისა“ და „საკომლო ბზისაგან“[8]. ლაშქარ-ნადირობას სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. იგი გულისხმობდა გლეხის პირადმონაწილეობას ქვეყნის დაცვაში.

იყო ისეთი გადასახადებიც, რომელიც წინასწარ განსაზღვრული არ იყო, მაგრამ ჟამთა მსვლელობა მოითხოვდა მის აკრეფას.

თუ ჩამოთვლილი გადასახადები საერთო სამეფოს მიხედვით საშუალო ერთეული იყო, შეიძლებოდა რომელიმე სათავადოს გლეხისათვის ეს უფრო დიდი ან ნაკლები ყოფილიყო.

ჩანს სახელმწიფო გადასახადები სათავადოზე გაუნაწილებლად მიდიოდა და მხოლოდ შემდეგ ნაწილდებოდა მცხოვრებლებზე.

---

[1] დასტურლამალი, გვ. 55.
[2] იქვე, გვ. 44.
[3] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 229, საქმე 36, სად. 202.
[4] დასტურლამალი, გვ. 73.
[5] იქვე, გვ. 65.
[6] იქვე, გვ. 67.
[7] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 24.
[8] დასტურლამალი, გვ. 41.

ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს 1771 წლის დავით ერისთავის წერილი ერეკლესადმი: „მთელს ქართლში რაც კაცი სახლობს განწესებული არის, რომ კომლზე სამი კოდი პური და ქერი უნდა მოგართვან; მაგრამ ჩემს კაცს დაბალი რომელიც არის ხუთი კოდი შეხვდება ხოლმე, და იქიდამ წავა და რომელიც პირველი კაცია, თვრამეტი კოდი შეხვდება ხოლმე თითოს კომლსა“ [1].

კოდის პურს მთის მცხოვრებნი არ იხდიდნენ.

„... ქსნის ერისთავის მთის კაცში, რომელთაც კოდის პური წინაპართ ჩვენს პაპების დროს არ სდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენ ვთხოვთ“ [2]. მაგრამ მცხოვრებნი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ წელიწადში კომლზე ორი ცხვარი, ერთი ბატკანი, და ერთი თოხლი, გარდა ამისა სამ წელიწადში — საჩუქარი „კომლზედა ერთი ხარი“ [3].

სახელმწიფოებრივ გადასახადთა კატეგორიას ეკუთვნოდა სახელმწიფოებრივი გზების, ხიდების, ციხე-სიმაგრეების შეკეთება და სხვ. ასეთ სამუშაოზე გამოსვლა სავალდებულო იყო. 1794 წელს გიორგი ბატონიშვილი გოგია ხერხეულიძესა და სახლთხუცეს ფიცხელაურს წერდა: „... ღართის კარის ხიდი წამხდარა, რომ მგზავრი ვეღარ დადის... თქვენ კომლზედ კაცი და ხარი უნდა გამოიყვანოთ, წამოუძღვეთ და ღართის კარში... ის ხიდი გააკეთოთ, უმისობა არ იქნება და არც დაგვიანება. ხარით, ცულით და სახმარის იარაღით უნდა წამოხვიდეთ. ამაში მთის კაცს საქმე არა აქვსრა, ბარის კაცი უნდა გასარჯოთ“ [4].

ტოტლებენის საქართველოში მოსვლის დროს ქსნის ერისთავებს 40 უღელი ხარის ბეგარაზე გამოყვანა შეაწერეს [5].

აქ ჩამოთვლილ გადასახადებს უნდა დაემატოს მოსახლეობის აღწერით გამოწვეული ხარჯები. აღწერა ყოველ 7 წელში ერთხელ მაინც ხდებოდა, რისთვისაც კომლი ორ შაურს იხდიდა, ბოგანო — ერთ შაურს. აღმწერ პერსონალის შენახვაც ასაწერ სოფელს ევალებოდა, ხოლო ის სოფელი, რომელიც აღმწერლების შენახვას გადაურჩებოდა მკვიდრ კომლზე იხდიდა აბაზს, ხოლო ბოგანოზე ორ შაურს [6].

---

[1] ხაქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 35, საბ. 2.2.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფ. 226, საბ. 4071.
[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ 229, დავთარი 24, საბ. 113.
[5] იქვე, დავთარი 23, საბ. 140.
[6] დასტურლამალი, გვ. 13.

სახელმწიფო გადასახადებიდან გლეხის განთავისუფლება მხოლოდ შეფეს შეეძლო. როსტომ ერისთავის ყმები ერეკლე მეორემ სამი წლით გაათარხნა. სითარხნის სიგელით პირობა მისცა, რომ „არც სალეკო, არც სათათრო, არც სხვა უბრალო ხარჯები, რომ გეთხოვებოდათ, სამწელიწადს არა გამოგერთმევათრა". მხოლოდ ვალდებული იყვნენ, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა „ქრისტიანობისათვის, თავისის ქვეყნისა და მამულისათვის და თავისის ცოლშვილისათვის" მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში [1].

მეფეს შეეძლო თავადის ყმა გაეთავისუფლებია ან მთლიანად, ან მხოლოდ რომელიმე გადასახადისაგან.

დასტურლამალის ცნობით საამილახოროში 149 კომლი თარხანი იყო, მაგრამ „ესენი საბალახოს თარხანნი არიან, სხვა გამომღები ყოველიფერი უნდა გამოიღონ" [2].

3. საეკლესიო გადასახადები

ეკლესიასა და მონასტრებს საკუთარი ყმები ჰყავდათ. ესენი გარკვეული ვალდებულებებით იყვნენ დაკავშირებულნი ეკლესია-მონასტრებთან, მაგრამ საეკლესიო გადასახადებს საბატონო გლეხებიც იხდიდნენ. წილკნის ეკლესიის ერთ-ერთ გუჯარში, რომელიც მე-18 საუკუნით თარიღდება, ვკითხულობთ: „... ალევს ღვდელს ერთ დღეს კარგი მასპინძლობა, სახუცო ხარი, ცხვარი ორი კომლზედ, დრამა შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი" [3].

4. სამოხელეო გადასახადები

გლეხი ვალდებული იყო გადაეხადა სამოხელეო გადასახადი (სამოურავო, სანაცვლო, სამამასახლისო).

სამოხელეო გადასახადი, ისე როგორც სხვა ყველა გადასახადიც, ცვალებადი იყო. სოფელ ფლავის გლეხები ვალდებულნი იყვნენ მოურავისათვის მოეხნათ, მოემკათ, ემუშავათ მისთვის სამი დღე წელიწადში, მიეცათ ყოველ ვენახიდან ერთი კოკა ტკბილი, დღესასწაულების დროს თითო ქათამი, ხუთ-ხუთი ლიტრა პური.

ყველა მოურავის საგადასახადო შემოსავალი, რა თქმა უნდა, თანატოლი არ იყო. შემოსავლის სიდიდე მოურავის სახელოს სიდიდით განისაზღვრებოდა. მოურავების შემოსავალი მოურავის სარგოს წიგნებში იყო ხოლმე აღრიცხული. ქართლის ზოგიერთი

---

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 10.009.

[2] დასტურლამალი, გვ. 14.

[3] ხახანაშვილი, გუჯრები, გვ. 51.

სოფლის მოურავის სარგოს წიგნები დაცულია და შეიძლება ამ წიგნების ცნობების საფუძველზე სათავადოს მოურავთა სარგოს ცოტად თუ ბევრად განსაზღვრაც. მაგ., სოფ. კავთისხევის მოურავს გლეხები უხდიდნენ: „გასამყრელო ჯარი ა, თავის გასამტეხლო ჯარი, მამულიანზედ ტკბილი კოკა ა, კომლზედ ქერი კოდი ა, კომლზედ თივა კონა ლ, სამასპინძლო მამულიანზედ თოხლი ა, ქათამი ა, ღვინო კოკა ა, პური კოდი ა, ქერი კოდი ა, საახალწლო კომლად ქათამი, ღვინო თვითო საღვინე, საადგომო ძღუენი. ვისაც ცხუარი ჰყავს ბატკანი; გუთანზედ ერთი დღე ხუნა, ფარცხუა, მორწყუა, მომკა, შეტანა, ერთს დღეს ბარვა“ [1].

გარდა ამ „საგლეხო შემოსავლისა“, მოურავის სარგოს შეადგენდა ათის თავი. „... ახალგორის მოურავი გახლავარ, — სწერდა არჯევან ფიცხელაური 1782 წლის 18 ივნისს გიორგი ბატონიშვილს,— რაც ახალგორი დაარსებულა, რაც თქვენგან ახალგორელთ შეეწერება, ხალხიდამ ათის თავი ჩემია და მამასახლისისა, — თუ ჩემი სარგო არ მეგოძა, მე რიღათ უნდა დავრჩე, ან რაღა მოხელე ვიქნები?“ [2]. სხვა ადგილას ნაცვლისა და მამასახლისის სარგოცაა ნაჩვენები. დასტურლამალით ბოლნისელი ნაცვლის სარგო იყო: კომლზედ ერთი ჩაფი ტკბილი, გასამყრელოდ მარჩილი, საჩექმე აბაზი, მამულის გასყიდვაში თუმანზედ ხუთი შაური, კომლზედ თითო ძღვენი და თითო სათარი შეშა. მამასახლისს ეგევე გლეხები აძლევდნენ: კომლზედ ორ ჩაფს ტკბილს, ორ მ უ შ ა ს, ქალის ქორწილზედ ერთ აბაზს, გასამყრელოდ ერთ მარჩილს, მამულის გაყიდვის შემთხვევაში ხუთ შაურს[3].

რიგ შემთხვევაში ეს „განსაზღვრული ნორმები“ ირღვეოდა ხოლმე, და მოხელეთა თვითნებობა მოსახლეობას მაჯლაჯუნასავით აწვა კისერზე. თუმცა, გიორგი ბატონიშვილი არჯევან ფიცხელაურს წინადადებას აძლევდა, რომ „შენს სარგოს აიღებდე და უსამართლოს ნურას აიღებ, ნურც არას უსამართლოს მოინდომებ“ [4]. მაგრამ თუ რამდენად ასრულებდა ამ მითითებას არჯევანი, ჩანს 1785 წელს ლამისყანაში მცხოვრებ სიხარულ მჭედლიშვილის მიერ გიორგი ბატონიშვილის სახელზე გაგზავნილ არზიდან—„...ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლესა, რომ წრეული თიბათვეში ერთი ხარი გამამიშვა გუთნიდამ (არჯევან ფიცხელა-

[1] დასტურლამალი, გვ. 45.
[2] საქ. სიძვ. II, გვ. 459.
[3] დასტურლამალი, გვ. 18.
[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 24, საბ. 109.

ურმა, დ. გ.) და გუთანიც ჩამიშალა, და არცარა მახვნევინა ... ეჭვსი კოდი პური კიდევ ჩემის ხელით მიმართმევია და ახლა კიდევ ... საამ ფიცხელაური დამაყენ/ა/ იასაულათა. ოცდა ერთს კოდს ახლ... მთხოვს და იასაული შინ მიდგას“ [1].

5. გადასახადები უცხოელ დამპყრობთათვის

ყველა ამ „შინაურ“ გადასახადებს გარდა მწარმოებელ კლასისათვის მძიმე იყო უცხოელ მოძალადეთა სასარგებლოდ გამოსაღები. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის ცნობით „ამავე ქორონიკონს (უკთ-1741, დ. გ.) მოვიდა მუმეიზი, რომელ-არს მწერალი ქვეყნისა. აღწერად ქართლისა. ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველათ ნასოფლარი სადმე იყო ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხარკი დასდვეს. აგრეთვე ამ სახით შენობა სადმე იყო დიდი ხარკი დასდვეს, ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს ვაზები, ეგრე ვაზის სათვალავს, რასაც მიხვდნენ, ვაზს ერთი ბისტი დასდვეს, სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს. ყმაწვილზე, პირუტყვზე ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს, ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო“ [2]. ამას უნდა დაემატოს ზემოთ რომ მოვიხსენიეთ, ე. წ. „სალეკო“ და „სათათრო“. სპარსნი და ოსმალნი სხვა ხარჯებს გარდა 14 შაურს ფულით იღებდნენ კომლზე [3]. უცხოელ დამპყრობელთათვის განკუთვნილი გამოსაღები მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან არა მარტო შემცირდა, არამედ მოისპო კიდეც, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში [4].

აღნიშნულ გადასახადების გამოღების შემდეგ ადვილი წარმოსადგენია გლეხის მდგომარეობა. მებატონენი ხშირად იყენებდნენ საგადასახადო ხელოვნების ურთულეს ოინებს, რათა უფრო მეტი

---

[1] საქ. სიძვ. II. გვ. 460.

[2] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა ქ. ც. II, ჩუბ. რედ. გვ. 346.

[3] ალ. ცაგარელი, Грамоты 1, გვ. 85.

[4] აქ ჩამოთვლილი გადასახადები მხოლოდ მიახლოებითია და ზუსტად დადგენა ყველა იმ გადასახადებისა, რომელსაც გლეხი იხდიდა არ ხერხდება. სახელმწიფო და უცხოელ დამპყრობელთათვის განკუთვნილი გადასახადების შესახებ სპეციალური წერილები გამოაქვეყნეს ი. სურგულაძემ (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები 6) და ვ. გაბაშვილმა (ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი III).

შემოსავალი მიეღოთ. სპეციალისტების გამოკვლევით (აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. ბერძენიშვილი) საზომი ერთეულები ხელოვნურად ისე გაზარდეს, რომ მე-18 საუკუნისათვის 10—12 ჯერ უფრო დიდი იყო წინანდელთან შედარებით [1].

III. თავადებისა და გლეხობის ურთიერთობის ზოგადი მიმოხილვა

თავადისშვილებს შორის ურთიერთობის გაუარესება ხშირად გლეხთათვის არა სასურველ შედეგებს იღებდა. როგორც ანასტასია ერისთავის მიერ სტალის სახელზე გაგზავნილ წერილიდან ჩანს (1815), ივანე და ზურაბ ერისთავები მის (ანასტასიას) კუთვნილ ყმებს აწიოკებდნენ... „რო მივაბარე, მის დღეს აქეთ აღარ მოასვენეს ის საუფროსო კაცნი და თავის თავათ ზოგთ იჭერენ, ზოგთ იკლებენ, ართმევენ და ავათ ეპყრობიან.—ახლად მომივიდა ამბავი, რომ მოსულა ჩემის მაზლის ელიზბარის შვილი იოანე ერისთავი ჩვენს საერთოს ქსნის ხეობას ცხრა ძმას და იქ მოსახლეთ ჩვენს საკუთარს საუფროსოთ მოცემულსა და საერთოს, გასაყოფთ კაცთაც დიდად აწუხებს რადმე და იკლებს“ [2]. არა იშვიათად ვხვდებით გამოთქმებს: გლეხების „აკლება“, „დაჭერა“, „დარბევა“ და სხვ.

როგორც ქსნის ერისთავების მაგალითზე დავინახეთ, ფეოდალის სახლში ჩამოვარდნილი შუღლის მთელი შედეგი მწარმოებელ კლასზე — გლეხობაზე ახდენდა დამღუპველ გავლენას. მოსახლეობა ფიზიკურად ნადგურდებოდა, ტყვედ იყიდებოდა, მეურნეობა იშლებოდა, საერთო დოვლათი იშრიტებოდა. ასეთ პირობებში გლეხის გამკითხავი მხოლოდ გლეხი იყო და ისიც, როგორც შეეძლო და რითაც შეეძლო თავის საძულველ ბატონს ებრძოდა და თავს იცავდა. ვახუშტი წერს: 1679 წელს „ისჯებოდნენ მამულსა ზედა ციცი და ძმისწულნი მისნი, ძენი ნოდარისანი წინაშე მეფისა კოჟორსა ზედა: მაშინ ციცი წარმოვიდა ტფილისს აბანოდ და დახუდენ იშიუტრუქის ხიდს ზეით ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილღაბარ ძმანი, მოჰკლეს ციცი და ივლიტოდნენ მამულსა თჳსსა: განრისხებული მეფე მიუხდათ, არამედ გაესწრნენ იგინი. ხოლო აზნაურნი, შემზრახნი მათთანა მოსწყვიტნა და მისცა მამულნი ციცის ძესავე ციცისასა“ [3].

---

[1] „კოდი“ ქსნის საერისთავოში 4 ფუთს ეღრის, სამუხრანოში და არაგვის ხეობაზე კი გაცილებით პატარაა.

[2] საქ. მუზ. ხელნაწერთა განყ. ფ Hd, საბ. 1323.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 57.

ქალანთარ ციციშვილი თავის ბიძაშვილებზე დავით და პაატა პაპუნასძეებზე ჩიოდა „ყალიჯი ალიხანს, რომ ბატონობა მიხცეს, იმ თარიღში პაპუნაშვილი დავით და პაატა იმერეთს კიკნაძეებში იყვნენ. იმ ხანათ მე ჯემწიფის კარზე დამიბარეს ანგარიშისათვინ. ჩვენი წილი ყმა რაც მყვანდა ან ქართველი, ან სომეხი, ან ურია, ან აზნაურშვილი და ან იმისი გლეხი სულ ძამის ციხეში მოვაგროვე. ალექსანდრემ თავისი საყმო მძოვრეთის ციხეში მოაგროვა“ [1]. შემდეგ აღნიშნულია, რომ დავითმა და პაატამ „სალთხუცესი ნიკოლოზ და ხოსია გულბადიშვილი გაგზავნეს იმერეთს და კიკნაძეები მოიყვანეს. ძამის ციხეს ულალატეს; გვერდწითელი გიორგი სალთხუცესი, თავიანთ ნათლიმამა მოკლეს, თავეთი ნათლიდედა, სალთხუცესის ჯალაბი, ჯაჯით მოკლეს—საქონელი გამოაჩინეო; თავისი ნათლული ციხიდამ გადააგდეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა“ [2].

პაატამ ჯერ „თავისი ნათლულის რძალი ხასათ დაისვა. იმითაც არ იქნა თავისი ნათლიმამა ამირან გვერდწითელი, თავისი ნათლიდედა, თავისი ნათლული, ის ხასა სულ ყველას მოუსვა ჭელი და თათრებს მიჰყიდა“. მათო, განაგრძობს მომჩივარი, „დასახოცი დახოცეს, გასასყიდი გაყიდეს, ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა. რაც ჩვილი ყმაწვილი იყო, რომ არავინ იყიდა ციხიდამ გადაყარეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა. რაც მონოზონი და ბერი იყო, რომ არ გაიყიდებოდა, სულ ერთს სახლში შეყარეს, ბოძები გამოუყარეს, სახლი ზედ დააქციეს და ისე უზიარებელი დახოცეს“.

ქალანთარ ციციშვილი აჯამებს დავით და პაატა ციციშვილების მინატაცებს და დავთარს ადგენს: დავთრიდან ირკვევა, რომ ციციშვილებმა (15 კომლი) აზნაურიშვილები, რომლებიც ძამის ციხეში იყვნენ ან გაჰყიდეს, ან ამოსწყვიტეს და „ამ აზნაურშვილების თავეთი და თავეთის ცოლშვილის და ყმისა ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, რაც ქონდათ, ბევრი თუ ცოტა, თეთრი, სპილენძი, ქვეშაგები, გუთნეული, ცხვარი, ძროხა, კანბეჩი, ღორი, ამათი სარჩო პური, ღვინო, ყველი, ერბო, ხმელი თუ ნედლი ამ აზნაურშვილებისა და ამათის ყმების თოფი, ხმალი, იარაღი, ტყვია და წამალი კიკნაძეებითა და ორჯონიკიძეებით აიკლო და ყათლანი უყო“.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 5048. ა.

[2] იქვე.

ასე რომ, მათ 59 კომლი აზნაურიშვილი და გლეხი საციციანოს მოაშორეს[1]. სხვა საბუთით (226, 5048) ვიცით, რომ მან საციციანოს მრავალი ხეობა (გუჯარეთი, ტბა, ალის ხეობა) დაარბია და 92 სული ტყვე გაყიდა.

ყოველივე ამის შედეგად „საციციანო ასრე გაოხრებული იყო ოთხი წელიწადი არც ხ/ვ/ნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია"[2]. არც სხვა ციციშვილები ჩამორჩებოდნენ პაატა ციციშვილს.

ზაზა ციციშვილი „ჯავახეთს წავიდა და იქიდამ ყაზახობა დაიწყო" და 54 კომლი აზნაურიშვილი და გლეხი დაატყვევა"[3].

დავით ციციშვილმა საციციანოდან 155 სული გლეხი და აზნაური გაჰყიდა[4].

გასაგებია, რომ მოსახლეობა თავაშვებულ ფეოდალებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ტერორი, სახლკარის დაწვა, გაქცევა. ხშირად კოლექტიური გამოსვლები—აი კლასთა ბრძოლის ფორმები. ასეთ მოძრაობებს ხშირად აზნაურები ედგნენ სათავეში.

როგორც აღნიშნული იყო, პაატა და დავით ციციშვილები თავს ესხმოდნენ სოფლებს და მოსახლეობა ტყვეთ მიჰყავდათ. მათ აზნაური გვერდწითლებიც, რომლებიც მათი ნათლიმამები იყვნენ, არ დაინდეს. აზნაურებმა დრო იხელთეს და დავით ციციშვილი მოჰკლეს. ამის შესახებ ქალანთარ ციციშვილი ერეკლე II-ს სწერდა: „... დავით და ჩემი აზნაურშვილები ამისი მესისხლეები შელაპარაკდნენ და იმ თავისმა მესისხლეებმა დავითს უღალატეს"[5].

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე საბუთი: იმამ ყულიხანს „... ერთი ოქმი ავალიშვილისათვინ ჭეობაში მიეწერა, ერთი ოქმიც გუჯარელებისათვის მიეწერა, ის ზაზა საცა გაჩნდესო ყაზახითაო თქვენ ულან მიჰყევითო, ან მოკვლითა და ან დაჭერით დამიჭირეთ და მამგვარეთო. მოხდომოდა წითელ პარასკევს გუჯარეთს კბილაძე აეყარა ცოლითა, შვილითა, საქონლითა; ჭეობელნი და გუჯარელნი გამოსდგომოდნენ, მისწეოდენ ჯავახეთს — ალათუბანს. იქ გამაგრებულიყო. იმას მდევარი დაეხოცა, ამათაც სროლა დაეწყოთ. ავალიშვილის ყმა ფიტარიძე/ს/ ცოლშვილი, რომ იმისგან დაყიდული ჰყვანდა იმას თოფი ეკრა და მოეკლა"[6].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბუთი 5048 ა.
[2] იქვე.
[3] იქვე, საბუთი 5048 c.
[4] იქვე, d.
[5] იქვე, საქმე, 5048.
[6] იქვე.

სოციალური კონფლიქტები და ყმათა წინააღმდეგობები საერისთავოშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს ვლინდებოდა სხვადასხვა ფორმებში — გაქცევა, მეკობრობა, ტერორისტული თავდასხმები, ხშირი მასიური თავდასხმები და სხვ.

როდესაც ერეკლე ნაზარალი ხანმა კახეთი დაიპყრო და არაგვის პირი მიიმძლავრა, გიორგი არაგვის ერისთავი დვალეთში შეიხიზნა, ყმებმა უღალატეს გიორგის და „ერისთავი მოიყვანეს ყმათავე თავისთა მაღრან დვალეთიდამ წინაშე ერეკლესა“ [1].

XVIII საუკუნის 40-იან წლებში „უკუ სდგომოდა არაგვის ერისთავს თავისი კაცნი, ამინა კობიაშვილი, ბეჟან ერისთავის დაჭერა მოენდომებინათ, ვითაც მრავალჯერ მოეკლათ ერისთავი არაგვისა“ [2]. ჩანს ამ აჯანყებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ბეჟან ერისთავმა ვერ შესძლო საკუთარი ძალებით აჯანყების ჩაქრობა და გივი ამილახვარი მოიშველია. გივიმ „იმ საქმეში რჩეულნი კაცნი სულ ერთად მოტყუებით შეყარა, დაიჭირა და პატიმარჰყო ყოველნი“ [3].

1743 წელს არაგვის საერისთავოში მასიური აჯანყება მოხდა. აჯანყებულებმა ბეჟან ერისთავი და მისი ბიძაშვილი ოტია ამოხოცეს. ერისთავიანთ სახლთაგან არავინ ინდომეს ერისთავად და თეიმურაზ კახთა მეფე მოიწვიეს. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ არც თეიმურაზი გამოდგა მათთვის სასურველი, აჯანყდნენ და „არც ბეგარას აძლევდნენ და არც მოხელე შეუშვეს“ [4].

ერეკლემ საგანგებო ზომები მიიღო, აჯანყება მახვილით ჩააქრო. ერეკლე „ჩამობძანდა გამარჯვებული ანანურს, დაიჭირა ვინცა ვინ ბეჟან ერისთავის სისხლში რეულ იყო, ზოგი გამოუგზავნა მამას და იქ ბატონმა დასთხარა თვალები და სხვა ვინც აქ დარჩა კახ-ბატონმა დასთხარა თვალები და ცოლ-შვილით აყარა და კახეთში გაისტუმრა“ [5].

ასე რომ, როცა არაგველებმა ბეჟანი მოკლეს და თეიმურაზ მეფე გაბატონეს, მაშინ ასეთი წამოწყება მეფეთათვის სასარგებლო იყო, ახლა კი იგივე პირები მებუნტეებად ჩაანან და ისინი აღარ ანიან საჭირონი მეფეთათვის.

---

[1] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 66.
[2] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 356.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 390.
[5] იქვე.

ქსნის საერისთავოს გლეხებიც არა ერთხელ აჯანყებულან ერისთავების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ იესე ერისთავი (XVII საუკუნის II ნახევარი) და დათუნა ერისთავი (XVIII ს. დამდეგი) ქვეშევრდომებმა ამოხოცეს. ყურადღებას იპყრობს ქსნისხეველების საერთო თხოვნა, რომელიც მუქარასაც შეიცავს ერისთავებისადმი. ეს თხოვნა 1811 წელსაა დაწერილი. საინტერესო აქ ისაა, რომ მოსახლეობას შეუძლია გაერთიანდეს, როცა ეს საჭიროა იმისათვის, რომ ერისთავთა ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც მოსახლეობის მშვიდობიან ცხოვრებას საფრთხეს უქმნიან, ჩაშალოს. „... მერე ამას მოგახსენებთ, ჩვენი ვედრება ეს არის და მოხსენება: ამტოლი სული ხალხი, ქართველი და ოსი და სომეხი ამას გევედრებით და მოგახსენებთ, რომ ჩვენი მოხსენება შეისმინოთ, თქვენი ძმა მიხეილიც დაიბაროთ, სამთავ, რომელიცა გნებავთ, გამოარჩიოთ, და მობძანდეთ და იყოს ერთი უფროსი ვითხოვთ წყალობას: ესა ჩვენი ვედრება შეისმინოთ. ხემწიფის თავს ვფიცავთ, რომ ჩვენგანა გაყოფა არა იქნება და არცა გავიყოფით. ნუ გინდათ, რომ ერთმანერთსა შევ/ე/ხოცოთ, და ჩვენს ცოდვაში ნუ დგებით“[1].

მართალია, მსგავს მოვლენებს სხვა სათავადოებშიც ვხვდებით და ეს გასაგებიცაა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს საკითხის დამუშავება ცალმხრივ ხასიათს არ ატარებდეს.

რა თქმა უნდა, აქ განხილული საბუთები სრულიადაც არ გვაძლევს ისეთი დასკვნის უფლებას, თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება, როგორც, სამწუხაროდ, ზოგიერთებს ეგონიათ, ხელს უწყობდა ფეოდალთა თავაშვებულებას. თითქოს არ იყო არავითარი კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ი ცხოვრება, გარდა თავაშვებული ძალადობისა. უცხოელი მოგზაურები, თუ საქართველოში გარკვეულ დავალებებით მოსულნი, აგვიწერენ ხშირად ქართლის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ბევრი მათგანი იმდენად ტენდენციურია, მიუხედავად ზოგი ცნობების დიდი ღირსებისა, რომ ადამიანს, რომელმაც სხვა წყაროებით არ იცის იმდროინდელი საქართველოს ნამდვილი სურათი, შეიძლება სრულიად ყალბი წარმოდგენა შეექმნას.

ქართული ფეოდალური ურთიერთობა თავისებურია. იგი ბევრ რამეში განსხვავდება დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ქვეყნების ფეოდალიზმისაგან. საქართველოში ტრადიციული თუ წერილობითი დებულება არსებობდა, რომელიც აწესრიგებდა ყმისა და

---

[1] საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. Hd ფ. საბ. 1375.

ბატონის ურთიერთობას, მას საბუთებში „ბატონყმობის რიგი", ან „დებულება" ეწოდება. „ბატონყმობის რიგი" უნდა დაეცვა როგორც ყმას, ისე ბატონსაც. თუ რომელიმე მათგანი (ყმა თუ ბატონი) ბატონყმობის რიგს არ შეასრულებდა საქმეში ერეოდა ხოლმე მეფის ხელისუფლება. პაატა მამაცაშვილმა ერეკლე მეორესთან უჩივლა თავის ყმას — „ბატონყმობის რიგს" არ ასრულებსო. ამის გამო გლეხის მიმართ ერეკლემ ბრძანა — „ეს შენი ბატონი ასე რომ გიჩივის, ასე უნდა ჩცოდე: თუ ამისი ან დებულება რამ გაქვს და ან რისა შემძლებელი ხარ, შენის შეძლებით ამას არ მსახურობ და კიდეე აჩივლებ, იცოდე, დიდად გარდაგახდევინებთ და კიდეც გაგახეიბრებთ"[1]. ამავე დროს მკაცრი ბატონის მიმართაც ცენტრალური ხელისუფლება ბრძანებდა — „შაღავათით მოექეც და რიგიანათ, რომ აღარ იჩივლოს, შენც გამოგადგეს და შენს შვილსაცო"[2]. ან კიდევ — „შენს სარგოს აიღებდე და უსამართლოს ნურას აიღებ, ნურც არას უსამართლოს მოინდომებ"[3]. მეფის ხელისუფლების ასეთი ღონისძიებები ისევ თვით ფეოდალთა ინტერესებიდან გამოდიოდა — ფეოდალური სისტემა მოითხოვდა ამას.

აბრიგად, ბატონისა და ყმის ურთიერთობა გარკვეულ ვალდებულებებს ემყარებოდა და ამ ვალდებულების შესრულებას ცენტრალური ხელისუფლება აწესრიგებდა, თვალყურს ადევნებდა.

თვით ფეოდალებსაც, რა თქმა უნდა, „საბატონყმო რიგში" ცვლილებები შეჰქონდათ, მაგრამ ცვლილებები იმ მოცულობით უნდა ყოფილიყო, რომ გლეხში არ ჩაეკლათ მეურნეობის წარმოების სტიმული. რომ მართლაც ეს ასე იყო მტკიცდება იმით, რომ გლეხები ქონებრივად განსხვავდებოდნენ. იყვნენ: „საუკეთესონი", „საუარესონი" — „საშუალონი".

რაც შეეხება ყმათა ყიდვას, გახეიბრებას, აკლებას, დარბევას, აწიოკებასა და სხვ., ეს მოვლენები დამახასიათებელი იყო ყველა ქვეყნის ფეოდალური წყობილებისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. ამის გარეშე ფეოდალიზმი არც წარმოიდგინება, რადგან ყმის პიროვნებაზე ბატონს ხელი მიუწვდებოდა.

---

[1] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთარი 46, საბ. 102.
[2] საქ. სიძ. II, გვ, 460.
[3] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთარი 24, საბ. 109.

ვიმეორებთ, თავადური სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ყველა ის საშინელებანი, რომლის შესახებ ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება დაშლილი იყო და ყველა ერთმანეთს ისე უყურებდა, როგორც მგელი ცხვარს.

ყმის შრომის გარეშე ფეოდალს ცხოვრება არ შეეძლო.

რომ მარტო ციციშვილები ყოფილიყვნენ საქართველოში, მაშინ საქართველო აღარ გადარჩებოდა. საქართველოში ციციშვილების გარდა იყვნენ არჩილ მეფეებიც, ვახტანგ მეექვსეებიც, ერეკლე მეორეებიც. მათ ესმოდათ, რომ თუ ამოსწყდებოდა გლეხი კაცი საქართველო დაძაბუნდებოდა, და ამიტომ იყო, რომ თავადისა და გლეხის ურთიერთობაში ისინი აქტიურად ერეოდნენ. გლეხის გაქცევის პასუხისმგებლობა ერეკლემ თავადს დააკისრა. კარგად მოექეცი და არსად გაგექცევაო,—ეუბნებოდა იგი თავადს. ერეკლემვე აკრძალა გლეხის უმიწოდ გაყიდვა, ოჯახის წევრების ცალკ-ცალკე გაყიდვა და სხვ.

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავდა, რომ ერეკლე გლეხთა მეფე იყო. იგი ფეოდალთა მეფე იყო და სწორედ ფეოდალთა ინტერესი მოითხოვდა, რომ გლეხი „ნორმალურ" პირობებში ჩაეყენებიათ.

ამხანაგი სტალინი წერს: „რა თქმა უნდა, მართალი არ არის, რომ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის არსებობის გამო საზოგადოება თითქოს დაიშალა კლასებად, რომლებიც ერთმანეთთან ეკონომიურად დაკავშირებული აღარ არიან ერთ საზოგადოებაში. პირიქით. სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ბურჟუები და პროლეტარები დაკავშირებული იქნებიან ერთმანეთთან მთელი ეკონომიკით, როგორც ერთიანი კაპიტალისტური საზოგადოების ნაწილები. ბურჟუები ვერ იცხოვრებენ და ვერ გამდიდრდებიან თუ თავიანთ განკარგულებაში არ ეყოლათ დაქირავებული მუშები; პროლეტარები ვერ იარსებებენ, თუ კაპიტალისტებს არ მიექირავნენ. მათ შორის ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა ნიშნავს ყოველგვარი წარმოების შეწყვეტას, ხოლო ყოველგვარი წარმოების შეწყვეტა იწვევს საზოგადოების დაღუპვას, თვით კლასების დაღუპვას. გასაგებია, რომ არც ერთი კლასი არ მოისურვებს თავის მოსპობას. ამიტომ კლასობრივმა ბრძოლამ, რარიგ მწვავეც უნდა იყოს იგი, არ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაშლა" [1].

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954 წ., გვ. 16—17.

ამხანაგ სტალინის ეს დებულება მთლიანად და სავსებით გავრცელდება ფეოდალურ ურთიერთობაზე საერთოდ და ქართულ-ფეოდალურ ურთიერთობაზე კერძოდ.

IV. დამოკიდებულება თავადებსა და აზნაურებს შორის

სანამ უშუალოდ საკითხს შეეხებოდეთ და სათავადოში აზნაურის ადგილს გავარკვევდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია პატარა ექსკურსი გავაკეთოთ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილად ითვლება, რომ „აზნაურის“ თავდაპირველი მნიშვნელობა „თავისუფალი“ იყო. ხოლო შემდეგ ამ ტერმინს სოციალური ცნების გამომხატველი შინაარსი გაუჩნდა. უეჭველია, რომ იაკობ ცურტაველის ნაშრომში (შუშანიკის წამება) ნახმარი აზნაური სოციალური ცნების გამომხატველია. ამავე დროს აქ მკაფიოდ არის თვით ეს „აზნაურიც“ გაყოფილი. ე. ი. ამ ცნებაშიც ცვლილება მომხდარა; გვაქვს გამოთქმა „აზნაურნი დიდდნი“. „აზნაურნი დიდდნი“ იმას ნიშნავს, რომ მის საწინააღმდეგო ცნებაც არსებობდა ე. ი. იყვნენ აზნაურნი მცირენიც.

შემდეგ ხანაშიაც „აზნაური“ დიფერენცირებული იყო. წყაროებში გვხვდება: „დიდებული აზნაური“[1], „ნათესავით აზნაური“, „აზნაურნი მოსაკარგავენი“. ძველი წყაროების მონაცემებით აზნაურები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან კუთვნილების მიხედვითაც. იყვნენ მეფის, ეკლესიის, ერისთავთ-ერისთავების[2]. გვხვდება ასეთი დაყოფაც: აზნაურნი „ციხეთა უფალნი“ და „უციხონი“.

თავისებურია, საერთოდ, აზნაურთა უფლების ისტორიაც. უმეფობის ხანა ან ქვეყნის საგარეო და საშინაო პირობების გართულება აზნაურების აღზევებისათვის სათანადო პირობებს ჰქმნიდა.

საერთოდ, აზნაურის (და არა მარტო აზნაურის) წარმოშობილობა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, ცხადია გავლენას ახდენდა ამა თუ იმ აზნაურის როლზე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართული ფეოდალური სისტემის საფუძველი ისე იყო მოწყობილი, რომ ესა თუ ის სოციალური კატეგორია ჩამომცრობილი

---

[1] გ. მერჩული, ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ქრესტომათია, ყუბანეიშვილის რედ., წ. 1, გვ. 107.

[2] უფრო დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართ. ისტორია, წ. მეორე, ნაკვ. I, 1928 წ., გვ. 26—40.

იქნებოდა, თუ იგი გარკვეული დროის განმავლობაში ვერ შეინარჩუნებდა თავის მდგომარეობას.

ბექას კანონების მესამე მუხლით დადგენილი იყო, რომ კაცს სისხლი უმცირდებოდა თუ იგი სამი თაობის განმავლობაში ეკონომიურ დამცრობას განიცდიდა[1] და პირიქით.

ეკონომიური აღზევება ადამიანის პოლიტიკურ აღზევებასაც იწვევდა.

ამ საფუძველზე აზნაურთა სოციალური ფენა თანდათან დაიშალა. ამ ამბავმა სრული ასახვა ჰპოვა ბექას კანონებში. ამ კანონის მეორე მუხლი აზნაურზე მაღლა აყენებს დიდებულს, რაც იმის მაუწყებელია, რომ სოციალურად დიდებული მაღლა დგას აზნაურზე. მეტიც, თუ მანამდე ჩვენ გვქონდა რეალური შინაარსის მატარებელი გამოთქმა „დიდებული აზნაური“ და ეს „დიდებულება“ მხოლოდ გარკვეულს თანამდებობის პირებს ჰქონდათ, ახლა „დიდებულება“ სოციალური შინაარსის შემცველ ტერმინად ქცეულა და ამ ღირსების მატარებელი უკვე დაშორებია აზნაურს.

აზნაურს თავისი ნიშნები გააჩნდა, რომლითაც ის განსხვავდებოდა დანარჩენი სოციალური ფენისაგან. ვახუშტი წერს: „აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძალედვას გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მათთა გაწყობილებითა, და თუნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“[2].

ბექა-აღბუღას კანონებიც (მუხ. 9) სააზნაურო საქმეებად უმთავრესად სალაშქრო სამსახურს თვლის[3].

ვახტანგის კანონები აზნაურებს სამ ჯგუფად ჰყოფს: „გადიდებული აზნაური“, „შუა აზნაური“ და „ცალმოგვი აზნაური“[4]. ამგვარ დაყოფას, ჩანს, აზნაურის ქონებრივი მდგომარეობა ჰქონდა საფუძვლად.

აზნაურები, კუთვნილების მიხედვით, გვიანფეოდალურ საქართველოში, სამ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: სამეფო აზნაურებად, საეკლესიო აზნაურებად და თავადის აზნაურებად.

XIX საუკუნის ოციან წლებში საქართველოს უმაღლეს მთავრობაში დიდხანს კამათობდნენ იმის შესახებ, რომ დაედგინათ

---

[1] დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრესტომათია, ნაწ. I, 1863 წ., გვ. 209.
[2] ვახუშტი, აღწერა, გვ. 14.
[3] დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, ნაწ. I, გვ. 210.
[4] იქვე, ნაწ. II, 1846 წ., გვ. 403.

თავადთა აზნაურები ეკუთვნიან გაბატონებულ კლასთა კატეგორიას, თუ ისინი მიიჩნევიან ჩვეულებრივ გლეხებად. 1822 წლის 16 მარტს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებამ საჭიროდ მიიჩნია აღენიშნა, რომ ძველს აქტებში არ არისო ცნობები თავადისა და ძეფის აზნაურებია უფლებრივი განსხვავების შესახებ. ამ წარდგინებაში ბევრი საინტერესო ცნობაა აზნაურის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. იქ ნათქვამია, რომ აზნაურს უფლება ჰქონდა ერთი თავადიდან მეორესთან წასულიყო, ან მეფეს ყმობოდა, ოღონდ ასეთ შემთხვევაში ყმა-მამულს ძველ ბატონთან დატოვებდა[1].

1825 წელს უმაღლესმა მთავრობამ გენერალ ერმოლოვს წარუდგინა განმარტება აზნაურებზე თავადების უფლებების შესახებ. აქ მხედველობაშია მიღებული:

1. როდესაც მეფე თავის ქალიშვილს ან დას რომელიმე თავადზე ათხოვებდა, აზნაურებს მზითვად ატანდა.

2. ამა თუ იმ თავადს მეფე ყმა-მამულს რომ უბოძებდა, ამ ყმა-მამულში აზნაურებიც ერიენენ.

3. ძნელბედობის დროს აზნაურები თვითონ მიდიოდნენ თავადთან.

ასე ეჩვენებოდა მთავრობას თავადთა აზნაურების ზრდის წყარო. რაც შეეხება აზნაურების ვალდებულებებს, ქართველმა თავადებმა მთავრობას დაუმტკიცეს და საამისო საბუთებიც წარადგინეს, რომ აზნაურებს ისინი უყურებდნენ, როგორც ჩვეულებრივ ყმებს, კერძოდ: 1. გაყრის შემთხვევაში აზნაურებსაც იყოფდნენ; 2. გაპირვების შემთხვევაში გლეხების მსგავსად აზნაურებსაც ჰყიდიდნენ; 3. როცა თავადი ქალიშვილს ათხოვებდა აზნაურს მზითვად ატანდა; 4. აზნაურის ყმა თავადს ისევე ემსახურებოდა, როგორც დანარჩენი ყმები; 5. ლაშქრად წასულ თავადს თანახლდნენ მისი აზნაურები. ერთი სიტყვით კრებამ დადგენილად ჩათვალა, რომ „Княжеские дворяне помещикам своим служили всячески так, что находились безотлучно при своих помещиках и их детях и служили или дома или в походах всеми услугами, от коих не могли отказаться, отдавали дочерям своим приданое без имения; сверх того, если помещикам нужны были деньги, то крестьяне их дворянина служили им деньгами, ровно делали

[1] Акты VI, ч. 1, зд. 117.

они раскладку и брали в казну сурсат в числе своих крестьян и с мужиков дворян им принадлежащих"[1].

1801 წლის აპრილში რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართველი ელჩების მიერ წარდგენილი ნოტის მერვე მუხლში ვკითხულობთ: „თვითეულთა მეფისძეთა, და თავადთა, ყოველად სამღვდელოთა საქართველოსათა ჰყავდათ აზნაურნი საკუთრად, რომელთაგანაცა მათ აქვს მიწა მიცემული, რომელსაცა ზედა არიან გლეხნი დასახლებულნი, და მუნ ცხოვრობენ იგინი და არა რომელსამე შეიწროებასა მიმღებლობენ მათ თავადთაგან; ხოლო ჟამსა ბრძოლისასა წინააღმდგომად მტერთა ყოველივე სრულებით თვითოეულად მასთან წარვლენ ბრძოლასა შინა და ესრეთვე ჟამსა ნადირობისასა, და ანუ თუ ჟამსა მასპინძლობისასა მათთანვე იმყოფებიან სრულებით, და სახლთა შინა მათთა ვითარცა აზნაურნი ერთბაშად მათთანა ერთსა ზედა ტრაპეზსა განსცხრებიან და ოდეს რომელიმე მათგანი არღა ინებებს უმეტეს ყოფად ჯფალთა მათთანა, მაშინ ვითარცა აზნაური დაუტევებს მიწასა მათსა და სოფელსა და წარვალს თვისით სახლეულობით სხვისადმი"[2].

ეს საბუთიც ამტკიცებს, რომ აზნაურებს ყმა-მამული თავადისაგან აქვთ მიცემული; ლაშქრობა-ნადირობის დროს აზნაურები თავადს ახლავთ, აზნაურებს შენარჩუნებული აქვთ პირადი თავისუფლება, მათ შეუძლიანთ წავიდნენ ვისთანაც უნდათ.

საარქივო მასალები საშუალებას გვაძლევს თავადისა და აზნაურის ურთიერთობის ფორმები უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ, მაგრამ ჯერ ცალკეული სათავადოების აზნაურების შესახებ მოვიტანთ მასალებს და შემდეგ მოვახდენთ ამ მასალის განზოგადოებას.

ქსნის საერისთავოს აზნაურები

ქსნის ერისთავთა აზნაურები იყვნენ:

1. ლოლაძეები
2. თულაშვილები
3. ჩუბინაშვილები
4. გარაყანიძეები
5. იმერლიშვილები
6. კორინთელები
7. მამულაშვილები
8. ეურულნი
9. ფიცხელაურები
10. ფურცელაძეები
11. მაჭავარიანები
12. ჯაფარიძეები

---

[1] Акты, VI ч. I, გვ. 125.

[2] ბ. ცაგარელი, Грамоты, ტ. II, ნაწ. I, გვ. 202.

13. ხრესელნი
14. ლონგულაშვილები
15. ჩერქეზიშვილები
16. ტატიშვილები
17. ხმალაძეები
18. უთნელიშვილები
19. ფავლენიშვილები
20. ალექსიშვილები
21. ბასილიშვილები
22. ძამელაშვილები
23. კობახიძეები
24. განძიელნი
25. მახატელნი
26. ბეგიაშვილები
27. კაჭკაჭიშვილები
28. ელისაშვილები
29. აბულაძეები.

როგორია აქ ჩამოთვლილი აზნაურების ურთიერთობა ერისთავებთან?

ეს აზნაურები წვრილი მფლობელები არიან. მათ გააჩნიათ ყმა და მამული, ამით ისინი განსხვავდებიან სხვა უფრო დაბალ სოციალური ფენებისაგან, მაგრამ ისინი ამავე დროს თვითონაც ყმები არიან ერისთავებისა. მათ ყმა-მამულზე და მათ პიროვნებაზეც ერისთავებს ხელი მიუწვდებათ. ამით ისინი უახლოვდებიან სხვა სოციალურ ფენებს. აზნაურს არ შეუძლიან თავისი ყმა-მამული თავადის დაუკითხავად გაყიდოს.

ბეჟან ფიცხელაური ლეკებმა დაატყვევეს, ფული დასჭირდათ, საჭირო გახდა მამულის გაყიდვა. ბეჟანის დედა დავით ერისთავთან მოვიდა და ნებართვა სთხოვა, დავითმა ნება დართო და ამის შემდეგ მიწა უმიკაშვილს მიჰყიდეს. ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ:

„... მე, ბეჟან, ლეკისაგან დავსტყვევდი... მისულიყო დედაჩემი ბატონებს შეხვეწოდა მამულის გასყიდვას და ჩემს დაკსნასა; დასტური დაეცათ...“ [1].

ამავე სიგელზე მიწერილია: „ჩვენ ერისთავის დასტურით გაყიდა და იყიდა“.

აზნაურები ერისთავის სახლში სხვადასხვა მოვალეობას ასრულებდნენ. ისინი იყვნენ ერისთავთა მოურავები, სალთხუცესები, ბოქაულთხუცესები და სხვ.

„სამემკვიდრო“ მამულის შემოსავალი, სამოხელეო სარგო, ერისთავების მიერ ნაწყალობევ-ნაბოძები, შეადგენდა აზნაურთა შემოსავლის ძირითად წყაროს. საერისთავოში აზნაურთა გვარები ერთი წონისა არ ჩანან. ამ სათავადოს საქმიანობაში უფრო აქტივობდნენ ფიცხელაურები და ფურცელაძეები. ფიცხელაურები

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 226, საბუთი 2452.

ახალგორის მოურავები იყვნენ, ხოლო ფურცელაძეები — პატარა ლიახვისა. აზნაურები ცდას არ აკლებენ რათა ყმა-მამული გაეზარდათ. ამ მსრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა არჯევან ფიცხელაური, რომელმაც ხელში ჩაიგდო დიდძალი მიწები, სოფელ ოკოთში ააგო კოშკი და შემოარტყა გალავანი.

ხშირი იყო აზნაურების ბრძოლა თავადების წინააღმდეგ. ფიცხელაურები ყოველთვის ერისთავების მოწინააღმდეგე ძალას ემხრობოდნენ. 1777 წელს ერეკლემ ქსნის საერისთავო გააუქმა, ამ საქმეში საუკეთესო დასაყრდენს სწორედ ფიცხელაურები წარმოადგენდნენ. ცნობილია აგრეთვე თუ როგორ თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდა დოსითეოს ფიცხელაური ერისთავების წინააღმდეგ მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში.

ერისთავებს ებრძოდნენ აგრეთვე თულაშვილები და სხვ. 1790 წელს ბატონიშვილმა იულონმა თულაშვილს წიგნი მისცა: „...ქსნის ერისთავისშვილებმა, როსტომ და იმისმა ძმებმა, შანშემ და იმისმა ძმებმა ჩვენ გვიმუხანათეს, ზოგნი ახალციხეს გაიქცნენ და ზოგნი იქავ უკუ დგნენ და ციხეები გაამაგრეს... შენ იმათთან იყავ, მაგრამ ამ ამბებში მწეე ერთგულად დაგვრჩი და შენის შეძლებისაებრ კარგად გვემსახურე“ [1].

ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ თ ა ა ზ ნ ა ურ ე ბ ი ი ყ ვ ნ ე ნ:

1. კობიაშვილები
2. ჭილაშვილები
3. შაბურიშვილები
4. ტერიშვილები
5. ზანდუკელები
6. ჩქარეულები
7. ქუტიაშვილები
8. ჩოფიკაშვილები
9. ნადიბაიძენი
10. ღუდუშაურები
11. ყარანგოზაშვილები
12. ჩრდილელები.

ისე, როგორც ქსნის საერისთავოში აქაც აზნაურები წვრილი მფლობელები იყვნენ და ერისთავის ყმებს წარმოადგენდნენ. 1698 წელს ბაინდურ ერისთავმა და მის ძმებმა შაბურიშვილს წიგნი მისცეს: გიბოძეთ „... თქვენ ჩვენს აზნაურიშვილს შაბურიშვილს ოთიას.. მოგვიდექით კარსა და წყალობას დაგვიჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ საკარეულოსა ნაქონი ვენახი“ [2].

ოთარ არაგვის ერისთავმა და მისმა ძმებმა წყალობის წიგნი მისცეს საამ კობიაშვილს და მის ძმებს: „.. წყალობას გვეაჯენით,

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 23, სად. 162.
[2] ხაქ. მუზეუმი, ხელნაწ. ჯანკ. ფ. Нд. 2362.

ეისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ მლაშეს სამი კომლი"[1].

„ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, არაგვის ერისთავმან პატრონმა ბარძიმ (თქვენ დავითაშვილს?). ასე, რომ მოხვედით კარსა დარბაზისასა ჩვენისასა და თქვენის ბიძაშვილის ყმასა და მამულსა გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება, თქვენი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენის ბიძაშვილის გოგიას ბეითალმანი მამული, ამ საქმითა, როგორც ბატონის მამისჩემის დროში შენი მამული გქონია, იმ საქმითა მოგეცეს და გიბედნიეროს ღმერთმან, ჩვენს ერთგულებასა და სამსახურსა შიგან" [2].

მოტანილი საბუთებიდან ჩანს, რომ ყმა-მამულს წყალობად ერისთავებისაგან ღებულობდნენ აზნაურები, მაგრამ ამავე ერისთავებს შეეძლოთ ყმა-მამული წაერთმიათ თავიანთ აზნაურიშვილებისათვის.

ბუჩაშვილი კობიაშვილის მკვიდრი ყმა იყო, ბარძიმ ერისთავმა ბუჩაშვილი ანანურის ეკლესიას შესწირა[3]. ერეკლემ ბაბანა ჭილაშვილს სამი კომლი ყმა მისცა და სიგელში აღნიშნა: „ძველთაგან შენი ყმები ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან მომკდარიყო, რომ არაგვის ერისთავისშვილებს გამოერთმევინა" [4].

1799 წლის აღწერით მუხრანბატონებს ეკუთვნოდა აზნაურები — რატიშვილები, ზედგინიძეები, მუსხელიშვილები, ქავთარაძეები, ელიოზიშვილები, ბაქრაძეები, ნათიშვილები, ნასიძეები, ჭიჭინაძეები, შალიკაშვილები, ნინიაშვილები, ვაჩიანიძეები და მესხიშვილები[5].

სათანადო მასალათა შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ საამილახოროში შედიოდნენ აზნაურები: ზედგინიძე, ქარუმიძე, ყანჩიელი, ჩიკოიძე, ბასილაშვილი, ლიპარიტისშვილი, ტარსიაჭასშვილი, ზაალისშვილი, თუხარელი, ალექსიშვილი, მურაჩაშვილი, ციმაკურიძე, თექთურმანისძე, კუპატაძე, პატისშვილი, კაპანაძე, იაღლუზიშვილი.

აზნაურები აქაც წვრილი მფლობელები იყვნენ, მათ ჰქონდათ მეტ-ნაკლები რაოდენობის ყმა-მამული. მაგრამ ამ ყმა-მამულზე მათი უფლებები ერთგვარად შეზღუდული იყო. იგი თავის მამულს

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 1548.
[2] იქვე, დავთარი 34, საბ. 97.
[3] იქვე, ფ. 226, საბ. 3251.
[4] იქვე, ფ. 229, ხაქმე 12, საბ. 70.
[5] საქ. მუზეუმი, ფ. S, 3729.

ამილახორის დაუკითხავად ვერ გაასხვისებდა. „ესე წიგნი მოგართვით თქვენ ბატონს ჩემს ამილახვარს ოთარს, მე სოლომონ პატისშვილმა, ასე რომე თუ უთქვენოთ მამული გავყიდო, როცა დამჭირდეს, და თქვენ არ შეგატყობინოთ და ისე გავყიდო, ჩემს ყმასა და მამულზე ხელი ამაღებინეთ და უცოდავი ბრძანდებოდეთ, არის ამის მოწამე მაჩაბელი დავით“ [1]. საბუთი 1797 წლის 29 სექტემბრით თარიღდება. მაგრამ, თუ აზნაური იმავე საამილახოროს აზნაურს მისცემდა თავის ყმას, მაშინ მას შეეძლო ამილახორის დაუკითხავადაც მიეცა, რადგან ამ შემთხვევაში ამილახორი არაფერს არ ჰკარგავდა. აზნაურის მოვალეობა ამილახორის კარზე მრავალგვარი იყო: იგი ამა თუ იმ თანამდებობას ასრულებდა (მოურავი, სალთხუცესი, ნაცვალი და სხვ.), სამხედრო წყობისას ამილახორს უნდა ხლებოდა, ამილახორის მოთხოვნისას უნდა მიეცა ამილახორისათვის მსახურ-მხლებლები, ძღვენ-გადასახადები ეძლია.

აქ მოტანილ მოსაზრებათა დასასაბუთებლად მივმართავთ დოკუმენტებს.

1. ბიძინა ყანჩელმა შვილებით ფიცი და პირი მისცა თავის ბატონს გივი ამილახორს „... ჯელმწიფის ბრძანებითა და ქართველთ პირობით ტყვის აღთქმა-დათობა/?/ იქნა და თქვენ ჯელმწიფესა და სვეტცხოველს დაუდევით საფიცარი ტყვის გაუსყიდლობისა; ჩვენ თქვენის ყმის თავდებობისა, ჩვენ თქვენ მოგართვით, თუ დღეს ამას იქით, ჩვენ ან გავყიდით და ან გავსცეთ და ან გავაურჯულოთ, თავად ვიყენით (sic) ღვთისა და სვეტისცხოელის შემცოდე და მერმე თქვენი შემცოდე და მესისხლე და თქვენდა ღალატად და თქვენის ძმების სიკვდილად მოგვიკითხეთ და გარდაგვაკდევინეთ, თუ დღეს ამას უკან ეს წიგნი არ გავათაოთ თუ თქვენვე არ გამოგვართო და თქვენ არ მოგართოთ, არც გავსყიდოთ და არც გავსცეთ“ [2].

2. იოთამ ამილახორმა 1616 წელს დავით თექთურმანიძეს სიგელი მისცა: „... ყოველთავე მას ეამსა ოდეს მოგვადექით კარსა და მამულისა წყალობასა გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შაგიწყალეთ და გიბოძეთ სამკვიდროდ და სამამულოდ მურაჩაშვილი თავისის მამულით“[3]. ამოწყვეტილი აზნაურის მამული

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი. 226, 4051.

[2] საქ. მუზეუმი, Hd, 2150.

[3] იქვე. Ad, 1388.

ამილახორის განკარგულებაში გადადიოდა და მას შეეძლო ეს ნამული სხვისთვის მიეცა. ალექსანდრე ამილახორისშვილმა აზნაურ კაპანაძეს წიგნი მისცა: „... ვინადგან ესე აზნაურშვილნი ჩვენნი იალღუზიშვილები ამოწყდნენ და დაშთა მამული მათი ბეითალმანად ჩვენდა, ჩვენცა ჯელი გვეწიფებოდა, ამისათჳს ყოველითა გულსავსებითა მოგვიცია შენთვის“ [1].

ისე, როგორც თავადი სამეფოში, აზნაურიც სათავადოში საერთო მოვლენების გარეშე არ დგას და როცა ამილახორსა და ამილახორისშვილებს შორის ურთიერთ მტრობა-შუღლი ჩამოვარდებოდა, სახლში ცალკეული დაჯგუფებები წარმოიქმნებოდა, აზნაურებიც დროს პოულობდნენ და ცდილობდნენ ამა თუ იმ ჯგუფის მიმხრობით პირადი სარგებელი ენახათ. ამ ორთა ბრძოლაში ვინც დამარცხდებოდა მისი აზნაურებიც, ნებით თუ უნებლიედ, მის ხვედრს იზიარებდნენ. როდესაც ზაალსა და ავთანდილ ამილახორისშვილებს მტრობა ჩამოუვარდათ /XV-ს/აზნაურები ზაალთან მივიდნენ და მამულის მომატება სთხოვეს, სამაგიეროდ ავთანდილთან მტრობაში თანადგომა აღუთქვეს.

ამის შესახებ თვით ავთანდილი ამბობს: „სოლაღას პირითა ასრე შემოეთვალა, ვითა, ჩვენი აზნაურისშვილები ამას გვეუბნებიან: ჩუენ მამული მოგუეციო და მოგუიმატეო და მას უკან ის ჩუენი და ავთანდილისი ადვილი არისო“ [2].

ასე იყო მომდევნო საუკუნეებშიც.

ანდუყაფარ ამილახორისშვილმა ტარსაიჭაშვილს დათუას სიგელი მისცა: „ყოველთავე მას ჟამსა ოდეს მოგჳდეგით კარსა და მამულის წყალობას გვაჯენით, ჩუენ ჳსმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და უწინაც ბევრ ნამსახური იყაჳთ და ახლა ასე მოგჳკდა საქმე, რომ ჩუენის მამულიდამ გარდმოვსცჳდით და თქვენც თან გარდმოყევით და თავდადებით გვემსახურენით, ჩვენის გულისთჳნ წაჳდით“ [3].

ამ საბუთიდან აშკარაა, რომ აზნაური, რომელიც ანდუყაფარს ემხრობოდა, ანდუყაფარის ჯგუფის დამარცხების გამო დაზარალდა, ხოლო როცა კვლავ დრო დაუდგა და ამ ჯგუფმა გაიმარჯვა, აზნაურმაც დაიბრუნა მდგომარეობა.

მსგავსი მდგომარეობა ჰქონდა გორის ნაცვალს გარსევან ჭარუმიძესაც. იგი გივი ამილახორს ემხრობოდა, ხოლო გივის მტერი

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, სიბ. 5714.

[2] მასალები I, 1937 წ., გვ. 46.

[3] საქ. მუზეუმი, Ad, 1203.

იყო გოჩიაშვილი, იგი იოთამს რჩეობდა. ამიტომ გივი ამილახორმა გოჩიაშვილი დააღარიბა და მისი ყმა-მამული ქარუმიძეს მისცა სოფ. თორტიზაში, მაგრამ „ეამთავითარების გამო“ გივი იმერეთში გადავიდა, იოთამმა გოჩიაშვილს თავისი ქონება აღუდგინა და ქარუმიძე დააღარიბა. „ეამთავითარება“ კვლავ შეიცვალა, გივიმ გაიმარჯვა, და ქარუმიძეს სამსახური დაუმადლა [1].

აზნაურების და ამილახორების დამოკიდებულების არსის გაგებისათვის კიდევ ერთს საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება. საქმე იმაშია, რომ ამილახორს უფლება არ ჰქონდა აზნაურისათვის ხელი ეხლო, თუნდაც მის სამფლობელოში ყოფილიყო, თუ ამ აზნაურს სახელო მიღებული ჰქონდა მეფისაგან. ბეჟან ამილახორისშვილს, აზნაური ტარსაიჭაშვილი დაეძალა და სახელოს ართმევდა. ტარსაიჭაშვილმა ვახტანგ VI-თან იჩივლა. ვახტანგ VI ბეჟანს უბრძანა: „... ტარსაიჭაშვილს სახელოს ართუამ სადმე, ამისთანა საქმებს დაეხსენ და ნურც ეჭიდები, აზნაურშვილს ვინ გაგაღარიბებინებს? სოფელი მართებულად შენ იმსახურე და მართებული მოურაობა და სარგო იმასვე ჰქონდეს“ [2].

ჩანს ბეჟანი არ ასრულებდა ბრძანებას და ვახტანგმა მეორედ მისწერა: „.... მერმე ტარსაიჭაშვილები გამოგიყრია და სახელოს ართმევ სადმე, ეგ რა ამბავი არის და ან ვინ გაქნევინებს? ერთს კაცს ჩვენის წიგნით, ჩვენის ბძანებით, სახელო მისცემია, შენ ვინ წაგართმევინებს და ან აზნაურშვილს ვინ გაგაღარიბებინებს?“ [3].

ნორმალურ ურთიერთობის დროს აზნაურის გაღარიბების შემთხვევები მცირდებოდა და ამ აზნაურებზე ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავდა, მაგრამ როცა მდგომარეობა იცვლებოდა, ცენტრალური ხელისუფლება შესუსტდებოდა, თავადებსაც ხელსაყრელი დრო უდგებოდათ და აზნაურთა ყმა-მამულს იტაცებდნენ.

თავადის ძალადობისაგან აზნაური თავს იცავდა სხვადასხვა საშუალებებით: იგი მეფეს მიმართავდა, სამართალს მისგან ელოდა; სხვა აზნაურებთან ძმობა-ერთობის პირობას სდებდა და ცდილობდა კოლექტიური წინააღმდეგობის გზით დაეცვა თავი. თავადის წინააღმდეგ მოწყობილ გლეხთა აჯანყებებით სარგებლობდა და ცდილობდა ეს აჯანყება-მღელვარება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 128.

[2] საქ. სიძველენი III, გვ. 211.

[3] იქვე. გვ. 211.

აი საამისო ფაქტები:

1. 1796 წელს საამილახოროს აზნაურებმა სამთავნელის წინამძღოლობით პირი შეკრეს და სპეციალურ პირობის აქტზე ხელი მოაწერეს: „... ვიყვნეთ ერთიმეორის კაი მდომნი და, რომელიც უფლისწულებისაგან უსამართლოთ ცემა, ჭრილობა, აკლება და შვილების მოახლეთ წართმევა გვჭირებია, ამაებს ნუღარ ვიყაბულებთ. თუ რომელიც ჩვენში ან გაილახოს, ან დაიჭრას, ან დაირბეს, ერთიანათ ერთმანეთთან დავიბარნეთ, ბატონთანაც საჩივარი ერთი იყოს და ჩვენს ბატონს ამილახორთანაცა და ლაპარაკიც ერთი იყოს სადაც აზნაურიშვილი სოფელში იდგეს და უფლისწულმა იქ ულსამართლო მოინდომოს, აზნაურიშვილმან გლეხს კაცს უქმაგოს და გლეხმა აზნაურშვილსა და ერთმეორეზედ ვინც შორს იდგეს, კიდევ /ერ/თი მეორეს მივეშველნეთ. ამ ჩვენის ფიცის წერილზედ, რომელმაც კელი მოგვიწეროს, ხომ ჩვენთან იქნება და, რომელმაც კელი არ მოგვიწეროს, ერთიანათ მი/ვ/უხდეთ, დავსწვათ და ავიკლოთ...“[1].

2. ამილახორებზე აზნაურთა შეერთებულ თავდასხმას ადასტურებს შემდეგი დოკუმენტები: ა/ „ქ. ესე თავდებობის წიგნი მოგეცი მე სარდალსალთხუცის გოდერძი ნაზირმა, თქვენ ამილახვრისშვილს ბეჟანს ასე რომე ბედნიერი ხემწიფის ბძანებით ჩერქეზისშვილი იორამ და უთნელისშვილი პაპუა დაჭერილი გ/ყ/ავნდა, მოვედი მე ამათ თავდებათ დაუდეგ და ეს კაცნი აუშვი, როდესაც გინდოდეს ეს ორნივე მოგაბარო, და თუ ესენი ან გაიქცნენ, ან დაიმალონ, რისაც ამათგან გამოსაღები სისხლი იყოს, ის სისხლიც მე გოდერძიმ მოგცე“[2].

ბ/ „ქ. ეს წიგნი მოგართვით თქვენ ამილახვრისშვილს ბატონს ბეჟანს, ჩვენ უთნელიშვილმა პაპუამ და რევსმა, ასე რომ თქვენი სისხლი დაგვედო ორთავე ჩვენა და ფურცელაძესა და ჩერქეზიშვილსა, ზარდალიშვილსა და მახატელსა, ჩვენ რომელიც ოთხასის თუმნიდამ შამოგვხვდა ის მთლად გადავიხადეთ“[3].

პირველი წერილი 1777 წლის 24 იანვრით თარიღდება, ხოლო მეორე — 1782 წლით.

მართალია, საბუთებში არ არის აღნიშნული რის სისხლი მართებდათ სახელდობრ ამ აზნაურებს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მათ ამილახორებზე თავდასხმა მოახდინეს და რაც უფრო ჩვენთვის

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 4473.
[2] საქ მუზეუმი Ad, 1352.
[3] იქვე, Ad, 1359.

საინტერესოა, ეს თავდასხმა აზნაურთა ჯგუფმა მოახდინა და არა რომელიმე ერთმა პირმა.

საციციანოში შემდეგი გვარის აზნაურები ცხოვრობდნენ: მეღვინეთხუციშვილი, კლიმიაშვილი, ორჯონიკიძე, უთრუთაშვილი, ალიბეგაშვილი, დანდლიშვილი, სტელიშვილი, დაფქვიაშვილი, ქართველიშვილი, აბრამიშვილი, ობლიძე, მაღრაძე, ალექსიძე, მუჩაიძე, გულბადაშვილი, ბუნიაშვილი, ბუდუტაური, დეკანოზიშვილი, წინამძღვარიშვილი, ფურცელაძე, ჩინჩალაძე, ქურდევანიძე, ჩიკაშვილი, იონათამიშვილი,[1] მწყერაძე, საყუარელიძე, ალიყულაშვილი, საფარაშვილი, გვარამაძე, სამიშვილი, ავლადაშვილი, ხუციშვილი, სამარაძე და რევაზიშვილი[2].

საციციანოს აზნაურებზე თავადის უფლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ერთი საბუთი, რომელიც 1792 წლით არის დათარიღებული.

აქ ნათქვამია, რომ გვარამაძე ლომი და ამისი ძმა ბეჟან ყიზილბაშობისას, ფარსადან ციციშვილს გლახა ბაადურის ძე ციციშვილის მამულისა და ყმის გამოსაღებში ყიზილბაშებისათვის მიეცა. გვარამაძე ლომი წინწყაროელმა გურგინ ბეგმა დაიხსნა და გაათავისუფლა, ხოლო ბეჟან გვარამაძე — მთავარ ეპისკოპოსმა კირილე ციციშვილმა. ამიერიდან ისინი მეფის სახასო ყმებად გადაიქცნენ.

გლახა ციციშვილს გვარამაძეების ყმა-მამული მთლად გაეყიდა ციციშვილებზე.

გვარამაძეების ნამზითვი ყმა მამესწარაშვილებიც გლახა ციციშვილმა დავით მირზაშვილს მიჰყიდა. თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძანებით მამესწარაშვილები კვლავ გვარამაძეებმა დაიხსნეს.

სამეფო კარმა ამ გვარამაძეებზე ციციშვილების ბატონობა ძალადაკარგულად გამოაცხადა და ეს შემდეგნაირად დაასაბუთა: „პირველად ამისათვის, რომ აზნაურშვილს რომ თავისმა მებატონემ ყმა და მამული გაუყიდოს, ან ჩამოართოს და, ან კიდევ თითონ აზნაურშვილმა თავისნებით ყმასა და მამულზედ ჭელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება და მეორედ იმისათვის, თითონ ეს გვარამაძეები გლახას ყმისა და მამულის ხარჯის გულისათვის გასყიდულან, სხვათ დაუხსნიათ, გაუაზატებიათ. ამების მოხედვით და სამართლიანის საქმით ამათ-

---

[1] იგივე გვერდწითელი.

[2] საქ. მუზეუმი, S, საბ. 3729.

თან საქმე აღარავისა აქვს არც ციციშვილს რამაზას და არც სხვა ციციშვილებს და ჩვენს სახასო აზნაურშვილად დავწერეთ ესენი“ [1].

ამ საბუთიდან ჩანს, რომ თავადს უფლება აქვს აზნაური გაჰყიდოს თავის ყმა-მამულიანად, მაგრამ თუ გაყიდულმა აზნაურმა თავი გამოიხსნა, მაშინ იგი თავისუფლდება პირვანდელი ბატონისაგან.

აზნაურს, ჩანს, შეუნარჩუნებია პირადი თავისუფლება, მას უფლება აქვს თავისი ბატონი მიატოვოს და თავის ყმა-მამულზე ხელი აიღოს, ე. ი. ის ბატონისაგან მხოლოდ პირად თავისუფლებას იღებს, ხოლო მისი ყმა-მამული ფეოდალს ეკუთვნის. ამ დებულების დასამტკიცებლად კიდევ ერთ საბუთს მოვიტანთ: ფანასკერტელმა ციცი ციციშვილმა და ძმამ ქაიხოსრომ თავიანთ აზნაურიშვილს აზორ უზნაძეს წიგნი მისცეს: „ცოტა საქმეზე შემოგვწყერი და ჩვენს ბიძაშვილებთან მიხველი. აწე შენისავე ნდომებით შემოგვირიგდი. საკელოთ კარალეთი გქონდათ და ბატონმა გამოგვართა/თუ/ კარალეთი ვიშოვნეთ შენი სახელო ისევ მოგცეთ თუ არა და... სანაცვლო საკელო საქურდევანიძო მოგცეთ“ [2].

თავადს შეეძლო აზნაურის გათარხნება-გათავისუფლება. 1724 წელს სეხნია ნოდარის ძე ციციშვილმა, მისმა ბიძაშვილებმა: ოთარმა, ციცემ, ბაგრატმა, ნოდარმა, ძმისწულმა ფარსადან, ძმამ დემეტრემ ბიძაშვილმა იესემ, ზურაბმა, ერასტიმ ძმისწულმა ალექსანდრემ, იოთამმა, და დავითმა „სულ ჯელიერთპირ“ თავიანთ აზნაურიშვილებს წიგნი მისცეს: „... არც საქორწილო და არც ვალის თეთრი, არც ძველადგან გთხოებოდათ, ჩვენ რასაცა გთხოვდით, უმართებულო იყო და არას გემართლებოდით, რადგან, რომ ძველადგანაც არ გთხოებოდათ, ჩვენც ასე ჰგაგათავისუფლეთ და ამოგიკვეთეთ, რომ არც ჩვენი საქორწილო, არც ვალის თეთრი, არას ჩვენის დაჭირებისათვის ჩვენგან თქვენ თეთრი არ გეთხოებოდეს“ [3].

ციციშვილები თავიანთ ყმა-მამულს ხშირად თავისავე აზნაურებზე ჰყიდდნენ.

ბარძიმ დემეტრეს ძე ციციშვილმა პაატა კლიმიაშვილს წიგნი მისცა: „დაგვჭირდა, ჩვენს ქვეყანას აღარ გაიძლებოდა, ყიზილბაშ/შ/ი წამოველ, იქ დამჭირდა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი ბარა-

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. 226, საბ. 873.

[2] Hd, 1789.

[3] Qd, 427.

თით წილხდომილი კვედურეთს გულიაშვილი შიო თავისი შვილით, ძმით, ძმისწულებით“ [1].

ფარსადან ნოდარისძე ციციშვილმა თავის აზნაურიშვილს ბოჭოულთხუცესს თამაზას წიგნი მისცა: „...დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი ნასყიდი გლეხი რუისსა ნასყიდაშვილი ნასყიდა ბერუკა და ზურაბა და აქვე ამისი მეზობელი კვეზერელი გიორგი თავიანთის მამულითა, სახლითა, კარითა, წყლითა, წისქვილითა“ [2].

აზნაური მქონებელ-გაბატონებული კლასის უმცროსი წარმომადგენელია, მას „საკუთარი“ ყმა-მამული გააჩნია.

როგორც სხვა სათავადოების მიმართ შევნიშნეთ, აქაც, საციციანოშიც, აზნაურებსა და თავადს შორის წინააღმდეგობა იყო. ეს წინააღმდეგობა სხვადასხვა ფორმაში მეღავნდება.

აზნაურების ურჩობა განსაკუთრებით მწვავდება XVIII საუკუნის დამლევს.

1800 წელს 18 ოქტომბერს, მდივანბეგი ნიკოლოზ ციციშვილი გიორგი XII-ს სწერდა: „ამ მაღრაძე ხუცისაგან ილაჯი აღარა მაქვს. ამასწინად მიმიხდუნა იასაული და შვიდი სული ხარი და ძროხა წამართვეს... ეს კაცი ასე მიკლებს, ... იმ ჩემს აზნაურსშვილს ჩემი ბატონყმობა არ უნდა და ის მტანჯავს... ამ მაღრაძემ ჯერ აზნაურშვილი მამპარა, რუსეთს წაიყვანა, ოთხი წელიწადი იქ გახლდა, იქიდამ მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს, ახლა ყმასა და მაზულსაც მართმევენ ქრთამითა და უსამართლობით“ [3].

საყაფლანიშვილოში შემდეგი გვარის აზნაურები ცხოვრობდნენ: კოკონაშვილები, ჩაჩიკაშვილები, დორათაშვილები, გულაიზაშვილები, მაჭავარიანები, გოგიტაშვილები, უღულიშვილები, მკერვალიშვილები, ფრანგიშვილები, ყაითმაზიშვილები, ბაგრატიშვილები, ყოინიძეები, კავთელიშვილები, ბელიაშვილები, ნასყიდაშვილები, ჩომახიშვილები, გოგოლაშვილები, ძვალიყლაპიაშვილები, რევაზიშვილები, ბინიაშვილები, ავთანდილაშვილები, ოლუზაშვილები, ბუქყიაშვილები, ხანდამაშვილები, ბლორძელები, საყვარელიძეები, ჯანიაშვილები, ველუაშვილები, ტაველრაშვილები, ღრეულიშვილები, შაბური, ჯომარდიძე, ტერტერაშვილები, ჩიკოიძეები და კარგარეთელები.

საყაფლანიშვილოში შემავალ აზნაურთა ყველა გვარის დადგენა არ ხერხდება. საყაფლანიშვილოში აზნაურთა 101 კომლი იყო, აქედან 82 კომლი მკვიდრია, ხოლო 19 კომლი ნასყიდი.

---

[1] 229, დავთ. 38, საბ. 101.

[2] იქვე, საბ. 63.

[3] Sd, 417.

სომხით-საბარათიანოს სათავადოების აზნაურებიც ისეთსავე დამოკიდებულებაში იყვნენ თავადებთან, როგორც შიდაქართლის სათავადოებში. მაგ., საყაფლანოს აზნაურობა შედგებოდა „ნაწყალობევისაგან", „ნასყიდისაგან" და „მკვიდრისაგან". ქონებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით ყაფლანიშვილების აზნაურები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ყმიან და უყმო აზნაურებად [1].

ამრიგად: 1. აზნაური წვრილი მფლობელი იყო, მაგრამ ეს მფლობელობა შეზღუდულია; იგი პატრონის დაუკითხავად ყმა-მამულს ვერ გაყიდდა. მისი ყმები თავადს ბეგარას უხდიდნენ, 2. განსხვავებით სხვა ყმებისაგან, აზნაური საპატიო სამსახურს ეწეოდა თავადის კარზე: ის სათავადოში მოხელე იყო (მოურავი, სალთუხუცესი, ბოქაულთხუცესი და სხვ.), 3. ლაშქრობის დროს თან ახლდა პატრონს. 4. თავადის მოთხოვნით მას აზნაური აძლევდა მსახურ-მოახლეს.

თავადის უფლებები აზნაურზე დიდი იყო: თავადს უფლება ჰქონდა აზნაურის ყმა-მამული და ასევე თვით აზნაურიც გაეყიდა; თავადს უფლება ჰქონდა აზნაურის გამზითვებისა; თავადის სახლის გაყრის დროს აზნაურებს ინაწილებდნენ ისე, როგორც ყმაგლეხებს; თავადს შეეძლო აზნაური „მართებულს დანაშაულზე" დაერბია. როგორც წესი, აზნაური თავადს არ უხდიდა ნატურით გადასახადს, მაგრამ, ხშირი იყო შემთხვევები, როცა თავადი აზნაურს „უდებს ადებდა" და ეს „უდების დადება" წესად შემოდიოდა.

თავადის ძალადობისაგან აზნაური თავს იცავდა სხვადასხვა საშუალებებით: იგი მეფეს მიმართავდა და სამართალს მისგან ელოდა; სხვა აზნაურებთან „ძმობა- ერთობის" პირობას სდებდა და ცდილობდა კოლექტიური წინააღმდეგობის გზით დაეცვა თავი; თავადის წინააღმდეგ მოწყობილ გლეხთა გამოსვლებით სარგებლობდა აზნაური და ცდილობდა მღელვარება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

V. თავადის დამოკიდებულება ეკლესია-მონასტრებთან

ეკლესია-მონასტრები საშუალო საუკუნეებში წარმოადგენდნენ თავისებურ ფეოდალური ტიპის სამეურნეო ერთეულებს. მათ საკუთარი ყმა-მამული გააჩნდათ. ეკლესიის მსახურნი სასულიერო ხელისუფალთ, სათანადო საეპისკოპოსოებს ემორჩილებოდნენ; მაგრამ იმ ეკლესია-მონასტრებზე, რომლებიც სათავადოებში შე-

[1] გ. ჯამბური ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 192.

დიოდნენ და თავადის საგვარეულო საძვლეებს წარმოადგენდნენ, თავადს ხელი მიუწვდებოდა, ეკლესიის მსახური, ერთგვარად, თავადსაც ემორჩილებოდა. ჩვენ არა ერთი მაგალითი ვიცით, როცა თავადი მონასტერს სათანადო წესდებას, ტიპიკონს უდგენდა. მოვიგონოთ თუნდაც შალვა ქვენიფნეველის 1470 წლის გუჯარი ლარგვისის მონასტერს რომ უბოძა. „...და განუჩინეთ ესე, რომე ნუმცა ვინ იკადრებს შუღლსა, ანუ სიძვასა, ანუ პარვასა, ანუ ღალატისა მოგონებასა, ანუ მღდელთა, მონაზონთა, დედაბერთა და ენკრატისთა უპატიობასა"[1].

ამილახორებს საგვარეულო საძვლედ მიჩნეული ჰქონდათ შიომღვიმე და სამთავისი. მათ გააჩნდათ კარის ეკლესია ქვემო ჭალაში და გორისჯვარი გორის მახლობლად.

შიომღვიმე და სამთავისი თავისებური ფეოდალური სამეურნეო ორგანიზაციები იყვნენ.

ყმა-მამულს ეკლესია-მონასტრები, როგორც აღვნიშნეთ, მეფის ან თავადისაგან ღებულობდნენ შეწირულობის სახით. მაგრამ არაიშვიათი იყო შემთხვევები, როცა იგივე თავადები არა მარტო თავისსავე შეწირულ ყმა-მამულს. არამედ სხვასაც ართმევდნენ მონასტრებს და ავიწროებდნენ საეკლესიო მოხელეებს.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1789 წლის საბუთი: „ქ. მისს ბრწყინვალებას ამილახორს ბატონს და ერთობ ამილახვრისშვილებს ქაიხოსროს, ბეჟანს და სხვათა; ჩვენ მიერის ლოცვა-კურთხევით მოვიკითხავ. მერმე ამ თქვენის სამთავნელ ეპისკოპოსისა ვერა გაგვიგიარა; თუ ეპისკოპოსი გინდათ, დაგვიდგენია და კიდეცა გყავსთ და თუ ეპისკოპოსი აღარ გინდათ, შეგვატყობინეთ და გამოვიყვანთ და მაგ ეკლესიის კარსაც დავკშავთ. თუ არა და რა მიზეზია, რომ ნიადაგ ასე აჩივლებთ; თქვენი ეპისკოპოსი ჰქვიან, ყმასა და მამულს არ ანებებთ, შესამოსელს და წიგნებს და სხვას საეკლესიოს საკმარს არას აძლევთ, რომ სწირონ, ილოცონ და ეკკლესია შეამკონ, და როგორი ეპისკოპოსის ყოლაა, ან ღმერთს, როგორ იამება ამისთანა ყოფა. თუ აღარ გინდათ ეპისკოპოსი, ჩამოდით ერთობით და გამოგვიცხადეთ და სხვარიგად მოვახდენთ ეკკლესიის საქმესა და თუ არ ჩამოხვალთ წერილით მაინც შეგვატყობინეთ რა მიზეზია"[2].

ჩანს, სამთავნელის ამ საჩივრისათვის ამილახორს ყურადღება მიუქცევია, ზოგი რამ დაუბრუნებია სამთავნელისათვის და-

[1] საქ. სიძველენი, III. გვ. 559.
[2] საქ. მუზეუმი. ფ. Sd, 448.

წიგნი ჩამოურთმევია. სამთავნელი ოთარს 1790 წელს ატყობინებდა: „...მერმე გუშინ, სამშაბათს, ჩვენმა ქავთარაძემ თამაზამ თქვენი წიგნი მომიტანა, რამდელნიც სიტყუანი გებძანნეს ყოველივე ვხცან, მოგეწერათ მოუცლელად ყოფა თქვენი და რაც არის შეხამოსელი მიიბარეო; ყმაც იმსახურე და მსახურიც გამოიყვანეო... ყმაც თქვენგან უნდა მომბარდეს, მოსამსახურეც თქვენ უნდა განმიწესოთ. სარჩოს გზაც უნდა მომცეთ და სიცოცხლისაც. მე თქვენ გხლებივარ, თქვენგან უნდა ყოველივე დამემართოს. მეც ჩემის თანამდებობისაებრ ერთგულებით მსახური და მლოცველი ვიქნები და თქვენც შეძლებისაებრ დამიფარეთ“ [1].

როგორც ვხედავთ, სამთავნელი ანგარიშვალდებული იყო ამილახორთან, მისგან ღებულობდა ყმა-მამულს, ამილახორი უსაზღვრავდა მოქმედების სფეროს. კათალიკოსიც ამილახორის კითხულით აწესრიგებდა სამთავნელის საქმეებს. ასე რომ, მართალია საეკლესიო საქმეებში სამთავნელი, როგორც სასულიერო პირი, კათოლიკოსზე იყო დამოკიდებული, მაგრამ რამდენადაც მისი სამწყსო საამილახოროში ივარაუდებოდა, ამდენად იგი ამილახორსაც ემორჩილებოდა.

აღსანიშნავია, რომ ეკლესია-მონასტრების ყმები ლაშქარ-ნადირობიდან არ თავისუფლდებოდნენ.

მსგავსი დამოკიდებულებანი იყო თავადსა და ეკლესია-მონასტრებს შორის სხვა სათავადოშიც.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 2479.

თავი მეოთხე

სათავადოების მართვა-გამგეობის სისტემა

I. თავადი და მისი მოვალეობა

„თავადი“ XI საუკუნის საისტორიო მწერლობაში უკვე დამკვიდრებული და გავრცელებული ტერმინი იყო.

როცა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა ბაგრატ IV-ს სძლია, მაშინ მან „აიხუნა ზემონი ციხენი და მიერთნა თ ა ვ ა დ ნ ი კ ა ც ნ ი“[1].

გიორგი მეორეს „თ ა ვ ა დ თ ა ამის სამეფოსათა — ნიანია ქუაბულის ძემან, ივანე ლიპარიტისძემან და ვარდან სუანთა ერისთავმან... აუშალეს ქუეყანა“[2].

თამარ მეფის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, გადმოგვცემს, რომ საქართველოს ლაშქარი, როცა გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში, მაშინ „დაჯდა მეფე ტახტსა სამეფოსა. შეუძღვა ამირსპასალარი და შევიდნეს თ ა ვ ა დ ნ ი და დასხდეს წესისაებრ“ [3].

ჟამთააღმწერელს „თავადი“ გამოყვანილი ჰყავს ისეთ კაცად, რომელსაც დიდი საქვეყნო საქმეები ეკითხება. თურმე „თვინიერ ძათისა გაზრახვისა“ არც ერთი დიდმნიშვნელოვანი საქმე არა წყდებოდა. XIII საუკუნის 60-იან წლებში, როცა დავით ნარინისა და დავით ულუს მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებები დამარცხდა და ულუ დავითიც იმერეთს უნდა შეხიზნოდა, სარგის

[1] მატიანე ქართლისაი, მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 264.
[2] იქვე, გვ. 278.
[3] იქვე, გვ. 525.

ჯაყელი მეფეს ურჩევდა: თუ ნარინმა კარგად არ მიგვიღო „ვეზრახნეთ თავადთა იმერთა და განვსცეთ საჭურჭლე და ჩვენ კერძო დავიყენოთო“ [1].

განსვენებული აკად ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში თავადს ასეთი დიდი წონა ჰქონდა ის მაინც XI-XIII საუკუნეებში წოდებრივი შინაარსის აღმნიშვნელ ტერმინად არ უნდა ყოფილიყო. თავადი მაშინ „დიდგვარის უფროსი და თავი ყოფილა“. ... თუ „თავადი“, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — მართლაც „დიდგვართ“ თავია, მაშინ რა განსხვავება უნდა ყოფილიყო „თავადსა“ და „დიდებულს“ შორის? თუმცა „დიდებულებიც“... დიდი გვარისშვილი იყო, მაგრამ ამასთანავე მას უეჭველად დიდი „ქელისუფლობაც“ უნდა ჰქონოდა ნაწყალობევი, უამისოდ შეუძლებელიარომ მას, თუნდაც დიდგვარიანს „დიდებულის“ სახელი ეტარებინა. „თავადი“ კი შეიძლებოდა „უქელოც“ ყოფილიყო და არავითარი თანამდებობა არა ჰქონოდა. მისთვის ისიც კმაროდა, რომ იგი დიდიგვარის უფროსი და თავი იყო“ [2].

ისე დანაწევრება, რომ დიდი გვარის ერთი წევრი „თავადი“ იყოს, ე. ი. სახლს განაგებდეს, და მეორე წევრი — „დიდებული“ იყოს, ე. ი. რაიმე დიდ ხელისუფლებას ფლობდეს და ამით განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, თითქოს სწორი არ უნდა ყოფილიყო. ვინ იყვნენ გიორგი II-ის დროს თავადები? ნიანია ქვაბულისძე, ივანე ლიპარიტისძე და ვარდან სვანთა ერისთავი. ესენი თავადებად იხსენიებიან, თუმცა ვარდანი სვანთა ერისთავია. ჩვენ რომ გვქონდეს რაიმე. პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითება, იმის შესახებ, რომ ესენი მხოლოდ თანამდებობის პირები არიან და მათ საგვარეულო ღომენებს სხვა მეთაურობს, მაშინ მართლაც შეგვეძლო განსვენებული მეცნიერის მოსაზრება გაგვეზიარებინა, მაგრამ ასეთი ცნობა არა გვაქვს. ყველა ამის გამო შეიძლება უფრო მართებული ყოფილიყო გვეფიქრა, რომ თავადი, განურჩევლად თანამდებობისა, დიდგვარიანთა ოჯახების უფროს წარმომადგენელს აღნიშნავდა საქვეყნო საქმეების ასპარეზზე. რადგან

[1] მატიანე ქართლისაი, მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 676.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 56.

ქვეყნის პოლიტიკური აღნაგობა ასეთ დიდებულთა ოჯახების თავისებურ ჯამს წარმოადგენდა, ამიტომ ამ ოჯახების უფროსები ჰქმნიდნენ თავადთა წრეს, რომელთა კითხული იყო საერთო საქვეყნო საქმეებში მონაწილეობის მიღება. ასე რომ, „თავადობა" უპირველეს ყოვლისა დიდგვარიან ოჯახთა უფროსობას ნიშნავდა, ხოლო „დიდებულობა" ზარკვეულს მოხელეობაზე დამყარებული უფლების შემცველი თანამდებობა იყო.

სოციალურად თავადი და დიდებული ჯერ კიდევ აზნაურთა ფენას ეკუთვნოდნენ. ხოლო, შემდეგ, განსაკუთრებით მონღოლთა ბატონობის პერიოდში, როცა მოხელეობა, მონღოლთა ხელისუფლების ზურგის გამაგრებით ფეოდალებმა გამოიყენეს საქვეყნო ყმა-მამულის მისამძლავრებლად, „დიდებულობა" როგორც ერთ-ერთი პირობა ყმა-მამულის ზრდისა, იმდენად საგრძნობი გახდა, რომ ცალკე სოციალურ კატეგორიად ჩამოინაკვთა. მოხდა ისე, რომ მოხელეობა მაღლა დადგა ოჯახის უფროსობაზე — თავადობაზე. ე. ი. „დიდებულობამ" დაჩრდილა „თავადობა". ეს იყო ეპოქის ხელისშეწყობით მომხდარი მოვლენა; ქართული ფეოდალური ურთიერთობის პირდაპირი განვითარება კი აუცილებელს ხდიდა სწორედ ამ ფეოდალური „ოჯახის" — „თავადობის" წინ წამოწევას. ჟამთამსვლელობაში ასეც მოხდა. „თავადობამ" „დიდებულობა" დაჩრდილა. ამიერიდან სათავადო გახდა სამეფოს ძირითად შემადგენელ ნაწილად. მოხელეობა სათავადოსათვის მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო და ძირითადს და გადამწყვეტს თავისი სათავადო — „საკუთარი" „დომენი", „სამემკვიდრო" ყმა-მამული წარმოადგენდა.

ამ პროცესის დამთავრება „თავადობის" სოციალურ კატეგორიად გადაქცევას უდრიდა. ამრიგად, თავადი, როგორც გარკვეული ცნების აღმნიშვნელი ტერმინი, მაშინ მკვიდრდება, როცა ის მოქალაქეობრივ უფლებას მოიპოვებს ფეოდალურ საზოგადოებაში. იგი გვევლინება, როგორც ფეოდალური კლასის აღზევებული ნაწილის— „დიდებული აზნაურის" ოჯახის უფროსის აღმნიშვნელი ტერმინი. შემდეგში ცვალებადი წარმატებებით, თავადის ცნება უფრო და უფრო ფართოვდება და XIV-XV საუკუნეებში სოციალურ შინაარსის შემცველ ტერმინად იქცევა და გადამწყვეტ ადგილს იჭერს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სათავადო იყო ტერიტორიულ ადმინისტრატიული სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო ერთეული.

თავადის უფლება-მოვალეობის განსაზღვრისათვის, საჭიროა თვით სათავადოს განსაზღვრა , ნ. ბერძენიშვილი სათავადოს ასე განსაზღვრავს: «Каждое сатавадо есть отдельная организация на определенной территории. Члены феодальной фамилии живут в пределах этой территории отдельно друг от друга, могут иметь личную (домашнюю, семейную) собственность, движимую и недвижимую («сакутари», «сатавиставо»), но все члены данной феодальной фамилии имеют и общую фамильную собственность («сахасо»): пахотные земли, пастбища, леса, фруктовые и виноградные сады, крестьян, стада, маслобойни, красильню, давильню, мельницы, мыто, замок, монастырь, усыпальницу... Всеми общими делами сеньории ведает тавади, он же выступает от лица сеньории перед царем и перед другими сеньориями. Сатавадо вместе с этим и военная единица; оно выводит на войну совершенно определенное количество воинов, непосредственным начальником над которыми на поле брани является тот же тавади»[1].

ჩვენ ვიზიარებთ ნ. ბერძენიშვილის ზემომოტანილ განსაზღვრას. მართლაც სათავადო უპირველეს ყოვლისა თავისებური ორგანიზაციაა, რომელსაც თავისი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა. ეს ნიშნებია:

1. ტერიტორიის ერთობა, ე. ი. ის ყმა-მამული, რომელიც თავადს გააჩნია, უნდა იყოს ერთ ტერიტორიულ სივრცეზე. უამისოდ სათავადო არ იქნება. გვიანფეოდალურ საქართველოში არიან ისეთი თავადები, რომელთაც ყმა-მამული აქვთ, მაგრამ ეს ყმა-მამული ერთიან ტერიტორიაზე არ იმყოფება და ამიტომ მათ არა აქვთ სათავადო. ასეთ თავადებად ჩანან მაგ., თუმანიშვილები.

2. სათავადოში უნდა იყოს ციხე-დარბაზები, ეკლესია-მონასტრები, საგვარეულო საძვლეები. უამისოდ სათავადო ვერ წარმოიდგინება.

3. სათავადო ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ სამხედრო ერთეულსაც.

4. სათავადოს გარკვეული ყმა-მამული უნდა გააჩნდეს. თავადის ძალა მისი ყმების რიცხვზე არის დამოკიდებული.

5. სათავადო სამეურნეო ერთეულიც არის. თითოეული სათავადო ძირითადად თვითონ იკმაყოფილებს თავს.

თითოეულ სათავადოში მხოლოდ ერთი თავადია. დანარჩენი ამ სათავადო სახლის შვილი თავადის შვილად ითვლება. უფლებრივად თა-

[1] Н. Бердзенишвили. Очерки, გვ. 36-37.

ვადი და თავადიშვილი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თვით თავადებიც გვიანფეოდალურ საქართველოში ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ვახტანგის სამართლით თავადები სამ ჯგუფად იყოფოდნენ. თითოეულ თავადის უფლება-მოვალეობა, პირობით, შეიძლება ორად გავყოთ: „საშინაო“ მოვალეობად და „საგარეო“ მოვალეობად.

თავადის საშინაო მოვალეობაში შედის: სათავადოს შიგნით წართვა-გამგეობის მოწესრიგება: მოხელეთა დანიშვნა, მათი სარგოსა და ხელის განსაზღვრა, „ბატონყმური რიგის“ დაცვა, ყმისა და მამულის ყიდვა-გაყიდვა, ყმათა საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, ყმათა გათარხნება ან გახეიბრება, ბეითალმან ქონების პატრონობა, სოციალური ურთიერთობის მოწესრიგება, ყმა-მამულის გაზრდა-გაფართოებაზე ზრუნვა, სათავადოს თავდაცვის ორგანიზაცია და სხვ.

საგარეო საქმეებიდან აღსანიშნავია: ურთიერთობა ქართლის სამეფო კართან და მეზობელ საფეოდალოებთან.

თავადის უფლება-მოვალეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ოთარ ამილახორის ერთი წერილი: „ჩემს მამა-პაპათა და მე, რომელიც სახელო გვქონდა ამილახვარობა, რომ არც ერთის მეფისაგან არ ჩამოგვრთმეოდეს ჩემი სახელო ამილახვრობა, — სწერდა ოთარ ამილახორი ტარასოვს 1805 წელს,—მე ვარ ოჯახის უფროსი, ჩვენს საამილახვაროში, ქართლში, თუ სომხითში ჩვენის მამულისა შამოსავალი ორი წილი ჩემია და სხვა რაც რომ დარჩება ჩემის ბიძაშვილებისა, მე უნდა გაუყო.

ქ. კულუხი ჩვენს ყმაში, რაც რომ მოიკრიფება მე უნდა შევაწერო, ჩემა კაცმა უნდა მოაგროოს.

ქ. ღალაც მე უნდა შავაწერო, ჩემა კაცმა უნდა მოაგროოს.

ქ. ვისაც ჩვენს მამულში ცხვარი უდგას, საბალახე, ისიც ჩემა კაცმა უნდა მოაგროოს. აქედამ რაც რომ შამოსავალია, ორი წილი მე უნდა ვიღო და რაც რომ დარჩება ის მე უნდა გაუყო ჩემს ბიძაშვილებს.

ქ. სახელმწიფო საქმე რაც არი ან სურსათიდან საქმე რაც იქნება ჩვენს საყმოში, მე უნდა მებძანოს და მე გავარიგო...

ჩვენში განწესებული არის, რომელიც ამილახვარი იქნება იმისათვის საამილახვაროდამ ამილახვრის წილს იღებენ“[1].

ეს საბუთი საკმაოდ ნათელს ჰყოფს თავადის უფლება-მოვალეობას.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 16, 152, საქმე 227, ფურც. 13—14.

ყოველ სათავადოს თავისი „სახლის რიგი“ გააჩნდა, სადაც განსაზღვრული იყო თავადისა და თავადიშვილის უფლება-მოვალეობანი. ასეთ „სახლის რიგებს“ მეფე ამტკიცებდა და მეფეევე თვალყურს ადევნებდა, რომ ეს „სახლის რიგი“ არ დარღვეულიყო.

თავადი, როგორც აღნიშნული იყო, სათავადოს უფროსად, თავადის სახლის უფროსად ითვლებოდა. მას მეფე ნიშნავდა.

თითოეულ სათავადოს თავისი სათავადო ნიშანი გააჩნდა. როცა თავადი გარდაიცვლებოდა ამ ნიშნებს წარუდგენდა სათავადოს სახლის წევრი მეფეს და მეფე ახალ თავადს—გარდაცვალებულის ადგილზე დანიშნავდა. ახალ თავადად სავალდებულო არ იყო მაინცდამაინც გარდაცვლილის შვილი ყოფილიყო. ჩანს, თვით ამ თავადის სახლში შეთანხმდებოდნენ ხოლმე წინასწარ, ვინ უნდა აერჩიათ თავადად და თავიანთ კანდიდატს წარუდგენდნენ მეფეს.

თეიმურაზ მეორე 1749 წელს წერდა: „ჩვენი სიძე ეშიკაღა'მბაში ორბელიანი დიმიტრი თავისის სახლისკაცების მყოფლობით ამათ უფროსად, სახლის ბატონათ დავადგინეთო“[1].

თავადის დასმის ფორმის შესახებ საინტერესო ცნობას შეიცავს როსტომ მეფის მიერ ამილახორებისათვის მიცემული სიგელი.

„მას ჟამსა ოდეს ამილახორნი სულკურთხეულნი მამა-ბიძანი თქვენი წესისებრ ამიერსოფლით გარკდეს, თქვენ ჩუენგან და მამა-პაპათა ნათესავთა ჩუენთაგან ნაბოძები დროშა და ჯმალი მოგუართუი და აზნაურშვილები მოგვისხით, ჩუენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ მკვიდრი ნათესავთა თქვენთა ნაქონი დროშა ამილახორობისა, საამილახოროს მამულიან, აზნაურშუილიან, გლეხებიანად და შემოგარტყით ჯმალი მებრძოლთა ჩუენთა დასაჩაგრავათ და გაგიახლეთ სიგელი სამოთხეშიგან მსხდომარისა მამა-პაპა, ძმა ნათესავთა ჩუენისა ნაბოძები გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოვრაობა ფორისა“ [2].

სახლის უფროსი მართალია განაგებდა სათავადოს და ამ სახლის შვილები მას ემორჩილებოდნენ, მაგრამ, როცა საერთო სათავადო საკითხები წყდებოდა, თავადი უნდა შეკითხოდა თავადიშვილებს.

თავადის კითხული იყო მხოლოდ სათავადოს საერთო მამულის ე. წ. „სახასო“ მამულის მოვლა-პატრონობა, „საუფლისწულოებს“ კი თავადიშვილები უვლიდნენ.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 10, საბ. 187.

[2] საქ. მუზეუმი, Hd, 2127.

ჩვენ ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ თავადის სახლში იყო ე. წ. „სახლის რიგი“, რომელიც განსაზღვრავდა როგორც სახლის უფროსის, ისე სახლის წევრთა უფლება-მოვალეობას. XVII საუკუნის დამლევს ამილახორთა სახლში ასეთი „სახლის რიგი“ შემოიღეს: „ამილახორი გივი, როგორც უფროსი ყოფილა, ისრევ უფროსი იყოს და მისი ძმისწულები და ძმანი მისი მორჩილნი და ნებისმყოფელნი იყვნენ. მისს შეუკითხავს და გარდასულს ნუ იქმნენ, ნურც აზნაურიშვილ და ნურც მსახურს და გლეხს ნუ დაურბევენ მისდა შეუკითხავად. ნურც აზნაურიშვილსა და ნურც მსახურს ნუ გამოიყვანებენ, ნურც მხლებელს გამოიყვანენ, ნურც მამულის მოსავლისას უდასტუროდ და შეუკითხავად დაუხარჯავენ. როცა ამილახორი შინ არ ბძანდებოდეს ყმის სამართალს ან იოვან და ან ყორჩიბაში იქმოდეს, და რომელიც სამართლიანათ ყმისაგან გამოვიდოდეს, ქარხანაში მოატანინებდენ და საერთოდ დაიხარჯებოდეს. ამილახორმან ამრიგი უფროსობა უყოს სახლში... რომელიც სახლისკაცი ჩვენთან იქნებოდეს, მართებულად ნუზლისას გაურიგებდეს და ჩვენთან მოდგომას შეაძლებინებდეს... ამილახორი ყმათ წახდენას და გაკეთებას და მამულის გაცემას სახლისკაცთ შეკითხულობით იქმოდეს და მართებულათ ქრთამსა მათთვინაც მოაცემინებდეს“[1].

ასეთი წიგნები გააჩნიათ ციციშვილებს, მუხრანბატონებს, ქსნის ერისთავებს, ყაფლანიშვილებს და სხვ.

II. თავადის ოჯახი. დამოკიდებულება თავადსა და თავადიშვილებს შორის

თითოეული სათავადო სახლი მრავალშვილიანი იყო. მათი ურთიერთობაც მრავალმხრივი იყო.

რომ უფრო ნათელი გახდეს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შინაარსი, საჭიროდ მიგვაჩნია თითოეული სახლის შვილთა ურთიერთობა ცალკ-ცალკე განვიხილოთ.

დავიწყოთ ქსნის საერისთავოთი. ქსნის საერისთავოს რეზიდენცია ჯერ ლარგვისში იყო, ხოლო XVI საუკუნიდან ერისთავებმა რეზიდენცია ლარგვისიდან ახალგორში (ახლანდელი ლენინგორი) გადმოიტანეს. აქ ერისთავებს ჰქონდათ მდიდრულად მოწყობილი სასახლე, რომელიც გარშემორტყმული იყო გალავნითა

[1] საქ. ცენტრ. არქიეი, ფ. 229, დავთარი 28, საბ. 238.

და ციხე-სიმაგრეებით. სასახლე შედგება ორი სართულისაგან; პირველი სართული ძველია, ხოლო მეორე შედარებით ახალი. სასახლე შეიცავს ოცდაერთ ოთახს. მეორე სართულის კედლები მოხატულია. ერთ ოთახში, 1937 წლამდე, დახატული იყო ერისთავის სურათი, რომელსაც ფეხები ორს მთაზე ჰქონდა დადგმული, ,ბეებშუა მდინარე ქსანი მიმდინარეობდა. ერისთავს ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში — საგვარეულო დროშა.

სასახლის ჩრდილო-დასავლეთით შემონახულია მეორე სასახლის ნანგრევები. ამ ნანგრევებს შორის მოთავსებული ყოფილა ციხე-კოშკები. მათი თავისებურება სხვა ციხე-კოშკებთან შედარებით ისაა, რომ ისინი გარეგნულად ციხეებს გვანან, ხოლო შიგნით — საცხოვრებელ ბინებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასახლეს ირგვლივ გალავანი არტყია, რომლის სიგრძე 1030 მეტრია, ხოლო სიმაღლე — 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი.

გარდა საერთო გალავნისა, სასახლეს უფრო მაღალი გალავანი ჰქონდა ახლოს, რომელიც ალბათ თავდაცვის უკანასკნელ ზღუდეს წარმოადგენდა.

ახალგორის სასახლეს სხვადასხვა ადგილას სიმაგრე ჰქონდა. სასახლის ეზოში ორი მთავარი შესავალი ყოფილა — დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

რადგან საერისთავოს რეზიდენცია ახალგორში იყო მართველობის ძირითადი აპარატითურთ, ერისთავიც აქ ცხოვრობდა, ერისთავის შვილები კი — საერისთავოს სხვადასხვა კუთხეში: იკოთში, კორინთაში, ოძისში, ლამისყანაში, კარალეთში, ტყვიავში, მერეთში, იკორთაში, მეჯვრისხევში, კოშკაში, დისევში, ბელოთში. ერისთავებს ჰქონდათ სასახლეები აგრეთვე თბილისსა და გორშიც.

ერისთავებსა და ერისთავის შვილების ურთიერთობის შესახებ წერილობითი მასალები შემდეგ ცნობებს შეიცავენ:

XVII საუკუნეში იესე ქსნის ერისთავი, ამილახორთან ერთად, არა ერთხელ აუჯანყდა როსტომ მეფეს. რისთვისაც როსტომმა იესე ერისთავობიდან გადააყენა და იესეს ძმა შანშე დააყენა ერისთავად. ერისთავობიდან გადაყენებული იესე ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდა, რომ ერისთავობა კვლავ დაებრუნებინა. ის კახეთსა და იმერეთში პოულობს თავშესაფარს. მიზნის მიღწევისათვის არც თავისი ძმა დაინდო, მან მოჰკლა შანშე ერისთავი.

შანშე ერისთავის სიკვდილის შემდეგ როსტომმა ქსნის ერისთავად ზაალი დააყენა, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ როს-

ტომს აცნობეს: „...ქსნის ერისთავი იასე ქურდობით მოჰპარვიაო და ზაალ ქსნის ერისთავი მოუკლავსო და ისევ იასე იმერეთს გარდასულაო“[1].

გორგიჯანიძის ცნობას ვახუშტიც ეთანხმება და ამბობს: „მოწყვიტნა იესე ქსნის ერისთავმან ძმანი თჳსნი ცოლშვილითა სრულიად“ [2]. მსგავსი ბედი ბევრს სხვა ერისთავსაც სწვევია. „მოკლეს ქსნის ხეველთა განზრახვითა დათუნას ერისთავის დედისათა დავით ერისთავი“[3].

როდესაც შანშე ერისთავი ყიზილბაშებს ებრძოდა, შანშეს შვილი იოანე გამცემი აღმოჩნდა. 1741 წელს „გამოეცალა ერისთავს შანშეს ძე თვისი იოანე და ჩამოვიდა ქალაქსა თბილისისა, რა სცნა იმამყული-ხან განიხარა ფრიად და მიიჩნივა პატივით, დააყენა მემანდრად, გააწესა ულუფა, დაპირდა ხელმწიფისაგან დიდის წყალობის მოტანასა, მოინდომა ერისთვის შვილმა იოანემ ხელმწიფისათვინ წასვლა, გაისტუმრეს მაშინვე. რა ჩავიდა თავრიზს, ეახა სპასალარი, მოახსენეს ხელმწიფესა, უყო იქიდამ მურახასი და დაბრუნდა, მოვიდა ისევ ქალაქსა თბილისისასა“ [4].

უკეთესი დამოკიდებულება არ იყო დავით ერისთავსა და გიორგი ყულარაღასს შორის. მათი ურთიერთობის ნათელ სურათს გვიხატავს გიორგი ყულარაღასის მიერ დავით ერისთავისადმი მიცემული ფიცის წიგნი, დაწერილი 1771 წელს: „...ურიგის კაცის ენითა და მაჩხუბრის კაცის სიტყვითა ასე მოგვიხდა, რომ ერთმანერთი შევიძულეთ და დავშორდით“ [5].

ამავე საბუთით მტკიცდება, რომ გიორგი ყულარაღასს, დავით ერისთავის სასისხლოდ მართებდა ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი თუმანი. „...შენი სისხლი რომ გვაძეს... ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი თუმანი, ოცდა ოთხის თავადით რომ დაგაფიცე, ისიც მთლივ მოგცე“. თუმცა გიორგი ყულარაღასი ეფიცებოდა დავით ერისთავს, რომ მომავალში მისი ერთგული იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ამ ჩემის წილისაგან უწილოდ გავიდეო“, მაგრამ დავით ერისთავის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს მძლავრობა დაუწყო და 1774 წელს კვლავ გაყრა მოინდომა.

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, „ისტორია“ კაკაბაძის გამოც., გვ. 35.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, ჩუბ. რედ., გვ. 43.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 67.

[4] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, ჩუბინაშვილის რედაქციით, გვ. 345—346.

[5] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 23, საბ. 144.

ერისთავების შვილებს შორის ურთიერთობა უფრო გაუარესდა 1803 წლის შემდეგ. ამ წელს მათ აღიდგინეს უფლება 1777 წელს ჩამორთმეულ ქონებაზე... ძმისშვილები ერისთავობაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ, ერთმანეთს აბეზღებდნენ, ხალხს აფიცებდნენ ერთგულებაზე, ერთი მეორის მამულსა და ყმებს აწიოკებდნენ, იკლებდნენ, არბევდნენ.

სოლომონ პავლიაშვილი ეუბნებოდა რევაზ ერისთავს „... უნდა ხალხი მოგვენადირებინა, დაგვეფიცებინა და დაგვესვა ერისთავად (მიხაილი ერისთავის შვილი, დ. გ.) და თქვენ უნდა ყოფილიყავით იმისი (მიხაილის, დ. გ.) მონანი, ჩვენ ასე გვქონდა გამორჩეული"[1].

რა თქმა უნდა, არამართებული იქნებოდა, რომ ერისთავებს და ერისთავის შვილებს შორის მხოლოდ მტრული ურთიერთობა დაგვენახა, რომ მარტო მტრული დამოკიდებულება ყოფილიყო, მაშინ საერისთავოს დაცვა ალარ შეიძლებოდა და მტერი ადვილად ხელჰყოფდა მათ ქონებას. ერისთავი იბრძოდა. იმისათვის, რომ ერისთავობა შეენარჩუნებია. ის ძმებსა და ძმათა შვილებს ებრძოდა იმისათვის, რომ თავის შვილებისათვის უზრუნველეყო ერისთავობა. ამავე მოსაზრებით მოქმედებდნენ მისი მოწინააღმდეგენიც. მაგრამ როცა საერისთავო გარეშე მტრის საფრთხის წინაშე იყო, მაშინ ურთიერთ მომდურავი ერისთავის შვილები „სიყვარულსა და ძმობას აღადგენდნენ" ხოლმე და ცდილობდნენ საერისთავოს დაცვას. გიორგი ყულარაღასისა და დავით ერისთავის გაყრამ ქსნის საერისთავოს, მათი წარმოდგენით, სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.. „... დავინახე, — ამბობს გიორგი ყულარაღასი, — რომ მრავალნი მტერნი აღიძრნენ ჩვენზედა. და ვხედევდი ასე დამცირდებოდა ჩვენი ოჯახი, რომ მცირე რამ შეიქნებოდა და ვეღარც ჩვენი შვილები დადგებოდნენ ერთად და სხვა კიდევ ასეთი საქმეები მჰქონდა ამგვარსა, რომ წარწყმედა და შერცხვენა, ორივ ამ გაყრის მიზეზით მოხდებოდა"[2].

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ის საბუთი, სადაც ნაოქვამია, — „შემდგომ ძეთა დავით ერისთავისათა და აღაბაბასთა მოუხდათ ესრეთი შუღლი, რომე ეძიებდენ მოკლუასა ერთიერთისასა. ამას დროსა ოსმანთა მოიყუანნეს რა ლეკის მხედრობანი, იწყეს ცაცემად საქართუ(ბ)ლოსა ზედა. იხილეს რა ესე ერისთავთა, ესრეთ

---

[1] საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. ფ. Hd, საბ. 5393.

[2] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229, დავთარი 23, საბ. 144.

ერთიერთისათანა სასტიკ მეშუღლეთა ზავ ჰყვეს თკს შორის. მიხაილ, ელიზბარ და მირმანოზ ერისთავნი აზნაურებით და მსახურებით თკსით გარდავიდნენ ახალციხედ. სცნა რა ესე მეფემან ირაკლი, უბრძანა როსტომს და შანშეს, რათა მათ განლტვილნი ძმანი თკსნი დაერწმუნებინათ უენებლობაზედა და უკმოეწოდებინათ. გარნა, მათ ნაცვლად აღსრულებისა ბრძანებისა, განამტკიცეს ციხე წოდებულ იკორთად, განუყენეს მეფეს ოსნი ღვიდისის ხეობისანი, იწყეს საუბარი ახალციხის ფაშასთანა, აცნობებდენ რა მას თკსსა მდგომარეობასა და სთხოვდენ მხედრობათა"[1].

არაგვის საერისთავო რეზიდენცია დუშეთში და ანანურში იყო. ორივე ეს ციხე-ქალაქი ერისთავთა რეზიდენციად დარჩა ბოლომდის[2].

რომ დუშეთი არაგვის ერისთავების საჯდომი იყო, ჩანს წყაროებიდან. გიორგი სააკაძემ, როცა მისი დაღუპვა გადასწყვიტეს, „განვლო ღამით ფონი მცხეთისა მალვით და მივიდა დუშეთს ნუგზარისა თანა"[3].

დუშეთი ერისთავების საჯდომად ჩანს ზურაბისა და ზაალის დროსაც[4].

როგორც ჩანს, არაგვის ერისთავების ციხე-კოშკები ჟამთა ვითარებაში დანგრეულა, მაგრამ შემდეგ, როცა თეიმურაზ-ერეკლემ არაგვის საერისთავო მოშალეს და მმართველად ჯიმშერ ჩოლოყაშვილი დასვეს, ჯიმშერს 1751 წელს ხელახლა აუშენებია დუშეთში სასახლე. იგი წერს: „საქართველოს მეფეს თეიმურაზის აღზრდილმან და ძისა მისისა კახთა მეფისა ირაკლის მიერ წყალობა განმრავლებულმან, ჩვენ, ტომობით ჩოლოყაშვილმან, არაგვის ერისთავმან ჯიმშერ აღვაშენე დუშეთის სასახლე კოშკ-გალავნითურთ და შევამკევ რაოდენ ძალმედვა"[5].

ერისთავების საჯდომად ჩანს ანანურიც.

ანანური ცნობილი ციხე-ქალაქია. იგი გამაგრებულია ორმაგი — გარე და შიდა გალავნით. შიდა კედელი აგურნარევ ქვიტკირით

---

[1] საქ. მუზეუმი, H, საბ. 138.

[2] დიმიტრი ბაქრაძე ფიქრობდა, რომ ერისთავების მუდმივ რეზიდენციად დუშეთი ითვლებოდა, ხოლო ანანური გამაგრებული ადგილი იყო, სადაც ისინი თავიანთ განძს ინახავდნენ და თავს აფარებდნენ საჭირო შემთხვევაში, იხ. აქტები, V გვ. 997.

[3] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 37.

[4] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება.

[5] საქ. მუზეუმი, ხელნაწ. განყ. S d, 214.

ნაგებს წარმოადგენს და 80 სანტიმეტრის სისქისაა. ალაგ-ალაგ ოთფ-ზარბაზნებისათვის გალავანს დატანებული აქვს სათოფურები. ე. წ. „შიდა ციხეში“ ხუთი კოშკი და ორი მთავარი ციხე-დარბაზი არის.

შიდა გალავნიდან გამოდიოდა გვირაბი და ქალაქის გარე კედელს უერთდებოდა. აქვე, შიდაციხეში იყო წყლის რეზერვუარი.

შიდაციხეში შესასვლელი ყოფილა, რომელსაც სპეციალური კოშკი იცავდა.

წყაროებიდან არ ჩანს, თუ რომელ სოფლებში ჰქონდათ ერისთავის სახლისშვილებს საჯდომები, მაგრამ ისინიც სხვა ერისთავისშვილების მსგავსად სხვადასხვა პერიფერიებში უნდა მსხდარიყვნენ.

არაგვის ერისთავებისა და ერისთავისშვილებს შორის დამოკიდებულების შესახებ შემდეგი ცნობები გაგვაჩნია: 1618 წლის ახლო ხანებში „მომკუდარიყო ნუგზარ და დასჯდა ძე მისი ბაადურ ერისთავად. ამას არა მორჩილ ექმნა ძმა თვსი ზურაბ, განაძო იგი და წარვიდა ცოლით წინაშე შაჰ-აბაზისა“[1].

შაჰ-აბაზმა ზურაბი კარგად მიიღო, ერისთავობა უბოძა და ქართლში გამოისტუმრა, ზურაბმა ერანელთა ძალა გამოიყენა, „დაიპყრა ბაზალეთი და განაძო ბაადურ ძმა თვსი“ [2].

ამავე ზურაბმა თავის მეორე ძმა, გიორგიც დაასახიჩრა, რათა ერისთავობა მტკიცეთ ჰქონოდა ხელთ. ჩააგონესო ზურაბს გიორგის მტრობაზე და „კახთა შთააგდეს შური ზურაბსა და ძმასს მისსა გიორგის შორის: „რამეთუ გიდგების ღალატად... და თვით ნებავს ერისთობა“ ირწმუნა ზურაბ, შეიპყრა გიორგი და და აღმოხადნა თვალნი“ [3].

1661 წელს ბაინდურ ერისთავის შვილებმა: ქაიხოსრომ, ლუარსაბმა და გიორგის შვილებმა ოთარმა, ედიშერმა, პაპუამ, იასონმა და დათუნამ. შაჰნავაზთან შეთანხმებით მოკლეს ზაალ ერისთავი [4].

იასონ ერისთავიც თავის სახლისკაცების ხელით იქნა მოკლული [5].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც., გვ. 39.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ-ც., გვ. 40.
[3] იქვე, გვ. 44.
[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 230. დავთარი I, აღწერა 8, № 1.
[5] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 73, ჩხეიძე, დასახ. შრომა, გვ. 309

შეიძლება მრავალი მზგავსი საბუთი დავასახელოთ.

ერისთვიანთ სახლში, ამ სახლის შვილებს შორის დავა და ცილობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო XVII-XVIII საუკუნეში. ერთეულები თუ ჩანან ერისთავთაგან, რომ ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილიყვნენ, ჩვეულებრივად ისინი შინა არეულობის მსხვერპლი ხდებოდნენ.

ერისთავისშვილებს შორის არსებულ წინააღმდეგობას მოხერხებულად იყენებდნენ ქართლის მეფეები ურჩი ერისთავის დასაღუპად თუ დასამორჩილებლად.

როდესაც გიორგისა და ბაინდურის ძენი შაჰნავაზთან მივიდნენ, ზაალის შესახებ შეჩივლეს „ბიძა ჩვენი ესრეთ თქუენი ორგული და ურჩი არის და ჩვენთჳსაც · მრავლის ავის მქნელი არის, დაგვჩაგრა და ჩვენის სამკვიდროს მამულის პური არ გვაჭამაო, გვიბოძე დასტური, წავალთ და მოვკლავთო. ხოლო მეფემან შანავაზ მისცა დასტური"[1].

საკითხის სისრულისათვის საამილახოროსა და საციციანოს საბუთებსაც მოვიტანთ.

ამილახორი, პირველად, როცა საამილახოროს ორგანიზაცია ხდებოდა, სხვილოსში იჯდა, შემდეგში ამილახორებმა ამ ციხე-სიმაგრის სამხრეთ დასავლეთით მდებარე სოფელ ქვემო ჭალაში ააგეს ქვითკირის გალავნითა და ციხე-კოშკებით გამაგრებული სასახლეები. ამილახორის რეზიდენცია ამ სოფელში იყო და იგი აქედან განაგებდა თავის ქვეყანას. ამილახორისშვილები კი საამილახოროს სხვადასხვა კუთხეში ისხდნენ: კასპში, ოთარშენში, გორში, ზახორში და სხვა. თავადის უფლებები, როგორც დავინახეთ, დიდია; ასევე დიდია მისი შემოსავალიც. ამიტომ თავადი ცდილობს უზრუნველჰყოს თავისი შვილებისათვის თავადობის შენარჩუნება. ამისაკენ მიილტვიან მისი ძმები და ძმათა შვილებიც. ამ ნიადაგზე იშლება მუდმივი ინტრიგები, ურთიერთ მტრობა და დაბეზღებები. როდესაც მეფის კარზე თავადს საქმე ურთულდებოდა, თავადისშვილი, ძმა თუ ბიძაშვილი ცდილობდა გათავადებას.

ზევდგინ ზევდგინიძე და თაყა ზევდგინიძე ძმები იყვნენ, თაყა ამილახორად ითვლებოდა. ვახტანგ მეფე (1442—1446) თაყას გაუწყრა და ციხეში გამოჰკეტა. მის ძმას ზევდგინს კი ხელი არ ახლო, ასრე უბრძანა: „შენ არა შეგიცოდებია რა, არას წაგართომ" და ისრევე აქონა მისი მკუიდრი მამული"[2].

---

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 203. მასალები, 1937 წ. I, გვ. 41.

რატომ არის, რომ ერთი სახლიდან ერთი მტრად ითვლება მეფისადმი, მეორე კი „არას აშავებს"? როგორ ავხსნათ ყოველივე ეს? ეს ამბავი მხოლოდ ზემოთ წამოყენებულ მოსაზრების საფუძველზე აიხსნება. ზაალი და ავთანდილი ერთი სახლისშვილები არიან, მაგრამ ზაალი ავთანდილის მოკვლას ლამობს [1].

XV საუკუნიდან მოყოლებული ამილახვრიანთ სახლში ურთიერთ მტრობა არ შეწყვეტილა და არც შეიძლებოდა შეწყვეტილიყო. როდესაც ქვეყნის შინა თუ საგარეო პირობები რთულდებოდა, ფეოდალის სახლშიც ურთიერთობა იცვლებოდა. მეფე თეიმურაზ I და როსტომი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ამილახვრიანთ სახლშიც მსგავსი დაჯგუფება მოხდა, ბეჟანი როსტომს მიუვიდა, ხოლო იოთამი თეიმურაზს შერჩა. ასევე იყო გიორგი მეფესა და ნაზარალიხანის მეფობის ჟამს.

ნაზარალიხანმა 1697 წელს ანდუყაფარს, შვილს იოთამს და ძმას ავთანდილს წიგნი მისცა: „... ბიძა თქვენი ამილახორი გივი და მისი ძმები და ძმისწულები მათისშვილებით ბედნიარს ყენს უკუდგნენ და გიორგი მეფეს მიუიდნენ... იმათ გიორგი მეფისაგან და ქართველთაგან საფიცარი აეღოთ, რომე თუ იმათ შესძლებოდათ რამე და ქართლი დაეჭირათ თქვენ სამილახოროში აღარ შეშვით და აღარც თქვენის მამულის წილი მოეცათ" [2].

მსგავსი ცნობებია გიორგი მეფის მიერ გივი ამილახორისათვის მიცემულ სიგელში „თქვენი ძმისწული ოთია და ავთანდილ გავზარდეთ და გავაკეთეთ და ნიადაგი ჟამს მწყალობელნი ვიყავით და ბევრი წყალობაც /ვ/უყავით, მაგრამე ჩვენგნით სიკეთე და წყალობა არცერთი არ შეეიწირა, თურმე ნიადაგიჟამს ჩვენი ორგული და მუხანათი იყო, წაგვივიდა და ქართლსა, კახეთს და იმერეთს სადაც რამ იმისი გავიდა ჩვენს დასაკლისსა, წაჯდენასა და ორგულობას ეცადა, თქვენიც საფიცარი გატეხა და გიმუხანათა და შვილიან-თავიან თქვენი დატყვევება და დაკოცა მოინდომა და ერეკლე მეფისაგან ერთპირათ თავისთჳნ საამილახოროსი, სარდლობისა, გორის მოურაობისა საფიცრები აეღო და თქვენი საქართველოდამ ამოღება დაესკვნა" [3].

ამილახვრიანთ სახლში ურთიერთობის კიდევ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას. ისე, როგორც მეზობელ ფეოდალებთან, აქაც თვით სახლისშვილები სდებენ ფიცის წიგნებს, რათა ურთიერთ

---

[1] მასალები, 1937 წ. I, გვ. 46.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 526.

[3] საქ. მუზეუმი Hd, 2134.

საზიანო საქმე არ ჩაედინათ. „მტკიცე და უცვალებელი საფიცარი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ბიძა თქვენმა ამილახორმან გივმა და ყორჩიბაშმა პაატამა და თქვენმა ბიძაშვილმა ბეჟან, თქვენ ჩვენს ძმისწულს რევაზს; ვიყვნეთ თქვენთვის დღეს და დღეისაქით კარგნი და კაის მნდომნი და რაც ღთისაგან, ან კაცისაგან კარგი დაგემართოს, იმისი მამჭირნენი ვიყოთ. არც ბატონთან, არც ამხანაგთან, არც სახლისკაცთან და არას კაცთან ჩხუბი არ ჩამოგიგდოთ. თუ ვინმე თქვენი საჩხუბარი გვითხრას, არ დაუჯეროთ და კიდეც გითხრათ და თუ ვინმე თქვენი საწყენი გამოგვანდოს, არ დაგიმალოთ და თუ ჩვენი და იოთამის და ავთანდილის შერიგება აღარ მოკდეს, ისინი გაუშვათ ჭელიდამე და თქვენ აღარ გაგიშვათ. სანამდი ცოცხალი ვიყოთ თქვენი გაყრა და მოშორება არ მოვინდომოთ. შენის მტრისა მტერნი ვიყვნეთ. თუ შენ ჩვენზედ არა სტყუოთრა, ეს ასრე გაგითავოთ, წელიწადში თორმეტი თუმანი ჯამაგირი არ დაგაკლოთ... და ჭელიც ასრე ჩაგირთოთ რომ ამისის გათავების მეტი არა აღვიაროთ რა“ [1].

გივი ამილახორი, ამილახვრისშვილები: გიორგი, ვახტანგი, გივი, იოთამი, ოთარი, დემეტრე, ერასტი, ბერი, ბეჟანი, თეიმურაზი, ბარამ, ბერი, ბარძიმი, ფარემუზ და ედიშერი ურთიერთ პიროობას სდებენ გაუყრელობაზე. „... რომ არას წაკვდენით და გაკეთებით ჩვენ ერთმანერთი არ გაუშვათ... მტერზე მტერნი ვიყვნეთ და მოყვარეზე მოყვარე“. თუ ვინმე გაბედა „ან ცალკე, ან სხვას სახლისკაცთან მისვლა, თავისი წილის მამულიდამე ორი გამორჩეული აზნაურშვილი და ოცდაათი კომლი გლეხი საუპატიოდ და სისხლად დადვას და იმ სხვათ მისცეს; და თუ მამულისა გაუყრელად მოინდომოს რომელმან ისრე, ან ცალკე გაწევა და ამ ჩვენიდამ წასვლა და სხვისა ჭელის მოკიდება, ოცდა ათი კომლი გლეხი თავისის საუფლისწულოდან და ნასყიდიდამ დადვას და მისცეს სხვათა სახლისკაცთა“ [2]. საბუთი 1715 წლით თარიღდება.

კიდევ ერთი საბუთი. „ესე ძმობისა და ერთობის წიგნი მოგარ-/თვით/ ჩუენ ამირი/ნდომ და ძმამან ჩვენმან მროელმა ათანასემ თქვენ ამილახ/ორს...?/ძმასა თქვენსა იოთამს, ბიძაშვილსა თქვენსა იასეს, დემეტრეს... ასე რომე რევაზიშვილმა ოთარმა და ბეჟანიშვილებმა უდანაშაულოთ ჩვენი წაკდენა მოინდომეს, არაგვის ერისთავი ბარძიმ და ამირეჯიბი ალიყულიბეგ მოიკმარეს, ბანთან ჭვაბეზღეს დაუნაშავებლათ; ამილახორობაც ოთარმა იშოვნა. ჩვენი

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 2145.
[2] იქვე, Hd, 11395.

და თქვენი დაკარგვა და დაკოცა მოინდომეს, გამოვეცალენით, რაც რამ ან სათავისთაო, ან საერთო ჩვენი წილი დააკელეს აიკლეს, დაარბიეს. ვინც გამოასწრა მამული და ყმა გაუშვეს, ჩვენთან მოვიდნენ ჩვენი მსახურ-აზნაურშვილნი. ჩვენ უწინათ ერთნი ვიყავით და ახლაც ეს პირობა დავდევით, ჩვენ ერთმანერთს არ/ვ/უმტყუნოთ. ერთნი ვიყვნეთ, ამ საქმეზე ზიანი და სარგებელი ერთიყოს. ვინც გვინდომოს ერთგან ვინდომოთ, ვინც არა გვინდომოს და მტერი იყოს, ჩვენც იმას ერთად/ვ/უმტროთ; რომელმაც ბატონმა ერთსა წყალობა გვიყოს, მეორესაც /ვ/უშოვნოთ. ერთმანერთი გამოვიტანოთ, თუ რამ გვქონდეს ერთმანერთისთვინ არ გვეშურებოდეს, ვინც მოვკვდეთ ერთმანერთი დავმარხოთ, ვინც ცოცხალი დარჩეს იმას მოუაროს, ვინც თქვენ არ გინდომოს, ჩვენ ის კაცი არ ვინდომოთ“ [1]. ეს პირობის წიგნი 1735 წლით თარიღდება. რა თქმა უნდა, ასეთი პირობის წიგნი, მიუხედავად ორივე მხარის სურვილისა, მტკიცე არ იყო. იგი ადვილად ირღვევოდა, როცა ეს დარღვევა ამა თუ იმ მხარის პირად ინტერესებს შეესატყვისებოდა. „ფეოდალის ძმობა-ერთობა“ მყარი არ იყო.

1731 წელს ბაგრატ ციციშვილმა, მისმა ძმამ ციციმ, და ერასტიმ თავის ბიძაშვილს ნოდარს „ძმობისა და სახლისკაცობის წიგნი და პირი“ მისცეს: „... აქამდიც ერთ-მანეთისა ძმანი და სახლისკაცნი ვიყავით და ახლაც უზეშთაესათ ჩვენ შენი თავი მოვინდომეთ ძმათა და სახლისკაცთა და ეს წიგნი და პირი მოგეცით: დღეს, დღეის იქით, როგორც ჩვენ სამნი ძმანი ვართ, ისე მეოთხე ძმა შენ ჩვენი იყავი. სანამდი ცოცხალნი ვიყვნეთ, ჩვენ შენზე არა ვსტყუოთ რა და რაც ღთითა და კაცით შემოვიმატოთ და ვიშოვნოთ, იმისგან შენც წილი დაგედებოდეს, შენის მტრისიც მტერი ვიყოთ და მოყვარისა მოყვარენი. ამ წუთისოფლის ერთმანეთს ვებათ. შენი წილი, რაც საციციანოში გამოვიდოდეს, არასფერის წილი არ დაგაკლოთ. მძორეთში შენი წილი კაცი, რომელიც შენა გჭეროდეს, ისიც ისევ დაგვინებებია, შენვე დაიჭირე. ჯემწიფის გამოსაღებს გარდა შენ იმსახურე“ [2].

მსგავსი „ძმობა-ერთობის“ წიგნი „და პირი“ დადეს 1800 წელს სარდლის ალექსანდრეს შვილმა გიორგი მინბაშმა და სარდალ-მოურავმა გიორგიმ [3].

---

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 2139.

[2] საქ. მუზეუმი, Sd, 256.

[3] იქვე, Hd, 2512.

როგორც ყველგან, აქაც „ძმობა-ერთობა“ „მტრობა-ქიშპობით“ იცვლებოდა. ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ დეტალს. ციციშვილები ხშირად ყალბ საბუთებს ადგენდნენ, ყალბ ბეჭდებს აკეთებდნენ და ამით ურთიერთ ყმა-მამულებს ისაკუთრებდნენ.

მძოვრეთის ციხე ზაქარია ქაიხოსროს ძე ციციშვილს დაეჭირა და შიგ თავისი კაცები შეეყვანა. ქალაქის მოურავი — დავით ნოდარის ძე ციციშვილი გამოესარჩლა: ციხე ჩვენი საკუთარიაო, „არც ქაიხოსროს შვილებს და არც პაპუნაშვილებს წილი არააქვსთო“.

ზაქარია ციხეს არ ცლიდა. დავითი, მისი სახლისკაცი პაატა და ნიკოლოზი შეთანხმდნენ, მიუხტნენ „ზაქარია დაიჭირეს, მრავალი უპატიური ჰკადრეს და ციხე დააცლევინეს“[1].

საქმეში ერეკლე II ჩაერია, სასამართლო დაინიშნა, „ზაქარიამ დავთარი მოიტანა, ბარძიმ მდივანბეგის ბეჭდით დაბეჭდილი, მძოვრეთის ციხე ზაქარიას წილობისათვის ეწერა“. მან სხვა საბუთებიც წარადგინა. მოსამართლეებს „ეჭვი შეუვიდათ“. „ამ სარჩელსა და ლაპარაკში მოურავი დავით და მისი საკლისკაცი პაატა და ნიკოლოზ თავდაუზოგავად ისარჩლოდნენ, თუ ან ეგ წიგნები იყოს ჩვენი მამა-ბიძისაგან დაწერილი და ან ეგ ბეჭდები იმათი იყოს, რაც მტყუანს კაცს გარდახდომოდეს, ჩვენც გარდაგვახდვინეთო“.

ამ დავის დროს უზბაში ზაზა ციციშვილი გამოჩნდა, მას „წიგნების გაკეთება და ბეჭდების მოჭრა ზედმიწევნით სცოდნოდა“ და იმ საქმეში შიგ დამსწრე ყოფილიყო და ყოველი მომხდარი დავით მოურავისათვის საიდუმლოდ ეამბო“. დავითმა ერეკლეს უამბო ზაზას ნალაპარაკევი. ამავე დროს ზაზამ დავითს უთხრა: ბეჭდების გაკეთება და წიგნების შედგენა მე დამაბრალეთო და სამართალში მალაპარაკეთო, თან ქრთამი გამოსთხოვა. დავითმა და მისმა სახლისკაცებმა ზაზას ოინები ხერხიანად მიიჩნიეს და სასამართლოში ზაზას მართლაც უჩივლეს: „შენ. რომ მეგობარი იყავ ზაქარიასი გულითადი და საკუთარი, შენი დამალული იმას არა ჰქონია, ეს წიგნები შენგან არის გაკეთებული და ბეჭდებიც შენგან არის მოჭრილიო, თუ შენ შემოგვფიცამ, რომ არ იცოდე და ზაქარია ვერ გავამტყუნოთ მძოვრეთის ციხეზედ ჭელი აგვიღიაო და სისხლსაც მთლად მივცემთ რაც დაგვედებაო“.

ზაქარიამ ვერ გაუგო მოწყობილ საქმეს და საფიცრის წიგნზე ხელი მოაწერა.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, 226, 5044.

„სამართალმა ზაზა ციციშვილს ფიცი დაადო“. ზაქარია შეეცადა ზაზა მოექრთამა, მასთან მივიდა და შეეხვეწა: „ოღონდ დაიფიცე, რომ წიგნების გაკეთებისა და ბეჭდების მოჭრისა არა იცოდერაო, ორმოცდაჩვიდმეტი თუმანი ნაღდი თეთრი ჭელში მისცა და სხვა მისაცემელიც აღუთქვა“. ზაზამ ფული აიღო, მაგრამ „საფიცრად, რომ წაიყვანეს გამობრუნდა და თქვა ბეჭდები უბეში მიძეს, როგორ დივიფიცოო“. ზაზა მივიდა სასამართლოში და საჯაროდ განაცხადა: „წიგნებიც ზაქარიამ გააკეთა და დაწერა და ბეჭდებიც ჩემთან მოაჭრევინა თავის მულისშვილსაო“ და ტყვიაზე მოჭრილი ბეჭდები წინ დაუწყო.

ზაქარია იძულებული გახდა ეღიარებინა დანაშაული. „ვეღარც ერთის უარი ვერა თქვა“. ზაქარიას სხვა სიყალბის ქმნაც დასწამეს. მან სასამართლოში „ერთი ძველი წიგნი მოიტანა — სისკლისა, მამა-პაპათ ერთმანერთში მიცემული. და ამ წიგნში რომელიმე ადგილი ამოფხეკილი და იმ ამოფხეკილში ციხის მაგიერ მამული ჩაეწერა... მეორედ კიდევ დავთარი მოიტანა, თავით ბოლომდინ ერთი ჭელი იყო და ერთი მელანი და შუაში მელანიც სკვა იყო და ჭელიცა და უადგილო ადგილას ციხე ჩაეწერა და საკუთრად თავეთის წილობისათვის მიეგდო და ბარძიმ მდივანბეგის ბეჭედი ახლა მოეჭრა ტყვიაზე და ამ დავთარზედ დაესო“. ზაქარიას მესამე ბრალდებაც წარუდგინეს. გამოირკვა, რომ მას „ბაგრატისა და ფარსადანის წიგნები ახალი თავისაგან დაწერილი და დაბეჭდილი მოქონდა და მოსამართლეს გულს აჯერებინებდა და უნდოდა ამ სიდრკუით და სიცრუით მოსამართლენი ბრალში მიეცა და თავისი თავი მართლად გამოეყვანა და ციხე თავისთვის დაენარჩუნებინა“[1].

სასამართლომ სადაო საკითხი ნოდარიშვილების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მოტანილი საბუთები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: ცალკეული ფეოდალის სახლი მრავალი ოჯახებისაგან შემდგარი ერთეული იყო. ძმები, ძმათა შვილები და ბიძაშვილები ერთს საგვარეულო მამულზე სხედან. ეს საგვარეულო მამული ყველას კუთვნილებაა, ოღონდ არათანაბარი პრინციპით. საგვარეულოს უმცროსი შტო ნაკლები უფლებით სარგებლობს, უფროსი — უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაშია. ეს არათანაბარი მდგომარეობა ე. ი. მოცემული სახლის წევრების ადგილი საერთო ქონების ხარჯვაში, საბოლოო ანგარიშში, განსაზღვრავს ამ სახლის წევრების ურთიერთობის ფორმებს. მტრობა თუ მეგობრობა ურთიერთს

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 5044.

შორის გარკვეულ ეკონომიურ საფუძველს ეყრდნობა. ეს ურთიერთობა სხვადასხვა ფორმებში ვლინდება.

საერთო მტრობა თუ მეზობლობა მთელს საფეოდალოზე ვრცელდება და მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის ხასიათს იღებს.

მეტ-ნაკლებად ეს მოვლენა თითქმის ყველა საფეოდალოში შეიმჩნევა.

როდესაც ფეოდალის სახლში ამ სახლის წევრთა წინააღმდეგობა უკიდურეს წერტილს აღწევს, მაშინ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი ხდება. ერთი „სახლი" მრავალ „სახლებად" იყოფა. ახლად წარმონაქმნ „სახლებს" შორის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს.

III. ქონების მფლობელობის წესი

ყოველ სათავადოში შემდეგი სახის მფლობელობა იყო: 1. „სახასო" ქონება. 2. „საუფლისწულო", 3. „სათავისთავო".

„სახასო" ქონება სათავადოს ძირითად ქონებას წარმოადგენდა. იგი შედგებოდა ყმების, მიწა-წყლის, ციხე-სიმაგრეების, ჯიგის, ბაღ-ვენახების, საბაჟო-სახელოსნოებისა და სხვათაგან. სახასოს სიდიდე საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავდა მოცემული სათავადოს სიძლიერეს.

სახასო ქონებას თავადი განაგებდა. მთელი ეს შემოსავალი აღირიცხებოდა, სახელმწიფო გადასახადებს გაისტუმრებდნენ და რაც დარჩებოდა გაანაწილებდნენ ძმებს შორის არათანაბარი პრინციპით — სახლის უფროსი აიღებდა საუფროსოს და შემდეგ ძმები „საშუალოს", „საუმცროსოს" და სხვ.

ალექსანდრე ამილახორი ამის შესახებ წერს: „გვარის უფროსი, რომელიც მართავს და განაგებს თავის სამკვიდროს, მეხუთედ ნაწილს ჰკრეფს თავისი ქვეშევრდომებისაგან და თავის ძმებს უნაწილებს უცილებლად"[1].

„ბაჟი მთისა და ბარისა და წყლის გამოსავალი... შეწერ-გაწერა, ყმის წახდენა-გაკეთება და ყმის გამოსავალი... სახლის კაცების შეკითხვით უნდა იქნას"[2].

მფლობელობის საინტერესო ფორმას წარმოადგენს „საუფლისწულო". ქსნის ერისთავების კუთვნილ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ყველამ თავის საუფლისწულო თავისის ნებისაებრ უნდა მოვიხმაროთ... რომელსაც ძმას რომელიც აზნაური და მსახური ახლდესთ და იმათ დააშავონ რამე, ყველამ თავისთავად,

---

[1] მნათობი № 8, 1939 წ., გვ. 129.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 874.

როგორც გვინდოდეს ისე გარდავახდევინოთ, მეორე ძმებს უკითხავად"[1].

კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი საბუთი:

„...ამ გზით შევერთდით, — ეუბნებოდა გიორგი ყულარაღასი დავით ერისთავს, — რომ ლიახვი, ფურცელაძის სახელო რაც არის მე მეჭიროს: ოსი და ქართველი, გაღმა და გამოღმა; ხადურის ედიშერის ალაგს გარდა და ედიშერის გარდა, იმის ზეით — თავ ქნოღომდის; გაღმა და გამოღმა ლიახვი; ფოტრისა რაც ჩვენი სახასო არის; გვიდისი, რაც ჩვენი სახასო არის, საყდრის ყმებს გარდა; დვალულა სულ მთლივ; ვაკეში მარანა, აზნაური და გლეხი სულ მთვლივ. ქრცხინვალს გრიგოლა და პაპისაშვილები, ამათში რაც ან მათი გამოსავალი იქნება: ბეგარა, ან საჩუქარი, ან დაჭერა და დანარბევი ან საიასაულო, ან რაც ფერი, ყველა ჩემი იყოს. თქვენ იქიდამ არა მიირთვათრა და არც ხელი გვქონდესთ, ყველა მე დამნებდეს; ამას გარდა სათემოს გამოსავლის მესამედი, აგრეთვე სარუისა, აგრეევ სახასოებისა. რომელთაც სახასოს ხოდაბუნების ხვნა ჰსძესთ, ქიწნისისა და კარალეთის პურისა და კულუხის გამოსავლის მესამედი, აგრეევ, რაც ვაკის კულუხის მესამედი/ა/. დუდეთის ზვარი რუს ზეით ჩემი იყოს საკუთრად და რუს ქვეით თქვენი. ლომანნ თუ ინებოს და ქვეყნის მშვიდობით ატენს ზვარი გაკეთდეს, იმ მზვრისა და უფლისციხის გამოსავლის მესამედი რაც ედვასთ, ესინი თქვენის მოხელისაგან ჩემს მოხელეს მიეცემოდეს. ამას გარდა, ქიწნის/ს/ა და კარალეთში რაც დასარბევადა და რაც წასართმევათა მე ხელი არა მქონდესრა და სახელმწიფო სამსახური, რომელიც გვებძანოს და ჩემს კაცს შემოხვდეს, რაც საერისთოს კაცს დაეწერებოდეს იმათს ტოლს კაცს, ისე ჩემს კაცს დავაწერდეთ სამართლიანის საქმითა, ოსს გარდა, ქართველსა. ამაებს გარდა რაც საერთო იყოს: ან ქსანი, ან მეჯუდა, ან ვაკიანი, გვერდისძირი, ან ოსი ან ქართველი, — ყველა თქვენ გეჭიროსთ აზნაური შვილი თუ გლეხი. მე და ჩემმა შვილებმა არც დავიჭიროთ, არც დავარბიოთ და არც ავიკლოთ და არცარა საქმე გვქონდეს იმათთან სიყვარულისა და ერთობის მეტი"[2].

გიორგი ყულარაღასის ეს მოთხოვნა ერისთავსაც დაუკმაყოფილებია და მასაც, თავის მხრივ, მსგავსი „ფიცისა და პირის წიგნი" მიუცია, რომ .რაც ითხოვე „დაგვინებებია საუფლისწულოთო"[3].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 42, საბ. 301.

[2] იქვე, ფ. 229, დავთარი 23, საბ. 144.

[3] იქვე, ფ. 226, საბ. 2860.

ბარძიმ ამილახვრიშვილი კუპატაძეს წიგნს აძლევს:

„ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს საუფლისწულოს ყმასა და ყმისშვილსა კუპატაძეს, კურთხეულის მამისჩვენის დაზდილს თევდორეს და გიორგის... ყამთავითარებისაგან და ჩვენის მოუცლელობისაგან აქა-იქ სცხოვრებდით და თქვენ სამკვიდრო მამულზე არ იდექით; მოხვედით და გვეაჯენით თქვენის სამკვიდროს მამულისა და ადგილის ბოძებას, და ბინის მოცემასა". ბარძიმმა მამული მისცა, რაც აკლდა ბეითალმანით შეუვსო და სამსახური გაუჩინა: „...ჩვენი სამსახური თქვენგან ასე უნდა იყოს: ერთი მსახური უნდა გვიახლოთ.. როგორც შენი ამბანაგნი აზნაურნი იმსახურებდნენ, შენც ისე უნდა გვემსახურო. ამას გარდა ეს წყალობაც გვიბოძებია შენ გიორგი კუპატაძისათვის ჩვენის ყმების საუფლისწულოების მოურაობა"[1].

კიდევ ერთი საბუთი: მინბაშ რევაზს და უზბაშს ნიკოლოზს საუფლისწულოები გამოუყვეს ორჭოსანი და აკაზანი „მისის მიწაწყლითა და სამძღვრითა,... რომ ამათი ფარდი ყველას სახლისკაცებს უჭირავს. თუ ვინ იცის ბოლოსაც იყოს და გაყრა მოგვიკდეს, ეს საუფლისწულოები არც ერთი ბარათში აღარ უნდა ჩავარდეს. ავაშენებთ თუ წავაკდენთ ერთმანერთის საუფლისწულოებთან ჭელი აღარ გვექნება"[2].

ამრიგად ირკვევა, რომ „საუფლისწულო" სათავადოს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მიცემული აქვს თავადიშვილს, როგორც სახარჯო ქონება. მთელი „საუფლისწულოს" შემოსავალი ხმარდება თავადიშვილს. „საუფლისწულოში" თავადიშვილი თავადისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს. მას შეუძლია ყმა გაათარხნოს, გაყიდოს, გაახეიბროს, მოხელე დანიშნოს, სარგო განსაზღვროს და სხვ. ერთი შეხედვით „საუფლისწულო" იყო „სათავადო" სათავადოში. მაგრამ სათავადოში სახასო ქონების არსებობა ამ საუფლისწულოებსაც ერთად უყრიდა თავს და ეს საერთო ქონება იყო ის ატრიბუტი, რომელიც სათავადოს არსებობას ადასტურებდა.

„სათავისთავო" სათავადოში პირად საკუთრებაზე დაფუძნებული ქონება იყო. იგი თავადიშვილის ოჯახის წევრების პირად საკუთრებას წარმოადგენდა: მზითევი, ნასყიდი, ნაწყალობევი და სხვ.

---

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 2273.

[2] იქვე, Hd, 2141.

მზითევი ისეთი საკუთრება იყო, რომელზედაც სხვას ხელი არ მიუწვდებოდა გარდა მზითევის პატრონისა.

„...ესე წიგნი მოგეცით მე, ერისთავის დედამ ქეთევანმა, თქვენ ზერმაზანაშვილებს ოჰანეზას და ძმასა შენსა არუთინას, ასე, რომ მამათქვენი ციციანთ ყმა ყოფილიყო, მამა თქვენმა ზერმაზანამა ჩემის თეთრით თავი დაიხსნა იმათგან, რომ თავდახსნილობის წიგნიც ხელთ გიჭირავსთ. ჩემი თეთრი სრულებითა მე ერისთავის დედას ქეთევანს მომბარდა და ღთის წინაშე ჩემი ნასყიდი აღარა-ხართ. თავდახსნილნი წყალობის ყმათ მამიხვედით, არც მამული მომიცემია თქვენთვის, არც სათხოვარი დამიდვია, თქვენ თქვენის ნებით მოსამსახურე იყავით, ჩვენ მწყალობელი ბატონი; ამ გზით ბატონყმობა გვქონდა. თუ ჩემს შვილებთან, რომელთანაც გულმა მიგიწიოსთ და კარგად მოგიარონ და ჩემსავით თავისუფ-ლად შეგინახონ იმასთან გემყოფებოდესთ, თუ თქვენს გუნებით არ შეგინახონ, ვისთანაც გერჩომინებოდესთ იმასთან მიდით; აზა-ტი ხართ ჩემგან, თქვენთან საბატონოთ ხელი არავისა აქვს"[1]. მოსესა ლალაშვილს წერდა დავით ერისთავი, „ზერმაზანა... დედის ჩემის სათავისთავო არის, არც სახლისკაცს აქვს ხელი და არც სხვათა"[2].

ასევე მტკიცე იყო ნასყიდობაზე დაფუძნებული საკუთრება. საკუთარი ქონებით ნასყიდ ყმაზე ძმებსა თუ ძმათა შვილებს ხელი არ მიუწვდებოდა. ვახტანგის სამართლის 160-ე მუხლი აცხადებდა: „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას მამული, სოფელი, საქონელი, თუ პირუტყვი, დიაღ ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მე-ტი კაცი ვერ მოუშლის,.. მაგრამე ბატონსაც ეს მართებს სხვარი-გად რომ კაცმან კაცს გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა შოუშალოს"[3].

იყო შემთხვევა, რომ მეფე ამა თუ იმ თავადის სახლის შვილს პირად სარგებლობაში მისცემდა ყმა-მამულს. ასეთ ნაწყალობევზე სახლის სხვა წევრს ხელი არ მიუწვდებოდა.

ერეკლე მეორემ რევაზ ამილახორს უბრძანა: „...ჩვენი ბრძანე-ბა არის, მერმე პირველიდგანვე ჩვენი სამკვიდრო სახასო სოფელი ტინისხიდი ჩვენის დიდათ ერთგულის ამილახვარის რევაზისათვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია სამკვიდროთ და საბოლოოდ, ამისათვის და ამისის შვილებისათვის. მარტოდ ამილახვარს რევაზს

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 24, საბ. 133.
[2] იქვე, საბ. 122.
[3] ქრესტომათია, I, გვ. 428.

და ამის შვილებს გარდა სხვას რომელსამე იმის სახლისკაცს საქმე არავის აქვს ამ ტინისხიდის სოფელში"[1]. სათავადოში „სათავისთავო" ქონების ზრდა ხელს უწყობდა სათავადოების დაშლას. მაგრამ მფლობელობის ეს ფორმა იმ ძალით ვერ განვითარდა, რომ სათავადო დაერღვია. ამ სახის ქონების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები მხოლოდ XIX საუკუნეში შეიქმნა.

ასეთია სათავადოში თავადისა და თავადიშვილების ადგილი და მათი ურთიერთობის ფორმები. როგორც დავინახეთ მათი ურთიერთობა მრავალმხრივი იყო, რაც ვლინდებოდა როგორც „ძმობა-ერთობაში", ისე „მტრობა-ქიშპობაში" იმისდა მიხედვით თუ როგორი იყო ქვეყნის საერთო მოვლენები.

IV. სათავადოს მოხელენი

სათავადოების საბუთებში შემდეგი მოხელეები გვხვდება: მოურავი, სალთხუცესი, ბოქაულთხუცესი, ნაცვალი, მამასახლისი, მდივანი, მეღვინეთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ნაზირი. მართალია, საყაფლანიშვილოს საბუთებში მოურავი არ მოიხსენიება, მაგრამ არ შეიძლება სათავადო მოურავის გარეშე წარმოვიდგინოთ. არის ისეთი თანამდებობანიც, რომელიც ერთ სათავადოში არსებობს, მაგრამ სხვაგან არ გვხვდება. მაგ., ნაზირი მხოლოდ ქსნის ერისთავების საბუთებში გვხვდება, მეჯინიბეთუხუცესი—საყაფლანიშვილოს საბუთებში, მეღვინეთუხუცესი — საამილახოროს საბუთებში. ხშირად ამა თუ იმ მოხელის მხოლოდ სახელია მოხსენებული საბუთში და მის უფლება-მოვალეობის შესახებ არაფერია ნათქვამი.

სათავადოს მოხელენი შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: საქვეყნოდ გამრიგენი, კარის მოხელენი.

საქვეყნოდ გამრიგეთა ჯგუფში ჩვენ ვაქცევთ მოურავს, ნაცვალს, მამასახლისს, ხოლო კარის მოხელეთა ჯგუფში — სალთხუცესს, ბოქაულთხუცესს, ეშიკაღასბაშს, მეღვინეთხუცესს, მდივანს, ნაზირსა და მეჯინიბეთხუცესს.

აქ ჩამოთვლილ მოხელეთა ფუნქციის ზუსტად განსაზღვრა ჭირს, მაგრამ ზოგი რამის დადგენა მაინც ხერხდება.

მ ო ურ ა ვ ი. ადმინისტრაციული მმართველობის თვალსაზრისით საერისთავო დაყოფილი იყო სამოურაოებად.

ქსნის საერისთავოში შემდეგი სამოურაოები არსებობდა: ახალგორის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჭურთის, ყამურის, მაღრან-დვალეთის, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის ხევის, პატარა ლიახვის,

[1] საქ. მუზეუმი, Qd, 3098.

გვერდის ძირის[1], ძეჯუდის, მეჯვრისხევის, სათემოს, ტყვიავის, კარალეთის, ლამისყანის, თეზის, ოძისის, წირქოლის, იკოთის, ქიწნისის, ალევის ხეობის, საფერშეთის ხეობის, ქურთა-ნახიდის ხეობის, საძეგურის და ახალდაბის. მოურავად ჩვეულებრივ აზნაური ინიშნებოდა, მაგრამ ქსნის საერისთავოში ქარჩოხის, ცხრაძმისა და ჭურთის გარეშემოს მოურავად[2] გლეხები იყვნენ: ქარჩოხის მოურავად — პავლიაშვილი, ჭურთის გარშემოს მოურავად — რუსიტაშვილი, ხოლო ცხრაძმის მოურავად — ყველაშვილი.

ერთსა და იმავე პირს შეიძლებოდა რამდენიმე სამოურავო ჰქონოდა საგანმგებლოდ. ასე მაგალითად: მეჯუდისა და მეჯვრისხევის მოურავად ბეგიაშვილები იყვნენ. სათემოსა და ქიწნისის მოურავად — ჩერქეზიშვილები, ჭურთის ხევისა და წირქოლის მოურავად — ზურაბ ფიცხელაური. ხშირად ერთი კაცი რამდენიმე თანამდებობასაც ასრულებდა. გიორგი ბატონიშვილი ზურაბ ფიცხელაურს 1778 წელს წყალობის წიგნს აძლევდა: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შენ, ჩვენს აზნაურშვილს და წესისაებრ თავდადებით ერთგულად ნამსახურს ყმას, ფიცხელაურს ბოქოულთუხუცეს თექთუმანის შვილს, ბოქოულთუხუცეს/ს/ ზურაბს... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქსანზე ერთობით ქსნისა ბოქოულთხუცობა, როგორადაც გქონებოდეს იმ გვარის განწესებით და რიგით. და კიდევ გიბოძეთ ჭურთის ხევის მოურაობა და წირქოლის მოურაობა ყოველის მისის საპართლიანის სარგოთი“[3].

არჯევან ფირცხელაურიც ჯერ მარტო ახალგორის მოურავი იყო, შემდეგ კი უბოძეს „სალთხუცობა ქსნისა“[4]. ამავე დროს დატოვეს ახალგორის მოურავადაც და ეამურის სამოურავოც მას გადასცეს საგანგებლოდ. „...ბატონიშვილი გიორგი გიბძანებთ ახალგორის მოურავო არჯევან, მერმე ახალგორისა და ეამურის მოურაობა პირველადაც ქონოდა და ახლაც შენთვის გვიბოძებია ყოველის სამართლიანის საქმით“[5].

---

[1] გვერდის ძირში რამდენიმე სოფელი შედის და არ ჩანს ერთი მოურავი განაგებდა, თუ თვითეულ სოფელს თავისი მოურავი ჰყავდა. რადგან მსგავსი ხეობის სოფლები ერთს სამოურავოში შედიოდა, ამიტომ აქაც შეიძლება ერთი მოურავი ყოფილიყო.

[2] საქ. სიძვ. II, გვ. 457.

[3] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთარი 24, საბ. 111.

[4] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთარი 4, საბ. 107.

[5] იქვე, დავთარი 24, საბ. 109.

ქსნის საერისთავოში მოურავი წარმოადგენდა ერისთავის შიერ დაყენებულ მოხელეს, რომელიც თავის საგანმგებლოში სასამართლო და ადმინისტრაციულ საქმეებს განაგებდა.

მოურავს ევალებოდა: ძმებისა თუ შვილისა და მშობლების გაყრის საქმეში ჩარევა, „ქურდობის სამართლის ქმნა", „თავის გასამტეხლო", „საბაჟო საქმე", „თევზჭერის საქმის" მოწესრიგება, საერისთავო საქმეებზე ხალხის მოყვანა (სათანადო იასაულების მეშვეობით), საერისთავო ბეგარის ხელმძღვანელობა, სამართალი — „რომელიც სოფლის კაცი ერთი მეორეს უჩიოდეს, იმისი სამართალი მოურავმა ჰქმნას"[1].

მოურავის ხელქვეითნი იყვნენ ნაცვალი და მამასახლისი. ეს უკანასკნელნი მოურავის ბრძანებას ასრულებდნენ ადგილებზე. ახალდაბელებისადმი 1736 წელს მიცემულ ბრძანებაში ბატონიშვილი ისაყ-ბეგი წერდა: „... მერმე თქუენი მოურაობა ძველადგან მკვიდრათ დავითისშვილის ყოფილიყო, ... და როგორც ძველიდგან სჭერიხართ და მოურავს რიგი და წესი ყოფილა და გიმსახურიათ, ისე ამას თავის რიგს ნუ დააკლებთ... რომელი ჩვენი ბრძანება და სამსახური მოვიდეს, ამას გაუგონებდეთ და ამისი მორჩილი იყავით. სხვას ხელი არავისა აქვს მანდაურის საქმის რიგებათ. ამისი ნაცვალი და მამასახლისი გაარიგებდეს ხოლმე"[2].

თუ ერთ სამოურავოში შეიძლებოდა რამდენიმე სოფელი ყოფილიყო, სამაგიეროდ მამასახლისი ყველა სოფელში იჯდა, რომლის დახმარებითაც მოურავი საერისთავო საქმეებს აწესრიგებდა. მამასახლისი გარკვეული უფლებით იყო აღჭურვილი, ის „ერისთავის კაცი" იყო ადგილზე და პატივსა და სიტყვის გაგონებას მოითხოვდა ხალხისაგან. მამასახლისი თავის საუწყებოში საოჯახო სამართალშიც ერეოდა და „სამართლის ქმნა" შეეძლო. ყველა ამის გამო მამასახლისი სამოურავო სარგოდან ნაწილს ღებულობდა „წესისა და რიგის" მიხედვით. ქრთამ-საჩუქრების აღებაც შეეძლო მცხოვრებლებისაგან.

მამასახლისზე უფლებრივად მაღლა იდგა ნაცვალი. მისი ხელი მამასახლისის ხელზე უფრო დიდი იყო. ნაცვალი ხშირად გარკვეულ ხეობასაც განაგებდა. როგორც მამასახლისად, ისე ნაცვლად გლეხი ინიშნებოდა, მაგრამ არა ყველა გლეხი, არამედ ის, რომე-

---

[1] დასტურლამალი, გვ. 12.
[2] საქ. სიძვ. II, გვ. 478.

ლიც ერისთავის წინაშე „მრავალსა სამსახურსა შინა“ გამოჩენილად ითვლებოდა. მიხაილ და მისმა ძმებმა გლეხს თუაურს მისცეს სიგელი, რომლითაც ისროლის ხევის ნაცვლობა დაუმტკიცეს „...გიბოძეთ ნაცვლობა ისროლის ხევისა, მრავალსა სამსახურსა შენის ნაცვლად“[1].

ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი. ქსნის საერისთავოს საბუთებში შემდეგი სალთხუცესები მოიხსენიება: 1774 წლის სიგელში — უთნელიშვილი გიორგი[2], 1786 წ. — არჯევან ფიცხელაური[3], 1788 წ. იოსებ თულაშვილი.

ჩვენს მიერ მოტანილი საბუთები სხვადასხვა დროს ეკუთვნის და სალთხუცესებად სხვადასხვა გვარებს იხსენიებს. რამდენი სალთხუცესი უნდა ყოფილიყო საერისთავოში, არ ვიცით, ვიცით, რომ ქართლის სამეფო კარზე ერთი სალთხუცესი იყო. მაშასადამე, თითქოს, სათავადოშიც ერთი სალთხუცესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ ეს თანამდებობა მამიდან შვილზე გადადიოდა, გამოდის, რომ საერისთავოში ერთ რომელიმე გვარს უნდა ჰქონოდა მიცემული სალთხუცობა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, სალთხუცესებად სამი გვარის (უთნელიშვილი, თულაშვილი, ფიცხელაური) წარმომადგენელია მოხსენებული. იქნებ „საუფლისწულოებსაც“ ჰყავდათ სალთხუცესები?

საბუთების მიხედვით არც საერისთავოს სალთხუცესთა უფლება-მოვალეობის დადგენა შეიძლება, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს XVIII საუკუნის მოღვაწეთა მითითებები ამ საკითხზე. ალექსანდრე ამილახორის მტკიცებით „...სალთხუცესი დიდი ხელისუფალია მეფის კარზე, იგი სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს განაგებს, რისთვისაც თავის სარგოდ ერთ მეათედს ღებულობს“[4] ვახუშტიც ამტკიცებს, რომ სალთხუცესის „...ხელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი“[5].

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მსგავსი ხელი უნდა ჰქონოდა ქსნის საერისთავოს სალთხუცესსაც, ე. ი. საერისთავოს სალთხუცესი საერისთავოს შემოსავალ-გასავალს განაგებდა.

ბ ო ქ ა უ ლ თ ხ უ ც ე ს ი. ბოქაულთხუცესის ხელისა იყო საბოქაულო და მას ემორჩილებოდნენ ბოქაულნი, ანუ იასაულები.

---

[1] საქ. მუზეუმი, ხელნაწ. განყ., ფ. Hd, საბ. 6456.
[2] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთარი 30, საბ. 229.
[3] იქვე, დავთარი 24, ფურცელი 107.
[4] ა ლ. ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი, გეორგ. ისტორია, მნათობი № 8, გვ. 133.
[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, გვ. 7.

ბოქაულთხუცესის ხელის დადგენისათვის საინტერესო მასალას შეიცავს გიორგი ბატონიშვილის წერილი, რომელიც დავით ბატონიშვილს მისწერა 1787 წ. „შვილო ბატონო დავით, მერე დღეის იქით რაც ქსანზედ ჩვენის ბძანებით თუ შენით ოქმი დაიწერებოდეს და საიასაულო საქმე იქნება, ოქმი ყოველთვის ბოქოულთხუცეს ზურაბზედ უნდა დაიწერებოდეს, რომ ეს უნდა გა/ა/რიგებდეს და, თუ ვინმე ჩვენის კარისკაცი თავადიშვილი, აზნაურიშვილი, თუ გლეხი ქსანზედ ჩვენგან იასაულად წამოვიდოდეს, უნდა ამ ბოქოულთ ხუცესთან მოვიდოდეს და იმ საქმეს ისე აღასრულებდეს. ... რომ/ე/ლიც ჩვენგან გამოგზავნილი იასაული ამ ჩვენს ბძანებას არ გაიგონებს და ამას თავის წილს დააკლებს, [1]ასაც იმ საიასაულოდამ[1] იშოვნის, იმასაც უკლებრივ წავართმევთ და ამ ბოქოულთხუცეს/ს/ მივსცემთ და სხვა რიგადაც აქათ მოვეპყრობით და გარდავახდევინებთ“[2].

მართალია, ეს საბუთი იმ პერიოდს ეხება, როდესაც ქსნის ერისთავებს წართმეული აქვთ ქსნის ხეობა და ბოქაულთხუცესი გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულო საქმეებს განაგებს, მაგრამ იგივე ზურაბი ერისთავების დროსაც ბოქაულთხუცესი იყო და ამ შემთხვევაში მხოლოდ პატრონია გამოცვლილი, — ხელი კი ძველადაც მსგავსი უნდა ყოფილიყო. იასაული მუდმივად დადგენილი მოხელე არ უნდა ყოფილიყო, არამედ გარკვეული დანიშნულებისათვის წარგზავნილი პირი იყო და დავალების შესრულების შემდეგ იასაულად აღარ ითვლებოდა. „ბატონი ამილახორი რევაზ ავეტიკას და ამის ბიძა გოგიას ედავებოდა, — ჩემი ყმანი ხართო, ... ბატონმა ერისთავმა დავით ამა განაჩენისა იასაულობა მე, ტატიშვილს გარსევანს მიბძანა, მოველ ცხინვალს ავეტიქასთან“[3].

მ დ ი ვ ნ ე ბ ი, მ დ ი ვ ა ნ მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ნ ი

1) 1766 წ. დავით ერისთავის მიერ ავთანდილ აზნაურიშვილისადმი გაცემულ სიგელში ვკითხულობთ „... დაიწერა ხელითა მდივანისა ჩვენისა ქარელი თამაზათი“[4].

2) 1788 წ. როსტომ ერისთავის მიერ იოსებ თულაშვილზე გაცე-

---

[1] ტექსტშია „სამოსილოდამ“.
[2] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთარი 24, საბ. 108.
[3] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთარი 13, საბ. 137.
[4] იქვე, დავთარი 30, საბ. 122.

მული სიგელი „აღიწერა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კობახიძის ხელითა“[1].

3) დავით ერისთავის მიერ იოანე ნათლისმცემლის საყდრისდმი შეწირულების სიგელი „აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრისა ქარელის თამაზითა“[2].

4) როსტომ ერისთავის მიერ ბიძინა ჩუბინაშვილისათვის მიცემულ მამულის წყალობის სიგელი: „აღიწერა მდივნისა ჩვენისა ნიკოლოზ ვასილიშვილის კობახიძის ჯელითა“[3].

აქ მოყვანილ ოთხ საბუთში ორი მდივანი და ორი მდივანმწიგნობარი იხსენიება, მაგრამ მნიშვნელობის თვალსაზრისით ამ საბუთებში განსხვავება არ არის, რადგან ქარელი თამაზი ერთგან მდივანმწიგნობრად იხსენიება, მეორეგან კი მდივნად. რა შეადგენდა მდივნებისა, თუ მდივანმწიგნობრის სახელოს? როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, მდივნები საქმიან ქაღალდებს წერდნენ, მაგრამ ჩვენის აზრით, გარდა საქმიანი ქაღალდებისა, მათ შემოსავლის დავთრების შედგენაც უნდა ეწარმოებინათ. ამიტომაც მდივნები სალთხუცესს ემორჩილებოდნენ.

ელენე გოგიას ცოლის მიერ იოსებ თულაშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნებში, ნაზირიც გვხვდება, — „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, გოგიას... ცოლმა, კურცხალის ქალმა ელენემ შენ, ნაზირს იოსებ თულაშვილს“[4].

სხვა სათავადოების საბუთები არსებითად ახალს არაფერს იძლევიან, მხოლოდ ავსებენ ჩვენს მიერ ზემოთმოტანილ მასალებს სათავადოს მოხელეთა შესახებ. მაგ. ამილახვრიანთ საბუთებში მოურავების შესახებ ვკითხულობთ: ბარძიმ ამილახვრიშვილი კუპატაძეს ეუბნება: „ჩვენის ყმების საუფლისწულოების მოურაობა ფხვენის, თამარეშენის, წორბის, რაცა ამ სოფლებში ბსახლობელნი გლეხნი, ჩვენი ყმანი არიან და ან რაც დასახლდება და ან რაც საკომლოები გვაქვს ამ სოფლებში შენთვის გვიბოძებია სამოურაოდ. როგორც საამილახოროში მოურავები მოურაობენ, შენც ისე ერთგულად უნდა შემოუარო ამათ. და ამათგან კომლზე ერთ კოკას ღვინოს, დღესასწაულს დღეს ძღვენს, სართლოს ძღვენს, ერთს დღეს მკას, ერთს დღეს ბარვას იმსახურებდე. ქალი გათხოვდეს საჩექმეს გამოართმევდე. ჩვენგანაც ჩვენი შემოსავლიდამ — შენის სახელოდამ იქიდამ ათისთავს აიღებდე“[5].

---

[1] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთარი 30, საბ. 224.
[2] იქვე, ფ. 226, საბ. 1215.
[3] იქვე, საბ. 4710.
[4] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთარი 30, საბ. 229.
[5] საქ. მუზეუმი, Hd, 2273.

რაც შეეხება მეჯინიბეთხუცესს, ეს სახელო მხოლოდ ყაფლანიანთ სახლში ჩანს. მას ხელქვეითნიც ემორჩილებიან „შიგმდეგი“, „მეჯინიბენი“[1], ხოლო მათი ფუნქციების შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი.

საერთოდ თავადი სათავადოში და თავადიშვილი საუფლისწულოში თავიანთ მიზანსწრაფვას ანხორციელებდნენ სათანადო მოხელეების მეშვეობით.

[1] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. შრომა, გვ. 236.

თავი მეხუთე

სათავადოების ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში

წინა თავებში ჩვენ საუბარი გვქონდა სათავადოების შინაგან აღნაგობა-ორგანიზაციაზე. რამდენადაც შესაძლებელი იყო, დავადგინეთ თითოეული სათავადოს წარმოშობის დრო და პირობები, დავაზუსტეთ მათი საზღვრები შიგ შემავალი სოფლებითურთ, წარმოვაჩინეთ ამ სათავადოების მეურნეობის ხასიათი, მიმოვიხილეთ სათავადოების შიგნით არსებული სოციალური ურთიერთობის ფორმები.

საკითხების ასეთი დალაგება ჩვენ მართებულად მივიჩნიეთ იმიტომ, რომ ამ სახით საკითხების შესწავლა საშუალებას მოგვცემდა წარმოგვედგინა რა არის სათავადო როგორც ორგანიზაცია.

მართალია სათავადო ტერიტორიულ-ადმინისტრატიული ერთეულია, თავისი შინაგანი ორგანიზაცია გააჩნია და ერთი შეხედვით სათავადო თითქოს ქვეყნის დამოუკიდებელი ნაწილია. მაგრამ მისი ეს „დამოუკიდებლობა“ მხოლოდ დროებითი იყო, იგი საბოლოოდ ვერ აღწევდა სრულ დამოუკიდებლობას, თუმცა ამისაკენ მიისწრაფოდა; ერთგვარ სრულ დამოუკიდებლობას მხოლოდ სამთავროებმა მიაღწიეს. სათავადო რჩებოდა სამეფოს პოლიტიკურ უჯრედად და გასაგებია, რომ უჯრედი საერთო ორგანიზმის მოქმედებაში გარკვეულ ადგილს იჭერდა.

გვიანფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სათავადოების, როგორც გარკვეული პოლიტი-

კურ-ტერიტორიული ერთეულების, შექმნა და ამასთან დაკავშირებით თავადის პოლიტიკური წონის ზრდა სახელმწიფოში. თავადის დამოკიდებულება მეფესთან თუ შეზობელ თავადთან ისაზღვრება „იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებს მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები, ხოლო თვით მეფის პოლიტიკა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა ამ ფეოდალურ ინტერესთა თანასწორმოქმედი. მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ, უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, საბოლოო ანგარიშით, პირველს"[1].

სათავადოების აღმოცენება-გაფორმების შემდეგ ქვეყანა, თავადის წარმოდგენით, სათავადოების კრებულია. მაგრამ ამ კრებულის წევრთა შორის განსხვავება მაინც არის. ყოველი სათავადო ერთი წონის არ ჩანს ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, XVI-XVIII სს. ქართლის სამეფოში სხვა თავადთაგან განირჩევიან: მუხრანბატონი, ამილახორი, ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი, ყაფლანიშვილი, ზემო ციციშვილი, სომხითის მელიქი. ფეოდალურ ქვეყანაში, ისევე როგორც საზოგადოდ ყველა ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში, ადამიანის ადგილი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მისი ქონებრივი მდგომარეობით განისაზღვრება. ვახტანგის კანონთა 23-ე მუხლში ნათქვამია, რომ: „როგორც კაცი შამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით ციხით, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუასად მოკიდებით ამაღლდების, სისხლი გაუდიდდების, ისე გაყრით, მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების"[2].

მთელი კონკრეტულ-ისტორიული მასალა ერთხმად ადასტურებს, რომ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ბედ-იღბალი ამ წარჩინებულ თავადთა „ჟინიანობაზე" დიდად იყო დამყარებული. ამათი ჟინიანობის შედეგად საქართველოს მეფენი „ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცუალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ"[3]. თავადური ურთიერთობისა და ამ თავადთა ადგილის შესახებ, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ერთი საინტერესო ცნობა დაუ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები I, 1937 წ., გვ. 28—29.

[2] ქრესტომათია, ჩუბინაშვილის რედაქციით, გვ. 402.

[3] ვახტანგის სამართალი, ქრესტომათია, გვ. 396.

ცავს ყანჩაეთის ეამნგულანს: „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, ერთმანერთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ; არც ერთმანერთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდენ, ვერცარას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანერთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც (მოკლებიან) და არც მოუშლიათ“[1].

მას შემდეგ რაც ქვეყანა სათავადოებად დანაწევრდა, თავადებმა მიაღწიეს იმას, რომ „ერთი მეორის მიმართ ეს „დარბაისერნი“ დამოუკიდებელნი არიან. კეთილმეზობლობენ, ან კიდევ მტრობენ ურთიერთს და ხშირად „პატრონის“ სურვილის წინააღმდეგაც კი. მეფე ყველა ამათი „პატრონია“, მაგრამ ის ეხლა, XV საუკუნეში „ღმერთისა სწორი“ აღარ არის და ეს „დარბაზბატონები“ მისი „ძმები“ და „შვილებია“[2].

ამ საერთო მოსაზრებათა ფონზე საამილახორო შემდეგ სურათს იძლევა.

საამილახოროს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქსნის საერისთავო ემეზობლებოდა. რიგი სოფლები ურთიერთ საზღვრებში ისე იყო შეჭრილი, რომ ძნელი ხდებოდა სასაზღვრო ხაზის დადგენა. ეს გარემოება ხშირად ურთიერთმტრობის წყაროს წარმოადგენდა. მაგ., ქვემო-ბოლი ამილახორებს ეკუთვნოდათ, ახმაჯი კი, რომელიც ერთ დროს (XVI ს-ში) ამილახორებს ჰქონდათ, შემდეგში ერისთავებმა მიიღეს. ასევე ახალგორი ერისთავის საჯდომად გახდა. ახალგორელთა და ბოლელთა სანახები ურთიერთ საზღვრებშია არეული. ამ სოფლების მცხოვრებნი ხშირად „ერთმანერთში ნასყიდობაზე ლაპარაკებულან და ცილებულან და ნიადაგ ამილახორი და ქსნის ერისთავი ამაზედ მდურებულან და ჩხუბი და მტერობა ჰქონებიათ“[3].

ამილახორებისა და ერისთავების, ისე, როგორც საერთოდ სათავადოების, ურთიერთ დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი არ იყო. იმისდა მიხედვით, თუ ესა-თუ ის ფეოდალი მეზობელ

---

[1] Такайшвили, Канчаетский Жамгулани, გვ. 22—26.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს.-ში, მასალები I, 1937 წ., გვ. 23.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 607, ბერძენიშვილი, დოკუმენტები I, გვ. 177.

ფეოდალთა ურთიერთობაში თავის სათავადოსათვის რა სარგებლობას ხედავდა, ურთიერთობის ფორმებსაც ამისდაგვარად სცვლიდა. ამ მოსაზრების სისწორეს არა ერთი საბუთი ადასტურებს: XVII საუკუნის 20-იან წლებში ანდუყაფარ ამილახორმა ისარგებლა ქვეყნის საერთო მდგომარეობის გართულებით, შეუთანხმდა იასე ქსნის ერისთავს; ეს ორი ფეოდალი საერთო ძალებით თავს დაესხა ღაზნელთა გვარს, ამოჟლიტეს მათი საგვარეულო და საღაზნელო გაინაწილეს. ერისთავმა მიიღო საღაზნელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი — ქოლოთ-ქვიტკირის ხეობა, ხოლო ამილახორს ხვდა საღაზნელოს დანარჩენი ნაწილი. ამ ფაქტს ვახუშტი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მოიმწო ანდუყაფარ ამილახვარმან ქსნის ერისთავი, რამეთუ შესწამა შეპყრობისა თჳსისა უწყება ღაზნელსა, დაესხა და მოსწყვიტნა იგი და განიყვეს მამული მისი. ქოლოთ-ქვიტკირი დაიპყრა ქსნის ერისთავმან და ნეშტი ამილახორმან“[1].

ყურადსაღებია, რომ ამილახორებს ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუაწლებში ეჭირათ თვალი საღაზნელოზე. ლუარსაბ პირველის მიერ ამილახორებისათვის ბოძებულ სიგელში საგანგებოდ არის აღნიშნული: „ღაზნელისძის მამული, რა რიგადცა ღაზნელისძესა უანდერძებია, იმა წესითა არა მოგეშალოს“[2].

ამგვარად, თუ ერთ შემთხვევაში ამილახორები და ქსნის ერისთავები ურთიერთმტრობას აწარმოებენ, მეორე შემთხვევაში, როცა მათი ფეოდალური ინტერესები ამას უკარნახებს, გუშინდელ მტრობას ივიწყებენ და დღეს „ძმობა“ „მოყრობას“ ამყარებენ. მართალია, ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ყველა ფეოდალს არ შეუძლიან ერთმანეთთან გაერთიანება და საერთო ძალით რომელიმეს მიმართ, ვთქვათ, მეფის მიმართ დაპირისპირება და სწორედ ეს არის სამეფო ხელისუფლების არსებობის ერთი მთავარი პირობათაგანი, მაგრამ ცალკეული ფეოდალების შეკავშირება-შეთანხმება კი გვიანფეოდალურ ხანაში ჩვეულებრივი მოვლენაა. რა თქმა უნდა, ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათი შეკავშირება მყარია, მაგრამ ის ფაქტი, რომ თავადები ასეთ ჯგუფებს ჰქმნიან, იმის მომასწავებელია, რომ ასეთ კავშირებს ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ფორმა აქ ერთია: მეფე დიდ თავადს აძლევს პირობას — თუ შენ ერთგული იქნები, ჩვენც ერთგულნი ვიქნებითო მარად; თავადიც თავადს ამასვე ეფიცება...

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 43.

[2] საქ. მუზეუმი, Hd, 2120.

...წიგნი ფიცი და პირი მოგართვით ჩვენ არაგვის ერისთავის შვილმა ბატონმა ბაინდურ და ბატონმა პა/ა/ტამა და ბატონმა ზაალ, ოტიამ, ნუგზარ, გივმა, ვახტანგ, ბეჟან, თქვენ ამილახორს ბატონს გივს, ყორჩიბაშს პა/ა/ტასა, ძმისწულსა თქვენსა ბოქაულთუხუცესს იოთამს, ავთანდილს, რევაზს და ბეჟანს, შვილთა თქვენთა ანდუყაფარს და დემეტრეს ასე, რომე ბატონის ჩვენის მეფის გიორგის უზიანოსსაქმითა ვიყვნეთ დღეს და დღეის წაღმა კარგი და კარგის მდომნი, უვნო და უზიანო, რაც კარგი დაგემართებოდესთ იმისი მომჭირველნი ვიყვნეთ; არც თქვენს ქიშპსა და მტერს თქვენი საზიანო და საჩხუბარი — სამტერო დაუჯეროთ და არც ავყვეთ. თუ ვინმე, თქვენი ამხანაგი გარდმოგეკიდოსთ სამტეროთ, არც მიუდგეთ და არც ყმა მოვაკმაროთ, რაც იასონის უკუგდომამ თქვენს მამულში წა/ა/კდინა და ან მოიტაცა რამე, ღვთითა, თუ ჩვენს მამულში მისვლა და ბატონობა მოგვიკდა, სადაც შევამჩნიოთ, ჩვენს ყმას კიდეც მოვაცემინოთ და სამართალიც უყოთ. არც ბატონთან და ამხანაგთან გიჩხუბოთ რამე და არც სხვას შენს ამხანაგისას შენიც გვერჩიოს, თუ თქვენმა ყმამ ჩვენი ყმა საქურდალში და/ა/ჭელოს და მოკლას, არც მისი სისხლი ვაპოვნინოთ და ჭელიც ასე ჩაგირთოთ, რომ ამის გათავების მეტი გუნებაში არა აღვიაროთრა"[1].

„ფიცი, პირი და წიგნი" მისცეს ამილახორმა იოთამ და მისმა ძმამ, ეშიკაღასბაშმა ავთანდილ ფარსადან ჯავახიშვილს და მის ძმებს... „ასრე რომე ამ დღე, მერმე ვიყვნეთ თქვენთვის კარგი და სიკეთის მდომნი, რაც თქვენი სამჯობინარი საქმე იყოს, იმისი მცდელი შავიქნათ. არც თქვენი სახლისკაცისა თქვენსა ვარჩ/ი/ოთ და რომელიც ჩვენგან გაეწყობოდეს, ნდომა-მოდგომა და მოხმარება არ დაგაკლოთ. თუ თქვენც თქვენი საფიცარი და პირობა გაგვითავოთ, ჩვენც ამ პირობის გათავების თავდებად მოგვიცია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი"[2].

მსგავსი შინაარსის საბუთები ჩვენ სხვაც გვაქვს. როგორც ვხედავთ, ამ პირობის ფიცში ბევრი საყურადღებო მასალაა შემონახული.

ირკვევა, რომ: 1. ასეთი „ურთიერთ პირობის წიგნები" ორმხრივ ვალდებულებათა თავისებური ხელშეკრულებები იყო; ორმხრივ ვალდებულებებს შეიცავდა და ძალა ჰქონდა მანამ, სანამ ესა თუ ის მხარე არ დაარღვევდა ამ ვალდებულებებს. ამი-

[1] საქ. მუზეუმი, Hd, 2149.
[2] საქ. მუზეუმი, Qd, 604.

ტომ იყო, რომ ამ ხასიათის წიგნებში საგანგებოდ იყო ხოლმე აღნიშნული: „თუ თქვენც ამ თქვენი საფიცარი და პირობა გაგვითაოთ, ჩვენც ამ პირობის გათავების თავდებათ მოგვიცია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი“. 2. მართალია, დიდ თავადთა ვალდებულებანი უფრო და უფრო მცირდება მეფის ხელისუფლებისადმი, მაგრამ თავადები მაინც ყმები არიან, თუმც ისეთი ყმები, რომლებიც „ძმებსა“ და „შვილებთან“ გაიგივებულან, და ვალდებულნი არიან, რომ ურთიერთ საფიცრის წიგნების მიცემისას ამ წიგნებში საგანგებოდ აღნიშნონ: შეევერთდით „მეფის უზიანოს საქმითაო“. 3. პირობის წიგნებში ხაზგასმულია, აგრეთვე, რომ ამ პირობის დამდები სუბიექტები ურთიერთის კარგის მდომნი არიან და არა მარტო თვითონ იქნებიან ურთიერთდამხმარე, არამედ ურთიერთის მტრისა მტერნი და ამხანაგის ამხანაგი შეიქნებიან და, თითოეული ვალდებულია იმის ცდაში იყოს, რომ „კარგი და კარგის მდომი, უვნო, უზიანო, რაც კარგი დაგემართებოდესთ იმისი მომჭირველნი ვიყვნეთ“.

ამილახორები ზემო ქართლის სარდლებიც იყვნენ და ბუნებრივია ზემო ქართლში შემავალ სათავადოებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ. ამიტომ ამ ურთიერთობის ბუნების გასაგებად თვით სასარდლოს ბუნების არსის გარკვევაც გვჭირდება. რადგან სადროშო, ან სასარდლო უაღრესად საინტერესო ინსტიტუტია, ჩვენ უფრო ვრცლად შევჩერდებით ამ საკითხზე.

სადროშო თავისებური სამხედრო-ტერიტორიული ერთეული იყო. როდესაც საქართველო ერთ მთლიან ფეოდალურ მონარქიად იქცა, თუ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას დავუჯერებთ, საქართველო გაყოფილ იქნა ოთხ სადროშოდ. ამის შესახებ ვახუშტის ნათქვამი აქვს: „ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოთ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვნე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხთიქითი აფხაზ-ჯიქითურ; მემარცხნეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი: ხოლო მეფისა ალამის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა“[1].

როგორც ვხედავთ ასეთ დაყოფას თემობრივ-ტერიტორიული და სამხედრო სტრატეგიული პრინციპი უნდა ჰქონოდა დადებული საფუძვლად.

[1] ვახუშტი, აღწერა, გვ. 22.

სამხედრო წყობის ასეთ დაყოფას, ფეოდალური ურთიერთობების პირობებში, ქვეყნის თავდაცვისათვის უთუოდ ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი რომ ერთ სადროშოს ჰქმნიდნენ, ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ამ ტერიტორიის მოსახლენი ერთმანეთს იცნობდნენ, საგზაო მიმოსვლა, თუ თავდაცვითი სიმაგრეების განლაგება უკეთ იცოდნენ, ნათესაური თუ სხვა მონაცემები აკავშირებდათ, და, ბოლოს, რაც მთავარია, ჩვენის აზრით, ქვეყნის თავდაცვისა თუ სხვა საჭირო შემთხვევაში, ასეთი დანაწილების შედეგად ჯარის შეყრა ერთგვარად გაადვილდებოდა.

როდესაც ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ცალკეულ სამეფო-სამთავროში სახელმწიფოებრივი წყობა ძველი წესის მიხედვით გაიმართა და სამხედრო ორგანიზაციაც ძველი წესის თავისებურ მიმსგავსებას წარმოადგენდა.

ქართლის სამეფოში, მეთექვსმეტე საუკუნეში, ჩამოყალიბდა ოთხი სადროშო. ერთი ამ ოთხთაგანი იყო „ზემო ქართლის სადროშო“, ომლის მედროშე ანუ სარდარი ამილახორი იყო. ამ სადროშოს ფარგლების ვრცელი აღწერილობა მოცემული აქვს ვახუშტის: „ვიწყებთ მ ე ო რ ე ს ს ა ს ა პ ა ს ა პ ე ტ ო ს, მემარჯვნეს, შიდა ქართლის ნაკუწთსა, რომელი არს აწის ზ ე მ ო-ქ ა რ თ ლ ი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსრული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე; სამკრით მდინარე მტკვარი; ჩდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწოკუდარამდე და ესევ მთა კოლბეურისა; ჭეფინის-ჭევსა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვების სამკრით ვერტყვილამდე; ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქვაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკურიანის მთამდე“[1].

აქ მოცემული საზღვრები, ახლანდელი დარაიონების მიხედვით, შემდეგ რაიონებში თავსდება: კასპის (ნაწილობრივ), ლენინგორის (ნაწილობრივ), გორის (ნაწილობრივ), სტალინირის, ჯავის, ზნაურის, ქარელის (ნაწილობრივ), ხაშურის (ნაწილობრივ), ხარაგაულის (ნაწილობრივ), ბორჯომისა და ახალციხის (ნაწილობრივ).

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 71—72.

გარდა საამილახოროსი, ალექსანდრე ამილახორის ცნობით, ზ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი ს სადროშოში შედიოდა შემდეგი სათავადოები და სამფლობელოები: აბაშიძეებისა, ფალავანდიშვილებისა, ფავლენიშვილებისა[1], ხერხეულიძეებისა, დავითაშვილებისა, ამირაჯიბებისა, ავალიშვილებისა, ხიდირბეგიშვილებისა, მხეიძეებისა, დიასამიძეებისა, სიამარდაშვილებისა, თაქთაქიშვილებისა, შალიკაშვილებისა, მაჩაბელებისა.

აქვეა საბატონო მეფის მემკვიდრისა, რომელიც ამილახვრების სარდლობის ქვეშ უნდა იყოს ომების დროს[2].

ალექსანდრე ამილახორის მიერ ჩამოთვლილ სათავადოთა ნუსხა არ უნდა იყოს სრული. რომ აქ ჩამოთვლილ სათავადოებს გარდა სხვა მფლობელთა სოფლებიც შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში, ჩანს ერთი, XVII საუკუნის, საბუთიდან, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში არის დაცული. „ქ. არის ბატონის ამილახორის დროშაზედა: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავლენიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მრუელი, ავალიშვილი ქაიხოსრო,[1] ბატონი ურბნელი, ხერხეულიანი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარ ეფისკოპოზი, რაც გორს ზეით ან სადედოფლო არის. ან სუეტის ცხოველისა და იელუსარემისა (sic) ერთობილნი ამირეჯიბიანი, თვალდამწვრიანი, დიასამიძე ელიზბარ, როსტომ ქავთარაძე, შალვა თუხარელი, ამუან (?) თაქთაქიძე, თაქთაქ ტატიანი, და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა იაღუზიშვილი როსტომ“[3].

ამ ორ ცნობას შორის, როგორც ვხედავთ, არსებითი განსხვავებაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მუზეუმში დაცული საბუთი უფრო ზუსტია. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ორ ცნობას შორის განსხვავება მთელი საუკუნეა და ეგების სადროშოს შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. თუ ამ ორი წყაროს ცნობებს ერთმანეთთან შევაჯერებთ, მივიღებთ შედარებით სრულ სიას.

ამრიგად, ზემო ქართლის სადროშოში შემდეგი სათავადოები და სამფლობელოები შედიოდა: საამილახორო, სააბაშიძეო, საფა-

---

[1] ფავლენიშვილები გამოტოვებული აქვს თარგმანში გ. ქიქოძეს. იხ. მნათობი, 1939 წ., № 8, გვ. 128.

[2] ალ. ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. გეორგიანული ისტორია. გ. ქიქოძის თარგმანი, მნათობი 1939 წ., № 8, გვ. 128.

[3] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 2124.

ლავანდიშვილო, საფავლენიშვილო, ხერხეულიძეების სათავადო, დავითაშვილების სათავადო, ამირაჯიბების სათავადო, საავალიშვილო, ხიდირბეგაშვილების სათავადო, მხეიძეების სათავადო, დიასამიძეების სათავადო, სიამარდაშვილების სათავადო, თაქთაქიშვილების სათავადო, შალიკაშვილების სათავადო, სამაჩაბლო, ბატონიშვილის საუფლისწულო, ზედგენიძეთა სახლი, თუმანიანთ სახლი, მროველის ყმა-მამული, ურბნელის ყმა-მამული, მთავარეპისკოპოზის ყმა-მამული ზემო ქართლში, სადედოფლო ყმა-მამული ზემო ქართლში, სვეტიცხოველის ყმა-მამული ზემო ქართლში, „იელუსარემის" ყმა-მამული ზემო ქართლში, თვალდამწვრიანთ სამფლობელო, ქავთარაძეები, თუხარელები, ტატიანი, წერეთლის მამული, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძეების მამული, დამღაწაშვილები და იაღუზიშვილები.

აქ ჩამოთვლილი სათავადო-სამფლობელოები ყოველთვის ამილახორის დროშაზე შეიძლება არ იდგნენ და იმისდა მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი მეფესთან ან როგორი იყო ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია, ამილახორები ჰკარგავდნენ, ან აფართოებდნენ თავიანთ სახელოს. განსაკუთრებით ცვალებადი უნდა ყოფილიყო სადროშოს დასავლეთი მხარე. თუ XVII საუკუნეში საწერეთლო ზემო ქართლის სადროშოში ჩანს, ეს აღარ ითქმის XVIII საუკუნეზე. ამ აზრის დასამტკიცებლად მრავალ დოკუმენტთა შორის მხოლოდ ერთ დოკუმენტს მოვიტან. 1744 წელს გივი ამილახორმა ხეფინისხეველთა, ვერტყვილელთა და სხვებს პირობის წიგნი მისცა. „ძველთაგანვე ქართველის ბატონის სახასო და მკვიდრი ყმანი ყოფილიყავით და ჩვენი სახელო და სასარდლო იყავით. ცოტას ხანს ქართველმა ბატონმა თქვენი თავი აბაშიძეს უბოძა. ახლა მეფემ თქვენი თავი ისევ ჩვენ გვიბოძა"[1].

ზემო ქართლის სადროშოს რაც უნდა ტერიტორიული ცვლილებები განეცადა, მაინც ოთხ სადროშოთა შორის ის ერთი მთავარ სადროშოთაგანი იყო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სადროშო სამხედრო ტერიტორიული ერთეული იყო, რომელიც სრულიად გარკვეული პრინციპების საფუძველზე გამოიყოფოდა. ეს პრინციპები არც გვიან ფეოდალურ საქართველოს სადროშოებს ჰქონდათ გამორიცხული.

სომხით-საბარათიანო, რომელიც მეწინავე სადროშოდ იწოდებოდა, ქართლის სამეფოს სამხრეთ სანაპიროს შეადგენდა. ამ სად-

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 321.

როშოს. ტერიტორიაზე არსებული ციხე-სიმაგრეების საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა უთუოდ სადროშოს სარდლის ზედამხედველობის ფუნქციაში შედიოდა. მართალია, იგი, ე. ი. სარდალი, ამ ტერიტორიის მხოლოდ მოხელე იყო და სათავადოს ფაქტიურ მფლობელად თვით თავადი ითვლებოდა, მაგრამ მას ცენტრალური ხელისუფლების მიერ უფლებამოსილება ჰქონდა მიცემული და ჯარის შეყრა მას ეკითხებოდა.

ზემო ქართლის სადროშო სამ მთავარ მაგისტრალს მეთვალყურეობდა: 1. სამხრეთ-დასავლეთიდან ბორჯომის ხეობით მომდინარე მაგისტრალს, 2. ლიხთიმერეთიდან მომავალ გზებს და 3. დიდი ლიახვის ხეობით მომდინარე გზებს. თუ კაცი დაუკვირდება, შეამჩნევს, რომ ვარძია — თმოგვი — ხერთვისი — ასპინძა — ახალციხე — აწყური — ბორჯომი — ახალდაბა — სურამი — გორი—სხვილო ერთ მთლიან მაგისტრალს ჰქმნიდა. გარკვეულ სამხედრო სტრატეგიულ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ დასახელებული ციხე-სიმაგრეები. ქართველები ცდილობდნენ ნიადაგ მზადყოფნის მდგომარეობაში ჰქონოდათ ეს სიმაგრეები. როცა ქართველები ახალციხის მხარეს ჰკარგავდნენ, კიდევ უფრო მწვავედ ისმოდა ქართლის ციხე-სიმაგრეების მოვლა-შენახვის საკითხი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერეკლეს „ანდერძიდან" ერთი დეტალი: „ციხებისაც ასე დაგვიწერია: ქალაქის თბილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანაურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიცა აქვს და ნარიყალები ცოტას კაცით შეინახება. ამ შვიდს ალაგს ნარიყალებში საერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რა ერთიც მოუნდესთ. მცველათ და სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან, ქართლში, თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება, ის სათემო არის"[1].

რათა სადროშოს, როგორც გარკვეული ორგანიზაციის, სრული სახე წარმოვიდგინოთ, სარდლის უფლება-მოვალეობა გავითვალისწინოთ და სადროშოში შემავალ თავადებთან სარდლის ურთიერთობა დავადგინოთ, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ჯერ სათანადო დოკუმენტებს მოვუყაროთ თავი და შემდეგ ამ დოკუმენტების ანალიზი გავაკეთოთ.

1644 წელს როსტომმა ბეჟან ამილახორს წიგნი მისცა. „მას ჟამსა ოდეს ლიეხუს ზედათ და ლიეხუს ქვეშეთ ქართლის ქვეყა-

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 205.

ნა თქვენის სახლის კაცის სასარდრო ყოფილა, აწე ჩუენცა შეგი-წყალეთ და გიბოძეთ თავადის, აზნაურისშვილისა, ბერისა და ერ-თობილთ ყოვლის კაცის, რა რიგადაც ამას წინათ თქვენი სახლის კაცი სარდარი ყოფილა, იმავე რიგითა და წესითა სარდრობა თქვენთვის გვიბოძებია, როდისცა ჩვენი წიგნი და ბრძანება მოგი-ვიდეს, რა რიგადაც მოგახსენოთ, იმ რიგად შეყარეთ და სადაც ჩვენი ბრძანება იყოს იქ შემოგვეყარენით. რაც კაცი დაგაკლდეს და ჩუენი ბრძანება გატეხოს რათაც სამართლით ემართლდებოდეთ გაუწყერით, გარდაახდევინეთ და ჩუენი ბრძანება და სამსახური გაათავეთ"[1].

კიდევ უფრო საინტერესოა ჩვენი მიზნისათვის როსტომ მე-ფის მიერ ამილახორებისათვის 1656 წელს მიცემული საბუთი. „ესე წყალობისა და სასარდრო გარიგებისა წიგნი და სიგელი დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ თქვენ ტახტისა ჩვენისათვის თავგარ-დადებით სიკვდილისა დაურიდალსა, ერთგულობისა მოჭირნესა და მებრძოლთა ჩვენთა ფეხთა ქვეშა მომქცევარსა ამილახორს პატრონს გივსა, ძმათა თქვენთა... და მომავალთა სახლისა თქვენი-სათა, ყოველთავე მას ჟამსა ოდეს მამა-პაპანი თქვენი ტახტისა და მეფობისა ჩვენისა გამაძლიერებელნი ყოფილიყვნენ, რადგან წესი-საებრ გარდაჰკედეს, სიგლითა პირველითაცა განგიახლეთ ამი-ლახორობისა დროშა, შემოგარტყით ჯმალი მოსურად მებძოლთა და ორგულთა ჩვენთა. კულაცა პირველიდგან სასარდროს საქმე გარიგებული ქონოდათ, აწცა გაგირიგეთ და დაგიმკვიდრეთ სარგო სარდრობისა, ასრე რომე, როდისაცა თემი აიწერებოდეს, ერთის კარის ჩვენის მდივნითა თქვენს სასარდროს თქვენ ასწერდეთ, რაც თქვენი დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიაქენი ფანჯიექს აიღებდეს, რაც ათის თავი ერგებოდეს, მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიექეთ გაიყონ. თქვენის დროშის კაცი უთქვენოდ ვერ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენის დრო-შის კაცს სასამართლო საქმე ჰქონდეს, ჩვენს კარზედ მოვიდო-დენ. თქვენც დახუდებოდეთ და რასაც თქვენის და რასაც თქვენის სასარდროს კაცს ლაშქრობის ბარობაზედ მამულს წავართუემდეთ, იმასაც შემოგეკითხებოდეთ და თუ უბოძებდეთ, თქვენისავ შემო-კითხულობით წყალობას უზემდეთ. ესე ჩვენგან წყალობა არაო-დეს არ მოგეშალოს და რა რიგათაც თქვენგან თქვენის დროშის კაცი აიწერებოდეს, ლაშქარსაც იმ ანაწერზედ შემოგუყრიდეთ"[2].

---

[1] Hd, 2125.
[2] საქ. ცენტრ. არქივი. ფ. 227, საქმე 285.

როსტომ მეფის სხვა საბუთიდანაც ჩანს, რომ ამილახორებისათვის მიცემულია სარდლობა და რომ ამის გამო „ლაშქრობა, ნადირობა, კაცის დაყენება, სამართალი და ან გარიგება“ მათი ხელისა არის[1].

კიდევ უფრო სრულ ცნობებს გვაძლევს ოთარ ამილახორის მოხსენება პავლე ციციანოვის სახელზე.

მართალია, ეს მოხსენება შედარებით გვიანდელია, მაგრამ ადრინდელ საბუთებთან შეჯერების დროს ირკვევა, რომ ამ მოხსენებაში დაცული ცნობები ძირითადში სწორია და ამიტომ ნდობის ღირსიც.

„ა — მქონდა ამილახვრობა, ესე იგი მეფის მემარჯვენე სარდლობა, და მქონდა შემოსავალი ამისი. როდესაც მტრის ქვეყნიდამ ჩემი სასარდლო ნაშოვარს მოიტანდა, იმ ნაშოვრიდამ სამეფოთ ფანჯიექი აიღებოდა, ესე იგი ხუთზედ ერთი, და რაც სამეფოთ დადგებოდა ოთხი მეფისა იყო და ვეხუთე ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

„ბ. — როდესაც ქვეყანა მეფის ბრძანებით აიწერებოდა და ჩემის სასარდლოც დაიწერებოდა, სამწერლო კომლზედ აბაზი იყო. იმ ჩემის სასარდლოსი რაც სამწერლოდ დადგებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა, ამაში მქონდა სარგებლობა.

„გ. — ჩემს სასარდლოში თავადნი თუ აზნაური რომ გაიყრებოდნენ და ამათი ყმა თუ მამული რომ აიწერებოდა მდივნისაგან, რამდენიც საკომლო დადგებოდა და ან გლეხი კომლათ, კომლზედ თოთხმეტი შაური აიღებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა, ამაში სარგებლობა მქონდა.

„დ. — გლეხი კაცი ერთი მეორეს რომ თავს გაუტეხდა ხარი და მარჩილი წაერთმეოდა ჩემთვის და ამაში მქონდა სარგებლობა.

„ე. — როდესაც მეფე ლაშკარს დაუძახებდა და ჩემი სასარდლო ვინც დააკლდებოდა, იმას მეფე დაარბევდა, რაც სარბევი დადგებოდა სამეფოთ იქიდამ ხუთზე ერთი ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

„ვ. — ჩემს სასარდლოში რომელიც მსუბუქი სასამართლო იყო, სამართალი ჩემგან უნდა მისცემოდათ და ამაში სარგებლობა მქონდა. და თუ ვინმე ჩემი სასარდლო ქალაქს საჩიელელად ჩა-

[1] საქ. მუზეუმი Hd, 2127.

ეოვიდოდა, მეფესთან თუ მდივანბეგთან იჩივლებდნენ და სამართალი მიეცემოდა იმის სამდივანბეგოში წილი მქონდა"[1].

თუ ყველა ზემოთ მოტანილ ცნობებს ანალიზს გავუკეთებთ, მივიღებთ, რომ სადროშოს უფროსი დიდი ხელისუფალი იყო და ლაშქრობა-ნადირობის გარდა, იგი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების მოწესრიგებაშიც იღებდა მონაწილეობას.

მართალია, ბრძოლის ველზე გამოყვანილ ჯარის ნაწილს ის თავადი ხელმძღვანელობდა, რომელიც ამ მებრძოლთა უშუალო ბატონი იყო, მაგრამ მისი ადგილი ამ ბრძოლის ველზე მაინც განსაზღვრული ჩანდა. იგი იმ დროშაზე დადგებოდა, რომლის საუწყებოშიც ითვლებოდა.

თუმცა ამა თუ იმ სარდლის უფლება-მოვალეობა წინასწარ მტკიცედ იყო განსაზღვრული, მაგრამ იმისდა მიხედვით თუ ვინ იყო სარდლად, ან ქართლის მეფედ, სარდლის ადგილი მისადმი რწმუნებულ საქმეებში დიდად, ან შემცირებულად მოჩანდა.

სადროშოს თავისი ნიშანი ჰქონდა. ეს ნიშანი იყო დროშა. სადროშოს დროშის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს 1745 წელს თეიმურაზ მეორის შეკვეთით საგანგებოდ გაკეთებული დროშა, რომელიც ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს აქვს გამოქვეყნებული. ე. თაყაიშვილს იმ ოთხ დროშათაგან, რომელიც თეიმურაზს გაუკეთებია, მხოლოდ ერთი, კონსტანტინე მუხრანბატონის (იგი მეორე დროშის სარდარი იყო) დროშა უნახავს. უფრო ადრე პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ს ორბელიანების სახლში უნახავს მეწინავე სადროშოს დროშაც (იმავე თეიმურაზის განკარგულებით 1745 წ. გაკეთებული). ასე რომ, ოთხ დროშათაგან ორი დროშა ჩვენს დრომდე შემონახულა.

ამ დროშების შესახებ ლიტერატურული წყაროც მოგვეპოვება. პაპუნა ორბელიანი წერს: თეიმურაზ მეორემ ბრძანა „დროშათა გაკეთება; გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული, ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე მუხრანბატონს კოსტანტინეს, მესამე ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა... ვინ ვისა დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვისთვისი ჯარი დროშათა"[2].

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1948 წ. ნაკვ. I, გვ. 85—86.

[2] პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 383.

ე. თაყაიშვილს მოჰყავს ის წარწერა, რომელიც დროშაზე ყოფილა დაწერილი: „ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე დიდად ჩინებულსა და ერთგულად ნამსახურსა ნატომსა მეფეთასა მუხრანის ბატონს კონსტანტინეს ორისავე საერისთოს წინა საძღვანად ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელითა მეფეთთა, ნებითა ღვთისათა თთვესა ოკტონბერსა პირველსა დღესა დღესასწაულის სვეტისა ცხოველისა ქრისტეს აქეთ ჩღმე ქკს ულგ“[1].

უმიკაშვილს ორბელიანთ სახლში უნახავს დროშა. მას დასტურლამალის ლექსიკონში მოჰყავს დროშის წარწერა. „ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე წინამძღოლსა ჩვენსა ამირსპასალარს ქაიხსრო ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმნენით საცხებელითა სამეფოთა, თვესა ოკტონბერსა, ა. დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტისაცხოვლისასა, ქრისტეს აქეთ ჩღმე, ქორონიკონსა ულგ“[2].

ს ულ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს დროშა განმარტებული აქვს შემდეგნაირად: „მწყობრთა ნიშანი. ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი“[3]. ეგების ამ ცნობის საფუძველზე (სხვა მონაცემს არ ვიცნობთ) დავუშვათ, რომ სხვადასხვა სადროშოს სხვადასხვა ფერის დროშა ჰქონდა.

სარდლის მოვალეობა, რა თქმა უნდა, ნათქვამით არ განისაზღვრებოდა. XVIII საუკუნის მთელ სიგრძეზე ლეკთა საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. არაერთხელ ყოფილა საამილახორო ლეკთა ფეოდალურ თავდასხმის ობიექტად. 1723 წელს „მოვიდნენ ლეკნი და მოსტყვევნნეს საამილახორო და უკუნ ქცეულნი შევიდნენ შიოს უბანს“[4].

ვახუშტივე გადმოგვცემს, რომ 1728 წელს „მოადგნენ ლეკნი ჭალას, მოკლეს ამილახორი რევაზისშვილი ერასტი და შემუსრეს ჭალა, გამოიყვანეს ჩ/1000/ სული ტყვედ და წარვიდნენ“[5].

თუ რა შედეგისა იყო ქართლისათვის ლეკთა თარეშები, ჩანს გივი ამილახორის სახელზე გაგზავნილ დიმიტრი ქარუმიძის წერილიდან. ეს წერილი 1740 წლის 2 აპრილით თარიღდება და იქ ნათქვამია: „ღმერთმან ბატონის ამილახორის ჭირი მისცეს ქარუმიძეს

---

[1] Э. Такаишвили, Серебряное знамя Мухранского владетеля Константина 1745 г. И. Конмао, вып. II, 1907, стр. 117.

[2] დასტურლამალი, გვ. 168.

[3] ს ულ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, 1928 წ., გვ. 102.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, ჩუბინაშვილის რედ., გვ. 86.

[5] იქვე, გვ. 89.

დემეტრეს. კალთას კოცნას მოვახსენებთ. ჩვენთვის წიგნი გებოძათ და გებძანებინათ: კასპსა შენობას ვაპირობთო, დაგებარებინენით: აქ ჩამოდიო, მოურავი ხარო, სარჭრობა ქენიო, მართებულიც შენი არისო, თუ რომა არ ჩამოხვალო, მოურაობას სხვას უბოძებო. ჩვენცა ეს მოგვიხსენებია: ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება, ვერც გეახლები დაღისტანში, ვერც დავდგები, ვისაც გინდოდეს იმას უბოძეთ კასპის მოურაობა. ღმერთმან მშვიდობაში მოაკმაროს. კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია. თითო ბიჭი სადღაც გადარჩომილია, იმათი პოვნა ვის შეუძლია? ვერცა იმათს ცოდოში ჩავდგები"[1].

ამირინდო ამილახორი. ერთ-ერთ წარწერაში 1760 წელს აღნიშნავდა: „მოოხრდებოდა რა ქართლი ცოდვითა ჩვენითა, ლეკნი რა წარსტყვენიდნენ ქართველთა ერთა, მათის განრინებისათვის ჩვენ ძემან ამილახორის ავთანდილისამან ამილახორმან ამირინდო აღვაშენე გალავანი და კარის ბჭე ესე მოსახსენებლად ჩვენდა"[2].

ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ყველაზედ უმძიმესი ძნელბედობა ეს ლეკთა თარეში იყო, აღნიშნულს ოცდახუთ წლეულში (ლაპარაკია 1723-1747 წ) ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებიათ, არ გაეძარცვათ. ერთი მეორის ქვეყნების სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს, აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და, ბოლოს, უპატრონოდ ქცეულ ქვეყანაში ლეკები დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოახელებდნენ: ადამიანი, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვ"[3].

ლეკთა საკითხის გადაჭრას ერეკლე მეორე ენერგიულად შეუდგა. საამისოდ მან მრავალი ღონისძიება ჩაატარა. ერთ-ერთი ასეთ ღონისძიებათაგანი იყო ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული ფორმების გამომუშავება.

1772 წლის 28 აგვისტოს, ერეკლემ ზემო ქართლის სადროშოს შემდეგი შინაარსის, ინსტრუქციის მსგავსი, მიწერილობა გაგზავნა[4]:

---

[1] საქ. სიძველენი, III, გვ. 456.

[2] ივერია, 1891, № 237.

[3] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ., ნაკე. I, გვ. 178.

[4] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საქმე 13714, დოკუმენტი დაყოფილია ხაზებად. ყოველი ხაზის შემდეგ ახალი აზრი იწყება, ნუმერაცია ჩვენ გვეკუთვნის.

1. „ქ. როდესაც რომ მუხრანიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წამოვიდაო, ყველანი გაფრთხილდენ. თუ მჯურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც ვაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუდრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრისკენ შეიყარნენ; თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდნენ, რომელიც ამჯობინონ. იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის გაცემასა და გაყრასა.

2. „ქ. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანერთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცენ; თუ ქვეითი ჯარი იყოს, სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამრგვალდენ და ისე მივიდნენ სადაც სარქარდებმა დაუძახონ.

3. „ქ. ბელოთიდამ მოკიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდის ძირი და ვაკე, გორით ბერშოეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია, უსენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი.

4. „ქ. თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს და სარქარდებმა დაუძახონ, ორისავ მჯრის მდევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ. ცხენიანი სულ ჭენებით გამოიქცენ და ქვეითნი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, დამგრგვალდენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მოცვივდენ.

5. „ქ. თუ სამაჩაბელოსაკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდის ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდის ლიახვის მდევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვიჩენია, საჩქაროდ გაცვივდენ და, როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ, თუ, რომ კიდევ მოუნდესთ მდევარი და სარქარდებმა დაუძახონ, გამოღმა მჯრის მდევარიც წავიდეს და ღვთით პასუხი გასცენ.

6. „ქ. თუ ქარელიდამ მდევარი დაიძახონ, მაშინვე ქცხილვანს ქვეით კაცი დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა გაღმართი კაცი და დირბის წყლის სოფლები ყველანი შეიყარნენ და გაცვივდენ ცხენიანი და ქვეითი, ნურავინ დააკლდება.

7. „ქ. ვინც დააკლდეს მდევარს, ასე გარდაჰკდესთ: თუ თავადის შვილი დაეკლდეს საჭაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი; თუ აზნაურშვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში.

8. „ქ. თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამავ აზნაურ-შვილსავით გარდაჰკდეს და, თუ ღარიბი იყოს, ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაჰკრან.

9. „ქ. თუ ამილახორი და ერისთავი ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა შეიყარონ მდევარი და ისე იმდევრონ.

10. „ქ. თუ ესენი არ იყვნენ ყულარაღასმა გიღრგიმ და მდივან-ბეგმა იასემ ქმნან.

11. „ქ. თუ არც ესენი იყვნენ, აღაბაბამ და ან შალვამ, ბეჟან და ან ომანმა ქმნან და იმდევრონ.

12. „ქ. რომელიც ერისთვისშვილი და ამილახორისშვილი დაესწროს მდევრობა გვიბძანებია, ამათ შემოეყარნენ და როგორც ამჯობინონ, ისე მოიყვანონ, დიდად ბეჯითად იყვნენ ერისთვისშვი-ლები და ამილახორისშვილები მდევრობისა, რომ ეს მდევრობა ამათ აძევსთ.

13. „ქ. ეს მდევრობა რეჯულას წყლიდამ მოკიდებული ალის წყლამდის და გორიდამ სადამდისაც მოჰყვებოდენ და ქარელიდამ სადამდისაც მოჰყვებოდენ უნდა იმდევრონ.

14. „ქ. გაღმა მჯრისა გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ.

15. „ქ. ეს იცოდეთ თავადიშვილებმაც, აზნაურშვილებმაც, გლეხმაკაცმაც, ამის უკეთეს ვერცარას ღმერთს აამებთ, ვერცარას ჩვენ გვაამებთ და ვერცარას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვეკებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დაჰკოცოთ და სირ-ცხვილეულნი გააბრუნოთ. მარიამობის თვის კᲑ ქკს უᲒ.

16. „ქ. ეს იცოდეთ, რომელიც ჩვენგან საქმნელი საქმეა, პატ-რონყმობისა, მოვლისა, გარჯისა, წყალობისა და ჩემის ქვეყნისათ-ვის თავის დადებისა ღვთით არ დავზოგავთ, თქვენ ასე ეცადენით და ჩვენ კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცეს საქართველოს შეწევ-ნას ვცდილობთ“.

ასეთია ამ ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტის ტექსტი.

როგორც ამ დოკუმენტის ერთი ადგილიდან ჩანს, მსგავსი ში-ნაარსის ინსტრუქციები დაუგზავნია სხვა სადროშოებშიც: „გაღმა მხარისა გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ“.

ირკვევა, რომ ერეკლემ ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად თავის სამეფო გარკვეულ გეოგრაფიულ ზოლებად, სამხედრო ოლქებად დაჰყო. ამავე დროს, თითოეული ასეთი ზოლი თავის

მხრივ ცალკეულ სამოქმედო უბნად იქნა დანაწილებული. ჩანს, ერეკლე, ქვეყნის ოლქებად დანაწილების დროს, ხელმძღვანელობდა ერთი პრინციპით: რომელი გზით იყო მოსალოდნელი მოთარეშე ლეკთა თავდასხმა.

ჩვენი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ იმ ოლქს, რომლის დაცვის შესახებ აქ არის საუბარი, ლეკები თავს ესხმოდნენ აღმოსავლეთიდან. არაგვის ხეობიდან ილიტოზა — ქსოვრისის გზით ლეკები შიდა ქართლში გადმოდიოდნენ.

სამოქმედო ოლქი იწყებოდა ლეხურის ხეობიდან და ალის ხეობამდე გრძელდებოდა. ამ ოლქის აღმოსავლეთით ასეთივე ოლქი უნდა ყოფილიყო, რომლის დაცვა მუხრანბატონებს ევალებოდათ. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ოლქებს შორის არსებობდა გარკვეული კავშირი. ოლქები ერთმანეთს აცნობებდნენ მოთარეშე ლეკთა მოძრაობას, რის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდებოდა თავდაცვისა თუ თავდასხმის ღონისძიების მიღება. რადგან ჩვენთვის საინტერესო ოლქს უმთავრესად თავდასხმა აღმოსავლეთიდან ელოდა და ლეკთა ბრბო ჯერ სამუხრანოს მოადგებოდა, მუხრანბატონი ვალდებული იყო ამილახორებისა და ერისთავებისათვის ეცნობებინა ლეკთა მოძრაობის შესახებ (იხ. მუხლი 1).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ერეკლემ თავისი სამეფო ლეკთა თარეშის საწინააღმდეგოდ გარკვეულ გეოგრაფიულ ზოლებად დაჰყო. თითოეული ასეთი ზოლი თავისებური სამხედრო ოლქი იყო, რომელთაც იმისდა მიხედვით, თუ ამ ოლქში როგორი განლაგებით მდებარეობდნენ სოფლები, ცალკეულ უბნებად ანუ, როგორც ტექსტშია ნათქვამი, სამდეეროებად ნაწილდებოდა. ჩვენთვის საინტერესო ოლქში შემდეგი უბნები გამოიყოფოდა:

მ ხ უ რ ვ ა ლ ე თ — მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ი. ამ უბანში შედიოდა ტირიფონის ველზე არსებული სოფლები: მხურვალეთი, საკორინთლო, ბერშოეთი, მეჯვრისხევი და სხვ. აღმოსავლეთიდან მოსულ ლეკთა ბრბო პირველად მხურვალეთში მივიდოდა, ამიტომ იყო, რომ ერეკლე რჩევას იძლეოდა: „თუ მკურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუდრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრისკევს შეიყარნენ“.

როგორც ვხედავთ ამ უბნის „თავად“ და „ბოლოდ“ განსაზღვრულია მხურვალეთი და მეჯვრისხევი. ამ უბანში მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ მოქმედებისათვის მთავარი ტაქტიკური ხერხია, რომ „თავი და ბოლო მოუდრიკონ“. მეჯვრისხევი ბოლო იყო,

ხოლო მხურვალეთი თავი. მეჯვრისხველებს ევალებათ მტერს საშუალება არ მისცენ წინ წაწევისა, ხოლო მხურვალეთმა უკან დასახევი გზები უნდა შეუკრას, შექმნას ქვაბის მდგომარეობა.

მაგრამ ერეკლე არ უზღუდავდა ქართველ მეომრებს მოქმედების სფეროს და რჩევას აძლევდა, რომ თუკი ბრძოლის თავისებურება მოითხოვდა სხვა ხერხი ეხმარათ. იგი წერდა: „თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდენ, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის გაცემასა და გაყრასა“.

ერეკლე ითვალისწინებდა აგრეთვე მტრის ჯარის გვარობას.

მეორე მუხლით გათვალისწინებულია, რომ მტრის ჯარი თუ ცხენოსანი იყო, მაშინ, რადგან ლეკებს მანევრების მეტი საშუალება ჰქონდათ, საჭირო იყო მცხოვრებნი „ყველანი სირბილით გამოიქცნენ“ და მეთაურის მიერ მათთვის წინასწარ მიჩნეულ ადგილზე მისულიყვნენ. ხოლო „მტრის ჯარი თუ ქვეითად მოდის, მაშინ სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამგრგვალდენ და ისე მოვიდნენ, სადაც სარქარდებმა დაუძახონ“.

ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის მ ე ო რ ე უ ბ ა ნ შ ი შემდეგი სოფლები შედიოდა: ბელოთი, საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, „პატარა ლიახვის გამოღმართი“ (აქ რამდენიმე სოფელი იგულისხმება), გვერდისძირი და ვაკე. ამ უბანში შედიოდა აგრეთვე „გორით ბერშოეთამდის რაც ამათ შუა სოფლებია. ესენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირობებულნი“.

ბრძოლის ტაქტიკა ძირითადად აქაც ისეთია, როგორც პირველ უბანში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს და სარქარდებმა დაუძახონ ორისავ მჯრის მდევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ. ცხენიანი სულ ჭენებით გამოიქცენ და ქვეითნი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, დამგრგვალდენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მოცვივდნენ“.

მ ე ს ა მ ე უ ბ ა ნ შ ი სამაჩაბლო და „პატარა ლიახვის გაღმართი“ შედიოდა. საჭიროების შემთხვევაში ამ უბანს პატარა ლიახვის გამოღმა მხარის მდევარიც მიეშველებოდა.

მ ე ო თ ხ ე უ ბ ა ნ შ ი ქარელისა და ცხინვალის შუა მოთავსებული ტერიტორია იგულისხმებოდა, პატარა ლიახვის, დიდი ლიახვის და დირბის ხევის სანაპირო სოფლებითურთ.

აქ ჩამოთვლილი უბნები, ანუ როგორც მას ერეკლე უწოდებს, სამდევროები, ერთიან გეოგრაფიულ ზოლში — სამხედრო ოლქში ერთიანდებოდა[1]. რადგან ეს ოლქი გეოგრაფიულად ქსნის საერისთავოსა და საამილახოროში შედიოდა, ამ ოლქის ხელმძღვანელობაც ერისთავებსა და ამილახორებს ჰქონდათ მინდობილი. ჩვენი დოკუმენტი, როგორც დავინახეთ, 16 მუხლის, ანუ პარაგრაფისაგან შედგება. შინაარსის მიხედვით ეს დოკუმენტი შეიძლება შემდეგ ძირითად ნაწილებად დაიყოს:

პირველი ნაწილი (§ 1-6) უბნების ორგანიზაციასა და ბრძოლის ხერხებს შეეხება.

მეორე ნაწილი (§ 1-8) დეზერტირების, ანუ როგორც ტექსტშია ნათქვამი „საჭაკოდ“ დამნაშავეთა სასჯელს ითვალისწინებს. სასჯელის სიდიდე და ფორმა სოციალური კუთვნილების პრინციპზეა დამყარებული. განსაზღვრულია, რომ „თუ თავადისშვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი; თუ აზნაურშვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში (§ 7); თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამავ აზნაურიშვილისავით გარდახდეს და, თუ ღარიბი იყოს ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაჰკრან“. (§ 8).

მესამე ნაწილი (§ 9-13) ხელმძღვანელობის საკითხს ეხება. ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია მინდობილი აქვს ერისთავებსა და ამილახორებს.

მეოთხე ნაწილში (§ 14-16) განმარტებულია ამ ღონისძიების მნიშვნელობა ქვეყნის დაცვის საქმეში „ეს იცოდეთ თავადისშვილებმაც, აზნაურშვილებმაც. გლეხმა კაცმაც, ამის უკეთეს ვერც არას ღმერთს აამებთ, ვერცარას ჩვენ გვაამებთ და ვერცარას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დაკოცოთ და სირცხვილეულნი გააბრუნოთ“.

ჩვენს დოკუმენტში მოცემული ბრძოლის ფორმა მხოლოდ ერთ-ერთი სახე იყო ლეკთა თარეშის აღმოსაფხვრელად და რადგან ბრძოლის ეს ფორმა საკმარისი არ აღმოჩნდა, ერეკლემ, როგორც ცნობილია, ახალი, უფრო რადიკალური, ღონისძიება მიიღო და 1774 წ. 4 იანვრის განჩინებით მორიგი ჯარის სისტემა დააწესა.

როგორც აღნიშნული იყო, ერეკლემ 1772 წელს ლეკების წი-

[1] ეს ოლქი ზემო ქართლის სადროშოს ერთი ნაწილთაგანი იყო.

ნააღმდეგ მოქმედების მთელი წესდება გამოიმუშავა. ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება სადროშოში სარდალს ევალებოდა, მას ციხე-სიმაგრეები მზად უნდა ჰქონოდა, მეზობლებთან კავშირი უნდა დაემყარებინა. „მერმე ამხანად, სწერდა ერეკლე რევაზ ამილახორს 1772 წელს, ჩვენი შვილი გიორგი გამოვგზავნეთ მანდედ-კენ და თქვენ უნდა იახლოთ, იმათთვისაც მოგვიწერია და მაგ ქვეყნის ბინა-სიმაგრე, ჯარისა და მდევრობის გარიგება, ციხეებისა და სიღნაღების გარიგება და გამაგრება, როგორც სამჯობინარი იყოს ისე უნდა გაარიგოთ და ისე მოიქცეთ მაგრად და ფრთხილად და მტერს არა დაანებოთ რა“[1].

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ერეკლეს ერთი წერილი, მიწერილი რევაზ ამილახორის სახელზე 1772 წლის 28 იანვარს: „... ზემოთ მომავლის ქვეითის დიდის ჯარის კვალი ენახათ და ერთი ცხენიანი კაცი რეოდათ, ეს ამბავი ზემო ქართლში ყველას შეატყობინეთ, გაფთხილდნენ, რომ არა წაახდინონრა. ხუმრობა საქმე არ არის, ეს ამბავი ახლავ ყველას აცნობე, რომ გაუფთხილებლობით არა წაახდინონრა“[2].

ანდა: „ჩვენ მაგიერად დარბაზ ბატონს ამილახორს რევაზს ასე მოახსენეთ, მერე ჩვენ რომ ავჭალას მოვედით, ქაიხოსროს, მარტყოფის მოურავის წიგნი მოგვივიდა. უჯარმაში ქვეითი ლეკის ჯარი შემოსულა, ცოტა და ბევრობა კი არ ეწერა, ეს ამბავი სოფლებს აცნობეთ, ხმა დააგდეთ და გაფთხილეთ“[3]. წერილი ერეკლესია და 1772 წლის 28 აგვისტოთი თარიღდება.

„ლეკიანობის“ ბუნების ახსნა ცალკე მონოგრაფიულად შესწავლას მოითხოვს. „ლეკობა“ უპირველეს ყოვლისა დაღესტნელ ფეოდალ-აბრაგთა თარეშს ნიშნავს და ამ ტერმინის ქვეშ არ შეიძლება მთელი ხალხი ვიგულისხმოთ.

სარდალი მოვალე იყო არა მარტო ციხე ჰქონოდა მზად, ან ჯარით მეფის დაძახილზე მზად ყოფილიყო, არამედ მტრის მოძრაობისათვის თვალყური ედევნებინა და მოსახლეობა თავდაცვის მდგომარეობაში ჰყოლოდა. სარდალი ვალდებული იყო აგრეთვე თავის სასარდლოში ზომები მიეღო და პანიკიორ-ჭორიკანების წინააღმდეგ ბრძოლა ეწარმოებინა. ერეკლე აფრთხილებდა ამილახორს: „შენი სასარდლო თავადი და აზნაური შემოჰკრიბე და ეს

[1] ფ. Hd, 13736.
[2] ფ. Hd, 13709.
[3] ფ. Hd, 13715.

ჩვენი წიგნი ისე წაუკითხე. ჩვენ ბელადნი ვართ და ვიცით, რომ ჭორიკანობა შეიქმნება, მაგრამ უბრალოს ჭორს ნურავინ აჰყვება, თორემ ვინც უნდა იყოს ენას მოვსჭრით"[1].

სარდლის მოვალეობის კიდევ ერთი მხარე იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ეს არის მეზობლებთან (ახალციხის საფაშო, იმერეთის სამეფო) სადაზვერვო მუშაობა. 1765 წელს ერეკლე წერდა რევაზ ამილახორს: „ბატონიშვილის არჩილის ავად ყოფნის ამბავი მოგვივიდა; მეტად შეწუხებულნი ვართ. ქართლში რაც იმისი ამბავი იყოს, დიდათ მალე გვაცნობეთ"[2].

უფრო ადრე, 1761 წლის 21 დეკემბერს, ერეკლე სხვა ამბებთან ერთად რევაზ ამილახორს მოაგონებდა: „თუ იმერული ამბავი გაგეგონოსთ რამე გვაცოდინენ"[3].

საყურადღებოა, რომ ამილახორი არა მარტო იმერეთის საქმეებს აცნობებს ერეკლეს, არამედ თავისებურ ინფორმაციას აძლევს ქართლის ამბების შესახებ იმერეთის მეფესაც. „მის ბრწყინვალეობას სარდარს ამილახვარს, ძმას, ბატონს ოთარს მეფე იმერეთა სოლომონ მრავალს მოკითხვას და უვნებლად ბრძანების სიხარულს მოგახსენებ, მერმეთ წიგნი მოგეწერა, რაც ამბავი შამოგეთვალა კარგათ ვისმინე, დიაღ მადლობელი ვარ, მერე ირაკლი ნუ მოგიკვდება და თუ ჩემი ძმობა გწამდეს, მანდეური ამბავი როგორც იცოდე, ან ომან ხანის, ან სხვა ყოელისფერი საჩქაროთ შომწერე და ან აწ როგორ რამე ამბავი შეიტყო, მალმალე გვიბრძანე, ამბავს ნუ დაგვაკლებ, ჩვენც მაგიერს გარდაგიხდით და გაამებთ"[4].

ასეთივე ხასიათის დავალება ჰქონდა ამილახორს, როგორც სარდალს, ახალციხის ფაშისადმიც.

1788 წლის 8 ივნისს ოთარ ამილახორს სწერდა ერეკლე:

„.... შენი წიგნი მოგვივიდა, ახალციხის მხრის ამბავი მოგეწერა. ჩვენც იქით აქეთ კაცნი გვყვანან, რომ იმათ ამბავი არ გვაკლია, არიან კაცნი ქრისტიანენი და თათარნიცა, რომ ამბავს წვრილათ იწერებიან. შენის მოწერილის ამბისა ზოგი რამ კიდეც უმოწმება და დიაღ კარგსა იქ, რომ იქაურს ამბავს კითხულობ. იქ, ახალციხეს რაც ლეკის ჯარია, ჩვენ სარწმუნოდ ვიცით ხათრიჯამის კაცისაგან, რომ სულ ხუთას კაცს ათნაკლები კაცნი არიან,

---

[1] ფ. Hd, 13716.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 386.

[3] ფ. Hd, 13710.

[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 1751.

იქაური ამბავი არც ჩვენ გვაკლია, მაგრამ მაინც კარგათ იქ, რომ იქაურს ამბავს კითხულობ და კიდევაც ნუ მოიშლი"[1].

ერეკლე მსგავს დავალებას აძლევდა იმავე ოთარ ამილახორს 1790 წლის 10 მარტს: „ბატონო ამილახორო ოთარ, მერმე ქაიხოსრო ლევანანიშვილის ქალი რომ არის მანდ, თქვენ კარგად უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ იმასთან მამსვლელი კაცი იყოს ვინმე და ან მაგისაგან გაგზავნილი კაცი იყოს ვინმე და გზავნიდეს, კარგათ, ფრთხილათ, უნდა... ის კაცი ჩაიგდოთ, კარგათ გაჩხრიკოთ, ან აქედამ გაგზავნილი წიგნი ექნება და ან იქიდამ მოსული წიგნები — ასე კარგათ უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ მოსული კაცი, მანამ მაგასთან მოვიდოდეს, თქვენ ჩაიგდეთ, წიგნებიცა და კაციც საჩქაროთ ჩვენთან გამოგზავნეთ"[2]. მოტანილი საბუთები მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს. როგორც დავინახეთ, ერეკლე ყველა ღონისძიებას ხმარობდა მტრის მოულოდნელი თავდასხმები აეცდინა თავის ქვეყნისათვის.

ასეთია მასალები სარდლისა და სადროშოს უფლება-მოვალეობის შესახებ. როგორც ვხედავთ, სარდალი დიდი ხელისუფალი იყო. მის მოვალეობაში შედიოდა: ადგილზე ციხე-სიმაგრეების დაცვა-პატრონობა, ჯარის ორგანიზაცია, სადროშოში შემავალ თავადთა ურთიერთობის მოწესრიგება, როგორიცაა: გაყრა, შერიგება, სხვა მცირე სამართლის ქმნა, მისი სადროშოს სამეზობლო ქვეყნების ამბების ცოდნა და სხვა.

სხვა სათავადოების ურთიერთობის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

არაგვის საერისთავო ქსნის საერისთავოს აღმოსავლეთიდან ემეზობლებოდა. ორივე საერისთავო ქართლის მთიანეთში პირველობას ჩემულობდა. ამდენად მათ შორის ხშირი იყო შეხლა-შემოხლა.

არაგვისა და ქსნის ერისთავების ურთიერთმტრული დამოკიდებულება განსაკუთრებით შეიმჩნევა XVIII ს. 40-იან წლებში.

1736 წელს შანშე ქსნის ერისთავმა ალექსანდრე მეფისაგან წყალობად მიიღო არაგვის ერისთავთა კუთვნილი მიწა-წყალი ნარეკვავის ხეობაში. სათანადო სიგელში ნათქვამია: ...„არაგვის ერისთავის ქვეყნისა და მამულების წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ყმაღლატებულის ხელმწიფის მრავალგვარად

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 2497.

[2] იქვე. საბუთი, 372.

ერთგულსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურს, ქსნის ერისთავს შანშეს... გიბოძეთ არაგვის ერისთავის ქვეყანა და მამული"[1].

ბუნებრივია, რომ ეს მდგომარეობა არაგვის ერისთავებში მტრობა-შუღლს გამოიწვევდა. ასეც მოხდა. შანშე ნიადაგ ბრძოლას აწარმოებდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ. გაუჭირდა და ჯერ იმერეთს, ხოლო შემდეგ რუსეთს წავიდა. არაგვის ერისთავი ხელსაყრელ დროს უცდიდა და სამაგიეროს გადახდისათვის ემზადებოდა. მალე მას საამისო დროც დაუდგა. შანშეს ძმის იასე ყულარაღისის ცოლ-შვილი ქსნიდან კახეთში მიდიოდა. იასეს მეუღლე ენათესავებოდა თეიმურაზ კახ-ბატონს და რადგან ქსანში მშვიდობა მინელდა და ნიადაგ საფრთხე იყო, გადაწყვიტა კახეთს გახიზვნა. გზად არაგვის ერისთავის მამულზე გაიარა. ბაზალეთის ტყეში მას გარს შემოეხვივნენ არაგვის ერისთავის კაცები, დედოფალი და მისი მხლებლები გათოკეს და თავის პატრონს — არაგვის ერისთავს მიჰგვარეს. ერისთავმა ბევრი აღარ დააყოვნა და ისინი ყიზილბაშებს გადასცა.

შანშე დაბრუნდა რუსეთიდან, დაიქირავა ლეკები, „მოადგა ანანურს, შემუსრა, აღიღო იგი და მოსწყვიტნა არაგვის ერისთვიანნი სრულიად, რამეთუ არავინ განერა"[2]. ლეკებთან ბრძოლის დროს ქსოვრისთან ვახტანგ VI-ეს შანშე ერისთავი, სიმონ აბაშიძე და ოთარ არაგვის ერისთავი მოეხმო. ოთარ ერისთავი და „ქართველნი" „აიძულებდნენ მეფესა ბრძოლად. არამედ შანშე მტერი იყო ოთარისა და ვინადგან სპანი ოთარისა უმეტესობდენ არა ენება შანშეს ბრძოლა, რამეთუ იქმნების გამარჯვებისა მიზეზი ოთარ"[3].

უმართებულო იქნებოდა ქსნისა და არაგვის ერისთავების ურთიერთობაში მხოლოდ მტრობა დაგვენახა. მათ „ძმობა" და „ერთგულებაც" იცოდნენ, როცა ამას მათი ფეოდალური ინტერესები უკარნახებდა. იმ შემთხვევაში, როცა მეფე თავადური რეაქციის წინააღმდეგ რადიკალურ ღონისძიებებს ატარებდა, ქსნისა და არაგვის ერისთავები გუშინ რომ ერთმანეთს ებრძოდნენ, დღეს „ძმობა"-„სიყვარულს" ჩამოაგდებდნენ და ურთიერთის შემწეობა-მფარველობას კისრულობდნენ. საამისო მაგალითები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება. 1688 წელს გიორგი მეფემ გამდგარ გიორგი არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ჯარი შეჰყარა, ბრძანა და

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი. ფ. 229. დავთ. 23, საბ. 142.

[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 92.

[3] იქვე, გვ. 86.

შეყრილი ჯარით დუშეთს წავიდა. არაგვის ერისთავის წინააღმდეგ მეფემ ქსნის ერისთავი მოიხმო. მაგრამ „იხილე კვალად სიბოროტე და არა კეთილისა წილი, რამეთუ დათუნა ქსნის ერისთავი წარავლინა მეფემან, რათა მოვიდეს იგი გრემისკენ ვიდამ ბრძოლასა ზედა. ხოლო იგი არა მოვიდა, არამედ დაადგრა მჭვრეტელი, თუ რაი იქმნას. გარნა რა ჟამს ივლტოდენ იგინი მოისწრაფა დათუნამ მეფისა თანა და ამას ემთხვია გიორგი და ბარძიმ ძმანი, მცირედითა კაცითა ლტოლვილნი; ხოლო მან არა რაი ავნო, არცა ბრძო, არცა შეიპყრნა, არამედ განუტევა მშვიდობით და თვით დათუნა მოვიდა წინაშე მეფისა და მყისვე აიძულებდა უკუნქცევად, რამეთუ გიორგი და ბარძიმ ვედრებად მიწევნილ მეფისად, რათა შეუნდოს, ამის დათუნას მიერ არცაღა მათ ინებეს და კვალად ქვეგამხედველთა და ბოროტთა კაცთა მეფისათა, განზრახვითავე დავით ერისთავისათა, იხმიეს მასვე ღამესა შინა ლტოლვა და დაუტევეს მეფე მუნ. ამისი მხილველი მეფე და ულონო ქმნილი წარმოვიდა თვითცა მასვე ღამესა მშვიდობით და მოვიდა კოჟორსა ზედა“[1].

ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ, როდესაც მეფე ამა თუ იმ თავადის წინააღმდეგ იბრძვის, თუ მეორე თავადს ეს მოვლენა თავის საწინააღმდეგოდ მიაჩნია, მაშინ ამ თავადის სიმპათიები მეფის მხარეზე კი არ არის, არამედ „დაჩაგრული“ თავადის მხარეზეა. ეს მოვლენა იმდენად აშკარა და დამახასიათებელია, რომ არ დაგვჭირდება მოწმობათა სიმრავლე, ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტს დავიმოწმებთ ვახუშტის შრომიდან.

როცა ვახტანგ VI ერანს წავიდა, „შეიზრახნენ სვიმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედა, რამეთუ რა ჟამს დაიპყრა ვახტანგ ოვსეთი და განიწყო მცველნი თვისი; მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისათჳს: ამისთჳს მიუწერეს ყეენსა: „არა გუნებას ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე“[2].

ამრიგად, არაგვისა და ქსნის ერისთავების ურთიერთობა ხშირცვალებადი იყო; იმისდა მიხედვით, თუ გარკვეული კონკრეტული პოლიტიკური მდგომარეობა მათი ფეოდალური ინტერესებისათვის რა პირობებს ჰქმნიდა, ერისთავებიც ურთიერთდამოკიდებულებას სცვლიდნენ: ხან მტრობდნენ, ხან კი ძმობა-ერთობას ეფიცებოდნენ ურთიერთს.

ამ ფონზე მყარდებოდა სხვა თავადთა ურთიერთობაც. ავიღოთ თუნდაც ერისთავებისა და მუხრანბატონეშის ურთიერთობა.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 59.
[2] იქვე, გვ. 78.

პირდაპირი თუ არაპირდაპირი მასალები გვარწმუნებენ, რომ ეს საფეოდალოები ერთმანეთს ზვერავდნენ და, როცა სათანადო პირობებს გამონახავდნენ, ერთმანეთის ყმა-მამულის მიტაცებით ჭელს ითბობდნენ.

ქაიხოსრო მუხრანბატონი ბაზალეთის ომში 1626 წელს მოურავს ახლდა. ამ ომში მოურავის ჯგუფი დამარცხდა და გიორგი საკაძე ოსმალეთს გადაიხვეწა. თან გაჰყვა ქაიხოსრო მუხრანბატონიც. ამის შემდეგ ზურაბ არაგვის ერისთავი სიმონ მეფეს მიუვიდა. სიმონმა იგი უსაჩუქროდ არ დატოვა, დაუმადლა სამსახური. ფარსადან გორგიჯანიძის თქმით „ზურაბ ერისთავი მეფემ სვიმონ შემოირიგა და მუკრანი მას მისცა და ზოგზოგი სავახტანგო სოფლებიც მას მისცა და მამობა უბძანა"[1].

რომ ზურაბ ერისთავი მუხრანბატონის წინააღმდეგ ხმალს იქნევდა, ჩანს მის მიერ მცხეთის ეკლესიისათვის 1628 წელს მიცემული ერთი საბუთიდან:

„საფურცლე ძველითგანვე თქუენი ყოფილიყო და მუხრანის ბატონს თეიმურაზს და ქაიხოსროს წაერთამევინათ და ჩუენ შეწევნითა ღმრთისათა კლმით ვიშოვნეთ და დავიჭირეთ ყამთა ვითარებისაგან. თქვენი მკვიდრი მამული ისრევე თქუენ შემოგწირეთ"[2].

სათავადოების ურთიერთობაში წითელი ზოლივით გასდევს ისეთი გაგება, როგორიცაა — იმეგობროს ან უმტროს მეზობელს, იმისდა მიხედვით თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ მეგობრობასა თუ მტრობას მისი საკუთარი ფეოდალური ინტერესებისათვის. ამ თვალსაზრისით განისაზღვრებოდა მათი დამოკიდებულება მეფესთანაც. საყურადღებოა, რომ, როცა მეფის ხელისუფლების რომელიმე ღონისძიება ამა თუ იმ ფეოდალის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაშინ ეს ფეოდალები თუნდაც გუშინდელი ურთიერთმტრები, დღეს „ძმობა" „ერთობას" ეფიცებოდნენ ურთიერთს და ცდილობდნენ მეფეთა განზრახვა ურთიერთ საცნაური გაეხადათ. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ორი საარქივო დოკუმენტი — იოანე მუხრანბატონის წერილები ამილახორის სახელზე, მომაქვს ამ დოკუმენტების სრული ტექსტი.

1789 წლის 4 მაისის დოკუმენტში ნათქვამია:

„ოთარს, მის მაღალ ბრწყინვალებას ბატონს ამილახვარს მუხრანის ბატონი სალთხუცესი იოანე მრავალს მოკითხვას და სამსახურს მოგახსენებ. დიდი ხანია თქვენი ამბავი აღარ გიბძანებიარა.

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, საისტ. მოამბე, წ. II, გვ. 236.
[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები IV, გვ. 12.

ჩემს ამბავს მოიხსენებ, აქ მუხრანს გახლავარ. მერმე ამას მოგახ-სენებ, თქვენმა ერთგულობამ მაწვია, რომ ეს ამბავი მომეხსენებინა: ავი იქნება თუ კარგი კაცმა რომ თავისი საქმე წინ შეიტყოს, უმჯობესი იქნება. ქალაქს რომ გახლდი ასე შევიტყევ: თქვენს ბიძაშვილს გოგიას თვისი კეთილის მყოფნი დიდს იმედს აძლევ-დენ, ორში ერთს ბატონისშვილს ურიგებდენ. ბატონიშვილს იუ-ლონსაც მოვახსენე, სწორეთ ჭეშმარიტად მგონია და ვიცი, რომ ორში ერთი მოხდება. თქვენ ნუ მომიკვდებით ღმერთს ერწმუნე ბატონისაგან არა გამიგონიარა ამ საქმეზე. მაგრამ ასეთი ნიშნები ვნახე და გავიგონე, ასე ჭეშმარიტებით იმიტომ მოგახსენე. რა იქნება მოხდეს; შენსას ხომ ვერას წაგართმევს, რაც უნდა შეიქ-ნას, მაგრამ სჯობს რომ იცოდეთ და საქმეც ისე დაიჭიროთ. ამისი საქმე როგორც არის და როგორც გაიარა, ყველა ვიცი, მაგრამ აქედამ ვერ მოგახსენებდი. თუ გნახავ როდისმე ღმრთით ყველას მოგახსენებ. თუ ეს გადასწყვიტა, არ იქნება. ამი-ლახვარობაზე ლაპარაკი არ დაიწყონ, მაგრამ იმედი არა მაქვს ბატონისაგან მამის თქვენის შვილზე ნაკლებობა, რომ ქნას. გუშინ რომ ხუთშაბათი იყო, ქაიხოსრომ ჩაიარა, იმის კაცებს ეთქვათ დაბარებული არისო. თქვენი ნახვა დიაღ მინდოდა; სწორეთ ან მანდ გიახლებოდი და ან აქ მოგახსენებდი, მაგრამ შეიტყობდნეს და ერთს რასმე გაგვიკეთებდენ. თუ ასე მოხდებოდეს და ან ამჯო-ბინებდეთ, ასე რიგათ შევყრილიყავით, რომ არავის შეეტყო, ეს კარგი იქნებოდა. ამგვარათ იქნებოდა. თქვენ კასპს მობძანებუ-ლიყავ ცოტას კაცით; ერთს საქმეს ბრძანებდით კასპს საქმე მაქვსო, იქიდამ მაცოდინებდი ორის კაცით, აქედამ მე გიახლებო-დი. ორის თქვენის ერთგულის კაცით თქვენ მობრძანდებოდით, შუას ალაგას შევიყრებოდით და ამ საქმეებს რაც ბინა აქვს იქნება. ამისი წამალი ასეთი მონახოს კაცმა, რომ საბოლოოთ თქვე-ნი საქმე ბატონთან კარგათ იყოს დაჭერილი. სხვას ზოგიერთს ჩემს სიტყვას ეს ჩემი მსახური იორამ მოგახსენებს. ეს წიგნი, რომ წაიკითხოთ, მამა შენი ნუ წაგიწყდება, მაშინვე დახიეთ, ამ ჩემს კაცთან და ამ ჩემს მოხსენებულს ნურც შინ და ნურც გარეთ ნუ ბრძანებ. ეს კაცი ხვალვე გამოისტუმრე ჩემო ბატონო"[1].

კიდევ უფრო საყურადღებოა მეორე, 1791 წლის ივლისის 7-ით დათარიღებული დოკუმენტი:

„მისს ბრწყინვალებას ბატონს ამილახვარს.. მუხრანის ბატონი იოანე მრავალს მოკითხვას და სამსახურს მოგახსენებ, მერე წიგნი

[1] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 319.

ებოძა. ჩემი ამბავი გეკითხათ, ასე მოიხსენე, ბატონს მოციქული მოეგზავნა — სალთხუცობის შემოსავალი შუა გავყავო, ნახევარი შენ და ნახევარი დავით სარდალსაო და რაც დაგაკლდება შეგისრულებო. მოგეხსენება, ჩემგან ეს არ იქნებოდა, მოვახსენე: ჩემი წახდენა მოგინდომებია და დამიშა/ვ/ებია რამე სულ წამართვი, თუ არა ამას რა გზა აქვს და როგორ იქნება. მეთქი. მოგეხსენება, სხვაც ბევრი სიტყვა გამოერეოდა, მაგრამ აზრი ეს იყო. სამი დღე არის ეს მოციქულობა და აღარა უბრძანებია რა და როგორც მოხდება ალბათ მოგახსენებ. ვერა გამიგიარა, რის ერთგულობისა და სამსახურის მაგიერია ეს საქმე. ბატონიშვილი იულონ ხომ მანდეთ წამობძანდა და აღარა დამდიარა მაგრამ შენ ნუ მომიკვდები ყოველს მაგათ ერთგულთან მიაწევს ეს საქმე თორემ მე ასე ვთქვათ წავხდე, ბოლოს ვნახოთ შეწუხდება ვინმე თუ არა. ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეთ; მე როგორც იქნება ერთი ლუკმა პური არსად დამაკლდება. დედოფლისა და ალმასხანის ბეჯითობა რაღა მოგახსენოთ, ვნახოთ გაუათრამე თუ არა"[1].

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს წერილი ერთგვარი ფრთხილი ტონით არის დაწერილი, აზრი მაინც ნათელია და მუხრანბატონის მიზანსწრაფვა ნათელი ხდება. რა აწუხებს მუხრანბატონს? სახელოს დაკარგვა. მერე და რა შუაშია ამილახორი? განა ირღვევა ამით ამილახორის ინტერესები? ისეთ შემთხვევაში. როცა მეფე ფეოდალის ჩამომცრობას ცდილობს, მეორე ფეოდალი შეეცდება მეფის ასეთ განზრახვას წინ აღუდგეს და ამ შემთხვევაშიც ეს ფეოდალი საკუთარი ინტერესებიდან გამოდის. შემთხვევითი არ არის, რომ მუხრანბატონი ამილახორს პაემანს უნიშნავს, თან ცდილობს მათი შეხვედრა საიდუმლოდ დარჩეს. არც ის არის შემთხვევითი, რომ იოანე მუხრანბატონს რაღაცა რომ გაუგია ამილახორზე, შეატყობინოს, გოგის გიპირისპირებენო ატყობინებს, ამით ივანეს უნდა გავლენიანი ოთარ ამილახორი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ერთგვარ გაფრთხილებასაც კი აძლევს, თუ მე წამახდინეს, შენზეც მოიცლიანო.

ყურადღებას იპყრობს წერილის ერთი დეტალი:

„დედოფლისა და ალმასხანის ბეჯითობა რაღა მოგახსენო, ვნახოთ გაუათ რამე თუ არა".

გვიანფეოდალურ ხანაში მეფე მოქმედებს თავის ოჯახის წევრთა „ერთნებობით" და „თანადგომით". ფეოდალმა ეს კარგად იცის და მეფის ოჯახში მომხრეებს ეძებს. რა თქმა უნდა, ეს „ბეჯითობა" მარტო ნათესაობით არ აიხსნება.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 3537.

ჩვენი თემისათვის ძირითადად ოთხი სათავადო ავიღეთ და მათი ურთიერთობა სხვა სათავადოებთან განვიხილეთ. ეს ოთხი სათავადო გვიანფეოდალური ხანის საქართველოში ტიპიური სათავადოები იყო. ამიტომ მათი შესწავლის საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება ზოგადი დასკვნების გამოტანაც.

1. მას შემდეგ რაც წარმოიქმნებიან ცალკეული სათავადოები, ისინი იმისდა მიხედვით თუ რა კონკრეტული პირობები შეიქმნება ქვეყანაში, ცდილობენ მიაღწიონ დამოუკიდებლობას.

2. ამერიდან თავადთა პოლიტიკა კი არ ისაზღვრებოდა მეფის პოლიტიკით, არამედ მეფე თავადთა ზრახვების გამტარებელი იყო.

3. თავადთა დაჯგუფებები, მათი ურთიერთდამოკიდებულების ფორმები გავლენას ახდენდა ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ურთიერთ თავდასხმები, ყმა-მამულის წართმევა ჩვეულებრივ მოვლენად ხდებოდა.

4. როდესაც ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პირობები ერთგვარად უმჯობესდებოდა და ქვეყნის სასიცოცხლო ძალები ცხოველდებოდნენ, მეფის ხელისუფლებაც თავადების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაზე გადადიოდა.

5. თავადური რეაქციის წინააღმდეგ ყველაზე უფრო გაბედულ მებრძოლად ჩანს ერეკლე მეორე. მან დაინახა რა, რომ ქვეყნის დაკნინების მიზეზი არა მარტო საგარეო ომებია, არამედ შინაფეოდალური ომებიც, იწყო სათავადოების გაუქმება: 1743 წ. გაუქმდა არაგვის საერისთავო, 1765 წელს გაანადგურა ერეკლემ „მარკოზაშვილის დარბაზი“, 1777 წელს მოსპო ქსნის საერისთავო. მაგრამ ასეთი ღონისძიებანი თავადურ რეაქციას საბოლოოდ ვერ აღმოფხვრიდა, რადგან ის ეკონომიური მიზეზი, რომელიც თავადური რეაქციის წყარო იყო, ძალაში რჩებოდა.

II. სათავადოების დამოკიდებულება სამეფო კართან

სანამ უშუალოდ თავადისა და მეფის ურთიერთობის კონკრეტულ ფორმებს გავარკვევდეთ, მანამ საჭიროა თითოეული სათავადოს პოლიტიკური ისტორია შევისწავლოთ. საკითხის ასეთი შესწავლა საშუალებას მოგვცემს ამა თუ იმ სათავადო სახლის ადგილი ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში.

დავიწყოთ ქსნის ერისთავებით.

1. ქსნის საერისთავოს ურთიერთობა ქართლის სამეფოსთან

XVI საუკუნიდან გვაქვს გაბმული ცნობები ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ.

1569 წელს ფარცხისთან ომის დროს, სიმონი ტყვედ ჩავარდა. სიმონის მეუღლე კავთისხევში იმყოფებოდა. „ამილახორი და ქსნის ერისთავი... მოუხდნენ დედოფალს სვიმონ მეფისასა კავთისჰევს მდგომსა და წარუხვნეს სრულიად ქონებანი და აიალაფეს, რომელი არ ჯერ იყო საყოფლად“[1].

ასეთივე ცნობა შემოუნახავს ბერ ეგნატაშვილსაც[2].

ქსნის ერისთავმა და ამილახორმა სხვა ღალატიც ჩაიდინეს; როდესაც ლალა-ფაშა მოვიდა, მუხრანბატონმა „მოიყვანა ამილახვარი ბარძიმ და ქსნის ერისთავი ელისბარ ლალა-ფაშისა თანა და დაიხსნა ამან ქართლი და თემი მოწყვეტისაგან. ხოლო ლალა-ფაშამ ამათ თვისნი მამულნი ბიანიჭნა და მეოთხესა დღესა განუტევა პატივითა“[3].

სიმონი რომ დაბრუნდა სპარსეთიდან, მოღალატე თავადებს შეეშინდათ მეფე სამაგიეროს გადაგვიხდიან და „ამისთვის ქართლში ვეღარ დადგებოდნენ, ჯალაბობით გაეც/ა/ლნეს და კახს ბატონს შეეხვეწნეს და მეფემ სვიმონ იმათი ალაგი და სოფლები საუფატიოთ (sic) ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონისშვილს ვახტანგს მისცა“[4].

ეს ცნობა ვახუშტისაც და ეგნატაშვილ ბერსაც აქვს დაცული, მაგრამ ერთგვარი განსხვავებით, ვახუშტის ცნობით, სიმონი „ლამოდა შურისგებასა ამილახორის და ქსნის ერისთავისასა. არამედ ვახტანგ მუხრან-ბატონი ურჩიდა წინა-თქმულთათვს წინაშე სვიმონ მეფისა. იწყინა მეფემან და... შეიპყრა მათთა ეჭვისათვს ვახტანგ და პატიმარ ჰყო კეხვის ციხესა შინა, მერმე შეიპყრა ამილახვარი ბარძიმიცა. შეშინდა ქსნის ერისთავი ელისბარ და შეუვარდა დედოფალსა, შესძღუნა სრულიად მინატაცი და სხვანიცა მრავალნი. კვალად ახალგორი და მეჯვდა და ამილახორმან კასპი და კარბი, შეიწყალა დედოფალმან და ეევდრა მეფესა შენდობისათვს, შეიწყალა მეფემანცა და აფუცა ერთგულობასა ზედა და განუტევა. შემდგომად ამისა განუტევა ვახტანგცა“[5].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 27.

[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 86—87.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 28.

[4] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 11—12.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 29.

ეგნატაშვილი ბერიც ამბობს, რომ „ქსნის ერისთავმა მიართვა საუპატიოდ მეჯუდის-ჭევი და ახალგორი და ამილახორს გამოართვეს კარბი და კასპი“[1].

რამდენ ხანს ჰქონდა სიმონს ახალგორი და მეჯუდის ხევი, ან რითი დაიმსახურეს ერისთავებმა, რომ ორივე აქ მოხსენებული სოფლები კვლავ დაიბრუნეს, საბუთებიდან არა ჩანს.

ქსნის ერისთავები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVII საუკუნის ოციან წლებიდან.

ვახუშტის გადმოცემით, როდესაც შაჰ-აბაზი განჯას მოვიდა და კახეთში შესაჭრელად ემზადებოდა: „განიპარნენ ნუგზარ და იესე ერისთავნი, ამილახორი ანდუყაფარ, ფეშანგი ფალავანდისშვილი, ალათანგი ხერხეულიძე და მივიდნენ განჯას წინაშე ყეენისა“[2].

თუ ვის მხარეზე იბრძოდნენ ერისთავები შაჰ-აბაზის სისხლიანი ლაშქრობების დროს, ისტორიკოსები არაფერს გვეუბნებიან. ვახუშტისა და ეგნატაშვილის ნაწერებში დაცულია ცნობა, რომ მარაბდის ომის შემდეგ ყიზილბაშები არაგვის ხეობაში შევიდნენ, ეს ხეობა მოაოხრეს, ლომისის გზით ქსნის ხეობაში გადმოვიდნენ. „მაშინ პირობა მისცეს ზურაბ ერისთავმა, იესე ერისთავმა და მოურავმა გიორგიმ და ერისთავის ძმამან და შეკრეს ქსანზედ გზები, დაუხუდენ და ამოსწყუიტეს ასე, რომე იმისთანა გამარჯვება არა თქმულ არს. მოსრნეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა“[3].

ვახუშტი წერს — „მოსვრიდნენ ყიზილბაშთა ესრეთ, რამეთუ ქსანი იქმნა ვითარცა სისხლი“[4].

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ იასე ქსნის ერისთავზე.

როცა ქართლში როსტომი დასვეს, იასე თეიმურაზს ახლდა იმერეთში.

როსტომმა, თუ ეს გორგიჯანიძის შეცდომა არ არის და ზაალ არაგვის ერისთავი და ზაალ ქსნის ერისთავი ერთმანეთში არ ერევა, იასეს მაგიერ ქსნის ერისთავად ზაალი დანიშნა, მაგრამ როსტომს მალე ცნობა მიუღია, რომ „ქსნის ერისთავი იასე ქურდობით მოჰპარვიაო და ზაალ ქსნის ერისთავი მოუკლავსო და ისევ იასე იმერეთს გარდასულაო“[5].

---

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 91.
[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 37.
[3] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 158.
[4] ვახუშტი, იქვე, გვ. 42—43.
[5] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 35.

ამ დროს ქართლისა და კახეთის თავკაცები თეიმურაზისა და როსტომის ირგვლივ დაჯგუფებულან.

იასე ქსნის ერისთავი და იოათამ ამილახორი თეიმურაზის მომხრეები იყვნენ, ზაალ არაგვის ერისთავი, როსტომის მიერ დასმული იყო და როსტომს უჭერდა მხარს.

იასე იმერეთიდან მოვიდა, იოათამ ამილახორს შეეყარა, „ქსნის ერისთავი და ამილახორი ლაშკრით მოვიდნეს და გორს ზეით ჭალაში დაადგნენ"[1].

როცა ეს როსტომმა გაიგო „იწყინა და იასე ერისთვისა უწინდელი ჯავრიც აქონდა და იასე ერისთვისა და იოთამ ამილახორის ცოლ-შვილი როსტომ მეფემ გორის ციხეში შეგზავნა"[2].

როსტომმა გადასწყვიტა ამილახორისა და ერისთავის ხელთგდება. ამილახორი და ერისთავი გორიდან ახალგორში გადავიდნენ. ამის შემდეგ, როსტომ მეფემ ამილახორობა ბეჟანს მისცა, ხოლო ერისთავობა — ელიზბარს. იასე და იოთამი რეხას იდგნენ. როსტომმა მათზე გაილაშქრა, მაგრამ ისინი კახეთს წავიდნენ, როსტომმა ცხვილოსის ციხე დააქცია და გორს დაბრუნდა[3].

იოათამი და იასე კახეთიდან შემოეხვეწნენ დედოფალს, ეშუამდგომლა მეფის წინაშე, რათა გორში დაკავებული ცოლშვილი მისცეს მეფემ. როსტომმა ცოლშვილი გაუგზავნა და შემდეგ იოათამს საამილახოროც გადასცა. მაგრამ „ვითაც იასეს ერისთავისა მრავალი ჯავრი ახსოვდა მეფესა და მესისხლეც იყო, თავად თავისი ძმა შანშე მოეკლა და შანშეს ცოლიცა რომ მეფის დისწული იყო და ზაალ ქსნის ერისთავი მეფის როსტომის ბატონობაში მოეკლა, ამისათვის აღარ შემოირიგა"[4]. ვახუშტიც ამტკიცებს, რომ „მოსწყვიტა იესე ქსნის ერისთავმან ძმანი თავისნი ცოლშვილითა სრულიად"[5].

ამაზე ცოტა უფრო ადრე იასე ანდუყაფარ ამილახორთან ერთად თავს დაესხა ღაზნელებს „მისწყვიტნა იგი და განიყვნეს მამული მისი, ქოლოთ-ქვიტკირი დაიპყრა ქსნის ერისთავმან და ნეშტი ამილახვარმან"[6].

ამის შემდეგ „იასესაც ღონე გაუწყდა და ყაენის კარს ჩავიდა,

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 37.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 43.
[6] იქვე, 43.

კარგი პატივი დაიდვა, ულუფა გაუჩინეს და ქემწიფის მეჯლის შიგ დასვეს"[1].

გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ პაპუნა ამილახორი იასეს მოეკლა, პაპუნას შვილები პაატა და იოთამ სპარსეთში იმყოფებოდნენ ყაენის კარზე და სულ იმას ცდილობდნენ, რომ დრო ეშოვნათ და მამის მკვლელი მოეკლათო, მათ მართლაც დრო იხელთეს „თოფი ჰკრეს და იასე ერისთავი მოკლეს"[2].

ერისთავებს არც შემდეგში შეუწყვეტიათ როსტომის წინააღმდეგ ბრძოლა. „მეფეს როსტომს ანბავი მოუვიდა, რომ ხვალ შობას ორნივ ერისთვები და იოთამ ამილახორი ახალგორს შობას ერთგან იქმონენო და იქ ლაშქარს შეიყრიანო და ბატონს თეიმურაზს საფურცლეს შემოეყრებიანო, იქიდამენ ცხეთას მოვლენო და ვისაც მათთან პირობა აქვთო, იქ შეეყრებიან და შეჰფიცავენ"[3].

გაიგო რა შეთქმულთა ამბავი, როსტომმა სასწრაფოდ ახალგორისაკენ გასწია, მას მუხრანს შემოეყარა ჯარით მუხრანბატონი და შეერთებული ლაშქრით, მოულოდნელად, დაესხნენ შეთქმულებს. შეთქმულნი უწესრიგოდ გაიფანტნენ და „იმათი მასპინძლობის საჭმელი მეფის ლაშქარმან შეჭამა"[4].

როსტომის გარდაცვალების შემდეგ როგორც ცნობილია, ვახტანგ მუხრანბატონი გახელმწიფდა, არაგვის ერისთავად ზაალი იყო, ხოლო ქსნის ერისთავად — შალვა.

ყაენმა კახეთის ნაწილი არაგვის ერისთავს უწყალობა, კახეთის დიდი ნაწილის კი გათათრება მოისურვა სპარსეთის მბრძანებელმა. როცა ქართველობის მოთხრის საფრთხე კარზე იყო მომდგარი კახეთში საყოველთაო სახალხო აჯანყებამ იფეთქა და 1659 წელს „ღამესა ერთსა დაესხნენ თავსა სულტანსა ბახტრიანს და ამოსწყუტეს, და მოსრეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყუნენ, მიჰყუნენ იქიდამე ჯოცითა, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყუნენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვილისათა. და ამოსწყუიტეს დედა წულითურთ და, აკუანში რომელნიც ყრმანი იწუნენ იგინიცა დაჟოცნეს. სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყუიტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს"[5].

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 37.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 41.

[4] იქვე.

[5] ახალი ქართ. ცხ., გვ. 204—205.

ამ აჯანყების საერთო ხელმძღვანელები იყვნენ ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი და ბიძინა ჩოლაყაშვილი. აჯანყების შედეგი ღალატმა გააქარწყლა. ზაალ არაგვის ერისთავი ღალატით მოჰკლეს.

ბიძინა ჩოლაყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები ყაენთან გამოცხადდნენ. ყაენმა ისინი დაზარალებულთა ნათესავებს გადასცა და მათ აჯანყების ხელმძღვანელები სიკვდილით დასაჯეს[1].

შაჰნავაზმა არაგვის ერისთავად ოთარი დასვა, ხოლო ქსნის ერისთავად იასე იასეს ძე. თუმცა პირველ ხანებში შაჰნავაზს „ერთგულებდნენ ესენი ფრიად"[2]. მაგრამ იესემ, ჩანს, შაჰნავაზს უღალატა და ამიტომ როდესაც შაჰ-ნავაზი ერანს წასვლას აპირებდა დაიბარა: „მე რომ ყაენის წინაშე წავიდეო, თქვენ იასე ერისთავს მიუკედითო და რაც ავი იყოს, ის უყავითო"[3].

დანაბარებისამებრ გიორგი და ლევან ბატონიშვილები საერისთავოში შეიჭრნენ დიდი ჯარით, იასეს კაცებიც გადმოიბირეს, იასემ ასეთ შემოტევას ვერ გაუძლო, იგი ხუთი კაცის თანხლებით კახეთზე გავლით სპარსეთს წავიდა.

მიმხდურებმა „სახლკარი აუკლეს და დედა და ცოლი და მკლებლები დაუცარცვეს"[4].

ამ ცნობას ვახუშტიც ადასტურებს და ამბობს, რომ იასე გამოაძევეს და ქსნის ერისთავად დასვეს დათუნა შალვას ძეო[5].

შაჰნავაზის შემდეგ გიორგი XI რომ გამეფდა, „მისცა ასული თვისი... დათუნა ქსნის ერისთავსა და უქმნა ქორწილი კოჟორსა ზედა, მგონებელმან მომტკიცებისა მისისამან"[6].

მაგრამ, როცა გიორგი არაგვის ერისთავს ებრძოდა მეფე და საშველად სიძე მოიხმო, სიძე არ მიუვიდა და „დაადგრა მეკვრეტელი, თუ რაი იქმნეს", ხოლო როცა გიორგი ერისთავი მეფესთან გამოცხადდა და შენდობა სთხოვა, დათუნას რჩევით არაგვის ერისთავი გაიპარა[7].

როგორც ჩანს დათუნა შემდეგში შეურიგდა მეფეს და ერთგულებდა. მეფე გიორგი, რომ ერანს აუჯანყდა, ერანმა გიორგის

---

[1] ახალი ქართ. ცხ., გვ. 206—207.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 51.
[3] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 67.
[4] იქვე, გვ. 67.
[5] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 55.
[6] იქვე, გვ. 58.
[7] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 59.

ტახტი წაართვა და ერეკლე I გადასცა. ერეკლემ „დაამდაბლნა ერთგული გიორგი მეფისანი და ზოგთა მიუხვნა მამული“[1].

მათ შორის ერეკლემ დათუნა ერისთავიც ერისთობიდან გადააყენა და მისი ბიძაშვილი დავითი გაერისთავა[2]. დათუნა კი, გიორგის მომხრე სხვა თავადებთან ერთად ისპაანს გაგზავნეს.

დათუნა ერისთავყოფილის დედამ ქსნის ხეველები ააჯანყა და დავით ერისთავი მოაკვლევინა[3].

ერეკლე განრისხებული შეიჭრა ქსნის საერისთავოში და აჯანყება ჩააქრო, მაგრამ „ეშინოდა შესმენა ყეენისა და ამისთვის მოიოხოვა დათუნა ერისთავი ყეენისაგან, მოიყვანა და მისცა ერისთობა მასვე“[4].

1712 წელს ვახტანგი სპარსეთს გაიწვიეს. ქართლის მეფედ ვახტანგის შვილი ბაქარი დაჯდა (1716). ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, ბაქარმა სალთხუცობა ჩამოართვა დათუნა ქსნის ერისთავს. ვახუშტი ამბობს: „მიუღო რა ბაქარ სალთხუცობა დათუნას ქსნის ერისთავსა და მისცა ედიშერს ძესა ქაიხოსრო ლოპინასასა, მიზეზ-ჰყო ესე დათუნამ და უკუ დგა. ამის თჳს წარავლინა ბაქარ ძმა თვისი ვახუშტი მას ზედა და მისლვასა მისსა მოკუდა დათუნა ერისთავი“[5]. დათუნა ერისთავის სიკვდილის შემდეგ ვახუშტისავე ცნობით „... ძენი მისნი (დათუნა ერისთავისა, დ. გ.) წარვიდნენ კახეთს, და დაიპყრა მამული მისი ვახუშტიმ. არამედ შანშე ძე დათუნასი წარვიდა წინაშე ყეენისა ყაზმინს და მეფე ვახტანგცა მიეწოდა ყეენსა მუნ წინაშე თვისა თავრიზიდამ შთასული შანშე ითხოვა მეფემან ვახტანგ ყეენისაგან, მოსცა ყეენმან და პატიმრად წარმოუგზავნა ბაქარს ძესა თჳსსა, ესე ბაქარმანცა პატიმარჰყო ტფილისს“[6].

შანშე ერისთავი, ქსნის ერისთავთა შორის ყველაზე უფრო საინტერესო პიროვნება იყო. მისი ერისთავობის პერიოდი აღსავსეა მრავალ შემთხვევათა და მოვლენათა მდიდარი ეპიზოდებით. ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოუსვენარი ადამიანის საქმიანობაში მრავალ უარყოფით მხარეებთან ერთად ბევრი რამ დადებითიცაა.

უარყოფითია და რეგრესიული შანშეს საქმიანობა, როცა იგი ქართლის სამეფო კარის წინააღმდეგ იბრძვის, რადგან ის ძმათა

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 67.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 68.
[5] იქვე, გვ. 80.
[6] იქვე.

სისხლის მორევში ახრჩობდა პროგრესულ ძალებს, რომელთა გამოყენებას ვახტანგი და სხვები ქვეყნის კეთილდღეობისათვის ცდილობდნენ. დადებითი დაპროგრესულია შანშეს საქმიანობა, როცა იგი მთელს ქსნის მცხოვრებთ სათავეში უდგება და წლების განმავლობაში ებრძვის ხანოსმალო და ხან ერანელ დამპყრობელებს.

შანშეს მამა დათუნა გარდაიცვალა 1717 წელს, შანშე კახეთის გზით ერანში წავიდა, ერანიდან კი პატიმრის მდგომარეობაში მყოფი თბილისს გამოგზავნეს. რამდენ ხანს იყო თბილისში პატიმრად არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ 1718 წლიდან იგი ქსნის ერისთავია. სეხნია ჩხეიძის მოწმობით „... მცირესა ჟამსა ქალაქიდამ გაიპარა ერისთვისშვილი შანშე და მივიდა თვისსა მამულსა“[1].

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI 1712 — 1719 წ. წ. ერანში იყო. ზოგიერთი ფეოდალი ვახტანგის მეფობის წინააღმდეგია, ისინი სთხოვენ სპარსეთის მპყრობელს, რომ ვახტანგის მაგიერ გაამეფოს იესე. ვახტანგის მოწინააღმდეგეთა შორის იყო დათუნა ქსნის ერისთავიც.

ჩაიგდო თუ არა შანშემ ერისთავობა ხელში, მამის მსგავსად იგიც აჯანყდა 1719 წელს[2].

შანშე ერისთავის აჯანყებას სერიოზული ხასიათი მიეცა. ამავე დროს აჯანყება იმდენად დიდი ყოფილა, რომ ჩანს, შანშეს დამორჩილებისათვის ვახტანგს შოშიტა რაჭის ერისთავი და სვიმონ და ლევან აბაშიძეებიც მოუშველებია. შანშეს ამ განდგომის შესახებ ვახუშტი ამბობს: „განივლტო შანშე და უკუდგა მამულსა თვისსა. ხოლო მეფემან წარავლინა მასზედა ბაქარ ძე თვისი ქსანსა ზედა და ვახუშტი ლიახვსა ზედა, შევიდნენ ესენი და წარუხვნეს ყოველნი. არამედ ჭურთას აოტნეს მცირედნი სპანი და განმაგრდა მუნ შანშე. ამისთჳს მიუწოდა მეფემან იმერთა, მოვიდა რაჭის ერისთავი შოშიტა, აბაშიძენი სვიმონ და ლევან სპითა, შეუხდა მეფე ჭურთას. იხილა ესე შანშემ, ჯრმალ-კისერკიდებული მოვიდა წინაშე ბაქარისა, ამან მოიყვანა მამისათანა, უკმოიქცა მეფე ტფილისს და განუსვენა იმერთა ნადირობა ნადირობითა, ანიჭნა დიდნი და განუტევა, და შანშეცა წარატანა მათ ჟამადმდე“[3].

---

[1] სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქ. ც. II, გვ. 329, ჩუბინაშვილის რედაქციით.

[2] განდგომის თარიღი ვახუშტის არა აქვს აღნიშნული, პროფ. ნ. ბერძენიშვილი 1720 წლით ათარიღებს. იხ. დოკუმენტები I, გვ. 177. შენიშვნა.

[3] ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 81.

მიუხედავად იმისა, რომ შანშე ამ აჯანყების დროს დამარცხდა და „ჯრმალ-კისერკიდებულმა“ შენდობა სთხოვა მეფეს, იგი ახერხებს იმერეთიდან გაქცევას და კვლავ თავის სამფლობელოში მიდის. ახალი აჯანყებისათვის ძალებს აგროვებს. მეორე აჯანყება 1720 წლის გაზაფხულზე მოხდა. შანშე ჭურთის ხეობის წინკიბის ციხეში ჩაიკეტა. ვახუშტის დახასიათებით ეს ციხე იყო „ფრიად მაგარი“[1]. შანშეს წინააღმდეგ „გაზაფხულს შემოიკრიბნა სპანი მეფემან, მივიდა და დასდგა ზებეყურს. მხილველი შანშე კვალად ვედრებული და ჯრმალ-კისერ-კიდული მოვიდა წინაშე მეფისა, მფიცარი ერთგულებასა ზედა, შეუნდო მეფემანცა და მისცა მამულნი მისნი სრულიად“[2]. შანშეს აჯანყება ვახტანგის წინააღმდეგ ორჯერვე მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ, შანშემ შეჰფიცა რომ იგი სიკვდილამდე დარჩებოდა ვახტანგის „ერთგულებასა ზედა“. მართლაც და, შანშემ თითქოს ხასიათი გამოიცვალა, შემდეგში ვახტანგს ერთგულებდა.

XVIII საუკუნის ოციან წლებში უცბად შეიცვალა საგარეო ვითარება. ვახტანგ VI თეიმურაზ I-ის მსგავსად რუსეთის ორიენტაციის მატარებელი იყო და შესაფერის მომენტს უცდიდა, რომ თავი ეხსნა ერანის ყმობისაგან. რუსეთის სამეფო კარის წინადადებაზე — ვახტანგსაც მიეღო მონაწილეობა რუსეთ-სპარსეთის ომში (1722 წ.) — ვახტანგი დათანხმდა და თავის მხრივ ომისათვის მზადებას შეუდგა. როგორც ყოველთვის, ახლაც ვახტანგის კავშირი რუსეთთან, საქართველოს სამხრეთ მეზობლებმა (ერანი, ოსმალეთი) თავიანთ ქვეყნისათვის დამღუპველად მიიჩნიეს და გამაფრთხილებელი ზომები მიიღეს. სპარსეთის ხელისუფლებამ „ღალატისათვის“ ვახტანგს ქართლი წაართვა და კონსტანტინე კახთა ბატონს გადასცა. ქართლის სამეფო, რომელიც წლების განმავლობაში მოღონიერდა და ეკონომიურს და კულტურულ აყვავებას იწყებდა, 1723 წლიდან კვლავ ქვეყნის დამანგრეველმა შემოსევებმა მოიცვა, ოც წელზე მეტხანს ქართლსა და კახეთში (1723-35 ოსმალობა, ხოლო 1735-47 წ. ყიზილბაშობა) არეულობის საშინელი კორიანტელი იდგა. საგარეო შემოსევებს ზედ დაერთო ქართლისა და კახეთის სამეფოების ურთიერთმტრობა (ვახტანგ VI, კონსტანტინე).

ოსმალებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და ოსმალობა დაამყარეს. ვახტანგ მეფე, ერთგული თანმხლებლებითურთ, 1724 წელს

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 69.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 81.

რუსეთს შეეხიზნა. პირველ ხანებში ქართველ თავადთა გარკვეული ნაწილი, მათ შორის შანშე ერისთავიც, ოსმალეთს მიუვიდა, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ მფლობელობის ოსმალური წესი არსებითად განსხვავდებოდა მიწის მფლობელობის ქართველური წესისაგან; ამავე დროს „ახალი პატრონი“ უფრო სასტიკი ჩანდა. ამიტომ ოსმალების წინააღმდეგ ქართლის საზოგადოების თითქმის ყველა წრე აჯანყებისათვის ემზადებოდა. ამ სამზადისის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შანშე ერისთავი იყო. შანშე წერილობითს ურთიერთობას ამყარებს რუსეთში ლტოლვილ ვახტანგ VI და სთხოვს მას გამოგზავნოს ბაქარი საქართველოში. შანშე ერისთავის მიერ ვახტანგ VI-თვის 1724 წლის 9 ნოემბერს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „... თქვენვე მოგეხსენება, რომ თქვენი ძმა ალი-ყულიხან საქართველოს არ მოასვენებს და არც დააყენებს, არც ჩვენ დაგვაყენებს, ამიტომ, რომ შენი და შენი შვილის ერთგულებას მწამობს; შენი ვინმე ამ ქვეყანას რომ იყოს, ეგება ღმერთმა შენც მოგიმართოს ქელი და იმასაც. თორემ, თუ შენი შვილი აქ ქვეყანას არ არის, შენთვისაც დავიკარგებით და შენის-შვილისათვინაც. ნუ გვიზამ, ბაქარ დააბრუნე. სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას, არ გიჯობთ, დამიჯერე, არც სამჯობინარი არის; თუ თქვენი შვილი ამ ქვეყანას არის, გინდა რუსეთსაც და სხვას ქვეყანასაც უფრო ძალიანობაც გამოგიჩნდება და უფრო დიდურადაც დაგიჭერენ. ამ ქვეყანასაც ეშველება შენის შვილის აქ ყოფნით, ამიტომ რომ მღთის ძალით ღონე მოსტყდა ამ თავლაფიანს ოსმალსა. თუ კახის ბატონისას ბძანებ, მტერი არის, შენ ნუ მამიკვდები და ღმერთმან უწყის. ეს დამიჯერეთ, რომ უთუოთ როგორც ვახუშტი არის ბაქარისა, ისე პირით ეს არი. მაგრამ გულითაც იქნება, ასეთი საქმე არის, ეს არ ენდობა ოსმალსა და ჩუენ, მაშ რასა იქს, რომ არ გაუერთდეს. და ამათი გაერთება მე დამადევთ. თუ ერისთავისას ბძანებ და მე და ის ხომ გავერთდით და შევრიგდით და შიშით ვერც წამოვა, თუნდა, რომ მოინდომოს, ვერც წავა. მა-მეც ეგ თქვენი შვილი, ამ სოფელსაც მე მთხოვე და იმ სოფელსაც. შენც გიჯობს მაგის აქ ყოფნა და ჩვენცა. ამ ზამთარს ხომ არ იქნება და გაზაფხულზე, თქვენც გაარიგებთ რასმე მღთით“[1].

შანშე ერისთავი არა მარტო „თავლაფიან ოსმალებს“, არამედ, კახ ბატონსაც ებრძვის. თუ ზემოთ აღნიშნულ წერილში ჩანს, რომ კახთა ბატონი არ ენდობა არც ოსმალებს და არც ქართ-

[1] ბ რ ო ს ე, Переписка, გვ. 174.

ლელებს, 1733 წელს ვახტანგისადმი გაგზავნილ წერილში შანშე ატყობინებდა ვახტანგს, „მაშინ, რომ თათრები და კახთ ბატონი, ქართველნი, ლეკნი მომადგნენ, ჯერ ახალგორს მობძანდა კახი ბატონი და აქ ვერა გაარიგარა, წაბძანდა. მას უკან ლიახვზედა მომადგნენ. მღვთით და თქვენის დოვლათით ვერცარა იქიდამ გარიგეს. დიდი ჯარი იყო, თორმეტი ათასი იყო თათარი, ლეკი, ქართველი და კახნი“[1].

ქსნის საერისთავოში, შანშეს წერილში მოხსენებულ კახთა ბატონის შესევას ს. ჩხეიძეც იხსენიებს: „...შეუხდნენ ქსნის ერისთავს შანშეს, კახი ბატონი, ურუმთ ჯარი და ქართველნი, მრავალი სული დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე, თუ კოშკი და მესერი, საცხენისი და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანათისა. ბოლოს შემოეხვეწა ერისთავი შანშე და შეირიგეს“[2].

თუმცა შანშე შერიგებულა, მაგრამ შერიგებით იგი უკმაყოფილოა. „... ნეტავ მოვეკალ და არ შევრიგებოდი, დამიწყეს ლაპარაკი შეგვრიგდი, ორმოცი ქისა გამომართვეს“[3].

ოსმალობით უკმაყოფილო ქართლის თავადები დახმარების იმედს რუსეთზე ამყარებდნენ, ამ საქმის მოგვარებას ვახტანგს სთხოვდნენ, ამავე დროს ვახტანგთან წერილობითი ურთიერთობა ჰქონდათ და ქართლის ამბებს აცნობდნენ, რაც წერილით სახიფათო იყო, იმას სანდო კაცების მეშვეობით ატყობინებდნენ.

„... აქაური ანბავი ჩემგან ძნელად მოიხსენება და ეს თქვენი ერთგული კაცნი მოგახსენებენ და რაც მოგახსენონ სარწმუნო იყავით“ — წერდა შანშე ვახტანგს[4]. ამავე დროს ვახტანგს სთხოვეს, რაც შეიძლება მალე დაიწყოს საქმის მოგვარება, რადგან „ამას უკეთესი დრო არ იქნება აქაო“[5].

ვახტანგის მომხრეთა დასი 1733 წლისათვის, ჩანს საკმაოდ გაზრდილა „... თვითონ ამილახვარმაც წიგნი გაახლოთ, შენ ნუ მამიკვდები, დაიჯერეთ, დიდად ერთგული არის თქვენი და დიდის სამსახურის მცდელი არის და მომჭირნე. ამაზე გუნება დააჯერეთ. ამას გუნებაში თქვენი ურიგო და უმსახურობა არა ძეს, ამისი თავდები და მოპირე მე ვიყო. არაგვის ერისთავია და ესეც ერთგულია, რომ არ იყოს არ იქნება. დამიჯერეთ ეს ორი კაცი, ნამეტ-

---

[1] ბროსე, Переписка, გვ. 205.

[2] სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქ. ც. II, გვ. 335.

[3] ბროსე, Переписка, გვ. 205.

[4] იქვე.

[5] იქვე.

ნავად ამილახვარი, ჩემგან ითხოვეთ. სხვა, ვინ არის ქართლში, რომ უარი და ჩვენი დაუმჯერებლობა ქნას და შეიძლოს. თქვენი სიძისა აბაშიძისა თქვენ იცით. ამას უკეთესი დრო არ იქნება. ამილახვარმაც ხომ მოგწერათ და ზეპირათაც დააბარა, თქვენ, ამას ეცადენით, რომ სამიოდ პოლკი ჯარი იშოვნოთ[1]... და გზა ჩვენზე დადევით, ნუ იქთ ამას, უკეთესი დრო არ იქნება, ამიტომ რომ ყენია და ახლო მოსდგომია, კარი აშლილი აქვს, ჯარი ვერ იშოვნეს, ქვეყნები ლეკმა წაართვა"[2].

შანშეიმის მომხრეა, რომ ვახტანგმა მეფობა დაიბრუნოს. ვახტანგს შანშე ურჩევს: „სამიოდ პოლკის" შოვნას.

ამავე დროს შანშე რჩევას იძლევა, რომ ამ საქმის ხელმძღვანელობა ვახტანგმა არ გაუშვას ხელიდან, რადგან კახთა ბატონიც ხომ ცდილობს ქვეყნის პატრონობას, „... მე ეს მეჯავრება, კახთ ბატონი სწერს მანდ წიგნსა „ჯარი მომეც და მე ქვეყანას შენთვის დავიჭერო", მაგ ძაღლს სამებელსაც წამოეღო წიგნები. აქ სოლაღში, რომ სარდალი არის, იმასაც შემოეთვალა „თუ ჯარს დაიბარებთ მოგცემთო". ეს მკლავს ჯავრითა, რომ გამიწყრეს ღმერთი და ან ჯარი მოსცენ ამ ბნედიანსა, ან შეიძლოს რამე, რაღა უნდა ვქნათ"[3].

შანშეს აზრით, ქართლის ოსმალეთისაგან განთავისუფლებისათვის და ვახტანგის კვლავ გასამეფებლად უკეთესი დრო აღარ დადგება, თუ არა ეხლა, რადგან თვით დამპყრობელის შინაური მდგომარეობა შერყეულია და მას უკვე, ამის გამო, აღარ შესწევს უნარი აჯანყებული ქართლის დასამშვიდებლად. ქართლის „პატრონის" ასეთი მდგომარეობა ვახტანგის მოწინააღმდეგეებმაც იციან და ისინიც ცდილობენ ეს მომენტი გამოიყენონ. ყველა ამის გამო შანშე კატეგორიულად მოითხოვს: ან ეხლა, ან არასოდეს.

„ღმერთი მამეცეს თავდებად, დაიჯერეთ ესე ქვეყანა დაარგული არის თქვენგანა, თუ თავს არ შეიდებთ, დამიჯერეთ, ახსენე ღმერთი და ეცადენით რასმე, ღმერთმან მოგაყენათ დრო, ნუ

---

[1] წერილი აქ დაზიანებულია. დაზიანებულ ადგილს მოსდევს: „და გზა ჩვენზე დადევით". ვგონებთ დაზიანებულ ადგილას უნდა ყოფილიყო შანშეს დაპირება ხელის შეწყობის შესახებ, იქნებ თავის სამფლობელოში პირდებოდა შანშე თავშესაფარს.

[2] ბროსე. Переписка, გვ. 206.

[3] იქვე, გვ. 206—207.

გვიანობთ, თუ ეს ქვეყანა გინდათ დრო ეს არის, თუ არა და ნება თქვენია"[1].

1735 წლიდან ოსმალობა ყიზილბაშობამ შეცვალა. როცა ყიზილბაშები ოსმალებს ებრძოდნენ, ქართველები მათ მიუვიდნენ ოსმალების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ქართველები ყიზილბაშების ბატონობის მომხრენი იყვნენ, პირიქით, „საქართველოს პატრიოტებს ერანიცა და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურიგებელ მტრებად მიაჩნდათ — ერთი „ფოცხვერი" იყო, მეორე „ბაბრი" და მათ საწინააღმდეგოდ მოკავშირეებს ეძებდნენ"[2]. და მართლაც, საინტერესოა, ამ მხრივ, ვახტანგ VI-ის 1723 წ. წერილი არტემ პეტრესძისადმი. „აქამდი რომ ფოცხვრის ჭანგისაგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგდონ"[3].

არ გავიდა დიდი ხანი, რომ ყიზილბაშების წინააღმდეგ აღსდგა ქართველი ხალხი (1736 წელი) და გაბოროტებულ მოძალადეებს გმირული ბრძოლით ეკვეთა.

სპარს დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველთა აჯანყების მთავარი მიზეზი შაჰნადირის მიერ ქართველებისადმი უნდობლობა და მძიმე ხარკი იყო. როდესაც შაჰნადირმა დაინახა, რომ ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევდა, შეცვალა პოლიტიკა, შეუმცირა ხარკი, და თეიმურაზთან ლოიალური ურთიერთობა დაამყარა. აჯანყებას სათავადოების ნაწილი ჩამოშორდა, ნაწილმა კი მედგარი ბრძოლა განაგრძო.

ყიზილბაშების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლაში, ამ პერიოდისათვის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქსნის საერისთავოს. ყიზილბაშებს „შანშე ყამად ერჩდის და ყამად უკუ დგის"[4]. შანშემ გაამაგრა საერისთავოში არსებული მთავარი ციხე-სიმაგრეები (ახალგორის, წირქოლის, ჭურთის, იკორთის, აწერის, ვანათის, კულბითის, ქარჩოხის, ყამურის და სხვ.) და ხან პირდაპირი შებმით და ხან პარტიზანული თავდასხმებით მოძალადე ყიზილბაშებს დიდ ზარალს აყენებდა. ქალიუშკინის ცნობით: „Шанша в нарочитом числе нечаянно напал на казну, которая из города Гори везена была к Шахову брату к Ибрагиму хану семьдесят тысяч рублев и оные деньги отбил, а обретающиеся при той казне людей иных в полон взял, а иных порубил"[5].

---

[1] ბ რ ო ს ე, Переписка, გვ. 207.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვახუშტის ბიოგრაფიისათვის, აღწერა, გვ. XII.

[3] ბ რ ო ს ე, Переписка, გვ. 149.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 92, ჩუბინაშვილის რედაქციით.

[5] Дела грузинские, 1737 წ., № 1. 5.

აჯანყებულ შანშე ერისთავის დასასჯელად სეფი ხანი „შეუხდა ქსნის ერისთავსა, აიღო ციხე აწყურისა. ციხე ბეშო და მონასტერი“[1]. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ შანშე იძულებული გახდა იმერეთს გადახვეწილიყო „დედა წულით“. იმერეთიდან ყიზლარ-ასტრახანის გზით რუსეთს წავიდა 35 კაციოთურთ.

შანშეს რუსეთში წასვლის მიზანი იყო: ან დახმარება მიეღო ერანელთა წინააღმდეგ, ანდა თავშესაფარი მიეცათ მისთვის. შანშეს ჯერ კიდევ 1733 წელს უნდოდა რუსეთს წასვლა. მაშინ იგი ოსმალების წინააღმდეგ იბრძოდა და რეალური დახმარების იმედი ამ საქმეში რუსეთიდან ჰქონდა, მაგრამ ვერ მოახერხა წასვლა, რადგან „ანბები იყო“; ახლა კი ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაშარცხებულიყო და ერთადერთი გამოსავალი ისღა ჰქონდა, რომ რუსეთს წასულიყო.

შანშეს რუსეთში მგზავრობამ მისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამავე დროს, მას წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო საქართველოში იმავე გზით, რომლითაც იგი რუსეთში მოვიდა. შანშესთვის დახმარების მიცემის ან მისი რუსეთში დარჩენის შეუძლებლობას რუსეთის ხელისუფლება იმით ასაბუთებდა, რომ: „по имеющим между Российскою империею и Персидским государством трактатам уходящих с обоих сторон людей принимать но не должно то его князя Шаншу в Российском Государстве никаким образом держать ныне невозможно, дабы на него между обоими Государствами и напрасные споры и дальности не произошли“[2].

მიუხედავად იმისა, რომ შანშემ რუსეთში ვერც დახმარება მიიღო და ვერც თავშესაფარი, მას მაინც ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი არ აუღია. დაბრუნდა რუსეთიდან, „მოვიდა ქართლსავე და დაიპყრა მამული თვისი, მოიყვანა ლეკნი და აოხრებდა ქვეყანათა“[3]. აჯანყებული შანშე საშიში გახდა ერანის ხელისუფლებისათვის. 1740 წელს აბდულა-ბეგის დამსჯელი რაზმები არაგვის საერისთავოდან წავიდა შანშეს დასარბევად. „გარდავიდნენ ლომისაზე და დადგნენ ცხრა ძმას, აოხრეს გარეშო სოფლები, მაგრამ ... ვერა ავნესრა ერისთავს შანშეს“[4].

ქსნის საერისთავოს ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ

---

[1] სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა—ქ. ც. II, გვ. 341, ჩუბ. რედ.

[2] Дела Груэ. № 1, Л. 62.

[3] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 92. ჩუბინაშვილის რედაქციით.

[4] ჯ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა ქ. ც. II, გვ. 344—45 ჩუბ. რედ.

(1736-1741) ოთხ წელზე მეტხანს გაგრძელდა ერთგვარი ინტერვალებით, მაგრამ ხალხს თანდათან დაღლა ეტყობოდა. ერისთავის შვილებს შორისაც ღალატი მოჩანდა.

შანშეს შვილმა — იოანემ უღალატა და ყიზილბაშებს მიუვიდა[1]. სხვა ერისთავის შვილებიც ამ „არეულობის" მიზეზად შანშეს სთვლიდნენ. ზოგიერთი ფეოდალი, რომელიც აქამდე ყიზილბაშებს ებრძოდა, ახლა ყიზილბაშებს შერიგებოდა და შანშეს მტრობდა (ბარძიმ არაგვის ერისთავი, გივი ამილახორი და სხვ.). ნადირშაჰსაც თავის საქმეები მოეგვარებია (ინდოეთის კამპანია) და ურჩების დასასჯელად დრო ეხელთა, ქსნის ერისთავის აჯანყების ბედი განწირული ჩანდა.

ნადირშაჰმა გამოგზავნა შანშე ქსნის ერისთავის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია და თან აღუთქვა, რომ „თუ დამიჭიროთ შანშე, ყოველი თქვენი საწადელი აღვასრულო და მოგცე წყალობა უშურველი"[2]. ამავე დროს ნადირშაჰმა ქსნის ერისთავობა გივი ამილახორს უწყალობა და „დასდვა იმ ქვეყნის ბელადობა"[3].

ნადირშაჰსავე იმამ-ყული-ხანისათვის ბეგლარბეგობა მიეცა და ქართლში გამოესტუმრებია დიდი ჯარით. 1741 წლის აგვისტოში „წავიდა ეს ჯარი ქსანს, რა მიეახლნენ მუხრანს აბელადეს ამილახვარი გივი, ვითაცა ხელმწიფეს ბელადობა მისთვის დაედვა, გაუვეს ჯარი სამად, მისცეს ერთი ჯარი არაგვის ერისთავს და გარდუსიეს ლომისზე, მეორე ჯარი ქსანზე შევიდა და მესამე ჯარი ლიახვზე. უყვეს თარეში, ააოხრეს ქსანი, დაწვეს, დაატყვევეს და აჰოწყვიტეს ურიცხვი, დააქცივეს ციხეები, ან საცა კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა. გაიქცა ერისთავი შანშე, ცოლშვილიც იქა ჰყვანდა და შევიდა აწერის ციხესა შინა. მაშინვე მივიდა ხანი ღამითვე და შემოადგა გარს, ვეღარა სძლო შანშემ და გაიპარა ციხიდამ, თავის ძმა იასე და მცირე რამ კაცნი თან გაიტანა, შეიარა ხეობაზე, მივიდა ახალციხესა, შეეხვეწა ფაშას, შეიწყნარეს პატივით და დააყენეს ქალაქსა შინა"[4].

შანშეს გაქცევის შემდეგაც აჯანყებულები კვლავ აგრძელებენ ბრძოლას. „ალიყულიხან, რომელი იყო თავისპათა და ხანი ტფილისისა, შევიდა მაღრან-დვალეთს, მოსტყვევნა იგი და მთანი შანშესანი. არამედ ჟამურის ოვსთა აოტნეს ხანი და მოსწყვიტნეს სპანი

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 345—346.
[2] იქვე, გვ. 346.
[3] იქვე.
[4] იქვე.

მისნი"[1]. ვახუშტის ამ ცნობას პაპუნა ორბელიანიც ადასტურებს „მთის ოსნი შემორიგებულნი იყვნეს. რა შეიტყვეს ღალატი, შეუკრეს ერთი ვიწრო ალაგი, დაუშინეს, გამოაქცივეს ყიზილბაშნი, დაიჭირეს ხანი, მოკლეს პაპუა მუხრან ბატონიშვილი, რომელი იყო ნასაჩბაში, ამოწყვიტეს ყიზილბაშნი"[2].

ამრიგად, ფეოდალურმა სისტემამ თავისი გაიტანა: მტერთან ერთიანი ბრძოლის მაგიერ ძმათა შორის მტრობა, ქიშპობა და სისხლის ღვრა გააჩაღეს.

აჯანყების დამარცხებით დიდად დაზარალდა მოსახლეობა, ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა, დაინგრა და გავერანდა სოფლები. აწერის ხევის ციხის დარბევის შემდეგ ხანმა ..... გაუშვა მარბიელი ავღანისა და საცა რამ დარჩომილი იყო დაეტყვევეს, ოსეთს აქეთს სულ აჰყარა და მოაბარა გივის ამილახორს ...იყო ტყვე დიდი და პატარა ცხრაასი, მისცეს, სრულიად ჯარსა ავღანისასა, იყო ტირილი და ვაება ტყვეთაგან, ეგრევ წუხდიან ქრისტიანენი და ვისაც ძალედვა იხსნიდიან და განუტევიან, ასე გაიაფდა ტყვე, რომ თითოს ვაეკაცს ორ-ორ მინალთუნად აძლევდიან, რომელიც არ გაუვიდისთ ცხვრულებ ყელსა სჭრიდიან და ზოგს წყალში ყრიდიან"[3].

ასე დამთავრდა ქსნის საერისთავოს ოთხწლიანი აჯანყება სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ. მიუხედავად დამარცხებისა, ეს აჯანყება იყო უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ ქსნის საერისთავოს მცხოვრებთა ბრძოლის უძვირფასესი ფურცელი საქართველოს ისტორიის მატიანეში.

შანშე და იესე ერისთავები ნადირ შაჰის მოთხოვნით ახალციხიდან ერანში გაისტუმრეს[4]. ნადირშაჰმა ისინი ჯერ დარუბანდის, ხოლო შემდეგ მაშათის ციხეში გამოამწყვდია. აქვე მოაყვანინეს მათი ცოლებიც. ამრიგად, ქსნის ერისთავებმა, „ქსნის ხევის სანაცვლოდ დაიმკვიდრეს ხორასანი"[5].

თუმცა სპარსმა მოძალადეებმა ქსნის ხეობის აჯანყება „დაამარცხეს" და „იამა ხელმწიფეს დაჭერა ქსნისა"[6] ... მაგრამ ქართველებში არ ჩამქრალა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ცეცხ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II. გვ. 93.
[2] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 347.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 349.
[5] იქვე.
[6] იქვე, გვ. 347.

ლი და 1742 წლის ბზობა ღამეს კვლავ დაიწყო, თავისი შინაარსით უფრო დიდი, აჯანყება გივი ამილახორის მეთაურობით.

ამ ხანებში, ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა საქართველოში. 1744 წელს თეიმურაზ II ქართლის, ხოლო ერეკლე II კახეთის მეფობას მიაღწიეს. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ თუ, არც ისე დიდი ხნის წინათ, „კახელების ალმა ხნული ქ ა რ თ ლ ე ლ ე ბ მ ა დალმა ფარცხეს“, ახლა ორი სამეფო ერთდებოდა და საერთო ძალებით მტრის უკუგდება ადვილი იყო. ერეკლე და თეიმურაზი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ერანის მბრძანებელთანაც შესაფერისი ენა გამოუნახათ.

შანშე და იესე ერისთავი ერანში 1745 წლამდე დატოვეს. 1745 წელს საქართველოში გამოისტუმრეს (თეიმურაზის შუამდგომლობით). იესე ყულარაღასი გზაში გარდაცვლილიყო. შანშე კი თვალებდათხრილი შემოვიდა თბილისში[1].

1747 წლამდე შანშე თბილისში იმყოფებოდა, ქსნის საერისთავოს სამეფო კარი განაგებდა. 1747 წელს კი შანშე ერისთავი კვლავ ქსნის ერისთავად დასვეს. პაპუნა ორბელიანის ცნობით, როცა თეიმურაზი ერანში გაიწვიეს, ქართლის გამგებლობა აბდულა ბეგს დაავალა და თეიმურაზმა უბრძანა ქართველთა „ბატონისშვილს აბდულა-ბეგს ნუ გაეყრებითო და ჩვენის ერთგულობით აღისი სიტყვის გამგონნი იყავითო“. აგრეთვე აბდულა-ბეგს უბრძანა „რადგან მეფე ერეკლე მუდამ ქართლისათვის ვერ მოიცლისო, ქართლს მოუარეო და ერთმანეთის ნებითა და შეკითხვით ორივ ქვეყნები მტრისაგან კარგა გაამაგრეთო და ჩემდა მოსვლამდის მშვიდობიანად იყვნეთო“[2]. მაგრამ, მალე აბდულა ბეგმა ერეკლეს უღალატა და მისწერა: „მეფე არჩილობით ქართლი ჩემიაო, დამანებეო და შენ კახეთს მიეპატრონეო“[3]. ერეკლე საწინააღმდეგო ღონისძიების მიღებას შეუდგა: „უბოძა მეფემ ერეკლემ შანშეს ისევ ერისთაობა ქსნისა და მამული თვისი და სთხოვა ჯარი. შეიყარა მაშინვე კაი ჯარი და ჩამოვიდა ქალაქს და დაუდვა ფიცი მტკიცე, პატრიარქიცა თავდებობითა: „მამას შენსა და შენს მეტი ბატონი არ ვიცოდე“[4].

პაპუნა ორბელიანის ცნობის სისწორე მტკიცდება საარქივო მასალებითაც: 1747 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებულ ქსნის

---

[1] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, გვ. 386.

[2] იქვე, გვ. 398.

[3] იქვე, გვ. 400.

[4] იქვე.

ხეობის მცხოვრებთადმი გაცემულ ბრძანებაში ვკითხულობთ: „ჩვენი ბძანება არის ერთობით ქსნის საერისთოს აზნაურშვილნო და გლეხნო, ოსო და ქართველნო, მთისა და ბარის კაცნო, — თქვენ ისევ ბატონის შანშე /ე/რისთავისათვის წყალობა გვიქნიხართ და გვიბოძებიხართ, ყველანი ამას მიუდექით, რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე ემსახურენით. ჩვენის ერთგულობით ამისის სიტყვისა და სამსახურის მორჩილნი იყავით"[1]. ახლა კი შანშე ერისთავმა ხორასანის მაგიერ, კვლავ დაიმკვიდრა ქსნის საერისთავო.

შანშე ერისთავი მაინც არ ისვენებდა. ის ახლა თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას: „შანშე ერისთავი არა დაცხრებოდა ამასაცა დროსა ორგულობისაგან მეფეთასა მექონი მიწერ-მოწერისა მეზობელთა ერთათანა"[2]. ერეკლეც ამტკიცებს, რომ შანშე „ჩვენს ორგულობაში მოკვდაო[3]. ორგულობისათვის დაიჭირეს ერისთავი შანშე, მისცეს ქსნის ერისთავობა მის ძმისწულს დავითს. შანშე გამოგზავნეს ქალაქს, „შეიპყრა სენმა და მოკვდა შანშე"[4].

შანშეს სიკვდილის შემდეგ ქსნის ერისთავობა მისცეს დავითს, ესე ყულარაღასის ძეს (1753-1774 წ.).

როგორი იყო დავით ერისთავის ურთიერთობა ერეკლესთან? დავით ერისთავი ენათესავებოდა თეიმურაზსა და ერეკლეს, იგი თეიმურაზის მამის ძის შვილისშვილი იყო. საყურადღებოა, რომ ერეკლე არსად არ უჩივის დავითს, როგორც მოღალატეს, თუმცა 1770 წელს დავითი დაბეზღებული იყო როგორც მოღალატე, მაგრამ „არ გამართლდა" (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). იესე ოსესძის მტკიცებით (1777 წლის იანვრის 17 ს.) მუხრანში დარბაისელებთან საუბარში ერეკლეს განუცხადებია: „მართალია როსტომ და მამას იმისას (ე. ი. დავით ერისთავს, დ. გ.) არა დაუშავებიარა, მაგრამ მე ვეღარავის ვენდობი, ქსანზე და ლიახვზე აღარავის შეუშვებო".

ვახტანგ ბატონიშვილი კი ამბობს, რომ „... შემდგომ ერისთავობა მიიღო დავით ერისთავმა და თუმცა ჰყავდათ მეფეთა თეიმურაზს და ირაკლის პატივსა შინა, ვითარცა ძმა და შვილი, გარნა

---

[1] საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229. დავ. 23. საბ. 238. ეს ცნობა დაცულია აგრ. საქ. უმაღლეს მმართველობის მიერ 1825 წ. 24 აპრილს № 46. ერმოლოვისადმი წარდგინებაშიც. იხ. აქტი ტ. VI, ნაწ. I, გვ. 123.

[2] საქ. მუზ. ხელნაწ. განყ., ფ. H, საბ. 138.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226. საბ. 352.

[4] პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 451.

უჩუმნა დავით ერისთავმან მეფეთა რავდენიმე გზის სახე ორ-
ბულობისა"[1].

წერილობითი წყაროები, თუმცა არა პირდაპირი, საკმაო ცნობებს შეიცავენ იმის დასამტკიცებლად, რომ დავით ერისთავი ნამდვილად მონაწილეობას იღებდა ერეკლეს წინააღმდეგ არსებულ შეთქმულებაში და გამორიცხული არ არის ვიფიქროთ, რომ იგი „მარკოზაშვილის დარბაზის" წევრიც იყო, ან ყოველ შემთხვევაში, თანაუგრძნობდა მას.

დავით ერისთავი ისე გარდაიცვალა, რომ მისი შეთქმულებაში მონაწილეობა ერეკლესათვის უცნობი დარჩა.

დავით ერისთავის შემდეგ ერისთავობდა გიორგი ყულარაღასი (1774—1777). ჯერ სამი წელიც არ გასულიყო მისი ერისთავობიდან, რომ „... უკუდგომა გაეცხადებინა. ახალგორი, წირქვალი, მონასტერი, ფოხალა, სიათა და ბეხჩო გაემაგრებინა; ეფთვიმი წინამძღვარი და თარხანი მოციქულად უვლინა; მერმე ქსნის ხევზე ბატონისშვილი გიორგი და ლევან შეუსია, ლიახვზე ამილახორი. ყოველი ციხე აიღეს. თვითან სიათაში გამაგრდა, მისი შვილი ელისბარ ფოხალაში. ელისბარ ციხიდამ გავიდა, თავის სიმამრს — იმერეთის მეფეს სოლომონს მიატანა, ისიც აიღეს. სიათას შემოახვია ჯარი და ბატონისშვილები. იქიდამაც ვამოიყვანეს ცოლშვილით.

ქალაქს ჩამოიყვანეს გიორგი ერისთავი ჭელ-ხუნდით და რევაზ და ზურაბ ხელშეკრული ჩამოიყვანეს. ქრისტეშობის 1. ქრონიკონს 465, დღესა პარასკევსა"[2]. იესე ოსესძის ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო. განდგომის თარიღსაც ზუსტად ადგენს და ერისთავთა ამ აჯანყების დამარცხების თარიღად 1777 წლის 1 დეკემბერს (პარასკევს) ასახელებს. დავით ბატონიშვილიც თავის წიგნში „ახალი ისტორია" ეხება გიორგი ყულარაღასის განდგომის ამბებს და წერს: „ჟამსა ამას (1778 წ., დ. გ.) უკუდგა ყულარაღასი გიორგი ერისთავი ქსნისა. ამას ზედა წარგზავნა მეფემან ძეი თვისი გიორგი და ლევან, რომელიცა შეიპყრეს და შთამოიყვანეს პყრობილად. თუმცა მეფემან მიუტევა შეცოდებაჲ, გარნა მიუღო ქსანი მიზეზითა ამით, რამეთუ ჰყვა მას ლეკთა მეკედრობაჲ და არბევდა ქართლსა და აოხრებდა სოფლებთა, ვითარცა ავაზაკი. და მიუბოძა ქსანი ძესა თვსსა გიორგის, ხოლო

[1] საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება, ფ. H, საბუთი 138.

[2] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოც., გვ. 81.

ლიახვი იულონს"[1]. ამას ამტკიცებს ვახტანგ ბატონიშვილიც[2]. ქსნის ხეველებისადმი გაცემულ ბრძანებაში (1778 წლის 20 იანვარი) ერეკლე ამბობს: „... მერე ჩვენ ქსანი და ლიახვი ორისაკ წილი ჩვენს სახასოთ დავდევით. თქვენთან სხვას არას კაცს ჯელი აღარა აქვს. რაც როსტომ ერისთავს თავის მამის წილი ერგებოდა, ჩვენ გვერდის ძირზე და ქართლში მოვეცით. და თუ იმისათვის სხვა მამულიკ მიცემა გვენებება, სხვას ალაგს მივცემთ. ამას ფიცით გწერთ, რომ ქსანსა და ლიახვზე ჩვენგან ერთის კომლის კაცის სხვის მიცემა აღარ იქნება"[3]. (იესე ოსესძისა და დავით ბატონიშვილის მიერ გიორგი ყულარაღასის განდგომის თარიღი სხვადასხვაა. ჩვენის აზრით იესე ოსესძის ცნობა უფრო სწორია, რადგან დავით ბატონიშვილს, როგორც ცნობილია, თავის ისტორია შემდეგ აქვს დაწერილი და დათარიღებაში შეიძლება შეცდომა მოსვლოდა, ანდა შეიძლება, ერეკლეს ზემოთ დასახელებულ ბრძანებით სარგებლობდა ბატონიშვილი, მაგრამ ერეკლეს ეს ბრძანება განდგომას კი არ ეხება, არამედ უკვე დაკავებულ ქსნისა და ლიახვის ხეობის განაწილებისა, თუ რიგის საკითხს).

ერეკლე II როსტომს და მის ძმებს დაუტოვა მხოლოდ ქსუისი, აპუთი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, შაქათ გორი, სათემო, კუმისი, და ნავთლუღი, გორსა და ცხინვალში ერისთავების ქონება, საერისთავოს დანარჩენი ნაწილი კი სახასოდ გამოაცხადა, ჯერ გიორგისა და იულონს გადასცა (პირველს ქსნის ხეობა, მეორეს პატარა ლიახვის ხეობა), ხოლო შემდეგ გიორგიმ თავის შვილებს იოანეს და ბაგრატს მისცა. იოანეს — ქსნის ხეობა ხოლო ბაგრატს — ისროლისა და მეჯუდის ხეობები.

დამარცხებული ერისთავები შენდობას არ თხოულობდნენ. ისინი კვლავ განაგრძობდნენ წინააღმდეგობას, უკავშირდებოდნენ ქართლის სამეფო კარისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს. „მიხაილ, ელიზბარ და მირმანოზ ერისთავ აზნაურებითა და მსახურებით თვსით გარდავიდენ ახალციხედ. სცნა რა ესე მეფემან ირაკლი უბრძანა როსტომს და შანშეს, რათა მათ განლტოლვილნი ძმანი თვსნი დაერწმუნებინათ უვნებლობაზედა და უკმოეწოდებინათ, გარნა მათ ნაცვლად აღსრულებისა ბრძანებისა, განამტკიცეს ციხე წოდებულ იკორთად, განუყენეს მეფეს ოსნი ღვიდისის ხეობისანი, იწყეს საუბარი ახალციხის ფაშასთან. აცნობებ-

[1] დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, გვ. 15, თ. ლომოურის გამოცემა.
[2] საქ. მუზ. ხელნაწ. განყ., H, ფ. 138.
[3] საქ. სიძ. II, გვ. 457.

დენ რა მას თჳსსა მდგომარეობასა და სთხრვდნენ მხედრობათა"[1]. რადგან როსტომმა და მისმა ძმებმაც არ მოიშალეს წინააღმდეგობა ერეკლეს მიმართ, ერეკლე იძულებული შეიქნა მიეღო უკანასკნელი ზომები: 1786 წელს ჩამოართვა მეჯვრისხევი და ზოგიერთი სხვა სოფელი, ხოლო 1790 წელს — გვერდისძირიც. 1790 წლისათვის ქსნის ერისთავები საბოლოოდ გამოდევნილი იყვნენ ქსნის საერისთავოდან და მათი ქონება განაწილებულ იყო ბატონიშვილებზე შემდეგი სახით:

იოანე ბატონიშვილს მისცეს: ქსნის, საფერშეთის, ალევის, ცხრაძმის, ჭურთის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობები;

იულონ ბატონიშვილს პატარა ლიახვის ხეობა და გვერდისძირი;

ბაგრატ ბატონიშვილს მეჯუდისა და ისროლის ხეობა, საკორინთლო და ქოლოთ-ქვიტკირის ხეობა.

XVIII საუკუნის უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა კვლავ გართულდა. 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ტრაქტატში საქართველოს სამხრეთის მეზობლებმა მათთვის არა ხელსაყრელი ნიშნები შეამჩნიეს. ერანი და ოსმალეთი კარგად ხედავდნენ, რომ თუ რუსეთი გაბატონდებოდა ამიერკავკასიაში, მაშინ მათ საქმე ექნებოდათ ძლიერ მტერთან, ამიტომ ერეკლეს არა ერთხელ მიმართეს და წინადადებას აძლევდნენ თავი დაენებებინა ჩრდილოეთთან მეზობლობისათვის.

ერეკლემ მიიღო მთელი რიგი საგანგებო ზომები ქვეყნის უშიშროებისათვის, (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მორიგე ჯარის შემოღება და სხვ.). 1790 წელს დაიდვა ქართველ მეფე-მთავართა შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, მაგრამ ლეკთა მუდმივმა თარეშმა, რასაც ზედ დაერთო 1795 წელს აღა მაჰმად-ხანის საშინელი შემოსევა, და შიგნით ფეოდალურმა ბრძოლამ, ისედაც დასუსტებული ქართლ-კახეთის სამეფო კიდევ უფრო დაასუსტა. ღრმად მოხუცებული ერეკლე მეფე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეს უდიდესი მოამაგე, 1798 წელს გარდაიცვალა. ისედაც აშლილ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა სუსტი მეფე გიორგი XII, რომელსაც არ ძალუძდა ქვეყანა რთულ მდგომარეობიდან გამოეყვანა. 1800 წლის დეკემბერში გიორგი მეფეც გარდაიცვალა. გიორგი XII სიკვდილის შემდეგ ატყდა დავა ტახტისათვის ბატონიშვილებს შორის. ტახტის პრე-

[1] საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ., ფ. H, საბ. 138.

ტენდენტებად გამოდიან ერთის მხრივ ერეკლესა და მეორეს მხრივ გიორგის მემკვიდრეები.

გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში ბატონიშვილებს ზურგის შემწენი უნდა ეშოვნათ, „სიკეთე დაეთესათ“ ფეოდალთა შორის, რათა მათი გული მოეგოთ, რომ საჭირო დროს გამოსდგომოდნენ. ამ გაგებით ხელმძღვანელობდნენ ბატონიშვილები, როცა მათ ერისთავების ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება იწყეს. 1801 წლის 27 იანვარს ბატონიშვილებმა ერისთავებს დაუბრუნეს ქსნის ხეობა, მეჯვრისხევი, ვაკე და გვერდის ძირი.

1801 წლის 3 თებერვალს დავით ბატონიშვილი საჭიროდაც კი სცნობდა ერთგვარი განმარტება დაეწერა იმის შესახებ, რომ ერეკლემ უკანონოდ ჩამოართვა ერისთავებს ქონება[1]. გასაგებია, რომ დავით ბატონიშვილის ეს განმარტება სწორი არაა და იულონ ბატონიშვილის საწინააღმდეგო ლონისძიებით არის გამოწვეული. ერისთავებმა ბატონიშვილებისაგან ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი უკან მიიღეს.

2. არაგვის საერისთავოს დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან

პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე არაგვის ერისთავები გიორგი ბრწყინვალეს დროიდან ჩანან. ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანეში — „ძეგლი ერისთავთაში“ აღნიშნულია, რომ, როდესაც გიორგი ბრწყინვალემ გორიდან ოსები განდევნა, ამ საქმეში ქსნისა და არაგვის ერისთავებმაც მიიღეს მონაწილეობა. ოსებზე გამარჯვების შემდეგ, ქსნისა და არაგვის ერისთავები ერთმანეთს ეტრაბახებოდნენ არა მე გამოვიჩინე მეტი ქველობა, არა მეო, ამას ერისთავთა შორის დამდურება მოჰყვა. ხოლო ურთიერთმდურება ბრძოლაში გადაიზარდა. ბრძოლა მოხდა ლომისის მთაზე, უდანაშაულოთა სისხლი უმიზეზოდ დაინთხა.

XIV ს. დამდეგიდან არაგვის საერისთავოს მონაწილეობის შესახებ ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრებაში თითქმის არავითარი მასალა არა გვაქვს XVI საუკუნის დამლევამდე.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის არაგვის საერისთავოს შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდიან რუსი ელჩები. რუსული ცნობებიდან ირკვევა, რომ არაგვის ერისთავი „ნუგზარი, თუმცა კახეთის მეფის ყმა იყო, თავს საკმაოდ დამოუკიდებლადა გრძნობდა“[2].

ერისთავი იმდენად დამოუკიდებლად ჩანს, რომ იგი თავის

---

[1] Акты, т. VII, стр. 379.

[2] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან, მასალები, ნაკვ. I, 1944 წ., გვ. 21.

პატრონის დაუკითხავად ომს აწარმოებს მეზობელ ჩერქეზ ბატონთან, საგანგებო რწმუნებასა და ძღვენს თხოულობს რუსი ელჩებისაგან მაშინაც კი, როცა ელჩები მის პატრონთან მიდიან.

როდესაც რუსმა ელჩებმა ჩერქეზ ბატონს ალკასს სთხოვეს, რომ „и ты б, Алкас княз, государю нашему службу свою показал, проводити нас до Грузинские земли послал"[1]. ალკასმა განუცხადა: „...пошлю деи вас провдити до Сонские земли; а далле Сонские земли мне вас проводити нелзя, потому что ныне Иристов княз Сонской со мною не в миру"[2].

ამ ცნობით არა მარტო ის ჩანს, რომ ამ დროს ერისთავს ომი ჰქონდა ჩერქეზ ბატონთან, არამედ ისიც, რომ ჩერქეზ ბატონისათვის „Сонские земли" დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომლის უშუალო მფლობელი ერისთავია.

კიდევ უფრო საინტერესოა ელჩების სხვა ცნობები. როცა ისინი საერისთავოში მოვიდნენ, ნუგზარ ერისთავს აცნობეს, რომ ელჩები „идут в Грузинскую землю для государева дела"[3]. ნუგზარ ერისთავი მივიდა მათთან 50 კაცის თანხლებით და განუცხადა: „идете вы от государя своего к Олександру князю Грузинскому через мою землю. Грамота с вами от государя ко мне и жалованье есть ли"?[4].

ამრიგად, ერისთავს თავისი საერისთავო მეფისაგან დამოუკიდებლად მიაჩნია და „მის მიწაზე ფეხის დამდგმელი", განურჩევლად იმისა თუ ვინ არის იგი, ანგარიშვალდებულია ერისთავის წინაშე.

ჩანს მოსკოვში არ იცოდნენ, რომ კახეთში მისვლამდე საჭირო იყო ერისთავთან საგანგებო რწმუნება. მათ როგორც ირკვევა, არაგვის საერისთავო კახეთის სამეფოს განუყრელ ნაწილად მიაჩნდათ: „про тебя и про твою землю государю было неведомо, потому к тебе от государя грамоты и жалованья с нами нет"[5]. ხოლო თუ შენ, ჰპირდებიან ელჩები ერისთავს, „государю нашему службу свою показал, велел нам дорогу дати через свою землю до Грузинские земли"[6]. მაშინ ჩვენ როდესაც „у государя своего будем, и мы про твою службу государю своему скажем; и государь нашь тебя Иристова князя пожалует, свое жалованье пришлет"[7].

---

[1] Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. 34.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 35.
[6] იქვე.
[7] იქვე.

ამის შემდეგ ნუგზარმა ელჩებს თავშესაფარი მისცა, ცხენები მიჰყიდა და ალექსანდრეს სამეფომდე პირადად გააცილა[1]. ერისთავი ჩანს, ენდო რა ელჩების დანაპირებს, მიზნად ისახავდა თავისი სამფლობელო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ელჩების შეშვეობით. რუსთა ხელმწიფისათვის ცნობილი გაეხადა, ამას კი, შემდეგში, თავის ფეოდალური მიზნებისათვის მოხერხებულად გამოიყენებდა. და მართლაც, ჩანს, ელჩებმა აუწყეს ხელმწიფეს არაგვის ერისთავის ვინაობა და აი, 1604-1605 წლის ელჩობის დროს მიხეილ ტატიშჩევმა და ანდრია ივანოვმა ნუგზარ ერისთავს მოუტანეს ბორის თეოდორეს ძის სიგელები და მოსართმევები (жалованье). ელჩებმა გადასცეს რა თავიანთ ხელმწიფის მიერ გამოგზავნილი სიგელ-საჩუქრები, აუწყეს ხელმწიფის დანაბარები, რომ „(ერისთავი, დ. გ.) видя к себе царского величества жалованье, их государевых послов своею землею провожал, чтоб им пройти злорово"[2].

რუს ელჩებს აინტერესებდათ გაეგოთ რა დამოკიდებულებაშია ერისთავი ალექსანდრესთან „Аристов княз от Александра царя не отложился ли? И по прежнему ль под его рукою в послушанье живет?"[3]. ელჩებმა იცეან, რომ „Из давних лет Сонская земля подо властью Иверских царей одна земля и люди были одное веры христьянские; а не в давном времени ты, Аристов княз, от Александра царя хотел отстат, и за то меж вас недружба и война всчалас была"[4].

რუსეთის სამეფო კარის ინტერესებისათვის არ იქნება ცუდი, თუ არაგვის ერისთავი და კახთა მეფე მეგობრულ განწყობილებაში იქნებოდნენ. არაგვის ერისთავი დარიალის კარს ფლობდა. ამავე დროს ის „დიდი ხელმწიფია", ალექსანდრე კახთა მეფე კი რუსეთის „ხელდებულია". ეგების ალექსანდრესგანაც იყო ჩაგონებული, რომ რუსებს ემოქმედათ ერისთავზე, რათა ერისთავი მისი გამგონე გამხდარიყო კვლავინდებურად.

რუსი ელჩები ერისთავს ეუბნებოდნენ, რომ „И ныне царского величества к тебе приказ, чтоб ты, Аристов княз, с Олександром царем был в дружбе и в любви по прежнему и от не-

---

[1] Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 424.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 424—425.

то не отставал и ни к которым его недругом не приставал; а был с Олександром царем и с его детми вместе"[1].

ელჩები ურჩევდნენ, რომ თუ კი ერისთავი მეგობრულ განწყობილებაში იქნება ალექსანდრესთან, აგრეთვე თუ არ ემტერება თერგის ბატონებს, რომლებიც ხელმწიფეს უგონებდნენ, მაშინ ხელმწიფეც დაუმადლებდა და ერისთავს შეეძლებოდა თავისი ელჩები გაეგზავნა ხელმწიფესთან. ხელმწიფე შენი ელჩებისგან „выслушав, пожалует тебя своим царским жалованьем во всем, смотря по твоей службе"[2]—პირდებოდნენ ელჩები ერისთავს.

ერისთავიც აღუთქვამდა ელჩებს, რომ იგი მათ რჩევას შეასრულებდა.

როგორც ცნობილია, ერევნის ალყის შემდეგ, 1604 წელს, ალექსანდრე კახთა მეფე შაჰ-აბაზმა სპარსეთს წაიყვანა. 1605 წლის 12 მარტს იგი მსხვერპლი გახდა თავისი შვილის კონსტანტინესი. მალე კახეთის საქმეები კიდევ უფრო აიშალა. იმ ხანებში არაგვის ერისთავებისა და კახეთის მეფეების დამოკიდებულების შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, ვიცით მხოლოდ, რომ XVII საუკუნის ათიანი წლებისათვის ნუგზარ ერისთავი ნაწყენი იყო, როგორც კახეთის მეფე თეიმურაზისაგან, ისე ქართლის მეფე ლუარსაბისაგანაც.

გიორგი სააკაძესთან ერთად ნუგზარი შაჰ-აბაზთან წავიდა 1612 წელს და ცდილობდა შაჰის ძალის გამოყენებას ლუარსაბისა და თეიმურაზის წინააღმდეგ. შაჰისაგან ნაწყალობევი ნუგზარი თავის მამულში დაბრუნდა და უცდიდა მარჯვე დროს. მარჯვე დრო დადგა. 1614 წელს შაჰი კახეთის მოსათხრელად წამოვიდა. ნუგზარი და „ძმანი მისნი" „მივიდნენ განჯას წინაშე ყეენისა"[3].

რა დამოკიდებულებაში იყო შაჰთან ნუგზარ ერისთავი 1614 წლის ტრაგედიის დროს, წყაროებიდან არ ჩანს. როგორც ვიცით, კახეთი აოხრდა, საერისთავო კი ხელუხლებელი დარჩა; უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს ნუგზარი შაჰის შემწედ გამოდიოდა. 1618 წლის ახლო ხანებში ნუგზარ არაგვის ერისთავი გარდაცვლილია. ვახუშტის თქმით: „მომკვდარ იყო ნუგზარ და დასჯდა ძე მისი ბაადურ ერისთავად. ამას არა მორჩილ ექმნა ძმა თჳსი ზურაბ, განაძო იგი და წარვიდა ცოლით წინაშე შაჰ-აბაზისა. მან კეთილად

[1] Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. 425.

[2] იქვე,

[3] ვახუშტი, საქ.ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 37.

შეიწყნარა შუამდგომლობითა მოურავისათა, რამეთუ იყო აღზრდილი მოურავისა, შემდგომად მისცა ნიჭი შაჰ-აბაზ და ერისთაობა და გამოუტევა ზურაბ და დამთა ცოლი მუნ"[1].

ეგნატაშვილის ცნობა ვახუშტის ცნობისაგან განსხვავდება, იგი ფიქრობს, რომ ნუგზარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ზურაბი გაერისთავდა, ბაადურს კი იგი სულ არ ახსენებს[2].

ვახუშტის ცნობა, ჩვენის აზრით, უფრო სანდო ჩანს. ბაადური 1618-1620 წლებში იყო ერისთავად; როდესაც 1620 წელს გიორგი სააკაძე, სიმონ ხანი, ყორჩიხანი და ზურაბ ერისთავი ჩამოდიან ქართლში, ზურაბი ცდილობს განდევნოს ძმა და დაიპყროს საერისთავო. იგი სპარსელების დახმარებით აღწევს კიდეც მიზანს. „მოსრულმან ზურაბ ძალითა ყეენისათა და სვიმონის მწეობითა დაიპყრა ბაზალეთი და განაძო ბაადურ ძმა თჳსი"[3]. სიმონი სუსტი მმართველი იყო. თეიმურაზიც საქვეყნო საქმეებს ვეღარ მართავდა. ქვეყანა აშლილია, სპარსთა მძლავრობა აუტანელი გახდა.

სპარსთა ზრახვები თანდათან აშკარა ხდებოდა. შაჰ-აბაზისათვის გიორგი სააკაძე ახლა უფრო ხელშეშმლელად ჩანდა ვინემ საჭიროდ, ამიტომ ცდილობდა მის დაღუპვას. ამ საქმეს ყორჩიხანს ავალებდა და საიდუმლო წერილიც გაუგზავნა; წერილი შემთხვევით გიორგი სააკაძეს უვარდება ხელთ; გიორგი სააკაძე გამოსავალს ეძებს; მისთვის აშკარაა, რომ შაჰს ვეღარ მიენდობა. საჭიროა აჯანყება. იგი „მივიდა ზურაბ ერისთავისა თანა ფარულად, ეზრახა მოწყვეტასა ყიზილბაშისასა და აუყრელობასა ქართლისასა"[4]. მცირე ყოყმანის შემდეგ სააკაძემ დაიყოლია ზურაბ ერისთავი და „დაასკვნეს ღალატი ყიზილბაშთა"[5].

1623 წელს, როგორც ცნობილია, ქართველებმა გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით ამოჟლიტეს სპარსთა ლაშქარი და იწყეს ქართლ-კახეთის ციხე-სიმაგრეებიდან ყიზილბაშთა განდევნა. ზურაბი არაგველებით კახეთს შეესია და არა ერთი ციხე-სიმაგრე გაანთავისუფლა. ერთი წლის შემდეგ, 1624 წელს, მარაბდის ომში ზურაბ ერისთავმა საკმაოდ დიდი ჯარი გამოიყვანა. ეს ომი ქართველების დამარცხებით დამთავრდა, თვით ზურაბიც „შუბლზედ

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 39.
[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 151.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 40.
[4] იქვე, გვ. 41.
[5] იქვე.

დაკოდილი იყო, თოფს გარდაეკრა და უსუსტდებოდა გული"[1]. მარაბდის ომში ზურაბს 900 კაცი მოუკლეს[2].

1624 — 1625 წლებში ქართლის ფაქტიური გამგებელნი გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი იყვნენ. „სვიმონ მეფე ვერ გამოვიდოდა ტფილისიდამ ამათ მიერ"[3].

1626 წელს გიორგისა და ზურაბს შორის მტრობა ჩამოვარდა. გიორგი სააკაძეს მტრები გაუმრავლდნენ. თეიმურაზი და სააკაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ზურაბი თეიმურაზის მხარეზე გადავიდა. მალე დაპირისპირება ბაზალეთის ომად გადაიქცა. ბაზალეთის ომში გიორგი სააკაძე დამარცხდა, იგი მომხრეებით ქართლს გაეცალა, თან გაჰყვა ქართლის გამგებელი ქაიხოსრო მუხრანბატონი[4].

ბაზალეთის ომის შემდეგ ზურაბ არაგვის ერისთავი კიდევ უფრო გაძლიერდა და გათამამდა. მან „არღარა დაუდვა ბატონს თეიმურაზს თავი და ამას შინა დაუწყო საქმობა სვიმონ მეფეს"[5].

ზურაბისა და თეიმურაზის მტრობის მიზეზი, ჩანს სამუხრანო იყო. არაგვის საერისთავოს სამუხრანო სამხრეთ დასავლეთიდან ემეზობლებოდა, როდესაც ქაიხოსრო ქართლს განაგებდა, გიორგი სააკაძის დახმარებით, მან „არღარა ჩამოუშვა ზურაბ ქართლსა შინა"[6]. ამ დროს ზურაბმა ქაიხოსრო მუხრანბატონსა და გიორგი სააკაძეს თეიმურაზი დაუპირისპირა, მან „მოიყვანა ბატონი თეიმურაზ და ინება ამისთჳს ქართლისა მეფობა"[7].

ზურაბი ანგარიშში მოტყუვდა, გამოირკვა, რომ „ბატონს თეიმურაზს მუკრანი თავისის შვილის დათუნასათვის მიეცა"[8]. ზურაბ ერისთავი არ დაიბნა, ახლა თეიმურაზს სიმონ-ხანი დაუპირისპირა. სიმონი თბილისის ციხეში იყო ჩაკეტილი. ზურაბმა სიმონს მისცა „საფიცარი დიდი და გამოიყუანა ციხიდამე და ნოუდვა ზურაბ ერისთავი და გააბატონა და მოუყენა ქართლი. და წამოიყვანა ზემო ქართლს და მუნ იყოფებოდა. მაშინ სვიმონ მეფე მამასა ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორჩილი და არას

---

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 155—156. ვახუშტი საქ. ც. გვ., 42.

[2] იქვე, გვ. 155, ვახუშტი საქ. ც., გვ. 42.

[3] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 43.

[4] იქვე, გვ. 44. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქ. ც., გვ. 159—160.

[5] ეგნატაშვილი ბერი, იქვე, გვ. 163.

[6] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 44.

[7] იქვე.

[8] გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 238.

იქმოდა მის გარდაუვალსა"[1]. ზურაბ ერისთავს არა მარტო მუზრანი უწყალობა, არამედ „ზოგზოგი სავახტანგო სოფლებიც მას მისცა"[2].

ზურაბის მადას საზღვარი არა ჰქონდა. „ესრეთ იყო წადილი ზურაბ ერისთჳსა, რათამცა ბატონი თეიმურაზ კახეთსა ზედან უფლებდეს, და სვიმონ მეფე ქართლსა ზედა, და თვითონ ორთავე ზედა კადრებდეს და ვერას მოქმედებდენ, თვინიერ მისსა, და მოსწრაფე იყო წარმართებასა საქმისა თვისისასა, და, უკეთუ რომელიმე არა იყოს ნებისმყოფელი მისდა, იგი მეორე მეტოქად ეპყრას, და, რომელიცა არს მორჩილ მისდა, იგიმცა იყოს უფალ მისა"[3].

ასეთსავე ცნობას გვაწვდის ვახუშტიც[4].

თეიმურაზმა შესძლო ზურაბის გადაბირება. იგი დაპირდა ზურაბს „თიანეთის სამამულეთ მიცემასა"[5]. ოღონც ერთი პირობით, — მას უნდა მოეკლა ქართლის მეფე სიმონი და მის ადგილზე თეიმურაზი გაებატონებია. ზურაბი უყოყმანოდ დათანხმდა, მას მთელი სიმდიდრე უვარდებოდა ხელთ, სამუხრანო ხომ მას ჰქონდა, ახლა კი ერწო-თიანეთიც მისი იქნებოდა.

სიმონი სხვილოს ციხეში იმყოფებოდა. მას ზურაბის ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა, ყველაფერში ენდობოდა.

ზურაბი შევიდა სიმონის საწოლ ოთახში „და მძინარე სარეცელსა ზედა ღალატად მოკლა იგი, წარკუეთა თავი და წარსცა ბატონს თეიმურაზს"[6]. ზურაბ ერისთავმა მოიწვია თეიმურაზი და ქართლ-კახეთის მეფედ დასვა[7].

ზურაბის ასე გაძლიერება არა მარტო თეიმურაზისათვის არ იყო კარგი, არამედ თვით ქართლ-კახეთის თავადებისათვისაც. მოეწყო შეთქმულება ზურაბის წინააღმდეგ. გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ზურაბ ერისთავი უნდა დაეღუპათ. თეიმურაზმა, შეთქმულებაში მონაწილეებს ზურაბ ერისთავის შესახებ განუცხადა: „ვინათგან ესრეთ განდიდნა ერისთავი ზურაბ და არავისი ნებავს უფლება ქართლსა და კახეთსა ზედა და, რომელი უნებს,

---

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქ. ცხოვრება, გვ. 163.

[2] გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 238.

[3] ეგნატაშვილი ბერი, იქვე, გვ. 164.

[4] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 45.

[5] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 238.

[6] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქ. ც., გვ. 164.

[7] ვახუშტი, იქვე, გვ. 45. ეგნატაშვილი ბერი, იქვე, გვ. 165, გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 238.

დააყენებს და, რომელისაცა არა უნებს, რომელსამე მკულელი ექმნების და რომელსამე განაძებს, და აწ მნებავს სიკუდილი მისი და თქუენ დაიდუმეთ საიდუმლო ესე და, რომელსა მე ყამსა გამცნო სიკუდილი მისი თქუენ ნუ ურჩ მექმნებითო"[1].

თეიმურაზმა ზურაბის მკვლელები ადვილად იშოვა:

„ზურაბის მკვლელების შოვნა ძნელი არ იყო. ერთობ ბევრი იყო ქართლ-კახეთში, მთასა თუ ბარში, ზურაბის მესისხლე. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ მ ა, ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ე ბ მ ა და ფშავმა თ უ ღ უ მ ი შ ვ ი ლ მ ა ღალატით მოჰკლეს ზურაბ ერისთავი ს ა ფ უ რ ც ლ ე ს"[2].

1630 წელს თეიმურაზმა ზურაბი საფურცლეს მიიწვია პუროობაზე, მკვლელებიც იქ იყვნენ, დრო იხელთეს და ერისთავი გაათავეს. თეიმურაზი დუშეთს წავიდა, „წარმოიყვანა ასული თვისი და მისცა ცოლად იმერთა მეფის ძეს ალექსანდრეს მზითვითა დიდითა"[3].

ამრიგად, ზურაბ ერისთავი სარგებლობს რა ქვეყნის რთული მდგომარეობით, მოხერხებულად იყენებს ფეოდალური ჯგუფების ურთიერთ ბრძოლას, აფართოებს საერისთავოს ტერიტორიას და ცდილობს ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში მას ეკუთვნოდეს გადამწყვეტი ადგილი. ყოველივე ამის გამო მეზობელ ფეოდალებში. უპირველეს ყოვლისა კი თეიმურაზის თვალში, ზურაბ ერისთავი საშიშ პიროვნებად იხატება; მას თეიმურაზის დავალებით ღალატით. მოჰკლავენ.

ზურაბის შემდეგ არაგვის ერისთავად ჩანს ზურაბის ძმა დათუნა (1630—1635). დათუნა, უნდა ვიფიქროთ, თეიმურაზის დასმული იყო ერისთავად. თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო იგი პირველ ხანებში თეიმურაზთან, არ ჩანს; 1632 წლის შემდეგ კი, როცა ქართლის მეფედ როსტომი დაჯდა, დათუნა „იყო მშფოთებელი ქვეყნისა"[4]. იგი „არა უდებდა თავს როსტომ მეფესა და ესაქმებოდა ბატონს თეიმურაზს და როსტომ მეფესაც ემსახურებოდა"[5].

ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ დათუნა დაარწმუნეს, — რადგან შენმა ძმამ ზურაბმა სიმონი მოკლა, შენ „მეფე

---

[1] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქ. ც., გვ. 166.

[2] ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ჯ ა ნ ა შ ი ა, საქ. ისტორია, 1940 წ., გვ. 331.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 45.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 47.

[5] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქ. ც., გვ. 172.

ცოცხალს არ გაგიშვებსო და შეაშინეს"[1]. ერისთავი საერისთავოში გამაგრდა და თეიმურაზს ქართლი შეაძლია, ქართლში გასაბატონებლად დახმარება აღუთქვა. მაგრამ „ვითაც ამისი ძმა ზურაბ ერისთავი ბატონს თეიმურაზს მოეკლა, ამისთვის მოტყუება ეგონა და აღარ ენდო"[2]. დათუნამ თეიმურაზი როსტომს ვერ დაუპირისპირა, ხოლო როსტომი გადაიმტერა.

როსტომმა გამდგარი ერისთავის წინააღმდეგ ზომები მიიღო — ჯარით მუხრანს მივიდა, აქედან კაცები გაუგზავნა ერისთავს და შერიგება სთხოვა[3].

როსტომი უთვლიდა ერისთავს: „პირობა მომეცი, რომ ყეენთან წახვიდე, მოგიმართავ ჯელსა და გაგზავნი, თუ არა და, შემოგიკდები და შენს ქუეყანას ავაოჯრებო"[4].

ეგნატაშვილის მტკიცებით „არა ძალ ედვა წინააღმდგომა მეფის როსტომისა და წარმოვიდა მეფესთანა და მოვიდა"[5].

ასეთსავე ცნობას გვაწვდის გორგიჯანიძეც, „დიდის ლაშქრით მეფე მუჯრანში მივიდა და დათუნა ერისთავს დაუწყო მოციქულობა და ფიცით მოინდო და უვნებლობა ეუბრძანა"[6].

მუხრანს მოსული ერისთავი როსტომმა მოაკვლევინა. ეგნატაშვილი მკვლელობის მიზეზს არ ასახელებს. იგი აღნიშნავს მხოლოდ, რომ „უღალატა მეფემ როსტომ და მოსჭრა თავი და გაუგზავნა ყეენსა"[7].

გორგიჯანიძეც ამბობს, რომ როსტომ მეფემ დათუნა ერისთავი მუხრანში მოჰკლა. იგი მკვლელობის მიზეზსაც ასახელებს: დათუნა ერისთავი „რა მოვიდა და მეფე ნახა, დიდი პატივი დასდვა, მაგრა მეჯლისშიგ მჯდომი ჯმალს არ შემოიხსნიდა. თავად არც მეფე ენდობოდა. მერმე ბატონს თეიმურაზთანაც რომ კაცი გაეგზავნა, დაბრუნებაში ის კაცი დაეჭირათ და ბატონის თეიმურაზის მონაწერი წიგნები ჯელში ჩაუვარდა და ეს დავით ერისთავმან შეიტყო და გაპარვა მოინდომა. ესეც მეფეს მოახსენეს და აღარ დააცალეს და იარაღისა და ჯმლის შემოხსნას შეეპატიჯნეს. იმან შორს დაიჭირა, არ შემოიხსნა. ძალით წართმევა შეკადრეს. უწყი-

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია, გვ. 242.

[2] იქვე.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 47., ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქ. ც., გვ. 172, გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 242.

[4] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქ. ც., გვ. 172.

[5] იქვე.

[6] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია, გვ. 242.

[7] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქ. ც., გვ. 173.

ნა და ხანჯალს ქელი წაიკრა. ზოგი მოკლა, ზოგი დაჰკოდა. ეს მეფეს მოახსენეს. მეფემ უბრძანა — დაუშინეთო. დაუშინეს და დავით ერისთავი მუხრანში მოკლეს"[1].

ამრიგად, როგორც ეგნატაშვილი, ისე გორგიჯანიძე ამტკიცებენ, რომ როსტომ მეფემ დათუნა ერისთავი მოტყუებით მუხრანს ძიინდო, უღალატა, და მოჰკლა. ვახუშტი მართალია ამბობს, რომ როსტომი ჯარით მოვიდა მუხრანსო, მაგრამ იგი ამტკიცებს, რომ დათუნა მუხრანს კი არ მოიწვია და მოკლა, არამედ როსტომის კაცებმა დათუნა დუშეთში მოკლესო, „არა მორჩილებდა ერისთავი არაგვისა დათუნა, ძმა ზურაბისა, შემოიკრიბნა სპანი როსტომ და მივიდა მუხრანს. მიუთხრა დათუნას ანუ წარვიდეს წინაშე ყეენისა ანუ მოვიდეს მისთანა, ხოლო დათუნას ძნიად აღუჩნდა ესენი. კვალად წარავლინა გაბაშვილი და თურქისტანისშვილი და ამცნო მათ, რათა მოჰკლან თავის წინაობის განზრახვასა შინა დათუნა და მოართვან თავი მისი. მაშინ მისრულთა მათ უყვეს ბრძანებული დუშეთს და მოართვეს თავი მისი და როსტომ წარუგზავნა ყეენსა"[2]. ვახუშტი ამ ამბავს 1635 წლით ათარიღებს[3].

ჩვენი აზრით, ეგნატაშვილი და გორგიჯანიძე უფრო მართლები არიან, მით უფრო, რომ გორგიჯანიძე ამ ამბის თანამედროვე იყო და მას უფრო ეცოდინებოდა მომხდარი ამბის ნამდვილი ვითარება და მკვლელობის ადგილიც. ესეც რომ არ იყოს, გორგიჯანიძეს ისე დეტალურად აქვს მომხდარი ფაქტი აღწერილი, რომ ბუნებრივად იბადება კითხვა, თვითონ ხომ არ ესწრებოდა მკვლელობას?

დათუნას სიკვდილის შემდეგ არაგვის საერისთავოს სათავეში უდგება დათუნას ძმა ზაალი. იგი ამაგრებს არაგვის საერისთავოში არსებულ ციხე-სიმაგრეებს და უმართავს ბრძოლას საერისთავოში შესულ როსტომს. თუმცა როსტომის ჯარებმა „დუშეთი, ბაზალეთი, საშაბურო, არაგვისპირი და გარეშე ამათი დასწვეს, დაარბიეს"[4], მაგრამ ერისთავების საბოლოო დამარცხება როსტომმა ვერ შეძლო. არაგველები ნიადაგ თავს ესხმოდნენ მეფის რაზმებს. „მეფე რვას დღეს დუშეთს იდგა. საღამოთ გათენებამდისინ ყოველგნით მოკდომა და ბრძოლა იყო. რა გათენდის, კაცს ვეღარსად იპოებდიან. მოხდომში რა ჯარი მიკრფის, ვითაც ეშმაკ-

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, ქ. ც., გვ. 242.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 47.
[3] იქვე.
[4] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 243.

ნი დაიკარგვიდეს და საერისთავოს უფროსი კაცნი შეკრიფეს და ზაალ გაერისთვეს"[1].

ზაალ ერისთავმა თეიმურაზს სთხოვა დახმარება. „გაუგზავნა ზაალ კაცი ბატონს თეიმურაზს და შეუთვალა ფიცი საშინელი და გაუგზავნა მძეუალი და საფიცარი: „მოდი და გაგაბატონებო"[2]. თეიმურაზი იმერეთში იმყოფებოდა. მას არ შეეძლო ქართლის გზით არაგვზე მისვლა, ამიტომ „წარვიდა იმერეთიდამე დვალეთზედ, გარდმოიარა და მოვიდა ანანურს და მუნ დადგა"[3]. ამის შემდეგ არაგველები კიდევ უფრო გამხნევდნენ, როსტომზე თავდასხმები გაამრავლეს. ჩანს როსტომმა თავისიანებს რჩევა თხოვა. „როსტომს ურჩიეს გაცლა, მან დაუჯერა და ტინთის გზით უკან დაბრუნდა"[4]. უკან დაბრუნებულ როსტომის ჯარის ნაწილები „რა ბაზალეთს გამოსცილდენ, რა ტყეში შემოვიდნეს, უფროსი ერთის თავადების ბარგი ურმით ჰქონებიათ და საერისთოს ქვეითნი ტყეში დამალულნი ყოფილან. გამოსცვინულან, ურმები ჩაუჩეხეს და გზა შეეკრათ და ალაგ-ალაგ ტყით ჭელთოფი დაუშინეს და მანამდისინ გზას გახსნიდენ, მრავალი ნავნები ქნეს და ურმები გზიდამ გარდაყარეს"[5].

ზაალ არაგვის ერისთავისა და ქსნის ერისთვიანთ დახმარებით თეიმურაზი კახეთში კვლავ გამეფდა. მალე როსტომს გადაუდგნენ: ოთარ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, გიორგი გოჩაშვილი, კათალიკოზი ევდემოს დიასამიძე. ამათ „მოუწოდეს თეიმურაზს გამეფებად ქართლს"[6].

ქართლის თავადებისა და თეიმურაზის ჯგუფი როსტომის წინააღმდეგ სუსტი აღმოჩნდა. 1648 წლის ომში როსტომმა დაამარცხა თეიმურაზი და საბოლოოდ გატეხა მისი წინააღმდეგობა. ამიერიდან ქართლის თავადებს ნაკლებად ჰქონდათ თეიმურაზის იმედი, მათ თანდათან როსტომთან შერიგება იწყეს. „დაუწყეს როსტომ მეფეს ლაპარაკი და ხვეწნა: „შეგვირიგე და გვიმსახურეო"[7].

როსტომ მეფემ შერიგების პირობად, მათი ყაენთან წასვლა მოითხოვა. როსტომი თავადს სათავადოს ვერ დაუმტკიცებდა, მას

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 243.
[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქ. ც., გვ. 173.
[3] იქვე, გვ. 173.
[4] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 243.
[5] იქვე.
[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 48.
[7] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქ. ც., გვ. 180.

ამის უფლება არ ჰქონდა, ეს უფლება შაჰის ხელისა იყო. როსტომი შაჰის ერთ-ერთ მოხელედ ითვლებოდა მხოლოდ. ეგნატაშვილის თქმით: „ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყეენისაგან... და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყეენისაგან განმდიდრდებოდენ და რაყიმით იშოვნიდნენ მამულებსა“[1].

ზაალ ერისთავმა სხვა გზა ვერ გამონახა და როსტომს მიენდო. როსტომმა ზაალი „გაგზავნა ყეენთანა და მისწერა ყეენთან კაი წიგნები“[2]. ზაალ ერისთავი სპარსეთის სამეფო კარზე კარგად მიიღეს, თავკაცები საზეიმოდ შეხვდნენ.

ზაალ ერისთავი სპარსეთში გაათათრეს. სამასი თუმანი წლიური ჯამაგირი გაუჩინეს, არაგვის ერისთავობა დაუმტკიცეს და როსტომის მოთხოვნით ქართლში გამოისტუმრეს[3].

ამიერიდან ზაალ ერისთავი როსტომ მეფის „ერთგულებასა ზედა ბდგომი“ ჩანს.

1658 წელს ქართლის მეფედ ვახტანგ მუხრანბატონი გახდა. ზაალს სრულიადაც არ მოსწონდა ვახტანგის გამეფება — იგი უკუნ იქცა დუშეთს და არღარა ინება მონობა ვახტანგისა“[4]. ზაალმა აგრეთვე „უარ-ჰყო მზახლობაცა მისი, რამეთუ ასული ვახტანგისი მოეთხოვა ზაალს ძისა თჳსისათჳს“[5]. ამავე დროს ზაალმა აღარც შაჰის მორჩილება ინება. მუხრანბატონსა და არაგვის ერისთავს შორის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ როსტომის მეფობის უკანასკნელ პერიოდში დაიწყო. ზაალი ხედავდა, რომ როსტომის დღე დათვლილი იყო. მას შვილი არ ჰყავდა. ამიტომ ზაალი წინასწარ გეგმებს თხზავდა და თავის ყმა-მამულის გაზრდა-გაფართოებაზე ოცნებობდა. გორგიჯანიძის მტკიცებით ზაალ ერისთავმა და ქსნის ერისთავმა როცა „მეფე სიბერისაგან ავად იყო და ლოგინათ იწვა“, „ჯამალხანის პირით ასრე შესთვალეს მეფეს: რა თქვენ ბძანდებითო, შენის მეტი პატრონი არ გვინდაო და თქვენს უკან სხვას საქართველოს ბატონს ჩვენ ყმობას არ უზამთო, ჩვენი ბატონი ყაენი არისო“[6].

ვახტანგ მუხრანბატონმა კაცები მიუგზავნა ზაალ ერისთავსა და განდგომის მიზეზი ჰკითხა. გამოირკვა, რომ ზაალ ერისთავს

---

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქ. ც., გვ. 181.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 181, ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 49.
[4] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 50.
[5] იქვე, გვ. 50.
[6] გორგიჯანიძე, ისტორია. გვ. 268.

თუ ქართლ-კახეთისა არა, კახეთის ბატონობა მაინც თავისთვის უნდოდა.

ფარსადან გორგიჯანიძის მტკიცებით ზაალმა მეორედ ინახულა შაჰი. მეორედ ნახვის დროსაც შაჰმა დიდი პატივი დასდო „ხუთასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა და კახეთის ნაპირის ალაგიც ერისთავს უბოძა“[1]. კახეთის დანარჩენი ნაწილი 1656 წლიდან განჯის ხანს სელიმს გადაეცა. სელიმ-ხანს მტკიცე დავალება მიეცა: კახეთში თურქმან მომთაბარენი უნდა ჩაესახლებინა. სელიმ-ხანი დავალების შესრულებას ენერგიულად შეუდგა. სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ადერბაიჯანიდან მან თურქმანთა დიდი ურდოები ჩამოასახლა კახეთში. თურქმანებმა დაიჭირეს ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები. კარზე მომდგარ საფრთხეს საყოველთაო აჯანყება მოჰყვა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლაყაშვილი. ზაალ ერისთავმა ახლაც, იმერეთში გადახვეწილ თეიმურაზს საფიცრის წიგნები გაუგზავნა „ქართლსა და კახეთს თქვენის მეტი მემკვიდრე პატრონი არსად დარჩომილაო. მანდ ნუ დგაჯარ, კახეთს ჩაბძანდითო, ქართლიც თქვენი იქნებაო“[2]. გორგიჯანიძის გადმოცემით, თეიმურაზი სიხარულით შეხვდა ზაალ არაგვის ერისთავის მოწოდებას და ემზადებოდა კახეთში წამოსასვლელად. ამ დროს ამოქმედდნენ შაჰ-ნავაზის მომხრეები და ზაალის მტრები. თეიმურაზს შთააგონეს: „რათ გინდათ ამისთანა სიცოცხლეო, რომ ზაალ ერისთავსაო, თუნდა გაგაგდებსო, უნდა გაგაბატონებსო“[3].

თეიმურაზი, ამ ჯერად კახეთს ვერ მოვიდა. ზაალ ერისთავი, როგორც აღნიშნული იყო, ვახტანგს თავს არ უდებდა. კახეთში განკარგულებებს სცემდა, საერისთავო გამაგრებული ჰქონდა. კახეთში სპარსთა ძალმომრეობის შესახებ, რამაც, როგორც აღნიშნული იყო, საყოველთაო აჯანყება გამოიწვია, საინტერესო ცნობას გვაწვდის ეგნატაშვილი ბერი. ზაალ ერისთავთან, დუშეთში, გამოცხადდა ხუცესი და შესჩივლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელიო, გააოკრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზე შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშვერი“[4].

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 270.

[2] იქვე, გვ. 271.

[3] იქვე.

[4] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქ. ც., გვ. 204.

ხუცესმა დაწვრილებით უამბო კახეთში შექმნილი ვითარება და ერისთავს, როგორც კახეთის გამგეს, მოაგონა ვალდებულება. „ხოლო რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა. და იყო მას ჟამად ზაალ ერისთავი ყეენის მომდურავი. მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელისბარ და კახი სუფრაჯი ბიძინა ჩოლაყაშვილი. და შემოიფიცეს მთისკაცნი თუშნი, რამეთუ შალვა ქსნის ერისთავი სიძე იყო მისი. ამათ გაატანა თანა ზურაბ, ძე თვისი, და წარვიდენ ღამესა ერთსა, დაესხნენ თავსა სულტანსა ბახტრიანს და ამოსწყუიტეს, და მოსრეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყუნენ, მიჰყუნენ იქიდამე ჯოცითა, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყუნენ, თათარნი და ელნი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვილისათა. და ამოსწყუიტეს დედაწულითურთ და აკუანში რომელნიც ყმანი იწუნენ იგინიცა დაჟოცნეს. სადაცა კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყუიტეს და არასადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს“[1].

ამ აჯანყებას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია 1659 წლის კახეთის აჯანყების სახელდებით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „ხალხის ამ საშინელმა რისხვამ ძლიერად იმოქმედა აგრესორებზედ. ერანში დაინახეს, რომ შაჰაბასისეული კახური გეგმის განხორციელება მათ არ შეუძლიანთ“[2].

ზაალ ერისთავის სახელთან ბევრი შავი საქმეა დაკავშირებული. მაგრამ მის მიერ კახეთის გაწმენდა თურქმანებისაგან ღირსახსოვარი ფურცელია საქართველოს მატიანეში.

ზაალ ერისთავი სპარსეთისათვის საშიში პიროვნება გახდა. არა ნაკლებ საშიში იყო სპარსთა მოხელე შაჰ-ნავაზისათვის. შაჰ-ნავაზი ზაალის შიშით იმერეთში თავისუფლად ვერ საქმობდა, რადგან იცოდა, რომ ზურგი მტკიცე არ ჰქონდა.

კახეთის აჯანყების დროს, როცა დაინახა, რომ თეიმურაზი აღარ მოდიოდა, ზაალმა თუშეთში მყოფი ერეკლე მოიწვია და კახეთი შესთავაზა. ასე რომ, ზაალი არ ცხრებოდა, არც შაჰს უდებდა თავსა და არც შაჰნავაზს. ზაალის შემორიგებაზე ახლა უკვე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დაადასტურეს ზაალის დაღუპვის აუცილებლობა.

---

[1] ეგნატაშვილი ბერი, იქვე, გვ. 204—205.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია, დასახ. შრომა, გვ. 335—336.

არაგვის ერისთავების მკვლელების შოვნა ადვილი იყო. მკვლელები თვით არაგვის საერისთავოში ისხდნენ. ზაალის ძმათა შვილებს არ მოსწონდათ ბიძის ნიადაგ შფოთი და ბრძოლები. ამავე დროს ისინი ერისთავობაში ეცილებოდნენ ზაალს. და აი ახლა, როცა ზაალ ერისთავის დაღუპვა გადასწყდა, შაჰ-ნავაზმა ეს საქმე ერისთავის შვილებს მიანდო. ზაალ ერისთავის ძმას გიორგის შაჰ-ნავაზის და ჰყავდა ცოლად. გიორგის ხუთი ვაჟი ყავდა: ოთარი, ედიშერი, იასონი, პაპუნა და დათუნა. გიორგი ცნობილი იყო, როგორც ზურაბ ერისთავის ნიადაგ მოწინააღმდეგე. „ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და უარშიო და არა მორჩილებდა ძმასა თჳსსა. ხოლო შეიპყრნა ზურაბ ერისთავმა და ბატონმა თეიმურაზ და დაკლებულყო ორთავე თვალთაგან“[1]. გიორგის შვილებმა იციან, რომ ზაალი ორგულია შაჰ-ნავაზისა. ამიტომ მივლენ მასთან და ეტყვიან: „ვინათგან ბიძა ჩვენი ესრეთ თქუენი ორგული და ურჩი არის და ჩვენთჳსაც მრავალის ავის მქმნელი არის, დაგვჩაგრა და ჩვენის სამკვიდროს მამულის პური არ გვაჭამაო, გვიბოძე დასტური, წავალთ და მოვკლავთო“[2]. ერისთავისშვილებმა დასტური მიიღეს, მივიდნენ დუშეთს, დაიწყეს მარჯვე დროს გამონახვა „დღესა ერთსა იყო ზაალ ერისთავი დუშეთს, სუბათ ფანჩატურში იჯდა, არავინ ახლდა. მოიპოვეს დრო და მივიდნენ. ერისთავი ნარდს შეექცეოდა. მაშინ უღალატეს ოთარმან და ძმებმან მისმან და მოკლეს ზაალ ერისთავი, ხოლო ძენი მისნი ივლტოდენ და წარვიდენ სამცხეს. ხოლო მეფემან შანავაზ გაუყენა უკანა კაცები, მოეწივნეს ტბის ყურზედა, კაცები დაუჭოცეს და ორნი ძმანი ზურაბ და ნაბერალი, შეიპყრეს და მოჰგვარეს მეფესა, და მან გაუგზავნა ყეენსა“[3]. ზაალის ნაშიერნი არაგვის საერისთავოდან გადაშენდნენ, ზურაბი ისპაჰანს გარდაიცვალა, ნაბერალი გათათრდა და შაჰის კარზე იწყო სამსახური[4]. შაჰ-ნავაზმა არაგვის ერისთავობა ოთარს მისცა და არც მისი ძმები დატოვა უპატიოდ: ედიშერს მსახურთხუცობა უბოძა, ხოლო იასონს — დედოფლის სალთხუცობა[5].

ვახუშტი ზაალ ერისთავის მკვლელობის თარიღად 1660 წლის 9 მაისს, კვირა დღეს ასახელებს[6]. შაჰ-ნავაზის მიერ ბოძებული

---

[1] ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქ. ც., გვ. 203.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 205—206.
[4] იქვე, გვ. 206.
[5] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 51.
[6] იქვე.

საერისთავო, ჩანს ოთარს ყაენმაც დაუმტკიცა[1]. უამისოდ არც ძალა ექნებოდა. არ გასულა დიდი დრო, რომ ოთარ არაგვის ერისთავმა ვახტანგის წინააღმდეგ იწყო მოქმედება. ოთარიც ზაალის მსგავსად, ერეკლეს მხარეზე იყო.

ოთარის განდგომის მიზეზი არ ვიცით, მაგრამ ვახუშტისა და გორგიჯანიძის თხრობიდან ჩანს, რომ მიზეზი აქაც ყმა-მამულისათვის (კახეთისათვის) ბრძოლა ყოფილა.

1663 წლიდან, როგორც ცნობილია, კახეთში არჩილი გამეფდა. გორგიჯანიძის ცნობით, არჩილმა თავის მამას — ქართლის მეფეს შაჰნავაზს. შემოუთვალა: „ერისთავი თქვენი ყმა არისო და თუ მათთვის მისაცემი გინდაო, ქართლიდამენ უბოძეთო“[2]. შემდეგ, გორგიჯანიძე გვარწმუნებს, რომ თითქოს ვახტანგს არ უნდოდა ერისთავებისათვის კახეთში ყმა-მამულის წართმევა, რის გამო შვილს დაემდურა კიდეც, მაგრამ შვილთან წაჩხუბებას მოერიდა და ერისთავებს შეუთვალა „რაც საკახეთო მამული და ალაგი გეპიროსო დაგვიდევითო“[3].

ერისთავები მოაგონებდნენ შაჰ-ნავაზს, რომ მათ შაჰ-ნავაზის გულისათვის „საჭელოანი და შვიდსა სამეფოში უამხანაგოთ ქებული და სწორუპოარი ბიძა“ მოკლეს, რომ, სადაც მეფის მტერი გაჩნდა დაამარცხეს და ამის გამოო, ერისთავისშვილები სწერდნენ — „ჩვენ სხვას მრავალს წყალობას მოველითო“ და ესეც რომ არ იყოს მართალია მეფე ხარ, მაგრამ სამეფო უფლება კი არ გაქვს, კახეთში მამულები „ყაენისაგან გვაქვს მოცემული და ვერც ვინ უყაენოთ წაგვართვამსო“[4]. გორგიჯანიძე გვიმტკიცებს, რომ მამა-შვილი თათბირის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერისთავებთან ლაპარაკით ვერაფერს გახდებოდნენ, რომ „ამათ ამოუწყვეტლათ ეს მამული არ წაერთმევისო, მაშინ ესრეთ ამოვსწყვიტოთო და ქართლი და კახეთი მოისვენებსო“[5].

გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ თითქოს ეს ამბავი ერისთავებმა გაიგეს და ყაენს სთხოვეს ერანში ჩასვლის ნებართვა.

ვახუშტი ერისთავების განდგომის მიზეზს სხვას ასახელებს. მისი აზრით, ოთარმა ერეკლეს კახეთში გაბატონება შესთავაზა და

---

[1] გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 274.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 66.
[4] იქვე, გვ. 274.
[5] იქვე.

სამსახური აღუთქვა: „სცნა არჩილ, რამეთუ ოთარი არაგვის ერისთავი და ძმანი მისნი ეზრახვიან გამეფებად ერეკლეს. ამისთჳს წარუხუნა მათ ერწო თიანეთი“[1]. ერისთავმა შეჰფიცა ვახტანგსა და არჩილს ერთგულება და ერწო-თიანეთი კვლავ ერისთავს დაუბრუნესო, განაგრძობს ვახუშტი.

მანამ, სანამ ოთარი სპარსეთიდან დაბრუნდებოდა, ქართლ-კახეთის მეფეები საერისთავოსთან ანგარიშის გასწორებას შეეცადნენ. „შემოიკრიბა მეფემან სპანი და შეუხდა დუშეთს, ხოლო არჩილ კახთა სპითა მოვიდა თიანეთიდამ, არამედ დაუდგნენ სიმაგრეთა შინა ედიშერ და ძმანი მისნი. ბრძოლასა შინა მოსტეხეს ბაყვი პაპუას ძმასა ოთარისასა და პყრობილი მოართვეს მეფესა და სხვანი ივლტოდნენ. ხოლო მეფე შევიდა და დადგა დუშეთს. გარნა არღარა ინება მეფემან სრულიად მოსპოლვა მათი, ვინადგან იყუნენ დისწულნი და ევედრნენ იგინი ჯრმალ-კისერს კიდულნი. ამისთჳს შეუნდო მეფემან და მისცნა მათნი ყოველნი, უკუმოიქცა და მოვიდა ტფილისს. შემდგომად მოვიდა ოთარი რომლისათვის მიეცა ყეენსა ერისთობა, დაუმტკიცა მეფემანცა და მიერით ერთგულებდნენ ფრად“[2].

ვახტანგისა და არჩილისაგან არაგვის საერისთავოს დაპერა შაჰმა გაიგო მაშინ, როცა ოთარი უკვე მასთან იყო. ეს ამბავი ყაენს ეწყინა, მაგრამ „მანსურ-ხან ყულარაღასი ბარათაშვილი ყაენის კარგი ყმა იყო და ქართველს მეფეს უდგა და ერისთვიანთი ავი იყო. ამან ყაენს ასრე მოახსენა: მისას დღეშიო საქართველო იმადგან აშლილი და აოჯრებული არისო და იმათი დაჩაგვრა ჭემწიფის დოვლათს უჯობსო. თუ არა და ამათ სადავეს დაანებებთო, დღეში ერთხელ ქართლსა და კახეთს ბატონი უნდა გამოუცვალოთო. ამ სიტყვებით ყაენი დაამშვიდა, ოთარ ერისთავს აღარა გაუგონესრა, ხალათი უბოძეს და იეგან სულთან ერისთავს თან გაატანეს და მეფეს წიგნი მისწერეს: რაც ამათი წაგერთვას, ისრევე ამას მიეციოთო“[3].

ვახუშტის თქმით, ქართლში მოსულ ოთარს თითქოს დაუბრუნეს ერისთავობა[4]. გორგიჯანიძე კი ამბობს, რომ „აღარ მისცეს და ეგან სულთანი მომდურავი გაისტუმრესო“[5].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 53.
[2] იქვე, გვ. 53—54.
[3] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 274.
[4] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქ. ცხოვრება, გვ. 54.
[5] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 274.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული მასალა, სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ოთარიც, მსგავსად მისი წინაპრებისა, ბუდამ ეწინააღმდეგებოდა ქართლ-კახეთის მეფეებს, ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა მოწინააღმდეგე ძალები, რათა ამით კიდევ უფრო აღზევდეს, ყმა-მამული გაადიდოს და პოლიტიკური უფლებები გაიფართოვოს. როდის გარდაიცვალა ოთარი, ამის შესახებ ვახუშტი და გორგიჯანიძე სდუმან. გორგიჯანიძე ამბობს, რომ ოთარის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ „ერთმან წელიწადმან შვაზედ გამოიარა, ოთარ ერისთავი და მისი ძმა ედიშერ დივანბეგი დაიხოცნენ და მოწამლა ითქვა მათი“[1].

ვახუშტის ცნობითაც „შემდგომათ მცირედისა მოკვდა ოთარი და ედიშერ“[2]. პლატონ იოსელიანის აზრით, ოთარი 1666 წ. გარდაიცვალა[3]. ხოლო თედო ჟორდანიას აზრით — 1670 წელს[4].

ოთარის სიკვდილის შემდეგ არაგვის საერისთავო ოთარის ბიძას, რევაზს დაუმტკიცეს[5].

ჩანს ვერც რევაზმა გამონახა ვახტანგთან საერთო ენა; უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზი კვლავ კახეთი იყო. არჩილმა კახეთი მიატოვა. ასე რომ, „კახეთი უპატრონოთ იდვა და ერისთავმა მისი ნაქონი სოფლები ისრევე დაიჭირა“[6]. მართალია ისტორიკოსი არ ასახელებს, თუ რომელმა ერისთავმა დაიჭირა კახეთის სოფლები, მაგრამ ამის დადგენა აღვილად ხერხდება. ვახტანგი და არჩილი ქართლ-კახეთში 1675 წლამდე მეფობდნენ. გასაგებია, რომ 1675 წლის შემდეგ ხანებში უნდა დარჩენილიყო კახეთი „უპატრონოდ“. ამ დროს კი არაგვის ერისთავად რევაზი იყო. არც რევაზის გარდაცვალების თარიღი აქვთ მოცემული ისტორიკოსებს. პლატონ იოსელიანი რევაზის გარდაცვალებას 1687 წლით ათარიღებს[7], ხოლო თედო ჟორდანია 1679 წლით[8]. რა მასალაზე ამყარებენ ესენი თავიანთ დასკვნას, არ ჩანს.

რევაზის შემდეგ არაგვის ერისთავად იასონი, ოთარ ერისთავის ძმა ჩანს. გორგიჯანიძის ცნობით იასონი, განჯის ხანის შუამდგომლობით ქართლის მეფის — გიორგის დაუკითხავად, შაჰმა

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 274.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 54.
[3] ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, Описание города Душета, გვ. 39.
[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 533.
[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 54, გორგიჯანიძე. ისტორია, გვ. 66.
[6] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 274.
[7] ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, იქვე, გვ. 40.
[8] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, იქვე, გვ. 533.

დასვა ერისთავად. ეს მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა გიორგი ქართლის მეფე აჯანყებული იყო სპარსეთის წინააღმდეგ, ე. ი. 1688 წლის ახლო ხანებში. ამდენად შეიძლება პლ. იოსელიანის აზრი, რევაზ ერისთავის გარდაცვალების შესახებ უფრო მართებული იყოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი მეფეს შაჰი დაუპირისპირებდა არაგვის ერისთავისშვილებს, მით უმეტეს, რომ იასონ ერისთავისშვილმა შაჰს მისწერა: „ერისთაობა მიბოძოსო, გურგენ მეფეს წაგახდენინებო“[1].

გიორგი მეფემ უკუმდგარი იასონ ერისთავი 1688 წელს დაღუპა. არაგვის ერისთავად გიორგი ოთარის ძე გახდა, გიორგი მეფე „ეზრახა გიორგი ერისთავსა, რათა მოერთვას, ხოლო მან არა ინება“[2].

1688 წელს გიორგიმ გადასწყვიტა საერისთავოში შესვლა, რათა „ანუ დაიპყრას და დაიმორჩილოს იგინი, ანუ იქმნას რაჲ იგი ნებავსთ. შეკრებული სპითა მივიდა და დასდგა საბურდიანოს და მუნიდამ ეზრახა კვალად დამორჩილებასა გიორგისა. გარნა არა ინება მორჩილება. მაშინ შეუხდა გზასა ტინისასა მეფე და მათ მოემწოთ კახნი, მოყვარენი მათნი და შეჰკრეს სიმაგრენი და იწყეს სროლა თოფთა დილით შუადღემდე. არამედ შეუშვნეს სხვანი დროშანი და უმეტეს უწყეს მეფისა დროშასა სროლა, მოკლეს თბილელი იოსებ და ქაიხოსრო ციციშვილი და სხვანი მრავალნი. არამედ სძლეს მეფისათა და მოსწყვიტეს იგინი და ივლტოდნენ. შევიდა მეფე და დასდგა ბაზალეთს გამარჯვებული და მოსწვეს დუშეთი და გარემონი სპათა მეფისათა“[3].

მოტანილი ცნობა უაღრესად საყურადღებოა. ირკვევა, რომ გამდგარი ერისთავის დამორჩილება არც ისე ადვილია, რაც, რა თქმა უნდა, საერისთავოს სიდიდესა და ყმათა სიმრავლეზე მიგვითითებს. ეგების ამით აიხსნება, რომ მიუხედავად ერისთავთა მტრობა-წინააღმდეგობისა, ქართლის მეფეები მზად იყვნენ ერისთავებს დამოყვრებოდნენ, სამეფო კარზე დიდი თანამდებობები მიეცათ.

1688 წელს ქართლში ერეკლე პირველი — ნაზარალი-ხანი გამეფდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ერეკლე დაუკავშირდებოდა გიორგის მოწინააღმდეგე თავადებს. ცნობილია, რომ მან გადააყენა

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია, გვ. 278.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 58.
[3] იქვე, გვ. 59.

გიორგის მომხრეთა მოხელეები, სამეფო კარის სამოხელეო ინსტიტუტები ახლებით შეავსო. ერისთავთა სახლიდან ბარძიმს გიორგი ერისთავის ძმას, მსაჯულთუხუცესობა მისცა[1].

ერეკლე ჯერ კიდევ თუშეთში იდგა, როცა ერისთავები კახეთს სთავაზობდნენ, მაგრამ, როდესაც ნაზარალ-ხანი მეფედ გახდა, გამოირკვა, რომ მისი პოლიტიკა როდი შეეფერებოდა ერისთავების პოლიტიკას, პირიქით, შეუთავსებელიც იყო. ამიტომ ერისთავებმა ადვილად იცვალეს პირი და 1691 წელს, გიორგი მეფის გამოჩენისთანავე მათ მამულში „გიორგი და ბარძიმ მოეგებნენ ორნივე წინ სიხარულითა, თაყვანისმცემელნი და ითხოვეს შენდობა, მერმე უძღვნეს დანაშთუნებულნი ტინისანი და თვისნიცა მრავალნი"[2]. ვახუშტის ამ ცნობას სეხნიაც იმეორებს[3].

ამ ხანებში გიორგისა და ერეკლეს შორის ჯგუფდებოდნენ ქართლის თავადები, ერთნი ერთს უჭერდნენ მხარს, მეორენი — მეორეს.

ბარძიმ ერისთავისშვილი, თუმცა მსაჯულთუხუცესია ნაზარალ-ხანისა, მაგრამ იგი მაინც გიორგი მეფის ზურგის შემწეთ ჩანს 1691 წლიდან. ბარძიმს, როგორც პიროვნებას ასე ახასიათებდა ვახუშტი: „ხოლო ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი და არა რაიდ ვინმე ჩნდა და უმეტეს კახნი"[4]. გიორგი ერისთავიც, ვახუშტისავე თქმით თურმე იყო „შეუმართებელი და ბემოთ მოყვარე"[5].

ნაზარალ-ხანმა დაინახა, რომ ერისთავები გადაუდგნენ მას. მათ წინააღმდეგ მახვილი აღმართა, იწყო საერისთავოს სანახების მიმძლავრება, „დაიპყრა თიანეთი, არაგვის აღმოსავლეთი სრულიად"[6].

გიორგი მეფემ თეიმურაზ იასონის ძე ერისთავისშვილს დაავალა ნაზარალ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლა, თეიმურაზმა დაამარცხა ნაზარალ-ხანი, გამოდევნა საერისთავოდან „წარუხვნეს არაგვის კიდენი და დაიპყრეს თვით"[7].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 62.

[2] იქვე.

[3] სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება II, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 311.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 63.

[5] იქვე.

[6] იქვე, გვ. 63—64.

[7] იქვე, გვ. 64.

ქართლის მეფეების წინააღმდეგ ერისთავების განუწყვეტელი ბრძოლა, საბოლოო ანგარიშში, გლეხობას ატყდებოდა თავს. საკმარისი იყო ერისთავების ყმებისათვის ოდნავი ბიძგი მიეცათ, რომ მათ იარაღისათვის მოეკიდათ ხელი. გიორგი ერისთავი დვალეთში შეიხიზნა, ნაზარალ-ხანი რომ საერისთავოში შევიდა, ერისთავის ყმებმა დაიჭირეს ერისთავი და „ხელხუნდდებული" ნაზარალ-ხანს მიჰგვარეს. ნაზარალ-ხანმა გიორგი ერისთავი ყაენს გაუგზავნა და არაგვის ერისთავად ბაინდური დასვა 1696 წელს[1].

მალე ქართლის მეფე გიორგი იძულებული გახდა ყაენის კარზე წასულიყო. ყაენმა შეირიგა იგი და უბოძა ქართლის მეფობა, მაგრამ იგი ერანში დატოვა და ქართლში ჯანიშინად ვახტანგი დაინიშნა. ვახტანგის დროს არაგვის ერისთავად კვლავ გიორგი ჩანს. რა პირობებში გაერისთავდა, ან ვისგან, პირდაპირი მითითება არ არსებობს, უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც გიორგი მეფე სპარსეთს ჩავიდა და ყაენს შეურიგდა, გიორგის შუამდგომლობით ყაენი გაათავისუფლებდა გიორგი ერისთავს და ყაენივე მისცემდა მას არაგვის ერისთავობას.

პლატონ იოსელიანს ჰგონია, რომ ბაინდური ერისთავად არის იასონის შემდეგ—ე. ი. 1687—1697 წლამდე, ხოლო 1696—1723 წლამდე კი გიორგი ერისთავობს[2]. პლატონ იოსელიანის მოსაზრება, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, მცდარია.

ვახტანგი შეუდგა რა სახელმწიფოებრივ საქმიანობას, მან სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება მიაქცია მთის საკითხს. ამ ხანებში ქვეყნის აშლილობით ესარგებლათ და ოსები გამდგარიყვნენ, მეფის სამსახურზე უარი ეთქვათ. ვახტანგმა ოსები დაიმორჩილა და საიმედო მოხელეები დაუყენა. ამავე დროს მცველთა რაზმიც შექმნა. ამ წამოწყებამ ერისთავები დააფიქრა. მათ ვახტანგის სახით საშიში პიროვნება დაინახეს. ვახუშტი გადმოგვცემს: „რა ჟამს დაიპყრა ვახტანგ ოვსეთი და განიწყო მცველნი თვისნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისათჳს. ამისთჳს მიუწერეს ყეენსა: „არა გუნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე"[3].

როცა შაჰის წაქეზებით, თბილისი კონსტანტინე ქახთა ბატონ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 66—67.

[2] ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, Описание города Душета, გვ. 40.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 78.

ბა დაარბია, „გიორგი ერისთავი მივიდა შურითა მეფისათა“ კონსტანტინესთან[1]. გიორგი ერისთავი ბაქარ ვახტანგის ძის სიმამრი იყო; გაჭირვების ჟამს გიორგიმ უორგულა სიძეს, უღალატა მეფის კარს. ბაქარმა დრო იშოვა, „დაიჭირა მეფემ ბაქარ არაგვის ერისთავი გიორგი სიმამრი თავისი და მოაგონა მიდგომა კარსა მისა და მოუხმარებლობა და გააგდებინა თავი“[2].

გიორგი ერისთავი ბაქარმა 1723 წელს მოჰკლა და მანვე არაგვის ერისთავობა გიორგის ძეს ოთარს უბოძა.

ჯერ კიდევ 1723 წლის ოქტომბერს ოთარმა კავშირი გააბა თერგის გუბერნატორთან. საკუთარი ინიციატივით მთელი ქართლის თავადების სახელით 1723 წლის 14 ოქტომბერს თერგის გუბერნატორს წერილი მისწერა: „ქართლის თავადების თავი, არაგვის ერისთავი გიორგისშვილი ოთარ, მოგახსენებ, მშვიდობასა და თქვენის ძლიერების სიხარულსა“, აუწყებს რა ქვეყნის მდგომარეობას, ოთარი განაგრძობს: „თუ ქვეყნის შველა გინდათ, ნუღარ გვიანობთ, თუ გეპრიანებოდესთ, გზა ეს ჩვენი მამული არის, თერგიდამ მესამეს დღეს ჩვენს ალაგში მოვა... ჩერქეზს რომ გამოსცდების, ჭევის სამზღვარზედ წინ მოვეგებებით. რაც სიმაგრე არის საქრისტიანოში, ყველას ჭელთ დავაჭერინებთ ქვეყანასა და ციხესა. ასეთი ალაგები გვაქვს, მტრისაგან მიჟამში არ გატეხილა, აგების ქვეყანა არ გაურჯულოვდეს“[3].

ჩანს ერისთავს, თავისი ძმა, რომანოზი საგანგებო დავალებით თერგს გაუგზავნია, საერისთავოში ხმაც დარხეულა, რომ „რომანოზ ხუთასის რუსით ჭევზე მოვაო“[4].

ქართლის თავადებს ამ ხანებში დიდი იმედები ჰქონდათ რუსეთიდან დახმარებისა, პირადად ვახტანგ მეფესაც რუსეთში წასვლა მხოლოდ დახმარების მისაღებად ეხატებოდა.

ამასობაში ოსმალები უფრო მაგრად იკიდებდნენ ფეხს, გამცემელ-მოღალატეთა დასი ფეოდალთა წრეებში იზრდებოდა და ოსმალებიც ამათზე ამყარებდნენ იმედებს. ოსმალებმა ოთარ ერისთავს გაუგეს, რომ იგი რუსებს იწვევს დასახმარებლად და 1725 წელს „წაართვეს ოთარს ერისთობა და მისცეს თეიმურაზს ძესა იასონისასა“[5].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 85.
ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება მეფეთა, ქ. ც. II, გვ. 332.
[3] ბ რ ო ს ი, Переписка, გვ. 153—154.
[4] იქვე, გვ. 154.
[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 88.

ოთარს საქართველოში აღარ ეღგომებოდა და 1725 წლის იანვარში დარიალის გზით რუსეთს გაემგზავრა. 1725 წლის 7 იანვარს თერგზე გადასული ოთარი პეტრე ხელმწიფეს სწერდა: „ჩემი ძმა რომანოზ ჯელმწიფის სამსახურზედ არს, მეც აქ თერგზედ ხელმწიფის საფარველს შემოვეფარე"[1].

თერგიდან ოთარი ასტრახანს მივიდა და ვახტანგის ამალას შეუერთდა[2].

არც თეიმურაზი აბოგინეს ოსმალებმა. „თეიმურაზ არაგვის ერისთავიცა განაძეს ოსმალთა და დასვეს რევაზ"[3].

მფლობელობის ოსმალურ სისტემას ვერც რევაზი გამოადგა, „რევაზიც არა ერჩდათ ოსმალთა ამისათვს უბრძანა ისაყ-ფაშამ მაჰმად-ყულ-ხანს და წარმოავლინა ახალციხის სპანი. მოვიდნენ ესენი, განაძეს რ ე ვ ა ზ და დასვეს პ ა პ უ ნ ა ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე"[4]. რევაზი კახეთს გაიქცა და კონსტანტინეს შეაფარა თავი.

1731 წელს არაგვის ერისთავად უკვე ბარძიმი ზის.

ბარძიმი ვახტანგის ამალას გაჰყოლია რუსეთს და იქიდან 1729 თუ 1730 წელს დაბრუნებულა საქართველოში. ბარძიმის მიერ ვახტანგთან გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ იგი ვახტანგის მიერ უნდა იყოს აქ გამოგზავნილი საგანგებო დავალებით. ბარძიმის მოსვლა კონსტანტინე კახ ბატონს არ გამოჰპარვია და ფაშასთან დაუბეზღებია: „მეფეს ჯარი მოუცია, ჯარით მოვიდაო, უკან ჯარით ბაქარ მოსდევსო"[5].

ბარძიმს დაეხმარა გივი ამილახორი, მან ისაყ-ფაშასთან უშუამდგომლა და თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, რეკომენდაცია გაუწია. ისაყ-ფაშამ ბარძიმ ერისთავს არაგვის საერისთავო მიაბარა, მაგრამ მალე ისაყ-ფაშას საქმე წაუხდა, იგი ოსმალეთში გაიწვიეს, მის მაგიერ როსტომ-ფაშა მოვიდა. კონსტანტინემ ამასთანაც დაუბეზღა ბარძიმი: „ბარძიმ ვახტანგ მეფის გამოგზავნილი არის, ჩემი მოყვარე პაპუა ჯელშეკრული ვახტანგ მეფეს მოსკოვში გაუგზავნაო და სახლისკაცებიც გაუგზავნაო. რუსეთის გზა მაგას უჭირავსო, თუ ეგ არ მოჰკალით, იმათაც მოიყვანსო, ამ ქვეყნებსაც აგირევსო"[6].

---

[1] ბ რ ო ს ე, Переписка, გვ. 177.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 88.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 89.
[4] იქვე.
[5] ბ რ ო ს ე, Переписка, გვ. 190.
[6] იქვე, გვ. 190—191.

ამ შემთხვევაში კონსტანტინეს დაუჯერეს. ბარძიმი დაიპირეს და ნარიყალაში დაამბეს. ამასობაში შაჰი კავკასიისკენ წამოვიდა. მან ამიერკავკასია ერევნამდე დაიპირა. „კახბატონს ეხტიბარი გაუტყდა ურუმებში“. ერისთავს შეწყალების თვალით შეჰხედეს, ერისთავობა არ მოუშალეს. ციხიდან განაგებდა საერისთავო საქმეებს — უთრუთ და გივის საშუალებით[1]. მალე ბარძიმ ერისთავი გაანთავისუფლეს. იგი ანანურს მივიდა, საერისთავოში მოთარეშე ლეკები დაამარცხა და ფშავ-ხევსურებთან საერთო ენა გამონახა.

ბარძიმი ერთგული რჩება ვახტანგისა, იგი აქაურ ამბებს აცნობებს მეფეს და დროზე მოსვლას თხოვს. განსაკუთრებით სადარდებლად გაუხდიათ კახთა ბატონის საქმე. რადგან მასთან არის არაგვის ყოფილი ერისთავი რევაზი და უცდის დროს არაგვზე რევაზი დასვას ერისთავად. „კახ ბატონის ფიქრი ეს არის, რევაზ ჯელში ჰყავს, იმის მიზეზით ამ ქვეყანას წამართმევს, თვითონ დაიპერს. თუ ეს ქვეყანა დაიპირა, ლეკის პირი აქვს მიცემული, ამ გზას ეს დაიპერს,... მანამდე მე ეს გზა მიპირავს მობძანდით“[2].

მალე არაგვისა და ქსნის საერისთავოებს შორის მტრობა ჩამოკარდა, ძველი „ძმობა“ და „შეერთება“ დაირღვა. ქსნის ერისთავისშვილის — იასე ყულარაღასის ოჯახი ბარძიმმა მტერს ჩაუგდო ხელთ. შეურაცხყოფილი შანშე, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1739 წელს თავს დაესხა ანანურს და ციხე-ქალაქი ვადაწვა, აქ დაიღუპნენ ერისთავის შვილები და სახლეულნი ბარძიმ ერისთავითურთ.

1741 წელს ნადირ შაჰისაგან ბეჟანმა წყალობა მიიღო, იგი არაგვის ერისთავი გახდა. ბეჟანი დიდხანს ვერ შერჩა ერისთავობას, იგი აუტანელი გახდა თავის ყმათათვის, ყმათა აჯანყებამ იმ ბეერპლა ისიც და მისი ბიძაშვილი ოტიაც 1743 წელს.

ამრიგად, რამდენადაც კონკრეტული მასალები ამის საშუალებას გვაძლევდა, წარმოვაჩინეთ არაგვის საერისთავოს აღგილი ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბუთებიდან აშკარად ჩანს, რომ არაგვის ერისთავები საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ებრძოდნენ ქართლ-კახეთის მეფეებს დამოუკიდებლობისათვის, ყმა-მამულის გაზრდა-გაფართოებისათვის. არაფერს არ ერიდებოდნენ ამ მთავარი მიზნის მისაღწევად, იყენებდნენ ბრძოლის ყველა საშუალებას, საგარეო თუ საშინაო მდგომარეობის შეცვლა-გართულებას.

---

[1] ბ რ ო ს ე, Переписка, გვ. 191.

[2] იქვე, გვ. 192.

ჩვენ დავინახეთ, რომ ხშირად არაგვის ერისთავები მეფეებს ეტოლებოდნენ, და არა იშვიათად, მეფეებზე მაღლა აყენებდნენ ჯიდეც თავს. ასე რომ, ქართლ-კახეთის მეფეებს ნიადაგ საზრუნავად ჰქონდათ არა მარტო უცხოელ დამპყრობლების მოგერიება, არამედ ურჩი ფეოდალების დამორჩილებაც. ნუგზარ ერისთავიდან მოყოლებული ბეჟანამდე არ ყოფილა არც ერთი ერისთავი არაგვის საერისთავოში, რომ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ამა თუ იმ ფორმით, არ ემოქმედა. ერისთავების წინააღმდეგობას თუ განდგომას თან სდევდა დამსჯელი ექსპედიციები, ინგრეოდა ციხე-სიმაგრეები, ნადგურდებოდა სოფლები, ვერანდებოდა ქვეყანა. ასეთი ბრძოლები ყოველთვის ერისთავების დამარცხებით როდი თავდებოდა; ხშირად ერისთავები სჯობნიდნენ და მეფის ჯარებს ამარცხებდნენ (როსტომის ბრძოლა მაგალითად).

XVIII საუკუნის 40-იან წლებში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ქვეყანა ყიზილბაშთა მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა. ყიზილბაშობა აუტანელი გახდა. ყოველი ღირებული საყიზილბაშო ხარკს ხმარდებოდა. როგორც წესი, როდესაც დამპყრობელი ამა თუ იმ ქვეყნიდან დიდ ხარკს მოითხოვს, უშუალო პასუხისმგებელი დავალებათა შესრულებისათვის დამპყრობელის წინაშე გაბატონებული კლასებია, ხოლო უშუალო შემსრულებელი მწარმოებელი საზოგადოება. ამავე დროს ფეოდალური გადასახადები სრულიადაც არ მცირდება იმის გამო, რომ გლეხი უცხოელ დამპყრობთა სასარგებლოდ იხდის გადასახადს. ასე რომ, გლეხს ორმაგი გადასახადი ედო. ამ მძიმე პერიოდში გლეხის გამკითხავი არავინ იყო, გლეხი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს. ებრძვის თავისი პატრონის წინააღმდეგ, აწყობს აჯანყებებს და სხვ.

მართალია გლეხთა მასიური აჯანყებები, რომელიც მთელს მხარეს მოიცავს, საერისთავოში არ ჩანს, მაგრამ ცალკეული გამოსვლები, რაც ერისთავების ამოხოცვით მთავრდებოდა, ხშირად შეიმჩნევა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1743 წლის არაგვის ერისთავების ყმათა მიერ ბეჟან და ოტია ერისთავების ამოხოცვა. პაპუნა ორბელიანის ცნობით „უღალატეს არაგვის ერისთავს ბეჟანს და მის ბიძაშვილს ოტიას არაგვის ქაცთ და ორივ მოკლეს, იავარ ჰყვეს საქონელი. ამილახორის ცოლი, რომელი იყო ასული ორბელიანთი და ბეჟან ერისთვის ცოლი, ორივ მთიულეთ იდგნეს.

აქ რომ ერისთავს უღალატეს, იქ იმათ შეესივნეს და აიკლეს მღვიმისა წმიდის შიოს საქონელი, ხატი ანუ ჯვარი იქა ქონდა და მაშინ დაიკარგა, ცარიელი დედაკაცები გაუგზავნეს ამილახორს"[1].

საინტერესოა, რომ არაგველთათვის ერისთავის სახლისშვილები ყველანი საძულველნი ყოფილან და როცა ბეჟანი და ოტია მოუკლავთ ერისთავად ერისთვიანთ სახლის რომელიმე წევრი კი არ მოუთხოვიათ, არამედ თეიმურაზ კახთა მეფისათვის კაცი გაუგზავნიათ და შეუთვლიათ: „თქვენს მეტი ბატონი არ გვინდაო"[2].

რატომ კახეთის მეფე მოიწვიეს და არა სხვა ვინმე? ამ კითხვაზე პასუხი გაცემული აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს. იგი წერს: „არაგველები უკმაყოფილონი იყვნენ ბეჟან ერისთავით. მას ბეგარა-სამსახური დაემძიმებია არაგველთათვის. მას შემდეგ, რაც ყაენმა კახეთი ხარკისაგან გაათავისუფლა, თეიმურაზს მომხრეები გაუმრავლდა არაგვზე, ქსანზე და მთელს ქართლშიაც"[3].

არაგველებმა იცოდნენ, რომ ყიზილბაშთა შავბნელ ხანაში კახელები უკეთ ცხოვრობდნენ, რომ თეიმურაზმა ნადირ-შაჰისაგან შელავათები მიიღო და ამიტომ ამჯერად არაგველებისათვის ყველაზე სასურველ ბატონად თეიმურაზი ჩანდა. თეიმურაზისათვის არაგვზე ბატონობა დროული იყო, მის პოლიტიკურ მიზანსწრაფვას შეეფერებოდა, იგი ნადირ-შაჰის დავალებით აჯანყებულ ქართლის დამშვიდებისათვის ემზადებოდა. გივი ამილახორი, ქართლის აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, არაგვზე და ქსანზე მაგრობდა, ბეჟან ერისთავი მისი ზურგის შემწე იყო. ამიტომ თეიმურაზი, რა თქმა უნდა, აჯანყებულ არაგველების მხარეზე იდგა, ამიტომ იყო, რომ როცა არაგველები თეიმურაზს მიუვიდნენ და საერისთავო შეაძლიეს, „ბატონი მაინც გამზადებულ იყო და ცაშინვე წაბძანდა. მიეგებნენ ქვეყნის კაცნი, მიუძღვნენ ანანურს, უბოძა ხალათი და დაჰპირდა, „რაც ძველთ ერისთვებისაგან არა გდებიათ მის მეტს მე თქვენ არას გთხოვთო, და ხელნწიფის სამსახურსაც მე გარდავსწყვეტო". სთხოვა მზეველები, ყოველს უფროს კაცს გამოართვა და კახეთს გაისტუმრა"[4].

თეიმურაზმა მომხდარი ამბავი ნადირ-შაჰს აცნობა, „მან წყა-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 361.

[2] იქვე.

[3] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები, 1944 წ., ნაკვ. I, გვ. 205.

[4] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 361.

ლობის რაყიმი“ გამოუგზავნა და აღუთქვა: „თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორთავ საერისთოს შენთვის მოგვიცემიაო“[1].

ქსნის საერისთავო გივი ამილახორს ეკუთვნოდა, ქსნელები თეიმურაზს მიუვიდნენ და გივი გამოდევნეს. ასე რომ, ორივე საერისთავოს მფლობელი თეიმურაზ მეორე გახდა. 1747 წელს ქსნის საერისთავო თეიმურაზმა სპარსეთიდან დაბრუნებულ თვალებდათხრილ შანშე ერისთავს გადასცა, ხოლო არაგვის საერისთავო საბოლოოდ ჩამოართვა არაგვის ერისთავებს და შემდეგ ერეკლემ არაგვის ერისთავის შვილები გამოდევნა არაგვის საერისთავოდან.

იოანე ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ, როდესაც „უკანასკნელ მეორემან ირაკლი მეფემან თეიმურაზისძემან შეაერთა საქართველო და კახეთი, მაშინ განასხნა დანაშთნი არაგვის ერისთვის ძენი კახეთსა შინა და მიუბოძა მუნ ადგილნი და სოფელნი, რომელნიცა პირველნი იწოდებოდნენ სარიდანიშვილებად, ხ/ოლო/ მეორე მდაბალნი ლალიხანისშვილებად. რომელ ახლა იწოდებიან მდივანბეგის შვილებად ზედწოდებით ბეჟანისა, ხოლო მეორენი ლალიხანისშვილებად, რომელ ამათა აქვთ გაღმამხარში მამული და აწ არიან გვარნი ამათნი აზნაურნი ლალიხანაშვილები, ხოლო თავადნი მდივანბეგისშვილებნი“[2].

მოტანილ ცნობას კიდევ ერთი საბუთიც ადასტურებს. ეს საბუთი თვით ერეკლე მეორის მიერ გაცემული წყალობის სიგელია. „ესე წყალობის წიგნი და ფარმანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ბრწყინვალის გვარის არაგვის ერისთავისშვილს, ბატონს მდივანბეგს სარიდანს, ძესა თქვენსა ბეჟანს და შვილისშვილსა თქვენსა რაფაელას, ტფილისს ქალაქში ოცი კომლი კაცი, კიდევ ამავე ქალაქში გლეხი არაგვის საერისთოსი კომლი კაცი გ/3/[3], კიდევ თელავს ბაზარში კომლი კაცი ᲒᲐ/8/, კახეთში ოცი კომლი კაცი და ან ერთი სოფელ კიდევ...“[4].

არაგვის საერისთავო სახასოდ გამოცხადდა და ვახტანგ ერეკლეს ძეს გადაეცა საუფლისწულოდ. მაგრამ, რადგან ვახტანგი შეცირეწლოვანი იყო „უბძანეს ჯიმშერ ერისთავს: „სანამდის ეს

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 361.

[2] საქ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, ფ. S, საბ. 550.

[3] ტექსტში ასო „მ“ ჰგავს „გ“ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო „გ“ უნდა იყოს, რადგან საეჭვოა, რომ არაგვის ერისთავებს თბილისში 40 კომლი ყმა ჰყოლოდეთ.

[4] საქ. მუზ., ფ. IId, საბ. 8730.

ჩვენი შვილი გაიზრდებოდესო, ან ქვეყნის მოვლას შეიძლებდესო, ეს ჩვენი შვილიცა და ეს ქვეყნებიც შენთვის მოგვიბარებია, რიგიანის საქმით ამ ქვეყნებს მოუარეო და ჩვენს შვილს ამსახურეო"[1].

ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, მართალია თავის თავს არაგვის ერისთავს უწოდებდა, მაგრამ მას არაფერი საერთო არ ჰქონდა ძველ ერისთავების ხელთან, ე. ი. იგი არაგვის საერისთავოს დამოუკიდებელი მფლობელი კი არ იყო, არამედ მეფის ჩვეულებრივი მოხელე. იგი საბუთს ერეკლეს „ნებითა და ბრძანებით" გასცემდა მხოლოდ.

ვახტანგი ადრე გარდაიცვალა, იგი ვერ მოესწრო არაგვის ჩაბარებას. XVIII საუკუნის 60-იან წლებიდან არაგვი ლევანს ჰქონდა საუფლისწულოდ, ხოლო შემდეგ — ვახტანგ ერეკლეს ძეს.

ამრიგად, არაგვის ერისთავების საუკუნოვანი ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ერისთავების დამარცხებით დამთავრდა. თეიმურაზის გადაწყვეტილება არაგვის საერისთავოს გაუქმების შესახებ, იმ პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელსაც ქართველი მეფეები და განსაკუთრებით თეიმურაზი და ერეკლე ატარებდნენ თავადური სისტემის წინააღმდეგ. არაგვის საერისთავოს გაუქმებით თავადური რეაქციის ერთ-ერთი მთავარი საბუდარი მოშალეს.

3. მუხრანბატონების დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან

სამუხრანბატონო წარმოიქმნა, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის დაძაბუნების შედეგი და ჩვენთვის საინტერესო პერიოდის განმავლობაში მუხრანბატონები სრულიად გარკვეულ ადგილს იჭერენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დავით ქართლის მეფემ ქვეყანა სამხედრო ადმინისტრაციული თვალსაზრისით ოთხ სადროშოდ დაჰყო. ერთ-ერთი დროშა ბაგრატს, თავის ძმას, უკვე მუხრანბატონს, ჩააბარა. ამ სადროშოში სამუხრანბატონოს გარდა ქსნისა და არაგვის საერისთავოებიც შედიოდნენ. ამდენად ბაგრატი მთელი ამ მხარის მეთაურიც ხდებოდა.

მეფის გამოძახილზე სადროშო მზად უნდა ყოფილიყო. ასევ, რომ, ბაგრატი ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო საქმეების ერთ-ერთი მეთაური ხდებოდა.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 449.

რადგან სამუხრანბატონოს წარმოქმნის საბაბი ავ-გიორგის ლაშქრობა გახდა, ბუნებრივია, რომ ბაგრატს მთელი მხარის ძალებისათვის მობილიზაცია უნდა ექნა და ავ-გიორგის წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლა ეწარმოებინა. წყაროები მოგვითხრობენ, რომ ავ-გიორგი ქართლში ხშირად ლაშქრობდა. „განლაღნა ავგიორგი, და უჯდებოდა საქართველოსა, და მრავალგზის იავარ ჰყო საქართველო, და უფროსღა ზემო ქართლი მრავალ გზის წარმოსტყვენა, ვიდრე იმერეთის საზღვრამდე"[1].

კახეთიდან ზემო ქართლში სალაშქრო გზა მუხრანის ველზე გადიოდა. ამიტომ მუხრანის გამაგრება ქვეყნის თავდაცვის საერთო ინტერესს შეესაბამებოდა. ამდენად სანდოდ ჩანს წყაროთა ჩვენებები, რომ ბაგრატმა მუხრანში ციხე გაამაგრა, თუ ააშენა. აქვე საჭიროდ მივიჩნევთ აღვნიშნოთ შემდეგი: ვახუშტის თქმით ბაგრატმა „აღაშენა მუხრანს ციხე მტკვრისა"[2]. „ციხისძირის სამკრით არს ციხე მტკვრისა, სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა ოთ(79)მეფის კონსტანტინეს ძემან ბაგრატ"[3].

ეგნატაშვილი ბერის გადმოცემით „მოვიდა ბაგრატ და აღაშენა ციხე მტვერისა, რომელ არს ციხისძირის თავსა"[4]. ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელებაში ცოტა სხვანაირი ცნობაა დაცული: „ხოლო მეფემან დავით მისცა, და ესრეთ წარმოემართა, და მოვიდა მუხრანს ციხე მტვერისა, რომელ არს ციხისძირის თავსა, და დადგა მუნ"[5].

რომელი ამ ცნობათაგანია უფრო სწორი? პ. ზაქარაიამ, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა დაწერა ამ ციხეზე, ვახუშტის ცნობა გაიზიარა და დაასკვნა: „ჩვენთვის საინტერესო საკითხი — ციხის აგების თარიღი ამ ორ მიჯნას შორის თავსდება. ერთი მხრივ 1511 წელსა და, მეორე მხრივ, 1513-14 წლებს შორის, ე. ი. ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ მტკვრის ციხე ბაგრატს აუგია 1512 წელს"[6].

როგორც თვით პ. ზაქარაია ამბობს „პირველი მუხრანბატონის მიერ აგებული ციხე, როგორც იმავე მატიანეთა ცნობებიდან

---

[1] ქ. ც. მეორე გაგრძელება, გვ. 906—907.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება. ქ. ც. II. გვ. 17.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 63.

[4] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 51.

[5] ქ. ც. მეორე გაგრძელება, გვ. 907.

[6] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქსნის, მტკვრისა და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII—B, 1954 წ., გვ. 158.

ირკვევა, საკმაოდ მაგარი ნაგებობა ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაუძლებდა სპეციალურად ციხის ასაღებად მოსული მტრის დიდი ხნის ალყას. ციხის აუღებლობის ერთ-ერთი მიზეზი ამ შემთხვევაში ისიც ყოფილა, რომ იგი დიდი ტევადობისა იყო და სანოვაგის მარაგიც საკმაო ჰქონიათ"[1].

ჩვენის აზრით, მტკვრის ციხის აგების ვახუშტისეული ცნობა სიმართლეს არ შეიცავს და ამდენად ზაქარაიას მოსაზრებაც მცდარია. თუ კაცი დაუკვირდება ციხის ადგილმდებარეობას, მის სიდიდეს, გაითვალისწინებს ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობას, ადვილად მიხვდება, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ერთ წელიწადში ეს უშველებელი ციხე-სიმაგრე ძნელად მიუვალ მთაზე აეგოთ. აქ სიტყვა „აშენება" განახლებას უნდა ნიშნავდეს და არა ახლად აშენებას. რომ აქ ციხე ადრეც უნდა ყოფილიყო, თითქოს გვაფიქრებინებს იქვე არსებული გეოგრაფიული სახელი „ციხისძირი". ვფიქრობთ, ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელების ცნობა უფრო სანდო არის, სადაც აშენების შესახებ არაფერია ნათქვამი და პირდაპირ ლაპარაკია, რომ ბაგრატი „წარმოემართა, და მოვიდა მუხრანს ციხე მტვერისა, რომელ არს ციხისძირის თავსა, და დადგა მუნ"[2]. ესეც რომ არ იყოს, მუხრანი ხომ ძველთაგანვე მეფეთა საჯდომი იყო; და განა შეიძლება მეფეთა საჯდომი დიდი ციხე-დარბაზის გარეშე? ვახუშტიმ კარგად იცოდა, რომ „ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური"[3], ანდა „პირველ იყო მეფეთა სადგური; აწ უპყრავს, შემდგომად ბაგრატისა, მუხრანის ბატონსა, ამასვე აქვს დროშა ხასპასპეტე არაგვ-ქსნისა"[4].

დავუბრუნდეთ საკითხს: ჩანს, ბაგრატს ციხეში საკმაოდ ბევრი სურსათ-სანოვაგე შეუტანია და წყლითაც მომარაგებულა. ფეოდალურ ქვეყანაში ამა თუ იმ მხარის დაპყრობა, უპირველეს ყოვლისა, ამ მხარეში არსებულ ციხე-სიმაგრის აღებას ნიშნავს, ე. ი. როცა მომხდური დამხდურს ციხეს წაართმევს, მაშინ იგი ამ მხარის პოლიტიკური ბატონი ხდება მანამ, სანამ მას ეს ციხე უჭირავს. რა თქმა უნდა, ავ-გიორგის ეს კარგად ჰქონდა გათვალისწი-

---

[1] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქსნის, მტკვრისა და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII—ნ, 1954 წ., გვ. 158.

[2] ქ. ც. მეორე გაგრძელება, გვ. 907.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 63.

[4] იქვე, გვ. 64.

ნებული და ამიტომ იყო, რომ იგი ამ ციხეს შემოადგა. სათანადო წყაროებში დაცულია შემდეგი საყურადღებო ცნობები: 1. ვახუშტის აზრით: „ავ-გიორგი მოვიდა სპითა თვისითა და მოადგა ციხესა მას შინა მყოფს ბაგრატს სამ-თთუჷ და შეამჭირვა ფრიად ბაგრატ. მაშინ ავ-გიორგიმ წარუვლინა ღვინო ლიტრითა ბაგრატს. „ხარ ძე მეფისა და არს ჟამი მრავალი, რომელსა არა გისვამს, აწ იკმიე". ხოლო ბაგრატს ჰყვა ჭასა შინა ორაგული ცოცხალი, წარმოუგზავნა ავ-გიორგის იგი და მოუთხრა: „სამ-თთუჷ მყოფობ ქსანსა ზედა და არა გიგემებია, იგემე, რამეთუ ცოცხალ არს". განჰკვირდა ავ-გიორგი და ჰგონა საზრდოთა სიმრავლე, უკუნ იქცა, მოაოხრა ქვეყანა და შთავიდა კახეთად. შემდგომად კვალად გამოვიდა ავ-გიორგი, ვითარცა ჩვეულ იყო, მოარბია ქართლი და ვითარ არა ვისი აქუნდა შიში, წარავლინნა სპანი თვისნი წინარე და თვით ნადირობითა და მცირედითა კაცითა მოვიდოდა. მაშინ ბაგრატს სპითა თჳსითა მზირ-ეყო ჭევსა შინა ძალისისასა, და მოვიდა რა მუნ ავ-გიორგი, იცა ჟამი მარჯვე ბაგრატ, მიეტევა და მოსრნა მისთანანი და შეიპყრა ავ-გიორგი და პატიმარჰყო მტკვრის ციხესა შინა. ქ-ს ჩფიგ (=1513). ქრ-სა. მერმე ამასვე ქორონიკონს მოამთვეს, ანუ მოკუდა"[1].

ეგნატაშვილ ბერსაც და ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელებასაც ეს ფაქტი ძირითადში ისევე აქვთ მოთხრობილი როგორც ვახუშტის; განსხვავება მხოლოდ ამა თუ იმ დეტალში ჩანს. განსხვავება უფრო საგრძნობია ცნობათა იმ ნაწილში, სადაც ავ-გიორგის დაჭერაზეა ლაპარაკი.

ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ ავ-გიორგი ძალისის ხევში დაიჭირეს, მტკვრის ციხეში გამოამწყვდიესო და იქ მოკვდა თუ მოასრჩესო, თან თარიღიც აქვს დადგენილი (1513 წ. — ჩფიგ). ეგნატაშვილ ბერს უფრო სრულად აუწერია ეს ამბავი და თარიღიც განსხვავებული აქვს მოცემული: „და ხანსა რაოდენსამე უკანა შეიყარა სპა თუისი ავ-გიორგიმ და წარმოვიდა დარბეუად ზემო ქართლისა, მივიდა და დაარბია ზემო ქართლი და დაბრუნდა გამარჯვებული და წარმოემართა. და რაჟამს ესმა ბაგრატს, მპყრობელსა მუხრანისასა, შეიყარა სპა თუისი და დაუმზირდა ჭევსა მას შინა, რომელ არს ძალისა და ჭაპურს შუა. და ლაშქარნი ავ-გიორგისანი წინა წარმოვიდენ ნაშოვრისა მისთუის, რომელი წარმოეღოთ. ხოლო ავ-გიორგი მცირითა კაცითა უკანა მოვიდოდა

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქ. ცხოვრება. ქ. ც. II. გვ. 17—18.

და მონადირობდა და არა ვისი ფიქრი ჰქონდა. და რაჟამს დაუახლოვდა, სადა მდგომარე იყო ბაგრატ, მაშინ შეუტივა გულითა სრულითა და შეიპყრა ავ-გიორგი და სპანიცა, რომელნი მისთანა იყუნენ. პატიმარ-ყო ავ-გიორგი მტვერის ციხესა, რომელ არს მუხრანს, ქრისტეს აქათ: — ჩ˜ფიდ: — მაშინ მიუმცნო ძმასა თუისსა მეფესა დავითს საქმე ესე. და რა ესმა საქმე ესე, განიხარა ფრიად. და ხანსა მცირედსა მოკუდა ავ-გიორგი, და რომელნი იტყუიან დაარჩვესო და რომელიმე იტყუიან თავისის დღით მოკუდაო"[1].

ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელებას კიდევ უფრო განსხვავებული ცნობები მოეპოვება: „... ხოლო რომელნიმე სპანი ავ-გიორგისა, წინათკენ წარმოსრულიყვნეს ნაშოვრითა. ხოლო ავ-გიორგი უკანითკერძო წარმოემართა ნადირობითა და შექცევითა, და ვითარცა მოიწია მუნ, სადა ბაგრატ მზირად განწყობილიყო, მაშინ მიეტევნეს გულითა სრულითა, და მსწრაფლ დაემკვა სილაღე და ამპარტავნობა მისი: ძალისს შეიბნეს, და შეიპყრა თვით ბაგრატ, და შეისხნა სარტყელი, და შეუკრა მჯარი. ხოლო იყო ავ-გიორგი ენითა ბრგვნილ: ჰრქვა ავ-გიორგიმ ბაგრატს: ვის ეკადრება შეპყრობა და შეკვრა მჯრისა; და ჰრქვა ბაგრატ ავ-გიორგის: ჯერეთ ესე მოვაწიე შენ ზედა, და აწ გამცნებ თუ რა მოიწიოს შენზედა, ვინ ხარ, და რა კაცი ხარ, რეგვენი, და ჭკუა მცირე. ხოლო ავ-გიორგისთანაცა მყოფნი, რომელნიმე კახნიცა შეიპყრნეს, და სხვანი ლტოლვიონი შეიქცეს, და წარმოართვეს ნატყვევნავი, რომელი წარმოეღოთ მათცა მრავალი, და წარიყვანეს შეპყრობილი ავ-გიორგი, და პატიმარ ჰყო ციხესა მას შინა მტვერისასა: ქ˜კსა, სა, ქ˜ეს აქეთ, ჩფიდ:

ხოლო ბაგრატ მიუმცნო საქმე ესე ძმასა თუისსა მეფესა დავითს, და განიხარა სიხარულითა დიდითა, და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიაშთვეს ავ-გიორგი ციხესა მას შინა, და მოკვდა"[2].

ამ ცნობების შეჯერება აკად. ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა თავის ქართველი ერის ისტორიის მეოთხე წიგნში და ბევრი საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა. იგი წერდა: „თუ ზემო მოყვანილ ცნობებს ჩავუკვირდებით, შევატყობთ, რომ „სწავლულ კაცთ" ავ-გიორგის შეპყრობისა და სიკვდილის ა მ ბ ა ვ ი ზ ე პ ი რ ი გ ა დ მ ო ც ე მ ი თ უ ნ დ ა ჰ ქ ო ნ ო დ ე თ მ ო თ ხ რ ო ბ ი ლ ი. ამას მეტადრე ის მათი განცხადება გვაფიქრებინებს, სადაც ნათქვამია: „რომელნიმე იტყუ˜ან დაარჩვესო და რომელნიმე იტყუიან

[1] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი. დასახ. შრომა, გვ. 52.
[2] ქ. ც., მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 908—909.

თავისი დღით მოჰკვდაო". ღვინისა და ორაგულის ურთიერთისადმი მოძღვნის საზუმარო დამცინავი მოთხრობაც, რომელშიც ავ-გიორგის მიერ მტვერის ციხის გარემოცვის ამბავია ჩაქსოვილი, ზეპირ გადმოცემას უფრო მიაგავს, თუმცა თავისთავად შესაძლებელია მართალიც იყოს"[1]. ივ. ჯავახიშვილმა კითხვა დასვა: „ჰქონდათ, თუ არა „სწავლულ კაცებს" ავ-გიორგის შეპყრობისა და სიკვდილის შესახებ ზეპირ ცნობებს გარდა რაიმე წერილობითი წყაროები, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუმცა ამ ამბავის დათარიღება იქნებ ამის შესაძლებლობას გვაფიქრებინებდეს. ვახუშტი ბატონიშვილის შესახებ-კი სრული უეჭველობით შეიძლება ითქვას, რომ მას ხელთ წერილობითი წყაროები ჰქონია. ბაგრატ ბატონიშვილისაგან ავ-გიორგის დატყვევების გამო ვახუშტს შენიშვნაში ნათქვამი აქვს: „ხოლო ს ხ ვ ა ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ შ ი თვით დავით მეფისა და ავ-გიორგის შებმა სწერიაო". ამ სიტყვებითგან ცხადად ჩანს, რომ სახელოვანს ქართველ მეცნიერ ისტორიკოსს, ერთი წყაროს გარდა, ჰქონია „სხვა" წყაროც, რომელშიაც განსხვავებული ცნობა წერებულა"[2].

როგორც ვხედავდით, ივ. ჯავახიშვილმა ეჭვით შეჰხედა „სწავლულ კაცების" ცნობათა წერილობით წყაროებიდან მომდინარეობას, უფრო სწორად, მან ეჭვი გამოსთქვა, რომ სწავლულ კაცებს ზეპირგადმოცემის გარდა შეიძლება სხვა, წერილობითი წყაროები არ ჰქონდათო. ვახუშტის ცნობები კი მან სანდოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ვახუშტის უეჭველად ზეპირგადმოცემის გარდა წერილობითი წყაროებიც ჰქონდაო. განსვენებული მეცნიერი, როგორც ცნობილია, თავის კვლევითი მუშაობის დროს ზედმიწევნით ფრთხილი იყო და თუ უეჭველი საბუთები მას ხელთ არ ჰქონდა, ყოველთვის არა კატეგორიულ მსჯელობას მიმართავდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ეს უაღრესად მეცნიერული კვლევითი მეთოდის სწორი გზა ყველასათვის საკალდებულოა და უამისოდ არავითარი მეცნიერული დასკვნა ღირებული არ იქნება. მაგრამ არც ზედმეტი ეჭვია სასარგებლო. ჩვენის აზრით, „სწავლულ კაცებს" ზეპირგადმოცემათა გარდა, ხელთ უნდა ჰქონოდათ წერილობითი წყაროებიც. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება:

1. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბაგრატისა და ავ-გიორგის ძალისთან ბრძოლის შესახებ ყველა წყაროს, თითქმის ერთნაირი

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია. წ. IV. 1948 წლის გამოცემა. გვ. 223.

[2] იქვე. გვ. 224.

ცნობები დაუცავს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ დეტალებში განსხვავებას. რადგან ვიცით, რომ ვახუშტის ზეპირგადმოცემათა გარდა წერილობითი წყაროებიც ჰქონდა, ხოლო ვახუშტისა და „სწავლულ კაცთა კომისიის“ წევრთა ცნობები ერთმანეთს ემთხვევა ძირითად, დათარიღების გარდა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ მათ ერთნაირი ცნობები ჰქონდათ ხელთ. 2. „სწავლულ კაცებს“ და ვახუშტის თითქმის ერთნაირ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთს ჰქონოდა წერილობითი წყაროები, ხოლო მეორე კი მხოლოდ ზეპირგადმოცემებით კმაყოფილდებოდა. მით უმეტეს, რომ ამ „სწავლულ კაცებს“ წყაროდოკუმენტების პოვნა-მოძიება ჰქონდათ დავალებული.

ავ-გიორგის სიკვდილის შესახებაც, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა ხასიათის ცნობები გაგვაჩნია; ცნობათა ერთი რიგი გვარწმუნებს, რომ ავ-გიორგი დაახრჩეს, ან მოკლეს, მეორე წყება კი, გვარწმუნებს, რომ იგი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. კვინკლოსური ცნობებიც ავ-გიორგის ძალით სიკვდილზე მიგვითითებენ. „ქ ̄კსა ორას და ერთსა მეფე დავით ქართლისა და მეფე გიორგი კახეთისა შეიბნეს მუხრანს და მეფეს დავითს გაემარჯვა და გიორგი ჴელთ დარჩა და მასვე წელსა მოკლეს“[1].

„ჷკ ̄ს: სა: ქართლის მეფე და კახი მეფე ავ-გიორგი მუხრანსძალისს შეიბნენ და ქართლის მეფეს დავითს გაემარჯვა და ჴელთ დარჩა მეფე გიორგი. ამავე წელს მოკლეს მეფე გიორგი“[2].

თუ გავითვალისწინებთ ქართლის სამეფო კარის მომდევნო ღონისძიებებს კახეთის მიმართ, აშკარა გახდება, რომ ავ-გიორგი ბაგრატს თუ დავითს, თუ ორივეს ერთად უნდა მოეკლათ.

მას შემდეგ, რაც ქართლის მეფემ დავითმა თავის დაუცხრომელი მეტოქე ხელთ იგდო და წუთისოფელს გამოასალმა, ზომები მიიღო, რათა კახეთის მეფობა გაეუქმებინა და კახეთი ქართლისათვის შეეერთებინა. მან ეს მოახერხა კიდეც; იგი კახეთში შევიდა და ძალით დაიჭირა. ამ საქმეში, ბუნებრივია, დიდ მონაწილეობას იღებდა ახლად წარმოქმნილი სამუხრანბატონო.

ქართლის სამეფო კარზე დაიბადა აზრი, რომ კახეთის მტკიცედ შემოერთებისათვის აუცილებელია კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეთა ხელთ გდება. ავ-გიორგის ცოლშვილი დარჩა. ავ-გიორგის მეუღლე დედოფალი ელენე და შვილი ლევანი კახეთის მეფის სალთხუცეს გარსევან ჩოლაყაშვილთან იყვნენ შეხიზნულნი.

---

[1] ერისთვიანთ დაუჯდომელი, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 13.
[2] წიგნი ქრონიკონნი, ქ-კები, II, გვ. 332.

დავითმა სცადა მათი ხელთ გდება. მან საგანგებო ზომები მიიღო „წარავლინა ძმა თჳსი ბაგრატ მის ქვეშე დაწესებულითა სპითა და ამილახორითა, რათა მოიძიონ ლევან და მოართვან მას: შთამოსრულმან კახეთს ბაგრატ დასდვა შიში დიდი კახთა და ყოველთა მკჳდრთა მათ შინა. არამედ მათ ყოველთა ჰფუცეს უცნობელობა მისი აღთქმითა დიდითა“[1].

ვახუშტი განაგრძობს: „არამედ გარსევან ჩოლაყაშჳლმან ჰყო ხვანჯი და მცბიერობა დიდი, რამეთუ ლევან ჰყო მეწდედ უშვერითა სამოსლითა და იმსახურებდა ჟამსა სერისასა სტუმრებულს ბაგრატის წინაშე და შეუთქვეს რა გარსევანს ლეონისათჳს, მან ჰფუცა ძლიერითა ფუცვითა: „რომელი არაგეხილვოთ თქვენ თვინიერ მისსა, არცა მცირე და არცა დიდი არავინ მყეეს და არცა უწყოდე“[2].

ვახუშტის თქმით, „ესე ირწმუნა ბაგრატ და წარმოვიდა ქართლს“[3].

თითქმის ასეთსავე ცნობას გვაწვდის „სწავლულ კაცთა კომისია“[4]. რაც შეეხება ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელებას, აქ ცნობები, როგორც თხრობის მიხედვით, ისე ამ ცნობათა ხასიათის მიხედვით, ვახუშტისა და „სწავლულ კაცთა კომისიის“ ცნობებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. აქ ნათქვამია: „ხოლო მეფე დავით განაგებდა კეთილად ქართლსა და კახეთსა, და იყო ყრმა იგი ლევან დედითურთ სახლსა შინა ჩოლაყაშვილის გარსევანისასა, რამეთუ იყო მეყვისი დედა იგი ლევანისა ჩოლოყასშვილს გარსევანისასა რომელი იყო სახლთუხუცესი კახი ბატონისა. მაშინ აუწყეს მეფესა დავითს ყრმისა მისთვის ლევანისა, რამეთუ აღორძინებულარს კახეთსა შინა, და წარავლინა ძმა თჳსი ბაგრატ, და ერისთავი ქსნისა, და ამილახორი, რათამცა მოიძიონ ყრმა იგი სადა არს. მაშინ იწყეს ძიება მკვიდრთა მათ კახეთისა სახლსა შინა დიდთა და მცირეთასა, და განავლინეს ბრძანება, და შემოიფიცეს ყოველნივე, რათამცა გამოაცხადონ ყრმისა მისთჳს, თუ სადა არს, და ესრეთ მოვლეს რომელიმე კახეთისა კერძონი. მაშინ წარიყვანეს ლევან მოსკოვისა კნიაზთანა, და დედა მისი დედოფალი ელენე აღიყვანეს ციხესა მაღრანისასა, და განამაგრეს ციხე იგი, და მერმე მივიდეს ბაგრატ, და ერისთავი ქსნისა, და ამილა-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 18.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 53—54.

ბორი სახლსა ჩოლაყაშ'ვილის გარსევანისასა, და მას ღამესა ქეთილად უმასპინძლა, და დღესა მეორესა დაუმტკიცა ფიცით გარსევან, ვითარმედ არა არს სახლსა ჩემსა, ღა რომელიცა იხილეთ თვალითა თქვენითა სსვა არავინ არს სახლსა შინა ჩემსა. ხოლო იყო რაოდენიმე ხანი, კუალად მოვიდა ლევან სპითურთ რუსით და შოამოვიდა კახეთს, და შევიდა ციხესა მას შინა ოჩონისასა, რომელ არს თავსა ივრისასა. მაშინ კახნი ყოველნივე მივიდეს მისთანა და შეჰფიცეს, და მიერთნეს ლევანს, წარმოიყვანეს და გაიბატონეს, და დაიპყრა კახეთი ლევან"[1].

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ ჯერად ლევანის რუსეთში წასვლის რეალობაზე ვიმსჯელოთ. ჩვენ აქ სხვა ამბავი გვაინტერესებს. ვახუშტიც, „სწავლულ კაცთა კომისიაც" და ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელებაც შენიშნავენ, რომ ჩოლაყაშვილმა დაარწმუნა ბაგრატი და მისი თანამგზავრნი, რომ ლევანი ჩემთან არ არისო და ისინი ქართლში დაბრუნდნენ. ამ ცნობას ივ. ჯავახიშვილი ზეპირგადმოცემაზე დამყარებულ ცნობად მიიჩნევდა. თუნდაც ეს ასე იყოს, მაინც ანგარიშგასაწევია და საკმაოდ ამაგრებს საერთო მდგომარეობის გადმომცემ, როგორც წინამორბედ ფაქტთა შემცველ ცნობებს, ისე მომდევნო ფაქტების შემცველ ცნობებსაც. გავიხსენოთ, რომ 1490 წლის დარბაზზე კონსტანტინეს არ ურჩიეს მეფე-მთავრებთან ბრძოლა. მაშინ დარბაისლები ხედავდნენ, რომ „მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თჳსთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი დ კვალად ათაბაგისა სამცხელნი"[2].

აქაც იგივე ამბავია, დავითმა თუმცა კახეთი დაიპირა, მაგრამ იმის გამო, რომ კახელნი „მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თჳსთა რჩეულთა მეფეთა", ვერ შესძლო ლევანის ხელთგდება. კიდევ უფრო საინტერესოა ცნობა, სადაც გადმოცემულია მაღნარის ციხის ალყის ამბავი. მაღნარის ციხეში გამაგრებულიყო ლევანი. „მივიდა მეფე და მოადგა გარს და შეამჳირვა ფრიად"[3]. კახელები ნებდებოდნენ, მაგრამ ქართლიდან ამბავი მოუვიდა დავითს ოსმალები შემოიჭრნენო სამეფოში. ამ ამბავს „მეფე დაუფარვიდა სპათა თჳსთა და წარავლინა მთავარეპისკოპოსი და ამილაბორი, რათა მოსცენ ციხე"[4]. მაგრამ აქ ღალატმა იჩინა თავი. „მთავარ-ეპისკოპოსმან აზრახა იდუმალ დედასა ლეონისასა მეამბორესა

[1] ქ. ც. მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 909—910.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 15.
[3] იქვე. გვ. 19.
[4] იქვე. გვ. 19.

ჭელსა ზედა მთავარ ეპისკოპოსისა. „ნუგეშის ღამესა ამას წარ-ვალთ, განშაგრდი“[1].

მართალია აქ ეპისკოპოსზეა საუბარი; მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ არც ბაგრატის ინტერესებს შეეფერებოდა კახეთის მეფის ამოვარდნა. თუ კახეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული „უკანონო“ იყო, ასევე „უკანონოდ“ მიიჩნევდნენ სამეუხრანბატონოსაც და გააუქმებდნენ. ამდენად დასაშვებად გვეჩვენება, რომ ბაგრატის მისია კახეთში იმიტომ ჩაიშალა, რომ თვით ბაგრატსა და მის მხლებლებს—ამილახორსა და ქსნის ერისთავებს, საკუთარი ინტერესებისათვის ასე ერჩიათ.

ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის წყაროთა ჩვენება იმის შესახებ, რომ დავითის დროს „არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არცა თავადნი: ყოველნივე ჭევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკუიდრ ქმნილიყუნენ, და, ვისცა მამულს მისცემდა, მკვიდრად მიეცემოდა. და ყოველნივე ძლიერ იყუნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი“[2].

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ ბაგრატ მეუხრანბატონესაც საკუთარი ფეოდალური ინტერესები მაღლა დაეყენებინა და თავის „საუფლისწულოს“ სამეფოდ გადაქცევისათვის ებრძოლა. მომდევნო პოლიტიკური ამბების მონაწილედ კვლავ ვხედავთ ბაგრატს. 1523 წელს მარა გურიელი ლევანის საშველად წამოსულიყო, გურიელს დავითი დაემარცხებინა მოხისთან და ლევან კახთა ბატონს მეუხრანეს შენოპყრობდა. დავითი ნიჩბისს დაბანაკდა და „წარავლინა ბაგრატ ძმა თჳსი მის ქვეშე დაწესებულითა და ამილახორით, რათა მოვიდეს მეორე დღე ბაზალეთიდამ მათ ზედა, და თჳთ სპითა თჳსითა მივიდეს პირისპირ“[3].

გურიელმა კაცები მიუგზავნა დავითს და მშვიდობა შესთავაზა. თუმცა „მეფესა არა ენება ესე და წადიერ იყო ბრძოლისა, არამედ განაზრახებდენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ყოფად ზავისად“[4].

ამის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე წყაროებში ბაგრატი აღარა ჩანს. როგორც „სწავლულ კაცებს“ ისე, ქართლის ცხოვრების გაგრძელებას შემოუნახავთ ცნობა, რომ ლუარსაბის

---

[1] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 19.
[2] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 46.
[3] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 19.
[4] იქვე.

დროს (1534-1558), ბაგრატი მონაზონად წასულა. საფიქრებელია, რომ იგი გამონაზონდა ლუარსაბის გამეფების ახლო ხანებში. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს ქართლის ცხოვრების გაგრძელების ტექსტის თხრობა. იქ ნათქვამია: „ამას ჟამსა (ლაპარაკია ქ~კს, სიზ=1529 წ., რა თქმა უნდა, ეს თარიღი მემატიანეს შეცდომითა აქვს მოცემული, დ. გ.) მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა, და უწოდეს სახელი გერასიმე: და ბაგრატცა, ძმა მეფის დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა, და უწოდეს სახელად ბარნაბე“[1].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბაგრატ მუხრანბატონს ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის მოუკიდია ხელი და დაუწერია „მოთხრობა სჯულთა ულმრთოთა ისმაილიტთა“. ამ მოთხრობაში კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებია მაჰმადიანობა და უცდია დაემტკიცებინა, რომ ქრისტიანობა ჭეშმარიტებაა, ხოლო მაჰმადიანობა სიცრუე. ამ ნაწარმოებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მიმართული იყო საქართველოში მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ. ეს მოთხრობა გიორგი XI-ის დავალებით გაულექსავს იაკობ შემოქმედელს.

ბაგრატს ოთხი შვილი ჰყავდა: ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტანგი[2]. თუ აქ ჩამოთვლილ რიგს უფროს-უმცროსობის გამომსატველად მივიჩნევთ, რაც ჩამოთვლის დროს ძველ წყაროებში დაცულია, მაშინ აშოთანი მესამე შვილი ყოფილა ბაგრატისა. როგორც წესი გარდაცვალების შემდეგ მამის სახელოს ულროსი შვილი იკავებდა. მუხრანბატონად კი ბაგრატის შემდეგ აშოთანი ჩანს[3]. თუმცა სწავლულ კაცებს ბაგრატის შვილების ჩამოთვლა სხვანაირად აქვთ მოცემული: „ამან ბაგრატ შვა ვახტანგ, აშოთან, მამა მოწამის ქეთევან დედოფლისა და დედის იმედისა, რომელი იყო ცოლი ათაბაგისა, არჩილ და ერეკლე“[4].

მართალია „სწავლულ კაცებს“ განსხვავებული ჩამოთვლა აქვთ მოცემული, მაგრამ აქაც აშოთნი ბაგრატის პირველ შვილად არა ჩანს. რადგან აშოთანი მამის გარდაცვალების შემდეგ კი არ გახდა მუხრანბატონად, არამედ მამის ბერად აღკვეცის შემდეგ, შესაძლებელია, რომ თვით ბაგრატმავე გადასცა აშოთანს თავისი სახელო.

---

[1] ქ. ც. მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 914.
[2] იქვე, გვ. 914.
[3] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 66, 109.
[4] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 197.

აშოთანი მუხრანბატონად ჩანს 1561 წლამდე. 1561 წელს მუხრანს ფხოველნი დაეცნენ. ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მათ აშოთან მუხრანბატონმა სძლია, თუმცა „მოკილა იგრცა მათ მიერ“[1]. სხვა ცნობითაც ვიცით, რომ აშოთანი ფხოველებთან ბრძოლაში დაიღუპა. „ქკს სმთ (1561 წ., რ ე დ.) „მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი აშოთან მოკლეს ფხოელთა“[2].

შესაძლებელია ეს ცნობები მართალი იყოს, რადგან მომდევნო წლების პოლიტიკურ ასპარეზზე აშოთანი აღარსად ჩანს, ხოლო მუხრანბატონად ვახტანგი გვხვდება.

1558 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ პირველი გარისის ომში დაიღუპა. ამის შემდეგ ქართლის მეფედ სიმონია (1558 — 1600). ლუარსაბი დაუნდობელ და მედგარ ბრძოლას აწარმოებდა ყიზილბაშების წინააღმდეგ; ამ კეთილშობილ საქმიანობის სათავეში ჩანს სიმონიც. ამ დროს თბილისი ყიზილბაშების ხელშია. სიმონი ცდას არ აკლებს თბილისის განთავისუფლებისათვის, იერიში იერიშზე მიაქვს. 1560 წელს სიმონმა არჩილი, ბაგრატ მუხრანბატონის ძე, გაგზავნა თბილისს. ვახუშტი გადმოგვცემს: „მაშინ არჩილ ძე ბაგრატ მუხრანბატონისა ეკირთებოდა ტფილისს და ავნებდა გარემოსთა მისთა დიდათ. დღესა ერთსა გამოვიდნენ ტფილისის ციხიდამ სპანი ყიზილბაშნი, დაესხნენ საფურცლეს მყოფს, ბრძოლასა ძლიერსა იძლია მათგან არჩილ და შეიპყრეს დედა-წულითურთ ქ^ლს ჩფ^ბ ქ^ლრ სმ^ბ, და წარიყვანეს წინაშე ყეენისა“[3].

შინათგამცემლებისა და მტრის ჭარბი ძალების მეოხებით 1569 წ. ფარცხისის ომში სიმონი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. მიუხედავად ამისა, ქართველი პატრიოტები მოღალატე დავითის სამეფო უფლებებს არ ცნობდნენ. მათ, როგორც ვახუშტი ამბობს, მუხრანბატონი გაიჩინეს გამგედ. დავითის წინააღმდეგ მუხრანბატონი უფლებრივადაც შეეძლოთ გამოეყენებინათ, ისიც ხომ ბაგრატიონი იყო. კიდევ უფრო უვარგისი აღმოჩნდა დაუთხანი ოსმალებთან ბრძოლაში. 1578 წელს ოსმალეთი შეტევაზე გადმოვიდა. ჩილდირის ტბასთან სპარსელები სასტიკად დაამარცხა და ამიერკავკასიის დაკავება დაიწყო. ოსმალები საქართველოში შემოვიდნენ. დაუთხანი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. ამ დროსაც „მუხრანის ბატონი იყო უფლისწულობით,

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 26.

[2] ქ. ც. მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 937.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 25—26.

ვითარცა გამგე ქართლისა და მორჩილებდენ ყოველნი. ამან მოიყვანა ამილახვარი ბარძიმ და ქსნის ერისთავი ელისბარ — ლალა ფაშისა ეანა, და დაიხსნა ამან ქართლი და თემი მოწყვეტისაგან"[1].

სიმონი 1569—1578 წ. ტყვეთ იყო ერანში. ერანის სამეფო კარზე მომენტი შესაფერისად შეაფასეს. მათ დაინახეს, რომ ამიერკავკასია ხელიდან ეცლებოდათ. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურთა შორის სიმონს ვერავინ შეედრებოდა. ამიტომ იგი ტყვეობიდან გაათავისუფლეს, დახმარება აღუთქვეს და საქართველოში გამოისტუმრეს. სიმონი 1579 წელს ჩამოვიდა ქართლში და ოსმალთა განდევნის სამზადისს შეუდგა.

აღნიშნული გვქონდა, რომ ვახტანგ მუხრანბატონი ქართლის გამგედ აღიარეს. მან, როგორც ვახუშტი ამბობს, ოსმალებთან საერთო ენა გამონახა და ქართლი გადაარჩინა. დავითი პოლიტიკური ცხოვრების სცენიდან ჩამოვიდა; სიმონი ტყვეობაშია; ოსმალები ვახტანგს უჭერენ მხარს, ქართლის თავკაცებიდან ბევრნი ვახტანგის ზურგის შემწენი არიან. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ ვახტანგი ქართლის მეფობისათვის ემზადებოდა და საამისოდ მომენტს უცდიდა, რაც კარგად ჩანს მისი საქმიანობიდან. სიმონის ტყვეობაში ყოფნის დროს ბარძიმ ამილახორი და ელიზბარ ქსნის ერისთავი, როგორც აღნიშნული გვქონდა, კავთისხევში მდგომ სიმონის ცოლშვილს თავს დაესხნენ და მისი ქონება იავარჰყვეს. ვახტანგ მუხრანბატონი ამილახორისა და ქსნის ერისთავის ეომაგად გამოდის, იგი მათ ლალაფაშასთან მოეხმარა და ლალაფაშამ მამულები შემოუმტკიცა, წყალობის თვალით შეჰხედა და „მეოთხესა დღესა განუტევა პატივითა"[2].

როცა სიმონი ტყვეობიდან დაბრუნდა და მოწინააღმდეგე ფეოდალთა დასჯას შეუდგა, ვახტანგ მუხრანბატონმა, ჩანს, თავისი განზრახვა აღარ დამალა. იგი ერისთავისა და ამილახორის მხარეზე აღმოჩნდა. როცა სიმონი „ლამოდა შურის გებასა ამილახორის და ქსნის ერისთვისასა", მაშინ ვახტანგ მუხრანის ბატონი „ურჩიდა წინათქმულთათვს წინაშე სვიმონ მეფისა"[3].

სიმონისათვის უკვე აშკარა იყო ვახტანგ მუხრანბატონის ზრახვები. „სიმონმა შეიპყრა მათთა ეჭვისათვს ვახტანგ და პატიმარჰყო კეხვის ციხესა შინა"[4].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 28.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 20.
[4] იქვე, გვ. 29.

იმის გამო, რომ სიმონისათვის ამჟამად მთავარ საზრუნავს ოსმალთა განდევნა წარმოადგენდა, ფეოდალების მიმართ ერთგვარ დათმობაზე წავიდა, ამილახორი და ერისთავი „აფიცა ერთგულებასა ზედა და განუტევა“, „განუტევა ვახტანგიცა“[1].

ვახტანგ მუხრანბატონი 1580 წელს გარდაიცვალა[2]. ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა არჩილიც. ეს უკანასკნელი, როგორც აღნიშნული იყო, 1560 წელს საფურცლეში სპარსელებმა დაატყვევეს, როცა სიმონი დაბრუნდა სპარსეთიდან არჩილიც თან მოიყვანა[3]. „სწავლულ კაცთა კომისიის“ ცნობით, ამათგან „სამნი ესე ძმანი (აშოთან, არჩილი და ერეკლე, დ. გ.) უძეო ეგნენ, და ვახტანგ შვა: თეიმურაზ და ქაიხოსრო, გამგებელი ქართლისა. ხოლო თეიმურაზ შვა ვახტანგ, რომელსა სპარსთა უწოდეს შანავაზ და კონსტანტინე“[4].

1580—1624 წლამდე მუხრანბატონად ჩანს თეიმურაზ ვახტანგ მუხრანბატონის ძე.

თეიმურაზის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით, ვიცით, რომ 1609 წელს, როცა საქართველოს თათარხანის ლაშქარი შემოესია, სამუხრანბატონოც იღებდა მის წინააღმდეგ მონაწილეობას. „მისწერეს მეფემან წიგნი ერისთავებსა და მუხრანის ბატონსა და შიდა ქართლელთა ყოველთავე, რათა შეიყარონ ჯარი თჳსი და სურამის ბოლოს დახვდენ“[5].

1624 წლის მარაბდის ომში დაიღუპა თეიმურაზ მუხრანბატონი. ვახუშტი წერს: „ხოლო მხნედ ბრძოლი მოკლეს თეიმურაზ მუხრანის ბატონი და განჴდა ხმა ჰგონეს ყოველთა კახბატონის სიკუდილი“[6].

ამის შემდეგ მუხრანბატონად ჩანს თეიმურაზის ძმა ქაიხოსრო (1624 — 1626).

ეს პერიოდი ქართლ-კახეთის სამეფოებში ფეოდალური აშლილობის პერიოდია. შინაფეოდალურ აშლილობას თან ერთვის ერანელთა ლაშქრობები. როგორც ცნობილია, შაჰაბაზმა საქართველოში რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო. ამ ლაშქრობებს ან თვითონ უშუალოდ ხელმძღვანელობდა (1614, 1616), ან დიდ ჯარს

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 29.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 30, ქ. ც. მარიამ დედოფლ. ვარიანტი, გვ. 955.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 29.
[4] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 197—198.
[5] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 117.
[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 42.

აგზავნიდა საგანგებო დავალებებით. შაჰაბაზის შავბნელი ზრახვები ქართველებმა მახვილით ჩაშალეს. ქართლის მეფე სიმონ II შაჰაბაზის „ფერხთა მტვერი იყო“. აჯანყებას გიორგი სააკაძე ხელმძღვანელობდა. ბუნებრივია, რომ ერანის ტახტის ერთგული მონა სიმონი აჯანყებულ ქართველებისათვის დასაყრდენი არ იქნებოდა, ამიტომ ქართლის გამგედ ქაიხოსრო მუხრანბატონიშვილი შეურჩევიათ. ვახუშტი გადმოგვცემს: „დაადგინეს განმგებლად ქართლისად ქაიხოსრო ძე მუხრანბატონისა ვახტანგისა, არამედ უწოდეს სახელით ოდენ, გარნა იყო მოურავი მოქმედი ყოვლისა და მორჩილებდენ მას ყოველნი ყმურად“[1].

ამის შემდეგ ქართლ-კახეთის ფეოდალური საზოგადოება ორ მოპირდაპირე მტრულ ჯგუფად დანაწევრდა. „ზურაბ ბატონს თეიმურაზს მიუდგა, და მოურავი ქაიხოსროს, გამგებელსა ქართლისასა, და ქართლი სულად შემოუყარა ქაიხოსროს მოურავმან. და არა მორჩილ ექმნეს ესე ორნი ერისთავნი ზურაბ და ამილახორი იოთამ და იყო განდგომილება ურთიერთას შორის“[2].

ზურაბის ქვეყანა მთიანი იყო, იგი ქართლ-კახეთზე იყო დამოკიდებული. ჩანს ეს კარგად გაუთვალისწინებია ქაიხოსროს და მან თურმე, როგორც ვახუშტი ამბობს: „არღარა ჩამოუშვა ზურაბ ქართლსა შინა“[3].

ეს ფეოდალური დაჯგუფება ბაზალეთის ომში გადაიზარდა. ამ ომში გიორგი დამარცხდა და იძულებული გახდა თურქეთს წასულიყო.

როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძემ ოსმალეთში საკმაოდ გაითქვა სახელი, მაგრამ მალე, 1629 წელს მას ოსმალეთში თავი მოჰკვეთეს. მასთან ერთად დაიღუპნენ მისი ქართველი მხლებლები, იქ მოკლეს ქაიხოსრო მუხრანბატონიც. ზურაბ არაგვის ერისთავის დახმარებით თეიმურაზმა შესძლო ქართლ-კახეთის დაკავება. სამუხრანბატონოც თვითონ დაიკავა. თეიმურაზისა და ქაიხოსრო მუხრანბატონების შვილები იმერეთში გადაიხვეწნენ. შემდეგში „წარმოვიდნენ იმერეთიდამე და მოვიდნენ მუხრანს. რა სცნა ბატონმა თეიმურაზ ამათი მოსვლა მუხრანს, დაუწყო მტერობა და ერა დაანებეს მუხრანი და იყვნენ ერთის გლახაკის კაცისას ღარიბად და გლახაკობითა“[4].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 41.
[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 160.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 44.
[4] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 163.

ვახუშტიც ამტკიცებს, რომ თეიმურაზმა ქართლ-კახეთი დაიპყრო და „მტერობდა ძეთა და ძმისწულთა ქაიხოსროსთა და არა უტევებდა მუხრანს, არამედ მისცა ძესა თჳსსა, დათუნას“[1].

ამ ორ ცნობას ეთანხმება ფარსადან გორგიჯანიძის ცნობაც. „ბატონს თეიმურაზს მუჯრანი თავისის შვილის დათუნასათვის მიეცა“[2].

რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ქვეყანა არ დაამშვიდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქაიხოსრო მუხრანბატონმა ზურაბი ქართლში არ შემოუშვა, ამით დიდად გაუპირვა ცხოვრება. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეკონომიური ბლოკადა. ჩანს, ზურაბს იმედი ჰქონდა, რომ გიორგი სააკაძისა და ქაიხოსრო მუხრანბატონის დამარცხების შემდეგ, თეიმურაზი ზურაბს დაუთმობდა სამუხრანოს, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. თეიმურაზმა სამუხრანო ზურაბს კი არ მისცა, არამედ თავის შვილს — დათუნას. ამის გამო ზურაბი სიმონს მიუვიდა და თეიმურაზს გადაემტერა.

ამ არეულობის დროს „ჩამოვიდნენ მუხრანს ძენი და ძმისწულნი ქაიხოსროსანი და დაიპყრეს თჳსნი ყოველნი“[3].

ამით სამუხრანბატონო კვლავ აღდგა. ეს იყო 1628—29 წლებში. 1628—1629 წლიდან 1658 წლამდე მუხრანბატონად არის ვახტანგ თეიმურაზის ძე.

1632 წელს ქართლის მეფედ როსტომი დაჯდა. ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა ის ჯგუფი, რომელიც თეიმურაზს არ სწყალობდა, როსტომს მიუვიდა. ამათგან „ვახტანგ ძე თეიმურაზისა მუხრანის ბატონი პირველივე მიეგება როსტომს ნათესაობისათვის“[4].

როსტომი დაუთხანის უკანონო შვილი, მაგრამ მაინც ბაგრატიონთა ქართლის შტოს შთამომავალი იყო. ამდენად, მართლაც, შორეულ ნათესავად შეეძლო მუხრანბატონს მიეღო იგი. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ გადამწყვეტი მაინც ნათესაობა არ იყო. ვახტანგი როსტომის მხარეზე გადავიდა უფრო იმიტომ, რომ მხოლოდ როსტომის დახმარებით შეეძლო მას მუხრანის შემომტკიცება. თეიმურაზი თუ გაიმარჯვებდა, რა თქმა უნდა, მუხრანს ვახტანგს არ დაუბრუნებდა. მან ხომ ადრე სამუხრანო თავის შვილს დათუნას ვადასცა და თუ მუხრანბატონის შვილებმა შესძლეს თავიანთი ქო-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 44.
[2] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 236.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 45.
[4] იქვე, გვ. 46.

ნების დაბრუნება მხოლოდ იმიტომ, რომ თეიმურაზი სხვა საქმეებით იყო გართული. არც ზურაბს ეცალა. მუხრანბატონისშვილებმა ამ მომენტით ისარგებლეს. ახლა კი სიმონი და ზურაბი მკვდრები იყვნენ. ერთმანეთს თეიმურაზი და როსტომი დაპირისპირებოდნენ. ამ ორთა ბრძოლაშიც მუხრანბატონების არჩევანი გარკვეული იყო.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ მუხრანბატონები ბოლომდე როსტომს შერჩებოდნენ. ფეოდალის ურთიერთობა თავის საფეოდალოს მიღმა არსებულ სამყაროსთან იმით განისაზღვრება, თუ ეს სამყარო რას უქადის ამ ფეოდალის პირად მდგომარეობას. ყველაფერი, და მათ შორის ნათესაობაც, პირობადებულია საკუთარი ინტერესების დაცვის კარნახით. სადაც საკუთარი ინტერესები ირღვევა, იქ დანარჩენი თავისთავად დარღვეულია. ამ მხრივ არც მუხრანბატონებისა და როსტომის ურთიერთობა წარმოადგენდა რაიმე გამონაკლისს: როსტომის წინააღმდეგ, როგორც აღნიშნული იყო, მისი მეფობის პირველ ათეულში ქართლის ფეოდალთა ერთი ჯგუფი თავდადებით იბრძოდა. ფეოდალთა ამ ჯგუფს თავი მოეყარა თეიმურაზის ირგვლივ. ისინი კახთა ბატონს ქართლში ეპატიჟებოდნენ და ზურგის შემწეობას აღუთქვამდნენ.

ვახტანგ მუხრანბატონი თვალყურს ადევნებდა ქართლის ფეოდალებისა და თეიმურაზის ურთიერთობას და საჭირო ცნობებს როსტომს აწვდიდა. ერთხელ როსტომი გორში იყო. ამ დროს ქართლის ფეოდალებმა როსტომის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეს და თეიმურაზი იხმეს. „ამისი მსმენელი თეიმურაზ რა წარმოემართა, ესე აუწყა როსტომ მეფესა ვახტანგ მუხრანის ბატონმან და მსწრაფლ შევიდა როსტომ გორის ციხესა შინა“[1]. სწორედ ვახტანგ მუხრანბატონის დახმარებით როსტომი გადაურჩა მოულოდნელ ხიფათს.

თეიმურაზმა ყველაფერი ეს შეამჩნია და უკან დაბრუნდა. კახეთს მიმავალ თეიმურაზს „ვახტანგ მუხრანის ბატონი მოეწია და ავნო დიდი“[2].

შემდეგშიც არა ერთხელ აჩვენა ვახტანგმა როსტომს ერთგულება. როსტომმა ცნობა მიიღო, რომ ახალგორში ორივე ერისთავი და ამილახორი შეკრებილან და მის წინააღმდეგ აჯანყებას

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 48.

[2] იქვე.

აპირებენ. „რა ეს მეფეს მოახსენეს, ფიცხლავ მუჯრანის ბატონს ბახ/უ/ტას, რომ უკანას დროს თავისის ბატონის ადგილზედ გამეფდა, წიგნი მისწერა — შენის ლაშქრითო მზას დამხვდიო, რომე მღთისა შეწევნითა ამაღამ მანდ მოვალო“[1]. მეფემ მცხეთაში ჯარი შეყარა, ჯარს საიმედო სიტყვები მოახსენა და „მუჯრანის ბატონს ჩაფარი გაუგზავნა, რომ ჩვენც კარგის ჯარით მოვდივართო და თქვენც თქვენის ჯარით გზათ დაგვხდითო, რომ მღვთის შეწევნითაო გაუთენებლივ თავს დავესხმით. რა მეფე მუხრანს მიეიდა, მუხრანის ბატონი კარგის ჯარით შემოეყარა და მეფეს იამა და აღარ შეისვენა და ჩქარათ იარეს, შობას დილას ახალგორს ლოცვაზედან მდგომთ თავს დაესხნეს და იმ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება თქვეს“[2].

როსტომსა და თეიმურაზს შორის 1632 წელს დაწყებული ომი 1648 წელს დამთავრდა როსტომის გამარჯვებით. ამ ბრძოლაში როსტომს დიდი სამსახური გაუწია ვახტანგ მუხრანბატონმა. თიანეთში მყოფ თეიმურაზის წინააღმდეგ „როსტომ წარავლინა ვახტანგ მუხრანბატონი სასპასპეტოთა თვისითა თიანეთს და ყიზილბაშნი მოგზავნა მაღაროს. მისრულსა ვახტანგს ზაალითურთ ეწყვნენ თიანეთს უღლისს თეიმურაზისანი და ბრძოლასა შინა მოიკლა ამათგან თოფით რევაზ ჩოლაყაშჯლი“[3].

როგორც ცნობილია, როსტომს შვილი არ ჰყავდა. მან ჯერ ლუარსაბი იშვილა, მაგრამ ის მოუკლეს, შემდეგ ვახტანგი უნდოდა ეშვილა (ლუარსაბის ძმა), მაგრამ იგი დედამ არ გამოუშვა სპარსეთიდან. ბაგრატიონთა გვარიდან მხოლოდ მუხრანბატონები დარჩნენ; როსტომი საქმით დარწმუნდა, რომ ვახტანგ მუხრანბატონი მისთვის ყველაზე სასურველი და საიმედო იყო და ამიტომ „ხოსია ბარათაშვილი ყაენთან ჩაფრად გაგზავნა და მუხრანის ბატონი ჯანიშინად ეთხოვნა“[4].

დრო გადიოდა, როსტომი დაუძლურდა. მან ყაენს აღზა გაუგზავნა: „ერთი რაყიმი მუხრანის ბატონს უბოძეთო, რომ ჩემს უკან მეფობა მისი იყოსო, რომ ჯარსა და ლაშქარს მისგან შიში აქონდესო, რომ მინდა სარდრათ ვქნაო და ოდიშს გავგზავნო“[5].

გორგიჯანიძის ამ ცნობას ვახუშტიც ეთანხმება და წერს: „გა-

---

[1] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 249.
[2] იქვე, გვ. 249—250.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 49.
[4] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია, გვ. 266.
[5] იქვე, გვ. 267.

იშვილა ვახტანგ მუხრანის ბატონი, ძე თეიმურაზ მუხრანის ბატონისა... ესე ვახტანგ წარავლინა როსტომ წინარე ყეენისა, რათა მოსცეს აწ განმგეობა ქართლისა და შემდგომად მისი მეფობა"[1].

1658 წელს როსტომი გარდაიცვალა და ქართლის მეფედ ვახტანგ მუხრანბატონი შაჰნავაზის სახელდებით დაჯდა. ამიერიდან 1724 წლამდე ქართლში მეფობენ ბაგრატიონთა საგვარეულოს მუხრანბატონების შტოს წარმომადგენლები. ბაგრატიონთა ამ შტომ არაერთი ბრწყინვალე პოეტი, მწერალი, ისტორიკოსი, მეცნიერი და პატრიოტი სახელმწიფო მოღვაწე მისცა ჩვენს ქვეყანას.

გამოსარკვევი რჩება, რა დაემართა სამუხრანბატონოს? იგი სახასოდ დარჩა. თუ განაგრძობდა არსებობას? ვიცით, რომ ვახტანგის შთამომავალთაგან არავინ არ ყოფილა მუხრანბატონად. ვახტანგი, როგორც აღნიშნული გვქონდა, თეიმურაზის შვილი იყო. თეიმურაზს სხვა შვილებიც ჰყავდა: კონსტანტინე, ბაგრატი, არჩილი, ერეკლე, დავითი.

ვიცით, რომ ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზისა და ქაიხოსროს ცოლ-შვილი იმერეთს გადავიდა, ხოლო შემდეგ მოახერხეს მამაპაპის ქონების კვლავ დაპატრონება. მუხრანბატონი გახდა ვახტანგი, მაგრამ ვახტანგის ქართლში გამეფების შემდეგ ვინ დაჯდა მუხრანბატონად, თუკი სამუხრანბატონო ვახტანგმა სახასოდ არ დაიპირა? მომდევნო მოვლენებიდან კარგად ჩანს, რომ სამუხრანბატონო არ გაუქმებულა.

მცხეთაში საფლავის ქვაზე თედო ჟორდანიამ ამოიკითხა შემდეგი წარწერა: „საქართველოს სახლთუხუცესი ბატონისშვილი პაპუა — მეფის შანავაზის ძმა ბატონიშვილი მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე". ამ წარწერას თარიღიც ჰქონია (ქ^კს ტნე — 1667)[2].

ამ წარწერიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგ მუხრანბატონი ქართლის მეფე გახდა, მუხრანბატონობა თავის ძმისათვის, კონსტანტინესათვის გადაუცია.

1670 წელს მუხრანბატონად ჩანს არა კონსტანტინე, არამედ თეიმურაზი, ამავე დროს ის სალთხუცესიცაა. 1667 წ. „ჩუენ... მუხრან ბატონმა სახლთხუცესმა თ ე ი მ უ რ ა ზ და ძმათა ჩუენთა: ა შ ო თ ა ნ, სუმონ, პ ა პ უ ა მ, დათუნამ, ერეკლემ, ქაიხოსრომ, იესემ და ძეთა ჩვენთა... კონსტანტინემ, ოტიამ, ადარნასემ და ლევან... ესა და ეს დავწერეთო[3].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 49—50
[2] ქრონიკები, II, გვ. 484.
[3] იქვე, გვ. 487.

თეიმურაზი 1668-69 წლებში უნდა დამჯდარიყო მუხრანბატონად. იგი 1688 წელს გარდაიცვალა. თეიმურაზი ჩანს ერთგულებდა გიორგი მეთერთმეტეს. ვახუშტის აღნიშნული აქვს: „მომკვდარიყო ბიძის ძე მეფისა მუხრანის ბატონი თეიმურაზ, რომელი იყო კაცი დიდ შემძლე საქმისა, ერთგული მეფისა და რიდობდენ ყოველნი“[1]. ვახუშტი იმდენად დიდად აფასებს თეიმურაზის მოღვაწეობას, რომ საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუსვას: თეიმურაზის სიკვდილის გამო „ესრეთ მოაკლდებოდა მეფისანი და განმრავლდებოდა წინააღმდგომნი“[2].

1688 წელს ქართლში პოლიტიკური ამბები გართულდა. გიორგი მეფე სპარსთა ბატონობის მოსპობისათვის აჯანყებას ამზადებდა, საამისოდ ძალებს იკრებდა, საკითხი მას მომზადებული ეჩვენებოდა: ერანის სამეფო კარი მექრთამეობას მოეცვა, შაჰს არავინ უჯეროდა, ხანები თუ ბეგლარ-ბეგები „თავგამკიდენი“ შექმნილიყვნენ. ასეთ პირობებში, მართლაც, გიორგის წამოწყება დროული ჩანდა. რომ ფეოდალთა ერთპირობა შესაძლებელი ყოფილიყო, გიორგის აჯანყება უეჭველი გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდა. ფეოდალთა ნაწილი გიორგის მტრობდა. სპარსეთმა ქართლის დაკარგვის საფრთხე თავიდან იმით აიცდინა, რომ გიორგის დაუპირისპირა თეიმურაზ კახთა მეფის შვილიშვილი ერეკლე. იგი ქართლში გამოგზავნეს, რენეგატი ქართველი ფეოდალები უხვად დააჯილდოვეს, ხოლო გიორგის მომხრე ფეოდალებს კი სახელოები წაართვეს და სამემკვიდრეო შეუმცირეს.

თეიმურაზ მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ მუხრანბატონად მისი ძმა აშოთანი დაუდგენია გიორგის. აშოთანიც, ჩანს, გიორგის ერთგულობდა, იგი და გიორგის მომხრე სხვა თავადები „უვლინებდნენ მრავალსა საგანძურსა“ გიორგის[3].

ერეკლეს აშოთანი დაუმდაბლებია და სახელო წაურთმევია. 1691 წელს მუხრანბატონად ჩანს პაპუა. პაპუა, თუმცა ერეკლეს დასმული იყო მუხრანბატონად, მაგრამ იგი გიორგის დავალებებს ასრულებდა. პაპუა მუხრანბატონი გიორგიმ ერეკლეს მომხრეთა წინააღმდეგ თიანეთს გაგზავნა[4].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქ. ცხოვრება. გვ. 59.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 61.
[4] იქვე. გვ. 63

მოვლენები ისე განვითარდა, რომ გიორგი იძულებული გახდა იმერეთს გადახვეწილიყო. გიორგის მომხრე თავადები დამარცხდნენ, ზოგი გიორგის გაჰყვა იმერეთში, ზოგიც ერეკლეს მიუვიდა. პაპუა მუხრანბატონი თამაზ სარდალთან ერთად ქალბილიხანთან მივიდა და ერეკლესთან შერიგება სთხოვა. ერეკლემ ისინი ერანს შაჰთან გაისტუმრა[1]. ეს იყო 1696 წელს. პაპუას შემდეგ ერეკლემ მუხრანბატონად 1696 წელს კონსტანტინე თეიმურაზის ძე დანიშნა[2].

გიორგი სპარსეთს შეურიგდა, ერანში მყოფი პაპუა მუხრანბატონი სხვებთან ერთად ქართლში გამოაგზავნა.

ჩანს კონსტანტინე გადაუყენებიათ და ისევ პაპუას დაუბრუნებია თავისი ძველი სახელო. 1709 წელს მუხრანბატონად კვლავ პაპუას ვხედავთ. სწორედ იმ დროს, როცა გიორგი ავღანელებმა მოკლეს და ქაიხოსრო ლევანის ძე დაჯდა მეფედ, სეხნია ჩხეიძის თქმით, „დაებარებინა ხოსრო ხანს ქართველნი ჯარი და შეყარა ბატონისშვილმა ვახტანგ ჯარი, უთავა მუხრანის ბატონი პაპუა, და თითო სახლის დარბაისლის შვილები“[3].

1700 წლის 3 თებერვლით დათარიღებულ ერთ საბუთში მუხრანის ბატონად ჩანს იესე აშოთანის ძე და კონსტანტინე[4]. 1717 წელს მუხრანბატონად ჩანს ერეკლე. იგი ბაქართან მტრულ დამოკიდებულებაშია. ეს ის ერეკლეა, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მეთერთმეტესთან იყო მტრულ დამოკიდებულებაში, თუმცა, ვახუშტის თქმით მას „ზრდიდა მეფე, ვითარცა ძესა“[5].

ახლაც, როდესაც ვახტანგი ერანს იყო და ბაქარი განაგებდა ქართლს, ურჩობდა იგი, ამიტომ ბაქარმა „შეიპყრა მუხრანის ბატონი ერეკლე და აღმოხადნა თვალნი და მისცა მუხრანი ლევანს ძესა პაპუასასა“[6].

რამდენ ხანს იყო ლევანი მუხრანბატონად, არ ჩანს. ჩანს მუხრანბატონებისათვის შეუმჩნევია ღალატი და ვახტანგს მუხრანი თავისი ძმის იესესათვის მიუცია[7].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 66.

[2] იქვე, გვ. 67.

[3] ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინიშვილის რედაქც., გვ. 325.

[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 230, დავთარი 4, საბ. 68.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 57—58.

[6] იქვე, გვ. 79.

[7] ს ე ხ ნ ი ა, იქვე, გვ. 324.

ამის შემდეგ მუხრანის ბატონად საბუთებში ჩვენ არავინ გვხვდება 1734 წლამდე. 1734 წელს კი მუხრანბატონად ჩანს მამუკა, რომელიც გივი ამილახორთან ერთად ურუმებს ებრძვის გორში[1]. 1735 წელს მამუკა მუხრანბატონი სხვა ქართველ თავადებთან ერთად მიდის შაჰ-ნადირის დაძახილზე ყირხბულახს[2]. როცა ნადირმა ქართველები დააპატიმრა და პატიმრები გამოიქცნენ, გივი ამილახორი იმერეთს წავიდა, ხოლო მამუკა მუხრანბატონი რუსეთს გადაიხიზნა[3].

მამუკას შემდეგ მუხრანბატონად ჩანს კონსტანტინე. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის 20-იან წლებიდან ამ საუკუნის 50-იან წლებამდე ქვეყანა ჯერ ოსმალებს ებრძოდა (1723 — 1735), ხოლო შემდეგ ყიზილბაშობას (1735—1747). ამ საერთო ბრძოლაში სამუხრანოც იღებდა მონაწილეობას და ბუნებრივია, რომ ამ დიდი ქარტეხილის ყველა საშინელებანი ამ მხარემაც იწვნია.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამუკა მუხრანბატონი ქმედით მონაწილეობას იღებდა. ოსმალობა ყიზილბაშობით შეიცვალა. ყიზილბაშებმა „ვახანიდამ დაწყებული მუხრანამდი ააოხრეს, დაატყვეს, დასწვეს“[4].

ნადირ-შაჰმა ქართლი ვერ წამოაჩოქა. ამიტომ ცბიერი შაჰი ცბიერულ პოლიტიკას მიმართავს. მან ქართლის თავკაცების მოსყიდვით სცადა საქართველოს გატეხა. ნადირმა ჯამაგირი გაუჩინა ქართლის თავადებს. მათ შორის მუხრანბატონს 25 თუმანი და ნასახჩიბაშობა უბოძა[5].

ამის შემდეგ ნადირმა ქართლში მოიწერა: „ახლავ ჩემს დიდებულს კარზე ჩამოდითო და თქვენი სიტყვა სწორე შემატყობინეთო“. „წავიდნენ ბატონიშვილი აბდულაბეგ, სარდალი ქაიხოსრო, მუხრანბატონი კოსტანტინე, ამილახორი ამირინდო, თარხანი ლუარსაბ“[6].

კონსტანტინე მუხრანბატონი სხვა მუხრანბატონებთან შედარებით ერთ-ერთი ჭკვიანი მმართველთაგანი იყო. მან ხელი შეუწყო თავის სამფლობელოს გაზრდა-გაფართოებას. იგი დიდად იყო დაინტერესებული აგრეთვე ქვეყნის შიგნით მატერიალური კულ-

---

[1] სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის რედაქც., გვ. 338.

[2] იქვე, გვ. 339.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 347.

[6] იქვე, გვ. 366.

ტურის ძეგლთა აღდგენით, თუ ახლის გაკეთებით. მის საალმშენებლო საქმიანობაზე მიგვითითებენ ის წარწერები, რომლებიც ჩვენამდე შემონახულან მაშინდელ ძეგლებზე. მოვიყვანოთ ზოგი მათგანი: 1. ქ ს ნ ი ს ც ი ხ ი ს წ ა რ წ ე რ ა. „ქ. ღ~თს მინდობით ჩვენ მუხრანბატონმა სახლთუხუცესმან კონსტანტინემ აღვაშენეთ ციხე ესე დავსდევით სახელით კონსტანტილაბათი მტერთა მბრძოლთა განმაბნეველად, რათა მკვიდრნი მამულთანი არ წარტყუენილ იქმნენ. ქ~ს აქათ ჩღმვ, ქ~კს ულდ“ (1746 წ.).

II. მ ჭ ა დ ი ს ჯ ვ რ ი ს ც ი ხ ი ს წ ა რ წ ე რ ა. „ქ. ოდეს ჟამთა ქცეულებისაგან და ცოდვათა ჩუენთა მიერ მო/ო/ხრებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან, რომელ არიან კავა/ა/ს/ს/ა შინა და თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არც თუ ერთსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილ იყო რომელ არარასა ცნობილ იყო თუცაღა სოფელსა ამას პირველ შენობა ყოფილიყო თვინიერ ეკლესი/ი/სა ამის, რომელი აღეშენა ბატონიშვილსა კათალიკოზსა დომენტის, აწ ჩვენ მუხრანის ბატონმა კოსტანტინე ჰელეყავ აღშენებად ციხისა ამის სამკვიდროსა ჩემსა, რათა კაცრიელ იქნას და ეშენონ კაცთა და მტერთა და მარბიელთაგან უვნებლად დაშთენ. აღვაშენე მეფობასა ცხებულის პ ო რ ფ ი რ ო ვ ა ნ ი ს /მე/ფის თეიმურაზისა ქრისტეს აქეთ ჩღმვ, ქ~კს უ/ლდ/ (1746 წ.).

III. შ ი ო ს უ ბ ნ ი ს ც ი ხ ი ს წ ა რ წ ე რ ა. „ქ. შევედრებითა ღვთისითა ჩვენ მუხრნის ბატონ და სახლთუხუცესმან პატრონმან კონსტანტინემ აღვაშენე გალავანი ესე და ბურჯნი შიოს უბანი წარსაგებელითა და საფასითა ჩემითა და მრავალ შრომითა ჟამსა ამასა ოდესაცა მტერნი უსჯულნი მძლავრებდენ ქვეყანასა ქართლისასა ადგილითი-ადგილად მოკრებულ იყო სოფელნი და დაბანი და ესეცა შიოსუბანი მკვიდრთაგან თვისითა ცარიელ იყო და მიმოდაბნეულ იყვნენ მოსახლენი ამისნი და მე შემოვკრიბენ და მოვზღუდენ ქვითკირითა ვინადგან სამკვიდრებელი იყო პაპის პაპათა ჩემთა და მე ვიყავ მკვიდრი მათი ქ~ს აქათ ჩღნვ ქ~კს უმდ“[1] (1756 წ.). არ იყო იმდროს ქართლის პოლიტიკური ცხოვრების არცერთი უბანი, სადაც მუხრანბატონთა სახლის შვილებს მონაწილეობა არ მიეღოთ.

აბდულაბეგის წინააღმდეგ ბრძოლის დროს კონსტანტინე მუხ-

[1] ყველა ეს წარწერა ამოღებული მაქვს ზაქარაიას ზემოთ დასახელებულ შრომიდან.

რანბატონი ერეკლეს მხარეზე იყო და თაბორის ციხის იერიშებს ხელმძღვანელობდა[1].

აქ კონსტანტინემ მხნეობა გამოიჩინა და სამაგიეროდ ერეკლემ კონსტანტინეს სიგელი მისცა: „გიბოძეთ თქვენ ჩვენს მძახალს, მუხრანის ბატონს კონსტანტინესა, ქალაქის მოურაობა ჩვენზედ თავადებით სამსახურის სამაგიეროთ. გქონდეს და გიბედნიეროსთ ღ~თნ ბატონის მამის ჩვენის მეფის თეიმურაზისა სამსახურში და ჩვენს ერთგულებაში, ამ პირობით, რომ თუ ბატონს მამა ჩვენს იქ არავისთვის არ ებოძებინოს, ბატონს მამაჩვენთანაც მოგეხმაროთ და გაგირიგოთ, წყალობა ვაქნეინოთ...“ საბუთი 1748 წლით თარიღდება[2]. 1749 წლის ერევნის ლაშქრობის დროს კონსტანტინე მუხრანბატონიც იღებდა მონაწილეობას[3].

ფანახანზე ლაშქრობის დროს 1751 წელს, პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, „აშოთან მუხრანბატონისშვილი ორის კაცით უკან საშოვნად დარჩომილ იყვნეს, ამათ ფანას კაცნი შეყროდენ და დაეხოცათ, თავები ფანახანისათვის მიერთმეევიათ. ამ აშოთას ფანა მრავალჯერ ენახა და იცნობდა, დიდი კაცისშვილი იყო, მისწერა ჭარში წიგნი: „დაუმარცხე ქართველთაო, გავაქციეთ, მუხრანის ბატონი მოვჰკალიო“[4].

როგორც ცნობილია, ერეკლე და თეიმურაზი აჯიჩალაბთან დამარცხდნენ. დროებითი წარმატებით გათამამებული აჯიჩალაბი საქართველოს მოთხრას ლამობდა. ერეკლემ და თეიმურაზმა კონტრ-ზომები მიიღეს, „მუხრანის ბატონს სალთხუცეს კოსტანტინეს და ამილახორისშვილს შაჰ-ყული ხან გივს დადვეს საქმე ქართლისა. ასე რომ ამათსა უნებურსა და გარდუვალსა ვერცა მეფენი და ვერცა თავადნი ვერარას იქმოდენ“[5]. ამავე დროს იმიერ კავკასიაში საგანგებო წარმომადგენლები გაგზავნეს და ჯარი დაიბარეს. იქ დაქირავებული ჯარი მუხრანში დაბანაკდა. ამ ჯარს კონსტანტინე მუხრანბატონმა უმასპინძლა. ამავე დროს სანამ საერთო ლაშქრობა გამოცხადდებოდა აჯიჩალაბზე, კონსტანტინე მუხრანბატონი და გივი ამილახორი მუხრანში მყოფ ჯარს სათავეში ჩაუდგნენ და ზემო ქართლში მოთარეშე ლეკებს შეებრძოლნენ. მალე ერეკლემ ახალი ჯარი გადმოიყვანა და მუხრანში მყოფ ჯარს

---

[1] პ. ორბელიანი. ამბავი ქართლისა. ქ. ც. II, გვ. 411—412.

[2] საქართველოს ცენტრ. არქივი. ფ. 229, დავთარი 5, საბ. 98.

[3] პ. ორბელიანი. ამბავი ქართლისა. ქ. ც. II. გვ. 421.

[4] იქვე, გვ. 425.

[5] იქვე. გვ. 442.

შეუერთდა[1]. ამის შემდეგ მუხრანბატონი აღჯაყალას ლაშქრობს[2].

განსაკუთრებით დიდი იყო მუხრანბატონების მონაწილეობა ლეკებთან ბრძოლაში. 1754 წელს ხუნძახის მფლობელი ნურსალიბეგი ქართლში შემოიკრა. მან იერიში მიიტანა მჭადისჯვრის ციხეზე. მჭადისჯვარი მუხრანბატონიანთ წილხდომილი ქვეყანა იყო და ამიტომ იგი კონსტანტინეს უნდა დაეცვა უპირველეს ყოვლისა. პაპუნა ორბელიანი წერს: „ხუნძახის ბატონი დუშეთიდამ თვესა აგვისტოსა ი, გარდმოვიდა, შემოაყენა ჯარი ციხესა მჭადიჯვრისასა, რომელი აღეშენებინა მუხრანის ბატონს სალთხუცეს კოსტანტინეს“[3]. მეციხოვნეებს „უგზავნიდა მუხრანბატონი ყოველ დღე კაცსა და ტყვია-წამალსა, აძლიერებდა, უთვლიდა იმედსა და პირდებოდა წყალობასა და მოხმარებასა“[4].

თეიმურაზი მაშინ ჯერ ახალგორში იყო, იქიდან დუშეთს მოსულიყო და ერეკლეს, რომელსაც კახელები მოეშველებინა, შემოჰყროდა. ერეკლეს ლეკებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა. თუმცა ლეკები დიდად სჯარობდნენ, მაგრამ მამაშვილმა მაინც შებმა გადასწყვიტეს, რადგან „მოსდიოდა კაცი მუხრანის ბატონისა თუ არ მოგვეშველებითო ამის მეტი ღონე აღარა გვაქვსო“[5].

მჭადისჯვრის ომი მომხდურის სრული დამარცხებით დამთავრდა. პაპუნა ორბელიანი შენიშნავს, რომ ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ვაჟკაცობა კონსტანტინე მუხრანბატონმა გამოიჩინაო[6].

მჭადისჯვრის ომში განსაკუთრებული მხნეობა და მამაცობა გლეხობამ გამოიჩინა. საყოველთაოდ ცნობილი გახდა ერთი დედაბერის მხნეობა, რომლის შესახებაც შემდეგში არა ერთი ღირსსახსოვარი ლეგენდა შეიქმნა.

გლეხთა მონაწილეობის შესახებ ამ ომში ცნობას გვაწვდის ერთი საარქივო საბუთი, სადაც ნათქვამია: „მჭადისჯვარს ლეკის ჯარი შემოადგა და შენ, — ეუბნება კონსტანტინე მუხრანბატონი თავის ყმას ხიზანა ხიზანაშვილს 1754 წლის ოქტომბერში, — იმ ციხის შესვლა გამოსავალში მრავალგვარად გაისარჯე და გვემსახურე, რაც გიბრძანეთ ჩვენი სამსახური აათავე, ჩვენც შენი სამსახური მივიჩნიეთ და მაგიერი ესე წყალობა გიყავით, რომ გაგა-

---

[1] პ. ორ ბ ელ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 444.
[2] იქვე, გვ. 448.
[3] იქვე, გვ. 455.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.

თარხნეთ, სითარხნის წიგნი გიბოძეთ, შენგან ჩვენი სათხოვარი არა გეთხოვებოდეს, არა ყულუხი, არა ღალა, ერთი ლაშქარ-ნადირობის მეტი... სახლთუხუცესო და მოხელეებო როგორც ამ ჩვენს ნაბრძანები ეწეროს თქვენც ამ რიგათ ჩვენი ბრძანება აათავეთ და დაუმტკიცეთ"[1].

რა თქმა უნდა, ასეთი ხიზანაშვილები ბევრი იღებდა მონაწილეობას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1755 წელს ხუნძახის მფლობელი, რომელიც მჭადისჯვრის ომიდან სირცხვილეული გაიქცა, საქართველოს კვლავ შემოესია. ამჯერად მან კახეთი აირჩია და ყვარელის ციხეს შემოადგა. ყვარელის ბრძოლაშიც ისახელეს თავი მუხრანბატონებმა[2].

1755 წლის შემდეგაც ჩვენს ქვეყანაში ლეკიანობა არ ამოშრეტილა. ლეკებთან ბრძოლა ყოველდღიურ საკითხად იქცა. მრავალ სხვა ღონისძიებებთან ერთად ერეკლემ და თეიმურაზმა „უბოძეს ჯარი ქართველთა მუხრანისა ბატონს სალთხუცეს კოსტანტინეს და გაისტუმრეს მონაპირედ და პასუხისა მიცემად მტერთასა, თან გააყანეს კახბატონის ეშიკაღასბაში სულხან კახეთის ჯარით"[3].

კონსტანტინე მუხრანბატონი სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა უბანზეც მოღვაწეობდა. იგი იყო ქართლის სამეფოს სალთხუცესი და ზოგჯერ დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდა. ასე მაგალითად, მამია გურიელი თბილისში ჩამოვიდა. მას ახალციხის ფაშა მტრობდა. თეიმურაზმა და ერეკლემ კონსტანტინე მუხრანბატონი გაგზავნეს ახალციხეს შუამავლად. კონსტანტინემ საქმე მოაგვარა. „დიდი პატივი მისცა ფაშამ მუხრანბატონს და რომელი საქმე მოხსენდა გურიელისა გაუგონა, კარგად შეარიგა და უშოვა ქვეყანა თვისი გურია. მისაცემელითა ფრიადით გამოისტუმრა მუხრანბატონი ისევ ქალაქს და მისცა საჩუქარი შესაფერად ამისად"[4].

კონსტანტინე მუხრანბატონი 1756 წელს მცხეთასთან ახლო, ღართის კარს ლეკებმა მოკლეს. მას ორი შვილი დარჩა: დავითი და ივანე. მუხრანბატონობა, როგორც პაპუნა ორბელიანი ამბობს, უბოძეს სვიმონ ლევანის-ძეს[5].

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 2601.
[2] პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 463.
[3] იქვე, გვ. 465.
[4] იქვე, გვ. 469.
[5] იქვე, გვ. 472.

1758 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ სიმონი მართლაც მუხრანბატონად არის[1].

1770 წელს სიმონი ასპინძის ომში ერეკლესთან ერთად იბრძოდა[2]. როგორც ყორდანია წერს, იგი 1785 წელს გარდაცვლილა[3], თუმცა დავით ბატონიშვილი სიმონს მუხრანბატონისშვილს უწოდებს და არა მუხრანბატონს.

სიმონის შემდეგ მუხრანბატონად ჩანს იოანე კონსტანტინეს ძე. იგი ერეკლე მეფის სიძე იყო, ცოლად ჰყავდა ქეთევანი. მას 1778 წელს ერეკლემ მადნების შემოსავლიდან ჯამაგირი გაუჩინა და საამისოდ სპეციალური სიგელი მისცა:

„ქ. ჩვენ მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან მეორემან ირაკლიმ გაგიჩინეთ ჯამაგირად თქვენ ჩვენს სიძეს მუხრანბატონს იოანეს წელიწადში მადნიდამ ოთხმოცი თუმანი ნაღდი, რომ იქნება ამისი ნახევარი — მ, ამდენი. ამას უკლებლად თვე და თვე დაფათით თქვენის ბარათით მადნემინიდან (sic) დახარჯევდეთ და ჩვენი მოხელენი თქვენს ბარათს ანგარიში ჩააგდებენ, მანამდის ღთით ერთს სახელოს და ან ერთს სარჩოს გზას მოგცემდეთ რასმე. ეს ოთხმოცი თუმანი ჯამაგირი ყოველწლივ უკლებლად მადნიდამ მოგერთმეოდესთ... როდესაც ერთი მაგვარი სახელო და სარჩო გაგიჩნდეს, ამ ჯამაგირზედ ჭელი უნდა აიღოთ“[4].

აღსანიშნავია, რომ ამ სიგელში იოანე უკვე მუხრანბატონად იხსენიება.

1783 წელს, როგორც ცნობილია, ქ. გიორგიევსკში რუსეთთან მეგობრობის ტრაქტატი დაიდვა. ერეკლეს წარმომადგენელნი იყვნენ გარსევან ჭავჭავაძე და იოანე მუხრანბატონი. ამ საქმეში იოანეს თავი გამოუჩენია და ერეკლემაც სამაგიერო წყალობა მისცა. 1784 წლის 27 ივლისის თარიღით გაცემულ სიგელში ვკითხულობთ: „თქვენ ჩვენზე ერთგულობა და თავდადებით ნამსახურობა რომ ვიცანით და უსამღვდელოესს რუსეთის და ჩვენის შე/ე/რთების საქმე/ე/ბში კარგად და რიგიანად გაისარჯენით და ბურთხეულის მამის თქვენის მუხრანის ბატონის სალთხუცის კოსტანტინეს ნამსახურობაც რომ მოვიხსენეთ, გიბოძეთ და წყალობა გიყავით, თქვენის ოჯახის ნაქონი ჩვენის კარის სალთხუცობა და ამის გარდა მოგიბოძეთ ერევნის სამფლობელოს ღრუბერნატორო-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 1125.

[2] დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, გვ. 11. ქ-ბი II, გვ. 529.

[4] საქ. მუზეუმი, Hd, 2132.

ბა, რომ ამათი საქმე ყოველივე თქვენის კითხვით გარიგდებოდეს"[1].

1798 წელს სახელო — „ქართლის სრული სალთხუცობა" „ყოვლის თავისის შესაფერისი სარგო-განწესებით" გიორგი მეთორმეტემ კვლავ ივანე მუხრანბატონს დაუმტკიცა[2].

1786 წელს ივანე მუხრანბატონი ერეკლეს დავალებებს ასრულებს ერევნის სახანოში[3]. ივანე 1795 წლის კრწანისის ომის მონაწილეა.

ივანე მუხრანბატონი 1801 წ. გარდაიცვალა. მის შემდეგ მუხრანბატონია კონსტანტინე ივანეს ძე.

4. საამილახოროს დამოკიდებულება ქართლის საეფოსთან

როგორც ცნობილია, ზევდგინიძეებმა გვარი თანდათან დაივიწყეს, XV—XVI სს. ისინი ზევდგინიძე-ამილახორებად იწოდებოდნენ, ხოლო XVII საუკუნიდან — ამილახორებად.

ამილახორის ხელი საშუალო საუკუნის ფეოდალურ საქართველოში საკმაოდ დიდი იყო. „ქელმწიფის კარის გარიგებაში" ამილახორი ამირსპასალარის ვაზირად არის აღიარებული. „ამირახორი ვაზირი არის ამირსპასალარისა"[4]. იქვე აღნიშნულია, რომ: „მეაბჯრეთ-უხუცესი და მეამბჯრენი და მესარტყელენი და საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამირახორის ქელისანი არიან"[5].

საკმარისია ითქვას, რომ ამილახორი უფლებრივად მეეურეთ-უხუცესისა და მსახურთუხუცესის სწორი იყო და თუმცა სათათბირო ხმის უფლებით, მაგრამ მაინც დარბაზობას ესწრებოდა.

სიტყვის ეტიმოლოგიიდან აკად. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ ამირახორი კავალერიის უფროსი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში იგი სამხედრო პირი იყო.

ზევდგინიძეთა საგვარეულოდან ამილახორად პირველად ჩანს თაყა, ვახტანგ ალექსანდრეს ძის მეფობის დროს (1442 — 1445), „მერმე დაჯდა ვახტანგ ბატონად და ბიძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო"[6]. აქ არ არის ნათქვამი, რომ ზევდგინიძეებისათვის ამილახორობა ვახტანგს მიეცა, აქ თითქოს იგულისხმება კიდეც, რომ თაყა ვახტანგამდისაც ითვლებოდა ამილახორად. ვიცით, რომ ზევდგინ ზევდგინიძე და თაყა ზევდგინიძე ალექსანდრე პირველ-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 5, საბ. 70.
[2] იქვე, საბ. 74.
[3] დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, გვ. 18.
[4] გარიგება ქელმწიფის კარისა, გვ. 2.
[5] იქვე, გვ. 9.
[6] მასალები, I. 1937 წ., გვ. 41.

თან (1412—1442) კეთილნამსახურნი იყვნენ. ალექსანდრეს რამდენიმე საბუთი არსებობს ზევდგინიძეებისადმი. ერთ საბუთში, რომელიც 1426 წლით თარიღდება, ნათქვამია:

„მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზ ე რ დ გ ი ნ ი ს ძ ე ნ ი, გ ო რ ი ს მ ო უ რ ა ვ ი და ეზოს ჩუხჩარეხი ა ვ თ ა ნ დ ი ლ, ზ ე რ დ გ ი ნ და თ ა ყ ა გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეწყალნეს, და ვისმინეთ აჯა მათი და მიუბოძეთ ქ ა რ უ მ ი ს ძ ე ქ ა ვ თ ა რ და მ ი ს ი შ კ ი ლ ი“[1].

1429 წელს ავთანდილი კვლავ გორის მოურავად ჩანს, თაყა მოლარეთუხუცესია, ზევდგინ თანამდებობის გარეშე მოიხსენება[2]. 1430 წ. თანამდებობები კვლავ უცვლელი აქვთ და გორის მოურაობა სამემკვიდროდ ებოძებათ[3].

1433 წ. თაყა კვლავ მოლარეთუხუცესად იხსენება[4].

ჩანს, ამილახორობა ზევდგინიძეებს მიუღიათ 1433 წლის შემდეგ. ჟორდანიას ერთი ცნობა, რომ 1401—1413 წ. შორის დაწერილ მცხეთის გუჯარი ამირინდო ამილახვარი მოიხსენიებაო, არ არის მართალი. ამ დროის ზევდგინიძიანთ გვარის სხვა საბუთებში ამირინდო ამილახორი გაცილებით გვიან იხსენიება. საბუთის ჟორდანიასებური დათარიღება მცდარია. ეს საბუთი გაცილებით გვიანდელია[5].

ამ ხანებში რამდენიმე ამილახორი ვიცით. არა ზევდგინიძეთა გვარიდან: 1. 1401 — 1404 (თუ ჟორდანიას მიერ ეს დათარიღება სწორია, დ. გ.) ამილახორია გრიგოლ გობირახის ძე[6].

2. 1405 წლის 13 აპრილის, მცხეთის ერთ გუჯარში ამილახორად ჩანს ხიმშია[7].

3. 1451 წლის საბუთში მოხსენებულია „გობელისძეთა ამირაჯიბი და მცხეთის საყდრის ამილახორი რამინი“[8].

სხვა საბუთებით ვიცით აგრეთვე, რომ არსებობდა სამცხის ათაბაგის ამილახორიც.

რა საერთო აქვთ ამ ამილახორებს ამირსპასალარის ამილახორებთან, ან რა მოვალეობას ასრულებენ ესენი, სამწუხაროდ საბუთებიდან არაფრის თქმა არ შეიძლება.

---

[1] საქ. სიძველენი III, დამატ., გვ. 8.
[2] იქვე, გვ. 10.
[3] იქვე, გვ. 12—13.
[4] ქ-ები, II. გვ. 240.
[5] ქ-ბი, II, გვ. 205.
[6] ქ-ბი, II, გვ. 206.
[7] იქვე, გვ. 214.
[8] იქვე, გვ. 261.

როგორც აღნიშნული იყო, ზევდგინიძეები სხვადასხვა ხელის მფლობელები იყვნენ. მაგ., ავთანდილ ზევდგინიძე იყო ჩუხჩარეხი და გორის მოურავი. ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ გიორგი მეფემ იოთამ ამილახორის შვილს მიუბოძა „სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაოდ სამთავისი და კარისა ავისისა ამილახვრობა"[1]. აქ ისე გამოდის, რომ ერთსა და იმავე პირს აქვს ქართლის სპასპეტობა, გორის მოურაობა და ამილახორობა. XVII—XVIII საუკუნეებში მართლაც რომ ასეა, მაგრამ პირველხანებში გორის მოურავი სხვა იყო და ამილახორი სხვა, თუმცა ორივე ზევდგინიძიანთ გვარიდან. მაგ., ბაგრატის მეფობის დროს (1466—1478) გორის მოურავია ავთანდილი, ხოლო ამილახორია მისი ძმა ამირინდო[2].

XVI საუკუნიდან, დავით მეცხრის მეფობიდან (1505—1525) მოყოლებული, ამილახორობა, გორის მოურაობა და სარდლობა ერთი პირის ხელში იყო, იგივე ითვლებოდა საგვარეულო მამულის—საამილახოროს უფროსად. ამიერიდან, ჩვენის აზრით, ამილახორობა აღარც უნდა არსებულიყო ძველის მნიშვნელობით და ზევდგინიძის ამილახორობა სხვა არაფერი იყო თუ არა ზემო ქართლის სადროშოს უფროსობა ანუ სარდლობა, ასეთი მოსაზრებისათვის ჩვენ პირდაპირი საბუთებიც გაგვაჩნია.

ოთარ ამილახორი ამბობს: „მქონდა ამილახვრობა. ესე იგი მეფის მემარჯვენე სარდლობა, და მქონდა შემოსავალი ამისი"[3].

თაყა II 1433 წელს ეკვდერს იგებს შიომღვიმში, იგი მოლარეთუხუცესი და შემდეგ ამილახორია[4].

1453 წელს ზევდგინ, ამირინდო და ავთანდილი იხსენებიან[5], ამასთანავე ზევდგინ ეზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავია, ამირინდო, როგორც საჩივრის წიგნიდან ჩანს, ამილახორია. ხოლო ავთანდილი, თუ გურამი, ამავე საჩივრის წიგნით გორის მოურავია.

სამების ტყავის „სულთა მატიანეში" მე-15 საუკუნის ხელით ჩაწერილნი არიან: „ამილახორი ამირინდო: ამირინდოს ძე ზევდგინ, ძმა აღნია, ამილახვრისშვილი შიაოშ, ამილახორი თაყა"[6].

1475 წ. შიომღვიმის სიგელში მოხსენებულია მამია ზევდგინიძე და მისი მეუღლე გულქან[7]. 1477 წ. სიგელში მამია მეჯინიბეთ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, გვ.307.
[2] მასალები, 1937 წ., გვ. 43.
[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბუთი 9304.
[4] მასალები, I. 1937 წ., გვ. 41.
[5] საქ. სიძ. III, გვ. 14.
[6] ქ-ბი II, გვ. 206.
[7] იქვე, გვ. 297.

უხუცესად იხსენიება, აქვეა მოხსენებული მამისას ძმისწული ზაქარია[1].

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე დავურთოთ ამილახორებისა და ზევდგინიძიანთ გვარიდან სხვადასხვა თანამდებობის პირთა და საერთოდ ამ გვარისშვილთა სია. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ ჭირს ზედმიწევნით დადგენა, არა მარტო იმისა თუ ვინ ვისი შვილია, არამედ მათი მოღვაწეობის დათარიღებაც.

1. ზევდგინიძე (სხვილოსური მამულის მიმღები „ზევდგინიძეთა" გვარის ფუძემდებელი)[2]; 2. მამისა; 3. თაყა I (ნასისხლად მიიღო ახალციხე და მღვიმე)[3]; 4. ავთანდილ I (თაყასშვილი); 5. ჯანიბეგ (თაყასშვილი).

ავთანდილი 1429 წელს ეზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავია. ავთანდილთან ერთად მოიხსენება ზერდგინ და თაყა[4]. ჯანიბეგ — თემურლენგის წინააღმდეგ მებრძოლი პირია; 6. მამისა II (ჯანიბეგისშვილი)[5]; 7. თაყა II (ჯანიბეგისშვილი).

სათანადო საბუთებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ზევდგინიძის გვარმა ამილახორობა დაიმკვიდრა XV საუკუნის 40-იან წლებიდან.

ამილახორად პირველი ჩანს თ ა ყ ა II, ზევდგინიძე, მასვე აქვს მოლარეთუხუცესობა[6]. თაყას შემდეგ ამილახორია ა მ ი რ ი ნ დ ო. იგი ამილახორობს ბაგრატ მეფის (1466—1478) მეფობის დროს[7]. ამირინდოს შემდეგ ამილახორი უნდა ყოფილიყო მ ა მ ი ა ზევდგინიძე, იგი 1504 წელს ამილახორად იწოდება[8]. როდის მიიღო მან ამილახორობა არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ 1477 წელს იგი მეჯინიბეთუხუცესია[9].

მამიას შემდეგ ამილახორობს თ ა ყ ა III, იგი 1513—1523 წლებში იხსენიება ამილახორად. თაყას მეუღლეა ფანასკერტელის ასული — ულუმპია, შვილები: თომა, ბარზი, ავთანდილი, ფარემუზა, იოთამი, ბეჟანი (ადრე გარდაცვლილა) ძმები: ზედგინ და სიაოშ (ესენიც გარდაცვლილებია)[10].

---

[1] საქ. სიძ. III, გვ. 17.
[2] მასალები, I, 1937 წ., გვ. 4.
[3] იქვე, გვ. 5.
[4] საქ. სიძ. III, გვ. 8,10.
[5] იქვე, გვ. 6.
[6] საქ. სიძვ. III, გვ. 12; მასალები, I, 1937 წ., გვ. 41
[7] მასალები, I, 1937 წ., გვ. 43.
[8] ქ-ბი, II, გვ. 324.
[9] საქ. სიძვ. III, გვ. 17.
[10] ქ-ბი, II. გვ. 332.

თაყას შემდეგ, ლუარსაბ პირველის დროს, ამილახორად ჩანს ბ ა რ ზ ი I თაყას ძე[1]. თუ ბარზი იგივე ბ ა რ ძ ი მ ი ა, მაშინ იგი ამილახორად უნდა ყოფილიყო 1569 წელსაც[2], ეგების 1581 წლამდე.

1581 წელს სიმონმა ამილახორობა თ ა ყ ა IV უბოძა.

1608 წ. ამილახორად ჩანს ბ ა რ ძ ი II, მას ჰყავდა ძმა — დემეტრე და შვილი — თაყა. იგი 1613 წელსაც ამილახორია ბარზის სახელით[3]. 1616 წ. ამილახორად იხსენიება ი ო თ ა მ ი I, ძმა ბეჟანი, ძმისწულები — ფარემუზა და იასე[4].

1623 — 25 წლებში ამილახორად ჩანს ანდუყაფარ[5].

1626—42 წ. ამილახორია იოთამი (მეორე?), შვილები—ფარემუზა და გივი.

1642—44 წ. ამილახორია ბეჟანი, ძმისწულები: ანდუყაფარ, გივი, დემეტრე, ბარძიმ, ბერი იასე[6].

1645 — 1656 წ. ამილახორი კვლავ იოთამი.

1656 — 1696 წლამდე ამილახორია გივი I, იოთამის ძე (?), მისი ძმებია იოთამი და ავთანდილი[7].

ნაზარალიხანის გამეფებისას (1688) გივი გიორგი მეფეს შერჩა, ხოლო იოთამი ნაზარალი-ხანს მიუვიდა, ნაზარალი-ხანი იოთამს აძლევს ამილახორობას.

1696 — 1698 წლებში ამილახორად ჩანს იოთამ III, გივის ძმისწული. აქვე მოიხსენებიან ამილახორის შვილები: ყორჩიბაში პაატა, იოთამის ძმა ეშიკაღასბაში ავთანდილ, ბიძაშვილები: რევაზი, ბეჟანი, შვილი: დავითი, ანდუყაფარ, ბიძაშვილები: ბარძიმ, თაყა, ძმისწულები: ზურაბ, ვახტანგ, გივი[8].

1698 წ. იოთამის ადგილზე ამილახორად ჩანს ავთანდილი[9]. იგი 1710 წელსაც ამილახორად იხსენება სპარსულ საბუთში[10], ხოლო სხვა საბუთებში ანდუყაფარია ამილახორად, ეს ანდუყაფარი გივის შვილია[11].

---

[1] საქ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყ., ფ. Hd, საბ. 2120.

[2] ვახუშტი, ქ. ც. II, გვ. 29.

[3] ქ-ბი, II, გვ. 333.

[4] საქ. მუზეუმი, Ad, 1388.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ც. II, გვ. 41.

[6] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229(4), დავ. 30, საბ. 139. საქ. მუზეუმი Hd, 2125, გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 245.

[7] იქვე, ფ. 227, საქ. 285, საქ. მუზეუმი სპარსული საბ. 130, ფ. Ad, 1095.

[8] საქ. მუზეუმი, ფ. Ad, 1095.

[9] მუზეუმი I, № 130, (სპარს).

[10] არქივი, 226 (სპარს.).

[11] მუზეუმი, Hd, 913.

ამილახორისშვილებს სხვადასხვა თანამდებობები უკავიათ: ეშიკაღასბაშობა — რევაზს, ბოქაულთუხუცესობა — ბეჟანს, ყორჩიბაშობა —ბარძიმს.

ამრიგად, ზევდგინიძიანთ გვარიდან XV—XVII საუკუნეში ამილახორებად სხედან:

1. თაყა II — 1440 წლის ახლო ხანებიდან, ვახტანგ IV მეფობის დროს (1442 — 1446);
2. ამირინდო — ბაგრატ მეფის დროს (1466 — 1478);
3. მამია — 1504 წ.
4. თაყა III — 1513 — 1523 წ.
5. ბარზი ანუ ბარძიმ თაყას-ძე, ლუარსაბ I მეფობიდან (1534—1558) 1581 წლამდე (?);
6. თაყა IV — 1581 — 1608 წ. (?), იგი ბარძიმის შვილი უნდა იყოს;
7. ბარძიმ II — 1608 — 1613 წ.
8. იოთამ I — 1616 — 1623 წ.
9. ანდუყაფარ I — 1623 — 1625 წ.
10. იოთამ (II ?) 1626 — 1642 წ.
11. ბეჟანი — 1642 — 1644 წ.
12. იოთამ (II?) 1645 — 1656 წ.
13. გივი I — 1656 — 1696 წ.
14. იოთამ III — 1688 — 1698 წ.
15. ავთანდილი (?) — 1698 — 1710 წ.
16. ანდუყაფარ (?) — 1697 — 1704 წ.

რაც შეეხება XVIII საუკუნის ამილახორებს მათი დადგენა ძნელი არ არის და ამიტომ მათ ცალკე არ გამოვყოფ.

ამილახორები სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობებზე სხედან: გორის მოურავი, ეზოს ჩუხჩარეხი, მოლარეთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, შემდეგში (XVII საუკუნეში) ყორჩიბაში, ეშიკაღასბაში, ბოქაულთუხუცესი და სხვა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XVII საუკუნიდან გორის მოურაობა, ამილახორობა და ზემო ქართლის სარდლობა, რაც იგივე ამილახორობა იყო, გვარში უფროსს ეძლეოდა და იგივე იყო საგვარეულო ქონების „მკუიდრი მამულის“ გამგებელი.

აქ ჩამოთვლილი სახელისუფლო თანამდებობაზე ჩვენ არ შევჩერდებით, ქართულს ისტორიოგრაფიაში დასახელებული თანამდებობები შესწავლილია (აკად. ივ. ჯავახიშვილი, დოც. ვ. გაბა—

შვილი, პროფ. ი. სურგულაძე), ჩვენი შესწავლის საგნად მხოლოდ ორ თანამდებობას, სარდლობასა და გორის მოურაობას, ვთვლით.

გორის მოურავებად ზევდგინიძეები პირველად 1426 წელს ჩანან. ალექსანდრე მეფის სიგელში, რომელიც 1426 წლით თარიღდება, ნათქვამია „...მოვიდეს წინაშე ჩუენისა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილი, ზერდგინ და თაყა...“[1].

ავთანდილი გორის მოურავად და ეზოს ჩუხჩარუხად ჩანს 1429 წელსაც.

1430 წელს ალექსანდრე სამემკვიდრეოდ უმტკიცებს ზევდგინიძეებს გორის მოურაობას. სათანადო სიგელში ნათქვამია: ზევდგინიძეები „გუეჯნეს, რათამცა ისდენთა ვალთა და სამსახურთა სანაცვლოდ სიგლითა ამით შეგუეწყალნეს და გორის მოურაობა მიგუებოძა, ... ვითარ მიესაზღვრების ესრეთ დიდად სურვილით და სატრფოდ ერთგულებას მათსა, ეგრეთ არ დავიშურვეთ და მივეცით და მიუბოძეთ გორის მოურაობა, რათაცა წესითა ძველითგან გორის მოურავთა გორის ბაჟი ჰქონებია და ანუ გორს და და გორისა გარეშემოთა შიგან უსაქმებია, მითავე წესითა ბაჟი თქუენ გქონდეს და მითავე წესითა გორს და ეორისა გარეშემოთა შიგან თქუენ საქმობდით“[2].

1454 წელს ზევდგინიძეებმა გორის მოურაობა დაკარგეს: გიორგი მეფეს გორის მოურაობა გამრეკელ ჯავახიშვილისათვის მიუცია[3].

ავთანდილ (თუ გურამ) ზევდგინიძეს ბაგრატ მეფისათვის ქრთამად 100 კოკა ღვინო მიუცია, გორის მოურაობა დაუბრუნებია[4].

ამის შემდეგ საბუთებში არ ჩანს გორის მოურაობა როდის დაკარგეს ზევდგინიძეებმა, მაგრამ ვიცით, რომ სიმონ პირველის დროს გორის ალყისას (1598 — 99) მოურავი თურმანიძეა, ხოლო შემდეგში კვლავ ამილახორები.

მოურავი დიდი ხელისუფალი იყო. მას „ქალაქის მოვლა და ბეჯითად გარჯა“ ევალებოდა[5]. თითოეულ ქალაქის მოურავს თავისი სარგოს წიგნი ჰქონდა, სადაც ჩამოთვლილი იყო მისი უფლება-

---

[1] საქ. სიძვ. III, გვ. 8.
[2] იქვე, გვ. 12—13.
[3] საქ. სიძვ. II, გვ. 38.
[4] მასალები I, 1937 წ., გვ. 43.
[5] საქ. სიძვ. II, გვ. 523.

მოვალეობა. მოურავის სარგოს წიგნის პირველ მუხლშივე ნათქვამი იყო: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და საში-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში“[1].

ამ ზოგადი დებულებიდან გამომდინარეობდა უფრო კონკრეტული მოვალეობანიც. მოურავის სარგოს წიგნის მე-9 მუხლით გათვალისწინებული იყო: „მოქალაქე რომ უცხოს ქვეყნიდამ მოვიდეს, პირველად მოურავი უნდა ნახოს, ფეშქაში უნდა მიართვას მოურავს“[2].

მოურავის უფლება-მოვალეობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს როსტომ მეფის მიერ მიცემული სიგელი ამილახორისადმი. სიგელი 1656 წელს არის დაწერილი და მოურავის შესახებ მასში ნათქვამია: „ს ა მ ა რ თ ა ლ ი მ ა თ ი (გორელების შესახებაა ლაპარაკი, დ. გ.) არა იკითხოდეს უთქვენოდ, ვერც ვის გაჰყრიდეს თქვენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერცა ვის შეჰყრიდეს, ვერცა ვის მამულს მისცემდეს და ვერცავის გამოართმევდეს. არცა ჰქონოდეს მამასახლის ქალის გათხოვების საჩექმოსთან ჯელი და არც თევზის ბაჟთანა; სათქვენოდ იყოს, როგორც ძუელს სიგელ'ში გეწეროს, ჯურუმისაც და ყოვლისფერის იქაურის მოსავლის ათისთავის სათავო და რაც სამოურაო წესი ყოფილიყოს უკლებლად გვიბოძებია“[3].

დაბოლოს, არსებობს გორის მოურავის სარგოს წიგნი, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი გორის მოურავის უფლება-მოვალეობაზე. ოთარ ამილახორი ამბობს: „ზ — მქონდა გორის მოურაობა, გორში სამეფო ნაზვრევი არის, ნაბაღვარი და ურწყავები. აქედამ, რაც შემოსავალი იქნებოდა, ათის თავი ჩემი იყო და აქედამ მქონდა სარგებლობა.

ᲗᲘ — გორის მალიდამ მქონდა, რაც შემოვიდოდა სამეფოთ, იმისი ათის თავი (ამაში მქონდა სარგებლობა).

ი — გორის დამოუნა, ესე იგი იჯარა სამეფო, აქედამ მქონდა განწესებული, ზოგიდამ ათის თავი, ზოგიდამ ოცისა და თხუთმეტისა, რომ წელიწადში ჩემი სარგებლობა იყო თხუთმეტს თუმნამდინ.

ია — რაც გორში ჯარიმა ადგებოდა მეფეს საქმე არა ჰქონდა, ის ჯარიმა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

---

[1] საქ. სიძვ. II, გვ. 523.
[2] იქვე, გვ. 524.
[3] საქ. მუზეუმი. Hd. 4248.

იბ — იმერეთიდამ საპალნით ღვინო რომ შემოვიდოდა და ან სხვაგნიდამ ურმითა, ურემზედ ორი თუნგი ღვინო ჩემთვის აიღებოდა და აგრეთვე საპალნეზედ ნახევარი თუნგი, ამაში მქონდა სარგებლობა.

იგ — ხმელი თევზი, რომ შემოვიდოდა, ურემზედ სამი წყვილი თევზი ჩემი იყო და ახალი თევზი სასაპალნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

იდ — ზეთის ხილი, ჭანჭური, ნიგოზი, ვაშლი, წაბლი და ხურმა, ამებისა რაც შემოვიდოდა, საპალნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

იე — გორში მოსახლეს კაცზედ ექვსი შაური სამოურაო დებულება ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

ივ — გორში მოსახლეთ კომლზედ წელიწადში ორი ძღვენი დებულება აძესთ, თითო ძღვენი ხუთ მინალთუნათ ეღირებოდა, ამაში მქონდა სარგებლობა.

იზ — ახალწელიწადს კომლზე თითო შაქარი აძევსთ რომ მომიტანდნენ და ზოგნი ბატკანს მომგვრიდნენ, ამაში მქონდა სარგებლობა.

იᲗ — გორში რამდენიც მესამთლის დუქანი არის, დუქანზედ ნახევარი ლიტრა ქონის სამთელი ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

ით — ახალი წელიწადი რომ დადგებოდა და იჯარა გამოიცვლება, პირველის დღიდამ ათი დღე ჩემი არის, — რაც საბაჟო შემოვა, იმისი ბაჟი ჩემია, ამაში მქონდა სარგებლობა.

კ — გორელნი თუ სხვანი ვაჭარნი, როდესაც სხვა ქვეყნიდამ მოვიდოდნენ, ჩემს საფერს ფეშქაშს მომართმევდნენ და ამაში მქონდა სარგებლობა.

კა — რაც გორში მამული გაისყიდებოდა ან იყიდდა ვინმე, ან გაიცემოდა, იმისი სიგელი ჩემგანაც უნდა დაბეჭდილიყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

კბ — გორელი კაცი ქალს რომ გაათხოებდა, საჩექმე დებულება ერთი ოქრო ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

კგ — ქალაქის ჩელიექის იჯარიდამ განწესებული მქონდა წელიწადში სამთუმანნახევარი, ამაში სარგებლობა მქონდა. ამაების შემოსავალში წელიწადში შემოსავალი მქონდა ხუთასი თუმანამდინ, ხან მეტი და ხან ნაკლები"[1].

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები, 1948 წ., ნაკ. I, გვ. 86—87.

ერთი სიტყვით, მტკიცედ იყო დადგენილი, რომ „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს, და მოურავი ქალაქისა და მოქალაქის მოვლას დიდად უნდა ცდილობდეს ყოვლის თავის გარჯით და თავდადებით“[1].

როგორც მოტანილი საბუთებიდან ჩანს, მოურავი დიდი ხელისუფალი იყო და მისდამი რწმუნებულ ქალაქში იგი თავკაცად ითვლებოდა[2].

XIV საუკუნის უკანასკნელი ოცეული საქართველოს პოლიტიკუ რცხოვრებაში თემურლენგის გამანადგურებელი შემოსევებით აღინიშნა. თემურლენგის რვაგზის ლაშქრობამ ქვეყანას მძიმე კვალი დაამჩნია. საერთო უბედურებას ქართველმა ხალხმა სერიოზული შეფასება მისცა და მომხდურ აგრესორს ომი გაუმართა. ამ საერთო ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე იღებდა მონაწილეობას, თუმცა სამწუხაროდ, არა ერთიანი და ორგანიზებული ძალებით.

თემურლენგის შემოსევების დროს ზევდგინიძეებს უკვე უნდა ჰქონდათ „მკუიდრი მამული“ ქართლში. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი დასაშვებად მიიჩნევს, სხვილოსური მამულები ზევდგინიძეებს უნდა გიორგი ბრწყინვალესაგან მიეღოთ. ვიცით რომ თემური შიდაქართლში და ქსნის ხეობაში ლაშქრობდა. ამ ლაშქრობის დროს (1400 წ.) მტერი ადგილობრივ მცხოვრებთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ბრძოლაში თავი ისახელა ჯანიბეგმა, რომელსაც სამართლიანად ზევდგინიძედ მიიჩნევენ.

მომდევნო პერიოდში (შეიძლება 1407 წ.) გიორგი მეფე (1393—1407 წ.) თურქმანული ტომების წინააღმდეგ ლაშქრობს. ამ ბრძოლაში, თუ ეს ცნობა გადაჭარბებული არ არის, ზევდგინიძეთა გვარის 29 კაცი დახოცილია, ერთი ტყვედ ჩავარდნილა[3].

საგარეო მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით ქვეყნის შიგნით ფეოდალური დაჯგუფებები ჩამოყალიბდა. ჩანს გიორგი მეფეს საქმე გაუჭირდა. ფეოდალები გაიფიცენ: „მეფე ჭელთა შევიპყრათ და ქართლი /ჩუენ დაგურ/ჩებისო“[4]. შეთქმულებმა ვინმე ჭუკას გვარის კაცს გაანდეს განზრახვა, მან ზევდგინიძეს

---

[1] საქ. სიძველენი, II, გვ. 528.

[2] გორის მოურავის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. დავით გვრიტიშვილი, „გორის ისტორიიდან“ (რ ე დ.).

[3] მასალები, I, 1937 წ., გვ. 39.

[4] იქვე, გვ. 39.

(თაყას?) გაუმხილა, ხოლო ზევდგინიძემ „მეფესა არ დაუმალა. (უთხრა მეფეს) ა: დასტურად გუიღალატებენო. /ღამეს, რ/ომელ-სა უღალატებდეს, მეფის საგებ/ელში ის ჩუე/ნი გვარის კაცი დაწ-ვა ღა მეფე წ/ავიდა. მოვიდეს და ჩემი გუ/არის კაცი დაირჩუნეს და მწოვედ დაკო/დეს და სიკუდილ/სა ულამოდეს და, როგორაც ეს/იცნეს, რომ ზ/ევდგინიძე არისო, აღარ მოკლეს“[1].

ამ „ერთგულებასა ზედა დგომისათვის“ კეთილად ნამსახურ ყმას გიორგიმ დაუმადლა და ნასისხლად უბოძა „მღუმე მი/სითა შესავლი/თა სასაფლაოდ“[2]. მღვიმის გარდა ზევდგინიძემ მიიღო ახალციხე სამოცი კომლი კაცით და ხუთი დახატული ჩარდახი[3].

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოს მეფეა კონსტანტინე, გიორგის ძმა. კონსტანტინე მეფე ემღურის თავის შვილს ალექსანდრეს. ალექსანდრეს მამასთან აღარ ედგომებოდა და იგი ათაბაგთან წავიდა. ალექსანდრეს თან გაჰყვა ზევდგინ ზევდგინიძე. აქ იგი, „ხუთსა წე/ლი/წადსა ღარიბობასა იახლა“. ხუთი წლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა: „კოსტანტინე მეფ/ემან/ჩალაღანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა. მო/ვიდა მამაჩემი (ავთანდილისა თუ გურამის მამა, ზევდგინი ზევდგინიძე, დ. გ.) იმავე მკუიდრსა მამულზედა, სხუილოზედა დაჯდა“[4].

ალექსანდრეს დროს ზევდგინიძეები მეფის ერთგულებას იჩენდნენ. ასეთი დამსახურებისათვის ისინი იღებენ გორის მოურაობას, ეზოს ჩუხჩარეხობას, მოლარეთუხუცესობას, დაბა-სოფლებს, ყმა-მამულს[5]. მაგრამ თუ ზევდგინიძეები ალექსანდრე მეფის თვალში „დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი“ ჩანდნენ[6], ასეთებად როდიღა იყვნენ ვახტანგ ალექსანდრის ძის მეფობისას. ვახტანგ მეფემ თავისი ქვისლი თაყა ამილახორი დაიჭირა და ლიხთიმერეთს გამოჰკეტა[7].

პოლიტიკური დაჯგუფებები, დაბეზღება-ინტრიგები კიდევ უფრო მასიურ ხასიათს იღებს გიორგი ალექსანდრეს ძის მეფობის დროს (1446—1466). სამეფო ტახტის პრეტენდენტად გამოდის

---

[1] მასალები I, 1937 წ., გვ. 39.
[2] იქვე, გვ. 40.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 40—41.
[5] საქ. სიძვ. III, დამატება, გვ. 8—15.
[6] იქვე, გვ. 8.
[7] მასალები, 1937 წ., გვ. 41.

იმერეთში მყოფი ერისთავი ბაგრატ ბაგრატიონი. მეფესა და ერისთავს შორის მრავალგზის ბრძოლებია. ამ ორთა შორის ბრძოლაში ქართლისა თუ იმერეთის ფეოდალები გარკვეულ ადგილს იჭერენ. ერთნი გიორგის უჭერენ მხარს, მეორენი — ბაგრატს. ბრძოლა ჯერ ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოოდ ბაგრატმა გაიმარჯვა. თუმცა ავთანდილი (თუ გურამი) გიორგის მხარეზე ჩანს, გიორგის რომ ბრძოლის დროს გაუჭირდა, როცა იგი ბაგრატს ებრძოდა, ავთანდილ ზევდგინიძემ მცირე სამსახური როდი გაუწია; „ოცდაოთხი (შუბი) და ისარი და ჯრმალი მესო ისეთმან წამო/ვიყ/ვანეო"[1], ამტკიცებს ავთანდილი. მაგრამ მაინც „ასრე ნამსაჰურსა და მას ქუეშე მკუდარსა მას წამსავე ციხე დამიქცივეს"[2]. ასევე დააღარიბა გიორგიმ ავთანდილის ძმაც.

როდესაც გიორგისა და ბაგრატს შორის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა და ბაგრატის გამარჯვებას უტყუარი ნიშნები უჩანდა, ავთანდილ ზევდგინიძემ თავის უშუალო ბატონს დავით დემეტრეს ძეს ურჩია, „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქნები, მე ჩემსა მაშულსა არავინ მამცემსო"[3].

ჩანს ზევდგინიძეებმა ბაგრატის ნდობა დაიმსახურეს და თუმცა დიდი ქრთამით, მაინც გორის მოურაობა კვლავ დაიბრუნეს და მამულებიც თანდათან შემოიმტკიცეს.

ასეთია ძირითადი მოვლენები ზევდგინიძეთა სახლის ისტორიიდან XIV — XV საუკუნეებში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ XVI საუკუნის საბუთები ძალიან მცირედ შემონახულა. ამიტომ ამილახორების შესახებ საუბარიც ძნელდება. XVI საუკუნიდან პოლიტიკურ ასპარეზზე ზევდგინიძეთა გვარიდან სულ რამდენიმე კაცი ჩანს, როგორც აღნიშნული გვქონდა 1504 წელს ამილახორად ზის მამისა, ხოლო 1513 — 1523 წლებში — თაყა III.

ლუარსაბ მეფის დროს (1534—1558 წ.) ამილახორები ქართლის სამეფოში აქტიურ პოლიტიკას აწარმოებენ. ამიერიდან ოფიციალურ დოკუმენტებში ერთი საინტერესო დეტალი იქცევს ყურადღებას. ქვეყნის შიგნით თავადი უკვე დიდი ხანია გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს. სამეფო სათავადოებისაგან შემდგარი კრებულია. აღსანიშნავია, რომ თავადი მარტო თვითონ კი არ ეფიცება

---

[1] მასალები, 1937 წ გვ. 42.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 43.

მეფეს თქვენს უზიანო საქმეს არ ვიზამო, არამედ მეფისაგანაც მოითხოვს, რომ ჩემს წახდენას ნუ შეეცდებიო. ლუარსაბ პირველიდან მოკიდებული, თითქმის ყველა მეფესაგან მიცემულ საამისო საბუთებს ვხედავთ ამილახორებისადმი. სხვა ამბავია, როგორ სრულდებოდა პირობა მხარეთა შორის, მთავარი ისაა, რომ ასეთი რამ იმ ხანისათვის დამახასიათებელი იყო. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე საბუთის შინაარსს: „... წიგნი, ფიცი და პირი გიბოძეთ ჩუენ ბედნიერისა და სახელგანთქმულისა ქელმწიფისა ნეფეთ-მეფისა დავითის ძემან პატრონმან მეფემან ლუარსაბ და ჩემთა ძმათა: ბატონმან ადარაზან, ბატონმან რამაზ, თქუენ ზევდგინისძეთა ამილახორისა თაყას შვილთა ამილახორსა ბარზის, ფარემუზას და იოთამს ასრე და ამა პირსა ზედა: გულმართლად და გულგანწმედით ვიყვნეთ თქვენნი უზიანონი და თქვენთჳს კარგნი და მოპატივენი. თქვენსა სხვა თქვენი გუარის კაცი არ ავირჩიოთ, არცა გაუკითხავად შემოგიბეზღოთ, თუ ვინმე თქვენი თავი შემოგუაბეზღოს გაგიკითხოთ და თუ მართალნი გამოხვიდეთ, შემბეზღებელი კაცი არა დაგიმალოთ... რაც შეგვეძლოს ძალი მოგცეთ და მოგეკმაროთ და რაცა მამულისა, და საკელოსა მქონებელნი იყვნეთ მისგან არა დაგამცროთ,... იოთამს ფიცი აუკსნათ, რაცა თქვენი მკვიდრი მამულები თქვენგან წაღებით ვისმე აქვს, მისი საჯოსა კარი არ დაგიჭიროთ. ღაზნელისძის მამული, რარიგადაცა ღაზნელის ძესა უანდერძებია, იმა წესითა არა მოგეშალოს“[1].

ასეთსავე ხასიათის საბუთს აძლევს როსტომ მეფე, სიმონ მეორე, არჩილი, თეიმურაზ პირველი და სხვა. რადგან ამ საბუთებს, ჩვენი მოსაზრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, დასახელებულ მეფეთა სათანადო სიგელებიდან საჭიროდ მიგვაჩნია გარკვეული ადგილები მოვიტანოთ.

სიმონ მეფე იოთამ ამილახორს ეუბნება — „ვიყვნეთ თქვენი უვნონი, უზიანონი, არა გავნოთ, არა გაზიანოთ, არა ჩუენმან და არც ჩუენის სიტყვის მამსმენს კაცისაგან თქუენ არა გევნოს რა და არცა რა გეზიანოს... თუ ჩვენზედ არა სტყუოთ რა, სამართლიანის საქმითა რისაც მქონებელნი მამულისა და საკელოსი ყოფილიყვნეთ, არც იმაზე დაგამციროთ“[2].

---

[1] საქ. სახ. მუზეუმი, ფ. IId, 2120.

[2] Hd, 2121.

იგივე იოთამ ამილახორს როსტომი ეფიცებოდა: ..... დღეს და დღეის უკან ვიყო შენთვის კარგი და მწყალობელი, რომელიც ან ბედნიერის ყვენისაგან და ან ჩუენგან უკეთ მოგიჯდებოდეს იმისი მსდომი და მომშირნე და თუ შენ ჩუენზედ არა სტყუარ, არც შენის მამულისა და საჯელოსაგან დაგამცროთ"[1].

ამრიგად, ამილახორების ერთგულება, ერთგული სამსახური მეფის თვალში იქნებოდა საწინდარი ურთიერთ კეთილგანწყობილებისა, მაგრამ, როგორც წესი, ურთიერთ კეთილი განწყობილება ჩვეულებრივ იცვლებოდა ქვეყნის კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით.

XVI საუკუნის 60-იან წლებში სპარსთა ლაშქარი თავს დაესხა ციხედიდთან დაბანაკებულ სიმონ პირველს. თავდასხმა მოულოდნელი იყო. მოულოდნელობამ თავისი გაიტანა, ბრძოლაში სიმონი დამარცხდა, ქართველებს დიდი ზიანი მოუვიდათ. ბრძოლის ველზე დაეცა კახთა ბატონიშვილი — გიორგი ლევანის ძე. ვახუშტის თქვით ამ ბრძოლაში „ამილახვარიანთაგანი მოსწყდნენ ცხრანი და ამისათვის მიუბოძა მეფემა ზემო ეკლესია მღვიმეს"[2].

როგორც ცნობილია, ამილახორებმა შიომღვიმის ეკლესია საგვარეულო საძვლედ მიიღეს XIV საუკუნეში. მაშ როგორ მოხდა, რომ სიმონმა მღვიმე ამჯერად უბოძა? ჩვენ საბუთებიდან არ ვიცით, თუ როდის დაჰკარგეს ამილახორებმა მღვიმე. თუმცა სხვა ქონებას, რომ ჰკარგავდნენ ამის არა ერთი საბუთი არსებობს. ყურადღებას იპყრობს გამოთქმა „ზემო ეკლესია". როგორც ცნობილია, ამილახორებმა მღვიმე სასისხლოდ მიიღეს თავის დროზე; ეს იყო მათი დიდი დამსახურება მეფის თვალში. თაყამ ცალკე ეკვდერი გაიკეთა იმ მოტივით, რომ „პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქნეს, მათთანა დასაფლავებად... ვერ მკადრე ვიქმენ და ცალკე ახალი ეკუდერი ავაგე"[3].

ეგების თაყა ამილახორი იმიტომ ამბობს ამას, რომ მღვიმეში დასაფლავებული ზევდგინიძენი ღვაწლით მოსილნი იყვნენ მასზე უფრო? და თუ ასეთ მოსაზრებას დავუშვებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მომხდურ მტერთან ბრძოლაში ცხრა ამილახორთაგანმა თავი გამოიჩინა და ამის საგანგებოდ აღსანიშნავად სიმონმა მღვიმის მონასტერში ცალკე ადგილი ზემო ეკლესია გამოუყო?

---

[1] საქ. სახ. მუზეუმი, ფ. Hd, 2117.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება. გვ. 26.

[3] შიო-მღვიმის საბუთები, გვ. 72.

აღსანიშნავია, რომ იოანე ბატონიშვილიც ასახელებს ამ ფაქტს. გიორგი ამილახორისშვილის შეკითხვაზე „მღვიმე ვითარ არის ჩვენი?“ იოანე ხელაშვილი უპასუხებს: „მღვიმე მონასტერია და არა საყმო. ხოლო მღვიმის ეკლესიასა შინა მეფემან სვიმონ ინება თქვენის გვარისა დასაფლავება, რომელნიცა მძეგვს ბეფის წინაშე დაიხოცნენ, ოსმალოს ომში, ექვსი თქვენგანნი და სამნი ტუსიანნი, რომელნიც ზედგინიძეობდენ ძველად; და ბძანა სვიმონ მეფემან პატივით მათი დამარხვა დიდსა ეკკლესიასა შინა, შიო მღვიმელის მონასტრისასა. და მუნ ყამითგან ჰფლობთ მას დროსამებრ“[1]. მართალია აქ ბევრი რამ შეუსაბამოა, ჯერ ერთი, ავტორმა არ იცის, რომ მღვიმე ძველათაც ეკუთვნოდათ ზედგინისძეებს. სხვათა შორის, ჩანს, არც ვახუშტის სცოდნია ეს ფაქტი, გარდა ამისა, ბრძოლა მოუხდათ არა ოსმალების, არამედ სპარსელების წინააღმდეგ, სამაგიეროდ სხვა ცნობები ვახუშტისას ემთხვევა და ეჰვს არ იწვევს.

1569 წ. ფარცხისის ომში სიმონი სპარსელებმა დაატყვევეს. მებრძოლი პატრიოტის დატყვევება ხელ-ფეხს უხსნიდა რეაქციულ ფეოდალებს თავისუფალ თარეშისათვის. ეგნატაშვილის სიტყვით, „ცოლი მეფისა სვიმონისა დედოფალი ნესტანდარეჯან, ასული კახის ბატონისა, იყო კავთის-ჯეუს და ჰყუა ძე მისი მცირე გიორგი. და რა ნახეს ქსნის ერისთავმა და ამილახორმან, ნესტანდარეჯან დედოფლის ქმარი ალამუტის ციხეში დაატყუევეს და ძმანი მისნი ძოსრნა ალექსანდრემ და ალექსანდრეც არ იყო კარგი იმისთჳს, ამისთჳს რომე არ იყო ნაშობი დედისა თჳსისა, ამაზედ დრო იცეს ამილახორმა და ქსნის ერისთავმან და შეესივნეს დედოფალს ნესტანდარეჯანს და აიფორაქეს და წარიღეს საქონელი ყოველივე, რაცა ჰქონდა, რ/ამეთუ/ დაუთხანსაც არ ენაღვლებოდა“[2].

მსგავსი ცნობები შემოუნახავს ვახუშტისაც. ვახუშტი გვამცნობს, რომ ბარძიმ ამილახორი სიმამრი იყო ალექსანდრე კახთბატონისა და სიმონის ცოლ-შვილის აწიოკებაში მან წააქეზა ამილახორი და ქსნის ერისთავი. ისინიც „მოუხდნენ დედოფალს სვიმონ მეფისასა კავთის-ჯევს მდგომსა და წარუხვნეს სრულიად ქონებანი და აილაფეს, რომელი არ ჯერ იყო საყოფელად 'მაშინ იტყოდიან თემნი: „ვაი სვიმონ მეფისა საქონელსაო“[3].

---

[1] კალმასობა I, გვ. 49.

[2] ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 86—87.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 27.

1569 — 1578 წლები იყო დაუთხანის მმართველობის წლები. ვან თავი ვერაფერს გაართვა, ეს პერიოდი არის აშკარა თავადური რეაქციის პერიოდი. მწარმოებელი საზოგადოების უზომო ექსპლოატაცია, გაუკითხაობა, ურთიერთ თავდასხმები, რბევა-აწიოკება განუყრელი თანამგზავრი იყო მოცემული პოქისა.

ამ შინაურ გართულებას ზედ დაერთო ოსმალო-თურქების შემოსვლა. მუსტაფა ლალა-ფაშამ 1578 წელს ჩილდირის ტბასთან სპარსელები დაამარცხა და ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. მალე საქართველოს შემოადგა. დაუთხანი უძლური აღმოჩნდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი, გამცემლობა-მოღალატეობას ჩვეული, ოსმალთა მხარეზე გადავიდა და ქვეყნის ციხე-სიმაგრეები მტერს ჩააბარა. სპარსეთში მომხდარ ფაქტს სერიოზულად შეხედეს და ტყვეობაში მყოფი სიმონი ახლა მათთვის ერთადერთი იყო, რომელიც ოსმალურ ძალას დაუპირისპირდებოდა. იგი ქართლში გამოისტუმრეს. სიმონი ჩამოდის ქართლში, იკრებს ძალებს და აწყობს მტრის განდევნის ორგანიზაციას. ამილახორი და ქსნის ერისთავი გრძნობდნენ რა დანაშაულს, გორგიჯანიძის სიტყვით „ქართლში ვეღარ დადგნენ, ჯალაბობით გაეცალნეს და კახს ბატონს შეეხვეწნეს და მეფემ სვიმონ იმათი ალაგი და სოფლები საუფატიოთ (sic) ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონისშვილს ვახტანგს მისცა“[1].

ვახუშტის ცნობით, სიმონს შეუპყრია ბარძიმ ამილახორი, მაგრამ დედოფლის ჩარევით შეუნდეს ამილახორსა და ერისთავს, ოღონც მამულები შეუმცირეს; ერისთავს მეჯვრისხევი წაართვეს, ხოლო ამილახორს—კასპი და კარბი, თუმცა შემდეგ ისინი სიმონმა „აფუცა ერთგულობასა ზედა და განუტევა“[2].

1581 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმონმა ამილახოროობა თაყას უბოძა და სათანადო სიგელით საამილახოროში შემავალი სოფლები და ყმა-მამული დაუმტკიცა.

ამავე ხანებში უნდა დაეკარგათ ამილახორებს გორის მოურაობა. 1599 წელს გორის მოურავად ჩანს სულხან თურმანიძე.

XVII საუკუნის ოციან წლებში, შაჰ-აბაზის მძვინვარების საშინელ ხანაში, როცა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი სწყდებოდა, თავადთა ერთი ნაწილი მოძმეთა სისხლში ხელებს იბანდა და მტერს ეხმარებოდა. ამ დროს ამილახორად ჩანს ანდუყაფარ

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 219—220.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II. გვ. 29.

პირველი. საერთო გართულებით ისარგებლა ანდუყაფარმა და იესე ქსნის ერისთავთან კავშირში ღაზნელთა საგვარეულო გაჟლიტა.

1623 წელს, როცა გიორგი საკაძის მეთაურობით სპარს გარნიზონების ამოჟლეტის საიდუმლო გეგმები დგებოდა, ამ შეთქმულთა მეთაურთათვის, ჩანს აშკარა ყოფილა, რომ ანდუყაფარ ამილახორი მათ გვერდში არ ამოუდგებოდა. ვახუშტის თქმით: „ანდუყაფარ ამილახვარსა ვერ გაანდვეს ესე, რამეთუ ჰყვა ცოლად სვიმონ მეფის ცოლის და, ასული ყორჩიბაშისა, მონათესავე ყეენისა და იყო ანდუყაფარ გამაჰმადიანებულიცა. ამისთვს შეიპყრეს იგი საფურცლის ჭალასა შინა და ცოლიცა მისი წარავლინეს და პატიმარ-ჰყვეს არშას ციხესაშინა“[1].

1624 წელს, მარაბდის ომში, ქართველები დამარცხდნენ. გამარჯვებულმა სპარსელებმა არშის ციხიდან გაათავისუფლეს ანდუყაფარი და ამილახორობა დაუბრუნეს. ამიერიდან ანდუყაფარი თავდადებით იბრძვის სპარსთა მიზანსწრაფვის განხორციელებისათვის. ღაზნელთა საგვარეულოს ამოჟლეტის შემდეგ იგი მოვიდა მცხეთას „შეიპყრა დეკანოზი მისი და წარუხვნა საგანძურნი მცხეთისანი და აქადებდა დეკანოზს დაძახებასა მუნ მუყრისასა, მუნით მოვიდა ტფილისს და ციხისთავისა თანა მჯდომარე კალის-ციხესა შინა გამზრახი წინა თქმულთათვს აღსდგა რა წარმოსვლად უბრკმა, დაეცა ლანძვსა, განხეთქა იგი და გარდმოიჭრა ქალაქისაკენ და მოკვდა ანდუყაფარ ბოროტად“[2].

ვახუშტის ამ ცნობას ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძეც: „ა/ნ/დუყაფარ ამილახორი ქალაქის ციხით გარდავარდა და მოკვდა“[3].

ანდუყაფარ ამილახორს ღალატისათვის ჩანს მამულები, კერძოდ, არადეთი, სასისხლოდ ჩამოართვეს. იოთამ ამილახორს თეიმურაზი ეუბნება: „კურთხეული თქვენი ძმა ამილახორი ანდუყაფარ ქართველთ დაეტყვევებინა, ბევრი ურიგო ექნა და ამისად ნასისხრათ და საუპატიოდ არადეთი დაედვათ და ჩუენ არადეთი ჩუენთვის ისრევე სახასოთ დავიჭირეთ და არადეთის სამუქაფოდ უშვილოს თურმანიძის სურხანის კერძი მამული გიბოძეთო“[4].

XVII საუკუნის 30-იან წლებში ქართლში ერთგვარი ცვლილება მოხდა. ქართლის მეფედ შაჰმა გამოგზავნა ხოსრო მირზა, დაუთ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 41.

[2] იქვე, გვ. 43.

[3] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 235.

[4] საქ. მუზეუმი, Hd, 2122.

ხანის უკანონო შვილი, რომელიც ქართულს ისტორიოგრაფიაში როსტომ მეფის სახელდებით არის ცნობილი.

როსტომს თან მოჰყვნენ სპარსეთში მყოფი ქართველი თავადიშვილები. ამ საერთო ამალაში იყო ბეჟან ამილახორისშვილიც.

ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი როსტომს მიუვიდა, როსტომის ძირითადი დასაყრდენი მაინც იყო ყიზილბაშური ლაშქარი და სპარსეთიდან მოყოლილი ქართველი თავადიშვილობა.

დიდი ნაწილი თეიმურაზს შერჩა. თეიმურაზის მხარეზე დარჩნენ: ორივე ერისთავები და იოთამ ამილახორი. ამ დაჯგუფებას შორის ხშირად შეტაკებებიც ხდებოდა. ერთ-ერთი ბრძოლა რომელიც არცევს მოხდა, როსტომის გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულმა როსტომმა „ლაშქრით საამილახორო ჩაიარა, მუხრანი დაარბივა, და ქალაქს ჩავიდა“[1].

როსტომმა საგანგებო ზომები მიიღო, ციხე-სიმაგრეებში ყიზილბაშური გარნიზონები ჩააყენა, ურჩი თავადები გადააყენა და მათ ადგილზე თანმოყოლილი ერთგული თავადიშვილები დასვა. იოთამ ამილახორის ადგილზე 1622 წ. მან სპარსეთიდან მოყოლილი ბეჟანი დასვა და ზემო ქართლის სარდლობა, გორის მოურაობა და საამილახოროს უფროსობა უბოძა.

გორის ციხეში მყოფ როსტომზე იოთამ ამილახორი იასე ქსნის ერისთავთან ერთად ცდილობს თავდასხმას. როსტომმა განზრახვა შეუტყო, მათი ცოლშვილი გორის ციხეში დააკავა, ხოლო მათი შეპყრობა მიზნად ამოიღო. ამილახორმა და ერისთავმა თავს კახეთში გაქცევით უშველეს[2]. რომ თეიმურაზთან არის იოთამ ამილახორი და „ერთგულებასა ზედა“ დგომისათვის თეიმურაზი სწყალობს, გარდა ისტორიკოსთა ცნობებისა, ჩანს თეიმურაზის მიერ იოთამ ამილახორისათვის მიცემულ სიგელებიდანაც[3].

მაგრამ იოთამმა ფერი იცვალა, თეიმურაზს წაუვიდა და როსტომს ეახლა. გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „იოთამ ამილახორის დედა მეფის ბიძის ვახტანგის ქალი იყო და იმერეთში ჩიჯავაძეს ედგა, იქიდამენ კარგის ფეშქაშით მეფეს იახლა და შვილის შემორიგებას შემოეხვეწა“. მეფემ შეიწყალა, „ბატონიშვილს თამარს აპატია და საამილახოროც მისცა“[4]. ეს იყო 1646 წელს.

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 244.
[2] იქვე, გვ. 245.
[3] საქ. მუზეუმი, Hd. 2128, 2122.
[4] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 245.

მაგრამ იოთამი ჯერ კიდევ თეიმურაზისა და როსტომის ბრძოლის მსვლელობას უთვალთვალებდა და „ჟამთა მქვრეტი, ჟამ იყვის ბატონის თეიმურაზისა თანა და ჟამ როსტომის წინაშე“[1]. იგი „საითკენაც დრო დააჯელის, იქითკენ იყუის“[2].

ამ ორთა ბრძოლაში იყო ჩაბმული მთელი ქართლ-კახეთის მოსახლეობა, „ნაპირის ალაგებს ერთი მეორეს ურბევდეს, ვინც იმათ შემოსწყრებოდეს ამათ მიუვიდის, ვინც ამათ შემოსწყრის იმათ მიუვიდის და ამათის საქმით ქართლი და კახეთი მოუსვენებელი და არეულ აოკრებული იყო“[3].

იოთამ ამილახორი 1655 წლამდე ამილახორობს. 1655 წელს ამილახორია გივი პირველი, რომელმაც ამილახორობა შაჰისაგან მიიღო, და გარდა მის სახელოდან შემოსავლისა, დაენიშნა ყოველწლიური სარგო ასი თავრიზული თუმანი.

როცა 1658 წელს გარდაიცვალა როსტომ მეფე და ქართლში გამეფდა ვახტანგ მუხრანბატონი, გივი მასთან მივიდა და ერთგულება აღუთქვა. მალე იგი დაემოყვრა კიდეც მეფეს, ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი თამარი.

შაჰნავაზის კარზე გივი საპატიო დავალებებს ასრულებს. 1661 წელს თეიმურაზ პირველმა ბრძოლა საბოლოოდ წაგებულად სცნო და ფარ-ხმალი დაჰყარა. იგი იძულებული გახდა შაჰისათვის თავი დაეკრა. შაჰნავაზმა „წარავლინა ბატონი თეიმურაზ წინაშე ყეენისა და წარატანა გივი ამილახორი და მიუძღვნნა არმაღანნი და ტყვენი ოდიშარნი“[4].

ამ ხანებში იმერეთის საქმეებში ერევა ვახტანგი და თავის შვილს არჩილს ამეფებს იმერეთში. თავისთავად ქართველობის ინტერესებისათვის ეს არ იყო ცუდი წამოწყება, რამდენადაც ქვეყანა, თუნდაც ეფემერულად, ერთიანდებოდა, მაგრამ ის ძალები რომელნიც გაერთიანების ტენდენციას იცავენ და ამაგრებენ. იმ ხანად საქართველოში ძლივს ბოგინობდნენ. არც საგარეო პირობები იძლეოდა წამოწყებულ საქმის დამთავრების საშუალებას: იმერეთი ხონთქრის ყმა იყო, ხოლო ქართლი — ირანისა, ქართლის შიერ იმერეთის საქმეებში ჩარევა ხონთქრის გულისწყრომას იწვევდა, ხოლო შაჰი ამ ჯერად საქმის გართულებას ერიდებოდა.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 48.
[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, დასახ. შრომა, გვ. 180.
[3] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 249.
[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 52.

ყველა ამის გამო ვახტანგ მეფემ უკან დაიხია, არჩილი წამოიყვანა „წარგზავნა წინაშე ყეენისა... და წარატანა გივი ამილახორი“[1].

აქ ყეენმა არჩილი „მაჰმადიან-ჰყო გივითურთ“. ასეთივე ცნობა შემოუნახავს გორგიჯანიძესაც.

შაჰნავაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლის მეფეა გიორგი XI; იგი აჯანყებულია სპარსეთის წინააღმდეგ.1688 წელს სპარსეთის მთავრობამ აჯანყებულ გიორგის ადგილზე ერეკლე დასვა. გიორგი არ ურიგდება მომხდარ ფაქტს და სპარსელებისა და ნაზარალიხანის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას აწარმოებს. ამჯერადაც ქართლის ფეოდალები ორ მოპირდაპირე ბანაკად ჯგუფდებიან. ერთნი გიორგის ჩემულობენ, მეორენი ნაზარალის მზეს ლოცულობენ. ორთა შორის ჯგუფდებიან არა მარტო ცალკეული თავადები, არამედ ამა თუ იმ სახლის შვილებიც. ამ მხრივ ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ამილახორიანთ სახლი.

გივი გიორგის შერჩა, იოთამი ნაზარალხანს მიუვიდა, საამილახოროც მათ მომხრეთა ჯგუფებად დაიყო. ამ საფუძველზე მძლავრობა და ერთმანეთზე თავდასხმა გახშირდა. ყველა ამის თანამგზავრი გახდა ქვეყნის რბევა-აწიოკება, მწარმოებელი საზოგადოების უკიდურესი გაჭირვება. როდესაც გივი ამილახორი გიორგი მეფესთან ერთად კოჯორზე იდგა, იოთამი გორში იყო და „არბევდა მუნიდამ ქართლსა“[2].

ნაზარალხანისა და გიორგის ურთიერთ ბრძოლის მსვლელობისა და ამ ბრძოლაში ამილახორების ადგილის შესახებ ყურადსაღები ცნობებია ნაზარალხანის მიერ ამილახორებისადმი ბოძებულ სიგელებში. ერთ-ერთ სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენ მეფეთმეფემ ნაზარალიხან ესე წიგნი გიბოძეთ, თქვენ ამილახორს იოთამს ასე, რომე ბედნიერის ყაენის ორგულნი ქართველნი რომ ჩვენ უკუ გვიდგნენ და გიორგი მეფე ქართლში საბატონოდ გადმოიყვანეს, ჩვენ ბედნიერის ყაენის ერთგულებისათვის ქალაქის ციხეში შემოვედით და თქვენი ძმა ავთანდილ ჯალაბობრივ დედით და მსახურაზნაურშვილით გორის ციხეში შეხვედით და სამჯერ გიორგი მეფე და ქართველნი შეყრილნი მოგიხდნენ და ციხიდამე ებრძოლეთ და თქვენ გაიმარჯვეთ და გამოაბრუნეთ, მერმე გარშემოადგნენ და ციხეს წყლები მოუჭრეს და აღარც აზუღა შემოუშვეს და ციხის გარშემო რაღაც წყლის გუბი და ყარასუ შეგრჩენოდათ, ისიც კი-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 52.

[2] იქვე. გვ. 63.

რითა და ძაღლის სისხლით წაგიპილწეს. ორი წელიწადი და ნახევარი ამისთანის განსაცდელის საქმითა და სარჯლითა ციხის სიმაგრეს და ჩვენს ერთგულობას ეცადენით და დედა თქვენი და ზოგნი მსახურ-აზნაურშვილნი და მხლებელნი ციხეში დაგეხოცნენ. იმათი მიწათმიღება ციხეში არ მოხდებოდა და გარეთ ხომ არ გამოგესვლებოდათ. ციხესაც აზუღა მწვედ შემოაკლდა და მიბაში და თათრებიც დიდად შეღონდნენ. თქვენ და მიბაშმა ჩვენ და ბეგლარბეგს აბაზყული-ხანს ბევრჯერ ჯარი და ჯომაგი გუთხოეთ; ჩვენ ხომ ჯარი არა გვყვანდა და ბეგლარბეგს მეც ბევრჯერ ვეუბენ და არ იქნა თქვენთვის ჯარი ვერ გამოვაგზავნინე. ის მუხანათი ბეგლარბეგი თურმე ყაენის ორგული იყო და ყაენის ორგულებისაკენ იყო და არას თავს შეიდვა და არც ჯარი მოგაშველა. ამასობაში შენ დიაღ შეგაღონეს და თუ კიდევ ციხეში ხანი დაგეყო, ციხის აზუღაც დაილეოდა და ციხის აღება შიმშილით მოხდებოდა. მიბაშსაც თქვენთვის წიგნი მოეცა, რომე შენი გასვლა სჯობსო, ციხის სიმაგრეც უფრო მოხდებაო, ჩვენც ასე დასტური დაგეცთ, რომე რადგან ყაენის ერთგულობის და ჩვენს სამსახურს გარედამაც უკეთ ეცდები და კიდევ ბედნიერის ყაენისა და ჩვენი ერთგული იქნებით — ჩვენც დასტური მოგეცით ციხიდან გამოსვლისაო[1].

თუმცა პირდაპირი ცნობა ჩვენ არა გვაქვს როგორ დამოკიდებულებაში იყო ამილახორიანთ სახლი ვახტანგთან, მაგრამ არაპირდაპირი ცნობები ნათელს ხდიან, რომ ვახტანგის პოლიტიკა არც ამილახორებს მოსწონდათ და მის წინააღმდეგ განწყობილ ერისთავებს თანაუგრძნობდნენ, და თუ მათი წინააღმდეგობა აშკარად არ ჩანდა, ალბათ იმიტომ, რომ შესაფერის დროს უცდიდნენ.

ვახტანგის ადგილზე ერანმა ვახტანგის ძმა, გამაჰმადიანებული იესე დასვა. ამ დროს ამილახორად ავთანდილია. იგი იესეს დავალებებს ასრულებს. ზემო ქართლის ჯარებით ავთანდილი საგარეჯოში იბრძვის მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ[2].

XVIII საუკუნის ოციან წლებში მდგომარეობა გართულდა; შაჰმა ქართლი კონსტანტინეს მისცა. კონსტანტინე კახბატონთან ბრძოლაში ამილახორები ვახტანგთან არიან. ამ დროს ამილახორად არის გივი ანდუყაფარის ძე. კახ-ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში

---

[1] ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 1018.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 79.

„მოჰკლეს სალთხუცესი ვახტანგ ძე გივი ამილახორისა სრული ყოველთავე“[1].

ბრძოლა კონსტანტინეს გამარჯვებით დამთავრდა. ალექსანდრე ამილახორის თქმით ამ ბრძოლაში: „უბრალო ჯარის კაცებს გარდა მრავალი დიდგვაროვანი პირი დაიღუპა, სხვათა შორის ჩემი პაპაც თავისი ღვიძლი ძმით, ორი თანამეგვარითა და ოცდაათის საკუთარი ყმა-აზნაურითურთ; სრულიად შემუსრული იქნა აგრეთვე პაპაჩემის ჯარიც, რომელსაც არ უნდოდა მტრის ხელში ცოცხლად დაეტოვებია თავისი ბატონი“[2]. თავადთა ნაწილი — გიორგი არაგვის ერისთავი, შანშე ქსნის ერისთავი, ბარათაშვილები, ციციშვილები კონსტანტინეს მიუვიდნენ, ზემო ქართლი კი კვლავ ვახტანგს ერთგულობდა[3].

კონსტანტინესა და ვახტანგის ურთიერთ ბრძოლით ისარგებლა ოსმალეთმა და 1723 წელს თბილისი აიღო. ვახტანგის ძმას — იესეს, ოსმალებთან საერთო ენა გამოუნახავს, ოსმალებს ქართლი მისთვის მიუციათ.

ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი, მათ შორის გივი ამილახორი, ოსმალებს არ შეურიგდა. გუბთასთან ბრძოლაში ამილახორმა სძლია ოსმალებს და დიდი ნავნები უყო. მაგრამ მტრის მხარეზე გადასულმა რენეგატმა იესემ ოსმალები გაამხნევა და მათაც მაშველი ჯარებით ქართველებს შემოუტიეს. გამარჯვება მტერს დარჩა, გივიმ ბრძოლის ველი დატოვა[4].

აჯანყებულ ქართლს ოსმალები იარაღით იმორჩილებენ და 1725 წლისათვის „ვინადგან არღარავინ ჰყავთ წინააღმდგომნი ოსმალთა, აღწერეს ქართლი სრულიად და დასდვეს ხარკი კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური. მოსავალსა ზედა ხუთის თავი ხილითურთ, და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი“[5].

ოსმალური გადასახადები მით უფრო აუტანელი იყო, რომ ისინი არ აუქმებდნენ ადგილობრივ ფეოდალურ გადასახადებს. ამის გამო მწარმოებელი ფენა მოსახლეობისა უკიდურეს გასაჭირში ჩავარდა.

გადასახადის ოსმალური სისტემა ძირშივე განსხვავდებოდა

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 83.
[2] მნათობი, 1939 წ., № 8, გვ. 130.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 85
[4] იქვე, გვ. 87.
[5] იქვე, გვ. 88.

ქართულ საგადასახადო სისტემისაგან. ქართული საგადასახადო სისტემა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიას სხვადასხვანაირად ბეგრავდა, ზოგს მთლად ანთავისუფლებდა, ზოგს შეღავათს აძლევდა. ოსმალობა „არ სცნობდა თ ა რ ხ ა ნ ს, ა ზ ა ტ ს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალი იყვნენ სხვადასხვა გადასახადებისაგან, არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრილი იყო მძიმე გადასახადებით“[1].

1727 წელს იესე გარდაიცვალა. ოსმალებმა ქართლი რამდენიმე სამოხელეო ერთეულად გაჰყვეს „სომხით-საბარათიანო მისცა ერასტის ყაფლანისშვილს, მცხეთას ზეით ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივს ამილახორს, მუხრანი და საერისთონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხვათა რა იგი უხმდათ“[2].

თითოეული ასეთი დანაყოფი თავისებურ, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ საგადასახადო ოლქს წარმოადგენდა. თითოეული დანაყოფის მეთაური ნივთიერი პასუხისმგებელი იყო ოსმალთა წინაშე. იგი ჰკრებდა საოსმალო გადასახადებს, აწესრიგებდა სოციალურ ურთიერთობას, ერთი სიტყვით ოსმალთა სუვერენიტეტს ახორციელებდა ადგილზე.

გივი ამილახორი, როგორც აღნიშნული იყო, ზემო ქართლის მმართველად დაინიშნა. ზემო ქართლში მრავალი სათავადო იყო; აქ ცხოვრობდნენ მაჩაბლები, ხერხეულიძენი, ავალიშვილები, თუმანიშვილები, ფავლენიშვილები, ფალავანდიშვილები, ამირეჯიბები და სხვა. აქვე იყო ეკლესიის ყმა-მამული.

ფეოდალთა ურთიერთობა, თითოეული ფეოდალის სახლის წევრთა დამოკიდებულება ამილახორს უნდა გაერჩია. აქ მოტანილი დებულების დასამტკიცებლად, რამდენიმე დოკუმენტს დავიმოწმებთ:

„ქ. ვეზირი ისჰ/ა/ყ-ფაშა ვიკადრებ. ჩვენს მაგიერად ამილახვარს ბატონს გივს ასე უანბეთ: მერმე ამ ბეჟან თუმანიშვილის გლეხი, სადაც იყოს აყრილი კაცი, თქვენი კაცი გაგზავნეთ, მუბაშირად აუყარეთ და ისევ თავის მამულზედ მოაყვანეთ“[3].

---

[1] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან მასალები, 1944 წ., ნაკვ. I, გვ. 179.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ც. II. გვ. 88.

[3] საქ. სიძვ. III, გვ. 419.

„ამილახვარო ბატონო გიო, ქრცხინვალის მოხელეებო, ეს მამულები, რაც ამათი სამკვიდრო იყოს (ლაპარაკია მაჩაბლებზე, დ. გ.) დ/ა/ვ/ე/რინე, ნურავის შეაცილებთ"[1].

„ჩვენ მაგიერად ჩვენგან დიდად პატივცემულს ამილახორს ბატონს/გივს/ მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. მერმე ამ თუმანისშვილს ფირანს თავისი ძმა მანუჩარ ერთს კომლს კაცს ახ/ა/ალდაბას გოგებას-შვილს ეცილებოდა. გავშინჯეთ, ფირან/ს/ იმ კაცის ბარათი ეჭირა. როგორც აქამდინ ფირანს ჭეროდა, ისევ ამისთვის წყალობა გვიქნია და თქვენ გაურიგეთ"[2].

აქ მოტანილი საბუთები ყველა ოსმალთა ბატონობის ხანისაა (1723-1735).

გივი ამილახორი მოხერხებულად სარგებლობდა პრივილეგიური მდგომარეობით და თავის ყმა-მამულს ზრდიდა.

1725 წლის 7 ივლისს ლევან მაჩაბელმა ნასყიდობის წიგნი მისცა გივი ამილახორს: „... დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან დიაღძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა..."[3].

ოსმალების დროს პრივილეგიურ მდგომარეობაში თავადთა ძალიან მცირე ნაწილი იყო და რაც დრო გადიოდა ამ ნაწილისათვისაც აუტანელი ჩანდა ოსმალობა. საერთოდ გაბატონებული კლასისათვის, ჩვენ აღარას ვამბობთ მწარმოებელ საზოგადოებაზე, ოსმალობას მხოლოდ გაღარიბება, შიმშილი მოჰქონდა.

ქართველები მუდმივი აჯანყებებით ოსმალებს „ღონეს უტეხდნენ". მაგრამ თუ ოსმალთა ბატონობა კვლავ გრძელდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავადურ საქართველოს ერთპირობა არ შეეძლო საერთო მტრის წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება. ოსმალთა მოწინააღმდეგე მხარეზე გადადის გივი ამილახორიც. 1733 წ. ბესარიონ კათალიკოზი ატყობინებდა რუსეთში მყოფ ვახტანგ VI, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ქართველები სულ უფრო და უფრო ერთდებიან და რომ ქართველებს სურთ ვახტანგი ჩამოვიდეს საქართველოში და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგეს სათავეში. ეს საერთო სურვილია და, როგორც ზემოთ ვწერდით, „ამილახორს კიდევ უფრო გულით უნდა"[4].

---

[1] ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, გვ. 201.

[2] იქვე. გვ. 218—219.

[3] იქვე, გვ. 215.

[4] ბ რ ო ს ე. Переписка, გვ. 199.

როგორც აღნიშნული იყო, ქართველები გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ოსმალ დამპყრობლების წინააღმდეგ და ძალით იცავდნენ ქართველობას. ბრძოლის ფორმები სხვადასხვანაირი იყო; ზოგჯერ იარაღით ხელში გამოდიოდნენ და თავხედ ოსმალებს მადას უმცირებდნენ, ზოგჯერ ქრთამს იღებდნენ და ამით ქართველობას ინარჩუნებდნენ. ასე რომ, ამა თუ იმ მომენტში ქართველები ბრძოლის იმ ხერხს იყენებდნენ, რომელიც უფრო ეფექტური იქნებოდა. ბრძოლას სათავეში ხან გივი ამილახორი ედგა (თუმცა გივი ოსმალთა სამსახურში იყო, მაგრამ ქართველებისათვის მას არ უღალატია), ხან შანშე ერისთავი, ხან მაჩაბელი, ხან არაგვის ერისთავი, და ასე შემდეგ.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გივი ამილახორს. მას ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ უბანზე შესამჩნევი ადგილი უკავია.

1727 წელს რენეგატი იესე რომ გარდაიცვალა, ოსმალებმა ადგილობრივი ხელისუფლება (თუმცა იესეს დროსაც ცენტრალური ხელისუფლება უფრო ნომინალური იყო, ვიდრე რეალური) გააუქმეს. ქართლი ხონთქარმა ისაყ ფაშას ჩააბარა და მას მტკიცე დავალება მისცა. — სიონი გადაექცია მიზგითად და დაეწყო ქართველთა გათათრება. ქართველთა ეროვნულ დამოუკიდებლობას საფრთხე მოელოდა. ოსმალთა ამ ლაშქრობას წინ აღუდგა გივი ამილახორი და კარზე მომდგარი ბოროტება ააცდინა ჩვენს ქვეყანას.

გივი ამილახორის ამ პატრიოტულ ინიციატივას იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მაშინაც, რომ გივის პატივსაცემად ყოველწლიურად სიონის ეკლესიაში ჟამს სწირავდნენ. 1727 წლის 8 აპრილს ტფილელ-ბოლნელ მიტროპოლიტმა დომენტიმ გივი ამილახორს შემდეგი შინაარსის წიგნი მისცა: „ესე უკუნისამდე ჟამთა გასათრევებელი მტკიცე და უცვალებელი წიგნი და ნიშანი მოგართვთ ჩვენ ორბელისშვილმან ტფილელ-ბოლნელ მიტროპოლიტმან დომენტიმ და ერთობილთ სიონთა ღთისმშობლის კრებულთ, თქვენ ღთისმოყვარესა და მართლმადიდებელს ამილახორს ბატონს გივის; მას ჟამსა ოდეს აღაოკრეს ლეკთა ტფილის ქალაქს სიონთა ღთის მშობელი, შემდგომათ მათსა დაიპყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართლისა ურუმთა. მაშინ პატრონობდა ვეზირი ისაყ-ფაშა ახალციხისა, ბრძანება და ფარმანი მოსლოდა ხონთქრისაგან, სიონთა ღთისმშობლის ტაძრის მეჩიტად შექნა ინებეს. ჩვენცა

წმიდამ ღთის მშობელმან თქვენი თავი გამოგვიჩინა დამკსნელად და ნუგეშინის მცემელად, მოვედით ჩვენის კრებულით და დიდის მწუხარებით თავი გაწყინეთ; თქვენც ვინცა ვინ ქართველნი დარბაისელნი იყვნენ თანაშემოიყარენით და ამის შეწევნასა და დახსნას გულსმოდგინედ ეცადენით: მიხვედით ფაშასთან, არზა მიართვით და დიდად თავი გარდასდევით. თითქმის დატყვევება და მოწყვეტა ირჩიეთ და ამ საყდრის დაუნებელობა. იმანაც ყურთ მიუგდო თქვენს მოხსენებასა, ჭელი აიღეს, დიდად დაგამადლეს და ფეშქაშიც მრავალი გაიღევით და საყდარსაც შესწირეთ. რადგან ამდენი სასყიდელი და ჭირნახული დასდევით ჩვენს მონასტერზე, ჩვენ სხვეფრ ვერას გმსახურებდით და ეს პირობა მოგვიხსენებია, რომე, რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმევის ამბავი, ისივ ახალკვირის წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახსენებლად. ამ დღეს იქით ყოვლის წლისათვის იმ შაბათს ჩვენ და ჩვენნი კრებულნი ერთობილნი ეამს გიწირევდით თქვენ და თქვენთა შვილისშვილთა დაუვიწყებლად მოვიხსენებდეთ"[1].

1734 წლისათვის ოსმალებს საქართველოში დღე ელეოდათ. მართალია ვახტანგი რუსეთიდან რეალურ დახმარების იმედს არ იძლეოდა, მაგრამ ქართველ პატრიოტებს მხნეობა არ გასტეხოდათ და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ირაზმებოდნენ. საერთო მტრის წინააღმდეგ სამზადისში ქართლის თავკაცებს ურთიერთ მტრობა დაევიწყათ და საერთო მტრის გასაჟლეტად ძმობა-ერთობა ჩამოეგდოთ. ამასობაში საგარეო ხელსაყრელი პირობები შექმნილიყო. ერანი შეტევაზე გადმოსულიყო და უკვე ამიერკავკასიის ციხე-სიმაგრეებში ჟლეტდა ურუმთა მეციხოვნე გარნიზონებს. მომენტი დადგა და ქართველებიც შეტევაზე გადავიდნენ. ქართველებმა „მოსწყვიტნეს ოსმალნი ტფილისის გარეთნი სრულიად, ეგრეთვე გივი ამილახორი შეეტყუა გორის ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე"[2].

ამილახორისაგან გორის ციხის განთავისუფლების ამბავი უფრო სრულყოფილად აქვს აღწერილი სეხნია ჩხეიძეს. იგი მოგვითხრობს: 1734 წლის ოქტომბერს „შეიყარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა ბერბუკს ღამით, დაიქვევითა თვითან და მუხრანის ბატონმა მამუკამ, გორელთ მისცეს პირობა, შევიდნენ ღამით და დაი-

[1] საქ. მუზეუმი, Ad, 733.

[2] ვ ა ხ ტ ა ნ გ. ცხოვრება ქართლისა, ქ. ც., II, გვ. 91.

ᲛᲐᲚᲐ ᲯᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘᲐ, ᲕᲔᲠᲐ ᲘᲒᲠᲫᲜᲔᲡ ᲣᲠᲣᲛᲗ, ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲛᲘᲣᲩᲘᲜᲔᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲘ, ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲡᲐᲑᲝᲫᲕᲐᲠᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲣᲠᲣᲛᲜᲘ ᲮᲔᲔᲑᲡᲐ ᲖᲘᲓᲔᲕᲔᲓᲔᲜ, ᲕᲘᲜᲪᲐ ᲐᲣᲢᲐᲜᲓᲐᲗ ᲐᲠᲐᲡ ᲣᲙᲘᲗᲮᲔᲕᲔᲓᲔᲜ. ᲒᲐᲗᲕᲔᲜᲓᲐ, ᲐᲛ ᲝᲗᲮᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲨᲔᲘᲓᲕᲔᲡ ᲫᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲠᲗᲐ, ᲘᲧᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲐᲛᲐᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲥᲘᲗ ᲓᲐᲣᲓᲕᲐᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲥᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲝᲣᲒᲓᲝᲜ. ᲒᲐᲐᲦᲔᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲪᲘᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲛ ᲣᲠᲣᲛᲜᲘ, ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲒᲝᲠᲘᲡᲐᲡᲐ, ᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲫᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲒᲓᲔᲡ ᲙᲐᲠᲗᲐ ᲖᲔᲓᲐ: ᲘᲓᲠᲝᲔᲡ, ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘ, ᲗᲣᲠᲔ ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲛᲐ ᲘᲒᲠᲫᲜᲐ, ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲘᲗ ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲪᲔᲛᲐ ᲒᲝᲠᲨᲘ. ᲐᲛ ᲝᲗᲮᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲒᲐᲘᲙᲠᲔᲡ ᲡᲐᲢᲔᲕᲐᲠᲡ ᲮᲔᲚᲘ, ᲗᲣᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲨᲔᲣᲮᲓᲔᲜ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲠᲣᲛᲘ, ᲛᲘᲣᲮᲓᲔᲜ ᲔᲜᲒᲘᲩᲐᲠ ᲐᲚᲐᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲡ; ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ, ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲠᲡᲐ ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡᲐᲡ, ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲡᲐ, ᲓᲐᲚᲔᲬᲔᲡ ᲙᲚᲘᲢᲔᲜᲘ. ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲣᲨᲘᲐᲜᲝᲓ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲪᲐ ᲕᲘᲜ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲛ ᲣᲠᲣᲛᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲝᲡᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ, ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ“[1].

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲒᲘᲕᲘ ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲝᲠᲛᲐ, ᲒᲝᲠᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ ᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ ᲡᲞᲐᲠᲡᲗᲐ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲡ — ᲜᲐᲓᲘᲠᲡ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ[2].

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲡ ᲔᲐᲮᲚᲜᲔᲜ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲒᲘᲕᲘ ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲝᲠᲘᲪ. ᲜᲐᲓᲘᲠᲛᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲘᲠᲧᲠᲝ.

1735 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲘ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ „ᲒᲐᲞᲐᲠᲝᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲘᲗᲘᲓᲐᲛ ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲒᲘᲕᲘ, ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲐᲕᲐᲚᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝ, ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗ“[3].

ᲩᲐᲜᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ-ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲥᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲒᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲧᲠᲝᲑᲔᲚᲘᲡ — ᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ᲒᲘᲕᲘ ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲝᲠᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲡ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ[4], ᲡᲮᲕᲐᲜᲘ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲮᲘᲖᲜᲔᲜ. ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲡ ᲐᲮᲠᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲜ „ᲓᲐᲐᲥᲪᲘᲐ ᲪᲘᲮᲔ ᲒᲝᲠᲘᲡᲐ, ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲗᲐᲑᲝᲠᲘ, ᲒᲐᲣᲡᲘᲕᲐ ᲯᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲫᲘᲛᲡ, ᲝᲗᲮᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲖᲔᲛᲝᲥᲐᲠᲗᲚᲡ, ᲝᲗᲮᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲐᲪᲘᲪᲘᲐᲜᲝᲡ: ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲥᲡᲜᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ, ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲘᲗ, ᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲮᲔᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲘᲗ ᲓᲐᲐᲢᲧᲕᲔᲕᲔᲡ, ᲓᲐᲡᲬᲕᲔᲡ ᲖᲔᲛᲝᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲤᲐᲮᲐᲜᲘᲓᲐᲛ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲐᲝᲮᲠᲔᲡ, ᲓᲐᲐᲢᲧᲕᲔᲡ, ᲓᲐᲡᲬᲕᲔᲡ“[5].

---

[1] ᲡᲔᲮᲜᲘᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ, Ქ. Ც. II, ᲒᲕ. 338.

[2] ᲘᲥᲕᲔ.

[3] ᲘᲥᲕᲔ.

[4] ᲘᲥᲕᲔ.

[5] ᲘᲥᲕᲔ, ᲒᲕ. 339.

ასე დაიწყო ყიზილბაშობა.

ნადირმა თავის წარმომადგენლად ქართლში სეფიხანი დანიშნა, შას დაევალა აჯანყებულ ქართველებთან ბრძოლა, საამისოდ ყიზილბაშთა რაზმები აახლა სეფიხანს.

სეფიხანმა ქვეყანას ახალი გადასახადები შეაწერა. ქართლს სამიათას სამასი თუმანი და ხუთასი მხედარი უნდა გამოეღო. ამან აჯანყებულთა რიგები კიდევ უფრო გაზარდა, აჯანყებამ სერიოზული ხასიათი მიიღო.

სეფიხანმა აჯანყების მეთაურთა გათიშვა შესძლო. მან „მოიტყუენა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი ამილახორი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი, ხოლო შანშე ივლტოდა, და წარუვლინა ისპაჰნს შაჰნადირს“[1].

ლტოლვილი შანშე თავის მამულში მივიდა და ქართველთა აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. ნადირშაჰის მოხელეთა მკაცრი ზომები საქმეს ვერ შველოდა.

1738 წელს ტყვე ქართველები, მათ შორის გივი ამილახორიც, ნადირმა საქართველოში დააბრუნა და ქართლი სამმართველოდ ხანჯან-ხანს მისცა.

ვერც ხანჯან-ხანმა დაამშვიდა ქვეყანა, ყიზილბაშთა მძლავრობას თან სდევდა ლეკთა თარეში, ხოლო ყოველივე ამას ზედ დაერთო ფეოდალთა ურთიერთმტრობა. შანშეს ყიზილბაშებმა არაგვის ერისთავები და ამილახორები დაუპირისპირეს. ასე რომ, „შანშეს ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩქარა ქართლის თავადების ურთიერთ შორის ბრძოლად იქცა. შანშე ლეკებით საამილახვროს აწიოკებდა, ამილახორი ყიზილბაშებით ქსნის ხეობის გლეხებსა სპობდა და ორივენი ქართლის გაოხრებას ჩიოდნენ“[2]. აჯანყებულ შანშე ერისთავის გასატეხად ცბიერმა ნადირმა ქსნის საერისთავო გივი ამილახორს გადასცა და „დასდვა იმ ქვეყნის ბელადობა“[3]. მასვე ჩააბარა „ვექილობა ქართლისა“[4].

გივი ამილახორი უნათესავდება ბეჟან არაგვის ერისთავს, შედის ქსნის ხეობაში და იმორჩილებს ქსნის საერისთავოს[5].

ამ ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული ერთი ქართული ხალხური ლექსი:

---

[1] ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 92.
[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 197.
[3] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 346.
[4] ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 93.
[5] იქვე.

ამილახვარმა გასტეხა
შანშე ერისთვის კარები,
შევიდა, გამოიტანა
თვალშეუდგამი ლალები.

1741—1742 წ. ნადირ შაჰი დაღესტანში დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა დაღესტნელ ლეკთა წინააღმდეგ. ლეკები მედგრად იცავდნენ თავს და დიდ ნავნებს აყენებდნენ დამპყრობელ შაჰს.

ლეკებთან ომის წარმოების დროს ნადირი სულ ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებდა ქართველებს. ნადირმა 1741 წელს სპეციალური აღწერა ჩაატარა ქართლ-კახეთში და საგანგებო გადასახადები შემოიღო. „ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხარკი დასდვეს. ეგრეთვე ამ სახით შენობა სადმე იყო დიდი ხარკი დასდვეს. ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს ვაზები, ეგრე ვაზის სათვალავს, რასაც მიხვდნენ ვაზს ერთი ბისტი დასდვეს, სოფელსა და ბაღსაშინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს, ყმაწვილზე, პირუტყეზე ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს, ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლისკაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო“[1].

ასეთი გადასახადების შედეგად ქვეყანა დაღუპვის კარზე მივიდა, ხალხი დაიმშა, დედა ლუკმა პურზე შვილს ჰყიდიდა, მოსახლეობა მასიურად გარბოდა ქართლ-კახეთიდან. პაპუნა ორბელიანის თქმით „მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსო“[2].

შანშე ქსნის ერისთავის დამარცხების შემდეგ ქართლის თავკაცები ნადირმა დაღესტანში დაიბარა და „დაუმადლა ერთგულება“. ქართველებმა შაჰს „მოახსენეს ქვეყნის წახდენა“[3]. შაჰი შეპირდა „თქვენს შეძლებას ყველას შევიტყობ და იმით გიმსახურებო“[4].

იქ ჩასულ ქართველებს შესაფერისი სახელო მისცა და საამისო ჯამაგირიც გაუჩინა.

---

[1] პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 345.
[2] იქვე, გვ. 347.
[3] იქვე.
[4] იქვე.

ამილახორთა სახლიდან შაჰს ხლებოდნენ გივი და ოთარი. გივის მეორე ვექილობა მისცა და ასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა, ხოლო ოთარს ქეშიკბაშობა უბოძა და ორმოცდა ათი თუმანი დაუნიშნა ჯამაგირად[1].

ნადირი ცდილობდა ქართლ-კახეთის გაბატონებული კლასის ყველაზე უფრო გავლენიანი პირები თავის მხარეზე გადაეყვანა. ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ თავადთათვის ჯამაგირების დანიშვნა, მაგრამ იგი მაინც მიზანს ვერ აღწევდა, რადგან მისი საქმიანობა არც ერთი სოციალური წრის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. მართალია შანშე ქსნის ერისთავის აჯანყება ჩააქრეს და ქსანი გაავერანეს, მაგრამ ქართველებს ჯერ კიდევ გააჩნდა ძალა ყიზილბაშობისაგან იარაღით დაეცვა თავი.

ისედაც გავერანებულ ქვეყანას ნადირმა ოცი ათასი ხარვარი პური შეაწერა. ეს გადასახადი აღემატებოდა ქართველთა ფაქტიურ შეძლებას. გივი ამილახორმა დაინახა, რომ ამ ახალმა გადასახადმა ქართველებში საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. აჯანყებისათვის ხელსაყრელ საშინაო პირობებს ზედ ერთვოდა საგარეო პირობებიც. „დაღისტანში ლაშქრობამ ნადირ-შაჰს საქმე მეტად გაურთულა. ლეკების დამარცხება-დამორჩილება მან ვერ შესძლო. ჩრდილოეთიდან რუსეთი ამოქმედდა. ბაქარ ვახტანგისძეც კი ასტრახანს მოსულიყო. რუსეთის დახმარებით ის ქართლში გამეფებას აპირებდა. დასავლეთიდან ოსმალეთი იმუქრებოდა. ასეთს პირობებში ქართლის აჯანყება ერანის შაჰისათვის სახიფათო რამ იყო“[2].

ჩანს გივი ამილახორმა მომენტი სათანადოდ შეაფასა და აჯანყებას სათავეში ჩაუდგა.

ამ აჯანყების დაწყების შესახებ თანამედროვე ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი შემდეგ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის: „თვესა აპრილსა (ლაპარაკია 1742 წლის აპრილზე, დ. გ.) თერთმეტსა, ღამესა ბზობისასა, ქალაქიდამ ღამე გაიპარა გივი ამილახორი, რომელი იჯდა ვექილად, წავიდა თავისის ცოლშვილით და თან გაიტანა პაატა აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთვის შვილის ცოლი. პაატა აბაშიძე და ზოგი ვინმე თავადნი ზემო ქართლისანი. ამავ ბზობის ღამეს გამოიპარნენ იორის პირიდამ, რომელნი ახლდენ ჯარად ხანსა ქართლისასა და მივიდნენ ამილახორთან. რა მივიდა მცხეთას ამილახორი ჩამოეგება არაგვის. ერისთავი ბეჟან

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 347.

[2] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკ. საქ. ისტ., მასალები, 1944წ., ნაკ. I, გვ. 202.

ჯარით, ხიდი მცხეთისა ჩავარდნილ იყო და ნავტიკები მზად დაახ-ვედრა. გავიდნენ უვნებლად და მივიდნენ დუშეთს"[1].

ეს ცნობა მრავალმხრივ არის ყურადსაღები. ირკვევა, რომ გივის გაქცევა თბილისიდან ნაუცბათარი არ ყოფილა. მას, ჩანს აჯანყებისათვის წინასწარი სამზადისი ჩაუტარებია და განდგომის დღეც წინასწარ ყოფილა განსაზღვრული. თუ ეს ასე არა, სხვაფ-რივ ძნელია ავხსნათ, რომ ზემო ქართლის თავადები, რომლებიც ივრის პირას იყვნენ იმავე ბზობა ღამეს განდგნენ, ხოლო არაგვის ერისთავი ჯარითა და ნავტიკებით მცხეთას დახვდა ამილახორს.

თვით გივი ამილახორი აჯანყების მიზეზს შემდეგით ასაბუთებ-და: „ქვეყანა ოხერი შეიქნა და არა გამოდიოდისრაო, ვეღარ შევ-ძელ სამსახური ხელმწიფისა და წაველო"[2].

გივი ამილახორი მივიდა რა დუშეთში, აქ არაგვისა და ქსნის ხეობის თავკაცები იხმო და ბრძოლის გეგმები გააცნო. ამავე დროს გივი ამილახორმა „ყოველნი თავადნი ზემო ქართლისანი გაიერთა"[3].

ასე რომ, აჯანყებამ თითქმის მთელ ქართლში იფეთქა. არაგვის, ქსნის ხეობისა და საამილახოროში არსებული ციხე-სიმაგრეები საგანგებოდ გაამაგრა გივი ამილახორმა და ქართლის გარეთაც მოკავშირეების შოვნას შეუდგა. საამისოდ ერთის მხრივ ლეკ-ოსმალოს მოიხმობდა, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთში მყოფ ბა-ქარს სთხოვდა შველას.

ყიზილბაშთა მოხელეები გონს მოვიდნენ და ზომების მიღებას შეეცადნენ. თბილისში მყოფი ზემო ქართლის თავადები დაიჭირეს და „მაღალ ციხეში დააპატიმრეს". ასევე, ერთად შეყარეს მათი ჯალაბიც.

სპარსელები შეეცადნენ თვით ამილახორიანთ სახლში ჩამოეგ-დოთ მტრობა. როგორც აღნიშნული იყო, ქეშიკბაშობა ნადირ-შა ოთარს მისცა, ოთარი დაღესტნიდან რომ ბრუნდებოდა გზაში გარდაიცვალა და მამის სახელო შვილს რევაზს უბოძეს. ახლა გივი ამილახორი რომ გამდგარიყო, სპარსელები რევაზზე ამყარებდნენ იმედს. იგი გორში გაგზავნეს და დაავალეს გივი არ შეეშვა გორის ციხეში. რევაზმა გორში მისვლისთანავე ყიზილბაშებს უღალატა და გივისთან გამოცხადდა[4].

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 350.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

ნადირშაჰმა დაინახა, რომ გივი ამილახორის აჯანყება სერიოზულ ხასიათს იღებდა. მან ბარდის ხანის პირით შეუთვალა გივის „თუ ჩამოხვიდე არაფერი ხელმწიფისაგან არა დაგიზიანდესრაო“[1].

ასეთივე თხოვნა გაუმეორეს შემდეგაც, მაგრამ „არა ინება და ვერას ღონისძიებით ვერ დაიმორჩილეს ამილახორი“[2].

ნადირშაჰმა, ამის შემდეგ, ბრძანება გასცა ძალით დაემორჩილებიათ გივი ამილახორი. ყიზილბაშები გორს მიადგნენ და მახლობელი სოფლების რბევა-აწიოკება იწყეს[3].

გივი ამილახორმა სურამის ციხე გაამაგრა, იქ სანდო კაცნი ჩააყენა და თვითონ ბორჯომის ხეობაში პეტრეს ციხე დაიჭირა და ოსმალეთთან კავშირი გააბა. ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლელები ახალციხის ფაშის მხარდაჭერას გრძნობდნენ. ამჯერადაც ახალციხის ფაშამ გივის ტყვია-წამალი მისცა და იგი სხვა მხრივაც „პირდებოდა მოხმარებასა ამილახვარსა“[4]. გივიმ ოსმალეთთან საქმეები მოაგვარა, სხვილოს ციხეში მოვიდა და ქართლის მთის ძირში მყოფი ციხე-სიმაგრეების მზად ყოფნა შეამოწმა.

ქართლში მყოფ ყიზილბაშთა ჯარებს, ნადირშაჰის ბრძანებით, ერევნისა და განჯის დამხმარე ჯარები მოუვიდათ. ამიერიდან „ყოველდღე წავიდის ამათი მარბიელი და მოარბივის მთას აქეთი, დაწვის მოსავალი ანუ შენობა“[5].

სპარსი მოხელეები შაჰის სახელით შენდობას ჰპირდებოდნენ გივი ამილახორის მომხრე თავადებს და წყალობას აღუთქვამდნენ. ამ გზით მათ ერთგვარ შედეგს მიაღწიეს. თავადთა ნაწილი ყიზილბაშთა მხარეზე გადავიდა და გივის წინააღმდეგ ბრძოლა იკისრა. ქრთამ-საჩუქრებით დაბრმავებული ზოგი თავადი მტრის წისქვილზე წყალს ასხამდა და ძმათა სისხლით იბანდა ხელებს. ზაალ ავალიშვილმა იმამყული-ხანისაგან საჩუქარი მიიღო, შევიდა ბორჯომის ხეობაში, გასტეხა პეტრეს ციხე, გამოიყვანა გივის კაცები და შიგ თავისები ჩააყენა[6].

ყიზილბაშებმა ამის შემდეგ ჭალაზე, ამილახორების რეზიდენციაზე, მიიტანეს იერიში. ამ დროს გივი ამილახორი იქვე ახლოს, სხვილოს ციხეში იყო გამაგრებული. მან თავის მხრივ მომხდურ ყიზილბაშთა ჯარზე იერიში მიიტანა. ბრძოლას ასე აგვიწერს პა-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, 351.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 352.
[4] იქვე.
[5] იქვე,
[6] იქვე.

პუნა ორბელიანი: „გავიდის გარეთ ამათი მებრძოლე და გამოვიდის იმათი, იყვის ომი ფიცხელი, დაიხოცის ორგნითვე ურიცხვი“[1].

ჭალის ბრძოლიდან დაბრუნებული ყიზილბაშები არაგვის საერისთავოში შევიდნენ. ოტია ერისთავის შვილმა მედგარი ბრძოლა გაუმართა მტერს და ყოველი წვრილმანი გამარჯვება მტერს დიდ ზსხვერპლად დაუსვა. ყიზილბაშებმა საბარათიანოს ჯარი მოიშალეს და ბაზალეთში დაბანაკდნენ. არაგვის საერისთავოში ყიზილბაშები 15 დღეს დარჩნენ და კვლავ გორს შეუტიეს.

გორს ყიზილბაშებმა „დაუწყეს ზემო ქართლის რიგება და ბალუჯათისაც თხოვნა დაუპირეს“[2]. ამ ამბავმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი ფეოდალები, რომ ყიზილბაშები მათ კარგს არაფერს უქადიან და ის თავადები, რომლებიც ყიზილბაშებს შერიგებოდნენ, კვლავ გაიპარნენ გორიდან. ქართლის ხანმა საბაბი იშოვა და ქართლი დაარბია, საქართლისა და სურამის მხარე გააავერანა[3].

შიდა ქართლში ბრძოლების შემდეგ ხანი თბილისისაკენ წამოვიდა და გზაზე რაც მოიხელა მიწასთან გაასწორა, ამ დროს დაანგრია კასპის ციხეც[4].

თუ ქართლის ველების დარბევა მტერს ადვილად შეეძლო, სამაგიეროდ, ქართლის მთიანეთი და მთის ძირი მტრისათვის შედარებით მიუვალი ჩანდა და გივისაც თავის ძირითადი ძალები აქ ჰყვანდა თავმოყრილი.

აჯანყებულ გივი ამილახორის ძალთა განლაგების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იესე ოსეს ძე — „სურამის ციხეში თვითონ იჯდა, ... ახალდაბის ციხეში დიმიტრი იდგა, კეხვს სარიდან, წირქვალის ციხეს რევაზ იდგა ამილახორისშვილი, არაგვზე ბეჟან ერისთავი, შემოფიცებული და სიძე იყო, და ის იდგა“[5].

გივი ამილახორის ბრძოლების შესახებ, გარდა იმისა, რომ უბვად შემოუნახავს ცნობები ქართულ ნარატიულ წყაროებს, ძვირფას ცნობას შეიცავს თვით გივი ამილახორის ერთი წერილი, რომელიც მას რუსეთს გაუგზავნია ბარძიმ და ლუარსაბ ამილახორისშვილებისათვის 1743 წელს.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 352.

[2] იქვე, გვ. 353.

[3] იქვე, გვ. 352.

[4] იქვე, გვ. 353.

[5] იესე ბარათაშვილის ცხოვრება — ანდერძი, ავთ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 7.

რადგან წერილს ჩვენი მიზნისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს: „... ჩვენ დიდ მარხვაში ზემო ქართლს წავედით, ლაზარობა დღეს სურამს მივედით. თიბათვისა ოცდახუთი ვიყავით. ამიტომ ზემო ქართლში ჯარის ფიქრი იყო. ყიზილბაშს იქით არა წაეხდინა რა. ზოგიერთი კაცი ტყვეში ერეოდა. იმისი პირობა და ფიცი გამოვართვი. აღარავინ გარეულა ტყვის გასყიდვაში. ციხეებიცა გვქონდა საკეთებელი: სურამი და ახალდაბა. ახალციხის გზაც გავარიგეთ. ვისაც სავაჭრო უნდოდა ქართველს კაცსა, ყველა ახალციხიდან მოდიოდა. ამ ჯაანისათვის ვიყავით ზეითა. ოც თიბათვეს მეჯვრისხევს ჩავედით. გაგვცეს ქართველებმა. აჯიხან სარდალი, ალიხან ავღანი, რაც ყიზილბაშის ჯარი იყო დაგვიმალეს. წინა დილა რომ ინათა მოვიდნენ ჩვენზედ. აძვის ვენახებთან ვიყავით ჩამომხდარი. ყარაულებმაც მოასწრეს, ჩვენმა და იმათმაც. შორიდან — „აჰალახ, აჰალახ! — დაიძახეს, მანემდე ჩვენც მზად დავხვდით და ღვთის მადლით ადრე გავაბრუნეთ. მერმე აჯიხან კიდევ ცალკე დამალულიყო. ჩვენზედ მოვიდა უმეცრათ. შვიდ საათს ომი იყო. ღ[illegible]თნ ხელი მოგვიმართა. ბევრი კაცი და ცხენი დავუმარცხეთ. გაბრუნდა. ის შორს წავიდა. ჩვენ წამოვედით. ცხვილოს მოვედით 23 თიბათვესა, წირვის დრო იყო“[1]. ნადირი კბილებიდან ცეცხლს ჰყრიდა გივი ამილახორის აჯანყების გამო. მუქარას უთვლიდა: „ქართლში მიწასაც აღარ გაუშვებო“[2].

ნადირშაჰი დარწმუნდა, რომ შაჰაბაზისეული გეგმით საქართველოს ვერ წამოაჩოქებდა და დათმობის გზა აირჩია. ქართლ-კახეთს გადასახადები შეუმცირა, თეიმურაზი მოიმადლიერა და გივის შერიგების სურვილი გამოთქვა. თეიმურაზს მისწერა: „შენ თავდებად დაუდეგ ამილახორსაო, რომ ჩემგან არა დაუშავდეს რაო“[3].

თეიმურაზი ავჭალას მივიდა და გივის ნადირის დანაბარები აცნობა. გივის ყიზილბაშთა წინააღმდეგ საბრძოლველად შვიდი ათასი ლეკი მოეყვანა და ქართლის ციხე-სიმაგრეებში დაეყენებინა. ლეკები თავნებობდნენ და ამის გამო გივიმ თეიმურაზს შეუთვალა: „ამდენი ლეკი შინ მიდგასო, ეს გამაცალეთ და ეგ ჩამოვალო“.

---

[1] „მეცნიერების მოამბე“, 1936 წ., გვ. 118—120.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 354.

[3] იქვე.

რა თქმა უნდა, გივი ამილახორის მიუსვლელობის მიზეზი ლეკები არ იყვნენ. მას ჯერ კიდევ ბევრი სხვა პრეტენზიები ჰქონდა სპარსებისადმი და მისი აზრით ამ პრეტენზიების დაკმაყოფილება მხოლოდ აჯანყების გზით შეიძლებოდა.

ნადირშაჰმა აჯანყებული გივი ამილახორის წინააღმდეგ ადერბაიჯანის სარდალი ფათალიხანი გამოგზავნა. იგი თბილისში მოვიდა და, როგორც თვით გივი ამილახორის ზემოთ მოტანილი წერილიდან დავინახეთ, გივის წინააღმდეგ აჯი-ხანი გაგზავნა. აჯი-ხანი გივიმ ჭალასთან დაამარცხა და სირცხვილეული უკან გააბრუნა.

როგორც დავინახეთ, ყიზილბაშთა ლაშქარი არაერთხელ შევიდა საამილახოროში, მაგრამ ეს ლაშქრობები უშედეგოდ მთავრდებოდა.

ფათალი-ხანმა იცოდა ნადირშაჰის დავალების შეუსრულებლობას რა მოჰყვებოდა და ამის გამო გივის წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციას, აჯიხანის დამარცხების შემდეგ, თვითონ ჩაუდგა სათავეში. იგი მეტეხს მივიდა, იქ დაბანაკდა და ამილახორს შეუთვალა: „ნუ გეფიქრება ხელმწიფისაო, რაც შენი საწადელი არის, მე აგითავებო“[1]. გივი ამილახორი შეეცადა ფათალიხანის ლაშქრის ამაწიოკებელი შედეგი თავიდან მოეშორებინა. ამისათვის კი დრო იყო საჭირო, რათა თავისი ძალებისათვის მობილიზაცია ექნა. გივი ამილახორმა ფათალიხანს პასუხი გაუგზავნა, სამი დღის დრო ითხოვა და თან აცნობა მას, ლეკის დიდი ჯარი დაღესტანში მიდის ალაფით, ისინი დაამარცხეთ და „მეც თქვენს სამსახურში მოვალო“. ფათალიხანს ჭკვაში დაუჯდა, იგი ლეკებს გამოეკიდა, გივის ხერხმა გასჭრა, მტრის ძალები, მასზე რომ იყვნენ მოსული ლეკებს დაუპირისპირა.

ფათალი-ხანი ნადირს უკან გაეწვია და ქერიმხანისათვის დაევალებინა ამილახორის წინააღმდეგ ბრძოლა.

გივი ამილახორის აჯანყება გრძელდებოდა. პერსპექტივა არ ჩანდა. გივის მომხრე ფეოდალებს ზარალი მოსდიოდათ, ყიზილბაშთა ჯარები დახეტიალებდნენ მათ მამულში. ასეთი ბრძოლების დროს ნადგურდებოდა განსაკუთრებით მწარმოებელი მოსახლეობა. ამიტომ მათ თვალში არა მარტო ყიზილბაშები ჩანდნენ თავიანთ მტრებად, არამედ ადგილობრივი, საკუთარი, ბატონებიც. გივი ცდილობდა ასეთი შინაური უკმაყოფილება ჩაექრო. იგი სასტიკად გაუსწორდა არაგვის საერისთავოში მომხდარ შეთქმულებას.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 355.

პაპუნა ორბელიანის აზრით, გივიმ იმიტომ გამოიჩინა ასეთი სიხასტიკე, რომ თუ „არაგვის კაცნი უკუსდგომოდენ, ვეღარც ქსნის კაცსა დაიმორჩილებდა“[1].

„დაამშვიდა“ რა გივი ამილახორმა არაგვის ხევი, იგი სასწრაფოდ საამილახოროში ჩავიდა და ქერიმხანის წინააღმდეგ ბრძოლის თადარიგს შეუდგა, იგი დაბანაკდა ცხვილოს ციხის ჩრდილოეთით ტყიან მთაზე. აქ ყიზილბაშთა ერთი რაზმი გივიმ დაამარცხა. ყიზილბაშთა მთავარმა ძალებმა სამთავისი აიღეს და „მერე მივიდნენ და შემოადგნენ სხვილოს ციხესა, მოუტანეს საფრები, ქვეით გალავანი თვითონ დაუცალეს, დარჩათ ყიზილბაშთა, იყო ბრძოლა ყოველ დღე შიგნით მეციხოვნეთაგან და აქეთ ყიზილბაშთაგან“[2].

აქ ჯერ კიდევ ბრძოლა არ იყო დამთავრებული, რომ ნადირს ი მ ა მ ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს ქართლი გამოერთმია და თავისთან ეხმო, ქართლის ხანობა კი ყოჯა-ხანისათვის მიეცა. ამ ამბების გამო ყიზილბაშებმა ლაშქრობა მოშალეს, ქერიმ-ხანი გორს მივიდა, იმამყული-ხანი სპარსეთს წავიდა.

გივიმ სცადა ყოჯა-ხანთან საერთო ენა გამოენახა. მან აცნობა, რომ მზად არის სპარსელებს დაეზაოს და მძევლები გაუგზავნა, მაგრამ თვითონ პირადად არ შეუძლიან გამოცხადდეს სპარსთა ბანაკში მანამ, სანამ საამისო ხელუხლებლობას რაყიმი არ ექნება ხელმწიფისაგან. ნადირშაჰს მოახსენეს ამილახორის პირობა. ნადირმა ამ პირობაში დაინახა, რომ ამილახორს უჭირსო და ბრძანება გასცა: „ამდენი ქვეყანა ჩემს საბრძანებელში არისო, ვის გამოვართვი მზევალი, რომ ეგ მზევლით ვიმსახურო. თუ ჩემის ბძანების მორჩილი არისო, ჩამოვიდეს და ბძანებისაებრ ჩემისა მემსახუროსო და თუ არა ქნას, ყოვლის წახდენით წაახდინეთო“[3].

ყიზილბაშთა მოხელეებმა მიიღეს ნადირის ეს ბრძანება, ამილახორს უკან დაუბრუნეს მძევლები და მის სამფლობელოს შეუტიეს.

ნადირშაჰი სულ ახალ-ახალ ჯარებს აგზავნიდა, მოხელეებს ხშირად სცვლიდა, ქრთამ-საჩუქრებს აწესებდა, მაგრამ გივი ვერ გაეტეხა.

ქართლის სხვა თავადებს აჯანყებული გივი იმედად ეგულებოდათ და თუ ყიზილბაშ მოხელეებთან საერთო ენას ვერ გამონახავდნენ, მაშინ ისინი ამილახორის მხარეზე გადადიოდნენ ხოლმე.

---

[1] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 356.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ასე იყო 1743 წლის აპრილში, როდესაც ახლად დანიშნულმა ალიხანმა ციციშვილებს — ალექსანდრეს, დავითს და ოთარს — „შარი მოუდო ამილახვარს ელაპარაკებითო". ციციშვილებმა მიზეზი იშოვეს და „მისცეს მართლად ციხები ამილახვარს აბუხალ და მძოვრეთისა, შეაყენეს კაცნი ამილახორისანი, დადგა თითონ ამილახორი სურამის ციხეში და მოუმატა გალავანი, და ეცადა სიმაგრესა"[1].

ამილახორმა დაინახა, რომ ბარათაშვილები დიდად ერთგულობენ ყიზილბაშებს, დაიქირავა ჯარი ლეკისა, მობილიზაცია უყო საკუთარ ჯარებსაც და შეერთებული ძალებით საბარათიანო აკლებინა[2].

1743 წლის გვიან გაზაფხულზე აჯანყება ახალ ფაზაში შევიდა. ნადირშაჰი მიხვდა, რომ „ამდენი ქართლისაგან ღალატი სათხოვრისაგან ამდენის რთმევის მიზეზი იყო"[3]. იგი დათმობაზე წავიდა „რაც ქართლში ხარაბა ადგილი იყო იმისი ხარჯი ეპატივებინა".

რათა ქართლის თავადთა გული მოეგო ზოგიერთი ყიზილბაში მოხელე საგანგებოდ დასაჯა.

ნადირმა ამავე დათმობის გზით თეიმურაზ კახთა მეფეც გაიერთგულა. ამის შემდეგ თეიმურაზი სპარსთა მხარეზე გადავიდა და გივის წინააღმდეგ ბრძოლა იკისრა. თეიმურაზმა ნადირისაგან მიღებული შეღავათების წყალობით კახეთისათვის ყიზილბაშობა იოლ ასატანად გახადა. ამ ამბავმა თეიმურაზს მომხრეები გაუმრავლა. მას არაერთი ნატრულობდა ქართლშიდაც.

1743 წლის ივნისში, არაგვის ხეობაში აჯანყება მოხდა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ მთიელ-მოხევენი: ღუდუშაური პაპა, ნადიბაიძე გივი, ზარიბეგ ნადიბაიძე, ტეტიანახიჩა გელდაშვილი და სხვა 15 გლეხი[4]. აჯანყებულებმა ბეჟან ერისთავი და მისი ბიძაშვილი მოკლეს და მათი საქონელი იავარჰყვეს. ერისთავისა და ამილახორის ცოლ-შვილი საერისთაოს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში იყვნენ. აჯანყებულებმა ეს ციხე გატეხეს, მეციხოვნეთა ქონება მიიმძლავრეს და „ცარიელნი დედაკაცები გაუგზავნეს ამილახორსა"[5]. არაგველებმა თეიმურაზს კაცები აახლეს და ანანურს მიიწვიეს. არაგვის საერისთავო გივი ამილახორის მომხრეთა ბანაკიდან

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 358.
[2] იქვე, გვ. 359.
[3] იქვე.
[4] „მეცნიერების მოამბე", 1936 წ., გვ. 120.
[5] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 361.

მის მოწინააღმდეგეთა ბახაკში გადავიდა. ეს იყო აჯანყების პირველი სერიოზული მარცხი. გივი შეეცადა საქმის გამოსწორებას. მან უპირველეს ყოვლისა გაუსივა „ჯარი არაგვის ერისთავის მამულს, რაც ქართლში ჰქონდა, ტიძნისი, შინდისი სულ წაახდენინა"[1].

თვითონ გივი ამილახორი რუსეთში გაგზავნილ წერილში წერდა: „ცხვილოს მოვედით 23 თიბათვესა, წირვის დრო იყო, კაცი მოგვივიდა ერისთავი ბეჟან და ოტია თავის კაცებმა ღალატით კარავში დახოცესო... მთიულეთს კაცი გავგზავნეთ, ხიზანს მივაშველეთ. ქსნისხველნიც თან გაჰყვნენ. ხიზანი მშვიდობით წირქვალს მიიყვანეს. მაგრამ რაც რამა გვქონდა: ხატი, ჯვარი, წიგნი, სიგელი, ისინი არ დაებრუნებინათ რა, ისევ იმათვე აქვს"[2]. შემდეგ წერილში გივი ამილახორი მოგვითხრობს თეიმურაზისა და არაგველების დამოკიდებულების ამბებს და დასძენს „... ეხლა გვეხვეწებიან ის არაგვის კაცნი, ვინცა იმ საქმეში ურევიან. ჩვენც ამას ვეუბნებით: ვინც იმ ღალატში ურევიან ისინი ან ყველა დახოცეთ, იმათი ცოლშვილი მოგვეცით, ან არა ცოცხლები მოგვეცითო. თუ ორში ერთი ქნეს, მას უკან კიდეც ვენდობით, თუ არა ქნეს და რასაც ღმერთი შემაძლებინებს არც მართალს გავიკითხავ, არც მტყუანსა. თორმეტი ათასი კაცი მზათა მყავს. მარიამობისთვე, ენკენისთვე, ღვინობისთვე, ამ სამს თვეს იმათ მამულში დავდგები. ასეთ საქმეს უზამ, რომ ამგვარი საქმე სხვამ იმათთანამ კაცმა ვეღარ ქნას"[3].

არაგვის ხეობას თეიმურაზი ეპატრონებოდა, ზემო ქართლს ყიზილბაშთა რაზმები შესეოდნენ და ამილახორთა სოფლებს არბევდნენ. გივი წერს: „ჩვენ, რომ ზემო ქართლს ვიყავით ყიზილბაში სადაც სამტროდ მოვიდა, თან დავდევდით. ბევრგან დაუმარცხდათ. შვიდს მკათათვეს, ხუთშაფათს, მივიდა სარდალი აჯი ხან დირბის წყალზე, ჩამოვიდა და ჩვენ ყორნისს ვიყავით; ჩვენზე მოვიდა. რაც ჯარი ჰყავდა ქვეითი და ცხენოსანი, ყველანი მოიყვანა. დილას შებმული ხუთ საათს ბრძოლა იყო. იმდენი ღთის წყალობა გაქვსთ, რამდენი ცხენი და კაცი იმათი დაგვრჩა, გაბრუნდნენ. გამოუდგნენ უკან. ვერა შევიტყვე რა. საბრალო ჩემი ძმა გამოსდგომოდა უკანა და დიდს ალაგას ედევნა და ზედა შეაკვდა. იმის სიკვდილის უკან ჩვენსა და ყიზილბაშებში ოთხჯერ ხუთჯერ

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 361.

[2] „მეცნიერების მოამბე", 1936 წ., გვ. 120.

[3] იქვე.

ომი მოვიდა. ღვთით იმისი სისხლი ამოვიღეთ. იმის სიკვ-
დილის უკან ხუთასი ყიზილბაში მომკვდარა. საქონელი, ცხენ-
იარაღი ბევრი იშოვეს"[1].

სწორედ იმ ხანებში, როცა გივი ამილახორმა აჯი-ხანი ზემო
ქართლში დაამარცხა, ნადირშაჰს სხვაფრივაც გაურთულდა მდგო-
მარეობა. შირვან-შამახიის მხარე ნადირს გაუდგა და სპარსთა მოხე-
ლენი ამოჟლიტა. დაღესტანმაც ხელმწიფეს პირი გაუტეხა, ნადირი
ხონთქარს ებრძოდა, ყველა ამის გამო აჯი-ხანი საქართველოდან
უკან იხმეს. გივის იმედი მოეცა, საქართველოსა და სპარსეთის
ამბებს რუსეთში მყოფ ბაქარს ატყობინებდა: „ოსმალი და დაღეს-
ტანი ერთი შეიქნა. ორივე ყიზილბაშსა სცემენ. ჯამაგირიც ბევრი
გაუჩინა თავს კაცებსა და ბელადებს ხონთქარმა. წელიწადში რვა-
ასი ქისა ულუფა მისცა. თამაზხან თავისი ჯარით ბაღდადის მიწაში
ქარქუთს მივიდა. უწინ ოცი ათასი კაცი გაგზავნა ქურთისტანზედ
და ძალბასი ჰქვიან იმათზედ და იმათი ელი დაარბიეს. ბევრი ნა-
შოვარი ქნეს, რომ წამოვიდნენ მოსწეოდა მდევარი. ნაშოვარიც
წაართვეს და ყიზილბაში ნახევარი კაცი ვეღარ მორჩა, სულ ამოწყ-
ვიტეს. თითონ მოსულს მოვიდა. იქ ბაღდადის ფაშა შემოება.
თორმეტი ათასი ყიზილბაში მომკვდარა. თვითონ თავისპირით ამ-
ბობენ ყიზილბაშები. ერთი სარასკარი აზრუმს არის ასიათასი
კაცითა და იმისი ჯარი ყარსს არფაჩაის ჯავახეთსა არის უფროსი
ერთი. სტამბოლს რომ ყაენის შვილი იყო შასეფი, ისიც ბაღდადს
წამოუყვანიათ. თურქესტანიც ამლილი არის. ოზბეგს და ხორა-
სანს არბევენ. ერანში შენობა ხომ არ გაუშავა. შვილებს ყიდიან
თავისი ხელით... ამ ახლოხანში ოსმალოს ჯარი ადერბეიჯანში
ჩამოდგება"[2].

წერილის ეს ადგილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჩანს
გივი ამილახორი თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო ამბებს და
იმისდა მიხედვით მოქმედებდა.

ოსმალები არ ზოგავდნენ არაფერს, ოღონც-კი გივის არ შე-
ეწყვიტა ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ. ეს მათ ინტერესებს
შეესაბამებოდა. ხელს უწყობდნენ ლეკთა თარეშსაც. გივის დაძა-
ხილზე მოსულიყვნენ ოს-ჩერქეზნიც. ყველა ესენი თავს ესხმოდ-
ნენ ყიზილბაშთა მომხრე ქართველ თავადების მიწა-წყალს, არ-
ბევდნენ, აწიოკებდნენ.

---

[1] „მეცნიერების მოამბე", 1936 წ., გვ. 121.

[2] იქვე.

ოსმალეთში თავშესაფარს აძლევდნენ სპარსეთის ტახტის პრეტენდენტებს. ერთ-ერთ შაჰზადეს ამილახორისათვის გამოუგზავნია „ხალათი, ცხენი და თეთრი ფრიადი: „ვინც ჩვენ სამსახურზე ხმალს იქნევდეს, იმათ მიეცით და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეთო“[1].

ოსმალთა ჯარითა და ხაზინით ამილახორი თეიმურაზზე მიდის. ბრძოლა აჩაბეთს მოხდა. ამ ბრძოლაში თეიმურაზმა და ერეკლემ გაიმარჯვეს.

ამილახორს იმედი არ გაუმართლდა. რუსეთიდან დახმარება არ ჩანდა. შაჰსაც თავისი საქმეები მოეგვარებინა, ოსმალთა მაშველი ჯარებიც სახლში, ახალციხეში, დაბრუნდნენ. მარტო ლეკებით რაიმე წარმატება უპერსპექტივო ჩანდა. ამასობაში ქსნის ხეობაც დაკარგა (1744). როცა თეიმურაზმა არაგვი დაიჭირა და ეს ამბავი შაჰს აცნობა, ნადირმა მიულოცა წარმატება და მოსწერა: „თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორთავ საერისთოს შენთვის მოგვიცემიაო“[2].

თეიმურაზი ქსნის დაკავებისათვის გეგმებს ადგენდა. მას ჯერ მშვიდობიანი გზით უნდოდა ქსნელთა გადაბირება. და „ეცადა.. ჭრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის ხევის კაცნი ვერ შამოირიგა“[3]. რადგან ნებით არ დამორჩილდნენ ქსნელები, თეიმურაზმა ძალა იხმარა. მან თავისი შვილი მოიშველა, ერეკლე კახელებით მოვიდა და ანანურს დადგა. შეერთებული ძალებით მამაშვილი ქსნის ხეობაში შეავიდნენ და ხმლით დაიპყრეს ქსანი[4]. გივის ცოლ-შვილი ქსნის ხეობაში, წირქოლის ციხეში იყვნენ გამაგრებული. ამ ციხის დაცვა დავალებული ჰქონდა რევაზ ამილახორისშვილს.

თეიმურაზ-ერეკლე წირქოლის ციხეს 1744 წ. იანვარში „მიადგნენ გარს და დაუწყეს ლაპარაკი (რევაზ ამილახორისშვილს, დ. გ.) და აღუთქვა წყალობა უზომო, დამორჩილდა ბძანებასა მეფისასა და გამოვიდა რევაზ, მიართვა ციხე, უბოძა ხალათი, დაპირდა უმეტესა წყალობასა“[5].

ციხე შიგნიდან გატყდა. ახლა უკვე გივის არა მარტო მოკავშირე თავადები ღალატობდნენ, არამედ საკუთარი სახლის შვილებიც.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 363.
[2] იქვე, გვ. 361.
[3] იქვე, გვ. 362.
[4] იქვე, გვ. 363.
[5] იქვე, გვ. 364.

ჯერ კიდევ ადრე, როცა 1742 წ. გივი გაიქცა, და არაერთი მოლაპარაკების მიუხედავად უკან აღარ ბრუნდებოდა და შერიგებას არ აპირებდა, სპარსეთის სამეფო კარმა გივი ამილახორობიდან გადააყენა და ამილახორობა ამირინდოს მისცა. მაგრამ ამირინდო უფრო ნომინალურ ამილახორად დარჩა, რადგან საამილახოროში გივი იჯდა და ეს ქვეყანაც მას უჭერდა მხარს. ამირინდო სპარსთა სამსახურში დარჩა. რევაზიც თავის მამის გარდაცვალების შემდეგ მისკარბაშად ითვლებოდა და ამდენად სპარსთა მოხელე იყო, მაგრამ დრო იხელთა და გივის მიემხრო. ახლა, ჩანს, გივის საქმე რევაზმა წაგებულად ჩათვალა და ამჯობინა თეიმურაზის მხარეზე გადასვლა. აქ როგორც წესი, ფეოდალური სინდისი არ ირღვეოდა, მართალია რევაზი გივის სახლისკაცი იყო, მაგრამ მაინც ფეოდალი. გივისთან ყოფნა სახიფათო იყო, მაშინ როდესაც თეიმურაზის გამარჯვება უკვე აშკარად ჩანდა. მით უმეტეს, რომ თეიმურაზი მას საფიცრის წიგნს აძლევდა: „... შენ და რაც შენთან კაცნი ძრიან, რადგან ჩვენს ერთგულობასაზედა სამსახური ქენ, მოხველ, ჩვენგან წყალობისა და პატივის მეტი არა დაგემართოსრა, დიდი წყალობა გიყოთ, თუ ღთნ და ჯემწიფემ ქართლი მიბოძა, ამილახოროობაც შენ მოგცეთ, შენი მამულიცა. თუ რომ ქართლი არ მოგცეა, რაც კახეთში შენი-ყმა არის ის მიოცეთ (sic). ერთი სოფელი სარჩოდ წყალობა გიყოთ, არც ყიზილბაშს ჩვენ მიგცეთ, არც ჩვენგან ფიქრი და საზიანო მოგინდომოთ"[1].

ამილახორის მოქმედება ასე თანდათან ვიწროვდებოდა. მან არაგვი და ქსანი დაკარგა. ამის შემდეგ ამილახორს დარჩა სხვილოს ციხე, ქვემო ჭალა, სურამი, კეხვი, ქრცხინვალი და საქართლის ციხე[2].

ამილახორი იძულებული იყო დახმარებისათვის ოსმალეთს შეხვეწნოდა, ეს იყო მისი მიზნიდან ძალუნებური გადახვევა. რა თქმა უნდა, „ნადირშაჰის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისას გივი ამილახორი ქართლში ოსმალთა შემოყვანას არ ჰფიქრობდა. „ოსმალობის" სიავკარგე მას ახლო წარსულიდან კარგად ახსოვდა, როცა ამ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყებას თითონ ხელმძღვანელობდა. ამილახორი ქართლში „ქართველობის" დაცვისათვის ებრძოდა „ოსმალობასაც" და „ყიზილბაშობასაც". ამ საქმეში დამხმარედ მას პეტრე ხელმწიფის მემკვიდრეები წარმოედგინა. რუსეთში

---

[1] საქ. მუზეუმი. IId, 2137.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 363.

ამილახორს მართლაც თავის კაცადა სთვლიდნენ, მაგრამ მისთვის აქტიური დახმარების აღმოჩენას ვერ ახერხებდნენ. არც ბაქარი მოდიოდა. ნადირ-შაჰმა კი თეიმურაზ — ზამთარი დაუპირისპირა ბაქარსა და ამილახორს. ერთადერთი ვისგანაც ეხლა ამილახორს დახმარების მიღება შეეძლო, ოსმალეთი იყო და გივიც სულ უფრო და უფრო ოსმალებზე დამოკიდებული ხდებოდა. ოსმალეთი კი ქართლის დასაპყრობად და აქ „ოსმალობის“ დასამყარებლად ბოდიოდა. ასე რომ ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი მისდაუნებურად ოსმალების აგენტი ხდებოდა“[1].

დრო თეიმურაზის სასარგებლოდ მოქმედებდა. თეიმურაზის ქვეყანაში ცხოვრება უკეთესი ჩანდა. ყიზილბაშობა ქართლთან შედარებით აქ იოლი ასატანი იყო. 1744 წლისათვის ერანის თვალში იმდენად დამსახურებულად ჩანდა თეიმურაზი, რომ ქართლის მმართველობა მას ჩააბარეს. ამის შემდეგ „ქართლის საზოგადოების დიდი უმრავლესობის თვალში აჯანყებას იდეური საფუძველი ეცლებოდა. ნადირშაჰის სარწმუნო თეიმურაზი, იმედი იყო, ქართლს ყიზილბაშობიდან ისევე გაათავისუფლებდა, როგორც გაათავისუფლა მან კახეთი“[2].

ქართლის ფეოდალური წრე სულ უფრო და უფრო ორ ბანაკად ნაწილდებოდა. ერთ ნაწილს მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო და თეიმურაზს შეერთებოდა, მეორე ნაწილი კი კვლავ აჯანყებულ გივის მხარეზე იდგა. აჯანყებას გადაგვარება ეტყობოდა. ის სწორ მიზანს — ქართველობის გამოხსნასა და ყიზილბაშობის მოსპობას რომ ისახავდა მიზნად, ასცდენოდა და ურთიერთ თავდამსხმელ ავანტიურად გადაქცეულიყო.

მაჩაბელი თეიმურაზის მხარეზე გადასულიყო. ამის გამო „რაც ამილახვართან ლეკნი იყვნეს მოუხდენ მაჩაბელს, აუოხრეს ქვეყანა, ... ჩამოუყენა ამილახორმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოხრებდენ მაჩაბლის ქვეყანას“[3].

ამილახორი ხედავდა, რომ ქართლის თავადები თეიმურაზს უსმენდნენ და ზომების მისაღებად ის ოსმალებს ჰპატიჟებდა. ჩანს ოსმალეთმა მომენტი სერიოზულად შეაფასა და ახლა დიდი ხაზინა, სურსათ-სანოვაგე და ჯარი მოაშველა ამილახორს. ხონთქარმა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკ. საქ. ისტორიიდან, მასალები, 1944 წ., ნაკ. I, გვ. 207.

[2] იქვე. გვ. 207.

[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 366.

გივისა და ზემო ქართლის საქმეები ახალციხის ფაშას უსუფს მიანდო და დაავალა: „ზემო ქართლი ხომ ჩვენი არისო, ჩაიარე იმაზე და ალაზნის პირზე დადექ, იქ ლეკი შემოიყარეო, ხაზინა გაუყავო და ქართლი დაიჭირეო“[1].

უსუფ-ფაშა მზადებას შეუდგა. მან ქართლში „გაგზავნა პური და ქერი ამდენი, რომ სურამის გარშემო რაც საყდრები იყო სულ აავსეს, დიდი თადარიკი ქონდათ ურუმთა“[2]. სწორედ ამ დროს თბილისიდან გაიპარა დავით თარხნიშვილი და გივი ამილახორთან მივიდა[3].

უსუფ-ფაშა და გივი ამილახორი სურამს შეეყარნენ ერთმანეთს, დაღესტანში კაცები გაგზავნეს, საჩუქარი გაუგზავნეს და ლეკთა ჯარები გამოითხოვეს, თეიმურაზმა კონტრზომები მიიღო, ქართველთა და ყიზილბაშთა ძალებს მობილიზაცია უქნა, ერეკლე კახეთიდან იხმო. ასეთმა ზომებმა გასჭრა, ერეკლე კახელებით მამის მისაშველებლად წამოვიდა. მას გზაზე შემოეყარნენ დაღესტანს მიმავალი ოსმალთა მოციქულნი. ერეკლემ ისინი დაიჭირა და ნადირ-შაჰს გაუგზავნა.

ამილახორ-ოსმალთა და თეიმურაზ-ყიზილბაშთა შორის ბრძოლა გორთან ახლო, ლიახვის პირას მოხდა. ბრძოლაში თეიმურაზ-ყიზილბაშნი დამარცხდნენ. ოსმალნი ქართლის სოფლებს დაერივნენ. რუისსა და ურბნისში მათ „შეაბილწეს მონასტრები, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გორს გარშემო საცა რამ ყანა იდგა სულ გათიბეს, აღარსად გაუშვეს წაუხდენელი“[4].

მიუხედავად გივის პერიოდული გამარჯვებისა, დრო მაინც თეიმურაზის სასარგებლოდ მუშაობდა. ოსმალები ხედავდნენ, რომ დახმარება ამაო იყო. უსუფ-ფაშას ზარალი ენახა, ქართლში ლაშქრობისას მას, ლეკს გარდა, ხუთასი კაცი დაჰკლებოდა[5].

აჯანყებულ გივის წინააღმდეგ მუდმივ სამხედრო ექსპედიციებს ველარ უძლებდა გლეხობა, ისინი გარბოდნენ ჯგუფურად თუ ცალ-ცალკე. საამილახორო დაიცალა გლეხთაგან. აჯანყების პერიოდში „მარტო საამილახოროდან გადაიკრიბა კახეთში სამი ათასი კომლი კაცი. ეს ყველაზედ საშიში განაჩენი იყო, ქართლის ფართო საზო-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II. გვ. 366.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 367.
[5] იქვე, გვ. 368.

ბადოებამ რომ გამოუტანა გადაგვარების გზაზედ შემდგარ აჯანყებას"[1].

1744 წლის ივლისში ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზ მეორე სცნო, ხოლო კახეთი მის შვილს — ერეკლე მეორეს „უწყალობა".

თეიმურაზმა ქართლი როდესაც ჩაიბარა, სცადა გივის შემორიგება. სურამში მჯდომ გივის ვახუშტი აბაშიძე და თარხანი ლუარსაბი მიუგზავნა და „დაპირდა დიდს წყალობას და ხელმწიფისაგან დანაშაულის მოტევებასა"[2].

ნადირ-შაჰმა თეიმურაზს მტკიცე დავალება მისცა, გივი უნდა ხელთ ეგდო. ამ საქმის შესასრულებლად თეიმურაზს დამხმარე ჯარი გამოუგზავნა (4000 კაცი), ალი-მარდახანის მეთაურობით.

3 დეკემბერს თეიმურაზი სურამს მიადგა. სურამის ციხე ამილახორს საგანგებოდ გაემაგრებინა. თეიმურაზმა ციხის მოშორებით სანგრები გამართა და ჯარი ჩააყენა. ციხის მახლობლად საფრები შეუკრეს, თეიმურაზმა სხვა ზომებიც მიიღო. ზემო ქართლის თავადები თავისთან იხმო, წყალობა უყო და შეცოდების პატიება აღუთქვა. მან აგრეთვე „გაგზავნა ყაფლან ორბელიანი ამილახვარის შვილს დიმიტრისთან, რომელი იყო ახალდაბის ციხეში გამაგრებული"[3]. დემეტრე ამილახორისშვილი ყაფლან ორბელიანის სიძე იყო და მისი სჯეროდა. ყაფლანმა ადვილად გადაიბირა დიმიტრი, იგი თეიმურაზთან გამოცხადდა და ახალდაბის ციხეც გადასცა.

ახალდაბის ციხის დაკარგვით აჯანყებული გივი იზოლირებული აღმოჩნდა. მისთვის ახალციხის გზა შეკრული შეიქმნა.

დიმიტრი ამილახორის შვილი თეიმურაზმა დაიახლოვა და გივისათვის, რომ დაეპირისპირებინა, მას მისცა ამილახორობა, ხალათი ოქროძა და 50 თუმანი ჯამაგირი გაუჩინა[4].

თეიმურაზს სურამის ციხის აღება გაუჭირდა, გივის იმედი ჰქონდა სიმაგრისა და არ ნებდებოდა. მას „ცოტა რამ ლეკიც ჰყვანდა ციხეში და ციხეც კარგად დაწყობილი ჰქონდათ სანოვაგითა მრავლითა და ჯაბახანითა ფრიადითა. არ ჰქონდათ ციხის აღების იმედი, იყო დღე და ღამ სროლა ზარბაზანთა და ყუმბარათა, რომე კომლისაგან ციხე აღარა ჩნდის. აგრევ ესროდენ ციხიდამ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკ. საქ. ისტორიიდან, მასალები, 1944 წ., ნაკ. I, გვ. 208.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 374.

[3] იქვე, გვ. 375.

[4] იქვე, გვ. 376.

ზარბაზანთა. განაწესნეს ღამით მეომარი ხუთასი მცველად გზებისა, რონე ციხიდამ არავინ გაპარვოდათ"[1].

კეხვის ციხეში სარიდან ერისთავის შვილი ჩაეყენებინა გივის. თეიმურაზმა ჯარით გაგზავნა კეხვზე ამირინდო ამილახორიშვილი და მეითარი ზურაბ. ესენი „მივიდნენ და შემოადგნენ ციხესა კეხვისასა, იყო ბრძოლა დღე და ღამ, გამოხდა ხანი თვე ოთხი. მერმე უბრძანა ყაფლან ორბელიანს საბარათაშვილოს ჯარით და მიაშველა კეხვის ციხეს. გავიდა ესეც და იყო დღე და ღამ ცდაში და სამსახურისა და ერთგულობისა გამოჩენაში"[2]. კეხვის ციხის მეციხოვნეებმა ხანგრძლივ იერიშებს ვერ გაუძლეს, სარიდანი დანებდა, ციხე დაეცა.

ნადირ-შაჰი ხედავდა, რომ გივის წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციები საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. ძალით ვერ ამარცხებდა, სანამ აჯანყება ცოცხლობდა, ნადირსაც უნდა თავის სამოქმედო გეგმებში აჯანყების მოსპობა გაეთვალისწინებინა და ამიტომ იყო, რომ ახლაც, 1745 წლის დასაწყისში იგი მზად იყო ამილახორისათვის „შეცოდება" ეპატივებინა, ოღონდ ამილახორს შერიგება-დაწყნარების ხალისი გამოეჩინა. ნადირ-შაჰს ამილახორისათვის უსეინ-ბეგი გამოეგზავნა და „ეპატივებინა ფიცით დანაშაული ცდომილებისა. შეუგზავნეს რაყამი გივის ამილახვარს და აცნობეს ესე ამბავი"[3].

ამილახორმა რაყიმი წაიკითხა და პასუხი შემოუთვალა. პასუხში ამილახორი თეიმურაზთან აუდიენციას თხოულობდა. თეიმურაზი სურამის ციხესთან მივიდა, საგანგებო კარავი გააკეთა და ამილახორს ელოდა. გივი ამილახორი თეიმურაზის კარავში გამოცხადდა და ერთგულებაზე შეჰფიცა, ოღონც „ხელმწიფისაგან ერთი ასეთი რაყიმი მომიტანინეო, ჩემი გული შესჯერდესო და ციხეს მაშინვე მოგართმევო"[4].

თეიმურაზმა გივის აღუთქვა სურვილის შესრულება, შაჰ-ნადირთან რევაზ ამილახორი გაგზავნა და გივის პირობა შეუთვალა; გივი კვლავ ციხეში შევიდა.

ორივე მხარე სპარსეთის მბრძანებლის პასუხს უცდიდა. თუმცა საომარი ბანაკები არ მოშალეს, მაგრამ ბრძოლა შეწყდა. პაპუნა ორბელიანი, რომელიც ამ დროს თეიმურაზის ბანაკში იმყოფე-

---

[1] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 376.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 377.

[4] იქვე.

ბოდა. გადმოგვცემს: „ციხის კაცნი ჩვენს ჯარში მოდიოდის და ჩვენი ჯარის კაცნი ციხეში შევიდის, ერთმანერთში ვაკრობდიან“[1].

ამასობაში რევაზ ამილახორი სპარსეთიდან დაბრუნდა. ნადირ-შაჰს გივისათვის შემოეთვალა: „შენი დანაშაული და სისხლი ჩვენის სიმაღლისა და განძლიერებელის მდომებელის მეფეს თეიმურაზისათვის გვიპატივებიაო“[2].

გივი შაჰის გულწრფელობაში მაინც ეჭვობდა და თეიმურაზს არ ნებდებოდა. გივიმ ციხიდან კაცები ჩამოგზავნა და თეიმურაზის ბრძანებით, რომ ციხისათვის ნაღმი გაეკეთებინათ, მისი მოშლა ებრძანა. თეიმურაზმა ეს ამბავი შეიტყო, მან საბარათიანოს ჯარს უბრძანა შეტევაზე გადასვლა. ჯარმა იერიში მიიტანა, ამილახორს ერთი კაცი მოუკლეს, დანარჩენები ისევ ციხეში ჩაიკეტნენ „დაბ-შეს კარი ციხისა და შეიქნა ისევ ბრძოლა... იყო ყოველთვის ომი ფიცხელი უმეტეს პირველისა“[3].

სურამში მოვიდა ერეკლე მეორე, მან ზაალ აბაშიძის ქალი-შვილზე იქორწილა ქვიშხეთს. ქორწილის შემდეგ მამა-შვილმა სურამის ციხეზე შეტევა განაახლეს. „იყო სროლა მუდმისად ყუნ-ბარათა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყვის“[4].

თეიმურაზმა შაჰ-ნადირს აცნობა ამილახორის პირის გატეხა და რჩევა სთხოვა. ნადირმა შემოუთვალა: „რაც გინდოდეს ჩემი ხაზინა დახარჯეო, ყველა შენგან ეს ეხთიბარი გვაქვსო“[5].

ნადირ-შაჰმა მოითხოვა სურამის ციხის სურათი, მხატვარმა ციხე დახატა და სასწრაფოდ გაუგზავნეს სურათი. სურათის გასინჯვის შემდეგ, ნადირმა თეიმურაზს ფული გამოუგზავნა და დაავალა: „მაგ ციხეს იმგვრლივ ასეთი გალავანი შემოავლევითო, რომ კაცს გარდასვლა არ შეეძლოსო და გარს ამ გალავანს ჯარი მოუყენეთო და თქვენ ჩამოეცალენითო, ეგ სანამდის იყოსო, რომ თითონვე შემოიხვეწიოსო“[6].

ნადირის ბრძანება შეასრულეს. ციხეს გალავანი შემოავლეს და ყარაულები დაუყენეს.

ახალციხის ფაშას ისაყს გივი ამილახორისათვის წიგნი მოეწერა, დახმარებას დაჰპირებოდა, გამხნევება შემოეთვალა. ეს წიგ-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 377.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 377—378.
[6] იქვე, გვ. 378.

ნები ქაიხოსრო ავალიშვილს ჩავარდნოდა ხელთ და თეიმურაზისათვის მიეტანა. თეიმურაზმა ზომები მიიღო. ბარათაშვილები გაგზავნა ბორჯომის ხეობაში და ხეობა გაამაგრა.

თეიმურაზმა სურამის ციხეზე შეტევა გაახშირა. „მისცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა, მისცეს მეორე ნაღმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია, ბევრიც ავნო მყოფთა ციხისათა“[1].

გივი დარწმუნდა, რომ საქმე წაგებული იყო და ახლა თვითონ დაიწყო შემორიგებაზე ლაპარაკი. „ბატონი დედოფალი მობძანდესო და იმას მოვენდობიო“[2].

თამარი სურამს მივიდა, გივი ეახლა თამარს და ერთგულება შეჰფიცა. თამარმა თავის მხრივ უვნებლობა აღუთქვა. გივიმ თავისი საქონლის დავთარი გადასცა და ციხე ჩაბარა. გივი ამილახორის აჯანყება დამთავრდა. დედოფალი თბილისში წამოვიდა და გივიც თან წამოიყვანა.

აჯანყება რომ მინელდა, საჰიათასამდე გაქცეული გლეხი უკან დააბრუნეს[3].

ასეთია გივი ამილახორის აჯანყების ისტორიული მიმოხილვა. მართალია, ქართლის აჯანყების მეთაური თავადები სპარსეთმა ჯერ გათიშა და შემდეგ ხელთ იგდო, მაგრამ, როგორც ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად შენიშნავს, „ამით ქართლის ბრძოლა არ დამარცხებულა. პირიქით, აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირშაჰი სავსებით უარეყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და „ყიზილბაშობა“ აქ თანდათან „ქართველობით“ „შეეცვალა“[4].

ეს აჯანყება შეიძლება სამ ძირითად პერიოდად დაიყოს: I პერიოდი: 1742 წლის აპრილი—1743 წლის გაზაფხული. ეს პერიოდი აჯანყების აღმავლობის პერიოდია. გივის მხარეზეა ქართლის თავადთა უმრავლესობა. აჯანყება რამდენადაც ყიზილბაშთა წინააღმდეგ არის მიმართული, პროგრესულია.

II პერიოდი: 1843 წ. გაზაფხული—1744 წ. ივნისი. მეორე პერიოდში აჯანყება დაქვეითების გზას ადგია. ნადირი დათმობაზე მიდის, თეიმურაზს პირობებს უქმნის, გივის მომხ-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 379.

[2] იქვე.

[3] ალ. ამილახვარი, გიორგიანული ისტორია, მნათობი, № 8, 1939 წ., გვ. 133.

[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 209.

რეთა რიცხვი მცირდება, აჯანყება მიზანს ასცდა, გივი მისდა უნებურად ოსმალეთის აგენტად გადაიქცა.

III პერიოდი: 1744 წ. ზაფხული—1745 წ. ზაფხული. აჯანყებას იდეური საფუძველი გამოეცალა, მან რეაქციული ხასიათი მიიღო და თავადთა ურთიერთ თავდამსხმელ ავანტიურად გადაიქცა.

გივი ამილახორის შერიგება თეიმურაზმა ნადირ-შაჰს შეატყობინა. ნადირმა მისი საქმე თეიმურაზს გადასცა და შემოუთვალა: „ამილახვარი თავისის საქონლით შენთვის გვიბოძებიაო და მაგისი სისხლიც შენთვის გვიპატიებიაო“[1].

ალბათ სიფრთხილის გამო, თეიმურაზმა გივის ამილახორობა ალარ მისცა, სალთხუცობა უბოძა და თბილისში დატოვა[2].

მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ გივის პირობა დაურღვიეს. ნადირის ბრძანებით სურამისა და კეხვის ციხეები მიწასთან გაასწორეს, ხოლო გივი ამილახორი კი სპარსეთს გაიწვიეს. სხვა გზა არ იყო. გივი დაიჭირეს, სამ დღეს ციხეში ამყოფეს და ხელხუნდდებული სპარსეთს გაგზავნეს. „ერანისაკენ გამგზავრებულ ამილახორს გზაზედ შანშე ერისთავი შემოეყარა. ის თეიმურაზის შუამდგომლობით ყაენს სამშობლოში დაებრუნებია. თავადური ქართლისათვის ორი მებრძოლი, ორივე ბრძოლა წაგებული, ერთი თვალებდათხრილი და მეორე თვალებდასათხრელი ურთიერთს უბედურებაში მწარე ტირილით ანუგეშებდნენ. ეს იყო თავადური ქართლის გლოვა“[3].

გივი ამილახორი ნადირს წარუდგინეს ხელხუნდდებული, თეიმურაზს არზა მიეწერა ნადირისათვის და გივის პატიება ეთხოვა. ნადირმა თეიმურაზის თხოვნა შეიწყნარა და გივის ლმობიერად მოეპყრა. მას ნადირმა „თვეში ათი თუმანი გაუჩინა, იყო ხორასანს“[4].

გივი დიდხანს დარჩა სპარსეთში. ამილახორმა სპარსეთში სახელი გაითქვა და შაჰის ნდობა დაიმსახურა. 1747 წელს, ალ. ამილახორის გადმოცემით ნადირმა უთხრა გივის: „გაძლევ ოცდათოთხმეტი ათას ჯარის კაცს, წადი საქართველოში და სამეფოს მარჯვა-გამგეობა იკისრე, ხოლო თეიმურაზი მისი ვაჟი ირაკლითურთ დაიჭირე და გამომიგზავნე! — თუმცა ბიძა ჩემს სულითა და გულით უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა და მზადებას

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 379.

[2] იქვე.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 209.

[4] იესე ოსესძე, თავგადასავალი, გვ. 13.

შეუდგა. მაგრამ სწორეთ მისი წამოსვლის წინაღამეს ნადირ შაჰს მისი ძმისწულის ადილ შაჰის წაქეზებით სასახლისმცველები დაესხნენ თავს და მოჰკლეს"[1].

ამილახორად და ზემოქართლის სადროშოს სარდლად თეიმურაზმა დიმიტრი დანიშნა.

1745-1747 წ. აღმოსავლეთ საქართველოში სპარსთა მძლავრობა შემცირდა; თავდასხმები მხოლოდ ლეკთაგან ხდებოდა. თეიმურაზი და ერეკლე შეთანხმებულად მუშაობდნენ. 1747 წელს ნადირშაჰმა ერანი დახარკა, ვერც ქართლ-კახეთი გადაურჩა მის საგადასახადო დავთარს. ნადირმა ქართლ-კახეთს 200.000 თუმანი შეაწერა. ამ ამბავმა საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. აჯანყდა ქართლ-კახეთიც. ნადირი და მისი სახელმწიფო აჯანყებამ იმსხვერპლა. ერანში ადილ-შაჰი გახელმწიფდა. იგი თეიმურაზის სიძე იყო. ადილ-შაჰმა გივი თავისთან იხმო, „ყულარაღასობა და დიდი პატივი" მისცა და შაჰყულიხან დაარქვა[2].

ადილ-შაჰი ერთ წელს ხელმწიფობდა, იგი მისმა ძმამ იბრეიმმა შეცვალა, ეს უკანასკნელი კი—ნადირის შვილიშვილმა შაჰროხმა. ერანში ანარქია დამყარდა. გივი ამილახორმა დრო იმოვა, დიდი სიმდიდრე შეიძინა და „გამოეგზავნა ქართლში ოქრო და ვერცხლი მრავალი თვისისა მსახურ აზნაურთათვის"[3].

1749 წელს ერანში ანარქიამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. ერანში მყოფი ქართველი თავადაზნაურობა საქართველოში დაბრუნებას ოცნებობდა. ისინი ასანმირზა ბატონიშვილთან იყრიან თავს, მაგრამ „გაუჭირდათ დიდათ, ამით, რომ ღარიბათ იყვნენ და სიმშილმა შეაწუხა"[4].

ქართველები გივი ამილახორს სთხოვდნენ დახმარებას. მან „მისცა ქართველთა ვის როგორ ეფერებოდა, ან საზრდელი და რაც კლებულობა ჰქონდათ, ყველა გაურიგა ქართველთა, გამოუძღვა და წამოვიდნენ ქართლისაკენ"[5].

ქართველ თავადაზნაურთა ამ ჯგუფმა, გივი ამილახორის მეთაურობით, მრავალი დაბრკოლება გადალახა და XVIII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდა.

---

[1] ალ. ამილახვარი. გიორგიანული ისტორია, მნათობი, 1939 წ., № 8, გვ. 136.

[2] იესე ოსესძე, თავგადასავალი, გვ. 16.

[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლის. ქ. ც. II, გვ. 415.

[4] იქვე, გვ. 420.

[5] იქვე.

გივი თეიმურაზს დაუახლოვდა, იგი თეიმურაზის ბრძანებით 1752 წელს თბილისის მოურავად დაინიშნა. თბილისის მოურავად ყოფნის დროს მან ქაშოეთის ეკლესია ააშენა, შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა[1]. გივი ამილახორის გარდაცვალების თარიღად პაპუნა ორბელიანი 1754 წელს ასახელებს[2].

საბუთების უქონლობის გამო, შეუძლებელი ხდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავადგინოთ ამილახორების შემდეგ-დროინდელი საქმიანობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთი რამ ცხადი ხდება, სახელდობრ ის, რომ ესა თუ ის დიდი მოვლენა, ეპოქის ამა თუ იმ მონაკვეთზე წინა პლანზე რომ წამოიწევრება, ამილახორთა სახლის მონაწილეობის გარეშე არ მიმდინარეობს. ამ მოვლენის გადაჭრაში ამილახორები ცხოველ მონაწილეობას იღებენ.

1742 წელს ნადირ-შაჰმა ამილახორობა ამირინდოს მისცა, მაგრამ საამილახოროში აჯანყებული გივი იჯდა და ამირინდო საამილახოროს გარეშე დარჩა.

1744 წლის აგვისტოში, ამილახორად დიმიტრი ჩანს[3]. მასვე აბარია ზემო ქართლის სადროშოც.

1748 წელს, როცა ერეკლე მეორე აბდულაბეგს ებრძოდა საბარათიანოში, „იქ უბოძა ამირინდოს ამილახორობა, დიმიტრის გამოართო"[4].

1754 წელსაც ამირინდო ამილახორობს. 1765 წელს, როგორც ცნობილია, თავადური რეაქცია პაატა ბატონიშვილის ირგვლივ დაირაზმა ერეკლე მეორის წინააღმდეგ.

ამ შეთქმულებაში ამილახორიანთ სახლის ერთი შტო, სახელდობრ, დიმიტრი ამილახორისშვილი, რომელიც მეფის სალთხუცესი იყო, ღებულობდა მონაწილეობას. შეთქმულება გამომჟღავნდა, დამნაშავეები სხვადასხვა სასჯელით დასაჯეს. „დიმიტრი პატიმარ ჰყვეს და შეურაცხ ჰყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა, და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი"[5].

ალექსანდრე ამილახორი შეთქმულების სამზადისის შესახებ გადმოგვცემს: „იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა ვახტანგ მე-

---

[1] იესე ოსესძე, თავგადასავალი. გვ. 17.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 452.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები I, გვ. 410.

[4] პაპუნა ორბელიანი, იქვე, გვ. 408.

[5] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, გვ 10.

ფის უკანონო შვილი, ირაკლის დედის ძმა, პაატა ბატონიშვილი, რომელმაც შემთხვევა იპოვა და მამა ჩემს გაუნდო, რომ მრავალი თავადი მემხრობა, მაგრამ შენ დაუხმარებლად ვერ გავმეფდებიო; მართალია, მამაჩემის უკანონო შვილი ვარ, მაგრამ რადგან დიდგვაროვანი თავადიშვილები ერთმანეთს გამეფებს ნებას არ აძლევენ, ქართლის ტახტი უფრო მე შემეფერება, ვიდრე არაქართველს, ქვეყნისმრბეველს ირაკლისო. მამა ჩემმა უპასუხა: თუ ცოცხალი გადავრჩი (იმ დროს, ალ. ამილახორის გადმოცემით დიმიტრი ამილახორი ცხენიდან გადმოვარდნილიყო და დამტვრეულიყო, ლოგინად იწვა, დ. გ.), მე ვიცი როგორ გავუსწორდები ჩემს მტერსო". ტახტის მაძიებელმა უგუნურობა გამოიჩინა და ერთს თავის ნათესავ ახალგაზრდა კაცს სიხარულით უთხრა, რომ ამილახვარმა დახმარების აღმოჩენა აღმითქვა გაჯანსაღებისთანავეო; ამ ახალგაზრდა კაცმა კი გაგონილი თავის მსახურს გადასცა, ამ უკანასკნელის ცოლი ერეკლეს სასახლეში ცხოვრობდა როგორც მისი პაწია ვაჟის ძიძა; ცოლმა ქმარს ურჩია, ყოველივე მეფეს აცნობეო; მან მართლაც შეატყობინა ერეკლე მეფეს, დიმიტრი ამილახორი გამომრთელებას უცდის, რათა თქვენ წინააღმდეგ შური იძიოს და თქვენს ბიძას ხელი შეუწყოს გამეფებაშიო"[1].

ალექსანდრე ამილახორი ცდილობს სუბიექტურად ახსნას მომხდარი ფაქტი; რომ თითქოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამილახორთა სახლს ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რომ ყველაფერი ერეკლემ მოიგონა ამილახორთა სახლის მოთხრის მიზნით. მართალია, აქა-იქ გაურევს სიმართლის ელემენტებს, საიდანაც ჩანს, რომ ამილახორები და პირადად ალექსანდრეც ერეკლეს წინააღმდეგ არიან განწყობილი, მაგრამ ეს უკმაყოფილება რაიმე პოლიტიკურ მიზანზე კი არ იყო დამყარებული მისი აზრით, არამედ იმ პირად შეურაცხყოფაზე, რომელიც ერეკლემ მიაყენა მის ოჯახს, — „ქალის წაგვრით".

მართლაც, ერეკლეს და ელისაბედი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, როცა გიორგი დიმიტრის ძე ამილახორისშვილზე დანიშნეს. ცოტა რომ წამოიზარდნენ (ალ. ამილახორის თქმით გიორგი ცხრა წლის იყო) აქორწილეს. გავიდა ხანი და ელისაბედისა და გიორგის განქორწინება მოხდა. მიზეზად ის დაასახელეს, რომ გიორგის

[1] ალ. ამილახორი. გიორგიანული ისტორია, მნათობი, 1938 წ., № 8, გვ. 143.

კაცობა არ აღმოაჩნდა[1]. ამ ფაქტს, ალექსანდრე ამილახორის გარდა, დავით და ბაგრატ ბატონიშვილებიც აღნიშნავენ.

„მეფემან ირაკლიმ, ამბობს ბაგრატ ბატონიშვილი, გააშვებინა სულიერის კრებითა დაი თვისი ელისაბედ მითხოვილი ამილახვრის შვილს სალთხუცის დიმიტრის ძეს გიორგის ბუნებით საჭურისობისა გამო და აქორწინა დადიანს კაციასა ზედა"[2].

ფეოდალურ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, პირად ამბებს აქვს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ გადამწყვეტი მაინც სხვაგან არის საძიებელი.

საქმე იმაშია, რომ ერეკლემ თავადურ სისტემაზე იერიში მიიტანა. მან თავადთა არა მარტო უფლებები შეზღუდა, არამედ არა ერთი სათავადო გააუქმა კიდეც. გასაგებია, რომ ამ პოლიტიკას თავადური რეაქცია დაუპირისპირდა. ამილახორთა სახლიც სწორედ ამის გამო ჩაება ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. პირადმა უკმაყოფილებამ განზრახვას მხოლოდ ბიძგი მისცა.

საგანგებო სასამართლომ დამნაშავეები სხვადასხვა ზომით დასაჯა. დიმიტრი ამილახორს პირადი ქონება ჩამოართვა. ალექსანდრე ამილახორი გადმოგვცემს: „ბოლოს მწარე ქვითინით ჩემთან მოირბინა ჩემმა იოანემ, რომელსაც ეთხოვა გამიშვითო და ვამოეშვათ, ვინაიდან მას ისე სასტიკად არ დარაჯობდენ. მაშინ უკვე ყოველივე მოთავებული იყო და ჩვენი სამკვიდროცა და ციხეებიც მათს ხელში იყო: იმ ღამეს, როცა ჩვენ თავს დაგვესხენ, საამილახოროში ჯარი გაგზავნეს და ყოველივეს დაეუფლენ"[3].

გიორგი ამილახორისშვილის 1789 წლის 18 ივნისის თარიღით ზაალ-დავითისშვილისათვის მოცემული წერილიდან ჩანს, რომ დიმიტრი ამილახორს ერეკლემ ქონება ჩამოართვა. „... მამა ჩემმა დიმიტრიმ ბიძის შენის დავითისაგან კაცი იყიდა — ნადირაშვილი... ხანმა გამოიარა და ბატონი შეგვირისხდა, ყმა-მამული სულ ჩამოგვართვა"[4].

დიმიტრი ამილახორის მოთხრით ერეკლეს საამილახორო არ გაუუქმებია, მან მხოლოდ დიმიტრის ქონება მიიღო სასისხლოდ და მის სახლისკაცებს გაუნაწილა. რომ მართლაც ერეკლეს დიმიტრის

---

[1] იხ. ალ. ამილახვარი, გიორგიანული ისტორია, მნათობი, 1938 წ., № 8, გვ. 143

[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედაქციით, გვ. 52.

[3] ალ. ამილახორი, იქვე, გვ. 148.

[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 166.

ქონება დანარჩენ ამილახორის შვილებისათვის მიუცია, ჩანს ბეჟან ამილახორისშვილის ერთი წერილიდან. 1796 წლის 10 ივლისს ბეჟანი სწერდა ერეკლეს: „ქ. ღთნ ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი მათ მიწამტვერს ამილახვრიშვილს ბეჟანს მოსცეს; მერე ამილახვრის შვილს დემეტრეს თქვენი მუხანათობა რომ შეამჩნდა, იმისის წილის კაცებიდამ ერთი კომლი კაცი იჩქინი კურთხეულს რევაზ ამილახვარს უბოძეთ და ერთი კაცი ეგაძე მე მიბოძეთ"[1]. საბუთებიდან არ ჩანს, როდის გაჩდაიცვალა ამირინდო ამილახორი, ვიცით რომ 1765 წ. ამილახორია რევაზი[2], იგი ამილახორადაა აგრეთვე 1772 წელსაც[3].

რევაზის შემდეგ ამილახორია ოთარი. ოთარი პირველ ხანებში კარგ დამოკიდებულებაში იყო როგორც მეფესთან, ისე ბატონიშვილებთან, მაგრამ XVIII საუკუნის დამლევს მდგომარეობა შეიცვალა. ბატონიშვილებს შორის ტახტისათვის ჭიდილი რომ გაიმართა და ამ ნიადაგზე მრავალი ფეოდალური დაჯგუფება წარმოიქმნა, ოთარი იულონს რჩეობდა და დავით ბატონიშვილს არ მიუვიდა. დავითთან ურთიერთობის შესახებ თვით ოთარ ამილახორი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „წინაპართა ჩემთა ქონდათ ამილახვარობა, სარდლობა და გორის მოურაობა... მეფე ერეკლესაგან ბოძებული და ეგრეთვე მეფის გიორგისაგან დამტკიცებული. და არც იმის სიცოცხლეში ეს სახელოები არ ჩამომრთმევია. იმის მიცვალებას უკან ეს სახელოები ორი თვე კიდევ მეჭირა. მაგ უკან ჩემა მტრებმა ასე რიგად დამაბეზღეს ბატონიშვილის დავითთან, რომ არას გლეხს ისე არ მოეპყრობოდა, მე ის მომეპყრო, ამისთვის, რომ იულონ ბატონიშვილი ჩემი სიძე იყო, ერთმანეთს რომ მტერობდნენ, იმისათვის. გამომისია სამოცი ყაზახი. გორს, ჩემს სახლში ვიყავ, ჩამომიხდნენ ღამე, მძინარე ამაყენეს და გარეთ გამათრიეს ტიტველა და იქ ერთის გლეხის კაცის ტყავი ჩამაცვეს, გამიკრეს მკლავები. ორი საბელიც წელზე მომაბეს და ისე წამომიყვანეს ქალაქისაკენ. წინ და უკან შუბებით მამიყვანეს ქალაქში და თათრის მეიდანში სალდათებს მიმაბარეს. დამაგდეს ერთს სახლში, არც კაცი მამიყენეს და არც საჭმელი შემოუშვეს თვინიერ სალდათის პურის მეტი. ღვინის თხოვნაზე ერთმა სალდათმა თავიც გამიტეხა. ვიყავ ამ მწუხარებაში სამი თვე, ამასაც არ დამაჯერეს. სახლში თუ რამ მებადა ბატონიშვილს თეიმურაზს ამიკლებინეს. დავით ბატო-

[1] საქ. მუზეუმი, Ad, 1387.

[2] საქცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 473.

[3] იქვე, საბ. 1153.

ნიშვილის ბრძანებით ზემოხსენებული სახელოებიც ჩამამართვეს.. გიორგი ამილახვრიშვილს მისცეს"[1].

როცა საქართველოში ცარისტული მთავრობა დამყარდა, ამილახორები ადვილად შეეგუვნენ ახალ მმართველობას და ბატონიშვილების წინააღმდეგ ბრძოლით სცადეს ჩინ-მედლების მიღება.

1804 წლის ზაფხულში იულონი და ფარნაოზი იმერეთიდან ქართლში გადმოვიდნენ და სცადეს მთიულეთის აჯანყება გამოეყენებიათ ძველი დიდების აღსადგენად. ამ საქმეში მათ ერთგულ თანაშემწეთ ეჩვენებოდათ გიორგი ამილახორი. 1804 წლის 18 ივნისს აღნიშნული ბატონიშვილები წერდნენ გიორგი ამილახორს: „Напиши нам порознь о тамошних делах: что делают Грузины и как они к нам расположены; от кого случилось возмущение Арагвцев, кто у них главные, Хевсурцы и Пшавцы помогают ли им или нет; продолжаются ли бой или разошлись; где находится шах или брат наш Александр с воиском; где Цицианов, по каким местам размещены Русския войска; Карталиния и Кахетия что поделывают;... Русския выше Мцхеты, где находятся и сколько их"[2].

ეს წერილი გიორგი ამილახორმა 1804 წელს 21 ივნისს ვოლკონსკის გაუგზავნა და თან დასძინა: „Я сие письмо, присланное от них, в. с. препровождаю, а им написал, дабы они шли из имеретинской границы через Карниси и в Хурвалетской ущелье, где я кн. Элизбара Эристова также уведомил и мы там можем легко их схватить,... они же пологаются на меня потому, что я остался ненагражден,—думают им способствовать буду"[3].

ასე გამოხატა თავის „ერთგულება" „საყვარელი" ბატონიშვილისადმი ფეოდალმა.

5. საციციანოს დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან

სამწუხაროდ, არც ნარატიულ წყაროებს და არც სხვა დოკუმენტებს თანმიმდევრული ცნობები არ დაუცავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ციციშვილების მონაწილეობის შესახებ. მეტიც, მთელი XVI საუკუნის სიგრძეზე ციციშვილები თითქმის არ ჩანან. ამიტომ საციციანოს შესახებ ჩვენც გაბ-

---

[1] შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხ. წყობის შესახებ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მასალები, 1948 წ., გვ. 84.

[2] Акты, т. II, გვ. 316.

[3] იქვე, გვ. 317.

მულ თხრობას ვერ ვიძლევით. ამ სახლის ისტორიას გადმოვცემთ იმ თანმიმდევრობით, როგორც წყაროებშია მოცემული.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ალექსანდრე I დროს (1412—1442) ციციშვილები საკმაოდ დიდი წონით ჩანან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუნდაც ის ფაქტი, რომ სამეფო კარი ციციშვილების სახლს უმოყვრდება, ამ სახლის შვილს უფლისწული ცოლად თხოულობს[1], ჩვენს მიერ ზემონათქვამის დადასტურებისათვის გამოდგებოდა.

XV საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოს შინაპოლიტიკური მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ფეოდალური ბრძოლები. ალექსანდრემ პერიფერიების სიმტკიცისათვის ქვეყანა თავის შვილებს მისცა სამმართველოდ.

ცალკეულ კუთხეებში უფლისწულები ისხდნენ და ცენტრის სახელით მართავდნენ თავიანთ საუფლებო ქვეყანას. მართალია, ისინი ჯერ კიდევ, გვირგვინოსანი მეფეები არ იყვნენ, მაგრამ ეს არ უშლიდათ ხელს საკუთარი თავისათვის მეფეები ეწოდებინათ. ყოველ შემთხვევაში საკუთარ წილხდომილ მიწა-წყალზე ისინი ხელმწიფეებად რაცხდნენ თავს.

ასეთ პირობებში ფეოდალური ძალებიც ამ ბატონიშვილების ირგვლივ ჯგუფდებოდნენ და იმისადა მიხედვით თუ კონკრეტული პირობები რა შესაძლებლობას უხატავდა მათ, ამ ბატონიშვილებს ან მტრობდნენ და ან მეგობრობდნენ.

თაყა ფანასკერტელ-ციციშვილი ვახტანგ ალექსანდრეს ძის ცოლის ძმა იყო. მიუხედავად ამისა, იგი ვახტანგის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს მიემხრო. ვახტანგი ცდილობდა თაყას დასჯას, „მისი მამული და ციხე ჩიჟავასძისათვის უ/ნ/დოდა“[2].

თაყა ფანასკერტელის მიწა-წყალი გაღმა მხარეს მდებარეობდა. გაღმა მხარე ვახტანგმა თავის ძმას დემეტრეს „მიანება“. თაყამ მოახერხა, რომ თავი დემეტრეს ყმად გამოეცხადებინა; ამ გზით ვახტანგის რისხვას გადურჩა.

XV საუკუნის 60-იან წლებში ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ემერეთის ერისთავი ბაგრატი ერისთავობას აღარ დასჯერდა და გიორგის მეფობას ეცილებოდა.

---

[1] ვახტანგ ალექსანდრეს ძემ ცოლად შეირთო თაყა ფანასკერტელის და სითიხათუნი, იხ. ჟორდანიას კრ. II, გვ. 222—223. ქართლის ცხოვრების I გაგრძელება მმ და ქ. ც., გვ. 229.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1937 წ., ნაკვეთი I, გვ. 50.

ამ ორთა შორის ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა და ქართლში გადმოვიდა. ამჯერადაც თავადები ორად გაიყვნენ. ერთნი გიორგის დარჩნენ, ხოლო სხვანი ბაგრატს მიუვიდნენ. ჩანს, ბაგრატმა ციციშვილების დასჯა მოინდომა და საციციანოს ჯარი გაუსია. ციციშვილებს ჯავახიშვილები მიეშველნენ. ერთ დღეს ჯავახიშვილები და ციციშვილები შვიდჯერ შეებნენ ბაგრატის ლაშქარს, საციციანოდან განდევნეს ისინი და ნადავლ-ნაალაფევი დაატოვებინეს[1].

თაყას შემდეგ საციციანოს სათავეში უდგას ზაზა ფანასკერტელი, თაყასძე. მის დროს საციციანოს თავს ესხმიან მესხნი და ზაზა ნიადაგ ბრძოლებს აწარმოებს მათ წინააღმდეგ[2].

ზაზას გარდაცვალების შემდეგ ჩანს, როგორც მაშინ იტყოდნენ, ფანასკერტელი გამხდარა ქაიხოსრო ზაზას ძე. ქაიხოსროს მოღვაწეობა ისტორიკოსებს ორ ამბავთან დაკავშირებით აქვთ აღნიშნული:

1. XV საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში თურქმანი ტომების შემოსევა გახშირდა. ერთ-ერთი ასეთი შემოსევის დროს „შეიყარნეს ბარათიანნი, და შემოუთვალეს მეფესა კოსტანტინეს, და ითხოვეს მისგან შველა. მეფემან გაგზავნა ციციისშვილი ქაიხოსრო და ჯავახისშვილი ჯავახი ცოტათა აზნაურისშვილითა, და ლაშქრითა. წარუძღვეს წინა ბარათიანნი, მივიდნეს და დაესხნეს ჭანდართა მდგომთა მონაპირეთა თათართა, გააქცივნეს და დაჭოცნეს ასრე რომე, თუ არა მაცნე წავიდა სადმე, ვერცა ერთი წაუვიდა. აღივსნეს აბჯრითა, ალაფითა და ბარგითა პირთამდის“[3].

მსგავსი ცნობები მოეპოვება ვახუშტისაც[4].

II. 1483 წელს ყვარყვარე ათაბაგსა და კონსტანტინე მეფეს შორის ქართლში, არადეთის სანახებში, ბრძოლა მოხდა, ამ ბრძოლაში ციციშვილები კონსტანტინეს მხარეზე იყვნენ და ყვარყვარეს ებრძოდნენ[5]. ქაიხოსროს შემდეგ ფანასკერტელია მისი ძმა, მერაბი. (მერაბი საბუთებში გვხვდება 1499 და 1520 წლებში).

1543 წელს ციციშვილ-ფანასკერტელად ჩანს ფარსადანი[6]. ფარსადანი სიმონ პირველის საგანგებო დავალებას ასრულებს 1599 წელს თურქთაგან გორის გასანთავისუფლებლად.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, იქვე. გვ. 51.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელება, მმ დ. ქ. ც. გვ. 901.

[4] ვახუშტი, საქ. ცხოვრება ქ. ც. II, გვ. 13—14.

[5] იქვე.

[6] ქრ-ბი II, გვ. 347.

1609 წელს ყირიმელი თათრები თათარხანის სარდლობით ქართლს შემოესიენ. ლუარსაბ ქართლის მეფე ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა; მასთან ერთად იყვნენ გიორგი საკაძე და ზაზა ციციშვილი. მომხდური მტრის წინააღმდეგ ზაზა ციციშვილმა თავი ისახელა. ვახუშტი წერს: „მეფიდამ წარვიდა მოურავი და ციციშვილი ზაზა. ამათ შემოიკრიბნეს გარემონი და მცნობელნი ამისანი ბარათიანნიცა მოვიდნენ მეფისა თანა, ხოლო მოურავი ჩავიდა ნიაბის ბოლოს სხერტის ჭალასა შინა, ეკვეთა თათართა და მოსწყვიტნა სიმრავლით. მაშინ ზაზამ მოჰკლა ფაშა და თავის ჭრასა შინა მოერტყნენ თათარხანნი, იპყრა ზაზამ კბილით წვერი თავისა მის, შეჯდა ცხენსა და გამოვლო ბრძოლით თათარხანნი. მოვიდნენ წინაშე მეფისა, მოართვეს თავნი და ალაფნი მათნი“[1].

ასეთივე ცნობები შემოუნახავს ეგნატაშვილ ბერსაც[2].

ეს ბრძოლა მოხდა თანამედროვე კასპის რაიონში, ახალქალაქის ბოლოს. დამარცხებული თათრები მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს აჰყვნენ და გორში გასვლას ლამობდნენ. ერთმა გორელმა, რომელიც შემთხვევით ხიდთან მოხვდა, მოასწრო ხიდის აყრა და მტერს საშუალება მოუსპო გორი დაეკავებინა. თათრები საციციანოში შევიდნენ და „სადავინ მოახელეს მოსწყვიტეს, ტყვე-ჰყვეს და მოაოხრეს და მივიდნენ ბრბონას. მუნ დაარღვევნნეს სახლნი და დასდგენ ტაშის კარის ბოლოს“[3].

ზაზა ციციშვილის შემდეგ საციციანოს სათავეშია ფარსადანი.

როსტომის მოწინააღმდეგე ჯგუფში იყო ფარსადან ციციშვილიც. ფარსადან გორგიჯანიძე წერს: ქართლის თავადები როსტომს „სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს ციციშვილის ფარსადანის მეტი და იმას სარდრისა ეშინოდა, ამისათვის რომ ძველით მტერობა აქონდათ. ეს სარდარმან იწყინა, საციციანოს ლაშქარი გაუძახა, დარბევინა და მრავალი ტყვე მოასხეს. ეს როსტომ მეფემ იწყინა და სარდარს კაცი მიუგზავნა: თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე ჩისლა ბატონი ვიქნებიო“[4].

ეს სარდარი, როგორც ცნობილია, როსტომ საკაძე იყო. რა ნიადაგზე აღმოცენდა ციციშვილებსა და საკაძეებს შორის ბრძოლა, ამაზე არც ფარსადან გორგიჯანიძე და არც სხვა მისი მომდევ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება. ქ. ც. II, გვ. 35—36.

[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ: 117.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე. გვ. 36.

[4] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია, საისტორიო მოამბე, 1925 წ., გვ. 240

ნო ისტორიკოსები არაფერს ამბობენ. თუ გავიხსენებთ გიორგი სააკაძის სამამულო პოლიტიკას, უნდა დავუშვათ, რომ ციციშვილებსა და სააკაძეებს შორის უთანხმოება სამამულო დავის ნიადაგზე ჩამოვარდა.

ჩანს, როსტომ მეფესა და როსტომ სააკაძეს შორის მდგომარეობა ისე შორს წავიდა, რომ როსტომ მეფის მოთხოვნით სააკაძე უკან გაიწვიეს. ამის შემდეგ „რა სარდარი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ციციშვილი და ან სხვანი საცა დახიზნულიყვნენ, ყველანი მოვიდნენ“[1].

XVII საუკუნის 40-იან წლებში საციციანოს უფროსად ნოდარ ციციშვილი ჩანს. იმერელი ჩხეიძეები ქართლს ჩამოვიდნენ და ქართლის ფეოდალებს როსტომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდეს. ამ მოწოდებას ნოდარ ციციშვილი, ამილახორი და ქსნის ერისთავი გამოეხმაურნენ, მათ უნდოდათ თეიმურაზის გამეფება, ხოლო „როსტომ მეფეს მტრობა გაუცხადონ და ძალათ ბატონობა წართვან“[2].

როსტომის წინააღმდეგ ნოდარ ციციშვილის ბრძოლების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ფარსადან გორგიჯანიძე. იგი წერს: „ციციშვილმან ნოდარ სამარტოთ გამარჯვება მოინდომა, არც ბატონი თეიმურაზი მოიცადა და არც ერისთავი და არც ამილახორი. ვითაც ჩხეიძენი და სხვა იმერეთის საბატიოს კაციშვილები მასთან იყვნენ და ყველანი ომნაცადნი კაცნი იყვნეს და საციციანოს მკრისაკენ თავისი და სხვის ლაშქარი შემოჰყროდა. მოვიდა, ხოვლოთს ჩამოჯდა. თავისის კერძოს ლაშქარი ვინც არ შემოეყარა, მამულები (დაურბივა)“[3].

ნოდარ ციციშვილის აჯანყებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. როსტომს მოსალოდნელი საფრთხე იორამ სააკაძემ ააცდინა. მან ნოდარ ციციშვილის სამზადისი საიდუმლოდ აცნობა როსტომს. „მალე წამობრძანდიო, თოარადა გაღმა მკრის ლაშქარი შემოეყრებისო და საქმე გაჭირდებისო“[4]. როსტომმა ზომები მიიღო. იორამის გამოგზავნილი კაცი უკან დააბრუნა და იორამს შეუთვალა წერილობით: „რასაც წამს ეს წიგნი მოგივიდესო, ფიცხლავ გზები შეუკვრევინეო, რომ აქითგნივ მიმავალი კაცი იქით არ გაუშვანო“[5].

---

[1] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, საისტორიო მოამბე, 1925 წ., გვ 240.
[2] ფ. გორგიჯანიძე, ისტორია გვ. 247.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

როსტომმა ქალაქის მოურავს უბრძანა „ჯარჩი დააძახეო, ვინცა-ვინ ქალაქში მზას იყვნენო თათარნი, ქართველნი და სომეხნი, ვი-საც ცხენი ჰყვანდესო, შესხდენო და რა ქარანის ჯმა გაიგონონო, სწრაფად წავიდნენო და ცხვთის საბაჟოსთან მზათ დაგვხვდენო, იქ აღლუმს ვნახავო“. როსტომი იმუქრებოდა: „ვინცა ვინ ცხენის მყოლებელი არ წავიდესო, თავი მოჰკვეთეთო და თავისივე ცხენით უკან მამწივეთო“. როსტომი დიდი ჯარით შუაღამისას კავთისხევს მივიდა. მას იორამ საკაძე ლაშქრით შემოეგება კავთისხევს. აქ ითათბირეს და ლაშქარი ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ დასძრეს. რიჟრაჟზე ხოვლეს მივიდნენ. აქ იყო მოწინააღმდეგის ბანაკი. ციციშვილის მომხრეებმა შეიტყვეს როსტომის მოსვლა და სათმრად მოემზადნენ. „შეიქმნა სროლა, კიკლაობა. იქიდამენ ჩხეიძენი და სხვანი იმერელი წამოდგნენ. შეიქნა შუბთა ძგერება და ჯმალთა ელვარება, ლახტების ჯახა-ჯუხი, მუზარათთა ხეთქინება“[1]. ამ შეტაკების დროს ნოდარ ციციშვილი არ იყო იქ. იგი ადრევე ვერის ციხეში გამაგრებულიყო, მან ჩხეიძეებს „ზურგი არ მოაბა“. ნოდარის ეს აჯანყება დამარცხდა. როსტომმა, ჩანს საციციანოდან ციციშვილების გამოდევნა გადასწყვიტა და „უფროსიერთთ საციციანო დაუყვეს და კაცები უჩინეს, რომ გაქცეულთ კაცთ უკან ნურვინ აედევნების და ვისაც საციციანოს კაცი დაეჭიროს, გაუშვანო“[2].

ნოდარმა ვერის ციხე დაკარგა და მძოვრეთის ციხეში გამაგრდა. ეს ციხე ძამას ხეობაში მდებარეობდა და თავის მიუვალობით საციციანოს ყველა ციხისაგან გამოირჩეოდა. როსტომს იერიში მიჰქონდა საციციანოზე. გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „მეფემ გორიდამ ლაშქარი გაუძახა და სკრას ზეითი საციციანო დარბევინა“[3].

მეტიც, მან „გორის ციხიდამ ზარბაზნები ჩამოიტანა და ზოვრეთის ციხეს შემოადგა. ზარბაზნებით დაუშინა, მაგრა ქვიტკირს ვერა ავნორა“[4].

ნოდარის კაცნი როსტომის ლაშქარში ხმას ავრცელებდნენ, ნოდარის მოსაშველებლად თეიმურაზი მოდისო. ამ ხმებმა ვერ გატეხა როსტომი, მან ბრძანება გასცა, რომ „ხონთქარიც მოეშველოსო, სიდამდისინ ნოდარს ციხიდამენ არ გამოვიყვანო, აქითგან არ

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 247—248.
[2] იქვე, გვ. 248.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 249.

დავიძვრიო"[1]. ალყა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ალყით როსტომმა ციხე ვერ გატეხა. ციხე შიგნიდან გატყდა. „ციხეს შიგნიდან ყმათ უმუხანათეს და ჰგმეს ბატონი და გაუორგულდნეს და ციხის გაცემას შეუდგნეს. ეს ნოდარ შეუტყო, რომ ყმანი ღალატს უპირებენ. ჩათრეულს ჩაყოლილი აჯობინა და თავისი დედა კახეთის ბატონისშვილი როსტომ მეფესთან სახვეწრათ გამოგზავნა"[2].

ნოდარი თავის დედის პირით როსტომს „გაცლის გზას" სთხოვდა. როსტომი დათანხმდა. მან ნოდარს „უვნებლობის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისი მხლებლებითა და ქონებით არაუშავდესრა და ამდენი ცხენი, ჯორი ათხოვეს ზოვრეთიდამენ, რომე თავიანთ ქონებით ახალციხემდისინ მიასხან"[3].

ზემოთ აღწერილი ნოდარ ციციშვილის აჯანყების შესახებ ეგნატაშვილ ბერსა და ვახუშტისაც აქვს ცნობები. მაგრამ ძალიან მოკლედ გადმოგვცემენ ამ ამბავს[4].

რაც დრო გადიოდა, როსტომის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა. ქართლელი თავადები ამილახორი, ქსნის ერისთავი და არაგვის ერისთავი, დარწმუნდნენ, რომ როსტომის წინააღმდეგ ბრძოლა ამაო იყო და დაიწყეს ხვეწნა შერიგების შესახებ. ნოდარ ციციშვილმა ახალციხიდან დაუწყო როსტომს ვედრება-შემორიგების შესახებ და ბოლოს მან მიიღო როსტომის „საფიცარი", ამიტომ წამოვიდა თბილისში, როსტომის „ფეხს აკოცა". როსტომმაც იგი შეიწყალა და „საციციანო მისი ნაქონი მასვე უბოძა"[5].

ნოდარის შემდეგ რომელი ციციშვილი მართავს საციციანოს ძნელი დასადგენი ხდება. საერთოდ, XVII საუკუნის 40-იან წლებიდან და მთელ XVIII საუკუნის სიგრძეზე ციციშვილები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო ამა თუ იმ თანამდებობით არიან ცნობილნი, ვიდრე თავიანთ, ე. ი. საციციანოს მამულის სამსახურით, რადგან, როგორც სათანადო ადგილზე გამორკვეული გვქონდა, საციციანო დანაწილდა ციციშვილებს შორის და საციციანომაც, როგორც სათავადომ, თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

ციციშვილებს ხშირად ვხვდებით ისეთ თანამდებობაზე, როგო-

---

[1] ფ. გორგიჯანიძე. ისტორია, გვ. 249.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 48, ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 178—179.

[5] ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 251.

რიცაა სალთხუცესი, გაღმა მხარის სარდალი, ქალაქის სარდარ-მოურავი და სხვა.

შაჰნავაზის დროს, ზაზა ციციშვილს ჰქონდა გაღმა მხარის სპასპეტობა, იგი „განდიდნა და იქცეოდა ამაყად". შაჰნავაზმა სცადა მისი „წართვნა" და თავისთან იხმო. გიორგი ბატონიშვილმა ზაზას შეპყრობა გადასწყვიტა. ზაზამ ძალა იხმარა, ხანჯალი იძრო და ფავლენიშვილი მოჰკლა. გიორგიმ ბრძანება გასცა და ზაზაც იქვე მოაკვლევინა[1].

1688 წელს ქართლის თავადები ორად გაიყვნენ, ნაწილი ერეკლე პირველს მიუვიდა, ნაწილი გიორგის მზეს ფიცულობდა. ქაიხოსრო ციციშვილი ერეკლეს მხარეზე დარჩა და როდესაც გაიგო, რომ გიორგის ცოლ-შვილი ახალდაბაში არისო მან სცადა თავდასხმა. ქაიხოსროს ეს განზრახვა ვახტანგ ბატონიშვილმა ჩაშალა. ქაიხოსრო იძულებული გახდა თბილისს გამოქცეულიყო და ერეკლესთან მივიდა. ამით ისარგებლა „ძმისწულმან ქაიხოსროსამან ციციმ დაიპყრა საციციანო და მოერთო მეფესა"[2]. ციცი ციციშვილი შაჰნავაზის დროს მეფეს შემოსწყრა და იმერეთში გადავიდა. იქ ჩანს მან ყმა-მამულიც კი მიიღო. როდესაც შაჰნავაზი შეეცადა იმერეთის დაჭერას, მაშინ ციცი ვახტანგის მხარეზე გადავიდა და ხელს უწყობდა მას. ამის შესახებ თვით ვახტანგი შემდეგს წერს: „ცოტა რამე საქმე მოხდა და შემოგვწყერით და იმერეთს წახველ და მანდიდამე ჩვენსა ერთგულობას ეცადე და იმერეთის დაჭერას ეცადედ თუ ჩვენ დავიჭიროთ იმერეთი შენის საქმითა ჩვენცა ეს პირობა და საფიცარი გაგითაოთ, ასე რომე რასაც მქონებელი ამ ქვეყანას იყვე და ან მანდ ახლა მანდ მამული გაქვს ყოვლითურთ უკლებრად დაგიმტკიცოთ, ჭელშეუალად გიბოძოთ შენი სამკვიდრო მამული"[3].

მაგრამ მალე ციცი ციციშვილიც „ქვეგამხედველ" შეიქმნა, გიორგის უღალატა და ნაზარალიხანის მხარეზე გადავიდა, „ამისათჳს შეიპყრა გიორგი მეფემან ციცი, მოაშთო იგი და მისცა საციციანო ფარსადანს ნოდარის ძესა"[4].

ბრძოლა გრძელდებოდა გიორგისა და ერეკლეს შორის.

1695 წელს ქაიხოსრო ციციშვილმა „გარდმოვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დასდგა გვეძინეთს. ამისმან მცნობელმან

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 55.
[2] იქვე, გვ. 62.
[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 227, საბ. 228.
[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 64.

მეფემან გიორგი წარავლინა ფარსადან ციციშვილი და ზურაბ ერისთავისშვილი, არამედ ვერარა ავნეს ქაიხოსროს და დაიპყრა საციციანო მან"[1].

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ვახტანგ VI წინააღმდეგ ქართლელ თავადთა ერთი ჯგუფი აჯანყებულიყო. მათ რიცხვში იყო ბაგრატ ციციშვილიც. ვახტანგმა ურჩი ფეოდალები სასტიკად დასაჯა[2]. როდესაც ვახტანგს სპარსეთმა კონსტანტინე დაუპირისპირა, ციციშვილები კონსტანტინესთან მივიდნენ და „თავგანწირვით ერთგულება" დაუმტკიცეს. კონსტანტინემ მათ ყმა-მამული უწყალობა[3].

1723 წელს ქართლში ოსმალობა დამყარდა, ოსმალობა ციციშვილებმა ერთი პირველთაგანებმა იცნეს.

როგორც ცნობილია, ოსმალებმა ქართლში მეფობა მოსპეს და ქვეყანა თავისებურ სამმართველო ერთეულებად დაჰყვეს. ერთერთ ასეთ სამმართველოს წარმოადგენდა ე. წ. „გაღმამხარი", რომელიც მოიცავდა მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მცხეთიდან ტაშის კარამდე. ამ სამმართველოს უფროსად დააყენეს ბაგრატ ციციშვილი.

ოსმალობა 1735 წელს ყიზილბაშობით შეიცვალა. წყეულმა შაჰნადირმა ქვეყანა მოაოხრა. „ზემოქართლს და საციციანოს აჰყარნა სულნი მრავალნი და წარგზავნა ხორასანს"[4].

მსგავს ცნობებს გვაწვდის სეხნია ჩხეიძეც[5]. როდესაც საძულველი ყიზილბაშების წინააღმდეგ გივი ამილახორი აჯანყდა, ციციშვილები მის მხარეზე გადავიდნენ და აბუხალისა დ მძოვრეთის ციხეები ამილახორს გადასცეს[6]. მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, გივი ამილახორის აჯანყება, რაც დრო გადიოდა თავის სახეს ჰკარგავდა, საერთო მიზანს სცდებოდა, და ურთიერთ თავდამსხმელ ავანტიურად იქცეოდა. ამ აჯანყების მონაწილე ქართველი თავადები ხშირად ერთმანეთს თავს ესხმოდნენ და ურთიერთ ყმა-მამულს არბევდნენ.

პაპუნა ორბელიანი წერს: „ციციშვილი ოთარი დაშერილი ჰყვანდა ალიხანსა, გაიპარა და მივიდა ამილახორთან, მოუხდა

---

[1] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 66.
[2] იქვე, გვ. 81.
[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 227, სან. 327.
[4] ვახუშტი, იქვე, გვ. 91.
[5] სეხნია ჩხეიძე, ამბავი მეფეთა, ქ. ც. II, გვ. 340.
[6] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 359.

იქიდამ მძოვრეთის ციხესა, ღალატით აიღო, აიკლო თავისი სახლისკაცები, სეხნია შვილებით დაატყვევა, ელენე ბატონიშვილი, რომელი ჰყვანდა ზაზა ციციშვილსა, საქონლით სულ აიკლო, შეაყენა ციხეში თავისი მისანდო კაცნი"[1].

XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში ქართლის პოლიტიკური ისტორიის ძირითად მოვლენას ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. საციციანო ლეკთა თარეშის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტია და ციციშვილებიც ამ მოვლენის აქტიური მონაწილენი არიან. ხშირად საერთო ძალით ცდილობენ ლეკთა თარეშის ალაგმვას, თუმცა არა ერთი შემთხვევა არის, როცა თვით ციციშვილებიც ლეკობენ.

როცა 1762 წლიდან ერეკლე მეორე ქართლ-კახეთის მეფე გახდა, თავადთა ერთი ნაწილი არ შეურიგდა ამ ამბავს და ერეკლეს წინააღმდეგ სხვადასხვა ხასიათის ბრძოლა წამოიწყო. ერეკლეს ოჯახის ამოწყვეტაც კი სცადეს. საამისო შეთქმულება მოეწყო 1765 წელს. ამ შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილეთაგანი იყო გლახა ციციშვილი, როცა შეთქმულება გამომჟღავნდა, გლახა ციციშვილი, სხვებთან ერთად, სამართალში მისცეს და მას ენა მოაჭრეს[2].

როდესაც სათავადოს პოლიტიკურ ისტორიას ვსწავლობთ, და ვარკვევთ თავადის დამოკიდებულებას სამეფო კართან, ყურადღებას იქცევს ერთი მომენტი, მეფე სათავადოს, როგორც სისტემის, წინააღმდეგ იბრძვის და ამავე დროს ამ სათავადოს ეყრდნობა. ეს იმიტომ ხდება, რომ სხვა სოციალური ძალა არ ჩანს ქვეყანაში, რომელიც მეფემ თავადს დაუპირისპიროს. რათა თავადური შემოტევა შეამციროს, მეფე ერთ საინტერესო ხერხს მიმართავს: სარგებლობს თავადის სახლის შვილმრავლობით და ამ სახლში ზოგ წევრს უახლოვდება, უნათესავდება, სახელოს აძლევს და ამდენად თვით ამ სახლში მეფის მიმართ საერთო წინააღმდეგობას ანელებს.

ამ მხრივ ძალიან საინტერესო მასალას იძლევიან ციციშვილების საბუთები.

მარიამ ერეკლეს ასული ბატონიშვილი ციციშვილების რძალი გახდა. მისი მეუღლე დავით ციციშვილი ქალაქის სარდარ-მოურავად დაინიშნა. ამიერიდან დავით ალექსანდრეს ძე ციციშვილი სამეფო კარის ერთგული შეიქმნა და ხშირად თავის ბიძაშვილების წინააღმდეგ მეფის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. მარია-

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 360—361.

[2] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 9.

მისადმი მიცემულ წიგნში დავით ციციშვილი აცხადებს: „ციციშვილი ზაქარია ახალციხეს გარდავიდა და უარჰყო თავისი ჯელმწიფე, მისი უმაღლესობა მეფე ირაკლი. ჯარი ჩამოიყვანა ქართლში ახალციხიდამ, ოსმალი და ლეკი, მრავალჯერ ტყვევნა დაუწყო, გალმამჯარს მოუკდა დიდის ჯა/არითა/. იმ ომში მისი უგანათლებულესობა ჩემი ჯელმწიფის შვილი ბატონისშვილი იულონ, ძმა თქვენი, ბრძანდებოდა ჯარის ბრძანებლად და მჯედართ მყვანებლად. მეც მისის უმაღლესობის ჯელმწიფე მამის თქვენის მეფის ირაკლის ბრძანებით თან ვახლდი და რომელიც ჩემი შეძლება იყო გავისარჯე და ჩემი სისხლი არ დავზოგე იმის წინ დასათხეველად როგორადაც მმართებდა ან სარდლობით და ან სიძეობით"[1].

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ნათესაობა ფეოდალურ ქვეყანაში მტრობა-მოყვრობის გადამწყვეტ საფუძველს წარმოადგენდა, არა. ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი ფეოდალური ეკონომიკა იყო. ყმა-მამულისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა დანარჩენს და ფეოდალიც სხვებთან ურთიერთობას, მათ შორის ნათესაურ კავშირსაც ამ თვალსაზრისით ზომავდა.

დავუბრუნდეთ საკითხს.

XVIII საუკუნის 80-იან წლებიდან თავადური რეაქციის შემოტევა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა.

ერეკლეს მდგომარეობა გართულდა. სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორეს მეგობრობა მოიშალა, რუსეთში გადახვეწილი ბატონიშვილები ტახტს ეცილებოდნენ ერეკლეს, ხონთქარი და შაჰი ჩუმად თუ აშკარად ებრძოდნენ მეფეს, ლეკები ქვეყნის ყოველ კუთხეს აოხრებდნენ. ყოველივე ამას ზედ ერთოდა ქართველ თავადთა ურჩობა.

იულონ ბატონიშვილი 1790 წლის ერთ-ერთ სიგელში დავით ციციშვილს წერდა: „...ქსნის ერისთვის შვილებმა და შენმა განაყოფმა ზაქარიამ ჩვენ გვიმუხანათა, ახალციხეს გაიქცნენ და იქიდამ ლეკისა და ოსმალოს ჯარი ჩამოიყვანეს და ქართლის ოხრება და ტყვეობა დაუწყეს და აქ ციხეებიც გაამაგრეს და მრავალი კაცი შეიფიცეს მთიდამ თუ ბარიდამ და შენ ამ საქმეში როგორც თანამდებობა გქონდა ისე მოიქეც და დიდად ერთგულად ირჯებოდი ჩვენზე და იმათგან გამოგზავნილი ჯაშუშებიც დაიჭირე და დაჭე-

[1] Hd, 1818.

რილები მოგვგვარე და მათგან მრავალი ოხრება ჰქონდა ქარალსა /და/ ტყვეობა. ერისთვიშვილი მიხაილ და ელისბარ და შენი განაყოფი ზაქარია გამოსძღოლოდნენ ოსმალისა და ლეკის ჯარსა, ორიათას ხუთასი კაცი მოეყვანათ. ატენის ხეობაზე ჩამოვიდნენ და ყარაღაჯს შემოადგნენ. ჩვენ ახალდაბას ვიდექით და შენც იქა ბძანდებოდი. იმათის ჩამოსვლის ამბავი მოგვივიდა. მაშინვე ავიყარენით და წავედით. მტკვარს, რომ გავედით და გათენდა, ჩვენ დიაღ მცირე ჯარი გვყვანდა. ასე, რომ ხუთასი კაცი ძლივ ვიყავით და ამ ჩვენის სიმცირისა და იმათის სიმრავლისათვინ მრავალნი ვინმე იმ დღეს ომსა შლიდნენ და სხვის გზით წასვლას არჩევდნენ, მაგრამ შენ არ დაიშალე და ჩვენც შენს რჩევას დავემოწმენით და ზედაველზე წავედით და რომელიც იმათი გამოსასვლელი გზა იყო ის მოვასწარით. იმათაც ყარაული ჰყოლოდათ; ჩვენი მისვლა, რომ შეიტყვეს, ყარაღაჯის ციხეზე ქელი აიღეს და წინ მოგვეგებნენ. ვახსენეთ ღმერთი და შევებენით. პირველსავე მისვლაზე რაც ნაშოვარი ჰქონდათ ის დავაყრევინეთ; გვიცოტავეს და შევოგვიტივეს. დავერივენით ერთმანეთში და სამს საათამდინ ასეთი ომი იყო, რომ თოფის კომლისაგან კაცი არ გაირჩეოდა და შენ იმ დღეს ლომურად იყავ და ჩვენს წინ თოფიც მოგხვდა და კაცისაგან მეტობა აღარ იქნებოდა, რაც იმ დღეს შენა ჰქმენ და ღთის შეწევნით ძალიან გაგვემარჯვა და იმ დღეს გამარჯვების, მიზეზი უფრო შენ იყავ და ამ შენის ნამსახურობის სამუქფოდ ჩვენც ეს წყალობა გიყავით: რადგანაც შენმა განაყოფმა ზაქარიამ ჩვენ გვიმუხანათა, იმისი ყმა და მამული ბატონის ბძანებით სახასოდ დაიდვა და დღეს რაც ზაქარიას წილი აქვს, მეოთხედი ყმა და მამული იმისი წილი უკლებლად შენთვის გვიბოძებია"[1].

6. სომხით-საბარათიანოს სათავადოების დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან

საბარათაშვილო XV საუკუნეში წარმოიქმნა. ეს საუკუნე შინაფეოდალური ომების საუკუნეა. გიორგის ბაგრატი ედავება ტახტს. ამ ორთა ბრძოლაში თავადებიც ორად არიან გაყოფილი. ბარათაშვილები გიორგის მხარეზე ჩანან. ბაგრატმა გაიმარჯვა და ბარათაშვილ-ქაჩიბაძეთა სახლი დაზარალდა. მათ მაშავერის ხეობაში ქვეშის ციხე დაკარგეს. ბაგრატმა „სომხითს ქვეში ციხითა, ბაჟითა და მისითა მიდგომითა და სოფელი რატევანი ჯავახიშვილებს უბოძა"[2].

[1] Hd, 1818.

[2] საქ. სიძველენი II, გვ. 40. უფრო დაწვრილებით იხ. გ. ჯამბურიას დასახ. შრომაში.

ხოლო როცა პირობები შეიცვალა ბარათაშვილების სასარგებლოდ ქვეშის ციხეც კვლავ დაიბრუნეს.

ბარათაშვილები პოლიტიკური ცხოვრების წინა პლანზე ჩანან კონსტანტინეს მეფობის დროს (1479 — 1504 წლები). მათი სახლი სამეფო სახლის ნათესავი ხდება. დავით ქაჩიბაძის ქალიშვილს ცოლად ირთავს დავით ბატონიშვილი, მეფის სალაროც ამ სახლის სახელოა.

1477 წელს ბარათაშვილები უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელს იხვეჭენ. მემატიანეს საგანგებოდ აღუნიშნავს:„ორბეთის ძირსა დიდათ კარგად დახუდეს ბარათიანნიო“[1].

XVI საუკუნეში ბარათაშვილები უკვე მეწინავე სადროშოს სარდლები იყვნენ. მეწინავე სადროშოს სარდალი საჩინო ბარათაშვილი სიმონ პირველს ერთგულობდა. სიმონი 1569 წელს, ქარაფინდა ყორღანაშვილის ღალატის გამო, სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს.

საჩინო ბარათაშვილმა შეიპყრო ყორღანაშვილი და ეტყოდა: „უკეთუ კეთილ არს განცემა მეფისა და ქვეყნისა იხილე აწ შენცა, და გარდააგდო იგი კლდესა გელიყარისასა“[2].

საჩინოს სიცოცხლეშივე დაუკარგავს სარდლობა და ბაგრატ რამაზისძე ბაგრატიონი გამხდარა სარდლად. XVI საუკუნის დამლევს მეწინავე სადროშოს სარდლად გოჩა ბაგრატიონი ჩანს, ხოლო შემდეგ კვლავ — ბარათაშვილებს მიუღიათ სარდლობა. 1623 წელს ბარათა ბარათაშვილია სარდლად.

ბარათა ბარათაშვილი ეპოქის ვითარების სათავეში დგას. იგი პირველად მხარს უჭერდა სიმონ მეფეს (1619—1631). მან სიმონისაგან ფიცის პირიც კი მიიღო უვნებლობის შესახებ. „..ესე ფიცი და პირი და წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ყმათა ბარათაშვილთა ბარათასა და შვილთა შენთა... ჩვენ მეფეთმეფემან, პატრონმან სვიმონ ასრე და ამა პირსაზე დავიყუნეთ დღეს და დღეის იქით თქვენნი მოპატივენი და კარგის მდომნი. არა გავნოთ, არ გაზიანოთ... არა დაგამციროთ... თუ თქვენი თავი შემოგვაბეზღონ, გაუკითხავად არ გაგიწყრეთ“[3].

მიუხედავად ასეთი ურთიერთობისა, ბარათა ბარათაშვილი სიმონს ღალატობს, სიმონის მოწინააღმდეგე თავადებს ემხრობა;

---

[1] მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, გვ. 37.

[2] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 28.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთ. 32, საბ. 338. უფრო დაწვრილებით იხ. გ. ჯამბურიას დასახ. შრომა.

1618 წელს ზურაბ არაგვის ერისთავს შველის მთიულ-მოხევეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სიმონი იძულებული ხდება ბარათა ბარათაშვილი გადააყენოს სარდლობიდან. სარდლობა ქაიხოსრო ბარათაშვილს მისცა. სათანადო საბუთში ნათქვამია: „... ესე წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქუენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბოქაულთხუცესს ბარათაშვილს ქაიხოსროს, მას ჟამსა ოდეს ბარათაშვილი ბარათა ბედნიერს ყაენს და ჩუენ ყმობიდამ წაგვივიდა და ბედნიერის ყაენის ორგული შეიქნა, მოგიყვანეთ ჩუენს კარზედა და სრულად საბარათაშვილოს სარდლობა და მეკობრის მძებნელობა გიბოძეთ. და ქუემო ბოლნის ბარათას ზუარიც თქუენთუის გვიბოძებია და სრულ საბარათაშვილოს ავი და კარგი თქვენ გეკითხებოდეს... ერთობილნო ბარათიანნო და საბარათაშვილნო დიდნო და მცირენო, მერმე თქვენად სარდრად და უფროსად ბოქაულთუხუცესი ქაიხოსრო დაგვიყენებია—გვერდც მიუდეგით და ჩვენი სამსახურის ძალი მოეცით“[1].

ამ საბუთიდან ჩანს, რომ ბარათაშვილი სიმონს წასვლია, რაც შაჰის ღალატსაც ნიშნავდა.

ბარათა ბარათაშვილმა, როგორც ვახუშტი ამბობს, „მოსწყვიტა... სახლეულნი თვისნი“[2]. ამ ფათერაკს მხოლოდ ბარათას ძმისწული ყაფლანი გადაურჩა. იგი „ივლტოდა და მივიდა წინაშე შაჰ-აბაზსა. ამისთჳს წარმოგზავნა შაჰ-აბაზ სპანი და მოეწიენენ ბარათას ფარავანსა ზედა და მოკლეს იგი“[3].

როგორც ცნობილია, 1623—1626 წ. ქართლი აჯანყებულია სპარსეთის წინააღმდეგ. ამ აჯანყებას ხელმძღვანელობს გიორგი სააკაძე. როცა აჯანყება წარმატებით მიმდინარეობდა ქაიხოსრო ბარათაშვილი აჯანყებულებს ემხრობოდა, ხოლო შემდეგ, როცა აჯანყებას დამარცხების პირი უჩანდა, ქაიხოსროც სიმონსა და სპარსელებს მიუვიდა. არსებითად 1624 წლის მარაბდის ტრაგედიის პასუხისმგებლობა ბარათაშვილებს ეკისრებათ.

ამ აჯანყებაში ქაიხოსრო ბარათაშვილის პოზიციის შესახებ ძვირფას ცნობას შეიცავს 1626 წელს სიმონ მეორის მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი მიცემული სიგელი. „მოურავი ბედნიერს ყაენს წამოუვიდა და ულალატა და თქვენი თავი და ქართლი უკუ-/ა/ყენა. და მერე თქვენ კიდევ ბედნიერს ყაენისა და ჩვენი ირჩი-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი. ფ. 229. დავთ. 12, საბ. 106.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 39.

[3] იქვე.

ვეთ და შეისევანი შეიქენით. ამის და ჯილდოთ გიბოძეთ ქალაქის მოურავობა თქვენ ბოქაულთუხუცესს ქაიხოსროს და თქვენს ძმასა თამაზს"[1].

როგორც ვხედავთ, ქაიხოსრო გიორგის მხარეზე გადასულა, მაგრამ შემდეგ ისევ სიმონს მიმხრობია. მეტიც, როგორც ვახუშტი ამბობს, ქაიხოსრომ მოიყვანა „...ხუთასნი მეთოფენი ყიზილბაშნი და შეაყენნა ბირთვისს ციხესა შინა. ესე შეუძნა მოურავსა და დილასა ერთსა დაესხა ტბისს და შეიპყრა ქაიხოსრო და ხოსია ძმა მისი მისთანა. მაშინ ქაიხოსროს გამოაყვანინა ყიზილბაშნი ბირთვისიდამ და მოსწყვიტნა ხუთასნივე"[2].

ქაიხოსრომ იმდენი ნდობა დაიმსახურა, რომ შაჰის ბრძანებით „დედოფლის მაღალთანამდებობითი ვექილობა" ებოძა[3]. იგივე ქაიხოსრო, სიმონის 1627 წლის სიგელში, იხსენიება დედოფლის სალთხუცესად[4].

როგორც გივი ჯამბურიამ შენიშნა, „შაჰაბაზის ფირმანში მოხსენებული დედოფლის ვექილობა უდრის სიმონ II-ის სიგელში მოხსენებულ დედოფლის სახლთუხუცესობას"[5].

ქაიხოსრო 1629 წელს თეიმურაზს ემხრობა, ხოლო 1632 წლიდან როსტომის „ფერხთა მტვერი" ხდება. მაგრამ როსტომმა „მოიხსენა შური ყიზილბაშთათჳს, რომელი მოსწყვიტნა მოურავმან ბირთვისს და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათაშჳლი სისხლთა მათთათჳს და გარდმოაგდო ციხიდამ განჯის კარისაკენ მაღლის გოდლიდამ"[6].

როგორც გ. ჯამბურია აღნიშნავს, მარტო ყიზილბაშთა სისხლი არ იყო, ან ყიზილბაშთა სისხლი კი არ იყო ქაიხოსროს დაღუპვის მიზეზი, არამედ ის, რომ ნოდარ ციციშვილის აჯანყებას, მიემხრო ქაიხოსრო და როსტომის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა. ფარსადან გორგიჯანიძე წერს:

„... მეორეს დღეს გორიდამენ ქალაქს ჩაფარი გაგზავნეს და ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს დამთვრალა და თვითონ გადმოვარდნილაო და ამისი შვილები

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთ. 32, საბ. 341.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 43—44.

[3] მ. ხ უ ბ უ ა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ოქმები, 1949 წ., გვ. 2.

[4] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთ. 12, საბ. 109.

[5] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია. გვ. 48.

[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 47.

დააპირვინეს და გორის ციხეში დაატყვეს და მისი სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიონი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდაიხვეწა და კახეთს მივიდა"[1].

ქაიხოსროს შემდეგ სარდლად ზურაბი ჩანს. შემდეგში ბარათაშვილებს სარდლობა დაუკარგავთ, XVII საუკუნის 60-იან წლებში საბარათიანოს სარდლად ზაზა ციციშვილია. ხოლო ზაზას შემდეგ სარდლად არის თამაზ ყაფლანიშვილი, ამიერიდან კი სარდლებად ყაფლანიშვილები არიან[2].

ბარათაშვილები ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე დიდი წონით ჩანან XV—XVI საუკუნეებში. ეს სახლი მრავალ სახლებად დაიშალა და XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ბარათაშვილებმა თავისი წონა არსებითად დაკარგეს და მათი ადგილი სომხით-საბარათიანოში ყაფლანიშვილებმა შეცვალეს. ეს ყაფლანიშვილები, როგორც თავის ადგილზე აღნიშნული გვქონდა, ბარათაშვილების სახლის გამონაყოფი იყვნენ.

ასე რომ, ამიერიდან სომხით-საბარათიანოს სათავადოების ისტორია არსებითად არის საყაფლანიშვილოს ისტორია და ჩვენც ამ სახლის თავგადასავალზე ვიწყებთ თხრობას. ამ სახლის შესახებ საინტერესო დაკვირვებები აქვს თავის საკანდიდატო დისერტაციაში გ. ჯამბურიას.

ძნელად თუ მოიძებნება ისეთი თავადის სახლი ქართლში, რომელიც ისე მოხერხებულად ეგუებოდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენას, როგორც ყაფლანიშვილების სახლი. პაპუნა ორბელიანი წერდა: „ყაფლანიანთ" არაოდეს არას ხელმწიფის ორგულობა და ღალატი არ შესჩენოდათო"[3].

რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყაფლანიშვილები ბრმად მისდევდნენ ყოველგვარ პოლიტიკურ ქარტეხილებს. არა, ყაფლანიშვილები ჩვეულებრივი ფეოდალები იყვნენ და სხვის მიმართ დამოკიდებულებაში, ისე, როგორც ყოველი ფეოდალი, თავიანთ ადგილს იჭერდნენ იმისდა მიხედვით, თუ თავიანთ ფეოდალური ინტერესები რას უკარნახებდა.

ეს ყაფლანიშვილების სახლი საბარათიანოს სახლისშვილთა შინაურ კონფლიქტის შედეგად წარმოიქმნა. XVII საუკუნის 20-იან წლებში ბარათა ბარათაშვილის რისხვას გადაურჩა ყაფლანი, იგი სპარსეთს გაიქცა და შაჰ-აბაზის წყალობით მდგომარეობა გა-

---

[1] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია, გვ. 248.

[2] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 53.

[3] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქ. ცხ. II, გვ. 353—354.

მოისწორა. 1627 წელს ყაფლანმა მართლაც ბარათა ბარათაშვილიხ-ქონება დაისაკუთრა[1]. მან კიდევ უფრო მოიმაგრა ფეხი როსტომის მეფობის დროს, იგი ჯერ მდივანბეგი და შემდეგ სალთხუცესი შეიქმნა. კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებში მოექცა ყაფლანი შაჰნავაზის მეფობისას. შაჰნავაზს ყაფლანის ასული როდამი ცოლად ჰყავდა[2].

ყაფლანის გარდაცვალების შემდეგ (1671) საყაფლანიანოს უფროსად პ ა პ უ ნ ა ყაფლანისძეა. იგი ითვლებოდა: სომხითის მოურავად, საორბელოს პატრონად, საბარათიანოს დიდ თავადად[3].

1689 წელს, პაპუნას გარდაცვალების შემდეგ საყაფლანიშვილოს უფროსად გამხდარა მისი მომდევნო ძმა ასლანი[4].

1688 წლიდან ქართლში „ორიანობა" შეიქმნა. თავადებიც ორ ჯგუფად გაიყვნენ. ზოგი გიორგის შემორჩა, ხოლო ზოგი ერეკლე პირველს მიუვიდა. საბარათიანოს სარდალი თამაზ ყაფლანიშვილი გიორგის მოწინააღმდეგე ჯგუფში აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ადრე, როცა გიორგი სპარსთა წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდა, „ბარათიანთ სარდალი თამაზბეგ რომ გიორგი მეფისაგან მრავალი სიკეთე და სიმდიდრე სჭირდა, დისწულს წამოუვიდა, თავრიზ სარდართან მოვიდა და ყაენს არზა მოსწერა: განჯის ხანის თავს დასხმა და ნაპირის ხანების ამოწყვეტა, და ყარაბაღის დარბევა მოინდომაო, და ჩვენ იმისათვის წამოუვედით და ხელმწიფის ორგულობაში არ გავერივენითო"[5].

როცა ამ აჯანყების გამო სპარსეთმა გიორგი გადააყენა და ერეკლე ქართლის მეფედ დანიშნა, თამაზმა ბევრი აღარ დააყოვნა და ერეკლეს მიუვიდა; მაგრამ ერეკლესთან საერთო ენა ვერ გამონახა და ისევ გიორგისთან გადაბარგდა.

ერეკლემ, როგორც ცნობილია, სამეფო კარზე მოხელეები შეცვალა, სომხით-საბარათიანოს სარდლად თამაზის მაგიერ ლუარსაბი დანიშნა.

ერეკლე ვახტანგ ყაფლანიშვილსაც, რომელსაც მდივანბეგობა ჰქონდა, გაუწყრა და შეავიწროვა. მისი შვილი სულხან-საბა ორბელიანიც აგრეთვე გიორგის ერთგული დარჩა ბოლომდე. სამა-

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 15, საბ. 132.

[2] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 200.

[3] გ. ჩ ი ტ ა ი ა, პიტარეთისა და გულარეხის საფლავის ქვები, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, გვ. 120.

[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქ-ბი II, გვ. 442.

[5] გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 280—281.

გიეროდ, ყაფლანიანთ სახლის ზოგი წევრი ერეკლეს მიუვიდა და მისგან ელოდა დიდებას. ასეთები იყვნენ ასლანი და მისი შვილი ლუარსაბი. ლუარსაბი ერეკლემ ჯერ ყულარაღასად დანიშნა, ხოლო 1696 წელს სომხით-საბარათიანოს სარდლობა მისცა.

როცა ერეკლეს ქართლი ისევ წაართვეს და გიორგის მისცეს, ბუნებრივია, რომ ერეკლეს მომხრე ფეოდალები უნდა ჩამოემცროთ და გიორგის მომხრეები აღეზევებინათ. ასეც მოხდა. ვახტანგ VI ქართლის მდივანბეგობა ერასტი ვახტანგის ძე ყაფლანიშვილს უბოძა, თუმცა ლუარსაბი კვლავ დიდხანს სარდლად დარჩა და რითიც შეეძლო და როგორც შეეძლო ვახტანგს ებრძოდა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ვახტანგმა ეს ურჩი ფეოდალი დათრგუნა და სომხით-საბარათიანოს სარდლად თავისი შვილი ვახუშტი დანიშნა.

1724 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური უამინდობის გამო ვახტანგ VI რუსეთს წავიდა. მას თან გაჰყვნენ ყაფლანიშვილთა სახლიდან სულხან-საბა და მისი ძმები ზოსიმე და ნიკოლოზი.

ერასტი ყაფლანიშვილი ოსმალთა სამსახურში შევიდა და, როდესაც ოსმალები კახელებს ელტდნენ, კახელთა მოკვეთილი თავები „ურმებითა წარიღო ერასტი ყაფლანიშვილმა ტფილისს რაჯაბ-ფაშასთანა, რომელმან მოსცა ოცდაათი დრაჰკანი ჯილდოთ“[1].

ერასტი ყაფლანიშვილი სომხით-საბარათიანოს უფროსად დაინიშნა ოსმალების მიერ და იგი თავწამკვდარი ასრულებდა ოსმალ დამპყრობელთა სურვილებს.

ერასტი 1731 წელს გარდაიცვალა და ყაფლანიშვილთა სახლის უფროსად ქაიხოსრო დაინიშნა. ეს ქაიხოსრო, ასლანბეგ ქაიხოსროს შვილი იყო[2].

იგი მოხერხებულად იყენებს ოსმალთა ბატონობის ხანას, ოსმალთა დახმარებით საყაფლანიშვილოს ბატონი ხდება, სომხით-საბარათიანოს სარდლობასაც მიაღწია და საძმო მამულიდან ძმებს წილს აღარ აძლევს.

1735 წელს „ოსმალობა“ ყიზილბაშობით შეიცვალა. ახლა ქაიხოსრო ყაფლანიშვილმაც ფერი იცვალა და ყიზილბაშთა „ფერჯთა მტვერი“ გახდა, „ძლიერ შაჰთან ბრძოლას მასთან სამსახურში გადასვლა ამჯობინა“[3].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ქ. ც. II, გვ. 88.

[2] უფრო დაწვრილებით იხ. გ. ჯამბურიას საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 282—283.

[3] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, იქვე, გვ. 291.

თუმცა ქაიხოსრომ ჯერ კიდევ ოსმალობის დროს თავის სახლის კაცები ისე დაჩაგრა, რომ ჯერ სახასო, საერთო, საძმო მამულზე ააღებინა ხელი და შემდეგ საუფლისწულოებიც წაართვა, მაგრამ დემეტრეს ვერაფერი უყო, რადგან დემეტრემაც მეგობრები გაიჩინა, როგორც ოსმალებთან, ისე ყიზილბაშებთან.

როცა დემეტრე გარდაიცვალა, ქაიხოსრომ სცადა დემეტრეს შვილების დაჩაგვრა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ყიზილბაშთათვის დემეტრეს შვილები საჭირო იყვნენ.

1741 წელს ქაიხოსროს ნადირმა ქართლის პირველი ვექილობა მისცა და 200 თუმანი ჯამაგირი გაუჩინა, ხოლო ელიზბარ დემეტრეს ძე ყაფლანიშვილს ეშიკაღასბაშობა მისცა და 50 თუმნის ჯამაგირიც დაუნიშნა, ხოლო რევაზ ქაიხოსროსძეს სარდლობა მისცა და 100 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა[1]. ამ სახით ყაფლანიანნი შაჰის მოხელეებად გადაიქცნენ.

როცა გივი ამილახორი ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყდა ყაფლანიშვილთა სახლიდან ვახტანგი, სულხანი და დავითი გივისთან გაიქცნენ. ეს ქაიხოსროს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის დაწყებას ნიშნავდა. ქაიხოსრო ამოქმედდა, ელიზბარ ყაფლანიშვილი შაჰთან დააბეზღა და მისი დაღუპვაც შესძლო.

გივი შეეცადა ქაიხოსროსათვის სამაგიერო გადაეხადა (ელიზბარი გივის ნათესავი იყო, გივის ცოლად ჰყავდა ამის ოჯახის ასული). გივიმ ლაშქრობა მოაწყო სომხით-საბარათიანოში და ერთიანად იავარჰყო ეს მხარე. პაპუნა ორბელიანი წერს: „ჩამოდგა ლეკის ჯარი და ზემოქართლისა ორბელიანთ მამულში და აღარ გავიდნენ, აღარსად გაუშვეს შენობა, არას დროს ზემო ქართლის კაცისაგან ასე საბარათაშვილოს მტრობა არ გაგონილიყო, რომ ახლა იჩემეს და აშკარად ლაშქრობდენ"[2].

ამიერიდან სომხით-საბარათიანო ლეკთა თარეშის მუდმივ ობიექტად იქცა. „მუდამ იყვის ლეკი ორბელიანთ მამულში და აოხრებ-დნენ, ასე რომ არაფერი მიწის ნაყოფიერება აღარ ააღებინესრა"[3].

სომხით-საბარათიანო გავერანდა აგრეთვე 1747—1748 წწ. აბდულაბეგის აჯანყების დროს. აჯანყებული აბდულაბეგი აქ ჩაკეტილიყო და ერეკლეს ებრძოდა. ერეკლეც თავის მხრივ წინააღმდეგობას უწევდა აბდულაბეგს. ასე რომ, ამ ორთა ბრძოლაში „შეწუხდა სომხითის ხეობა, ვეღარ შეიძლეს დგომა ქვეყანათა თვისთა.

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 345.

[2] იქვე, გვ. 460.

[3] იქვე, გვ. 361.

ეიყარა მელიქი სომხითისა თავისის სახლის კაცით და ყმით, აგრეთვე არღუთასშვილები, მთლივ სანაინის ხეობა და ახპატის ხეობა, ჩამოვიდნენ ქალაქსა... მთელს სომხითში ბოლნისის მეტი და სამწევრის მეტი შენობა აღარსად არ იყო. ორბელიანთ მამულიც ასე დაიცალა, რომ დმანისა და ფიტარეთის მეტი შენობა აღარსად იყო"[1].

ეს ამბავი 1757 წლისათვის კიდევ უფრო შორს წასულა. პაპუნა ორბელიანი შემდეგ აღნიშნავს, რომ „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემოქართლში და საერისთავოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბუდახის შვილები სამშვილდესა შინა"[2].

ამ საერთო არეულობის ჟამსაც ყაფლანიშვილები ურთიერთ მტრობას არ იშლიდნენ და ამით მტრის თარეშს ხელს უწყობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1744 წელს თეიმურაზმა „სახლის კაცობის რიგი" დაუწერა ყაფლანიშვილებს და „ძმობა" ჩამოუგდო, ეს „ძმობა" მალე ისევ მტრობა-ქიშპობით შეიცვალა.

ქაიხოსრო 1748 წელს გარდაიცვალა.

1749 წ. ყაფლანიანთ სახლის უფროსად დიმიტრი ეშიკაღასბაშია, სარდლად — რევაზი, იოანე ქართლის მდივანბეგია, ხოლო დავით რევაზისძე — სალთხუცესი.

1770 წელს ზაალი საგანგებო დავალებას ასრულებს, — რუსეთში მიდის, ასპინძის ომში ნაშოვნი ტყვეები და დროშები მიაქვს რუს-ხელმწიფესთან, როგორც საჩუქარი[3]. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე ასეთი ნდობით ექცეოდა, ზაალი ალექსანდრე ბაქარიძესთან აბამს კავშირს და ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედებს. იგი დავით ქსნის ერისთავსა და მაჩაბელებსაც ესაუბრება ამ საქმის შესახებ. როცა შეთქმულება გამომჟღავნდა ზაალი ახალციხეს გაიქცა[4].

დიმიტრი ეშიკაღასბაშის შემდეგ ყაფლანიშვილთა სახლის უფროსია დავით რევაზის ძე, იგი 1772 წელს სომხით-საბარათიანოს სარდა-

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქ. ც. II, გვ. 407.

[2] იქვე, გვ. 473.

[3] Цагарели, Грамоты, 1, გვ. 46.

[4] უფრო ვრცლად იხ. გ. ჯამბურიას საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 315—318.

ლიც არის და სალთხუცესადაც იხსენიება. დავითი ერეკლეს სიძეა. მას ცოლად ჰყავს ერეკლეს ასული თამარი. შემდეგში ერეკლე სიძეს გაუწყრა, სალთხუცობა წაართვა და ივანე მუხრანბატონს მისცა.

დავითის გარდაცვალების შემდეგ (1796) სომხით-საბარათიანოს-სარდალი, ქართლის სალთხუცესი და ყაფლანიანთ სახლის უფროსი გახდა იოანე დავითის ძე. ეს იყო ქართლის სამეფოს უკანასკნელი სარდალ-სალთხუცესი[1].

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, როცა ქვეყნის მდგომარეობა უკიდურეს კრიზისს განიცდიდა, ყაფლანიშვილების სახლი შეეცადა მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებია. ჯერ კიდევ „დავით სარდლის შემდგომ სულ ერთიან ორბელიანები მოღალატენი შეიქნენ მეფის ირაკლისა"[2].

როცა დავით გიორგის ძე სამეფოს მემკვიდრე გახდა, თამაზ და ვახტანგ ყაფლანიშვილები იულონს გაჰყვნენ იმერეთში და დავითის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგნენ. დავითმა ისინი დასაჯა; თამაზს წაართვა ეშიკაღასბაშობა და მოურაობა და ასლან ყაფლანიშვილს გადასცა, ხოლო ვახტანგ ორბელიანის მთელი მამულები სახელმწიფოდ გამოაცხადა[3].

დავითის წინააღმდეგი ყოფილა დიმიტრი ზაალისძეც. იოანე სარდალი ერთგული მსახური გახდა რუსთა ხელმწიფისა, მან მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი, მონაწილეობას იღებდა ერევნის ალყაში 1804 წლის 2 აგვისტოს. იგი, ზურაბი და სოლომონ ყაფლანიშვილები ტყვეთ იგდეს და ერანს წაიყვანეს. ტყვეობაში 1805 წლის ზაფხულამდე დარჩენილან[4].

გ. ჯამბურია სამართლიანად შენიშნავს, რომ „საყაფლანიშვილომ, როგორც სათავადომ, არსებობა შეწყვიტა საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე, რადგან ის ფუნქციები — მოსამართლეობა, ადმინისტრაციული მმართველობა, სამხედრო-ეკონომიური და სხვა — რომელიც ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია სათავადოსი, სამეფოს გაუქმებასთან ერთად გაქრა. საყაფლანიშვილო მამულად იქცა, ყაფლანიშვილები კი — მემამულეებად"[5].

---

[1] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 323—324.

[2] ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, 1914 წ., გვ. 35.

[3] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 326—327.

[4] იქვე, გვ. 328.

[5] იქვე, გვ. 333.

7. საკითხის ზოგადი მიმოხილვა

განხილული მასალიდან ჩვენ დავინახეთ, რომ თავადურ ქვეყანაში თავადის მონაწილეობის გარეშე არც ერთი საქვეყნო საქმე არ წარმოიდგინება. თავადი ქვეყნის პოლიტიკური საქმიანობის აქტიური თანამგზავრია. თავადის ურთიერთობა მეფესთან და მეზობლებთან მრავალმხრივი იყო. თავადი გარეშე თუ საშინაო მოვლენებს საკუთარი ფეოდალური ინტერესებით ზომავდა.

იურიდიულად თავადი მეფის ყმა იყო და მეფისადმი ერთგული სამსახური მართებდა.

ამ ყმობა-სამსახურის საფუძველი მამული იყო, რომელიც სწორედ ამ „ერთგული სამსახურისათვის" ებოძებოდა ხოლმე ყმას პატრონისაგან. ჩვენ მრავალი მაგალითები მოვიტანეთ იმის ნათელსაყოფად, რომ მეფე ცდილობდა შეენარჩუნებია მის მიერ თავადისათვის ნაწყალობევი ქონების ხელდების უფლება. ე. ი. თუ თავადმა დააშავა, მეფეს უფლება აქვს „ურჩი ყმა" გააღარიბოს, თავადი კი პირიქით — სულ იმის ცდაშია, რომ მეფისაგან მიღებული წყალობა სამემკვიდრეოდ გახადოს და მეფეს არ ჰქონდეს წართმევის უფლება. ეს არის მეფე-თავადთა შორის „ძმობისა" და „მტრობის" ერთ-ერთი საფუძველთაგანი. „წყალობის" ძველი წესის დაცვა მეფის უფლების განხორციელებაა და ამავე დროს მეფის ძალის მაჩვენებელიც. მაგრამ არა ერთხელ მომხდარა ისე, რომ მეფე „ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცუალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ"[1].

თავადური საქართველოს ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მეფის პოლიტიკური ხელისუფლება სათავადო სისტემას ემყარება და ამავე დროს მეფე ამ სათავადოს ებრძვის. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან სათავადოს წარმოშობა დაკავშირებული არის ქვეყნის საწარმოო ძალების დეგრადაციასთან და სწორედ ეს დეგრადაცია და ჩამორჩენილობა ჰკვებავს ამ სათავადოს. ასე რომ, ქვეყანაში სუსტია ისეთი ძალა, რომელსაც მეფე გამოიყენებდა თავადური სისტემის წინააღმდეგ. მეფის ბრძოლის შინაარსი აქ იმაში მდგომარეობს, რომ მას სურს სათავადო სამოხელეოდ გადააქციოს, ხოლო თავადი — მოხელედ. ასეთი მოქმედების დასაბუთებას ის წარსულში ჰპოვებს. მეფემ იცის,

[1] ვახტანგის სამართალი, მუხ. 2. ქრესტომათია I, გვ. 396.

რომ წარსულში ერისთავები მხოლოდ მოხელეები იყვნენ და მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული მათი მოხსნა-დანიშვნა. ეს წესი შემდეგში შეიცვალა მეფის ხელისუფლების დასუსტების გამო და „არღარა იცვლებოდა ერისთავნი და არცა თავადნი: ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკუდრ ქმნილ იყვნენ და ვისაცა მამულს მისცემდა, მკვიდრად მიეცემოდა, და ყოველნივე ძლიერ იყვნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი"[1].

როგორც აღვნიშნეთ, თავადი მეფის ყმად ითვლებოდა და სამეფო ვალდებულებას „უსიტყოდ" ასრულებდა. მეფე თავის უფლებებს სათავადოზე მრავალ საქმიანობაში ავლენდა:

1. სამშობლოს ღალატისათვის ყმა-მამულს ართმევდა და ამ ყმა-მამულს სახელმწიფოდ — სახასოდ აქცევდა. ზაქარია ციციშვილი ახალციხეში გაიქცა. ამიტომ „ზაქარიას თავისი ყმა და მამული სრულებით ჩამორთმეული შეექნა გაქცევისა და მეფის ირაკლისა და საქართველოს მუხანათობისათვის"[2].

2. უმკვიდროდ ამოვარდნილი ყმა-მამული ამ თავადის ნათესავზე კი არ გადადიოდა, არამედ მეფეს რჩებოდა და ვისაც უნდოდა მას მისცემდა. დიმიტრი ციციშვილი-დავით ციციშვილის განაყოფი იყო. იგი „ამოსწყდა და იმისი ყმა და მამული ბეითალმანად შეიქნა და სახასოდ დაიდგა"[3].

3. თავადის სახლის გაყრაში მეფე ერეოდა და სამეფო მოსაკითხს თხოულობდა. „გასამყრელო ასრე ქილმწიფისა არის, რომე როგორც თავის სახასო ისრე ეს არის, ეპრიანების თითონ დაიჭერს, იქნების სხვას უბოძოს, იქნების იმათშივე ერთსა და ერთს უბოძოს და იქმნების ორთავ ერთად აქრთამებინოს ისი სჯობს"[4].

4. თავადს სათავადოში მეფე ნიშნავდა და „სახლის რიგს" უმტკიცებდა.

5. გლეხისა და ბატონის ურთიერთობაში მეფე ჩაერეოდა. გლეხს უფლება ჰქონდა საკუთარი ბატონისათვის ეჩივლა მეფესთან.

6. თავადი სახელმწიფო გადასახადებს იხდიდა და ქვეყნის დაცვაში მონაწილეობას იღებდა. მეფის ყველა ესა და სხვა მსგავსი უფლებები ის საწინდარი იყო, რომლითაც მეფეს თავადი მორჩი-

---

[1] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 46.
[2] საქ. მუზეუმი, Hd, 1818.
[3] იქვე.
[4] ვახტანგის სამართალი, მუხ. 101, ქრესტომათია II, გვ. 417.

ლებაში მოჰყავდა. ეს უფლებები, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ერთნაირად არ ხორციელდებოდა. დრო და პირობები, მეფის პიროვნება და სხვა გავლენას ახდენდა ამ უფლებათა კონკრეტულ განხორციელებაზე.

ზემონათქვამი შეიძლება შემდეგ ძირითად პუნქტებში შევაჯამოთ.

I. თავადურ საქართველოში თავადები მეფის ყმები არიან, მაგრამ ისინი თავის ბატონს როდი უყურებენ როგორც „ღმრთის წორს", მათ თვალში მეფე მხოლოდ პირველი თანასწორთაგანია.

II. თავადები ამა თუ იმ მეფის ერთგულნი არიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მეფე მათი ერთგული და უწყინარია.

III. თავადები საკუთარი პოლიტიკით ზომავენ მეფის პოლიტიკას და როცა ამა თუ იმ მეფის პოლიტიკა აღარ შეესაბამება მათ პოლიტიკას, მაშინ ისინი ადვილად არღვევენ მეფისადმი მიცემულ „ერთგულების" ფიცს და ემხრობიან მეფის საწინააღმდეგოდ მომქმედ ძალას. შეთქმულება-ინტრიგები ფეოდალური წყობილების მუდმივი თანამგზავრია.

IV. მეფე-თავადთა შორის არსებული ურთიერთობის ფორმები, თვით თავადის სახლის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმები, სათავადოებს შორის არსებული „ძმობის" ხელშეკრულებები და სხვა მოცემული ხანის ეკონომიური ცხოვრების საფუძვლით აიხსნება. ამ ურთიერთობათა პოლიტიკური შინაარსი საბოლოო ანგარიშში სოციალურ-კლასობრივი ბრძოლითაა პირობადებული.

III. სათავადოების გაუქმება

ფორმალურად სათავადოები არავის არ გაუუქმებია. ისინი ცხოვრებამ გააუქმა. როგორც აღნიშნული იყო, გვიანფეოდალურ საქართველოს სამეფო ხელისუფლება სათავადოებს ეყრდნობოდა. სამეფო ამ სათავადოებისაგან შემდგარი კრებული იყო. ამდენად სათავადო და სამეფო ურთიერთს გარეშე არ წარმოიდგინებოდა. ერთის მოშლა მეორის მოსპობას გულისხმობდა. მოვლენები ისე განვითარდნენ, რომ XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ჯერ მისუსტდა და შემდეგ ცარისტული მთავრობის მიერ ლიკვიდირებულ იქნა. სამეფო ხელისუფლების მოსპობაში სათავადოებმა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მცირე როლი როდი შეასრულეს, მაგრამ მათ ამავე დროს თავის თავსაც სამარე გაუთხარეს. სამეფოს გაუქმების შემდეგ სათავადოებმა დაკარგეს თავიანთი უფლებები, რადგან სასამართლოს წარმოება, ჯარის უფროსობა, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, ადმინის-

ტრატიული მმართველობა, სამეფო კარზე თანამდებობების ქონა და სხვა. უკვე მათ ხელში აღარ იყო. ამიერიდან სათავადოები აღარ არსებობდა, ხოლო თავადები მხოლოდ ჩვეულებრივ მემამულეებად იქცნენ.

თუ პირველ ხანებში ქართველი თავადაზნაურები (ყოველ შემთხვევაში მისი საკმაოდ დიდი ნაწილი) საქართველოს სამეფოს გაუქმებას გულგრილად შეხვდნენ და იმპერატორის მიერ უხვად გაცემულ ჩინ-მედლებს სადღეგრძელოებს უძღვნიდნენ და ალექსანდრე პირველის „ფერხთა მტვრად“ აცხადებდნენ თავს, მალე დაინახეს, რომ მათ დაკარგეს ის პრივილეგიური მდგომარეობა, რომელიც მათ წინათ ჰქონდათ.

მათ როცა ეს იგრძნეს, იუკადრისეს იმპერატორის „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომეს „საქართველოს განთავისუფლება“.

ამხანაგი სტალინი თავის ნაშრომში, „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, წერდა: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“, როცა—„საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ—ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ... ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ შხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში. საკმარისი იყო ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას“, რომ ძირიანად დაენგრია იგი. და, მართლაც, საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა — სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, „ფეოდალურ მონარქიულ ნაციონა-

ლ ი ზ მ ს". ქართველი თავადაზნაურობა ორ ჯგუფად გაიყო. ერთმა მათგანმა უარყო ყოველივე „ნაციონალიზმი" და ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, რომ სამაგიეროდ მიეღო მისგან თბილი ადგილები, იაფფასიანი კრედიტი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომ მთავრობას უზრუნველეყო იგი სოფლის „ბუნტოვშჩიკებისაგან" და სხვ. ხოლო მეორემ — უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველი თავადაზნაურობისამ — დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და, ამგვარად, კლერიკალიზმის კალთას შეაფარა ცხოვრებისაგან დევნილი „ნაციონალიზმი". ეს ჯგუფი დიდი გატაცებით ანახლებს დანგრეულ ქართულ ეკლესიებს (ეს მთავარი მუხლია მისი „პროგრამისა"!) — „ნაშთებს ძველი დიდებისას" — და მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი ბატონყმურ-მონარქიული „სურვილები"[1].

XIX საუკუნის დამდეგს საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამ ფაქტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. მისი ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობათაგანი ისიც იყო, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველოში მოისპო სათავადოთა სისტემა. სათავადოთა სისტემა საუკუნეების განმავლობაში ბორკავდა საწარმოო ძალების განვითარებას და ქმნიდა პირობას ფეოდალური პარტიკულიარიზმისათვის. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ სათავადო საწარმოო ძალთა დეგრადაციის შედეგად წარმოიშვა და ეს დეგრადაცია ჰკვებავდა თვით სათავადოთა სისტემას. ქვეყნის საწარმოო ძალები რომ განვითარებულიყო, უეჭველად უნდა მოსპობილიყო სათავადოთა სისტემა. უამისოდ შეუძლებელი იყო ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან ისეთი მკვლევარები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს; ისინი ამ შეერთებას დაპყრობას უწოდებენ და ქართველი ხალხისათვის მას რაღაც ტრაგიზმად მიიჩნევენ. ამ მხრივ ყველაზე უფრო ტიპიურია ს. კაკაბაძე.

1940 წელს ჟურნალ „ჩვენი თაობაში" (№ 11) კაკაბაძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „იმერეთის დაპყრობა მეფის რუსეთის მიერ". იგი წერს: „იმერეთის დაპყრობა ცარიზმის მიერ 1810 წ. წარმოადგენს ერთ მნიშვნელოვან რგოლს ტრაგიზმით აღსავსე იმ უბედურებათა სიგრძეზე, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I. გვ. 32—33.

თავს დაატყდა საქართველოს რუსეთის იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად“ (გვ. 24).

კაკაბაძისათვის XIX საუკუნე ქართველი ხალხისათვის ტრაგიზმით აღსავსე უბედურებათა საუკუნეა და ამ უბედურების მიზეზი რუსეთია.

სინამდვილეში ქართველი ხალხის ფიზიკურად გადარჩენის ერთადერთი გზა იყო ქართველი ხალხის დიდ რუს ხალხთან სამუდამო შეკავშირება.

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები მოვალენი ვართ უახლოეს ხანაში მონოგრაფიულად დავამუშავოთ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობის საკითხი, კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ მცდარი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებანი და მივაწოდოთ ჩვენს ახალგაზრდობას ისეთი წიგნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დიდ რუს ხალხთან მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია

I. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მარქსი. კაპიტალი, ტომი I, თბ., 1954.

კ. მარქსი. კაპიტალი, ტომი III, თბ., 1934.

კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.

კ. მარქსი. თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, თბ., 1932.

ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, თბ., 1953.

ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1932.

ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბ., 1953.

ფ. ენგელსი. მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბ., 1935.

Маркс и Энгельс. Сочинения, том V, М., 1929.

Маркс и Энгельс. Сочинения, том XV, М., 1933.

მარქსი და ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტომი I, თბ., 1930.

ვ. ი. ლენინი. რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ? თხზულებანი, ტომი 1, თბ., 1948.

ვ. ი. ლენინი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტომი 3, თბ., 1949.

ვ. ი. ლენინი. აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს, თხზულებანი, ტომი 15, თბ., 1950.

ვ. ი. ლენინი. უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, თხზულებანი, ტომი 4, თბ., 1949.

ი. ბ. სტალინი, როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი? თხზულებანი, ტომი 1, თბ., 1947.

ი. ბ. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, თხზულებანი, ტომი 2, თბ., 1947.

ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გამოცემა მეთერთმეტე, თბ., 1951.
ი. ბ. სტალინი. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, თბ., 1940.
ი. ბ. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1952.
ი. ბ. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები საბჭოთა კავშირში. თბ., 1952.
საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი. თბ., 1938.

II. სპეციალური ლიტერატურა

ივ. ჯავახიშვილი. ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში. „მოამბე", 1901, № 4.
ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904.
ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, „ცნობის ფურცელი", 1905, № 2856, 2859, ცალკე წიგნად გამოც., თბ., 1905.
И. А. Джавахишвили. Государственный строй древней Грузии и древней Армении, том I, СПБ., 1905 г. (Тексты и розыскания по Армяно-Грузинской филологии, кн. VIII).
ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1951.
ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948.
ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბ., 1941.
ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბ., 1948.
ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თბ., 1928.
ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, თბ., 1928.
ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბ., 1929.
ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, თბ., 1930.
ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თბ., 1934.
ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.
ივ. ჯავახიშვილი. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX — XIII სს., თბ., 1934.

ივ. ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.

ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელ ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I, თბ., 1949.

ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, ტ. I, თბ., 1949.

ს. ჯანაშია. ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, ტ. II, თბ., 1952.

ს. ჯანაშია. არაბობა საქართველოში, შრომები, ტ. II, თბ., 1952.

ს. ჯანაშია. ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, შრომები, ტ. II, თბ., 1952.

ს. ჯანაშია. შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში, შრომები, ტ. II, 1952.

ს. ჯანაშია. ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, შრომები, ტ. II, თბ., 1952.

ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, ტ. II, თბ., 1952.

ნ. ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველოს კანონიკური წესწყობილება (აფხაზეთის კათოლიკოზი XIII — XV სს.), „მიმომხილველი“, ტ. 1, 1926.

ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში— მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1937, ნაკვ. I.

Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв), თბ., 1938.

ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია მე-13—14 სს. (კონსპექტი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 6, 1938.

ნ. ბერძენიშვილი. სამღვბროთა შესახებ XVIII ს-ში — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 6, 1937.

ნ. ბერძენიშვილი. ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკ. საქართველოში, თ. ს. უ. შრომები, ტ. 20, 1938.

ნ. ბერძენიშვილი. ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 10, 1940.

ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. 5—6, 1940.

ნ. ბერძენიშვილი. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიიდან, ნაკვ. 1, 1944.

ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVII საუკუნის მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, 1944.

ნ. ბერძენიშვილი. მოკიდებულისათვის, მიმომხილველი, ტ. 1, 1949 (საქ. სსრ მეც. აკადემიის ისტორ. ინსტ.).

ლ. მუსხელიშვილი. დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XV — XVII სს., ენიმკის მოამბე, ტ. 5—6, 1940.

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950.

დ. გვრიტიშვილი. ქსნის საერისთაო მე-13—18 ს-ში, ხელნაწერი, თბ., 1941.

დ. გვრიტიშვილი. არაგვის საერისთაო მე-14 — 18 ს-ში, ხელნაწერი. თბ., 1946.

დ. გვრიტიშვილი. საამილახორო მე-14—18 ს-ში, ხელნაწერი, თბ., 1949.

დ. გვრიტიშვილი. სამუხრანბატონო მე-16—18 ს-ში, ხელნაწერი, თბ., 1945.

დ. გვრიტიშვილი. საციციანო მე-15—18 ს-ში, ხელნაწერი, თბ., 1947.

დ. გვრიტიშვილი. დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლებისათვის, მიმომხილველი, ტ. I, 1949 (საქართ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტ.).

დ. გვრიტიშვილი. ზემოქართლის სადროშო, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 41, 1950.

დ. გვრიტიშვილი. თუმანიანთ სახლი მე-18 ს-ში, ხელნაწერი, თბ., 1945.

დ. გვრიტიშვილი. სათავადოს მართვა-გამგეობის სისტემა, წაკითხულ იქნა 1946 წ. მოხსენებად საქ. სსრ. მეც. აკადემიის საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების მე-12 სესიაზე.

დ. გვრიტიშვილი, მე-18 საუკუნის საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან, ხელნაწერი, თბ., 1947.

დ. გვრიტიშვილი. ეპიზოდი სათავადოების ურთიერთობის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 2, 1951.

დ. გვრიტიშვილი. ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ (გივი ამილა-

ხორის აჯანყება), მიმომხილველი, ტ. 3, 1953 (საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორ. ინსტ.).
დ. გვრიტიშვილი. ქართლის მთიანეთი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ხელნაწერი, თბ., 1948.
დ. გვრიტიშვილი. თორნიკე ერისთავის 1822 წ. შემოსავლის დავთარი, ხელნაწერი, თბ., 1942.
დ. გვრიტიშვილი. გლეხთა ინსტიტუტი „ხიზანი", ხელნაწერი, თბ., 1945.
დ. გვრიტიშვილი. გლეხთა ინსტიტუტი „მკვიდრი", ხელნაწერი. თბ., 1953.
დ. გვრიტიშვილი. შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1953.
დ. გვრიტიშვილი. გორის ისტორია, თბ., 1954.
გ. ჯამბურია. სომხით-საბარათიანოს სათავადოები, საკანდიდატო დისერტაცია.
მ. ქიქოძე. საამილახოროს ისტორიიდან, საკანდიდატო დისერტაცია.
ო. სოსელია. წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან, „ანალები" 1947 (საქართ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტი).
შ. მესხია. ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში, „მიმომხილველი", ტ. 1, 1949.
შ. მესხია. საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XI—XIII სს., „მიმომხილველი", ტ. II, 1951.
ვ. გაბაშვილი. სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი", ტ. II, 1951.
ვ. გაბაშვილი. „სათათრო გამოსაღებელი" გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი", ტ. III, 1953.
ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1953.
ივ. სურგულაძე. სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 ს. დასაწყისში. საქ . სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI.
ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
ა. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, თბ., 1910.
თ. ჟორდანია. ბატონყმობა საქართველოში, გაზ. „ახალი ქართლი", 1915, № 31, 33.
ირ. სურგულაძე. ძეგლი ერისთავთა და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, ენის,

ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტომი XIII, 1943.
გ. ჩიტაია. ექსპედიცია ქსნის ხეობაში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტომი IV_3, 1939.
გ. ჩიტაია. პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი III, 1927.
გ. ჩიტაია. ქსნური მთის გუთანი, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტ. V—VI, 1940.
ლ. ბოჟორიშვილი. ექსპედიცია ქსნის ხეობაში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, IV_3, 1939.
ნ. ზაქარაია. ქსნის, მჭადისჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტომი XVIII—Б, 1954.
С. Л. Авалиани. Заметки о феодализме в Грузии, Журнал Министерства юстиции, 1910, № 4.
С. Л. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, том I, Одесса, 1912.
С. Л. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье том II, Одесса, 1920.
С. Л. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, Тб., том IV.
С. Какабадзе. Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков, Тб., 1912.
С. Какабадзе. Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941.
ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1924.
ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, ტ. I—II, 1928.
Г. Натадзе. Крестьяне „Сахасо", масалები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი V, 1937.
ბოროზდინი. ბატონყმობა სამეგრელოში, თბ., 1927.
Е. Г. Вейденбаум. Хизаны в Грузии, Тб., 1913.
Ан-Пари. Грузинские Хизаны и идеологи Хизанства, Тб., 1913.
Х. Вермишев. Хизаны и Хизанство, Труды императ. Кавк. общества сельского хозяйства, т. 2—3, 1885.

В. Чередниченко. К истории Осетии-Хизан, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского Института, вып. I, 1933.

П. Иоселиани. Описание города Душета, Тб., 1860.

П. Иоселиани, Икортский Монастырь в Карталинии, საქართველოს სასულიერო მახარებელი, 1865, ნოემბ.

Д. Бакрадзе. Кавказ в древностях, Акты издав. Кавк. арх. комиссией, том. V, 1873.

А. Микеладзе. Село Квемочала, Сборник Материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 29, 1902.

III. ნარატიული წყაროები, მატიანეები და გამოქვეყნებული დოკუმენტები

იაკობ ცურტაველი. მარტვილობაჲ შუშანიკისი, ი. აბულაძის გამოცემა, თბ., 1938.

ბასილ ზარზმელი. ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ სერაფიონ ზარზმელისა, კ. კეკელიძის გამოცემა (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა), თბ., 1935.

გიორგი ხუცეს-მონაზონი. ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისა, წიგნში: ათონიის ივერიის ალაპები, თბ., 1901.

გიორგი მერჩული. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ, წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (ს. ყუბანეიშვილის რედ.). წ. I, თბ., 1946.

ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, წიგნში: ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942.

მატიანჲ ქართლისაჲ. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1942.

ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა.

ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე, წიგნში: ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა.

სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, 1949.

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, თბ., 1941.

ჟამთააღმწერელი. წიგნში: ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1906.

ძეგლი ერისთავთა, წიგნში: თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954.

ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალესი ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1913.

წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1953.

ჭელმწიფის კარის გარიგება. ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1920.

ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ტ. II, 1925.

ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბ., 1940.

ქართლის ცხოვრების გაგრძელება, მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება.

ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება II, დ. ჩუბინაშვილის რედაქციით, ს.-პეტერბურგი, 1854.

ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941.

დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოცემა. თბ., 1886.

ვახტანგის კანონები. ქრესტომათია, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ნაწ. I, 1863.

სეხნია ჩხეიძე. ცხოვრება მეფეთა, წიგნში: ქართლის ცხოვრება II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ს.-პეტერბურგი, 1854.

პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ს.-პეტერბურგი, 1854.

ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა, წიგნში: ქართლის ცხოვრება II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ს.-პეტერბურგი, 1854.

ალექსანდრე ამილასორი, გეორგიანული ისტორია, მნათობი, 1939, № 8.

დავით და ბაგრატ ბაგრატიონები. საქართველოს ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941.
იასე ოსესძე ბარათაშვილი. ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 28, 1950.
იოანე ბაგრატიონი. კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936.
T. A. Güldenstädt. Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, Bd. I და II, SPB, 1787—1791.
T. Reineggs. Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, SPB, 1786.
S. Klaprot. Reise in den Kaukasus und nach Georgien, 1812.
A. Leisst. Das Georgische Volk, Dresden, 1903.
Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Т., 1896.
П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803, Кн. I, II. СПБ., 1869.
Н. Дубровин. Закавказье от 1803—1806, СПБ., 1868.
Д. Пурцеладзе. Грузинские Дворянские Грамоты, Тб., 1881.
Д. Пурцеладзе. Грузинские Крестьянские Грамоты, Тб., 1882.
თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი I, თბ., 1892.
თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II, თბ., 1897.
თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა, თბ., 1896.
თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, თბ., 1903.
Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели. Ин. I, СПБ., 1891.
Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии, т. 1, в. 2, СПБ., 1898.
С. Белокуров. Сношения России с Кавказом, М., 1889.
М. Броссе. Переписка на иностранных языках Грузинских Царей с Российскими государями от 1639 по 1770 г. СПБ., 1861.
Е. Такайшвили. Кайчаетский Жам-Гулани и исторические приписки его кинклоса, Тб., 1901.

Е. Такайшвили. Археологические экскурсии, розыскания и заметки, вып. IV, Тб., 1913.
Е. Такайшвили. Археологические экскурсии, розыскание и заметки, вып. V, Тб., 1915.
საქართველოს სიძველენი, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედ. ტფ., 1899.
საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. I, წიგნი 1, ტფ., 1920.
საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. II, ტფ., 1909.
საქართველოს სიძველენი ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III, ტფ., 1910.
ე. თაყაიშვილი. ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 45, 1951.
ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907.
Е. Такайшвили, Серебряное знамя Мухранского владетеля Константина 1745 г., Известия Кавказского Отделения Императорского Московского Арх. Общества, вып. II, 1907.
ალ. ხახანაშვილი. გუჯრები, ქუთაისი, 1891.
დ. ჩუბინაშვილი. ქრესტომათია, ნაწ. I, ს.-პეტერბურგი, 1846.
ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, წიგნი I, ტფ., 1913.
ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, წიგნი II, ტფ., 1913.
ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ., 1913.
ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, წიგნი IV, ტფ., 1913.
ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, წიგნი I, ტფ., 1913.
ს. კაკაბაძე. ქრონიკა, იკორთას № 6 ჟამგულანისა, თბ., 1912.
ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებული, წიგნი IV, ტფ., 1929.
ს. კაკაბაძე. ბარათაანთ გაყრის წიგნი 1536 წლისა, საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1924.
ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი 1, თბ., 1914.
ნ. ჩხეტია. წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი, საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925.
შ. ჩხეტია, დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა, თბ., 1950.
პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941.
ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი, ნაწილი I—II, თბ., 1935.
ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი, ნაწილი III—IV, თბ., 1938.
პ. კარბელაშვილი. მასალად ამილახორთა ისტორიისა, გაზ. „ივერია“, 1891, № 237, 238.

მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ოქმები, თბ., 1949.
ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1940.
ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი II, თბ., 1953.
ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან. წიგნი I, თბ., 1938.
ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან, წიგნი II, 1953.
შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 26, 1948.
შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954.
ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, წიგნი I. თბ., 1946.
Акты Кавказской Археографической Комиссии, томы: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII.

IV. გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტები

I. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები

HD, საბუთები: №№ 1365, 2915, 9462, 2135, 13814, 14002, 2804, 10009, 1323, 1325, 2362, 2150, 1789, 7345, 2127, 2145, 5393, 2134, 11395, 2139, 2612, 2273, 2141, 6456, 2120, 2125, 2149, 13714, 13737, 13709, 13715, 13716, 13710, 8730, 2601, 2132, 2140, 2009, 4248. 2121, 2117, 2122, 2128, 2137, 1387, 181, 1818, 5341, 14534, 804, 806, 9400, 10832, 8090, 13660.
Qd საბუთის №№: 1626, 1633, 1642, 428, 3098, 604
Ad: 1119, 1386, 1203, 1352, 1359, 1095, 733
Sd: 488, 417, 214, 256
A: 1134, 1138
S: 550, 3729
H: 138
სპარსული საბუთები: 130

2. საქართველოს ცენტრარქივიი ფონდები

ფონდი 226, საბუთის ნომრები: 64, 5010, 5042, 5041, 5048, 1125, 6299, 4071, 5050, 665, 2452, 1548, 3251, 4051, 5717, 4473, 873, 2479, 526, 5044, 874, 2860, 607, 386, 1751, 2497, 372, 319, 3537, 352, 312, 4552, 90, 91, 9004, 1018, 166, 473, 1153

ფონდი 229

დავთარი	3,	საბუთი	96, 138
„	5	„	82, 105, 71, 98, 70, 74
„	37	„	1
„	23	„	162, 142, 140, 142, 238
„	34	„	97
„	12	„	70, 106, 109
„	38	„	101, 63
„	28	„	238, 35
„	24	„	144, 155, 113, 109, 133, 122, 111
„	36	„	101, 202
„	30	„	222, 229, 224, 122, 139
„	35	„	162
„	46	„	102
„	42	„	301
„	4	„	107, 68
„	24	„	107, 108
„	13	„	137
„	32	„	338, 341
„	15	„	132

ფონდი 230

დავთარი 1, აღწერა 8, № 1.

ფონდი 227 საბუთები: 1591, 665, 891, 285, 228, 327.

ფონდი 16, საქმე 51, ფურცელი 7.

„ „ 2420, ფურცელი 40.

ფონდი 152, საქმე 227, ფურცელი 3.

საძიებლები

ა. პირთა სახელების საძიებელი

ა

აბაზაძე 289, 290
აბაზასძენი 44, 69, 70
აბაზასძე ნავროზ 69
აბაზყული ხანი 405
აბასიშვილები 135
აბაშიძე 321, 289
აბაშიძეები 289
აბაშიძე ვახუშტი 428
აბაშიძე ზაალ 430
აბაშიძე ლევან 317
აბაშიძე პაატა 414
აბაშიძე სვიმონ 305, 317
აბდულაბეგი 192, 323, 326, 379, 384, 434, 456
აბრამიშვილი 247
აბულასანი, ქართლის ერისთავი 67, 89
აბულაძეები 240
აბუსაიდ ბაადური 50
აგბოკლანაშვილი 121
ადარზალ, ლუარსაბ პირველის ძმა 397
ადილშაჰი 433
ავალიანი ს. 4, 9, 10, 11, 12, 184, 202, 203, 206
ავალიშვილები 290, 407
ავალიშვილი 231
ავალიშვილი გულბად 289
ავალიშვილი ზაალ 416
ავალიშვილი ქაიხოსრო 158, 174, 290
ავგიორგი, კახთა მეფე 103, 104, 105, 106, 359, 360, 361, 362, 363, 364
ავეტიკა 195, 279
ავეტისაშვილი ოჰანეზა 193
ავთანდილაშვილები 249
ავთანდილი, დავით ქსნის ერისთავის აზნაური 75
ავთანდილ აზნაური 279
ავლადაშვილი 247
ათაბაგი აღბუღა 114, 115, 116, 117, 214, 237
ათაბაგი ბექა 186, 211, 214, 237
ათაბაგი ყუარყუარე 123, 124, 440
ალანასე მროელი 290
ალექსანდრე ბაქარისძე 457
ალექსანდრე იმერთა მეფე 103, 104, 105
ალექსანდრე იმერთა მეფისძე 338
ალექსანდრე I, კახთა მეფე 103, 104
ალექსანდრე II, კახთა მეფე 93, 332, 333, 334, 399
ალექსანდრე კონსტანტინესძე 103
ალექსანდრე I (1412—1442), სრულიად საქართველოს მეფე: 53, 90, 110, 111, 113, 115, 116, 125, 132, 135, 304, 385, 386, 391, 395, 439
ალექსიშვილები 240
ალექსიშვილი 242
ალექსიძე 247
ალიბეგაშვილი 246
ალიმარდახანი 428
ალიყულაშვილი 247
ალი ყული ხანი 319
ალიხანი 446
ალიხანი ავლანი 418, 419, 421
ალიხანიშვილები 162
ალკასი ჩერქეზ ბატონი 33, 332
ალმასხანი 309
ამანელისძე არგვეთის ერისთავი 67
ამაშუკელი 195
ამილახორები, ამილახვრიშვილები 114, 115, 155, 170, 171, 194, 195, 196, 243, 244, 245, 246, 259, 283, 290, 292, 293, 298, 301, 321, 365, 367, 385, 391, 397, 398, 405, 434, 438, 442, 444

ამილახორი ავთანდილ *) 35, 244, 266, 267, 285, 296, 389, 390, 404, 405
ამილახორი ალექსანდრე 244, 271, 278, 289, 406, 431, 432, 433, 434, 435, 436
ამილახორი ამირანდო 296, 379, 425, 429, 434, 437
ამილახორი ანდუყაფარ 70, 95, 244, 266, 285, 312, 313, 389, 390, 400, 401, 405
ამილახორი ბარამ 267
ამილახორი ბარძიმ 194, 267, 273, 280, 311, 312, 370, 371, 389, 390, 397, 399, 400, 417
ამილახორი ბეჟან 158, 160, 170, 195, 245, 246, 251, 266, 267, 286, 291, 298, 313, 354, 355, 356, 389, 390, 402, 437
ამილახორი ბერი 267, 386
ამილახორი გივი 194, 232, 243, 244, 245, 259, 266, 267, 286, 290, 292, 295, 320, 324, 325, 326, 353, 354, 355, 356, 379, 381, 389, 390, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 446, 456
ამილახორი გიორგი 111, 267, 399, 435, 438
ამილახორი გოგია 308, 309
ამილახორი დავით 389
ამილახორი დემეტრე 267, 286, 389
ამილახორი დიმიტრი 294, 417, 428, 433, 434, 435, 436, 437, 417, 428
ამილახორი ედიშერ 267
ამილახორი ვახტანგ 267, 389, 406
ამილახორი ზაალ 244
ამილახორი თაყა 389, 390, 396, 400
ამილახორი თეიმურაზ 267
ამილახორი იასე 267, 389
ამილახორი იოანე 112, 259, 236, 267, 389
ამილახორი იოთამ 113, 243, 245, 267, 286, 313, 314, 372, 387, 389, 390, 397, 401, 402, 403, 404
ამილახორი ლუარსაბ 417
ამილახორი ოთარ 243, 252, 257, 266, 267, 293, 303, 304, 307, 308, 309, 341, 387, 392, 398, 414, 415, 437
ამილახორი ოთია 266
ამილახორი ომან 298
ამილახორი პაატა 267, 314, 389
ამილახორი პაპუნა 314
ამილახორი რევაზ 266, 274, 279, 286, 302, 303, 389, 390, 415, 417, 424, 425, 429, 430, 437
ამილახორი ფარემუზა 267, 389, 397
ამილღაბრიშვილი 123
ამირაჯიბები 290, 407
ამირაჯიბი ალიყულიბეგ 267
ამოანისშვილი 127
ანა ქართლის ცხოვრების გადამწერი 45
ანდრონიკაშვილი 37
ანდრონიკაშვილი ივ. 204
ან-პარი 206
ანჩაბაძე 39
არაგვის ერისთავები, არაგვის ერისთავისშვილები: 36, 70, 84, 88, 94, 95, 109, 164, 165, 242, 263, 264, 283, 284, 285, 304, 305, 306, 320, 331, 334, 342, 345, 354, 355, 356, 357, 358, 371, 374, 402, 409, 412, 415, 444
არაგვის ერისთავი ბაადურ, 264, 265
არაგვის ერისთავი ბაინდურ 242, 334, 335, 351, 286
არაგვის ერისთავი ბარძიმ 242, 267, 306, 324, 350, 353, 354, 411, 412
არაგვის ერისთავი ბეჟან 92, 232, 286, 412, 414, 417, 421, 422
არაგვის ერისთავი გივი 286
არაგვის ერისთავი გიორგი 232, 264, 265, 305, 306, 345, 349, 350, 351, 352, 406
არაგვის ერისთავი დათუნა 264, 338, 339, 340, 345, 351

* რადგან ხშირად არ ხერხდება ამილახორისა და ამილახვრისშვილის, ან ერისთავისა და ერისთავისშვილის გამოყოფა, ამიტომ ჩვენ ყველგან ამილახორსა და ერისთავის სახელდებით ვალაგებთ მათ.

არაგვის ერისთავი ედიშერ 264, 347, 348
არაგვის ერისთავი ვახტანგ 286
არაგვის ერისთავი ზაალ 95, 263, 264, 265, 286, 312, 314, 315, 340, 341, 342, 343, 344, 345
არაგვის ერისთავი ზურაბ 95, 108, 263, 264, 307, 312, 313, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 344, 345, 353, 372, 373, 374, 446, 451
არაგვის ერისთავი თეიმურაზ 350, 352, 353
არაგვის ერისთავი იასონ 264, 286, 345, 348, 349, 350, 351, 352
არაგვის ერისთავი ლუარსაბ 264
არაგვის ერისთავი ნაბერალ 345
არაგვის ერისთავი ნუგზარ 97, 263, 264, 286, 312, 331, 332, 333, 334, 335, 355
არაგვის ერისთავი ოთარ 242, 264, 305, 315, 345, 346, 347, 348, 349, 352, 353
არაგვის ერისთავი ოტია 286, 354, 355, 356, 417, 422
არაგვის ერისთავი პაატა 286
არაგვის ერისთავი პაპუა 264
არაგვის ერისთავი პაპუნა 345, 347, 353
არაგვის ერისთავი რევაზ 187, 195, 348, 353, 354
არაგვის ერისთავი რომანოზ 352, 353
არაგვის ერისთავი ქაიხოსრო 264
არტანუჯელი გურგენ 44
არტანუჯელი სუმბატ 44
არჩილ მეფე 235, 326, 346, 347, 348, 397, 403, 404
არღუთისშვილი 457
აფრიდონი 49
აქუბაშვილი 84
ალამაჰმადხანი 37, 330
ასუსებისძე ჭილა 121
ჰჯიჩალაბი 381
ჰჯიხან სარდალი 418, 419, 422, 423

ბ

ბატონიშვილები 74, 162, 163
ბატონიშვილი ალექსანდრე 438
ბატონიშვილი არჩილ 303,
ბატონიშვილი ასანმირზა 433
ბატონიშვილი ბაგრატ 329, 330, 436
ბატონიშვილი გიორგი 155, 212, 225, 227, 276, 279, 290, 302, 315, 328, 329, 445
ბატონიშვილი დავით 48, 124, 279, 328, 329, 331, 385, 434, 436, 437, 439, 447, 450, 458
ბატონიშვილი დემეტრე 439
ბატონიშვილი ელენე 447
ბატონიშვილი ვახტანგ 92, 111, 155, 166, 188, 311, 327, 329, 357, 368, 378, 402, 400, 445, 446
ბატონიშვილი თამარ 402
ბატონიშვილი თეიმურაზ 437, 438
ბატონიშვილი იოანე 59, 61. 73, 74, 77, 86, 92, 111, 121, 122, 128, 399, 125, 329, 330, 357
ბატონიშვილი ისაყბეგ 277
ბატონიშვილი იულონ 242, 308, 309, 329, 330, 331, 437, 448, 459
ბატონიშვილი ლევან 315, 328, 358, 378
ბატონიშვილი მარიამ 447
ბატონიშვილი სიმონ 306
ბატონიშვილი პაატა 434, 435
ბატონიშვილი პაპუა 376, 377, 378
ბატონიშვილი ფარნაოზ 438
ბაქარ მეფე 316, 317, 319, 352, 353, 378, 414, 415, 423, 426
ბაქრაძე დ. 4, 55, 90, 91, 263
ბაქრაძეები 242
ბღუაშნი 132, 169
ბაგრატ III 43, 44, 47
ბაგრატ IV 44, 59, 253
ბაგრატ V 122, 125
ბაგრატ VI 123, 124, 387, 388, 391
ბაგრატ კონსტანტინესძე, იხ. აგრეთვე მუხრანბატონი ბაგრატ, 103, 105, 106, 107, 108
ბაგრატიონები 375, 376
ბაგრატიონი ბაგრატ 396, 439, 440, 449, 450
ბაგრატიონი ბახუტა 453
ბაგრატიონი გურამ 59
ბაგრატიონი გიორგი 450

ბაგრატიონი დავით 56
ბაგრატიონი ვახუშტი 4, 5, 6, 7, 21, 63, 70, 71, 74, 87, 89, 91, 92, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 113, 116, 119, 120, 129, 130, 132, 135, 145, 146, 147, 152, 155, 157, 159, 164, 165, 167, 168, 171, 172, 173, 174, 229, 232, 237, 261, 263, 264, 278, 285, 287, 288, 295, 305, 306, 311, 312, 313, 315, 317, 318, 322, 323, 325, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 445, 446, 347, 448, 449, 350, 351, 352, 353, 359, 360, 361, 363, 364, 365, 366, 367, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 376, 377, 378, 387, 389, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 410, 412, 440, 441, 444, 445, 450, 451, 452, 455
ბაგრატიონი რომანოზ 450
ბაგრატიონი ჰუსეინბეგ 453
ბაგრატიონი მუხრანსკი 202
ბაგრატიშვილები 249
ბაზალისძენი 86
ბალიაშვილი 214
ბარაბაშვილი 121
ბარათაშვილები, ბარათაშვილი 21, 132, 133, 347, 406, 421, 431, 449, 450, 451, 453
ბარათიანნი 440, 441
ბარათაშვილი აბაშ 135
ბარათაშვილი ბარათა 450, 451, 453, 454
ბარათაშვილი გერმანოზ 132, 134
ბარათაშვილი გოსტაშაბ 133
ბარათაშვილი გუგუნა 135
ბარათაშვილი დავით 135
ბარათაშვილი დემეტრე 210
ბარათაშვილი ზურაბ 134, 453
ბარათაშვილი თამაზ 452
ბარათაშვილი იესე 219
ბარათაშვილი იოთამ 137, 138
ბარათაშვილი ნიკოლოზ 132
ბარათაშვილი ორბელი 137, 138
ბარათაშვილი სოჩინო 450
ბარათაშვილი ქავთარ 134
ბარათაშვილი ქაიხოსრო 210, 451, 452, 453, 455, 456, 457
ბარათაშვილი ყაფლან 451
ბარათაშვილი ხოსია 375, 452
ბარამიძე ალ. 111
ბარჯინაშვილი ქოქო 221, 222
ბასილ კათოლიკოსი 108
ბასილაძე ბერი 188
ბასილაძე გიორგი 188
ბარძიმ მდივანბეგი 270
ბასილაშვილი 242, 240
ბაშარული გიორგი 187
ბაშარული დემეტრე 187
ბაშარული ზურია 187
ბაშარული კიკო 187
ბაშარული მამუკა 187
ბაშარული ნინია 187
ბეგიაშვილები 240, 276
ბეგთაბეგოვი სულხან 207
ბედიანი, ოდიშის ერისთავი 67
ბელიაშვილები 249
ბელოკუროვი 93, 332, 333, 334
ბეჟან სარიდანისძე 357
ბესარიონ კათალიკოსი 404
ბესთავაშვილი ანდრია 222
ბესთავაშვილი ომანა 181
ბერძენიშვილი ნ. 3, 28, 29, 30, 93, 110, 113, 114, 115, 116, 117, 124, 125, 126, 146, 158, 160, 163, 170, 184, 187, 190, 198, 210, 212, 213, 220, 224, 229, 245, 256, 283, 284, 290, 296, 317, 322, 331, 344, 356, 394, 407, 408, 412, 414, 426, 428, 431, 432, 434, 439, 440
ბიბილა 60, 66
ბიბილურები 57, 59, 61
ბინიაშვილები 249
ბიძიონაშვილი ბესარიონ 222
ბიკაშვილები 200, 213, 214
ბლორძელები 249
ბორის თედორესძე 333
ბიროზდინი 183
ბროსე მარი 4, 55, 319, 320, 321, 323, 352, 353, 354, 408
ბუდუტაური 247

ბუნიაშვილი 247
ბუნტურები 76
ბურსელი იოანე 88
ბუჩაშვილი თამაზა 187
ბუკეიაშვილები 249

გ

გაბაშვილი 340
გაბაშვილი ვალერიან 39, 228, 391
გალუსტა 195
გამრეკელი—ჯავახიშვილი 391
განძიელნი 240
გარაყანიძეები 239
გარსევანიშვილი დიმიტრი 72, 73, 394
გარსევანიშვილი ტეტია 72, 73
გერმანოზაშვილები 134
გერმანოზიშვილი ვარაზ 211
გვარამაძე 247
გვარამაძე ბეჟან 247
გვარამაძე ლომი 247
გვერდწითელები 231
გვერდწითელი ამირან 230
გვერდწითელი გიორგი 230
გვრიტიშვილი დავით 17, 49, 55, 71, 132, 145, 157, 159, 161, 171, 177, 182, 193, 195, 209, 225, 228, 242, 257, 262, 273, 298, 316, 321, 327, 328, 333, 337, 353, 369, 371, 385, 386, 392, 395, 401, 408, 414, 417, 424, 433, 436, 449
გივინასშვილები 162
გივიშვილი 110
გივიშვილი ბერი 194, 203
გიორგი II 45, 253, 254
გიორგი III 48
გიორგი ბრწყინვალე 52, 69, 89, 92, 116, 117, 331, 394
გიორგი მეფე (1393 — 1407) 117, 394, 395
გიორგი მეფე, ალექსანდრესძე 85, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 118, 123, 124, 387, 391, 395, 396, 439, 440, 449
გიორგი ქართლის მეფე (1525 — 1534) 103, 368
გიორგი ქართლის მეფე (1600 — 1606) 399
გიორგი XI 162, 199, 266, 286, 305, 315, 316, 348, 349, 350, 351, 377, 378, 389, 404, 445, 454, 455
გიორგი XII 249, 330, 331, 437
გიორგი, დავით ერისთავის აზნაური 75
გიორგი კახბატონისშვილი 398
გიორგი უფლისწული 37
გიორგი ხუცეს მონოზანი 45
გიორგიშვილი ბერი 187
გიორგიშვილი ზურაბა 187
გიორგიშვილი მგელია 187
გიორგისშვილები 163
გლახასშვილები 123
გობელისძე რამინ 386
გობეჯიშვილი გ. 66
გობირახისძე გრიგოლ 386
გოგებაშვილი 408
გოგია 279
გოგიტაშვილები 249
გოგოლაშვილები 249
გოდერძი ნაზირი 246
გორგიჯანიძე ფარსადან 261, 264, 307, 311, 312, 313, 314, 315, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343, 346, 347, 348, 349, 373, 375, 389, 400, 401, 402, 403, 404, 441, 442, 443, 444, 445, 446, 452, 453, 454
გორჯიანი 59, 61
გოჩაშვილი გიორგი 341
გოჩიაშვილი 245
გრიგოლია კ. 39, 272
გრიგოლ მთავარეპისკოპოსი 36
გრიგოლისძე ასათ ერისთავთერისთავი 67
გულბადაშვილი ხოსია 230
გუგაკ ხუციანდაბისძე 58
გუგუშვილი პაატა 204, 208
გულდაშვილი 421
გულიაშვილი შიო 249
გულქან, მამია ზევდგინისძის მეუღლე 387
გურანდუხტ დედოფალი 44
გურგენ ბეგი 247

გურგენ მეფე 44
გურიელი მამია 367

დ

დაფქვიაშვილი 247
დედისიმედი 368
დეკანოზიშვილი 247
დემეტრე I 48
დემნა უფლისწული 48
დიასამიძეები 220, 290
დიასამიძე ევდემოს 341
დიმიტრი, ალექსანდრე I ძე 124
დიმიტრი, ალექსანდრე კახთა მეფისძე 104
დიმიტრი თბილელ—ბოლნელი მიტროპოლიტი 409
დიმიტრი კონსტანტინე ქართლის მეფისძე 103
დიმიტრი ლარგველი 56, 58, 60
დიმიტრიშვილები 123
დოლიძე ი. 186, 214
დომენტი კათოლიკოსი 36, 192, 223, 380
დონდუა ვ. 39
ღულარდუხტი, ვამიყ ერისთავის მეუღლე 90
დუმბაძე მამია 39
ღურგლიშვილი აღა 222
დადიანი კაცია 436
დავით აღმაშენებელი 6, 33, 45, 46, 47, 48, 185
დავით, დემეტრე I ძე 51
დავით, დემეტრე II ძე 64, 65, 66, 67, 68, 69, 88
დავით, გიორგი ბრწყინვალისძე 126
დავით, ქართლის მეფე (1505 — 1525) 103, 104, 105, 106, 358, 359, 362, 364, 365, 366, 367, 368, 387, 396
დავით ნარინი 253, 254
დავით ულუ 126, 253
ღავით დემეტრესძე 396
დავით სალთხუცესი 150
დავით სარდალი 309
დავით სარდალ-მოურავი 213
დაუთხანი 60, 369, 370, 373, 399, 400, 401
დათუნა, თეიმურაზ I ძე 336, 373
დამღაწაშვილები 290
დავითაშვილი გოგია 242
დავითაშვილი დავით 436
დავითაშვილი ზაალ 436
დამღანაშვილები 290
დანდლიშვილი 247
დანდუაშვილი ზურაბა 162, 189
დანდუაშვილი მურად 162, 189
დანდუაშვილი პაპინა 162, 189
დანდუაშვილი ჩოგინა 162, 189
დაუაშვილი იასე 213
დაუშვილები 220

ე

ეგაძე 437
ეგნატაშვილი ბერი 87, 91, 92, 97, 106, 263, 265, 311, 312, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343, 344, 359, 361, 362, 365, 367, 368, 371, 372, 399, 403, 441, 444, 454, 460
ელენე, ავგიორგის მეუღლე 364, 365, 366, 367
ელენე, გოგიას მეუღლე 280
ელენე დავით ქსნის ერისთავის ასული 155, 158
ელიოზაშვილი ასლამაზა 211
ელიოზაშვილი ზურაბა 211, 212
ელიოზაშვილი მერაბა 211
ელიოზაშვილი პაპუა 211
ელიოზაშვილები 242
ელისაბედი, ერეკლე II და 435, 436
ელისაშვილები 240
ენგელსი ფ. 5, 36, 39, 181
ერასტი მდივანბეგი 36
ერასტიშვილი 110
ერეკლე I 199, 232, 266, 316, 344, 346, 347, 349, 350, 351, 377, 378, 404, 445, 454, 458
ერეკლე II 36, 37, 72, 73, 91, 131, 150, 188, 200, 204, 213, 224, 225, 226, 228, 231, 232, 234, 235, 242, 247, 263, 269, 274, 291, 292, 296, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 310, 326, 327, 328, 329, 330, 331, 357,

358, 381, 382, 383, 384, 385, 424, 427, 428, 430, 432, 433, 434, 435, 436, 437, 447, 456, 457, 458, 459
ერისთავი კონსტანტინე 59, 60
ერმოლოვი 161, 238
ესიტაშვილი პაატა 196

ვ

ვათაზური 121
ვარდან სვანთა ერისთავი 45, 67, 253 254
ვარაყიშვილი 212
ვაჩიანიძეები 242
ვახტანგ, კონსტანტინე ქართლის მეფისძე 103
ვახტანგ III 69, 88
ვახტანგ IV 118, 124, 125, 128, 265, 385, 386, 395, 439
ვახტანგ V, იხილე აგრ. შაქნაზაზი, 195, 196, 198, 199, 443
ვახტანგ VI 8, 11, 36, 37, 38, 186, 212, 235, 237, 245, 257, 274, 283, 305, 306, 316, 317, 319, 320, 321, 351, 352, 353, 378, 405, 408, 410, 434, 446, 455, 460
ვახტანგ, როსტომ მეფის შვილი 375
ვეიდენბაუმი 201, 203, 204
ველყაშვილები 249
ვერმიშევი 202, 206
ვირშელაური 121
ეოლინსკი 438

ზ

ზაალიშვილი 242
ზაზასშვილები 123
ზანლუკელები 242
ზარდალიშვილი 246
ზარზმელი ბასილ 26, 42
ზარზმელი სერაფიონ 26, 27, 42
ზარიძეები 76
ზაქარია პ. 116, 192, 359, 360, 380
ზაქარიას შვილები 123
ზევდგინისძენი 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118
ზევდგინიძეები 385, 386, 387, 388, 391, 394, 395, 396, 398, 399
ზევდგინიძე 242
ზევდგინიძიანნი 290
ზევდგინიძე ავთანდილ 113, 114, 115, 116, 118, 266, 386, 387, 388, 391, 395, 396
ზევდგინიძე ბარზი 389
ზევდგინიძე ამირინდო 387, 388, 390
ზევდგინიძე აღნია 387
ზევდგინიძე ბეჟან 389
ზევდგინიძე გიორგი 112, 113, 115
ზევდგინიძე გურამ 113, 387, 391, 395, 396
ზევდგინიძე ზაალ 113, 266
ზევდგინიძე ზაქარია 388
ზევდგინიძე ზევდგინ 265, 385, 386, 387, 388, 391, 395
ზევდგინიძე თაყა 113, 114, 115, 117, 265, 385, 386, 387, 388, 390, 391, 397, 395, 398
ზევდგინიძე თაყა 389
ზევდგინიძე იოანე 112
ზევდგინიძე იოთამ 109, 110, 111, 112, 113, 115, 389
ზევდგინიძე იორამ 110, 111
ზევდგინიძე მამია 387, 388, 390
ზევდგინიძე მამისა 114, 388, 396
ზევდგინიძე სიაოშ 389
ზევდგინიძე შიაოშ 387
ზევდგინიძე ჯანიბეგ 114, 388, 394
ზირაქაშვილები 162
ზურაბ ბეითარი 429

თ

თათარ ხანი 371, 441
თამაზ სარდალი 378
თამაზა, ციციშვილის ბოქოულთუხუცესი 249
თამაზ ხანი 423
თამარ, გივი ამილახორის მეუღლე 403
თამარ, ერეკლე II ასულ 458
თამარ დედოფალი, თეიმურაზ II მეუღლე 431

თამარ მეფე 48, 49, 54, 67, 122, 253
იარხანი 328
იარხანი ლუარსაბ 379, 428
იარხნიშვილი დავით 427
თაქთაკიშვილები 290
თაქთაკიშვილი ელიზბარ 188
თაქთაქიძე ამუან 289
თაყაიშვილი ექვთიმე 40, 55, 56, 68, 88, 89, 104, 187, 198, 206, 210, 284, 294, 295, 364
თაყასშვილი დემეტრე 210
თბილელი ექვთიმე 213
თბილელი იოსებ 349
თედორე ივანესძე, რუსსელმწიფე, 93
თეიმურაზ I 266, 312, 313, 318, 334, 335, 336, 337, 338, 339, 341, 343, 344, 372, 373, 374, 375, 397, 401, 402, 403, 442, 443, 452
თეიმურაზ II 131, 197, 228, 232, 247, 256, 263, 294, 305, 322, 326, 327, 356, 357, 358, 380, 381, 382, 383, 412, 418, 421, 422, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 457
თემურლენგი 32, 52, 53, 90, 118, 122, 177, 191, 394
თეკთურმანისძე 87, 90, 92, 95, 242
თეკთურმანიძე დავით 243
თვალდამშვრიანი 290
თვალნაკიშვილი 213
თულაშვილები 239, 242
თულაშვილი ბერი 194
თულაშვილი ელიზბარ 208
თულაშვილი იოსებ 278, 279, 280
თუმანიშვილები 256, 407
თუმანიანი 289
თუმანიშვილი ბეჟან 407
თუმანიშვილი გიორგი 199
თუმანიშვილი ზაქარია 122
თუმანიშვილი მანუჩარ 72, 408
თუმანიშვილი ფარსადან 408
თურმანიძე 91
თურმანიძე სულხან 391, 400, 401
თურქესტანიშვილი 340
თურქესტანიშვილი პაპუნა 213
თულუმიშვილი 238
თუხარელები 290
თუხარელი 242
თუხარელი შალვა 289

ი

იაგულაშვილი გიორგი 214
იაკობ შემოქმედელი 368
იარალიშვილები 133, 136
იასე მდივანბეგი 298
იასე ყულარაღასი 305
იაღლუზიშვილი 242, 244
იაღლუზიშვილი როსტომ 289, 290
იბრაჰიმი 322
იბრეჰიმი 433
ივგმანსულთანი 347
ივსე ვახტანგ V, ძმა, იხ. აგრ. იესე მეფე, 306, 317, 351
იესე მეფე 378, 405, 407, 409
იესე ოსესძე 327, 328, 329, 417, 432, 433, 434
იესე წილკნელი 85
იანოვი ანდრია, რუს ხელმწიფის ელჩი 93, 333
იმამყული ხანი 231, 261, 324, 416, 420
იმერლიშვილები 239
ინაური თამაზა 197
ინაური ლაზარე 197
ინაური ფაცაცი 197
იოანე სარდალი 175
იოთამიშვილები 133, 137, 138
იონათამიშვილი 247
ეორამ, მუხრანბატონის მსახური 306
იოსებ ნაზირი 75
იოსელიანი ავთანდილ 328
იოსელიანი პლატონ 4, 55, 56, 88, 90, 91, 348, 349, 351
ისაყ ფაშა 353, 409
ისპაშვილი თამაზ 193
ისპაშვილი ოსეფა 193
იუსტინიანე, ბიზანტიის კეისარი 56, 58, 59, 60, 66
იჩქინი 437

კ

კაკთელაშვილები 249
კაკაბაძე დოთუ 195

კაკაბაძე სარგის 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 40, 85, 89, 93, 103, 120, 138, 183, 184, 212, 213, 307, 458, 463, 464
კალიუშკინი 322
კალმახელი სულა 44
კაპანაძე 242, 244
კარბელაშვილი პ. 111, 112
კარგარეთელები 249
კაჭკაჭიშვილები 240
კახაბერი რაჰისა და თავკუერის ერისთავი 67
კახიშვილი ბერი 212
კბილაძე 231
კედელაძე ბერუკა 200
კედელაძე იასე 200
კვკელიძე კორნელ 5, 49, 111
კეცხოველი ლადო 4
კვალიაშვილი 205
კვეზერელი გიორგი 249
კიკვიძე აბელ 39
კიკნაძეები 230
კლიმიაშვილი 247
კლიმიაშვილი პაატა 248
კნორინგი 92
კობაურები 76
კობახიძეები 240
კობახიძე ვასილ 280
კობახიძე ნიკოლოზ 280
კობიაშვილები 242
კობიაშვილი ამინა 232, 242
კობიაშვილი საამ 242
კოკონაშვილები 249
კონსტანტინე კახთბატონი 318, 334, 351, 352, 353, 354, 405, 406, 446
კონსტანტინე მეფე (1407 — 1411) 395
კონსტანტინე მეფე (1478 — 1505) 60, 86, 103, 115, 121, 123, 124, 125, 366, 440, 450
კორინთელები 239
კოხარტული 121
კუარაშვილი დავით 194
კუპატაძე 242
კუპატაძე გიორგი 280
კუპატაძე თევდორე 280
კეროპალატი ბაგრატ 44
კეროპალატი დავით 44
კეჩაევი მ. 202, 207

ლ

ლალაფაშა 311, 312, 370
ლალაშვილი მოსესა 274
ლალიხანიშვილები 357
ლამბერტი არქ. 30
ლიფაური 121
ლაფაჩი 214
ლევანიშვილი ქაიხოსრო 304
ლევან კახთა მეფე 105, 364, 365, 366, 367, 398
ლენინი ვ. ი. 5, 35, 177, 178, 179, 180, 181, 182, 209, 217
ლიპარიტი კლდეკარის ერისთავი 44, 253
ლიპარიტისშვილი 242
ლიპარიტისძე იოანე 44, 45, 253, 254
ლოლაძეები 239
ლომინაძე ბაბილინა 39
ლომოური თამარ 328
ლონგულაშვილები 240
ლოპინა ედიშერ 316
ლოპინა ქაიხოსრო 316
ლორთქიფანიძე ი. 134, 136, 137
ლუარსაბ I 105, 107, 285, 334, 367, 368, 369, 389, 390, 396, 397
ლუარსაბ II 441
ლუარსაბ, როსტომ მეფის ნაშვილარი 375

მ

მაიკაშვილი ბოლიკა 121
მამადყულიხანი 196
მამაცაშვილი პაატა 237
მამესწარაშვილი 247
მამუკელა 195
მანულაშვილები 239
მარიამ დედოფალი 44, 47, 48, 50, 51, 53, 62, 104, 253, 254, 362, 366, 368, 369, 371
მარკოზაშვილი 328
მარუშიძე იოანე 44

მარქსი კ. 5, 33, 36. 39, 50, 181, 217
მაღრაძე ხუცი 247, 249
მაჩაბლები 290, 407, 426, 457
მაჩაბელი დავით 243
მაჩაბელი ლევან 408
მაკავარიანები 239, 249
მახარაული 121
მახატელი 246
მაჰმად ყული ხანი 353
ნდივანბეგიშვილები 123, 357
ნეთევზიშვილი 121
მღლქისედეკ კათოლიკოსი 185
მღლქისედეკ კონსტანტინე მეფისძე 103
მერჩულე გიორგი 42, 185, 236
მესხები 110
მესხია შოთა 39, 40, 53, 56, 58, 66, 69, 393, 294, 438
მესხიშვილები 242
მეღვინეთხუციშვილი 247
მირიან მეფე 6
მირზაშვილი დავით 247
მიქელაძე ალ. 112
მკერვალიშვილები 249
მოურავიშვილები 123
მროველი ლეონტი 62, 290
მურაჩაშვილები 242, 243
მუსტაფა ლალა-ფაშა 400
მუსხელიშვილები 242
მუსხელიშვილი ლ. 30, 31, 183, 184
მურვანი 69
მუღლასძე 121
მუჩაიძე 247
მუხრანბატონები 97, 107, 108, 109, 119, 168, 169, 242, 283, 299, 314, 358, 374, 375, 376, 382, 383
მუხრანბატონი ადარნასე 376
მუხრანბატონი არჩილ 368, 369, 371, 376
მუხრანბატონი აშოთან 368, 369, 371, 376, 377, 378, 381
ბუხრანბატონი ბაგრატ 358, 359, 360, 361, 362, 363, 365, 366, 367, 368, 369, 376
მუხრანბატონი ბარბარე 169
მუხრანბატონი ბახუტა 374, 375
მუხრანბატონი დავით 376, 383
მუხრანბატონი დათუნა 376
მუხრანბატონი ერეკლე 36, 368, 371, 376, 378
მუხრანბატონი ვახტანგ 311, 314, 342, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 376, 403
მუხრანბატონი თეიმურაზ 108, 169, 307, 371, 372, 376, 377
მუხრანბატონი იესე 376, 378
მუხრანბატონი იოანე 169, 193, 194, 307, 308, 309, 383, 385, 458
მუხრანბატონი კონსტანტინე 169, 191, 192, 193, 294, 295, 371, 376, 378, 379, 380, 381, 382, 383, 384, 385
მუხრანბატონი ლევანი 192, 376, 378, 383
მუხრანბატონი მამუკა 379, 410, 411
მუხრანბატონი ოტია 376
მუხრანბატონი პაპუა 36, 325
ნუხრანბატონი სვიმონ 169, 376, 383, 384
მუხრანბატონი ქაიხოსრო 108, 307, 336, 371, 372, 373, 376, 378
მწყერაძე 247
მეედლიშვილი სიხარული 227
მზარგრძელი ზაქარია 122
მხეიძეები 290

ნ

ნადიბაიძენი 242
ნადიბაიძე გივი 421
ნადიბაიძე ზარიბეგ 421
ნადირაშვილი 436
ნადირი, იხ. აგრ. ნადირ შაჰი 379, 411, 412, 413, 414, 418, 419, 420, 421, 423, 424, 429, 430, 431, 432, 433, 456
ნადირ შაჰი 324, 325, 354, 356, 379, 412, 413, 414, 416, 418, 419, 420, 423, 424, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434
ნაზარალი ხანი, იხ. აგრ. ერეკლე I, 389, 404
ნათაძე გრიგოლ 31
ნათიშვილები 242

ნაროზაშვილი ელიზბარ 222
ნასიძეები 242
ნასყიდაშვილები 249
ნასყიდაშვილი ბერუკა 249
ნასყიდაშვილი ზურაბა 249
ნასყიდაშვილი ნასყიდა 249
ნესტანდარეჯანი, სიმონ I მეუღლე 399
ნიანია 44
ნიკოლოზისშვილები 123
ნიკოლოზ სალთხუცესი 230
ნიკოლოზ უზბაში 273
ნინიაშვილები 242
ნოდარიშვილები 270
ნურსალიბეგი 382

ო

ობლიძე 247
ონან ხანი 303
ორბელები 132
ორბელიანი 135
ორბელიანები 294
ორბელიანი დიმიტრი 258
ორბელიანი ვახტანგ 211
ორბელიანი პაპუნა 192, 227, 232, 261, 294, 323, 324, 325, 326, 327, 355, 356, 357, 358, 379, 381, 382, 383, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 443, 446, 453, 456. 457
ორბელიანი სულხან 199, 295
ორბელიანი ქაიხოსრო 294, 295
ორბელიანი ყაფლან 428, 429
ორბელისძე ლუარსაბ 36
ორბოძელი 121, 125, 126, 127
ორჯონიკიძეები 230
ორჯონიკიძე 247

პ

პაატასშვილები 123
პაატა ყორჩიბაში 286
პავლიაშვილი სოლომონ 262, 286
პაპისაშვილები 272
პატისშვილი 242
პატისშვილი სოლომონ 243
პაპუნასშვილი დავით 230
პეტრე I 12, 353, 354, 425
პოკროვსკი 37
პომპეოსი 110

ჟ

ჟამთააღმწერელი 67, 88, 185, 253
ჟორდანია თედო 4, 11, 12, 13, 40, 56, 57, 84, 85, 90, 112, 117, 125, 135, 175, 348, 376, 384, 386, 454
ჟურულები 70, 239

რ

რამაზ, ლუარსაბ I ძმა 397
რამინაშვილი სოსო 222
რატი 59, 61
რატიშვილები 242
რეფაელი 357
რაქის ერისთავი შოშიტა 317
რაჯაბ ფაშა 455
რევაზიშვილები 249
რევაზიშვილი 110, 247
რევაზიშვილი ერასტი 295
რევაზ მინბაში 276
როდამი, შაპნავაზის მეუღლე 454
რომანოზი, ბიზანტიის კეისარი 59
როსტომაშვილები 162
როსტომ მეფე 161, 189, 259, 260, 261, 266, 291, 292, 293, 312, 313, 314, 338, 339, 340, 341, 342, 373, 374, 375, 376, 392, 397, 398, 402, 403, 441, 442, 443, 444, 452, 454
როსტომ ფაშა 353
რუსიტაშვილი 276
რუსუდან მეფე 59, 61

ს

სააკაძეები 441, 442
სააკაძე ბახუტა 210
სააკაძე გიორგი 97, 263, 307, 312, 334, 335, 336, 372, 373, 401, 441, 442, 451, 452

სააკაძე იორამ 442, 443
სააკაძე ოტია 210
სააკაძე როსტომ 441, 442
საგინაშვილი 338
საზუერელი 126, 127
სათიხათუნი, ვახტანგ IV მეუღლე 125, 439
სამარიძე 247
სამთავნელი 246, 251, 252
სამიშვილი 247
სარგისაშვილი 121
სარიდანიშვილები 357
სარიდან მდივანბეგი 357
საფარაშვილი 247
საქუაშვილი ბაღდასარ 190
საყვარელიძეები 249
საყვარელიძე 247
სელიმ განჯისხანი 343
სეფი ხანი 192, 323, 412
სიამარდაშვილები 290
სიდამონისძენი 86, 92, 95
სიდამონისძე ნუგზარ 86, 87, 91
სადამონისძე სიდამონ 86
სიმონ I 60, 87, 91, 105, 118, 311, 312, 369, 370, 371, 389, 391, 397, 398, 399, 400, 440, 450
სიმონ II 307, 335, 336, 337, 338, 372 374, 395, 401, 450, 451, 452
სირუნაშვილი არუთინა 222
სოლაღა 244
სოლაღაშვილი ელისბარ 190, 214
სოლომონ I იმერთა მეფე 328, 448
სოსელია ო. 39
სტალინი ი. ბ. 3, 4, 5, 36, 46, 209, 229, 462
სტელიაშვილი 247
სტეფანა 211
სტრაბონი 22, 23
სულხან კახთბატონის, შიკაღასბაში 383
სუმბატ დავითისძე 44
სუნღულაისძე ლომი 84
სუნღულაისძე ლაჩინა 84
სურამელი რატი 63
სურგულაძე ივანე 228, 235, 236, 391
სურგულაძე იროდიონ 62

ტ

ტავერაშვილები 249
ტამალელი ჯავახი 193
ტარასოვი 257
ტარიელი, დავით ერისთავის აზნაური 75
ტარსიაჭაშვილები 242
ტარსიაჭაშვილი 245
ტარსიაჭაშვილი დათუა 244
ტატიანი თაქთაქ 289, 290
ტატისშჩევი მიხეილ 93, 333
ტატიშვილები 240
ტატიშვილი გარსევან 279
ტერიშვილები 242
ტერტერაშვილები 249
ტეტაური 121
ტეტია ნახიჩა 421
ტოტლებენი 225
ტუსიანი 399

უ

უზნაძე აზორ 248
უზუნ ჰასანი 113, 450
უთნელიშვილები 240
უთნელიშვილი გიორგი 278
უთნელიშვილი პაპუა 246
უთნელიშვილი რევსი 246
უთრუთაშვილი 247
ულუმპია 126, 388
უმიკაშვილები 240
უმიკაშვილი პ. 294, 295
ურბნელი ნ. 4
უსეინბეგი 429
უსუფ, ახალციხის ფაშა
უღულიშვილები 249

ფ

ფადლონი, განძის პატრონი 45
ფავლენიშვილები 71, 240, 407, 445
ფათალიხანი 419
ფალავანდიშვილები 289, 407
ფალავანდიშვილი ფეშანგი 312

ფალავანხოსროშვილები 136
ფანასკერტელი გიორგი 121, 122
ფანასკერტელი ზაზა 121, 122, 124, 125, 440
ფანასკერტელი ზაქარია 121, 122, 125
ფანასკერტელი თაყა 125, 128, 439, 440
ფანასკერტელი მერაბი 121, 122, 440
ფანასკერტელი სიაოშ 121, 122
ფანასკერტელი ფარსადან 440
ფანასკერტელი ქაიხოსრო 121, 122, 440
ფანასკერტელი ციცი 123
ფანახანი 381
ფარნაოზ მეფე 62, 63
ფიტარიძე 231
ფიუსტელ-დე-კულანჟი 10
ფიცხელაურები 239, 240
ფიცხელაური არჯევან 227, 241, 276, 278
ფიცხელაური ბეჟან 240; 241
ფიცხელაური დოსითეოზ 242
ფიცხელაური ზურაბ 276, 279
ფიცხელაური თექთუმან 276, 278
ფიცხელაური ნიკოლოზ 212, 213
ფიცხელაური სალთხუცესი 225
ფრანგიშვილები 249
ფურცელაძეები 239, 240, 241, 272
ფურცელაძე 246, 247
ფურცელაძე დ. 40

ქ

ქავთარაძეები 242, 290
ქავთარაძე ელიზბარ 290
ქავთარაძე თამაზ 252
ქავთარაძე როსტომ 290
ქავთარიშვილები 133, 136
ქაიხოსრო 308, 379
ქაიხოსრო, მარტყოფის მოურავი 302
ქაიხოსრო ქართლის მეფე 378
ქაიხოსროშვილი 110
ქალბალი ხანი 378
ქამარბეგიშვილი მელიქი 199
ქართველიშვილი 247
ქარუმიძე 242
ქარუმიძე გარსევან 244, 245
ქარუმიძე დიმიტრი 295
ქარუმიძე ქავთარ 386
ქაჩიბაძეები 132, 449
ქაჩიბაძე ბარათა 132
ქაჩიბაძე დავით 450
ქვთეევან დედოფალი 368
ქენქაძეები 71
ქერიმ ხანი 419, 420
ქვენიფნეველი ლარგველ 56, 58, 60
ქვენიფნეველი შალვა 69, 88, 251
ქვენიფნეველი როსტომ 56, 57, 58, 60, 62, 65, 66
ქვენიფნეველი წითლოსან 57, 59, 61
ქიტესაშვილი აბრამა 210
ქიტესაშვილი ანდრია 210
ქიმშიტაშვილი ზურაბ 211
ქსნის ერისთავები, ქსნის ერისთავიშვილები 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 74, 83, 87, 89, 91, 94, 95, 97, 106, 109, 119, 146, 155, 158, 160, 161, 180, 187, 188, 198, 200, 225, 226, 229, 239, 241, 259, 260, 271, 275, 279, 283, 284, 285, 305, 306, 312, 330, 331, 341, 365, 367, 371, 374, 399, 400, 402, 405, 412, 442, 444
ქსნის ერისთავი ალაბები 298
ქსნის ერისთავი გიორგი 72, 73, 190, 261, 262, 272, 298, 328, 329
ქსნის ერისთავი დავით 36, 70, 72, 73, 75, 150, 155, 158, 160, 162, 174, 196, 214, 225, 240, 261, 262, 272, 274, 279, 280, 316, 326, 327, 328, 457
ქსნის ერისთავი დათუნა 233, 261, 306, 315, 316, 317
ქსნის ერისთავი ელისბარ 229, 262, 263, 311, 312, 313, 315, 328, 329, 343, 344, 370, 371, 438, 449
ქსნის ერისთავი ზაალ 260, 261, 312
ქსნის ერისთავი ზურაბ 229, 328
ქსნის ერისთავი თორნიკე 180, 221
ქსნის ერისთავი იასე 70, 95, 189
ქსნის ერისთავი იესე 233, 260, 261, 285. 312, 313, 314, 315, 324, 325, 326, 327, 354, 401, 402

ქსნის ერისთავი იოანე 229, 261, 324
ქსნის ერისთავი მირმანოზ 262, 263, 329
ქსნის ერისთავი მიხეილ 187, 233, 362, 263, 278, 329, 449
ქსნის ერისთავი რევაზ 187, 262, 328
ქსნის ერისთავი როსტომ 70, 226, 233, 242, 263, 279, 280, 327, 329, 330
ქსნის ერისთავი შალვა 160, 298, 314, 315, 343, 344
ქსნის ერისთავი შანშე 75, 188, 192, 197, 200, 242, 260, 261, 263, 304, 305, 313, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 329, 354, 357, 406, 409, 412, 413, 414, 432
ქსნის ერისთავის დედა ქეთევან 274
ქსნის ერისთავის რძალი ანასტასია 229
ქუაბულისძე ნიანია 45, 253, 254
ქუმსიშვილები 242
ქურდევანიძე 247

ღ

ღაზნელები 70, 95, 285, 313, 401
ღაზნელისძე 285, 397
ღრეულიშვილები
ღუდუშაურები 242
ღუდუშაური პაპა 421
ღუნაშვილები 76

ყ

ყაზანაშვილი 211
ყაზანყაენი 61, 88, 117
ყითმაზაშვილები 249
ყალიჯი ალიხან 230, 243
ყანჩელი ბიძინა 243
ყანჩიელი 242
ყაფლანიშვილები 133, 135, 138, 174, 175, 197, 221, 260, 453, 458
ყაფლანიანნი 197
ყაფლანიშვილი ალექსანდრე 458
ყაფლანიშვილი ასლან 454, 455, 458
ყაფლანიშვილი ასლანბეგ 455
ყაფლანიშვილი დავით 456, 457, 458
ყაფლანიშვილი დემეტრე 210, 456, 457
ყაფლანიშვილი ელისბარ 456, 457
ყაფლანიშვილი ერასტი 407, 455
ყაფლანიშვილი ვახტანგ 454, 455, 456, 458
ყაფლანიშვილი ზაალ 457, 458
ყაფლანიშვილი ზოსიმე 455
ყაფლანიშვილი ზურაბ 458
ყაფლანიშვილი თამაზ 453, 454, 458
ყაფლანიშვილი იოანე 457, 458
ყაფლანიშვილი ლუარსაბ 454, 455
ყაფლანიშვილი ნიკოლოზ 455
ყაფლანიშვილი პაპუნა 453
ყაფლანიშვილი რევაზ 456, 457
ყაფლანიშვილი სოლომონ 458
ყაფლანიშვილი სულხან 454, 455
ყველაშვილები 76
ყველაშვილი 335
ყიფიანი დიმიტრი 220, 221
ყოინიძეები 249
ყოჩიშვილები 76
ყორღანაშვილი ქარაფინდა 458
ყორჩიბაში 401
ყორჩიხანი 335
ყოჯახანი 420
ყუბანეიშვილი ს. 42, 185, 236
ყუბასარი 49

შ

შაბური 88, 249
შაბურისძეები 85, 87, 88, 89, 90. 91, 95
შაბურისძე მიქაელ 84, 85
შაბურისძე გიორგი 85
შაბურისძე დაბდალ 84
შაბურისძე დედისიმედი 85
შაბურისძე ელენე 84
შაბურისძე ვამიყ 85, 90, 218
შაბურისძე ვარამ 84, 85
შაბურისძე ვახტანგ 84
შაბურისძე ლომი 85
შაბურისძე ნუგზარ 85
შაბურისძე ომარ 85
შაბურისძე შაბურ 85
შაბურისძე შანშე 84
შაბურიშვილები 242
შაბურიშვილი 85, 86

შაბურიშვილი ოთია 242
შაველაშვილი გიორგი 194
შავიშვილი 196
შალიკაშვილი 242, 290
შამირანაშვილი ამირა 194
შარვაშიძე დოთაღოდ 67
შარმადინები 76
შაჰ-აბასი 63, 129, 177, 191, 264, 312, 334, 335, 344, 371, 372, 400, 451, 452, 453
შაჰნადირი, იხ. აგრ. ნადირ შაჰი 322, 446
შაჰნავაზი, იხ. აგრ. ვახტანგ V, 223, 264, 265, 315, 343, 344, 345, 346, 347, 371, 376, 403, 404, 445, 454
შაჰროხი 433
შერმაზანაშვილი არუთინა 274
შერმაზანაშვილი ოპანეზა 274
შიხინაშვილები 162
შოტრისძე 121
შუშანიკი 19, 236

ჩ

ჩანდიშვილი ქეჩო 181
ჩანდიშვილი ყაზი 222
ჩაჩიკაშვილები 249
ჩერედნიჩენკო ვ. 202
ჩერქეზიშვილები 240, 276
ჩერქეზიშვილი 246
ჩერქეზიშვილი იორამ 246
ჩიკაშვილი 247
ჩიკოიძეები 249
ჩიკოიძე 242
ჩინჩალაძე 247
ჩიქავაძე 439
ჩიტაია გ. 75, 135, 153, 154, 163, 176, 454
ჩიტიშვილები 76
ჩიფჩაური 214
ჩიქავაძე 402
ჩიქავაძეები 126, 127, 128
ჩოლაყაშვილი 338
ჩოლაყაშვილი ანასტასია 175
ჩოლაყაშვილი ბიძინა 315, 343, 344
ჩოლაყაშვილი რევაზ 375
ჩოლაყაშვილი ჯიმშერ 263, 357, 358, 364, 365, 366
ჩომახიშვილები 249
ჩორჩანელი გიორგი 27, 42, 43
ჩოფიკაშვილები 242
ჩრდილელები 242
ჩუბინაშვილები 239
ჩუბინაშვილი ბიძინა 280
ჩუბინაშვილი დავით 36, 186, 192, 196, 237, 379
ჩქარეულები 242
ჩხეიძეები 442, 443
ჩხეიძე სეხნია 317, 320, 323, 350, 352, 378, 379, 410, 411, 446
ჩხეტია შ. 38, 39, 220, 221

ც

ცაგარელი ალ. 228, 239
ციმაკურიძე 242
ციციშვილები 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 129, 130, 131, 172, 173, 230, 231, 235, 247, 248, 259, 269, 406, 438, 439, 440, 441, 442, 444, 448, 447
ციციშვილი ალექსანდრე 248, 268, 421, 447
ციციშვილი ამილღაბარ 229
ციციშვილი ბაადურ 247
ციციშვილი ბაგრატ 248, 268, 270, 407, 446
ციციშვილი ბარძიმ 248
ციციშვილი გიორგი 268
ციციშვილი გლახა 247, 447
ციციშვილი გოგია 131
ციციშვილი დავით 60, 207, 230, 231, 248, 269, 421, 447, 448, 460
ციციშვილი დემეტრე 248, 460
ციციშვილი ედიშერ 127
ციციშვილი ერასტი 248, 268
ციციშვილი ვახტანგ 229
ციციშვილი ზაზა 231, 269, 270, 441, 445, 447, 453
ციციშვილი ზაქარია 269, 270, 448, 449 460
ციციშვილი ზურაბ 248

ციციშვილი თაყა 439
ციციშვილი იესე 248
ციციშვილი იოთამ 248
ციციშვილი კირილე 247
ციციშვილი მერალიბეგ 131
ციციშვილი ნიკოლოზ 131, 249, 269
ციციშვილი ნოდარ 229, 248, 249, 268, 269, 341, 442, 443, 444, 445, 452
ციციშვილი ოთარ 248, 421, 446
ციციშვილი პაატა 229, 230, 231, 269
ციციშვილი პაპუნა 127, 230, 269
ციციშვილი რამაზ 248
ციციშვილი სეხნია 248
ციციშვილი ფარსადან 229, 247, 248, 249, 270, 441, 442
ციციშვილი ქაიხოსრო 248, 269, 340, 445
ციციშვილი ქალანთარ 230, 231
ციციშვილი ციცი 127, 229, 248, 268, 445
ციციანოვი პავლე 293, 438
ცურტაველი იაკობ 236

ძ

ძაგანისძე ბაკურ 67
ძამელაშვილები 240
ძვალიყლაპიაშვილები 249

წ

წერეთელი 289
წინამძღვრიშვილი 247
წინამძღვრიშვილი ეფთვიმე 328
წულუკიძე ალექსანდრე 4

ჭ

ჭავჭავაძე გარსევან 384
ჭავჭავაძე ილია 206
ჭანიძე 75
ჭარმეული 87, 90, 92,
ჭილაშვილები 242
ჭილაშვილი 96, 97, 98, 165, 166, 176
ჭილაშვილი ბაბანა 166, 242
ჭიჭინაძეები 242
ჭუკას გვარის კაცი 394
ჭურეკაშვილები 162

ხ

ხაბელაშვილი 121
ხაბიაშვილი 121
ხადური ედიშერ 272
ხანდამაშვილები 249
ხანძთელი გრიგოლ 42, 236
ხახანაშვილი ალექსანდრე 4, 7, 8, 9, 184, 226
ხანჯახანი 412
ხელავეხა გიორგი 214
ხელაშვილი იოანე 111, 399
ხერხეულიძეები 290, 407
ხერხეულიძე აღათანგი 312
ხერხეულიძე გოგია 225
ხიდირბეგიშვილები 290
ხიდირბეგიშვილი 110
ხიზანიშვილები 383
ხიზანიშვილი ხიზანა 383
ხიმშია 386
ხმალაძეები 240
ხოსაშვილი ბაღათარ 121, 122
ხოსიტაშვილი ესტატე 211
ხოსრო მირზა 401
ხრესელნი 240
ხრიკულები 76
ხუბუა მაკარ 452
ხუბულური გაბო 221
ხუბულური ჯახო 181, 221
ხუტლუშა 64
ხუციშვილები 76
ხუციშვილი 247

ჯ

ჯაბიაშვილი 121
ჯავახიშვილები 400
ჯავახიშვილი ზაალ 200, 213, 214
ჯავახიშვილი ზაზა 123
ჯავახიშვილი ზაქარია 123
ჯავახიშვილი ივანე 4, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 30, 42, 43, 46, 47, 50, 72, 73, 74, 101, 110, 113, 115, 116, 126, 127, 152, 176, 184, 199, 236, 254, 362, 363, 366, 385, 390

ჯავახიშვილი კახა 123
ჯავახიშვილი ფარსადან 286
ჯამბურია გ. 39, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 173, 174, 175, 184, 197, 198, 221, 250, 281, 450, 452, 453, 455, 457, 458
ჯანაშვილი მ. 4, 112, 450
ჯანაშია ს. 5, 6, 18. 21, 22, 23, 24. 25, 26, 27, 28, 40, 57, 66, 126, 132, 359, 360
ჯანიაშვილები 249
ჯაფარიძეები 239
ჯაფარიძე 205
ჯაყელი ბოცო 67
ჯაყელი სარგის 253
ჯეჯიმაღაშვილი გურგენ 190
ჯეჯიმაღაშვილი ზურაბ 190
ჯიესშვილი ბერუკა 210
ჯოესშვილი სამებისა
ჯომარდიძე 249
ჯუკოშვილი გარჩი 181

ბ. გეოგრაფიული სახელების საძიებელი

ა

აბაზასძეთა მამული 69
აბანო 130, 142
აბახი 83
აბელია 134
აბუთი 329
აბუთკარი 78
აბუხალის ციხე 421, 446
აგარა 108, 128
აგვდირეთი 133
ადერბაიჯანი 343, 419, 428
ავაზანი 120, 137, 142, 273
ავაკეთი 128
ავანათური 81
ავანჯუკი 139
ავენისი 96, 101
ავნევი 83
ავნისი 128
ავეპალა 302, 418
აზათქალაქი 141
აზბულახი 141
აზიკვი 133
აინოხი 100
აკანათური 80
აკოფას სოფელი 141
აკრავაშენი 137
აკურთა 137
აკურისი 134
ალავერდი 314, 343, 344
ალაზნის პირი 427, 400, 410
ალათუბანი 231
ალამუტის ციხე 399
ალბირი 83
ალგეთი 133, 134, 135, 139
ალგეთის ხეობა 136, 137
ალევის მთა 147
ალევის მთები 70
ალევის ხეობა 70, 159, 162, 276, 330
ალისწყალი 298, 299
ალის ხეობა 231
ამაშუკეთი 288
ამიერკავკასია 330, 353, 370
ამირთკარი 100
ამლიევი 133
ანანური 85, 87, 91, 96, 101, 102, 159, 160, 164, 165, 166, 232, 242, 263, 291, 305, 341, 354, 411, 421, 424
ანანურის მაზრა 167
ანგრევანი 137
ანდრია 134, 135, 136, 137
ანისი 48, 50
არაგვი 96, 97, 107, 159, 341, 350, 355, 356, 358, 360, 417, 420, 424, 425
არაგვის საერისთავო 263, 299, 304, 323, 331, 332, 336, 340, 345, 347, 353, 354, 355, 357, 358, 415, 417, 419, 421, 422
არაგვის ხეობა 64, 70, 84, 87, 88, 89, 92, 94, 95, 96, 97, 102, 106, 118, 130, 146, 159, 160, 164, 165, 166, 168, 232, 312
არადეთი 128, 401, 440
არანისი 96, 101
არახვეთი 99
არბო 297, 300
არგვეთი 67
არდისი 82, 151, 162, 163
არზრუმი 423
არკანი 80
არფაჩაი 423
არღუნი 96, 101, 159
არშა 94, 98
არშას ციხე 401
არცევი 82, 149, 151, 402
ასატური 80, 149

ასი 120
ასპინძა 291, 384, 457
ასტრახანი 323, 353, 414
ატენი 81, 125, 128, 172, 222, 272
ატენის ციხე 104, 106
ატენის ხეობა 449
აფნისი 129
აფხაზეთი 28, 43, 47, 132
აფხავი 96, 101
აღაიანი 107, 108, 160
აღაიანის მინდორი 157, 168
აღბაბდიე 142
აღზიბეუქი 141
აღმოსავლეთ საქართველო 51, 176, 194, 433, 462
აღუმბრუ 139
აღჯაყალა 382
აშატური 181
აში 96, 101
აშურიანი 171
აჩაბეთი 424
აცუტი 139
აძვი 82, 151, 418
აწერის ციხე 324, 325
აწეროს ხევი 69, 82, 157, 411
აწყვერი 322, 323
აწყური 291
ახალგორი 64, 66, 77, 69, 71, 81, 108, 148, 151, 158, 159, 160, 161, 163, 164, 190, 227, 241, 256, 260, 275, 276, 284, 311, 312, 313, 314, 320, 322, 374, 375, 382
ახალდაბა 78, 108, 120, 149, 276, 291, 408, 428, 445, 449
ახალდაბის ციხე 417, 418
ახალისი 80
ახალმთები 97
ახალსოფელი 128
ახალქალაქი 441
ახალშენი 133, 136, 137
ახალციხე 98, 107, 108, 110, 114, 115, 118, 122, 193, 194, 195, 241, 263, 288, 291, 303, 304, 324, 325, 328, 329, 353, 383, 388, 395, 409, 416, 418, 424, 427, 430, 444, 448, 457, 459
ახალციხის გზა 418
ახატანი 118
ახვრისი 134
ახლოურთკარი 78
ახმაჯი 70, 71, 120, 284
ახპატი 135
ახპატის ხეობა 457
ახშადი 77, 151
აჯირი 135

ბ

ბაბია 134
ბაბილაშენი 134
ბაგინი 79
ბაგნეთი 128
ბაზალეთი 87, 91, 96, 101, 147, 264, 307, 335, 336, 340, 341, 349, 367, 372, 376
ბაზალეთის ველი 164, 165
ბაზალეთის ტბა 86
ბაზალეთის ტყე 305, 417
ბაზარი 357
ბაზიანთ სოფელი 222
ბაზითალა 143
ბაზოანი 149, 151
ბაზუანი 77
ბაკურიანი 288
ბალაანი 162
ბალაკი 134
ბალახური 142, 174
ბალხანთკარი 75, 79
ბარამეთი 128
ბარდა 416
ბასჩალარისი 136
ბატატიანთკარი 100
ბაღდადი 423
ბახტრიანი 314, 343, 344
ბახტრიანის ციხე 314
ბახჩალარი 143
ბეგთა თავი 107
ბეგოთკარი 99
ბეთანია 134, 136, 137
ბელოთი 82, 157, 260, 297, 300
ბენდერი 80
ბენიათკარი 99

ბენისშილუტი 164
ბერბუკი 410
ბერდიკი 135
ბერდეჯი 135
ბერთქარი 134
ბერიანები 81
ბერშოეთი 120, 171, 299, 300
ბერციხე 61, 64
ბეჭედნაული 212
ბეკიანთკარი 99
ბეშო 323
ბეხშო 69, 328
ბიეთი 81
ბიზანტია 10, 44
ბირთვისი 130
ბირთვისის ციხე 452
ბისი 128, 130
ბიყარი 80
ბიკვინტა 47
ბნავისი 130
ბობნევი 210
ბოდავის ციხე 107
ბოდორნა 85, 96, 101
ბოდორნის მონასტერი 218
ბოვაბირი 137
ბოლი 71, 119, 120, 288
ბოლნისი 227, 457
ბოლოზი 81
ბოლოკვანტი 140
ბორცვის ჯვარი 137
ბორჯომი 173, 288
ბორჯომის ხეობა 291, 416, 430
ბისელთა 80, 128
ბისლები 140
ბოშის სოფელი 140
ბოცოეთი 142
ბოქორმა 291
ბრბონა 128, 441
ბურვილი 142
ბურსაჭირი 94

ბ

გაგასაძენი 69
გაგი 45
გავაზი 69, 76, 79, 148
გაიბორენი 98
გარბანი 94, 98
გარდაბანი 132
გარდატენი 128
ბარეშემო 96
გარისი 135, 137, 369
გაცხი 100
განჯა 312, 334, 343, 447, 416, 452, 454
გატეხილი საყდარი 141
გაღმამხარი 124, 126, 127, 194, 298, 357, 442, 445, 446, 448
გიჩიანი 132
გეზევრეთი 77
გელდიგილანი 139
გელიყარის კლდე 450
გინესმანი 108
გენეფისი 108
გერგეტა 84, 98, 102
გერე 80
გერითები 120
გეხავი 120
გვარჯილა 142
გველეთი 165
გვერდისძირი 70, 73, 82, 128, 147, 148, 151, 155, 157, 160, 171, 172, 272, 276, 300, 329, 330, 331
გვეძიეთი 128, 445
გვიანა 135
გვიდაქე 99
გვიდისი 272
გვილისი 83
გღუ 80
გიგარაანი 75
გიორგიევსკი 384
გნასური 81
გოგალაური 108
გოგიანი 75, 78
გოგიჩაანი 75
გოგნაური 99, 100
გოგორჩალუ 139
გოლგოლეთი 79, 149
გომარეთი 128
გომი 118
გორგა 79, 128, 149

გორი 84, 103, 104, 109, 110, 111, 112, 117, 120, 160, 161, 162, 170, 171, 172, 220, 244, 251, 258, 265, 266, 208, 288, 289, 291, 298, 300, 313, 323, 331, 374, 379, 385, 386, 394, 395, 396, 400, 402, 404, 411, 412, 415, 416, 417, 420, 427, 437, 440, 441, 443, 452, 453
გორის მაზრა 112
გორის ციხე 98, 124, 317, 374, 404, 410, 411, 443
გორის ჯვარი 110, 111, 251
გოროვანი 107
გოქაანი 61
გრემი 291
გრემისხევი 96, 97, 101, 108, 109, 159, 164, 165, 306
გრუ 80
გუბეთი 139
გუდამაყარი 96, 100, 160, 164
გუდარეხი 134, 454
გუდაწვერი 80, 151
გულთეთი 136
გულაური 137
გულიბაბა 139
გუნანეთი 133
გუფთა 406
გუჯარეთი 173, 231, 445

დ

დაბაკნეთი 78, 149
დადიანეთი 64, 76, 78, 149, 153, 154
დათვიანთკარი 99
დამალაწაური 128
დამბლუტი 139
დამპალა 159, 169
დამღალე 136
დარბაზი 136, 139, 221
დარიალი 52, 89, 94, 96, 159, 160
დარიალის გზა 353
დარიალის კარი 98, 333
დარუბანდი 325
დასადური 82
დასავლეთ ევროპა 202
დასავლეთ საქართველო 28, 29, 30, 31, 105, 176, 183, 184
დაღალელი 128
დაღეთი 128
დაღესტანი 296, 413, 414, 415, 419, 423, 427
ღელიყულიჯანი 141
ღელკანი 71, 77
დვალეთი 57, 64, 71, 232, 341, 351
დვალთა 133, 136, 137
დვალურა 83, 272
დვანი 82, 83
დვირი 288
დია 135
დიდება 133, 136
დიდი ვანთი 297, 300
დიდი ლიახვი 71, 120, 171, 291, 297
დილიამაშენი 139
დილი 300
დირბი 300
დირბის წყალი 422
დისევი 81, 260
დიღუმი 69, 107
დიცი 81
დლივი 44, 47
დმანისი 134, 139, 174
დმანისის რაიონი 174
დმანისის ციხე 139
დმანისის ხეობა 134, 136. 139, 174
დმანისის ჯვარი 134
ღმენისი 81
დოესი 128
დორეულთკარი 79, 149
დოჩიანი 74
დრიანეთი 141
დულეთი 82, 151, 272
დუმაცხო 100
დუნაის სამთავრო 217
დუშეთი 87, 88, 91, 96, 97, 101, 166, 167, 220, 263, 306, 338, 340, 342, 343, 345, 347, 349, 382, 415

ე

ებნისი 108
ეგრისი 21, 136

ედემქალაქი 82
ედისი 63
ედიშერი 83
ედო 98
ევროპა 8, 17, 35
ეთვალისი 101
ელიას სოფელი 130
ელფია 133, 135, 136, 137
ენაგეთი 133, 134, 135, 137
ერანი 105, 315, 317, 322, 323, 325, 326, 330, 344, 346, 370, 372, 376, 378, 410, 411, 423, 432, 433, 438
ერგანთალა 134, 139
ერდონი 133
ერედა 69, 71, 77, 151
ერევანი 193, 334, 354, 381, 384, 385, 410, 416, 458
ერმანდონი 63
ერტისი 136, 210
ერხოტის მთა 63
ეტო 135
ერტულა 76, 83
ერწო 133, 136, 288, 337, 347
ერწო-თიანეთი 95, 97
ეტრონი 133
ეშვისწყარო 136

ვ

ვაკე 76, 78, 79, 81, 133, 136, 155, 272, 300, 331
ვაკიანი 272
ვალვერი 141
ვალიშვილები 81
ვანათი 86, 87, 91, 92, 94, 120, 320, 322
ვანეთი 135
ვანი 139
ვანქი 133
ვაჟიაური 169
ვარდისუბანი 107, 139, 142, 175
ვარდისწყარო 135
ვართევანის სოფელი
ვარტაპეტას სოფელი 135
ვარმაგარა 139
ვარძია 291
ვარხუნა 134
ვახანი 379
ველისი 79, 149
ველურის მთები 120
ვერე 128
ვერითა 120
ვერისციხე 443
ვერტყვილი 288
ვერხვნალა 134
ვეშაგიურთკარი 100
ვეძათხევი 159
ვილდა 80
ვირშა 56
ვლადიკავკასი 165

ზ

ზა 134, 136, 137
ზაკა 96, 97, 102
ზანგურაანი 75
ზარზმა 42
ზაქათკარი 99
ზახორი 71, 265
ზედუშეთი 96, 101
ზემო ბოლი 120
ზემო ერმანი 63
ზემო ზახორი 120
ზემო იკოთი 75, 77
ზემო ისროლის ხევი 80
ზემო მეჯვრისხევი 81
ზემო მლეთი 98
ზემო ოძისი 137
ზემო ქართლი 119, 125, 171, 191, 194, 287, 288, 289, 290, 291, 296, 298, 302, 336, 359, 361, 381, 387, 390, 402, 404, 406, 407, 411, 415, 417, 418, 422, 423, 427, 428, 433, 434, 446, 456, 457
ზემო შანბიანი 82
ზემო შუაცხვირი 82
ზემო ჩაფარუხი 82
ზენანანკარი 78
ზენაფლაზი 128
ზეულისტანი 136
ზიბეყურის მთა 147, 318

ზნაური 288
ზოდეხი 78
ზონკარი 82, 150
ზურტაკეტის ხეობა 142

ი

იალღუზი 139
იბერია 22, 23
იგოეთი 118, 120
ეინგიჩახი 141
ივერია 287
ივრეთი 69, 81
ივრისთავი 366
იკოთი 75, 148, 151, 156, 175, 159, 162
იკორთა 82, 151, 222, 260, 263, 322, 323, 329
ილიტოზა 71, 77, 151, 159, 299
ილურთკარი 76, 79, 149
იმერეთი 103, 105, 106, 110, 123, 194, 195, 230, 245, 253, 260, 261, 266, 303, 305, 312, 318, 319, 323, 341, 343, 344, 359, 372, 376, 378, 379, 393, 396, 402, 403, 438, 439, 442, 445, 458
იმერხეეი 128
იმიერკავკასია 63, 65, 381
ინაური 83
ინდოეთი 324
ეორი 96, 101, 414
ირანი 403
ირგა 135, 136
ირტოა 108
ირტო-თეზ-ოკამის მინდორი 168
ისპაანი 316
ისპაჰანი 345, 412
ისპონი 134
ისროლის ხეობა 63, 64, 69, 70, 80, 147, 148, 159, 160, 275, 278, 329, 330
ისციხე 128, 130
იტალია 111
იტრია 289, 290
ეუხო 99
ეეენარა 136
ეეენეეი 128, 130
ეეენობი 142
ეშიტურეეი 229
ეწრისი 96, 101

კ

კავკასია 53, 59, 147, 191, 202, 228, 354, 380
კავკასიის მთა 86
კავთისხეეი 227, 311, 370, 399, 443
კაზარეთი 134
კაიშაურები 77
კაიშაურთკარი 99
კალისციხე 401
კალოვანე 94
კამარეთი 135
კარა 149
კარალეთი 71, 78, 83, 120, 121, 122, 151, 155, 248, 260, 272, 329
კარბი 82, 120, 311, 312, 400
კარელთკარი 148
კართისკარი 225
კარა 79
კარისი 136
კარობინი 128
კარხანი 118, 129
კასპი 107, 118, 119, 120, 157, 170, 171, 172, 265, 288, 296, 308, 311, 312, 400, 441
კასპიის ზღვა 59
კასპის რაზონი 114
კასპის ციხე 417
კატაეეთი 142
კატნარი 142
კახა 120
კახანთხარი
კახეთი 34, 35, 37, 43, 44, 52, 67, 92, 95, 103, 104, 105, 106, 123, 204, 205, 213, 232, 260, 266, 291, 296, 305, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 326, 329, 330, 331, 334, 335, 337, 338, 341, 343, 344, 346, 347, 348, 353, 354, 356, 357, 359, 361, 364, 365, 366, 367, 372, 373, 374, 383, 402, 403, 413, 418, 421, 425, 426, 427, 428, 438, 444, 447, 453, 457
კახმახუეი 135

კვბეი 82, 151, 417, 425
კვბეისციხე 311, 370, 429, 432
კვბეისჯვარი 121, 122, 125, 126, 127, 128
კვსელთა 80
კველთა 136
კვეთიეთი 74, 79
კვერნაკის მთა 171, 172
კვესეთი 134, 136
კვეძიეთი 148
კვირეს ტედი 94
კვირისცხოველი 134
კოპეთი 134
კიბეხოხი 79
კიკეთი 135
კიპოეკი 139, 142
კიტეხი
კიკინიანი 107
კლდე 128
კლდეკარი 253
კობალია 136
კობიანთკარი 101
კოდისწყარო 108, 117
კოდმანი 128
კოია 134
კოკისახო 181, 222
კოლაბეხურის მთა 288
კოლიტა 101
კომპანეთი 136
კოკორი 229, 306, 315, 404
კორა 74, 79
კორინა 77
კორინთა 148, 151, 159, 260
კორინთის კლდე 147, 148, 155
კორკული 81
კოშკა 260
კოხტა 134
კრიფა 137
კრობანი 128
კრუანისი 385
კსანი 147, 155
კუდარი 298
კუდიკომი 74, 75, 79
კულპითი 322
კუმისი 329
კუნელა 108
კურკუტი 97
კუცხიეთი 79
კუცხეთი 149
კურწიკაში 142
კუპათუბანი 128

ლ

ლაკათხევი 99
ლაკლაკაშენი 140
ლამისყანა 71, 76, 77, 108, 109, 119, 120, 151, 157, 159, 222, 227, 260, 276
ლარგვისი 56, 58, 69, 77, 153, 159, 259
ლარგვისის მონასტერი 251
ლაფაჩი 82, 151
ლაჭაური 83
ლეთეთი 126, 128
ლეკანაურის მთა 97
ლეკეთი 52
ლეკოიანი 81
ლენინგორი 153, 259, 288
ლეხურის ხეობა 70, 71, 80, 171
ლიახვი 112, 272, 291, 317, 320, 324, 327, 328, 329
ლიახვის პირი 427
ლიდა 100
ლიპარიტის უბანი 137
ლიპი 137
ლიყურეთი 135, 136
ლიხთამერეთი 67, 104, 105, 291, 395
ლოთიანთკარი 78
ლომისი 64, 78, 148, 323
ლომისის გზა 312
ლომისის მთა 70, 97, 159, 331
ლომისხევი 77, 151
ლოპისი 136
ლორაშენი 140
ლორე 132
ლორო 74, 75, 78, 79, 148
ლორწომნის კლდე 69, 71
ლუთხუმი 100

მ

მაკვა 139
მანაკრეტი 139
მანასეული 99

მარაბდა 134, 139, 371, 401, 451
მარანა 82, 151, 222, 272, 329
მარიამი 134
მაქართა 100
მაღარო 375
მაღრან-დვალეთი 63, 69, 70, 71, 83, 131, 147, 148, 232, 324
მაშათი 325
მაშავერი 133
მაშავერის ხეობა 173, 449
მაწლეთი
მახვილის მთა 288
მახიარეთი 78
მდივანბეგის სოფელი 141
მეორე ვილდა 81
მეორე საძეგური 77
მეორე ქოლოთი 80
მერე 82, 151
მერეთი 260
მესხეთი 110
მესხეთ-ჯავახეთი 105
მეტეხი 77, 149, 419
მეწყერი 79, 149
მეჯვრისხევი 64, 69, 70, 71, 81, 112, 120, 150, 151, 155, 157, 158, 159, 160, 161, 163, 164, 171, 172, 260, 276, 297, 299, 329, 331, 400, 418
მეჯუდა 171, 172, 272
მთაწმინდა 136
მთიანეთი 63
მთის ძირი 417
მთიულეთი 51, 87, 89, 91, 96, 159, 166, 355, 422, 438
მთიულთკარი 96, 101
მიანეთი 128
მიდელაანთკარი 76, 78
მიდელათკარი 149
მიდელაურთკარი 99
მირტაშენი 137, 142
მისაქციელი 97, 108, 164, 165
მიღურე 99
მიჩნაქარი 141
მიწყობი 128
მიჯა 139
მიჯა ყაითამზიანი 139
მლეთა 159
მლეთე 64, 69
მლაშე 242
მნა 98
მოლაკი 133
მოლათყასუმი 141
მოლამასხუდიე 139
მონასტერი 76, 78, 128, 134, 159, 162, 323, 328, 411
მონღოლეთი 51
მოსკოვი 123, 332, 365
მოსული 423
მოქალიეთი 79, 148
მიხისი 120, 367
მცავისი 135
მრევლი 96, 99
მტკვარი 107, 119, 120, 124, 127, 129, 147, 155, 157, 171, 172, 441, 449
მტკვრის პირი 112
მტკვრის ციხე 106, 359, 360, 361, 362, 363
მუგუდა 101, 142
მურუტი 139
მუსეფრიანი 139, 175
მუსიყალა 142
მუტავისი 139
მუხათი 142
მუხრანა 139, 175
მუხრანი 71, 89, 106, 107, 147, 160, 168, 191, 192, 297, 307, 308, 314, 324, 327, 336, 337, 339, 340, 359, 360, 361, 362, 364, 367, 368, 372, 373, 374, 378, 379, 381, 402, 407, 411, 416
მუხრანის ველი 109, 168, 359
მუხრანის ციხე 365, 366
მუჯუხი 74, 78, 149
მღუიმე 114, 115, 117, 118
მშხლები 83
მცხეთა 84, 85, 108, 118, 126, 263, 307, 314, 376, 383, 386, 401, 407, 414, 415, 438
მძეგვი 399
მძოვრეთი 128, 134, 137, 173, 268
მძოვრეთის ციხე 268, 421, 443, 444, 446, 447

მძოვრეთის ხეობა 123
მწყანეთი 139, 141
მჭადის ჯვარი 108, 159, 191, 360, 382, 383
მჭადისჯვრის სანახები 71
მჭადისჯვრის ციხე 380, 382
მხურვალეთი 171, 297, 299, 300
მხურვალეთის მთა 171

ნ

ნაგომეევი 71, 77
ნადარბაზევი 118
ნადიბანი 97
ნადიბაიძიანთკარი 99
ნავთლული 329
ნანიაური 81
ნარა 59, 61
ნარეკვავი 96, 159, 167, 168, 304
ნარეკვავის ხეობა 97, 164
ნარიყალა 354
ნასპარსევი 107
ნასტაკისი 107
ნატახტარი 159, 160
ნაფეტვარი 157
ნაქალაქევი 81, 134, 181, 222
ნაწრეთი 120
ნახიდი 77, 149
ნახიდური 175
ნიაბის ბოლო 441
ნიაურები 75
ნიაწარი
ნიკორწმინდა 185
ნილოცი 135
ნიჩბისი 128, 367
ნიჩბისის ხეობა 123
ნობისი 135
ნოტრევი 108

ო

ობეგი 423
ოდიში 67, 375
ოთარშენი 120, 265
ოკამი 107, 119, 120
ოკამის გორა 107
ორბეთი 132, 450
ორბოძალის მთა 126, 127
ორდისი 80
ორთაშუა 137, 142
ორთევი 151
ორი ნახშირის გორა 137
ორაზმანი 140
ორომაშენი 136
ორტევი 82
ორჩონის ციხე 366
ორკოსანი 120, 273
ოსეთი 59, 61, 92, 97, 113, 116, 306, 325, 351
ოსთუბანი 128
ოსის სოფელი 80
ოსმალეთი 35, 37, 105, 307, 318, 319, 322, 330, 353, 369, 372, 406, 414, 424, 425, 426, 432
ოტათლუანი 185
ოშეთი 135
ოძისი 71, 76, 77, 136, 147, 148, 151, 157, 159, 160, 222, 262, 276
ოხერხიდა 108, 164
ოხირი 64, 78, 148

პ

პაატას სოფელი 140
პავლეთკარი 78
პავლეური 96, 101, 148
პატარა ლიახვის ხეობა 63, 70, 71, 73, 82, 94, 95, 147, 148, 241, 275, 300, 330
პატიკანი 136
პერანგი 288
პეტრეს ციხე 416
პირველი საძეგური
პიტარები 454

ჟ

ჟამური 323, 324, 330
ჟამურის ხეობა 59, 63, 69, 70, 71, 74, 79, 131, 147, 157, 159, 275, 276
ჟიეთკარი 75, 78
ჟინვანი 51, 88, 96, 101, 166
ჟოჟონი 99

რ

რატევანი 136, 137
რაფაქეთი 135
რაჭა 67
რევაშენი 134, 211
რეხა 71, 82, 114, 119, 120, 128, 313, 329
რეხის ხეობა 112
რეხურის ხეობა 64, 298, 299
რკანარეთი 81
როკა 131
რომი 23
რორო 99
როსტიანთკარი 99
რუისი 46, 427, 128, 249
რუსეთი 8, 28, 35, 54, 93, 160, 166, 201, 239, 249, 305, 318, 320, 323, 330, 333, 352, 353, 366, 379, 384, 408, 410, 414, 415, 417, 422, 423, 425, 448, 455, 457, 462
რუსეთის გზა 353

ს

საბაშიშვილო 135
საბაშიძეო 289
საავალიშვილო 290
საამილახორო 71, 109, 117, 119, 120, 146, 159, 160, 170, 171, 172, 182, 194, 242, 243, 246, 252, 257, 265, 266, 275, 280, 284, 289, 295, 301, 313, 385, 400, 402, 404, 412, 415, 419, 420, 425, 427, 434, 436
საბარათაშვილო 133, 137
საბარათიანო 132, 133, 136, 137, 417, 421, 429, 430, 434, 449, 451, 453, 454, 457
საბარკლეთი 79, 149
საბერძნეთი 23
საბუზარი 134, 136, 137
საბურდიანო 108, 349
საგარეჯო 404
საგერმანოზიშვილო 133, 134
საგოსტაშაბიშვილო 133
საგუდე 107
საეგრო 45
სავახტანგო 71, 307, 337
საგნეთი 136
საზვერის ღვთისშობელი 126, 127
საზურაბიშვილო 133, 134
სათემო 81, 150, 151, 272, 276, 329
სათიკარი 81
საიარალიშვილო 136
საიოთამიშვილო 138
საკარეულო 241
საკარისები 140
საკეთე 136
საკანები 97
საკორინთლო 81, 149, 151, 299, 330
სალამალექი 143
სამაგრა 137
სამაჩაბლო 290, 297, 300
სამაჩვეთი 136
სამების მთა 71
სამეგრელო 183
სამთავისი 109, 110, 111, 251, 379, 420
სამუხრანბატონო 71, 95, 97, 100, 102, 103, 107, 108, 109, 120, 146, 167, 172, 182, 191, 192, 193, 336, 337, 350, 358, 364, 367, 376
სამუხრანო 379
სამღერეთი 136
სამშვილდე 132, 133, 457
სამცხე 51, 67, 345, 386
სამწვერისი 126, 128, 173, 457
სამწყერამო 128
სამხრეთ ოსეთი 202
სანიანის ხეობა 457
საორბელო 132, 454
საპონაური 128
სარახველა 142
სარბიელი 71, 77, 151
სარკინეთი 142, 168
სარკინეთის მთა 167, 359
სარუჩამის სოფელი 140
სასახლის დუშეთი 96, 101
სახირეთი 130
საუხი 100
საფავლენიშვილო 289
საფერშეთი 148, 149
საფერშეთის ხეობა 70, 159, 162, 276, 330

სოფიქალე 142
სოფლანვეთი 181
სოფურცლე 107, 108, 307, 338, 369, 371
სოფურცლის ჯალა 401
საქავთარიშვილო 136
საქათმე 128
საქართველო 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 43, 44, 45, 46, 48, 49, 50, 51, 52, 59, 60, 61, 62, 64, 65, 68, 70, 72, 73, 74, 86, 90, 92, 93, 95, 96, 98, 103, 105, 107, 111, 117, 118; 119, 120, 123, 127, 145, 146, 150, 152, 155, 160, 161, 163, 165, 172, 176, 177, 181, 183, 184, 185, 189, 194, 195, 201, 202, 203, 204, 206, 207, 224, 225, 227, 229, 233, 234, 241, 242, 253, 256, 257, 262, 263, 266, 282, 283, 287, 288, 290, 296, 298, 318, 319, 322, 323, 325, 326, 330, 342, 344, 347, 353, 356, 357, 359, 368, 369, 370, 371, 373, 376, 379, 383, 385, 394, 398, 400, 403, 405, 407, 408, 410, 412, 423, 431, 432, 433, 438, 439, 440, 442, 458, 459, 460, 461, 462, 463, 464
საქართველოს სამხედრო გზა 159, 160, 165, 166, 167
საქართლის ციხე 425
საქოსეთი 76, 80
საღაზნელო 70, 285
საღაჯური 99
საღირაშენი 135, 137
საყაფლანიშვილო 133, 137, 138, 139, 173, 174, 175, 182, 197, 249, 275, 454, 455, 457, 458
საშაბურო 101, 340
საშვეები 120
საციციანო 121, 124, 126, 129, 130, 131, 133, 146, 172, 173, 169, 182, 231, 247, 249, 265, 268, 411, 438, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447
საცხენისი 82, 297, 300, 320
საძეგური 66, 76, 149, 159, 276
საწებელი 126, 128
საწვიმარანი 97
საწერეთლო 290
საჯნიანი 143
სბა 63
სენები 136
სეთურთკარი 98
სარკოუბანი 101
სეფე 99
სვიანთკარი 99
სიათა 82, 328
სიგერაუთი 96
სიონი 93, 94, 98
სიონის ქედი 94
სირჩაპატი 141
სიღნაღი 220
სკვირეთის ხეობა 134, 136, 137
სკრა 443
სოლაღი 321
სნო 94, 98
სნეკვი 82, 151
სნერტის ჯალა 441
სობისი 120, 170
სოდავე 101
სომხით საბარათიანო 3, 133, 250, 290, 407, 449, 453, 454, 456, 458
სომხითი 136, 137, 174, 257, 411, 449, 454, 457
სომხითის ხეობა 457
სომხეთი 48
სპარსეთი 33, 35, 37, 69, 92, 310, 313, 315, 316, 342, 344, 347, 349, 357, 371, 375, 378, 400, 402, 404, 420, 423, 425, 429, 430, 432, 446, 451, 453, 454
სტამბოლი 423
სტალინირი 288
სტეფანწმინდა 98, 102
სუმბიანი 108
სეგუჩანი 140
სურამი 160, 291, 371
სურამის ციხე 421, 428, 429, 416, 410, 412, 430, 431, 432, 416, 417, 418, 425, 427, 428, 430
სულეიმანის სოფელი 141
სუხაანი 75

სხალტბა 107
სხალნარი 134
სხვილო 113, 114, 115, 116, 117, 120, 265, 291, 394, 395
სხვილოს ციხე 114, 313, 337, 416, 420, 425
სხლები 81

ტ

ტაო 47, 124, 125, 127
ტაოკლარჯეთი 43
ტამალია 140
ტაძიკური 128
ტანას ხეობა 130, 173
ტანძია 140, 175
ტაღდანი 143
ტაშირი 137, 141, 173
ტაშირის ზეგანი 173
ტაშის კარი 129, 441, 446
ტბა 81, 231
ტბის ყური 345
ტბილისის ციხე 369
ტბილისი 132, 137
ტინის გზა 341, 349
ტინის მთა 107
ტინის ხიდი 120, 274, 275
ტირიფონის ველი 115, 170, 171, 299
ტირძნისი 422
ტონჩი 96, 101, 108, 159
ტფილისი 132, 136, 229, 316, იხ. აგ. თბილისი 317, 369, 401, 409, 410, 455
ტყარშეთი 98
ტყვიავი 71, 83, 120, 151, 155, 157, 187, 260, 276, 329
ტყვილიანი 108

უ

უჟანო 108
უკანადალეთი 135
უკანამხარე 78, 100, 149
უკანუბანი 64, 65, 149
უნაგეთი 136
უნდილაანკარი 96, 101
უნდუში 140
ურბნისი 46, 427
ურიასტანი 122
უსანეთი 81
უსეინას სოფელი 142
უფლისციხე 44, 121, 122, 171, 272
უჯარმა 302

ფ

ფანავარი 132
ფანასკერტი 44, 122, 125
ფანშეთი 98
ფარავანი 451
ფარანჯუკი 140
ფარაჩუხლუ 141
ფარცხისი 135, 311, 369, 399
ფასანაური 159
ფასანაურის მთები 97
ფაწის ხეობა 131
ფახანი 411
ფიტარეთი 142, 457
ფიწუთი 136
ფლავი 82, 150, 151, 226
ფლავისმანი 71, 82, 150, 151
ფოტრისა 83, 272
ფოქალისი 133
ფოცხვერიანი 142
ფოხალა 328
ფრეზეთი 108
ფუტრევი 134, 136
ფშავ-ხევსურეთი 97, 98
ფხაეთი 100
ფსევნისი 120, 280

ქ

ქაბარჯნის მთა 94
ქაგარიანი 134
ქადაგიანი 107
ქავთურთკარი 100
ქაისხევი 96, 159
ქალაქა 79
ქანდა 107
ქანდას ციხე 167
ქარდისი 81
ქართაკი 140
ქარელი 127, 128, 173, 288, 297, 298, 300

ქართლი 3, 19, 26, 33, 34, 35, 37, 41, 43, 47, 48, 50, 51, 53, 55, 57, 59, 63, 64, 67, 68, 69, 88, 89, 92, 95, 104, 105, 106, 109, 110, 112, 114, 116, 123, 124, 131, 132, 147, 151, 157, 163, 166, 172, 173, 174, 176, 185, 191, 192, 194, 195, 204, 205, 213, 224, 225, 226, 228, 233, 257, 263, 264, 269, 266, 278, 283, 288, 290 291, 294, 295, 296, 303, 311, 312, 313, 316, 318, 319, 320, 321, 324, 326, 328, 329, 330, 331, 334, 335, 336, 337, 338, 339, 341, 342, 343, 346, 347, 348, 350, 351, 352, 354, 356, 359, 360, 361, 362, 364, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 374, 375, 376, 378, 379, 380, 382, 383, 385, 387, 394, 396, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 409, 410, 111, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 424, 425, 426, 427, 428, 431, 432, 433, 435, 432, 440, 441, 442, 445, 446, 447, 448, 449, 451, 453, 454, 455, 456, 457, 458
ქართლის მთიანეთი 117, 304, 417
ქარჩოხი 147, 148, 155, 157, 159, 160, 162, 275, 323, 330
ქარჩოხის მთა 70
ქარჩოხის ციხე 159
ქარჩოხის ხეობა 63, 64, 69, 70, 74, 78
ქაფიურთკარი 100
ქედის ეკლესია 140
ქეთილაშენი 141
ქელიფოს სოფელი 81
ქენქათკარი 76, 78, 148
ქერემდარა 140
ქიაბევანი 140
ქვათახევის მონასტერი 124
ქვათეთრისი 136
ქვახვრელი 121, 222, 130
ქვემო ალევი 76, 80, 151, 162
ქვემო აშატური 81
ქვემო ბაგინი 64, 149
ქვემო ბოლი 120, 284
ქვემო ბოლნისი 175
ქვემო იკოთი 75, 77
ქვემო ისროლის ხევი 80
ქვემო მლეთე 98
ქვემო შაშბიანი 82
ქვემო ქართლი 132, 134, 136, 137
ქვემო შუა ცხვირი 82
ქვემო ჩაფარუხი 82
ქვემო ჭალა 112, 172, 251, 265
ქვენაფლიზა 128
ქვენიფნევი 56, 58, 59, 61, 63, 66, 77
ქვეში 82, 134, 151
ქვითკირი 80, 147, 148
ქიათოში 134
ქინძნარა 81
ქიწნისი 82, 151, 157, 187, 272, 276
ქოვკეთი 74
ქოლოთი 80, 112, 147, 148, 149, 163
ქოლოთ-ქვიტკირის ხეობა 159, 63, 69, 70, 80, 159
ქოლოთ-ქვითკირი 275, 285, 313, 330
ქორაზანი 128
ქორდი 214, 297, 300
ქოსინი 74, 79
ქსანი 108, 112, 119, 155, 157, 159, 167, 168, 260, 272, 276, 279, 288, 305, 312, 317, 324, 327, 328, 329, 356, 360, 414
ქსოვრისი 159, 168, 299, 305
ქსორისი 108
ქსნისპირი 45
ქსნის საერისთავო 275, 276, 277, 278, 279, 284, 301, 304, 357, 358, 310, 311, 312, 316, 320, 322, 324, 325, 326, 327, 328, 330, 331
ქსნის ციხე 380
ქსნის ხეობა 55, 59, 61, 62, 63, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 84, 89, 96, 97, 106, 120, 130, 146, 147, 148, 150, 151, 152, 154, 155, 157, 158, 160, 162, 163, 164, 168, 171, 180, 181, 187, 198, 206, 223, 229, 233, 239, 241, 259, 262
ქსუისი 81, 329
ქუთაისი 45, 124
ქუთაისის გუბერნია 206
ქურთა 76, 77, 98, 149, 151, 222
ქურთა-ნახიდის ხეობა 276

ღ

ღართისკარი 96, 383
ღაროეთი 75, 78
ღვიდის ხეობა 263, 329
ღოლოვნა 134
ღორისთავი 199
ღოსთავის მთა 97
ღუდა 69, 102
ღუის ხევი 128, 130

ყ

ყ:დრი ყული 140
ყაზახი 175
ყაზბეგის რაიონი 94
ყაზვინი 316
ყალამშიანი 140
ყაშიში 141
ყანობი 98
ყანჩავეთი 69, 71, 77, 151, 159, 162, 284
ყარაბაღი 454
ყარაბულახი 134, 136, 141, 457
ყარაქილისი 141
ყარაღაჯი 449
ყარსი 193, 423
ყაჯილუხი 140
ყელეთი 128
ყელის ტბა 63
ყვარელი 383
ყვარელის ციხე 383
ყვავილი 96, 101
ყველაანთკარი 99
ყიზლარი 323
ყინცვისი 128
ყირხბულახი 379
ყორნისი 422, 438
ყოშაქილისა 141
ყოჩიანი 76, 80, 151
ყური 120
ყურისუბანი 108

შ

შავგომი 137
შავი ზღვა 59
შავი საყდარი 140, 141
შავტყე 107, 119, 288
შავშეთი 121, 124
შაკათკარი 151
შამახია 423
შამიანი 134
შარვანი 48, 423
შარუმაანთკარი 99
შატაგოკარი 74, 75, 78, 148
შატითგორი 82
შაქათგორი 329
შელეს მთა 97
შესაყარი 143
შველიეთი 76, 79, 148
შვინდავაკის დაბლობი 115, 120
შიდა ქართლი 51, 53, 59, 119, 250, 288, 299, 371, 394, 417
შინდისი 422
შინდლარი 140
შიომღვიმე 251, 356, 387, 395, 398
შიოს უბანი 107, 192, 295, 380
შიუკაანთკარი 78
შიშტეფა 141
შმბუნი 140, 143
შორისი 136
შუაალევი 80, 151
შუაბაგინი 79, 149
შუაბოლნისი 175
შუაჩაფარუხი 82
შულავერი 143

ჩ

ჩადისციხე 100
ჩალაღანი 395
ჩანგილა ბეგთა თავი 168
ჩანგილანი 107
ჩარანი 149
ჩარგამაშენი 140
ჩარდახი 83
ჩარდახლუ 141
ჩარეხის მთა 97
ჩიფარუხი 63
ჩახმახლე 141
ჩერქეზაანი 79, 149

ჩერქეზი 166, 352
ჩიგოიანი 74
ჩიდი
ჩილდირის ტბა 369, 400
ჩილურტი 96, 101
ჩინჩხური 140
ჩირიეი 100
ჩიტიანთი 76, 78, 149
ჩიჩიანთი 74, 75, 78
ჩობაური 100
ჩონჩო 99
ჩოქურო 99
ჩოხ-ამირათ მთა 97
ჩოხელმთა 97
ჩოხი 100
ჩრდილოეთ კავკასი 159, 160
ჩუმაანი 75
ჩხეკვი 137
ჩხერიმელა 288
ჩხიკვეთი 136

ც

ცივი 52
ცილა 142
ცინეებოდავი 109, 168
ციხე დიდი 185, 398
ციხია 77, 79, 149
ციხიანთკარი 99
ციხილები 79
ციხის ძირი 96, 101, 106, 107, 359, 360
ცოვრეთი 134
ცუქეთი 128
ცხავატი 64, 75, 76, 77, 149, 163
ცხავატის მთები 70
ცხავატის ხეობა 162
ცხანარი 134, 136
ცხოტი 69, 100
ცხეთა 443
ცხვილონი 71
ცხვილოსის მთა 71
ცხვრისი 134, 136, 137
ცხინვალი 83, 159, 160, 272, 279, 300, 329, 408, 418, 420, 422, 425
ცხირეთის ციხე 441
ცხრაძმა 89, 229, 275
ცხრაძმა დიდიანეთის მთები 70
ცხრაძმის ხეობა 57, 58, 63, 64, 65, 68, 69, 70, 74, 78, 147, 148, 162, 323, 330
ცხრაწყარო 79
ცხუმი 67

ძ

ძაბოეთი 64, 74, 79, 149
ძაგნაკორნა 69, 118
ძალბაი 423
ძალისი 108, 362, 363
ძალისის ხევი 361
ძმა 128
ძამის მონასტერი 128
ძამის ციხე 230
ძამის ხეობა 126, 127, 172, 443
ძეგვის წყალი 107
ძეგლევი 77, 157, 159, 212, 222
ძევერა 120
ძველი აბანო 135, 136
ძველი ტანძია 137
ძველი ქვეში 136
ძინძე 42
ძირულა 288
ძმიანთკარი 100

წ

წარბის უბანი 136
წაკეგელცი 140
წერაქვი 134
წეროვანი 107, 108, 160
წვერი 137
წვერე 99
წითელი ეკლესია 137, 141
წიკლორი 149
წილკანი 108, 159, 226
წინ 74, 79
წინაგორი 120, 171
წინამხარი 100
წინანაური 134
წინდუშეთი 96, 101
წინვენახი 136, 137

წინკიბის ციხე 318
წინ სოფელი 74, 78
წინუბანი 75, 78, 149, 197
წინციხე 101
წინწყარო 128, 247
წიპტაურები 74
წირქვილის ციხე
წირქოლი 64, 77, 148, 151, 162, 276, 291, 322, 328, 422, 424
წიფორი 82, 100, 140
წლევი 107, 119, 120, 288
წლევის მთა 157
წნელაქარა 143
წნორი 140
წობა 142
წობი 134, 136
წოლდა 171, 172
წოლდევი 81
წორბისი 120, 280
წრაურთა 142
წრაურთი 137
წრომი 70, 128
წუნეთი 128
წუღრაშენი 175
წულამი 141
წულები 81
წყნეთი 128

ჭ

ჭალა 120, 171, 295, 416, 417, 419
ჭალისოფელი 100, 141
ჭალისუბანი 128
ჭანდარი 134, 137
ჭანდრაკი 140
ჭაპური 108, 361
ჭარები 81
ჭართალი 96, 101, 166
ჭართლის მთები 97
ჭართალ-ხანდის მთები 97
ჭაშა 108
ჭერივი 102
ჭიკანთკარი 100
ჭილუტი 108
ჭინქარა 181
ჭინჭარის მამული 222
ჭინჭარა ფერდობი 114
ჭორჭოხი 71, 77, 78
ჭოჭობი 100
ჭრეში 136, 140
ჭურთის ხეობა 63, 64, 70, 79, 147, 330

ხ

ხადა 64, 87, 91, 98, 102
ხანდაკი 85, 90, 218
ხანდამის სოფელი 141
ხანდო 69, 96, 166
ხანძორის სოფელი 141
ხარაგაული 288
ხარბალი 76, 77, 162
ხარხეთი 97, 99
ხატისწობენი 118
ხაშური 127, 288
ხახალჯარი 136
ხევი 85, 87, 91, 92, 93, 94, 95, 96, 98, 166, 352
ხევის არაგვი 94
ხევშა 100
ხელთუბანი 120
ხეობა 195, 231, 324
ხერთვისი 291
ხეფინის ხევი 288
ხვედურეთი 121, 122, 125, 126, 127, 128, 129, 130, 172, 249
ხვითი 82, 83, 108, 120
ხიდიყური 143
ხიზეას სოფელი 143
ხინძორთალა 143
ხოკლე 213, 442, 443
ხოკლისხევი 130
ხოზა 100
ხოზოეთი 64, 76, 78, 137, 148
ხორასანი 325, 327, 423, 432, 446
ხორბეკი 134, 136
ხოფა 77
ხოშური 83
ხრომისწყარო 77, 149
ხუდო 140
ხუნანი 63, 382, 383

ხუნძახი 59
ხურკალეთის ხეობა 438
ხუცის სოფელი 141

ჯ

ჯაბარყალა 136
ჯავა 288
ჯავათკარი 74, 79
ჯავახეთი 131, 193, 231, 423
ჯავახთა 81
ჯალდამი 199
ჯანაზიანი 140, 175
ჯანბალჩა 141
ჯანკათკარი 79
ჯარიანი 83
ჯღუმაანთკარი 99
ჯვარდმნისი 142
ჯვარი 118
ჯვარისუბანი 71, 77
ჯვარმაგარი 108
ჯიგრიშენი 108
ჯირაურთკარი 101
ჯორთისი 79, 149
ჯოხისი 120
ჯურვოსი 141
ჯუხარაანთკარი 100

ჰ

ჰერეთი 52, 67, 123

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3
შესავალი . . . . . 4—40

თავი პირველი

ძართლის სათავადოების წარმოძმნის საკითხისათვის

I. ამოსავალი ვითარება . . . . . 41—55
II. ქსნის საერისთავო . . . . . 55—84
III. არაგვის საერისთავო . . . . . 84—102
IV. სამუხრანბატონო . . . . . 102—109
V. საამილახორო . . . . . 109—121
VI. საცციანო . . . . . 121—132
VII. ქვემო ქართლის სათავადოები . . . . . 132—144

თავი მეორე

სათავადოების მეურნეობა

I. ქსნის საერისთავო 146
1. სოფლის მეურნეობა . . . . . 146—158
2. ვაჭრობა-ხელოსნობა . . . . . 158—164
II. არაგვის საერისთავო 164
1. სოფლის მეურნეობა . . . . . 164—166
2. ვაჭრობა-ხელოსნობა . . . . . 166—167
III. სამუხრანბატონო . . . . . 167—170
IV. საამილახორო . . . . . 170—172
V. მეურნეობის ხასიათი საციციანოში . . . . . 172—173
VI საყაფლანიშვილო . . . . . 173—175
VII. სათავადოების მეურნეობის ზოგადი დახასიათება . . . . . 176—182

თავი მესამე

სოციალური ურთიერთობა და კლასთა ბრძოლის ფორმები სათავადოებში

I. თავადებისა და გლეხების ურთიერთობის ფორმები . . . . . 183—216
II. გადასახადები 216
1. საბატონო გადასახადები . . . . . 216—223
2. სახელმწიფო გადასახადები . . . . . 223—226
3. საეკლესიო გადასახადები 226
4. სამოხელეო გადასახადები . . . . . 226—228
5. გადასახადები უცხოელ დამპყრობთათვის . . . . . 228—229

III. თავადებისა და გლეხობის ურთიერთობის ზოგადი მიმოხილვა . . 229—236
IV. დამოკიდებულება თავადებსა და აზნაურებს შორის . . . . . 236—250
V. თავადის დამოკიდებულება ეკლესია-მონასტრებთან . . . . . 250—252

თავი მეოთხე

სათავადოების მართვა-გამგეობის სისტემა

I. თავადი და მისი მოვალეობა . . . . . 253—259
II. თავადის ოჯახი. დამოკიდებულება თავადსა და თავადიშვილებს შორის . . . . . 259—271
III. ქონების მფლობელობის წესი . . . . . 271—275
IV. სათავადოს მოხელენი . . . . . 275—281

თავი მეხუთე

სათავადოების ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში . . . . . 282—310

II. სათავადოების დამოკიდებულება სამეფო კართან 310
1. ქსნის საერისთავოს ურთიერთობა ქართლის სამეფოსთან . . 311—331
2. არაგვის საერისთავოს დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან 331—358
3. მუხრანბატონების დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან . 358—385
4. საამილახოროს დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან . . 385—438
5. საციციანოს დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან . . . . 438—449
6. სომხით-საბარათიანოს სათავადოების დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან . . . . . 449—459
7. საკითხის ზოგადი მიმოხილვა . . . . . 459—461
III. სათავადოების გაუქმება . . . . . 461—464
გამოყენებული ლიტერატურის სია . . . . . 465—476
საძიებლები 477
ა. პირთა სახელების საძიებელი . . . . . 477—493
ბ. გეოგრაფიული სახელების საძიებელი . . . . . 494—510

რედაქტორი შ. მესხია
გამომცემლობის რედაქტორები } გ. გულბანი, ი. ყიფიანი
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი ლ. არეშიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VI-55 წ. უე 03963. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 32. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 28,36. შეკ. № 1798. ტირაჟი 4.000. ფასი 9 მან.

საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის, ქ. № 3/5
Типография издательства Академии Наук Грузинской ССР,
Тбилиси, ул. А. Церетели, № 3/5